

ფრანგული ლიტერატურა

მოლიერი

1622-1673

თარგმანი შედარებულია ორიბინდთან
იხოდიონ ჯავჭავაძის მიერ

ბუბლაკაძის

მოლიერი

კოფედიების კრებულში

წინასიტყვაობა, ჩაღაყშია და უნიჭუნაჲი
კდატონ კაჭაღაღასი

ტბკრლისი
1937



წ ი ნ ა ს ი ზ ყ ვ ა ო ბ ა

ამ კრებულში თავმოყრილია რამდენიმე პირის მიერ შესრულებული თარგმანი. კიდევ შეტს ვიტყვი, იგი რამდენიმე თაობის მიერ არის გაკეთებული. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი ცდისა, კრებული ვერ ასცდა ასეთი შრომებისათვის დამახასიათებელ სიჭრელეს. ლექსიკური, სინტაქსური, ორთოგრაფიული, თუ სტილის სიჭრელის თავიდან აცილება შეუძლებელი შეიქნა.

კლასიკური მხატვრული ნაწარმოების თარგმანის ადეკვატობას ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ: სხვაგვარი თარგმანი არც მიგვაჩნია მისაღებად. ეს კრებული კი, გარდა მცირეოდენი გამოწკლისისა, არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, მაგრამ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ითვისებდა მოლიერის მემკვიდრეობას ქართული თეატრი და აგრეთვე მოლიერის კომედიების შესწავლის საკითხის წამოსაყენებლად, ასეთი კრებული აუცილებელია.

თუ ივანე მაჩაბლის თარგმნილი კომედია — „ექვით ავადმყოფი“ არ წარმოადგენს მოლიერის კომედია-ბალეტს მთლიანი სახით (არაა თარგმნილი ინტერმედიები, ვოკალური და საბალეტო ეპიზოდები, რომლებიც თვით ავტორის მიერ ორგანულ მთლიანობაშია მოცემული), ეს მძიმე წლების ქართული თეატრის სიღარიბით აიხსნება. მაშინ ჩვენს თეატრს არავითარი საშუალება არ ჰქონდა „ექვით ავადმყოფი“ იმ გრანდიოზულობით წარმოედგინა, რა სახითაც იგი მოლიერის თეატრში იდგმებოდა.

ასეთი კომედიის გრანდიოზული გაფორმება ქართულმა თეატრმა მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესძლო: ამის სანიშნოა ფაქტს წარმოადგენს „ექვით ავადმყოფი“ არა ნაკლებ ძნელად გასაფორმებელი, ცნობილი კომედია - ბალეტი „გაანაურებული მდაბიო“. ამ დროს საბჭოთა ქართულ თეატრს უკვე ჰქონდა საშუალება ეს ბრწყინვალე სატირიკული კომედია - ბალეტი ღირსეულად გაფორმებული ეჩვენებინა მაყურებლისათვის; კოტე მარჯანიშვილმა იგი მოლიერისებურა სრული ელვარებით და მახვილი სოციალური სატირით გაყენილი წარმოადგინა ქართულ სცენაზე.

კრებული გვაძლევს საშუალებას წარმოვადგინოთ მოლიერის კომედიები იმ სახით, რა სახითაც ისინი ქართულ თეატრს დღემდე ამწვენებენ.

აქ ნაკლიც არის და ღირსებაც.

ჩვენი მიზანია ეს კრებული მივცეთ მკითხველს და თეატრს, როგორც ისტორიულ და ლიტერატურულ სინამდვილის ფაქტი. ერთ დროს ასეთი კრებული საოცნებო იყო მოლიერის კომედიების საუკეთესო მცოდნისა და შემსრულებლის — არტისტ ვასო აბაშიძისათვის. ჯერ კიდევ 1888 წელს გახეთი „ივერია“ მკითხველებს აუწყებდა: „ჩვენი დრამატიული დასის არტისტს ბ-ნს ვასო აბაშიძეს განზრახვა აქვს შეუდგეს მოლიერის კომედიების ერთად ბეჭდვას. მოლიერის კომედიები საკმაოდ არის ქართულად თარგმნილი, თუ არ ვცდებით, ცამეტოდე იქნე

ბა, და ამიტომ მოლიერის ახლად გამოცემული კომედიები დიდი შესამატი იქნება ჩვენი მწერლობისათვის”.

ეს „შესამატი“ ქართულ მწერლობას დღემდე არ მიუღია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ „სორაპანი“ს გამოცემით, სერიაში: „ქართველი და უცხოელი მწერლები“, მოლიერის კომედიების პატარა კრებული გამოვიდა: „კრიჟანგი“ (იგივე „ძუნწი“), „სკაპენის ცულლუტობა“ და „პრანკია ქალები“.

ვასო აბაშიძის ოცნება მხოლოდ დღეს იქცა სინამდვილედ. დღე, წინამდებარე კრებული პატარა დასაწყისი იყოს იმ დიდი საქმისა, რომელიც მოლიერის ძვირფას მემკვიდრეობას ადეკვატური თარგმანების სახით მისცემს საბჭოთა ქართულ თეატრს და ქართველ მკითხველს.

ბ. ბ.

მოლიჩის სხოვაება და შემოქმედება

I

ფრანგული თეატრალური კულტურა მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა: ამ საუკუნეში წარმოიშვა კლასიკური ტრაგედიის ბრწყინვალე წარმომადგენლები — პიერ კორნელი¹ და ჟან რასინი². ახალი ევროპის უდიდესი კომედიოგრაფი — ჟან ბატისტ მოლიერიც, ამ საუკუნის სახელოვანი შვილია.

ინგლისური თეატრალური კულტურის თავისებური სახე კი უფრო ადრე — შექსპირის³ დროს, მეთექვსმეტე საუკუნეში შეიქმნა.

ესპანური თეატრიც მეთექვსმეტე საუკუნეში აღორძინდა: ლოპე-დე-ვეგამ⁴ ამ საუკუნეში შექმნა ესპანური დრამატურგიის შედეგები.

ფრანგული თეატრისა და დრამატურგიის დროებითი ჩამორჩენის მიზეზი სასულიერო მისტიციებისა და მორალიტეს დადგმების მონოპოლიაში უნდა ვეძიოთ, გარდა იმ სოციალური და ეკონომიური პირობებისა, რომლებმაც ვერ შეუწყვეს ხელი თეატრის აღორძინებას.

სწორედ იმ დროს, როცა ინგლისში და ესპანეთში დრამატურგია და თეატრი სწრაფად იზრდებოდნენ, საფრანგეთში სასულიერო მისტიციების მონოპოლისტებმა დრამატურგიას სრულად დაუბრუნეს გზა. რეფორმაციამ საფრანგეთში ანტიმონარქისტული ხასიათი მიიღო, ამიტომ მონარქია ფეოდალურ რეაქციას და კათოლიკურ ეკლესიას დაუკავშირდა: თავისუფალი, ჰუმანისტური აზრი და შემოქმედება დევნის საგანი გახდა. ახალი თეატრის შექმნის საქმე შეფერხდა. ძველი კიდევ კარგა ხანს მტკიცედ იყო, განსაკუთრებით პარიზში, სადაც პროფესიონალური არტისტების დასებს არ უშვებდნენ.

სრულიად სხვა სტრატის წარმოადგენდა მაშინდელი საფრანგეთის პროვინცია. აქ თეატრს მეტი გასაქანი ეძლეოდა. ამრიგად თეატრალური პარიზი ჩამორჩა თავის პროვინციასაც კი, და პირველი ფრანგული ტრაგედია დაიწერა პროვინციაში, 1549 წელს.

1548 წლის დეკრეტის⁵ ძალით ზისტიციების მონოპოლიის გაუქმების შემდეგაც ასე გრძელდებოდა მთელი ორმოცდაათი წლის ჯანმავლობაში, სანამ 1599 წელს, დიდი კრიზისის გამო, თეატრს მიაქირავებდნენ ვალერან ლეკონტის დასს. აქედან იწყება ფრანგული თეატრისა და დრამატურგიის აღორძინება. მაგრამ ჯერ კიდევ ვიწრო სარბიელი იყო: პარიზის ერთადერთი თეატრი — ბურგონის ოტელი⁶ — ვერ აკმაყოფილებდა სწრაფი ზრდით გამოწვეულ მოთხოვნილებას; საჭირო გახდა მეორე თეატრის შექმნა. ეს მეორე თეატრიც პროვინციულ აქტიორების დასმა გამართა, — იგი დაბინავდა მარეს სახელწოდებით ცნობილ თეატრში, 1634 წელს.

პარიზში გაჩაღდა თეატრალური ცხოვრება, რომელსაც თან მოჰყვა ფრანგული თეატრის ბრწყინვალე ხანა. დრამატურგიაში შეიქმნა საკაცობრიო მნიშე-

ნელობის შედეგები: ფრანგულმა თეატრმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია.

ამ დიდი თეატრალური კულტურის შექმნაში მოლიერს უსათუოდ პირველი ადგილი უკრაავს, არა ზარტო, როგორც გენიალური კომედიების ავტორს, არამედ, როგორც ნიჭიერ აქტიორსა⁷ და უდიდეს რეჟისორს⁸.

ერთხელ საფრანგეთის მეფემ, ლუი XIV⁹ ცნობილ კრიტიკოსს ბუალოს ჰკითხა: თანამედროვე პოეტებიდან ვინ უფრო ამშვენებს ჩემი მეფობის ხანასო. ბუალომ, რომელიც განუსახლაველი ავტორიტეტით სარგებლობდა, მეფისათვის სრულიად მოულოდნელად დაასახელა კომიკი პოეტი და აქტიორი მოლიერი. — მე ეგ არ მგონია, მაგრამ თქვენ ამ საქმეში ჩემზე მეტი გვესმითო¹⁰, — უპასუხა მეფემ.

ბუალო არ შემცდარა: მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგ პოეტებიდან ყველაზე გამძლე და გავლენიანი მართლა მოლიერი გამოდგა: იგი დღემდე ცოცხალია და აუცილებელი ყველა ხალხის თეატრალური კულტურისათვის. მისი გავლენით განვითარდა არა მარტო ფრანგული კომედია; ინგლისური, იტალიური, ესპანური, გერმანული, რუსული და ქართული კომედიაც მოლიერის გავლენით აღორძინდა.

მოლიერს გოეთეც დიდად აფასებდა: „მოლიერი, — სთქვა გოეთემ ეყრმანთან საუბარში, — იმდენად დიდია, რომ მის წაკითხვას ყოველთვის განცვიფრებაში მოვყვარო. იგი მეტად თავისებურია, მისი კომედიები ტრაგედიებს უახლოვდებიან, ისინი განსაკუთრებული ღირსებისანი არიან... მე მაოცებს არა მარტო მოლიერის სრულყოფილი მხატვრული ხერხები, უწინარეს ყოვლისა მიზიდავს მისი მშვენიერებით საესე მხატვრული ბუნება და მაღალი შინაგანი კულტურა¹¹.“

მსოფლიო კომედიოგრაფია მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მოლიერის უშუალო გავლენით ვითარდებოდა. საფრანგეთში ბომარშეს¹² წინამორბედა, მოლიერი — იტალიის თეატრის რეფორმატორის გოლდონის,¹³ რუსული კომედიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლების გრიბოედოვის, გოგოლის და ოსტროვსკის¹⁴ მასწავლებელიც იყო.

II

მოლიერი დაიბადა პარიზში, 1622 წლის 13 იანვარს. მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო — ჟან ბატისტ პოკლენი. მოლიერი ფსევდონიმია.

მოლიერის მამა, ჟან პოკლენი, ძველიდანვე ცნობილ ბურჟუაზიული გვარის წარმომადგენელი, თვითონაც ვაჭრობას ეწეოდა. მას ჰქონდა შალერის მალახია და მდიდრად ცხოვრობდა. დიდი მშრომელი, ანგარიშიანი და გაბედული ჟან პოკლენი გატაცებული იყო კაპიტალის დაგროვებით: დააგროვა კიდევ და იყიდა მეუის სასახლის მომჩითველის თანამდებობა — კამერდინერი გახდა.

ამდროს მოლიერი ცხრა წლის იყო. ერთი წლის შემდეგ მას დედა გარდაეცვალა.

ამავე ხანებში მოლიერი მიიბარეს იეზუიტების სკოლაში — კლერმონის კოლეჯში. სადაც მან შესანიშნავად შეისწავლა ლათინური ენა და რომელი მწერლები დედანში წაიკითხა.

მამა ხელს უწყობდა თავის უფროს შვილს კარგი განათლება მიეღო, იურისტი გამხდარიყო. შემდეგ მოლიერმა სამართლის ლიცენციატის უფლება

მოიპოვა, მაგრამ ვეკილობა არ იზიდავდა მას; ამ პროფესიას ჩქარა თავი დაანება და დროებით ზეფის კამერდინერის მოვალეობას ასრულებდა ლუი XIII ამაღლად.

არსებობს გადმოცემა, რომ მოლიერი ფილოსოფიას ახალი მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაჩინო მიმდევარ პიერ გასენდისთან სწავლობდა.

გასენდი (1592 — 1655) შესანიშნავი მცოდნე იყო როგორც ძველი, ისე ახალი ფილოსოფიის; მან იცოდა ბუნებისმეტყველება და ისტორია. მათემატიკა და მექანიკა, ასტრონომია და ანატომია.

მოლიერის სოულმხედველობა უსათუოდ ატარებს გასენდის სკოლის ფილოსოფიის გავლენის ნიშნებს, ისევე, როგორც მატერიალისტ-ატეისტი პოეტის სირანო დე ბერჟერაკის¹⁴ სოფლმხედველობა ატარებდა.

თეატრის სიყვარული მოლიერს იმავეითვე დაჰყვა. სანახაობისადმი სიყვარულის განეთარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პოკლენები ცხოვრობდნენ პარიზის ყველაზე დიდ საეკერო უბანში, სადაც ბაზრობის გამო თითქმის მუდამ იმართებოდა წარმოდგენები. აქ შეიძლებოდა მართონეტების, გაწვრთნილი მაიმუნების, იტალიელი ჯამბაზების წარმოდგენების ნახვა.

ახალგაზრდა მოლიერის თეატრით გატაცებას ხელი შეუწყო აგრეთვე მისმა ბაბუამ — დედის მამამ — ლუი კრესემ, რომელიც დიდი თეატრალი და მწიგნობარი იყო. იგი ხშირად დადიოდა ბურგონის თეატრში და თან დაჰყავდა თავისი შვილიშვილი.

იმდროს, ჯერ კიდევ აქტიურობა სამარცხვინო პროფესიად ითვლებოდა პარიზში, და მოლიერის მამა ცდილობდა შვილის თეატრისაგან ჩამოცილებას. მაგრამ მოლიერი გაიტაცა თეატრმა, კამერდინერობას თავი დაანება და აქტიურობა დაიწყო. და აი გამოვიდა დეკრეტი, რომლის ძალით აქტიურობა უკვე აღარ ითვლებოდა სამარცხვინო პროფესიად, და მამამაც აღარ შეუშალა ხელი მოლიერს აქტიორი გამხდარიყო.

III

პირველად მოლიერი თეატრში შევიდა როგორც აქტიორი. 1643 წლის დასაწყისში ახალგაზრდა მოლიერმა მამისაგან 630 ლივრი მიიღო. ეს ფული მან მთლიანად შეიტანა, როგორც პაი, ახლად დაარსებულ „ბრწყინვალე თეატრის“ ფონდში. ამ თეატრის დაარსების ერთი ინიციატორთაგანი თვითონ მოლიერი იყო. მეტად საინტერესო დოკუმენტი, „ბრწყინვალე თეატრის“ დაარსების აქტი დაცულია. ამ დოკუმენტის საშუალებით ვეცნობით პირველი დასის მთელ შემადგენლობას, აქტიორებს, რომლებთანაც ახალგაზრდა მოლიერმა დაიწყო მუშაობა.

„ბრწყინვალე თეატრის“ დასის წევრებთან მოლიერს მეგობრობაც აკავშირებდა. დები მადლენა¹⁵ და ენევიევა¹⁶ ბეჟაოები ნამდვილი მეგობრობით იყვნენ დაკავშირებულნი მოლიერთან, ამათი უმცროსი და, არმანდა ბეჟარი,¹⁷ მოლიერმა შემდეგ ცოლად შეირთო.

„ბრწყინვალე თეატრის“ სეზონი გაიხსნა 1644 წლის იანვარში, დაარსებიდან სრული ექვსი თვის შემდეგ. ამ თეატრში მოლიერი პირველი აქტიორთაგანი იყო. იგი ასრულებდა ტრაგედიის გმირის როლებს და თავისი შეუფერებელი თამაშით ხშირად აღშფოთებაში მოჰყავდა მაყურებელი.

მოლიერი ულამაზო იყო: დიდი თავი მოკლე კისერი, წვრილი თვალები, ხშირი, ჩამოშლილი წარბები, სქელი ტუჩები, დაჰყლეტილი ცხვირი, თავზე დაზვინული ხშირი თმა, მთელი ტანი მაღალ წვრილ ფეხებზე შედგმული, აი მოლიერის გარეგნობა¹⁴. ამას გარდა არც ხმა ჰქონდა ტრაგედიის გმირების როლისათვის შესაფერი. იგი უფრო კომიკურ როლებისათვის იყო მოწოდებული, მაგრამ პირველი თორმეტი წლის განმავლობაში მას არც უცდია კომიკური როლის შესრულება.

ბრწყინვალე თეატრმა¹⁵ ვერ შემოიკრიბა მაყურებელი, დიდ მატერიალურ კრიზისში ჩავარდა, დაიშალა. აქტიორებს ვალი დაუდოთ.

დამარცხების შემდეგ მოლიერი დარწმუნდა, რომ მარტო ენტუზიაზმი და გამბედაობა არაა საკმაო თეატრის შესაქმნელად, საჭიროა გამოცდილება და თეატრალური ტექნიკის შესწავლა.

მაგრამ მოლიერი არც ერთ სხვის თეატრში არ შევიდა მსახიობად. თავის მეგობრებთან, მადლენა და ენევიევა ბეჟარებთან ერთად გაემგზავრა პროვინციაში სამუშაოდ.

პროვინციაში მოლიერი და მისი მეგობრები შეუერთდნენ ძველი აქტიორის დიუფერენის დასს, რომელსაც ჰერცოგი დე პერნანი მფარველობდა.

მაშინდელი საფრანგეთის პროვინცია, პარიზთან შედარებით, უფრო დიდ ასპარეზს წარმოადგენდა თეატრალურ ნოვატორობისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ პროვინციის თეატრებს დაბრკოლებები არ ელობებოდათ წინ და შევიწროვებული არ იყვნენ.

არა. პროვინციაშიც აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მოლიერს პროვინციაში მუშაობამ უდიდესი სარგებლობა მოუტანა. ნამდვილი არტისტული ოსტატობა და თეატრალური გამოცდილება მოლიერმა პროვინციაში შეიძინა.

პირველად აქ დარწმუნდა მოლიერი, რომ იგი შეუფერებელი იყო ტრაგედიების გმირის როლებისათვის და 1655 წელს გამოვიდა მოხუცი დედაკაცის კომიკურ როლში, რომელიც საუცხოოდ შეასრულა.

აქვე, პროვინციაში, მოლიერი ხშირად ხედებოდა და ახლო ეცნობოდა იტალიურ თეატრს. იტალიელი აქტიორების მოქნილი ტანი, მათი დიდი ოსტატობა და სცენარები, რომლებიც მათ საიმპროვიზაციოდ იწერებოდა, არ დარჩენილა მოლიერის ყურადღების გარეშე: მან შეისწავლა იტალიური თეატრი, მისი რეპერტუარი და შესრულების ტექნიკა. მას ძალიან მოსწონდა: იტალიელ კომედიანტების დახელოვნებული თამაში. გარეგნობით ბრკეყიალა, უშინაარსო იტალიური კომედია კი არ შეიძლებოდა მოსწონებოდა, მაგრამ წერა მაინც იტალიურ დრამატურგიის უშუალო გავლენით დაიწყო.

მოლიერის დრამატული შემოქმედების პირველი ნიმუშები არ შენახულა. ყველაზე ადრე დაწერილი კომედია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია არის „L'Étourdi ou Les Contre-temps“ (თავქარიანი ანუ დაბრკოლება); იგი დაწერილა 1655 წელს პროვინციაში ყოფნის დროს. ეს კომედია ამავე წელს დაიდგა ქ. ლიონში. იგი არაა ორიგინალური — ფაბულაც და სტილიც იტალიელ აქტიორის ნიკოლო ბარბიერის კომედიიდან არის აღებული. სხვა ხაზით მომდინარე გავლენებიც ატყვია, მაგრამ მაინც სჩანს მომავალი დიდი კომედიოგრაფის მოფიქრებისა და ახრის განსაკუთრებული ძალა.

თავისი კომედიების ცნობილი ტიპი მასკაროლი მოლიერს პირველად ან პიესაში ჰყავს გამოყვანილი; ეს ტიპი მსოფლიო კომედიოგრაფიის ისტორიაში

„ცულლუტების მეფის“ სახელწოდებით ცნობილი, იტალიური გავლენითავე შევიდა მოლიერის კომედიებში და უალრეს განვითარებამდე მივიდა სკაპენის ტიპის შექმნით.

ეს ტიპი, კომიკური მსახურის სხვადასხვა სახით წარმოდგენილი, ინტრიგის წამყვანი არის მოლიერის კომედიაში. ამ მსახურების მოძრავე, მოქნილი, გონებამახვილობით და ოპტიმიზმით სახეს ხასიათი, ზოგჯერ გაუფარებამდე დასული, საერთოდ დიდი სიცოცხლისა და ხალხის შემტანია კომედიაში.

მასკარილის როლს თვითონ მოლიერი თამაშობდა.

მეორე კომედია „Le Dúpit amoureux“ (სიყვარულის უსიამოვნება) მოლიერმა დასწერა და დადგა ქ. ბენენში, ლანგედოკის შტატების ყრილობის დროს, 1656 წლის დეკემბერში. ეს კომედიაც ნასესხებ სიუჟეტზეა დაწერილი; უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი გადმოკეთებულია იტალიელ მწერლის ნიკოლო სეკის პიესიდან.

ორივე კომედია მოლიერს ლექსად აქვს დაწერილი. ისინი ქართულად ჯერ არავის არ უთარგმნია.

მოლიერი პროვინციაში სრული ცამეტი წელიწადი მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მან ზემოდასახელებულ კომედიებს გარდა ბევრი სცენარი დასწერა, ბევრი როლი ითამაშა, და რაც მთავარია, მიაგნო თავის ნამდვილ მოწოდებას არა მარტო როგორც კომედიოგრაფმა. იგი დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება იყო კომიკური როლების შესრულება.

პროვინციაში დაუჯაკაცდა მოლიერის დასიცი. იგი პროვინციაში მუშაობის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უკვე ნამდვილი პროფესიონალური, გარკვეული სკოლის თეატრის სახეს ატარებდა და დიდი სახელიც მოიხვეჭა.

1658 წელს მოლიერმა საჭიროდ და შესაძლებლად დაინახა პარიზში დაბრუნება. შეფად გაიჩინა ახალგაზრდა მეფის ლუი XIV ძმა, რომელმაც ხელი შეუწყო მოლიერის თეატრის პარიზში დაბრუნებას. ამავე წელს, 24 ოქტომბერს, ლუერის სასახლეში გაიმართა მოლიერის თეატრის პირველი წარმოდგენა.

წარმოდგენებს კორნელის ტრაგედია „ნიკოდემი“ და ფარსი „შეყვარებული ექიმი“. „შეყვარებულ ექიმში“ მთავარ როლს შესანიშნავად თამაშობდა თითონ მოლიერი. წარმოდგენას დაესწრო მეფე ლუი XIV თავისი ამალით და საგანგებოდ მოწვეული ბურგონის თეატრის მთელი დასი. მეფეს მოეწონა მოლიერის თეატრი, გადასწყვიტა მისი პარიზში დატოვება. იგი მოათავსეს პტი-ბურბონში, მეფის კარის თეატრის შენობაში.

აქედან მოლიერის ცხოვრებასა და შემოქმედებაში სრულიად ახალი ხანა იწყება.

IV

„ბრწყინვალე თეატრის“ დამარცხების გამო პროვინციაში გადახვეწილი მოლიერი დიდ მუშაობას აწარმოებდა თავის თავზე და პარიზში დაბრუნდა უდიდესი ცოდნით და გამოცდილებით შეიარაღებული. შესანიშნავი მცოდნე ლათინური, იტალიური და ესპანური ენების, მოლიერი ორიგინალში იცნობდა კომედიოგრაფიის შედეგებს. იგი განსაცვიფრებლად სარგებლობდა თავისი ცოდნით და გამოცდილებით ორიგინალური კომედიის შექმნის დროს.

მოლიერი ცნობილი აქტიორი, დრამატურგი, რეჟისორი და თეატრის დირექტორი, სცენიურ ხელშეწყობის ყოველგვარ საიდუმლოს იცნობდა. მისი კომე-

დიები გახურებულ თეატრალურ ატმოსფეროში დაწერილები, ყოველთვის დიდი მხატვრული წარმატებით მიდიოდნენ მაყურებელამდე.

მოლიერის პირველი ორიგინალური კომედია - ფარსი „სასაცილო პრანკია ქალები“, პარიზში დაბრუნების შემდეგ დაწერილი, პირველად დაიდგა პტი-ბურ-ბონის თეატრში, 1659 წლის 18 ნოემბერს, კორნელის „ციინას“ კომიკურ დამატებად. ამ პატარა ერთმოქმედებიანმა კომედიამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი თეატრალურ პარიზისათვის უდიდეს მოვლენად გადაიქცა. კომედიას წილად ხვდა ჯერ არნახული ყურადღება. პირველივე წარმოდგენიდან თეატრი ყოველთვის გაქვდილი იყო ხალხით და ყოველი წარმოდგენა აღფრთოვანებული ოვაციებით თავდებოდა.

„სასაცილო პრანკია ქალები“ მოლიერმა პარიზის ცხოვრებიდან აღებულ თემაზე დასწერა. პროვინციაში ყოფნის დროს მოლიერს უშუალო კავშირი ჰქონდა ხალხთან, იგი ნამდვილი ცხოვრების გამოცდილებით და ცოდნით თვალახლილი დაუბრუნდა პარიზს. სწორედ პარიზის უბადრუქმა და გაპრანკულმა ცხოვრებამ აღაშფოთა კომედიოგრაფი და გაპრანკულობის წინააღმდეგ მიმართული, შემტევი სატირით გაქვნილი კომედია დასწერა.

მანკიოობა, მაშინდელი საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატის განუკურნებელი სენი, მოდად გადაიქცა და ბურჟუაზიასაც გადაედო. ლიტერატურაში, სალონებში, მანერებში, საუბარში, ყველაფერში მანკიოობა იყო დამახასიათებელი.

მოლიერის პრანკია ქალები, მადლონი და კატო, პარიზში ჩამოსული პროვინციელი ქალებია. მაგრამ მათი მოქმედება პრანკიოობის ისეთი დამახასიათებელი დეტალებით არის გამოხატული, რომ მთელი პარიზის პრანკიოობის ტონის მიმცემ მარკიზა რამბულიეს სალონზე მიგვიართებს.

მადლონი და კატო სინამდვილეს არავითარ ანგარიშს არ უწყვენ, გაპრანკული სტილისა და იდეის რომანებით დატყვევებულნი, ცდილობენ ამ რომანების გმირების მიბაძვით იცხოვრონ.

ამ პიესაში მამაკაცებიც იპრანკებიან. მახვილი სატირაა მიმართული მაშინდელ მწერლებზედაც. პოეტის ტიპად გამოყვანილია მასკარილი, რომელსაც თავისი უნიკო ლექსებით ალტაცებაში მოჰყავს მადლონი და კატო.

მოლიერის შემოქმედების სიახლე, აქტუალობა, სოციალური და რეალისტური ტენდენციები ყველასათვის აშკარა დასანახავი გახდა: კომედია მოდად ქვეულ გაპრანკულობის დაცინვად მიიღეს და განგაში ასტეხეს.

მოლიერის თეატრი გახდა მთელი მაშინდელი პარიზის ყურადღების ცენტრი.

V

ამის შემდეგ მოლიერის კომედიებს მოუთმენლად მოელოდნენ. მოლიერიც დიდ პასუხისმგებლობას გრძობდა, მონდომებით მუშაობდა, ართულებდა თავის შემოქმედების ხერხებს და მეთოდებს.

„სასაცილო პრანკია ქალების“ შემდეგ მოლიერი თავს ანებებს იტალიურ კომედიიდან ნასესხებ ტიპს — მასკარილს.

ახალ კომედიაში „სგანარელი“, ანუ „ეკვიტი რქოსანი“, მოლიერს გამოჰყავს სოციალურად და ფსიქოლოგიურად უფრო რთული ტიპი, რომელიც ხასიათის

სხვადასხვა ვარაყიით, მაგრამ ერთი და იმავე სახელით, ექვს კომედიაში მოქმედობს.

სგანარეულიც მოლიერის შემოქმედებაში გარდამავალი ხასიათის ტიპია. როგორც კრიტიკოსი სენტ-ბევი ამბობდა, იგი თავის თავში უკვე ატარებს უფრო რთული ტიპების: არნოლდის, დანდენის, ორგონის ხასიათის ნიშნებს.

სგანარეულიც დიდად მოიწონა მოლიერის თეატრის მაყურებელმა, რომელიც გატაცებული იყო ფარსით და მასკარაილის და სგანარეულის ოინებით ერთობოდა. ამიტომ ამავე მაყურებელმა ვერ გაიგო პირველი სერიოზული ხუთმოქმედებიანი ტრაგიკომედია მოლიერისა „დონ-გარსია ნეაურელი, ანუ ეპეიანი პრინცი“, რომელიც მოლიერის საუკეთესო კმნილების „მიხანტროპი“-ს წინამორბედს წარმოადგენს.

ამ პიესის დამარცხებით მოლიერის თეატრს მაყურებელი არ გაუშვია ხელიდან. სრული ოთხი თვის შემდეგ, 1661 წლის 24 ივნისს, მან დადგა ახალი კომედია „ქართა სკოლა“. მოლიერს აქაც წინსვლა ეტყობა; მოცემულია უფრო ძლიერი სოციალური სატურა, ვინემ წინა კომედიებში, აღეზულია აქტუალური თემა ოჯახის, ქორწინების და ქალის აღზრდის საკითხები.

ეს ხასიათის და ინტრიგის პიესაა, სწორდა ვოლტერი ²⁰ „ქმართა სკოლის“ შესახებ,—თუნდ მარტო ეს ნაწარმოები შეექმნა მოლიერს, იგი მაინც პირველხაზისადაა კომედიოგრაფად ჩაითვლებოდა“. მართლაც XVII საუკუნეში დიდად ფასდებოდა ხასიათისა და ინტრიგის ქანრის ერთ კომედიაში მოცემა.

მოლიერის ყოველი კომედია საერთოდ ავტორის არაჩვეულებრივი ზრდის მაჩვენებელია. ყოველ კომედიას რაღაც ახალი შეაქვს მოლიერის შემოქმედების საღაროში. მართალია, ავტორი სრული პორტრეტის მოსაცემად საჭირო ყოველი მათგანის ანალიზი და შეფასება, მაგრამ ამ გამოცემის წინასიტყვაობა ყოველივე ამას ვერ დაიტევდა, ჩვენც მხოლოდ განსაკუთრებულ და ახალ შინაარსის კომედიებს შევხებით.

შემდეგი კომედია „Les Fâcheux“ („აბეზარნი“) წარმოადგენს ახალი ქანრის ნაწარმოებს. იგი იწყებს მოლიერის კომედია-ბალეტების იმ წყებას, რომელიც ისეთი ბრწყინვალე შედეგებით არის წარმოდგენილი, როგორიც არიან „გახანაურებული მდაბია“ და „ეპეით ავადმყოფი“.

კომედია-ბალეტი სრულიად ახალი მოვლენა იყო დრამატურგიაში. იგი მოლიერმა შემოიღო და შემდეგნაირად დაასაბუთა მისი მნიშვნელობა:

„რათა ინტერმედიებით არ გაწყვეტილიყო პიესის მთლიანობის ძაფი,—სწერს მოლიერი პირველი კომედია-ბალეტის „Les Fâcheux“-ს წინასიტყვაობაში,—ჩვენ გადაწყვეტიტეთ, რაც შეიძლება მკიდროდ შევეყვარა ისინი—(ინტერმედიები), სიუჟეტთან და კომედიისა და ბალეტისაგან ერთი მთლიანი რამ შეგვექმნა... ასეა თუ ისე, ასეთი შეერთება ახალია ჩვენი თეატრისათვის“.

ამ ორიგინალური ქანრის შექმნაში მოლიერს ეხმარებოდა ფრანგული ოპერის მამამთავარი კომპოზიტორი ქან-ბატისტ ლიული. მოლიერის თითქმის ყველა კომედია-ბალეტის მუსიკა ლიულის ნიერაა დაწერილი.

კომედია-ბალეტისათვის დამახასიათებელია სიუჟეტისა და კომიკური მოქმედების ინტრიგის გამოყენება მხოლოდ ისეთ ღერძად, რომლის გარშემო ნაწარმოების ეპიზოდები საინტერესო სანახარბად იშლებიან. აქ ბალეტიცა და პანტომიმაც ხელს უწყობენ მოქმედ პირთა ხასიათის გახსნას.

ამიტომ მოლიერის კომედია-ბალეტები არაფრით არ ჩამოუვარდებიან ამავე ავტორის ზეჩვეულებას და ხასიათის სერიოზულ კომედიებს: ცდებოდნენ ისინი

ვისაც კომედია-ბალეტი დაბალი ღირსების ნაწარმოებად მიაჩნდათ. მსუბუქი და გასართობი კომედია-ბალეტები იდეასაც არ არიან მოკლებულნი: შესანიშნავად აშკლანებენ სინამდვილეს და სატირიკულიც არიან. მოწინავე წრეებმა იმთავითვე ასე შეაფასეს ამ ჟანრის კომედიები. დამახასიათებელია, რომ მათ პირველ ნიმუშს „Les Fâcheux“-ს მიესალმა ცნობილი ლაფონტენი, ²¹ რომელმაც სთქვა: „აწი არც ერთი ნაბიჯით აღარ შეიძლება ბუნებისაგან დაშორებო“.

როცა ლაფონტენი ამას ამბობდა, გულისხმობდა ფარსის სიკვდილს და რეალისტური კომედიის აღორძინებას.

VI

ლუი XIV-ის ეპოქის ყველაზე დიდი სენის, ფარისევლობის, გენიალური გამომატველი და მამხილებელია მოლიერის ცნობილი კომედია „ტარტიუფი“. ამ კომედიის პირველი ვარიანტი დაიდგა ვერსალში, ²² 1664 წლის 12 მაისს.

ფარისეველთა წრეებში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მათი თვალთმაქცობის ასე აშკარად მამხილებელი სატირიკული კომედიის დადგამამ. მეფემ, თავისი დედის ანა ავსტრიელის მოთხოვნის შემდეგ, რომ ფარისეველთა ხროვა არ გაეღიზიანებია, „ტარტიუფის“ საჯაროდ წარმოდგენა აკრძალა.

დაიწყო მოლიერის წვალება და ბრძოლა „ტარტიუფის“ გარშემო. ავტორი არ ცხრებოდა. იგი ხშირად კითხულობდა ან დახურულ წარმოდგენებს მართავდა არისტოკრატთა სასახლეებში და ამით იკლავდა ტინს. მოწინააღმდეგეებმა აქაც ბრძოლა გამოუტყაბადეს გენიოს კომედიოგრაფს.

პარიზის არქიეპისკოპოსმა დე-შავანლონმა გასცა განკარგულება: „კომედია „ტარტიუფი“, რომელიც ვითომ თვალთმაქცობას და ცრუმორწმუნეობას დასცილნის, ნამდვილად ჰუმანიტარული რელიგიის უთხრის ძირს, და ყველა ჰუმანიტარულ ღრმამორწმუნე ადამიანს დასცილის განურჩევლად. ამიტომ ამ მოწოდების თანახმად ყველას და ჩვენი საწყმოსო თითოეულ წევრს აუკრძალოს, წარმოადგინოს, წაიკითხოს ან სხვისი წაკითხვით მოისმინოს ხემოდასახლებული კომედია, როგორც საჯაროდ, ისე კერძოდ, რა მიზეზითაც უნდა ხდებოდეს იგი. დამნაშავე განდევნილი იქნება ეკლესიიდან“.

„მოლიერი—ეს დემონია ადამიანის სახით მოვლენილი,—სწერდა აბბატი რულე,—ის გარყვნილი და უწმინდური ღირსია საჯაროდ დაიწვას კოცონზე თავის საზიხლარ ნაწარმოებ „ტარტიუფთან“ ერთად“.

ბრძოლის პროცესში მოლიერი ამუშავებდა, აღრმავებდა, კიდევ უფრო ამახვილებდა თავის საყვარელ კომედიას. პირველად იგი სამმოქმედებიანი იყო.

ხუთმოქმედებიანი „ტარტიუფი“ საბოლოო რედაქციით, სწორედ იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ვიცნობთ, პირველად დიდი ზემოთ დაიდგა პალე-როიალში, ²³ 1669 წელს, 9 თებერვალს. გაზეთები სწერდნენ: „თეატრში არც ერთი ადგილი აღარ იყო თავისუფალი. ყოველი მხრიდან ისმოდა ყვირილი: გული მიმდის... მეტი აღარ შემიძლია... ნუთუ ბ-ნო ტარტიუფო, თქვენს ნახვას სიცოცხლე უნდა შევსწირო?.. არას დროს არც ერთს კომედიას ამდენი ტაში არ გამოუწვავია“.

მოლიერის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა; მისმა ყველაზე საყვარელმა კომედიამ გზა გაიკაფა.

„ტარტიუფი“ განსაკუთრებული მოძრავი და ორმაგი ხასიათის მატარებელი ტიპია. მას შეუძლია ისეთი გამომეტყველება მიიღოს, როგორცაც თითონ დაინახავს საჭიროდ. წმინდანის, ღვთისმშობლის სახის მატარებელი გარეგნულად, შიგნით, სინამდვილეში, ყოველი ბიწიერების საბუღარია. ტარტიუფის ეს ორპირობა უდიდესი ოსტატობით აშხილა მოლიერმა.

კომედიის ორი მოქმედება ავტორმა მოანდომა ტარტიუფის გარშემო გამართულ დიალოგებს, ექსპოზიციის შექმნას. მოქმედი პირები ორ დაჯგუფებადაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ ქ. პერნელი და ორგონი, მეორე მხრივ—დამი და დორინი შესანიშნავად არკვევენ ტარტიუფის ნამდვილ სახეს. შემდეგი სამი მოქმედება ავტორს დასჭირდა ამ საოცარი ტიპის მხილებისა და ნიღაბის ჩამოსახდელად.

ტარტიუფი ჯერ თავის მოკატუნებით და უდიდესი თვალთმაქცობით ემორჩილება ორგონს: „ხმას არ ამოვიღებ; ღვთის განგებაა სუვეელაფერი. აი, დავიჩოქებ და ისე მოვიმენ თქვენ ლანძღვა-კიცხვას, ვითა ღირსეულს სასჯელს ჩემი ცოდვებისა“. ორგონი ქონებას დაუმტკიცებს, მაგრამ შემდეგ დარწმუნდება მის თვალთმაქცობაში და გარყვნილებაში და მოინდომებს სახლიდან გაგდებას. ტარტიუფი გაბედულად და ურცხვად წიახლის ორგონს: „თუ აბარგვაა, თქვენ უნდა აიბარგოთ“, და მოინდომებს შეფესთან დასმენით მის სრულ განადგურებას.

მოლიერი უდიდესი გულთმისნური ოსტატობით ამქადაუნებს ტარტიუფის გარეგნულად ღვთისმშობსავ სახის ქვეშ დაფარულ გარყვნილებას და თვალთმაქცობას.

ტარტიუფი ჯერ დორინს სთხოვს: „ძუჭუებზე მიიფარე, ნუ. დამანახვები ნუ დამღუპავი ნუ წამწყმედი“. შემდეგ ელმირს მივარდება და ხორციელი სიყვარულის ჰიმნს უმღერის.

ტარტიუფის ავხორცობა კიდევ უფრო საინტერესო სცენაში მკლავდება, როცა მაგიდის ქვეშ მიმაღული ორგონი მოწამე ხდება ამ „წმინდანის“ მრუშობის.

კომენტარები საჭირო აღარაა. ტარტიუფისათვის „ცოდვა ცოდვად მ.შინ ხდება, როცა გამომტლავდება და... არას შესცოდავს, ვინც ჩუმაღ ჩადის“. ამის გამოტანამ ყველა ეპოქის თვალთმაქცები აღაშფოთა. ამიტომ სთქვა ნაპოლეონმა, როცა „ტარტიუფი“ წააკითხა: „ეს პიესა რომ ჩემს დროს დაწერილიყო, მე ნებას არ მოვსცემდი იგი სცენაზე დაედგათ“.

რაც შეეხება „ტარტიუფის“ სცენურობას, ამის შესახებ გოეთემ სამართლიანად სთქვა: „ყოველი მოქმედება თავისთავად სავსე უნდა იყოს, და იმავე დროს აშხადიდეს შემდეგ უფრო მნიშვნელოვან მოქმედებას; მოლიერის „ტარტიუფი“ ამ მხრივ უდიდესი ნიმუშია. მოიგონეთ პირველი სცენა—რა ექსპოზიცი აქვს. ყველაფერი თავიდანვეა სავსე დანიშნულებით და იწყვეს კიდევ მეტის მოლოდინს, რაც თან უნდა მოჰყვეს... „ტარტიუფის“ ექსპოზიცი საუკეთესოა. იგი უდიდესი და უმშვენიერესი რამაა“.

„ტარტიუფი“ ტრილოგიის პირველი ნაწილია. მომდევნო ნაწილები—„ღონეუანი“ და „მიხანტროპი“, იდეური სისავსით არ ჩამოუვარდება იან „ტარტიუფს“. პირიქით, „მიხანტროპი“ ფილოსოფიური სიღრმით მოლიერის ყველა კომედიებზე მაღლა სდგას.

ეს ტრილოგია და უკანასკნელ ხანებში დაწერილი კომედიები, მაგალითად „ძუნწი“, აღარ ატარებენ ფარსის ხასიათს, რომლითაც პირველ პერიოდში დიხანს იყო მოლიერი გატაცებული. ესენი ტრაგიკომედიებია.

VII

მოლიერის „ქუნწი“ უსათუოდ შედეგია. ახალი ვერობის კომედიოგრაფიაში. უდიდესი ოსტატობით არის გამოკვეთილი კომედიის მთავარი გმირი ჰარპაგონი—და განსაცვიფრებელი სინათლით არის მოცემული სიძუნწით დამახინჯებული ადამიანის ხასიათი.

ჰარპაგონი კომედიაში ავტორის მიერ იმთავითვე წარმოდგენილია ჩამოყალიბებული ტიპის სახით. მთელი თავისი სიმდიდრე მას ხელთა აქვს, სწუხს მხოლოდ იმას, თუ როგორ აიცილოს ხარჯები და როგორ გადამალოს ფულები; „მართლა რომ ძნელი ყოფილა სახლში ბევრი ფულის შენახვა—ბედნიერი ის არის, ვისაც თავისი ქონება კარგად გაცემული აქვს და შინ მართლ სახარჯო ფულს ინახავს,—ამბობს ჰარპაგონი:—რკინის ზანდუკებისა მეშინია, ვერ ვენდობი. ისინი მე ქურდების მახედ გამომადგებიან, პირველად იმას მივარდებიან“. ფიქრობს ჰარპაგონი და ყოველ წუთს იმაზე სწუხს, არავინ გაიგოს, ან შენიშნოს მას, რომ იგი ორი ათასი ოქროს პატრონია.

ჰარპაგონს ფული უყვარს, მაგრამ მისი ხსენების ეშინიან. სიძუნწის გამო ცხენები სიმშლით ეხოცებიან. ეტლი დამტვრეულია და შეკეთებისათვის ფული ვერ გაუმეტებია. შეილები სძულს და ეზიზღება, რადგან ხარჯი სჭირდებათ. უნდა ცოლი შეირთოს, სახეიმო ვახშამი გამართოს და ფულზე ლაპარაკიც კი ეჯავრება. აღფრთოვანებაში მოჰყავს იგი თქმას: „ჭამა სიცოცხლისთვის გვინდა და არა სიცოცხლე ჭამისათვისა“...

ჰარპაგონს, ამ ოქროს სიყვარულით დაბრმავებულ ფარისევლს, ეს აზრი მოსწონს, და ის კი არ ესმის, რომ ოქრო სიცოცხლისათვის არის საჭირო, და არა სიცოცხლე ოქროსათვის. საკუთარი შეილების სიცოცხლე ვერ დაუფასებია, პირად სიცოცხლესაც ოქროს ანაცვალებს: დაუკარგავს ადამიანობის სახე, თითონ იპარავს თავისას.

აი სადამდე მიიყვანა ადამიანი ოქროს გადაჭარბებულმა შეყვარებამ, მისმა გადაქცევამ თვითმიზნად. მოლიერმა ეს შესანიშნავი ტიპი თანამედროვეობაში დაინახა, მაგრამ გამოიყენა აგრეთვე უკვე შექმნილი ნიმუშები ქუნწის ტიპის ხასიათის გასაგებად: ანტიკური დროის ცნობილ კომედიოგრაფ პლატედიან დაწვებული ყველაფერი გადახარშა, პირად გამოცდილებას შეადულა და შეკმნა დიდი ღირებულების ლიტერატურული და თეატრალური ნაწარმოები—სრულიად ახალი ტიპი მოგვცა.

ბურჟუაზიული კრიტიკოსების აზრით „ჰარპაგონი უცხოა ფავისი კლასისათვის“—ბურჟუაზიისათვის, ამ კრიტიკოსებს უნდოდათ თავისი კლასის ეგ სიმხინჯე ფეოდალიზმისთვის გადაელოცათ. ანალიზი სულ სხვას გვიჩვენებს.

ბურჟუაზიულ კრიტიკული აზრის გასაბათილებლად საკმაოა მოვიყვანოთ მარქსის გენიალური აზრი სიძუნწის შესახებ: „კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ დასაწყისში,—და თითოეული დამწყები კაპიტალისტი გაივლის ინდივიდუალურად ამ ისტორიულ საფეხურს,—გაბატონებულია გამდიდრების წყურვილი და სიძუნწე, როგორც აბსოლუტური ვენიანი“. ²⁴ ჰარპაგონს ანადგურებს სწორედ: „გამდიდრების წყურვილი და სიძუნწე, როგორც აბსოლუტური ვენიანი“, და უდაოა, რომ ქუნწის ტიპი შეეძლო წარმოეშვა ბურჟუაზიას განვითარების პირველ საფეხურზედაც.

ბარბაგონის კლასის ხასიათს მარქსის შემდეგი მოსაზრება კიდევ უფრო ნათლად არკვევს: „მართალია, კაპიტალისტის ფლანგვას არასოდეს არა აქვს ისეთი გულლია ხასიათი, როგორც დარდიმანდი ფეოდალის ფლანგვას, მის წიაღში, პირობითი, მუდამ იმალება უარესად ბინძური სიძუნწე და წერილმანი ანგარიშაზნობა; მიუხედავად ამისა, კაპიტალისტის ფლანგვა იზრდება მის მიერ წარმოებულ დაგროვებასთან ერთად, ისე რომ ერთი სრულიად ხელს არ უშლის მეორეს. ანით კაპიტალისტის კეთილშობილ გულში ვითარდება ფაუსტური კონფლიქტი დაგროვებისა და სიამოვნების წყურვილს შორის“²².

სწორედ ბარბაგონს ახასიათებს: „უარესად ბინძური სიძუნწე და წერილმანი ანგარიშაზნობა“, „ფაუსტური კონფლიქტი დაგროვებისა და სიამოვნების წყურვილს შორის“ მთელი საშინელებით ღრღინს მის გამოფიტულ გულსაც.

ბარბაგონის პატალოგიურობამდე მიყვანილი ტუნწობა მოლიერმუ გამოხატა, როგორც უდიდესი სოციალური ბოროტება, რომელიც ღუპავს ადამიანს, ანგრევს ოჯახს და აფერხებს საზოგადოებრივ განვითარებას.

VIII

მოლიერის უკანასკნელი კომედია—„ექვით ავადმყოფი“, რომლის დაწერითა და წარმოდგენით შესანიშნავმა კომედიოგრაფმა დაასრულა თავისი მოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი და მდიდარი თეატრალურა მოღვაწეობა, პირველად დაიდგა 1673 წლის 10 თებერვალს:

„ექვით ავადმყოფის“ თემა ავადმყოფობა და ექიმობა. ამ კომედიაში მოლიერმა გააღრმავა და წარმოადგინა თავისი უარყოფითი შეხედულებანი ექიმებზე და იხეიათი ოსტატობით გამოხატა მაშინდელი ექიმების თვალთმაქცობა და თაღლითობა. თუ მთავარი მომქმედი პირი, ექვით ავადმყოფი—არგანი, ყოველ წერილმანს უჯერებს ექიმებს და მუდამ ოყნაზე, სასაქმებელსა და სხვა წამლებზე მსჯელობს, სხვა მომქმედი პირები ხელს უწყობენ ექიმების თვალთმაქცობის და უვიცობის გამომჟღავნებას.

მიუხედავად სერიოზული თემისა და შინაარსისა, „ექვით ავადმყოფი“ მეტად ხალისიანი, ცოცხალი და დიდებულ სანახაობად გაშლილი კომედიაა ბალეტია. იგი უსათუოდ ატარებს გენიალური კომედიოგრაფის ოსტატობის ყველა დამახასიათებელ ნიშანს. თემატიურად მოლიერისთვის ახალი აქ თითქმის არაფერია: ოჯახის წგრევაზე და ექიმების თვალთმაქცობაზე იგი ადრეც სწერდა, მაგრამ ოროგინალურად და ორგანულად შექრული სიუჟეტი, რომელიც, ბრწყინვალედ შესრულებული ეპიზოდების სახითაა მოცემული, მრავალფეროვანი სანახაობაა.

არც მოლიერამდე, არც მის შემდეგ არავის არ მოუცია ისეთი სცენიური, ღრმა, მხატვრული, ფსიქოლოგიური სურათი ბოშვის მონაწილეობით, როგორც მოლიერს აქვს მოცემული „ექვით ავადმყოფი“.

მოლიერი თავისი გაბედული, მახვილი და დაუბოგველი სატირის გამო, ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მტრებით გარშემორტყმული აღმოჩნდა. ექიმების და მედიცინის სასაცილოდ გამოყვანის გამო მან დაჰკარგა ძველი მეგობარი, ცნობილი ექიმი ფრანსუა ბერნიე. კომპოზიტორი ლიუდოვი გადაემეტრა, ამიტომ მოლიერმა მას აღარ დააწერინა მუსიკა „ექვით ავადმყოფისათვის“. გაბოროტებულმა ლუდლიმ კი ხელი შეუშალა ამ კომედიის პრემიერის მეფის კარის თეატრში

წარმოდგენას. იგი წარმოადგინეს პალე როიალში: რამაც, დიდი ხარალი მიაყენა მოლიერის თეატრს.

ამას გარდა უკანასკნელი წლის განმავლობაში მოლიერს ბევრი უბედურება შეემთხვა: გარდაეცვალა მეგობარი მადლენა ბეჟარი და ვაჟი პიერი. ყოველივე ამის გამო ის დაიქანცა და დასუსტდა. კომედიოგრაფს ავადმყოფობა გაურთულდა, მაგრამ მუშაობას თავს არ ანებებდა. საშინელი ტკივილების, შევიწროების, გლოვის პერიოდში დასწება „ეპიკთ ავადმყოფი“. საოცარია რომ ეს კომედია მაინც დიდად ხალისიანი გამოვიდა. მის დადგმაზე ავტორი უდიდესი ენტუზიაზით თუ მუშაობდა. თითონ არგანის როლს თამაშობდა. მხოლოდ ოთხჯერ მოასწრო თამაში. მეოთხეჯერ წარმოდგენის წინვე გახდა ცუდად, წარმოდგენა სასიკვდილო აგონიით შეპყრობილმა ჩაატარა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა. წარმოდგენის შემდეგ კი მხოლოდ რამდენიმე საათი იცოცხლა. გარდაიცვალა იგი 1673 წელს 17 თებერვალს.

გაბორუტებულმა სამღვდლოებამ „ტარტიუფის“ ავტორის დაკრძალვა აკრძალა. ამან მთელი პარიზი ააზნაურა, მოლიერის მეგობრებში კი უსახურეო აღშფოთება გაშროწვია. ლუი XIV წინადადება მისცა არქიეპისკოპოსს გაეცა ნებართვა ნოლიერის დაკრძალვისა. არქიეპისკოპოსმა გასცა ბრძანება დაკრძალვისა მხოლოდ ღამით, ეკლესიის გაღავანის გარეთ, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე. მიუხედავად ამისა, მოლიერის დაკრძალვაზე უაზრავი ხალხი შეიკრიბა. დრამატურგის მეგობრები: ბუალო, ლაფონტენი, მხატვარი მინიარი²⁶ და პოეტი შაპლენი²⁷ ჩირალდნებით მიჰყვებოდნენ ცხედარს.

IX

მოლიერის გენიალურმა კომედიებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქართული თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში, ისინი ქართული სცენის გაჩენის დღიდანვე აუცილებელი გახდნენ ქართული თეატრისათვის.

ჯერ კიდევ გიორგი ერისთავის²⁸ თეატრში იდგმებოდა მოლიერის კომედია— „ძალად ექიმი“. მოლიერის პირველ მთარგმნელად ჯვევლინება ქართული თეატრის; დამაარსებელია დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომელმაც ვადმოაკეთა „ძალად ექიმი“. ეს სამუქმედებანი კომედია ჩვენმა პირველმა დრამატურგმა ორმოქმედებიან კომედიად აქცია: ხოგი სცენა გამოტოვა, მომქმედ პირებს სახელები გამოუცვალა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი უცვლელად გადმოიღო მოლიერიდან.

გიორგი ერისთავის გადმოკეთებული „ძალად ექიმი“ ხშირად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე არა მარტო დედაქალაქებში, თბილისში და ქუთაისში, არამედ დაბებსა და სოფლებშიაც კი, და დიდი პოპულარობა ჰქონდა მოაოებელი.

1875 წელს, დ. ხონში ითამაშა ვასო აბაშიძემ²⁹ „ძალად ექიმის“ მთავარი როლი.

1868 წელს დაიდგა პირველად „ძალად ცოლის შერთვევინება“, თარგმანი დიმიტრა ყიფიანისა.³⁰ ამ კომედიაში სცენაზე პირველად უსიტყვო როლებში დ. ყიფიანის შვილები კატე და ელენე გამოვიდნენ, რომლებიც შემდეგ ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწენი გახდნენ: კატე ყიფიანი³¹—ცნობილი მსახიობი და ელენე ლორთქიფანიძე³²—მოლიერის „პრანკია ქალების“ მთარგმნელი. „სკაპენის

ცულლუტობა³¹, აკაკი წერეთლის³² თარგმანი, პირველად თბილისში დაიდგა 1875 წლის 10 მაისს. ამ ხანებში საქართველოში თეატრის მომუშავეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამკვიდრებული მოქალაქეობრივი უფლება და თეატრში მუშაობა სამარცხვინოდაც ითვლებოდა. ქალის სცენაზე გამოსვლა გარყვნილებად მიაჩნდათ, ამიტომ „სკაპენის ცულლუტობის“ პირველ წარმოდგენაში არც ერთ ქართველ ქალს არ მიუღია მონაწილეობა. ქართველი მსახიობი ქალები ამ დროს უკვე იყვნენ; მაგალითად, ეფროსინე კლდიაშვილს³³ უკვე ათი წლის სტაჟი ჰქონდა, მაგრამ იგი ქუთაისში ცხოვრობდა. თბილისში კი ქართველ ქალთაგან არავინ დათანხმდა სცენაზე გამოსულიყო.

აი რას სწერს აკაკი წერეთელი ეფროსინე კლდიაშვილს: „რასაკვირველია, თქვენ შეტყობილი გექნებათ, რომ თბილისში „სკაპენის ცულლუტობა“ წარმოადგინეს. მაშ, ისიც უნდა გიკვირდესთ, რომ მოთამაშე ქალების გეარში სულ უცხო ქვეყნელების გეარსა ხედავთ. ეგება ეს ფსევდონიმებად, ე. ი. გამოვანილ გეარებად მიიღეთ? არა, წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ნამდვილი გეარებია. ამ პიესისათვის საჭირო იყო სამი მოთამაშე ქალი და როგორც აფიშაშია გამოცხადებული, სწორედ იმ გეარის ქალებმა ითამაშეს: ზაიცევისამ, ანტონოვისამ და დაკიშევიჩისამ. განა გიკვირსთ? უნდა გამოგიტყდეთ, რომ აქ არ ვიყო და კარგად არ ვიცნობდე აქაურ საზოგადოებას, მე ეს ძალიან გამიკვირდებოდა, მაგრამ ახლა კი ვიცი მიზეზი“.

სხვა ბევრი დაბრკოლება უშლიდა ხელს მაშინდელ პირობებში წარმოდგენის გამართვას, მაგრამ „სკაპენის ცულლუტობამ“ პირველ წარმოდგენიდანვე მიიქცია ყურადღება და გაიმარჯვა. გახუთი „დროება“ სწერდა: „სახაფხულო თეატრში წარმოდგენის მოლიერის კომედია „სკაპენი“. წარმოდგენამდე ბევრისაგან გავიგონეთ, რომ „სკაპენი“ ისეთი კომედია არისო, რომლის წარმოდგენა ჩვენში არ მოხერხდებაო, სცენაზე არ ივარგებსო, უაზრო რამ არისო და სხვა, მაგრამ, როცა სცენაზე დაინახეს, მაშინ დარწმუნდნენ, რომ შემცდარნი იყვნენ. მართლაც დიდა ხანია ამისთანა მშვენიერი წარმოდგენა ქალაქის ქართველ საზოგადოებას არ უნახავს. პირნათლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მოთამაშეებია მომეტებულმა ნაწილმა სწორედ არტისტის ხელოვნებით ითამაშეს და ნამდვილი ნიჭი გამოიჩინეს. საზოგადოება, რომელიც წარმოდგენაზე საკმაოდ იყო, ალტაცებაში მოვიდა“.

სრული ერთი თვის შემდეგ, 10 ივნისს, საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნის გამო ეს წარმოდგენა გაიმეორეს.

ამავე წლის „დროებაში“ ვკითხულობთ: „სკაპენის ცულლუტობა“ სწორედ ნამდვილ სახალხო კომედიადა გადაიქცა ჩვენში. სად არ გინდა, რომ არ აღდგენენ მოლიერის ამ მახვილ კომედიას?“. მართლაც და ეს კომედია იმ დროს იდგმებოდა ისეთ მიყრუებულ სოფლებშიაც კი, როგორც იყო ზემოიმერეთში სოფელი წვეა და სამეგრელოში სოფელი სუჯუხა.

აკაკი წერეთლის თარგმანი მოსწონდათ: „ღიესამ კარვათ ჩაიარა,—სწერდა გახუთი „ივერია“ „სკაპენის ცულლუტობის“ შესახებ,—მხოლოდ მოლიერის კომიკური ნიჭის, აკაკის საუცხოო თარგმანის და გრ. აბაშიძის³⁴ თამაშის წყალობით“.

1879 წლის 5 სექტემბერს ქართული მუდმივი დასის მიერ გაიმართა პირველი სახეიმაო წარმოდგენა. აქედან იწყება ქართული თეატრის ნამდვილი აღორძინება და მოლიერიც მტკიცედ და სამუდამოდ მკვიდრდება ქართულ სცენაზე. ამ პირველ მუდმივ დასშივე შედიოდნენ მოლიერის კომედიების საუკეთესო შემსრუ-

ლებლები: კომიკური ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, ქართული სცენის დიდი ოსტატი, ვასო აბაშიძე, და იშვიათი სცენიური ნიჭის პატრონი მსახიობი ქალი მაკო საფაროვა-აბაშიძე, ³⁸ რომლებმაც თავიანთი დიდი არტისტული ოსტატობა სხვათა შორის, უსათუოდ მოლიერის კომედიების მთავარი როლების ღირსეული განსახიერებით დაიმკვიდრეს.

ვასო აბაშიძემ თავიდანვე სერიოზულად ჩასკიდა ხელი მოლიერის კომედიებს: მოლიერიც უტბად გახდა მისი საყვარელი დრამატურგი: „სკაპენი, ჟორჟ დანდენი, ორგონი, სგანარელი, დონ-ჟუანი და ტარტიუფი აი რა როლების საუკეთესო განსახიერება შეიტანა ვასო აბაშიძემ ქართულ თეატრის გაღერებაში. მოლიერის რეალიზმი, დემოკრატიზმი, ლოდიკა და მორალი ვ. აბაშიძემ, როგორც სცენის ოსტატმა, მართებულად გაიგო. მან ამით მთელი ეპოქა შექმნა. ქართულ თეატრში.

მოლიერის ქალების განსახიერებაში მაკო საფაროვა-აბაშიძეს მეტოქე არ ჰყავდა. მან შექმნა მთავარი როლები კლოდინის („ჟორჟ დანდენი“), ტუანეტის („მეპით ავადმყოფი“) დორიშენის („ძალად ცოდის შერთვევინება“) და სხვა.

თავისი სასცენო ბრწყინვალე კარიერა მ. საფაროვა-აბაშიძემ მოლიერის „ჟორჟ-დანდენის“ კლოდინის როლის სამაგალითო შესრულებით დაიწყო 1876 წელს.

ვალერიან გუნია სწერდა: „ახალგაზრდა მსახიობი ქალის თამაში რალაც არა ჩვეულებრივი იყო; მაყურებელთ მანამდე არა ენახათ რა იმის მსგავსი რამ: საოცარი სიცოცხლე და ხელოვნური სიმკვირცხლე, რომელიც ერთსა და იმავე დროს დიდად მხატვრულიც იყო და ბუნებრივიც“.

1879 წელს პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე მოლიერის უკანასკნელი კომედია „მეპით ავადმყოფი“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო აქტიორები. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „ივერიამ“ ყველაზე მეტად მაკო საფაროვა-აბაშიძე ჰქაქა: „წარმოდგენილ შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმაღლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვინც კი საფაროვის ქალი სცენაზე ნახა. ყოველ სიკეთესთან ერთად ის სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელს დროში, როცა ქართული აღარაგის ახსლეს, მეტად ძვირფასი რამ არის“.

„საფაროვის ქალი, — სწერდა „დროება“ 1879 წელს, — რომელიც სწორედ ამგვარ როლებისათვის (იგულისხმება მოლიერის ქალები) არის გაჩენილი; რასაკვირველია, ჩვეულებრივი სიცოცხლითა და ნიჭით ასრულებდა ტუანეტის როლს. და მესამე მოქმედებაში, როდესაც ცრუ ექიმს არდგენდა, არა გვგონია რომ ეს ადგილი უკეთესის ხელოვნებითა და ნიჭით წარმოედგინოს — რომელიმე სხვა გამაზნვილ მოთამაშეს.“

ეს მუდმივი დასის დაარსების პირველ წელსავე მოხდა: ჩვენი თეატრის ორი დიდი ოსტატი, ვასო აბაშიძის და მაკო საფაროვა-აბაშიძის, თავდადებული შრომის და უზადლო ნიჭის გამო მოლიერი სამუდამოდ განმტკიცდა ქართულ სცენაზე. აბაშიძეების თეატრალურმა ოჯახმა ჩვენს თეატრს მოლიერის ქალების ერთი იშვიათი შემსრულებელი შესძინა კიდევ — ტასო აბაშიძე, რომელიც საუცხოოდ თამაშობდა დორიშენის როლს, „ტარტიუფში“ და ნიკოლისას „გაზნაურებულ მდაბიოში“

მოლიერის ქართულ სცენაზე განმტკიცებას სელი შეუწყო აკრეთვე იმ არემოებამ, რომ იმთავითვე მოლიერის თარგმნას შეუდგნენ ქართული სიტყვის ცნობილი ოსტატები: ქართული კომედიის ნამამთავარი გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, შექსპირის შესანიშნავი მთარგმნელი ივანე მაჩაბელი, დიდი პოეტი აკაკი წერეთელი და არტისტი კოტე მესხი²⁷ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოლიერის თარგმანის შესრულებაში.

დღევანდელი თვალსაზრისით მათი თარგმანები უკვე მოძველებულია, მაგრამ თავისი დროისათვის დიდი ზნიშვნელობა ჰქონდა, რომ სიტყვის ასეთმა ოსტატებმა გაუწიეს დახმარება ქართულ თეატრს მოლიერის კომედიების განსახიერების საქმეში.

აშქარაა ქართველმა არტისტებმა მოლიერის კომედიების სახით მეტად ძვირფასი სასცენო მასალა მიიღეს კლასიკური მემკვიდრეობიდან, და მოლიერმაც დიდი როლი ითამაშა ქართულ სცენაზე.

რა თქმა უნდა, რომ მაშინდელი ქართული თეატრის მატერიალური სიღარიბე არ იძლეოდა საშუალებას მოლიერის თეატრის მთელი ბრწყინვალეობა ენახა ქართველ მაყურებელს. სად ლუი XVI კარის თეატრი და სად რუსეთის მეფის ბატონობის უღელ-ქვეშ გართხმული საქართველოს ღარიბი თეატრის გაფორმების საშუალებანი?

წარსულში ქართული თეატრი მსახიობთა ნიჭის გაელვებით იპყრობდა ყურადღებას, მაგრამ მატერიალური სიღარიბე მსახიობებს არ აძლევდა საშუალებას თავიანთი ოსტატური თამაში ღირსეულად გაფორმებულ გარემოში წარმოედგინათ.

მუხუნდავთ ამისა მოლიერის კომედიის წარმოდგენას დიდი ხალისი ახლდა ყოველთვის. ხშირად ამ ცოცხალი კომედიების წარმოდგენა სახეიმა ხასიათს ატარებდა: საბენეფისოდ, საიუბილუოდ, ან სეზონის გასასხენლად იდგებოდა.

X

მიუხედავთ ამისა, მოლიერის კომედიები მათი ნამდვილი ბრწყინვალეობით და სიდიადით, ქართულმა თეატრმა მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ აჩვენა მაყურებელს.

1924 წლის, 2 იანვარს, ქართული თეატრის დაარსებიდან 74 წლის შესრულების აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილის გრანდიოზული დადგმით, ოსტატური გაფორმებით და მთელი დასის მონაწილეობით წარმოადგინეს მოლიერის 'ცნობილი კომედია „გააზნაურებული მდაბიო“.

ცნობილია, რომ კოტე მარჯანიშვილი ქმნიდა სინთეტურ თეატრს. კლასიკური მემკვიდრეობიდან სინთეტური თეატრისათვის შეიძლება ყველაზე შესაფერი ზოღერის კომედია-ბალეტი „გააზნაურებული მდაბიო“ იყოს. კომედიების მთელი რიგი, კომედია-ბალეტის სახელწოდებით ცნობილი, მოლიერმაც სინთეტური თეატრისათვის შექმნა. ამ ტიპის კომედიების ნამდვილ შედეგს წარმოადგენს ეს კომედია.

მარჯანიშვილი მოლიერის თეატრის კარგი მცოდნე იყო. მოლიერის კომედიების მახვილი სატირა და სოციალური ღირებულება ყოველთვის იზიდავდა ჩვენი თეატრის უდიდეს რეჟისორს. მან განიზრახა „გააზნაურებულ მდაბიოს“

დადგმით საბჭოთა მაჟორებლისათვის ნოლიერის თეატრის მთელი ბრწყინვალეობა და სიდიადე ეჩვენებინა.

ქართულად „გაანაურებული მდაბიო“ რევოლუციამდე არ ყოფილა თარგმნილი. კოტე მარჯანიშვილმა საგანგებოდ დაუკვეთა ამ კომედიის თარგმნა.

ამ კომედია-ბალეტის შემსრულებელი მსახიობი მომღერალიც უნდა იყოს და მოცეკვავეც. აქ გარეგანი ბრწყინვალეობა და მრავალფეროვანება არ უშლის ხელს, სიტყვა, სიმღერაც და ცეკვაც კომედიის მეტად მახვილი შინაარსის გაფორმებას ემსახურებოდეს. მარჯანიშვილის თეატრის სტიქიონი სწორედ ეს იყო.

„ორი იანვრის წარმოდგენა, — სწერდა „ზარია ვოსტოკა“ „გაანაურებული მდაბიოს“ წარმოდგენის შესახებ, — კიდევ ერთი გამარჯვებაა ქართული თეატრის და ქართველი აქტიორის. მოლიერს ჩვენს სცენაზე წინადაც თამაშობდნენ, მაგრამ მოლიერის კომედიის ასე მაღალ ღირსებამდე, ასეთ სრულყოფამდე აყვანა, როცა ენის უტოღინარობა აღარ უშლის ხელს მორალის, ფილოსოფიის და მოლიერის მახვილი სატირის ათვისებას, მხოლოდ ამ წარმოდგენაზე ვნახეთ. ამით სათანადოდ არის გამოხატული მოლიერის საკაცობრიო გენია: გავეროპულდა ჩვენი თეატრი და ჩვენი აქტიორების თამაში.

რეისორის მხატვრულმა გამოგონებლობამ ამ სეზონში მოგვცა უძვირფასესი სპექტაკლი, რომელიც ჯანსაღ და ბალისიან სიცილს იწვევს მაჟორებელში. მთელი დადგმა ისეთი გარეგანი გაფორმებითაა მოცემული, რომ არავითარ დევას არ იწვევს: შთაბეჭდილება მთლიანია და მტკიცე. განსაკუთრებული ფერადებით არის დადგმაში მოცემული ინტერმედიები“.

XI

ფრანგული თეატრის ისტორიულ ფონზე მოლიერის თეატრი მეტად მიმხიდულ და ბრწყინვალედ გამოიყურება. გარეგანი სახით წარმტაცი და ელვარე, იგი დიდ კულტურულ და სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს და საზოგადოებრივ ცხოვრების მამოძრავებელ იდეების სიდიადით მთელი კაცობრიობის ყურადღებას იპყრობს.

მოლიერის კომედიები ავტორის მიერ კლასიკური მემკვიდრეობის და თავისი დროის კულტურის და ყოფა-ცხოვრების კრიტიკულად ათვისების შედეგია. მოლიერის შემოქმედება მსოფლიო კომედიოგრაფიის განვითარების გზაზე ერთი უდიდესი მნიშვნელობის საფეხურია, მოლიერის კომედიები, დაწერილი კლასიკური მემკვიდრეობის გამოცდილების გამოყენებით, უდიდეს გავლენას ახდენდნენ ამ ჯანრის შემდეგ განვითარებაზე არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყველა ქვეყანაში.

რუსი კომედიოგრაფები სუმარაკოვიდან დაწყებული გოგოლსა და ოსტროვსკამდე მოლიერის გავლენით სწერდნენ. გრიბოედოვის კომედია „ვი კუისაგან“ ხომ მოლიერას „მიზანტროპის“ უშუალო გავლენის ნამდვილ ნიშნებს ატარებს.

ქართული კომედიაც მოლიერის გავლენით აღორძინდა: გ. ერისთავი, აქესენტი ცაგარელი და დავით კლდიაშვილი მოლიერის გავლენით სწერდნენ. საქართველოში მოლიერმა გავლენა მოახდინა აგრეთვე ბელეტრისტიკაზე. პირველი

ქართული ბურჟუაზიული რომანები ლავრენტი არდაზიანის „სოლომოს სისაკის მეჯღანუაშილი“ და „მორჩილი“ მოლიერის გავლენის უტყუარ ნიშნებს ატარებს.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, რომ მოლიერის კომედიები ქართულ თეატრის რეპერტუარს ამდიდრებდნენ დაარსებიდან დღემდე, მოლიერი მართლა რომ ჩენი სახალხო კომედიოგრაფი გახდა. იგი, როგორც მატერიალისტური სოულმბეფელოზის გარკვეული ნიშნების მატარებელი და დემოკრატიული ტენდენციებით გატენილი მწერალი დღესაც, ძლევაშოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის ეპოქაშიაც უაღრესად საჭირო და ძვირფასია ჩენი თეატრისათვის.

პლატონ კეხელია

კომპიუტერები

პ რ ე ც ი ა
ქ ე რ ე ბ ი

LES PRÉCIEUSES RIDICULES

ერთმოკმედებანი კომედია

თარგმანი

ელ. ლოკოტიზანიძისა

მ ო ქ მ ე დ ნ ი ვ ი რ ნ ი:

ლაგრანჟი } უმაწვილი კაცები.
დიუკრუაზი }
გორეიბუსი, მოქალაქე,
მადლანი, ამისი ქალი } პრანკია ქალები.
კატო, გორეიბუსის მმისწული }
მაროტტი, მათი მოახლე.
ალმანჯარი, პრანკია ქალების მსახური.
მარკოზ დე-მახკარილი, ლაგრანჟის მსახური.
ვიკონტ დე-ჟოდლე, დიუკრუაზის მსახური.
ორი ტახტრევანის მტარებელი.
ორი შეწობლის ქალი.
ხკრიპკის დამკვრელი და ქუჩის ბიჭები.

მოქმედება ხდება პარიზში, გორეიბუსის სახლში.

ს ც მ ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ლაგბანაჟი და დიუკრუაზი

დიუკრუაზი. ბატონო ლაგრანჟ!

ლაგრანჟი. რა გნებაეთ?

დიუკრუაზი. ერთი შემომხედეთ, ნუ კი გაიცინებთ.

ლაგრანჟი. რა არის შერე?

დიუკრუაზი. იმათთან რომ ვიყავით, რა შთაბეჭდილება გამოიტანეთ, ჰაი კმაყოფილი ხართ?

ლაგრანჟი. როგორც თქვენა ხართ, ისე მე ვარ. რა ვისიამოვნეთ?

დიუკრუაზი. მართლაც და ბევრი არაფერი!

ლაგრანჟი. კარგად დარცხენილები კი გამოგვიშვეს იმ სოფელშია გომბიო ქალებმა. ვერა ნახეთ, რანაირად მიგვიღეს, სულ არაფრად ჩაგვაგდეს! სკამები მაინც ეთავაზებინათ! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს იმისთანა სულელი ქალები. ერთმანეთს ყურში ეჩურჩულებოდნენ რაღაცას, ამთქნარებდნენ, თვალებს იფშენებდნენ და წამ-და-უწუმ რომელი საათიაო, კითხულობდნენ, ვითამ ამით გვაჩვენებდნენ, რომ მოვსწყინდით ჩვენა. დიდი უზრდელები ბრძანდებიან. ხეირიანად მოგვეცეს რამე პასუხი?! ჩვენისთანა ღირსების კაცებს ეკადრებათ იმისთანა გომბიო ქალებისაგან მაგვარი პატივი! რაც უნდა უკანასკნელი ხარისხის კაცები ვყოფილიყავით, ასე უზრდელად მანაც არავენ მიგვიღებდა, როგორც ამ პრანჟია ქალებმა გაბედეს.

დიუკრუაზი. გეტყობათ, ძალიან საწყენად მიგიღიათ ეგ ამბავი.

ლაგრანჟი. რასაკვირველია, ძალიანა მწყინს. მე კიდევ გადავუხდი ამ პატივისცემას იმათ! ძალიან კარგად მესმის რატომაც მიგვიღეს ასე. მარტო ესენი კი არ არიან უზრდელები და მარტო პარიზში კი არა ჰყრიან ამისთანა გოგოების სხვადასხვა პროვინციები მოფენილია ამგვარი საძაგელი, სულელი და პრანჟია ქალებით, — ესენიც იმათ რიცხვში ბრძანდებიან, გაუნათლებელ და უკეთუ ქალების რიცხვში. ერთი სიტყვით — სულქლური, მეტიჩარა კეკლუცი პრანჟია ქალები ყოფილან. მე ვიცი, როგორც უნდა მოექცეს იმათ კაცი და აჩვენოს თუ ვისთან ბედვენ ამას. ისეთ საქმეს ვუზამ, რომ ძალიან კარგად ვაიგონ, თუ ვისთან როგორ უნდა დაიპირონ თავი.

დიუკრუაზი. აბა, როგორ?

ლაგრანჟი. ერთი მოსამსახურე მყავს — მასკარილი, გამოქნილი კაცია, თავის-თავი ჭკუიანად მიაჩნია და უნდა, რომ ყველასთან ჭკუა და გონებამახვილობა გამოიჩინოს; ახლა ხომ ვინც ბევრსა ტიქტიკობს, ის მიაჩნიათ ყველას ჭკუიანად. აბა ამაზე უადვილესი რა არის, რომ თავქარიან ქალებს აუხვიოს თვალი! ლექსები იცის რალაც-რალაცა, მობარშიყე კაცია, თავში ჩამჯდარი აქვს — დიდი კაცი ვარო და თავის თანამოსამსახურეებს ამყად უყურებს, ყველა სულელი და ბრიყვი ჰგონია, თავის-თავის მეტი.

დიუკრუაზი. რას აპირებთ მერე თქვენ?

ლაგრანჟი. რას ვაპირებ?.. მე უნდა... ჯერ გავიდეთ აქედან.

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ა ე

დიუკრუაზი, ლაგრანჟი, გორჟინოვი

გორჟინოვი. ჩემი ქალი და ჩემი ძმისწული ნახეთ, მოელაპარაკეთ რამე? როგორ გაათავეთ საქმე?

ლაგრანჟი. ამას თქვენ უკეთ შეიტყობთ იმათგან. მეტს ვერას მოგახსენებთ, გულითადი მადლობა უნდა გამოგიცხადოთ თქვენი განუსაზღვრელი პატივისცემისათვის და ამასთანავე უმდაბლესად თავს დაგიკრავთ.

დიუკრუაზი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო. (გავლენ).

გორჟინოვი (მარტო). დახედეთ, მგონი გაჯავრებულები არიან! ვითომ რად უნდა იყვნენ ასე უკმაყოფილო, ერთი უნდა შევეიტყო, რას ნიშნავს ესა, ჰეი! (იძახის).

ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ე

გორჟინოვი და ზართცვი

მაროტტი. რა გნებავთ, ბატონო?

გორჟინოვი. შენი ქალბატონები სად არიან?

მაროტტი. თავის ოთახში.

გორჟინოვი. რას აკეთებენ?

მაროტტი. ტუჩზე წასასმელ პომადას აკეთებენ.

გორჟინოვი. ეყოფათ ამდენი პომადის წასმა, უთხარი, აქ ჩამოვიდნენ.

ს ც ე ნ ა მ ე ო თ ხ ე

გორჟინოვი. გააპირეს საქმე ამ გომბიოებმა თავის პომადით, ლამის გამაკოტრონ კიდევ! საცა არა მგონია, კვერცხის ცილასა ვხედავ.

ქალის რძესა და ათასს ამისთანა უბრალო რალაც-რალაცებსაც, არც კი ვიცი ამათი სახელები. რაც აქა ვართ, მარტო თორმეტი ღორი მაინც დაკლეს და იმათი ქონი იხმარეს! ოთხი მოსამსახურე მაინც შეინახებოდა ყოველდღე იმ ცხვრის ფეხებით, რამდენსაც ისინი პომადისათვის ხარჯვენ.

ს ც ე ნ ა მ მ ხ უ თ ი

მაღლღნი, კაცო, გოჭაქიმუსო

გორჯიბუხი. ნეტა, თუ მართლა დიდი საჭიროება მოითხოვს, სულ ქონით რომ ითხოვნით პირსა და ამდენს ხარჯს მაწვევინებთ? ახლა აქ რომ ყმაწვილი კაცები იყვნენ; მითხარით, რა შიზეზია, რა უთხარით ისეთი, რომ ასე ცივად დაგშორდნენ? აქი გითხარით, მიიღეთ მეთქი ისინი კარგად, ისე როგორც თქვენი საქმროები.

მაღლღნი. ახა, რა პატივისცემა უნდა გვქონდეს ჩვენ ამისთანა კაცებისა, ასე ცუდად რომ იქცევიან, მამაჩემო?

კატო. იმისთანა კაცებთან იმათ შესაფერად ნეტა როგორ უნდა დაიქიროს თავი ჩვენისთანა კეკუიანმა, ბიძაჩემო!

გორჯიბუხი. აბა, რას ხედავთ იმათში დასაწუნარსა.

მაღლღნი. კარგი მოუვიდათ, კარგი მოარშიყენი ისინი არიან! როგორა, პირველადვე ცოლ-ქმრობაზე ლაპარაკი უნდა დავიწყოთ?

გორჯიბუხი. მაშ, რა გინდათ, ჯერ ხასობიდან ხომ არა გნებაუთ დაწყება? იქნება თქვენ გსურთ სხვის ხარჯზე იცხოვროთ, როგორც მე გაცხოვრებთ? განა ცოლ-ქმრობაზე ლაპარაკი საკიცხავი არის ვისთვისმე?

მაღლღნი. ოჰ, მამაჩემო, მრცხვენია კიდეც, თქვენგან რომ მესმის ამისთანა ცუდი ლაპარაკი; რა არის, არ შეიძლებოდა გესწავლათ კარგი, თავაზიანი, კეკუიანური ლაპარაკი და გაგვეოთ უფრო კარგად ყველა საგნები?!

გორჯიბუხი. როგორც მიწირავს ისე ვწირავ; მე შენ გეუბნები, რომ ცოლ-ქმრობა ისეთი წმიდა კავშირია, რომ ვინც ამ გზაზე წავა — პატიოსნებაც იმას ეთქმის.

მაღლღნი. აჰ, ღმერთო, მთელი ქვეყნის ხალხი შენისთანა რომ იყოს, ერთი უშველვებელი გასართობი რომანი დაიწერებოდა იმაზე. ოჰ, დიდი რამ კარგი საქმე არ იქნებოდა, სირუისს მანდანნი შეერთო და არონს კი კლელია (იციინის).

გორჯიბუხი. რას ბოდავს ესა, რომ არ მესმის!

მაღლონი. მამაჩემო, აი 'თუნდ კატოსა ჰკითხე, ისიც გეტყვის ამასა, რომ თავის ღლეში არ უნდა გათხოვდეს ქალი ისე, სანამ რამე ხიფათი არ გადახდებდა. საქმრო რომ სასიამოვნო იყოს, ჯერ უნდა გრძნობით, ნაზად, სიყვარულით ილაპარაკოს. მაგრამ ისე, რომ განსაზღვრული იყოს იმის მუსაიფი. ჯერ უნდა ან ეკლესიაში, ან სეირნობაზე შეხედეს თავის საცოლოს, ან ხალხში სადმე, ან არა და ქალის მეგობრისას, ან ნათესავისას და მერე, როცა საქმრო ნახავს ქალს სულ იმ ქალის ფიქრებით იყოს სავსე და მაშინ სიყვარულიც შეეპაროს. რასაკვირველია, თუ ქალი შეუყვარდა, იმას არათფერი არ უნდა შეატყობინოს, მაგრამ იმასთან მსვლელობა უნდა დაახშიროს და ისე ეცადოს, რომ, როდესაც საერთო მუსაიფში არიან, თავისი არშიყობა ისე გამოიყვანოს იმ ლაპარაკში, მარტო ქალის მეტმა რომ ვერავენი შეიტყოს... აი, საქმრომ ძლივს ჩაიგდო დრო სიყვარულის გამოცხადებისა, მაგრამ ეს გამოცხადება უნდა მოხდეს ბალის მიყრუებულ კუნძულში სადმე მაშინ, როდესაც ბევრნი ერთად წაეალთ იქ სასეირნოდ და ყველანი წინ არიან წასულეები. ეს ორი კი დარჩნენ ერთად, მაშინ უნდა დაიწყოს ვაჟმა სიყვარულის გამოცხადება. ქალმა ისე უნდა დაიჭიროს იმასთან თავი, ვითომ ძალიან იწყინა, როგორ მიბედავ ამასო, გაანჩხლდება, ჯავრობას დაუწყებს და კაცი ცარიელი დარჩება. მერე ეცდება, რომ დაგვამშვიდოს როგორმე, გული მოგვიგოს. იმის მხურვალე, მტკიცე სიყვარულს კარგად რომ გავიგებთ რითაც იქნება, მერე, ძალაუნებურად შეერთვან დავეყბულდებით. ამეებს მოჰყვება მერე ერთი ხათბალა, დედ-მამის უთანხმოება, გამოჩნდებიან სხვა საქმროები; ჩვენს წაყვანას რომ დაეპირებიან, შური, ჩხუბი ხდება, ერთმანეთში ატყდება ერთი ალიაქოთი, ჩივილი, წუწუნე იმათი. ბოლოს მოგვიტაცებენ და მერე რაც იქნება, ეს ხომ იცით... აი, ასე უნდა დაბოლოვდეს ამნაირი საქმე. ამნაირი ქცევა სწორედ სასიამოვნო და პატიოსანი არის. აბა ერთი იფიქრეთ, რა სასიამოვნო არის ქმრის შერთვა, თუ ამგვარი შემთხვევა არ გადაგხდა და ისე პირდაპირ ირთავ ქმარს, რას ჰგავს ესა! ისე გამოდის სასიამოვნო წიგნის კითხვა რომ გინდა, თავიდან კი არა, ბოლოდან იწყებ იმის კითხვას; ჯვრის წერაც ისეა. არა, მამაჩემო, ამგვარად გათხოვება საძაგელი ვაჭრობაა და მე კიდევ გული მერევა, როცა თვალითა ვხედავ მაგნაირ ცოლ-ქმარს.

გორჟიბუხი. ეს აქ რა ქაჯური ლაპარაკი მესმის, დახეთ ერთი, რა დიდგულად ლაპარაკობს!

კატო. სწორედ მართალს ამბობს ჩემი ბიძაშვილი, ბიძაჩემო. ვის შეუძლია იმისთანა ხეპრე კაცების კარგად მიღება. შემძლია დავნაძ-

ლაღდე კიდევ, რომ იმათ ალერსისა არა გაეგებათ რა; საარშიყო ბართების მიწერისა არა იციან—რა და არც ლამაზი ლექსების წერა შეუძლიათ; ზედ რომ შეხედოთ, მაშინვე იტყვიან, რომ ამებისა არა გაეგებათ—რა. ისეთი შეხედულება მაინც ჰქონდეთ, რომ შესაძლებელი იყოს იმათზე კარგი აზრი შეადგინოს ადამიანმა! რა სახით მოვიდნენ მერე ჩვენთან, თუ სიყვარულის გამოცხადება უნდოდათ! რა ნაირად იყვნენ ჩაცმული? თავზე ისეთი ქული ეხურათ, რომ ერთი ფრთითაც არ იყო მორთული; თმები აწეწილი ჰქონდათ, ტანისამოსზე ერთი ნაქერი ლენტის არ ევლოთ; ფეხები რაღას უგავდათ, ასე გევანებოდათ არა აცვიათ—რაო; ისე ჰქონდათ უბრალოდ, ჩაცმული ფეხსაცმელები, რომ არაფრით არ იყო შემკული. ოჰ, ღმერთო ჩემო, სადაური საქმროები არიან ისინი რა სასაცილოდა ლაპარაკობდნენ, მღელვარება სულ არ ეტყობოდათ, მანამ ჩვენთან იყვნენ. მე შევნიშნე, რომ პერანგის საყელო ახალმოდის არა ჰქონდათ; ცოტალა აკლდათ, რომ სწორედ იმ სიდიდე საყელო გაეკეთებინათ ყელზე, ახლა რომ იკეთებენ.

გორჯიბუხი (ხალხს). მგონი გაგიჟებულან ესენი და ამათი ლაპარაკი არ მესმის. კატო, და შენ, მადლონ...

მადლონი. ეჰ, მამაჩემო, თუ ღმერთი გწამთ, გადაეჩვიეთ ამისთანა უცნაურ სახელებს, სხვანაირად დაგვიძახეთ ხოლმე.

გორჯიბუხი. როგორ თუ უცნაურ სახელებსაო, განა ეგ თქვენი ნათლობის სახელები არ არის?!

მადლონი. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უხეში რამა ბრძანდები! ჩვენთვის საკვირველი ამბავია, რომ თქვენისთანა კაცს ასეთი კჳუიანი შვილი ვყავარ! გაგიგონიანთ როდისმე, რომ მადლონის და კატოს სახელი ეხმაროთ საპატიო საუბარში? გამოტყდით, ერთ-ერთი ამ სახელთაგანი საქმარისი იქნებოდა, რომ ძალიან კარგი რომანი გაცრუებულყო.

კატო. მართალიც არის, ბიძავე, რომ ჩვენისთანა ნაზი ყურისათვის ძნელია ამ სიტყვების გაგონება. აი, ჩემმა ბიძაშვილმა ამოიძრია თავისთვის სახელად პოლიქსენი, მეც — ამენტი და თქვენც უნდა დაგვთანხმდეთ ამაზე.

გორჯიბუხი. გამიგონეთ თქვენ: მე არც კი მსურს გაგონება, რომ თქვენ სხვა სახელი დაირქვით, იმის მეტი, რაც ნათლობის დროს დაგარქვეს თქვენმა ნათლიებმა. რაც შეეხებათ იმ კაცებს, მე ხომ ვიცნობ და ყველა იმათი კარგი და ავი ვიცი. სწორედ მინდა, რომ ისინი მიიღოთ, როგორც თქვენი საქმროები და გაპყვეთ ცოლებად,

მომწყინდა, თქვენი შენახვა აღარ შემძლია, ჩემს დროულს კაცს არ შეშვენის თქვენოდენა ტვირთის ზიდვა.

კატო. სწორედ უნდა გითხრა, ძია, რომ ქმრის შერთვა ძალიან მიძნელდება და სასირცხვილოდ მიმაჩნია. ან კი როგორ უნდა წარმოვიდგინო თვალწინ, რომ პერანგის ამარა კაცთან მომიხდება წოლა!

მადლონი. როგორც იყოს, მოითმინეთ კიდევ ცოტა. ჯერ ხომ ეს არის — შეედივართ პარიზის საზოგადოებაში. — დაგვიცადეთ, იმის ჰაერი ჩაგყლაპოთ. დაგვაცადეთ ჩვენი დაწყებული რომანი ბოლომდის მივიყვანოთ, მოვიქცეთ როგორც ჩვენა გვსურს, და თქვენი გადაწყვეტილებით ნუ დაგვაჩქარებთ.

გორჟიზუსი (ცალკე). რაღა თქმა უნდა, გადაუწყვეტიათ კიდევ! (შამაღლა). ერთხელ კიდევ გიცხადებთ, და აღარა მსურს თქვენი ტიკტიკის ყურის გდება. რასაც მე გიბრძანებთ, ის უნდა აასრულოთ. თქვენ რომ მეტი აღარა იტიკტიკოთ რა, გამომიცხადებია თქვენთვის: ან უნდა შეირთოთ ორივემ ის ყმაწვილი კაცები, ან არა და მოლოზნებად შეგიყვანთ, გადაწყვეტილი მაქვს.

ს'ც ე ნ ა მ ე მ მ მ ს ე

კატო და მადლონი

კატო. ღმერთო ჩემო! რანაირი ადამიანია მამაშენი! ქვეყნიერებისა არა გაეგება რა; იმის გული რაღაც უკუნეთს წარმოადგენს!

მადლონი. მე მრცხვენია იმის მაგიერად. ფიქრად მომდის, რომ იმისი შვილი არ უნდა ვიყვე და გული მეუბნება, ერთხელაც იქნება შევიტყობთ, რომ მე ბრწყინვალე წოდების კაცის შვილი ვარ!

კატო. რასაკვირველია, ასე იქნება! ოჰ, ქვეყანაზე რა არ მოხდება. მეც, როცა სარკეში ვიხედელები...

ს'ც ე ნ ა მ ე მ მ მ ი დ ე

კატო, მადლონი, მართლაც

მაროტტი. ვილაც მსახური მოვიდა და გკითხულობთ, შინა ბრძანდებითო? იძახის: ჩემს ბატონს სურს იმათი ნახვაო.

მადლონი. როდის გადაეჩვევი შენ, სულელო, ასე უბრალოდ მოხსენებასა; აი ასე უნდა მოგვახსენო: „ერთი ადამიანი საჭიროებს შეიტყოს — შესაძლებელია თუ არა თქვენი ნახვაო?“ ასე უნდა თქვა!

მაროტტი. ქალბატონო, არ მესმის ეგ, თქვენი რალაცნაირი ლათინური ლაპარაკი! თქვენი რალაც ფილოფია რომ არ მისწავლია, რა ვქნა?

მადლონი. შეხე ამას! პასუხსაც რომ მიბედავს! ველარ მომითმენია ამ საძაგლის ლაპარაკი. ვინ არის იმ მსახურის ბატონი?

მაროტტი. ასე მითხრა, მარკიზი მასკარილის მსახური ვარო!

მადლონი. ვილაცა მარკიზიო, მარკიზი! (სიხარულით). წადი მოახსენე, რომ შეიძლება ჩვენი ნახვა. ეს ერთი ვილაცა ჭკუიანი კაცი იქნება; უთუოდ ჩვენს ამბავს გაიგებდა.

კატო. რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო!

მადლონი. ამ დარბაზში რომ მივიღებდეთ, ემჯობინება, ვიდრე ჩვენს ოთახში. თმა გავისწოროთ მაინც, რომ რაც ჩვენზე შეეძლო გაეგონა, სწორედ ისე ვეჩვენოთ. არიქა, ჩქარა მოგვაწოდე სილამაზის მაჩვენებელი.

მაროტტი. ღმერთო ჩემო! ვინ არის ის სულელი ვილაცა: ერთი ქრისტიანულად შელაპარაკეთ, რომ თქვენი ბრძანება გავიგო რამე მაინც.

მადლონი. მოგვართვი აქ სარკე, რა საძაგელი რამა ხარ! არ მიეკარო, თორემ სახეს ველარ გვაჩვენებს კარგად.

ს ც ე ნ ა მ ი რ ვ ი

მასკარილი და ორი მუცლისჭრევიანი

მასკარილი. ჰეი, ჰეი, მეტახტრევენებო! იქა, იქა, იქა, იქა, იქა, იქა, მგონი ამ საძაგლებს უნდად მიმამტვრიონ კედელს, ლამზს ძირს დამცენ.

პირველი მეტახტრევეანი. რა ვქნა აბა! კარები ვიწროა ძალიან; თქვენ არ გინდოდათ რომ აქ შემოგვეყვანეთ?!

მასკარილი. რასაკვირველია! მაშ თქვენ უსინდისებო, გინდოდათ, რომ ჩემი ქულის მორთულობა წვიმიტ წამებსდინა და ჩემი ფეხსაცმელები ტალახში ამომესვარა?! დაიქი, წაიღეთ თქვენი ტახტრევენი.

მეორე მეტახტრევეანი. ბატონო, ფული მოგვეცით, რალა!

მასკარილი. ჰაა!

მეორე მეტახტრევეანი. მე მოგახსენებთ, ბატონო, რომ ფული უნდა გვიბოძოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მასკარილი (სილას გაართყაშს). როგორ მიბედავ ამას, შე საძაგელო შენა! ჩემისთანა ხარისხის კაცს, როგორ უბედავ ამას, ჰაა!

მეორე მეთაბტრევანე. განა ასე აძლევენ ფულს ღარიბებსა? თქვენი ღირსება გვაქმევს პურსა თუ?

მასკარილი. აჰა, მე თქვენ გასწავლით, თუ როგორც უნდა მოიქცეთ; ამ ოხრებს ვერ უყურებთ, რომ მეზუმრებიან კიდეცა!

პირველი მეთაბტრევანე (იღებს ტახტრევიდან ჯოხს). აი, ასე, აბა, მალე მოგვეცით ფული.

მასკარილი. რაო?

პირველი მეთაბტრევანე. მე ვამბობ, რომ ახლავე უნდა მოგვეცეთ ფული.

მასკარილი. ძალიან კუიანია, სწორედ!

პირველი მეთაბტრევანე. აბა, მალე, რაღა!

მასკარილი. როგორც-საქიროა, შენ ისე ლაპარაკობ: ის კი ერთი საძაგელი რამ არის, თვითონაც არ იცის, რას ამბობს. დაიქი, ახლა ხომ გეყოფა?

პირველი მეთაბტრევანე. არა, არ მეყოფა, თქვენ სილა გაარტყით ჩემს ამხანაგს და... (ჯოხს აწევს საცემრად).

მასკარილი. ფრთხილად, დაიქი, ესეც სილისათვის მომიცია. ჩემგან ყველაფერს იშოვის ადამიანი, როცა ძალას არ მატანენ და მხოლოდ მთხოვენ, გასწით და მერე მოდით ჩემს წასაყვანად. სალამოზე ლუვრის სასახლეში უნდა წავიდე ხელმწიფესთან.

ს ც ი ნ ა მ ე ო ბ რ ი

ზართვცი და მასკარილი

მართობი. ახლავ გეახლებიან ჩემი ქალბატონები.

მასკარილი. რას მოეჩქარებიან, კარგადა ვზივარ აქა და შემოძლია მოეუცადო.

მართობი. აი, მობრძანდებიან კიდეც.

ს ც ე ნ ა მ ე ა თ ი

ზადლონი, კაცო, მასკარილი, ალზანზორ

მასკარილი (მდაბლად თავს დაუკრავს). ჩემი თქვენთან ხლება, რასაკვირველია, გაგაოცებთ; მაგრამ მე არ გახლავარ დამნაშავე; თქვენზე ისეთი მშვენიერი ხმები მესმის, რომ ჩემი გული ველარ ითმენს, ყველგან თქვენ დაგეძებთ. ამისათვის გავბედე აქ ხლება და თქვენი ღირსების გაცნობა.

ზადლონი. თუ ღირსებას ეძებთ, არა მგონია აქ იპოვნოთ!

კატო. ღირსების ნახვა თუ გნებავთ, უსათუოდ თან მოიტანდით. **მასკარილი.** მომიტევეთ, რომ ვერ გეთანხმებით. მე ვხედავ, რომ თქვენზე გავრცელებული ხმები ნამდვილი ყოფილა, და პარიზი არარაობაა თქვენ სილამაზესთან შედარებით!

მადლონი. თქვენს ქებას საზღვარი არა ჰქონია. მაგრამ მე და ჩემი ბიძაშვილი მაინც პირში ქებად ვსთვლით ამასა და არა ქეშნარიტ მოსაზრებად.

კატო (მადლონს). უბრძანე, სკამები მოგვართვან. სთხოვე, დაბრძანდეს.

მადლონი. ბიჭო, აღმანზორო!

აღმანზორო. რა გნებავთ, ქალბატონო?

მადლონი. საჩქაროდ სკამები მოგვართვი; სასიამოვნო საუბარს უნდა შევუდგეთ.

მასკარილი. მგონი მე აქ დიდი გაფრთხილება მმართვეს (აღმანზორო გავა).

კატო. ვითომ რისა უნდა გეშინოდეთ?

მასკარილი. როგორ თუ რისა. თქვენთან აქ ყოფნით ასე მგონია, ეს-ეს არის, გული ამომივარდება და საუკუნოდ გამოვეთხოვები ჩემს თავისუფლებას. აქ ისეთს თვალებსა ვხედავ, რომელნიც არავის არ დაინდობენ და ისე დაეწაფენ, რომ ნაცრად აქცევენ, ვინც დაუახლოვდება, ან ახლავე უნდა გავიქცე, ან თავდებად უნდა დავიყენო ვინმე, რომ უფნებლად დავშორდე ამ გასაგიებელ თვალებსა.

მადლონი (კატოს). რა მზიარული ყმაწვილი ყოფილა!)

კატო (მადლონს). გამოცხადებული „ჰამილკარია“, სწორედ ის „ჰამილკარი“ მე და შენ რომ კლელის რომანში წავიკითხეთ.

მადლონი. ნუ გეშინიათ, ბატონო. ჩენი თვალები არავის არ ემტერებიან და შეგიძლიათ გული დაიმშვიდოთ.

კატო. რა საცოდავად შემოგცქერით ეს სავარძელი! რა ხანია თქვენთან მოუპყრია ხელები, მოხვევენას ელის, თქვენ კი გულცივად ხართ და პასუხს არ აძლევთ; შეიბრალებთ, დააკმაყოფილებთ ამის სურვილი და მოახვევინეთ თქვენთვის ხელი.

მასკარილი (თავსა და ტანისამოსს ისწორებს). ახლა, ქალებო, პარიზისას რას იტყვით, როგორ მოგწონთ პარიზი?

მადლონი. რა უნდა მოგახსენოთ. პარიზში რას არ ნახავს ადამიანი. რაც რამ სიმდიდრე, მშვენიება, მახვილობა, გემოვნება, ყველაფერი პარიზშია; უგუნური თუ არ იტყვის. თორემ ამას ყველა ამბობს, რომ პარიზი ყოველი ძვირფასი ნივთებითა და მშვენიერებით სავსე ქალაქია.

მასკარილი. დიახ, ამას მოგახსენებთ, პარიზი რომ არ იყოს ქვეყანაზე, არ ვიცი თუ პატიოსანი კაცები სად უნდა წასულიყვნენ.

კატო. კემშარიტსა ბრძანებთ!

მასკარილი. ხანდისხან კი ტალახი იციხ, მაგრამ მაშინ ჩვენ ტახტრევენებით გვატარებენ.

მადლონი. დიახ, ტახტრევენები ძალიან სასიამოვნო თავშესაფარებელია, როცა ტალახია და წვიმს.

მასკარილი. ხშირად დადიან თქვენთან სტუმრები? ვინ არიან იმათში გამოჩენილნი კეჟუ-გონებითა და მახვილობით?

მადლონი. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ თითქმის ვერაფერს გვიცნობს აქა; მაგრამ იმედი გვაქვს კია, რომ მალე კარგს ნაცნობებს ვიშოვნით. ერთი ჩვენი მეგობარი ქალი დაგვპირდა, რომ გაგვაცნობს აქაურს საუკეთესო, გამოჩენილს და განათლებულს ყმაწვილკაცობას.

კატო. საუკეთესო მცოდნე და დამფასებლებს, რაც რამ გამოჩენილია განათლებულ საზოგადოებაში!

მასკარილი. ამისთვის მე უფრო გამოგადგებით. მუდამ დღე იკრიბებიან ჩემთან საუკეთესო, განათლებული ყმაწვილი კაცები; თვალს გავახელ თუ არა დილას, ვნახოთ, ბარე ექვსი განათლებული კაცი კიდეც შეკრებილა ჩემს სახლში.

მადლონი. ოჰ, ღმერთო! დიდი მადლობელი ვიქნებით, დიდადაც დაგვავალებთ იმიტომ, რომ ვისაც მალა საზოგადოებაში ყოფნა და ტრიალი უნდა, უსათუოდ საჭიროა იცნობდეს მალალი ხარისხის საზოგადოებას. მაგათ შემწეობით გაჯარდება ხოლმე კარგი ხმა მთელს პარიზში და ხომ მოგეხსენებათ, თუ არ იარეთ ერთმანეთში და არ მიიღეთ სახლში, ცუდად შემოგხედავენ და რა უშავს, შევასრულოთ ამგვარი საზოგადოების წესი?! ამასთანავე, ჩემის მოსაზრებით, ამ გონიერულსა და კეჟუიანურს საზოგადოების შემწეობით, ბევრ სასარგებლო და საჭირო რასმე ისწავლი სიცოცხლეში, რომელნიც მალა გონიერებას შეადგენენ. ყოველდღე სხვადასხვა ახალი ამბები გესმის - პროზითა და ლექსებით შეთხზულები; მაგალითად, ვინ რა ამბავი შეთხზა რომელიმე საგანზე, ვინ რა ლექსები გამოთქვა რომელსამე სასიამოვნო ხმაზე; ამა და ამ კაცმა სინარულით მადრიგალი დასწერა; მეორემ სტანს რა დასწერა ლალატზე; ვთქვათ კიდე, ამა და ამ კაცმა ერთი ლექსი დაუწერა თავის შეყვარებულს, რომელმაც ამ დილას რვა საათზე პასუხი მისცა; ან რომელიმე მხატვარმა დაბატა შესანიშნავი რამ მხატვრობა. ესა და ეს მწერალი მესამე ნაწილსა სწერს თავის თხზულებისას, ან ესა და ეს ათავენს საცაა თავის თხზულებას და ბექდვასაც იწყებს. აი ამ-

გვარი ამბების გამგონე, რასაკვირველია, დიდად აფასებს შაგნაირ საზოგადოების გაცნობას და თუ კი დაშორებულა ვინმე ამას, სწორედ უნდა გითხრა, ის ქუთა-გონება გაუსხნელი ყოფილა.

კატო. მე კი ვგონებ, ეს დიდი გაპრანკვა იქნება და მიქარვა იმისი, ვისაც თავი ქუთიანად მოაქვს და კი არ იცის, თუ ყოველდღე სად რა ამბავი ხდება. ვგონებ თქვენი სირცხვილი დამედებოდა თავზე, რომ მკითხოს ვინმემ, — ახალი ამბავი ხომ არა იცი რაო და მე კი ვერაფერი პასუხი მიუფგო!

მასკარილი. დიხაც, დიდი სირცხვილია, მაგრამ ამაზე რადა სწუხართ? მე ვაფშართავ თქვენ სახლში მთელ აკადემიას ქუთიანისა და გონებაგახსნილ საზოგადოებისას, და გარწმუნებთ კიდევაც, ერთი ლექსი არ დაიწერება მთელ პარიზში ისე, რომ თავდაპირველად თქვენ არა გქონდეთ დაზეპირებული. აბა, შემოაშენდეთ მე, როცა მინდა ვეარჯიშობ და თქვენ ნაზავთ, ფუ ყოველ ქუჩაში პარიზში ჩემი სხვადასხვაგვარი ნაწერები ლექსებად არ გაიგონოთ. ორასამდის სიმღერა შემიტხზავს, იმდენივე სონეტები, ოთხასი ეპიგრამი, ათასზე მეტი მადრიგალი, შარადებსა და სურათებს არ ვანგარიშობ.

მადლონი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ საშინლად მიყვარს სურათები: ამაზე უკეთესად არა მიმაჩნია რა.

მასკარილი. სურათების აღწერა, ცოტა არ იყოს, ძნელია, დამჯდარდ ქუთა-გონება სჭირდება; აი ნახავთ ჩემს თხზულებას და არ დაიწუნებთ იმათ.

კატო. საშინლად მიყვარს შარადები.

მასკარილი. დიხ, იგი ავარჯიშებს ადაშიანის გონებას. ამ დილას ოთხიოდე დავწერე და მოგახსენებთ ახლავე, თუ გამოიკნობთ.

მადლონი. მადრიგალიც კი სასიამოვნოა, მიტადრე თუ კარგად არის დაწერილი.

მასკარილი. ეს ჩემი ხელობა გახლავთ, მე ვწერ ახლა მადრიგალებით რომაელთა მთელ ისტორიას.

მადლონი. ეს კი მშვენიერება უნდა იყოს, ერთ წიგნს ავიღებ, თუ კი დააბეჭდინებთ.

მასკარილი. თითო წიგნს ორივეს მოგართმევთ საუკეთესო ყდაში ჩასმულს. თუმცაღა ეს ჩემს ღირსებას არ შეეფერება, მაგრამ ამით ვაძლევე მოგებას. გამომცემლებს, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევენ.

მადლონი. ოჰ, რა სასიამოვნო უნდა იყოს, თქვენ საკუთარ თხზულებას რომ ნახავთ დაბეჭდილს!

მასკარილი. რასაკვირველია, მართლა უნდა მოგიყვეთ ერთ ლექსს; გუშინ ერთ ჩემ მეგობარ გრაფის ცოლთან გახლდით და იქ უცაბედლად შევთხზე ერთი კაფია. მე ქინკასავით მეხერხება კაფიების თქმა.

კატო. კაფია გონიერების გამოსაცნობი საშუალებაა.

მასკარილი. აბა ყური დამიგდეთ.

მადლონი. ყურადღებად გადავიქცევით, აბა, ბძანეთ!

მასკარილი. ოჰ, ოჰ! მე მაშინ ფრთხილად ვერ ვიყავ: უფიქრელად რომ თქვენ შემოგყურებთ, თქვენი თვალები მეპარებიან...

და გულს მტაცებენ: არიქა ქურდი!..

არიქა ქურდი, არიქა ქურდი!

კატო. ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერადაა დაწერილი!

მასკარილი. რასაც ვამბობ, ტყუილი კი არ გეგონოთ! რასაც ეწერ, ყოველივე უეპველი და ზრდილობიანია.

მადლონი. რას ბრძანებთ, სიცრუე თქვენგან შორს არის.

მასკარილი. ამის დასაწყისი შენიშნეთ? „ოჰ, ოჰ“! აი ეს არის სა-მაგალითო, თითქო უცბად რომ გაიკვირებს ადამიანი და იტყვის: „ოჰ, ოჰ“!

მადლონი. დიახ, მშვენიერება რამ არის ეს „ოჰ, ოჰ“!

მასკარილი. თითქო აქ არა იყოს რაო!

კატო. ოჰ, ღმერთო, რას ამბობთ, ეს უძვირფასესი რამ არის!

მადლონი. რასაკვირველია, ეს „ოჰ, ოჰ“ მთელს ახალს პოემას ნირჩვენია.

მასკარილი. გეტყობათ, კარგი გემოვნება გაქვთ.

მადლონი. არც უიმისობაა!

მასკარილი. არა, მაინც როგორ მოგწონთ, მე რომ ვამბობ „ფრთხილად ვერ ვიყავ“ მეთქი? „ფრთხილად ვერ ვიყავ“, ვითომ და მოსარიდებელს ვერასა ვხედავდი, როგორც ლაპარაკში ითქმის. „ფრთხილად ვერ ვიყავ, უფიქრელად რომ“, ვითომ უზაროდ, განუზრახავად; უფიქრელად რომ შემოგყურებთ, როგორც უმანკო რამ სულერი, როგორც ბატკანი; როგორც ცხვარი შემოგყურებთ, ვითომ. სიამოვნებით შემოგაკვირებართ: „თქვენი თვალები მეპარებიან“ — როგორ მოგწონთ ეს სიტყვა „მეპარებიან“, კარგი არ არის?

კატო. ძალიან კარგი!

მასკარილი. „მეპარებიან“, თითქო კატა ეპარებოდეს თავის. „მეპარებიან“!

მადლონი. უკეთესი არ შეიძლება!

მასკარილი. „და გულს მტაცებენ“, ვითომ გული მომპარეს, გამძარცვეს და „არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო“, რომ ვიძახი, ამას არ იტყვი, რომ კაცი გაუქურდავთ და ყვირილით თითქო ქურდს მისდევდეს, ეგება ხელი ვტაცო, „არიქა ქურდი, არიქა ქურდი“..

მადლონი. უნდა აღიაროს კაცმა, რომ გონივრულად არის სიტყვა მობრუნებული.

მასკარილი. ახლა რა კილოზედაც დავიმღერებ, ისიც უნდა მოგახსენოთ!

კატო. მუსიკა გისწავლიათ?

მასკარილი. მე? არასოდეს!

კატო. აბა, მაშ როგორ მოახერხეთ?

მასკარილი. რიგიანმა ხალხმა უსწავლელადაც იცის ყოველივე.

მადლონი (კატოს). რასაკვირველია, ჩემო საყვარელო!

მასკარილი. აბა, ყური უგდეთ ამ ხმას, თუ მოგეწონებათ: ჰემ, ჰემ, ლა, ლა, ლა, ლა, ლა. ამ სიტყვებმა ხმა ძალიან წამიხდინეს, მაგრამ არა უშავს-რა, მაინც კაცური ხმაა (მღერის). ოჰ, ოჰ! მე მაშინ ფრთხილად ვერ ვიყავ... და სხვ.

კატო. ოჰ, რა ვნებიანი სიმღერაა, ალტაცებისაგან შეიძლება ადამიანი გათავდეს.

მადლონი. წყობილსიტყვაობაც ეტყობა.

მასკარილი. კარგად არ არის გამოხატული აზრი ამ სიმღერაში, „არიქა ქურდიო?“ მერე თითქო ძალიან ყვიროდეს: „არიქა, არიქა, არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო“. უცებ ვითომ გაკვირვებული წამოიძახებს: „არიქა ქურდიო!“

მადლონი. აი, აქ არის ცოდნა, საქმე როგორ უნდა დაბოლოვდეს. საოცრებაა ესა, მე თქვენ გარწმუნებთ, ალტაცებული ვარ სიტყვებისა და სიმღერისაგან.

კატო. ჩემს დღეში ამაზე უკეთესი არაფერი მინახავს.

მასკარილი. რასაც ახლა მოგახსენებთ, არაფერი არა მაქვს დასწავლილი, ახლა შევთხზე.

მადლონი. ბუნებას თქვენ ისე გაუზრდიხართ, როგორც ლმობიერ დედას და თქვენა ხართ იმის ნებიერი შვილი.

მასკარილი. თქვენ როგორ ატარებთ დროსა?

კატო. ვერაფრად. ისე, უქმად.

მადლონი. აქამდისინ ყოველ გულისგასართობ საქმეში, დიახ მარხული ვიყავით.

მასკარილი. თუ გნებავთ, ამ დღეებში წაგიყვანთ თეატრში. მალე ახალი კომედია უნდა ითამაშონ. მე ძალიან მესიამოვნება, თუ ისურვებთ და ერთად ვნახავთ.

მადლონი. ძალიან კარგი იქნება!

მასკარილი. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი ტაში უნდა დაუკრათ ხოლმე, როცა იქ ვიქნებით, რადგან კომედიის დამ-

წერმა ამ დილით კიდევ მთხოვა მისვლა იმის წარმოდგენაზე და დაფასება იმის თხზულებისა. აქ ასეთი ჩვეულება არის: პირობა აქვთ დადებული მწერლებს გარეშე პირებთან: ავტორებს მოაქვთ ნაწერები, გვიკითხავენ და ჩვენ მათ-სახელს ვუკეთებთ. ჩემთან ხშირად მოიტანენ ხოლმე დასაფასებლად; უნდა წარმოვთქვა ჩემი აზრი, — კარგია თუ არა ეს თხზულება. და როცა თეატრში დავდივარ, თუ პოეტს სიტყვა მივეცი, ყოველთვის, სანამ სინათლე აინთება, მანამდე ვყვირი, რომ „მშვენიერია“.

მადლონი. კარგი, დამეხსენით, თუ ღმერთი გწამს! ოჰ, რა მშვენიერი მხარე რამ ყოფილა ეს პარიზი, მუდამ დღე ათასნაირი რამ ხდება აქა, რასაც სხვა პროვინციებში ყურადღებასაც არავენ აქცევენ, ძალიან განათლებულიც რომ იყოს.

კატო. აბა, კმარა! რადგან ჩვენ განათლებული და ნასწავლები ვართ, მოვალეობად დავდებთ — ყოველსავე გამოვცხმავროთ — რასაც აქ ახალს იტყვიან ან დასწერენ.

მასკარილი. არ ვიცი, იქნება ვცდები, მაგრამ გეტყობათ, რომ თქვენ კომედია უნდა გქონდეთ დაწერილი!

მადლონი. ეჰ, შესაძლებელია, რასაც ამბობთ, მომხდარიყო კიდევ. **მასკარილი.** ოჰ, აბა ვნახოთ ის კომედია, ჩვენში კი დარჩეს, მე რომ შევთხოვ ახლახან და მინდა წარმოვადგენინო.

კატო. რომელ თეატრში წარმოადგენინებთ?

მასკარილი. რა საკითხავია, რასაკვირველია დიდ თეატრში, მხოლოდ იქ იციან კარგი დაფასება თხზულებისა. სხვა თეატრში რა იციან? გარდა უბრალო ლაპარაკისა, ლექსების წაკითხვისა არა გავგებათ-რა; სრულიად ვერას გაიგებთ იმათგან წაკითხული ლექსებიდან, რადგან ისეთს ადგილას არ ჩერდებიან, სადაც საჭიროა და ამით ლექსებს ძალიან აფუჭებენ.

კატო. ერთი სიტყვით, მსმენელებს უნდა ვაგარძნობინოთ ნაწარმოებში მშვენიერება, რადგან იგი იმ ღირებულებისაა, როგორც აფასებენ.

მასკარილი. როგორ მოგწონთ ჩემი მორთულობა, მოხდენილი ტანისამოსია?

კატო. ძალიან!

მასკარილი. ლენტი კარგი არჩეულია?

მადლონი. მშვენიერებაა, ნამდვილი პერდრიჟონია.

მასკარილი. ამაზე რას იტყვიან?

მადლონი. კარგი ფერისაა!

მასკარილი. შემიძლია დავიკეცხო, რომ იგი ჩვეულებრივზე ბევრად ფართოა.

მადლონი. უნდა მართალი ვთქვა, არასდროს არ მინახავს ასეთი მშვენიერი მორთულობა!

მასკარილი. აბა, ერთი ამ ხელთათმანებს უსუნეთ, კარგი სუნი უდის?

მადლონი. ოჰ, მარჯულაც, რა მშვენიერი სუნი უდის!

კატო. ამისთანა მშვენიერი სურნელოვანი არა მინახავს-რა.

მასკარილი (თმას მიუშვერს). აბა, ახლა ამას უსუნეთ.

მადლონი. მეტისმეტი მშვენიერი სუნი უდის.

მასკარილი. რატომ ამ ჩემი ქულის ბუმბულზე არას იტყვი, როგორ მოგწონთ?

კატო. დიდად მოსაწონია.

მასკარილი. თითო ცალი თითო ოქროდ ღირს. ძალიან მიყვარს, მქონდეს ის, რაც საუკეთესოა.

მადლონი. მე და თქვენ ერთნაირი გემოვნებისანი ვყოფილვართ; რასაც ვიცვამ, მინდა რომ შნოიანი იყოს. ყველაფერი წმინდად მოქსოვილი მიყვარს.

მასკარილი (შუბად დაუყვირებს). ეს რა ღმერთი გამიწყრა, ეჰ, ეჰ, ეს რა რიგია თქვენგან, უთუოდ უნდა გიჩივლოთ, როგორ იქნება ესა?

კატო. რა არის, რა დაგემართათ?

მასკარილი. როგორ რა არისო, ორივემ ერთად შემომიტიეთ ორივე მხრიდან! ეს ყოველის წესის წინააღმდეგია, ორი რომ ერთს ებრძოდეს, უნდა ვიყვირო, რაც შეიძლება.

კატო. რალაც უცნაურად ლაპარაკობს ეს კაცი.

მადლონი. არა, მშვენიერი ჭკუის პატრონია, ათასნაირად აბრუნებს თავის გონებას.

კატო. თქვენ შიში მეტი გქონიათ, გული მეტად ნადრევად აგზელელებიათ.

მასკარილი. როგორ თუ ნადრევად! თავიდან ბოლომდის ცეცხლი მეკიდება!

ს ც ე ნ ა მ ე თ ი რ თ მ ე ტ ე

კატო, მადლონი, მასკარილი, მასკარილი

მაროტტი. ქალბატონო, თქვენა გკითხულობთ ვილაცა!

მადლონი. ვინა?

მაროტტი. ვიკონტი დე ჟოდლე ვარო.

მასკარილი. ვიკონტი დე ჟოდლეო?

მაროტტი. დიახ, ბატონო!

კატო (მასკარილს). იცნობთ იმას?

მასკარილი. ჩემი გულითადი მეგობარია.

მადლონი. მოახსენე, მობრძანდეს.

მასკარილი. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, და დიდად მოხარული ვარ იმის ნახვით.

კატო. აი, მობრძანდა!

ს ც ე ნ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ჯაცო, მადლონი, ჟოდლეო, მასკარილი, მაროტცი, ალმანზორ

მასკარილი. ოჰ, ვიკონტს ვახლავართ!

ჟოდლეო (ჰკოცნის მასკარილს), ოჰ, მარკიზო!

მასკარილი. რა მოხარული ვარ შენი ნახვით!

ჟოდლეო. რა ბედნიერი ვარ აქ რომ გხვდავ!

მასკარილი. ერთი კიდევ მაკოცე, თუ ღმერთი გწამს.

მადლონი (კატოს). ხედავ, ჩვენ თურმე გვიცნობენ აქა. ხომ ხედავ, დაიწყო სიარული ჩვენსა მაღალ ხარისხის ხალხმა!

მასკარილი. გთხოვთ იცნობდეთ ამ კეთილშობილსა, მერწმუნეთ თქვენი გაცნობის ყოველად ღირსია.

ჟოდლეო. თქვენ ღირსნი ბრძანდებით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და გიახლოთ თქვენთან. ასეთი მიმზიდველნი ბრძანდებით ყოველი ხარისხის ხალხისა, რომ ყველანი ვესწრაფებით თქვენს გაცნობას.

მადლონი. ეს მეტისმეტი პირფერობაა თქვენი მხრით.

კატო. დღევანდელი დღე ჩვენთვის შესანიშნავია და ბედნიერ დღედაც ჩაითვლება.

მადლონი (ალმანზორს). ბიჭო, რა არის, ყოველთვის რომ უნდა გაგიმეოროთ ერთი და იგივე. ვერ ხედავ, რომ სავარძელი უნდა მოართვა ამათ?!

მასკარილი. ვიკონტს ამ მდგომარეობაში რომ ხედავთ, ნუ გიკვირთ. იმისათვის არის დღეს ფერმკრთალი, რომ ეს არის, მძიმე ავადმყოფობა გამოიარა.

ჟოდლეო. დიახ, სასახლის მიზეზი გასლავთ; მთელი ღამეები იქ დროს გატარებაში გადის, ამას გარდა, ომშიც ვიღლები ხოლმე.

მასკარილი. იცით, რა მოგახსენოთ, ქალბატონებო! ეს ვიკონტი ერთი მამაცი მებრძოლთაგანი არის ჩვენი საუკუნისა, ძალიან ყოჩაღი, უშიშარი აღამიანია,

ჟოდლე. დიდად დავალებული ვართ თქვენგან, მარკიზ, ჩვენც კი გაგვეგება, რისიღ ღირსი თქვენა ხართ.

მასკარილი. მართალია, შემთხვევა გვქონია ერთმანეთის გაცნობისა...

ჟოდლე. და მერე ისეთ ქვეყნებში, სადაც მეტისმეტი სიცხეები იცის...

მასკარილი (კატოს და მადლონს უყურებს). დიახ, მაგრამ ისეთი სიცხე ხომ არ იცის, როგორც აქა, ჰე, ჰე, ჰე!

ჟოდლე. ჩვენ ერთმანეთი ომში გავიცანით და სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი (მასკარილზე უჩვენებს) მალტის კუნძულზე ჯარს უწინამძღვრებდნენ.

მასკარილი. დიახ, მართალსა ბრძანებს; მაგრამ თქვენ უფრო ადრე იყავით დაწინაურებული. კარგად მახსოვს, ჯერ უბრალო ოფიცერი ვიყავი, როდესაც თქვენ ორი ათასი ცხენოსანი გებარათ.

ჟოდლე. ომი კარგი რამ არის, მაგრამ ეს კი უნდა ვთქვათ, რომ მეფის კარი, საუბედუროდ, კარგად არ აჯილდოებს ჩვენისთანა ჯავეგანწირულებს.

მასკარილი. მეც ამიტომ ჩამოვკიდე ჩემი ხმალი ლურსმანზე...

კატო. საშინლად მიყვარს სამხედრო პირები!

მადლონი. მეც მიყვარს ძალიან, მაგრამ მე მინდა, რომ ჰქუა-გონება ეთანასწორებოდეს მამაკობას.

მასკარილი. გახსოვთ, ვიკონტო, ჩვენ რომ დროშა წავართვით ჩვენს მტერს არაასში, ნახევართვარიანი?

ჟოდლე. ნახევარი მთვარეო, რად ამბობ, როდესაც ის მთელი იყო.

მასკარილი. მეონია, მართალს ამბობთ...

ჟოდლე. ოღონდაც, რომ უნდა მახსოვდეს, რადგან მაშინ ყუმბარათა ვარ ბარკალში დაქრბილი და ეს ქრილობა ახლაც მეტყობა. აბა ერთი ხელი ახელით, ღვთის გულისათვის, შეატყობთ, თუ როგორი ქრილობაც იყო.

კატო (შემდეგ იმისა, ბარკალს რომ გაუსინჯავს). მართლაც და დიდი დაქრილობა ყოფილა.

მასკარილი (მადლონს). მომეცით თქვენი ხელი და აქ მომკიდეთ, თავის ქალაზე, გრძნობთ რასმე?

მადლონი. დიახ, რალაცას ვგრძნობ.

მასკარილი. უკანასკნელს ომში აქ ვიყავი დაქრილი.

ჟოდლე (გულს შეიხსნის). აი კიდევ ერთი ქრილობა, სადაც ტყვიამ მკერდში გამიარა გრაველინის იერიშის დროს.

მასკარილი (შარვალს ასწევს მუხლთან). ახლავ გაჩვენებთ საშინელ დაკრილობას.

მადლონი. ასეც გვეჯერა, ნახვა საჭირო არ არის, ნუ შეიხსნით ფეხსა.

მასკარილი. ეს ისეთი ნიშნებია, რომ ადვილად შეიტყობთ, როგორი კაც-ცა ვარ.

კატო. ვიცით, რაცა ბრძანდებით.

მასკარილი. ვიკონტო, თქვენი ეტლი აქ არის?

ჟოდლე. რად გინდათ მერე?

მასკარილი: ქალაქს გარეთ გავიყვანდით სასეირნოდ და საჩუქრებსაც მივართმევდით.

მადლონი. ჩვენ დღეს ვერ გავალთ შინიდან.

მასკარილი. დაუკრას მაინც ვინმემ, ვიცეკვებდით.

ჟოდლე...კარგი ფიქრია.

მადლონი. ამისი კი თანახმანი ვართ, მაგრამ ცოტანი ვართ და უნდა მოვუმატოთ ვინმე კიდევ.

მასკარილი. ეი, შამშანო, პიკარო, ბურგონიონო, კასკარეტო, ბასკო, ლავერდურო, ლორენო, პროვანსალო, ლავიოლეტო! ოჰ, სად ეშმაკებში წავიდნენ ეს მოსამსახურენი! მგონია მთელ საფრანგეთში ამისთანა კეთილშობილი კაცი არავინ არის ისე უპატივცემლო მსამსახურეებისაგან, როგორც მე. აბა, ჩემისთანა კაცს დამანებებს თავი ჩემმა მსახურებმა და მარტო გამიშვებს!..

მადლონი (შემოდის აღმანზორ). აღმანზორ, წადი ამ ბატონის მოსამსახურეებს უთხარი, წავიდნენ და ვიოლინოზე დამკვრელები მოიყვანონ. შენც მოიწვიე ჩვენი მეზობლის ქალები, რომ შევამსოთ რიცხვი ჩვენი საზოგადოებისა.

მასკარილი (აღმანზორ გადის). ბატონო ვიკონტო, ამ თვალებისას რას იტყვი?

ჟოდლე. არა, შენ თვითონ რას ფიქრობ, ბატონო მარკიზო?

მასკარილი. მგონი ჩვენ აქედან თავისუფლად ვერ გავიდეთ... რაც შემეხება მე, რალაცნაირად ვცახცახებ და ჩემი გული თითქო ბეწვზედა ჰკიდია.

მადლონი. რასაც იტყვის ძალიან კარგად გამოჰყავს ხოლმე, მეტისმეტი გონივრულია ამისი ლაპარაკი.

კატო. მართლაც რომ დიდი ნიჭი სჭირდება ამას!

მასკარილი, თქვენს დასარწმუნებლად, რომ მართალი ვარ, მე ერთ კათუიას მოვიფიქრებ (ფიქრობს).

კატო. გულით გვედრებით, რომ ჩვენთვის შეთხზული ლექსი გაგვაგონოთ რამე.

ჟოდლე. მეც ეგა მსურს, მაგრამ ვერა მგონია მოვახერხო, რადგან პოეტური ძარღვი ბევრი სისხლის დენისაგან დაღლილი მაქვს.

მასკარილი. პირველი ლექსი ყოველთვის მშვენიერი გამოდის ხოლმე, მაგრამ შემდეგ მიძნელებდა. ღმერთო ჩემო, ეს მეტისმეტი ნაჩქარევია. სხვა დროს შემიძლია ისეთი კაფია გითხრათ, რომ საუკეთესოდ მიგაჩნდეთ მთელს ქვეყანაზე.

ჟოდლე. დემონის კეჟა აქვს ამას.

მადლონი. ძალიან ზრდილობიანი ყმაწვილია და ძალიანიც მოხერხებული.

მასკარილი. მითხარით ერთი, ვიკონტო, რამდენი ხანია, რაც ჩვენი მეგობარი გრაფინა არ გინახავთ?

ჟოდლე. სამ კვირაზე მეტი იქნება, არ მინახავს.

მასკარილი. იცით, ამ დილას მნახა პრინცმა და მთხოვა, რომ წაეყოლოდი ირემზე სანადიროდ.

მადლონი. აგერ, ჩვენი მეგობრებიც მობრძანდებიან.

ს ც ე ნ ა მ ე ც ა მ ე ბ ე

მეზობლის დაღუპი: ლუკაილა, სკლიშენი, ჯაცო, მაგლონი, მასკარილი, აილდე, მართლცი, ალმანჯორ, ვითლინოზე დამჯაჟაღნი

მადლონი. დიდად უკაცრავადა ვარ თქვენთან, ქალბატონებო, ამ ყმაწვილმა კაცებმა მოინდომეს ჩვენი გამხიარულება და ამისათვის შეგატყობინეთ მობრძანებულიყავით.

ლუსილ. დიდად დაგვაჟაღეთ.

მასკარილი. უცებ გამართული ბალი გახლავთ ახლა, და ამ დღეებში კარგ ბალს გაემართავთ. ვიოლინოზე დამკვრელნი მოვიდნენ? აღმანჯორი, დიახ, გიახლენ!

კატო. აბა, გთხოვთ დაბრძანდეთ.

მასკარილი (თავისთვის მართო ცეკვავს შესავალს). ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა.

მადლონი. სწორედ მოხდენილი ტანადია.

კატო. ცეკვაც მშვენიერი სცოდნია.

მასკარილი (მადლონს გაიყვანს საცეკვაოდ). ჩემს გულმართლობასაც ფეხებს ავაცოლებ. აბა ზომით, ვიოლინოზე დამკვრელებო, მწყობრად. ოჰ, ამათ სულ არა სცოდნიათ რა. ჯანაბამდინ გივლიათ. აბა ასე

დაუქარით (მღერის). ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, დაიქარგეთ აქედან!

ჟოღლე. ნუ ჩქარობთ, თქვე დალოცვილებო, ნაავადმყოფთარი ვარ, ჩქარი ცეკვა არ შემიძლია.

ს ც ე ნ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

დიუჯრუაზი, ლაგრანაჟი, ვალო, მადლონი, ლუხილი, ჯლიზინი, ალდლე, მასკარილი, მატოცვი, ვითლინოჭე დამჯრულნი

ლაგრანჟი (კეტი). შეხე ამ მხეცებს, ამათა, ამ წყეულებსა, სადა ჰყრინან! რას აკეთებთ აქა? სამი საათია, რაც დაგეძებთ.

მასკარილი (ბატონი სცემს). ოპ, ოპ, თქვენ არ გითქვამთ, დალოცვილო, ჩემთვის, რომ გცემ კიდევაცო.

ჟოღლე. ოპ, ოპ, ოპ! (ჟოღლესაც სცემენ).

ლაგრანჟი. ჰაი, საძაგლებო თქვენა! გინდოდათ, განა, დიდკაცებად გეჩვენებინათ თავი, ჰა!

დიუჯრუაზი. აი ეს მოგარჯულებთ თქვენა, აი! (სცემს რაც შეუძლია).

ს ც ე ნ ა მ ე ხ უ თ მ ე ტ ე

ივინიჯე დიუჯრუაზისა და ლაგრანაჟს გარდა

მადლონი. ეს რა აშბავია?

ჟოღლე. დანიძლავებული ვიყავით ერთმანეთთან.

კატო. რაო, მერე აგრე აცემინებთ თქვენს თავსა?

მასკარილი. ღმერთო ჩემო, არ მინდა შევიმჩნიო რამე, თორემ ძალიან აპრიალეზა ვიცი და რომ გავცხარდე!..

მადლონი. მაგისტანა შეურაცხყოფის ატანა, და მერე ჩვენთან!

მასკარილი. ეს არაფერია! დიდი ხანია ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს და მეგობრობაში ამისთანა უბრალო რამეზე კაცი არ უნდა შეფუცხუნდეს.

ს ც ე ნ ა მ ე თ ე მ მ ს მ ე ტ ე

ივინიჯე, დიუჯრუაზი და ლაგრანაჟი

ლაგრანჟი. ჩვენ კი ველარ დაგვიცინებთ, დავიფიცავ. აბა, შემოდით ყველანი! (შემოდინ ბიჭები).

მადლონი. როგორ ჰბედავთ, რომ ჩემ სახლში თავისუფლად შემოდინხართ და ურევთ აქაურობასა!

დიუკრუაზი. როგორა, ქალბატონებო, დიახ, ჩვენ ავიტანთ ამას, რომ ჩვენი მოსამსახურეები ჩვენზე უკეთესად იყვნენ მიღებულნი, გაგიარშიყდნენ თქვენა და ბალებსაც გიმართავენ ჩვენს ხარჯზე?

მადლონი. თქვენი მოსამსახურეები?

ლაგრანჟი. დიახ, ჩვენი მოსამსახურეები გახლავთ, და არც კარგია და არც პატიოსნებაა თქვენგნით იმათი გარყვნა.

მადლონი. ოჰ, ღმერთო დიდებულო, რა შეურაცხყოფაა ეს ჩვენი! **ლაგრანჟი.** ჩვენი ტანისამოსით რომ ხედავთ ახლა ამათ, მერე კი ველარ იხილავთ! თუ გნებავთ მაგათი სიყვარული, უტანისამოსოდაც შეგიძლიათ გიყვარდეთ (მოსამსახურეებს). გადით იქით, გაიხადეთ საჩქაროთ.

ჟოდლე. მშვიდობით, ჩვენო დარბაისლობავ, დიდკაცობავ!

მასკარილი. აი ჩვენი მარკიზობა და ვიკონტობაც გადაყენებული!!

დიუკრუაზი. ჰაი, თქვე საძაგლებო! როგორა ბედავთ ჩვენი ტანისამოსით მათთან არშიყობას! მე თქვენ გიჩვენებთ სეირსა და გასწავლით, თუ სად უნდა წახვიდეთ და რანაირადაც გეკუთვნით ამგვარ ქალებთან თავის დაქერა.

ლაგრანჟი. მეტისმეტია ჩვენი ასეთი წარმოდგენა, ისიც ჩვენსავე ტანისამოსით.

მასკარილი. ოჰ, განგებაო, რა დაუდეგარი რამ ხარ!

დიუკრუაზი. საჩქაროდ გაიხადეთ ტანისამოსი.

ლაგრანჟი. გაიტანეთ გარეთ ეგ ბარგი-ბარხანა ჩქარა. ახლა კი ამგვარ ტანისამოსით, როგორშიც ესენი არიან, ინებეთ თქვენი არშიყობის გაგრძელება, სანამ მოგწონდეთ! სრული თავისუფლება მოგვიცია თქვენთვის. დარწმუნებულა ბრძანდებოდეთ, — მე და ჩემი მეგობარი არ ვიქნებით თქვენი არშიყების რაყიფები.

ს ც ე ნ ა მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ა

მადლონი, კაცო, მასკარილი, ჟოდლე, ვილინიოზი დამჯვრელები

კატო. ოჰ, რანაირად შევრცხვით!

მადლონი. ჯავრით ლამის გული გამისკდეს!

ერთი დამჯვრელი. რა ამბავია ესა, ვინ მოგვცემს ახლა ჩვენს ქირასა?

მასკარილი. ბატონ ვიკონტსა სთხოვეთ.

ერთი დამჯვრელი (ჟოდლეს). ფულებს რომელი გვაძლევთ?

ჟოდლე. ბატონ მარკიზსა სთხოვეთ.

ს ც ე ნ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

ჯღრჷბუხია, მადლონი, კაცთ, აქდლო, მასკაბილი, ზითლინთჳ დამჯჳბოლნი

გორჷბუხი. ოჰ, თჳვე საძაგლებო, თჳვენა, ამას რასა ვხედავ, რა მესპის! იმ ყმაწვილმა კაცებმა საზარელი ამბები მითხრეს თჳვენზე! მადლონი. ოჰ, მამაჩემო, საზარელი შეურაცხყოფა მოგვაყენეს.

გორჷბუხი. ოლონდაც, რომ საზარელი, სწორედ! მაგრამ ეს სულ თჳვენი ჯიუტობის ბრალია, თჳვე საძაგლებო! იმათ გადაგიხადეს, რაც თჳვენ უპატიურება მიაყენეთ. ვაი, ჩემს უბედურებას, რომ გამიმწარეთ თჳვენ სიცოცხლე.

მადლონი. უსათუოდ გადაუხდით, თუ არა და ჯავრით მოგვეცდები! თჳვენა! თჳვე აუზაკებო. კიდევ ბედავთ აჳ ყოფნასა?!

მასკარილი. მარკიზისადმი ასეთი მოპყრობა! აი როგორია ქვეყანა! ოღნავი დაქვეითება და ისინი კი, ვინც თავს გველებოდნენ, შეგიძლებენ. წავიდეთ, მეკობარო, წავიდეთ, სხვაგან ვეძიოთ ბედი. ვხედავ აჳ უფრო ცარიელ გარეგნობას აფასებენ და პატივს სრულიად არ სცემენ ნამდვილ კეთილშობილებას.

ს ც . მ ნ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

ჯღრჷბუხია, მადლონი, კაცთ, ზითლინთჳ დამჯჳბოლნი

ერთი დამკვრელი. ჩვენ ველით, რომ ქირა მოგვეცეს, რაც აჳ ჯაფა გავსწიეთ.

გორჷბუხი (ვიოლინოს დამკვრელს სცემს). დიახ, დიახ, აი ახლავე მოგკემთ! აი ის ფულები, თჳვენ რომ გერგებათ! (ქალებს). თჳვე სათოკენო, არ ვიცო, რას გიზამთ, ლამის თჳვენც ასე გაგტყუპოთ. რას იტყვის ჩვენზე ხალხი? სასაცილოდ აგვიგდებენ, რამდენს კორს იტყვიან ჩვენზე! ეს სულ თჳვენი სისულელის, უგუნურობის და სიგიჟის ბრალია. დაიკარგეთ აჳედან, თავი არსად გამოჰყოთ არას დროს ქვეყანაზე. (მარტო). იმათი სისულელის მიზეზებო, უსაქმო გონიერების დროს გამტარებელნო, რომანებო, ლექსებო, შაირებო, სონეტებო, — ეშმაკმა წაგიღოთ!

ვ ა რ ვ ი უ ჯ ი
ა ნ უ
მ უ ზ მ უ ზ ე ლ ა

L E T A R T U F E

ხუმორკმედეზიანი კომედია

თარგმანი

ივანე შატავარიანისა

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი :

ქ ვ რ ი ვ ე პ ე რ ნ ე ლ ი, ო რ გ ო ნ ი ს დ ე და.
ო რ გ ო ნ ი, ე ლ მ ი რ ი ს კ მ ა რ ი.
ე ლ მ ი რ ი, ო რ გ ო ნ ი ს ც ო ლ ი.
და შ ი, ო რ გ ო ნ ი ს შ ე ი ლ ი.
მ ა რ ი ა ნ ი, ო რ გ ო ნ ი ს ქ ა ლ ი, ვ ა ლ ე რ ი ს სა ტ რ ფ ი.
ვ ა ლ ე რ ი, მ ა რ ი ა ნ ი ს ა რ შ ი ყ ი.
ქ ლ ე ა ნ ტ ი, ე ლ მ ი რ ი ს ძ მ ა.
ტ ა რ ტ ი უ ფ ი.
დ ო რ ი ა ნ ი, მ ა რ ი ა ნ ი ს მ ო ა ხ ლ ე.
ლ უ ა ი ა ლ ი, ბ ო ქ ა უ ლ ი.
პ ო ლ ი ც ი ე ლ ი.
ფ ლ ი პ ო ტ ი, ქ. პ ე რ ნ ე ლ ი ს მ ო ა ხ ლ ე.

მოქმედება პირველი

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ქ. პერნელი, ელზიბი, მარიანი, კლადი, დამი, დანიანი, ელიზაბეტა

ქ. პერნელი. ფეხი გადმოღგი, ფლიპოტი წავიღეთ, მოვშორდეთ აქაურობას!

ელზიბი. ისე მიეჩქარებით, ბატონო, რომ ადამიანი ვერ მოგყვებათ.

ქ. პერნელი. მერე ვინ გეხვეწება, მომყეო? ნეტავი რისთვის სწუხდები, ჩემო რძალო? უშენოდაც კარგად გავიგნებ ჩემს გზას.

ელზიბი. თქვენგან არ მიკვირს, ბატონო, რა შეწუხება გახლავთ? ერთი მიბრძანეთ; აგრე რად მიეშურებით?

ქ. პერნელი. იმიტომ მიეშურები, ჩემო რძალო, რომ აქ ჩემს სასიამოვნოს ვერასა ვხედავ; და არც ძალიან ცდილობთ ჩემს სიამოვნებას. ან ვის რაღად უნდოდა? ვისთვის რა საჭიროა ჩემი სიტყვა და ჩჩევა? ალარც უფროსობა გადის თქვენში, ალარც მოხუცებულობა! ყველა თავისას გაიძახის, ყველა თავისას ჩადის და ოჯახი კი წყალს მიაქვს.

დორანი. ქალბატონო...

ქ. პერნელი. არამკითხე მოამბეო, ხომ 'გავიგონია, ჩემო კარგო? თუ არა და ვინ მოახლე და ვინ აგრე კადნიერად ლაპარაკი? ეგ-ლა მაკლდა, რომ ვიღაცა გომბიომ...

დამი. ბებიჩემო!..

ქ. პერნელი. შენც კი კარგი რამა ხარ, შენ ნუ მოუკვდები შენს პატრონს! კარგი მოგივია განა არა, სულ იმას ვიძახდი, ეს ბიჭი ჩვენი შემარცხვენიელი გამოვა-მეთქი. ტყუილად კი არ არის თქმული, სახარე ხბოსაო!..

მარიანი. უკაცრავად გახლავარ, დიდდელა!..

ქ. პერნელი. ბოდიშსაც რომ იხდის! ხედავთ როგორი მოწიწებით მომმართა ქალბატონმა! როგორ ნაზად, თავმდაბლად! არა, ქ-ჯან! დაებერდი, შენი მოსატყუარი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე! ენად ქრელიო, გულად გველიო, ტყუილად კი არ ამბობენ.

ელზიბი. რა ვქნა, დედა!..

ქ. პერნელი. კი ნუ გეწყინება, ჩემო: რძალო, და ძალიან ცუდად იქცევი. აბა ესენი როგორ გავამტყუნო? კარგს რასა ხედავენ, რომ თვითონაც კარგად მოიქცნენ? ეეჰ, თვალი მაშინ დაუდგათ, დედა რომ მოუკვდათ, ამ უბედურებს. შენ კი არა გგავდა ის ცხონებული! რასაც შენ ფულსა ფლანგავ, რა ვიცი, რა ოჯახმა უნდა აიტანოს! მგონი დედოფალსაც არა ჰქონდეს, რასაც შენ კაბებს იკერავ! ჰო-და, ჩემო რძალო, ვინც თავს მარტო ქმარს აწონებს, არც აგრე მოიპრან-ქება.

კლევანტი. ერთი ჩვენც მოგვისმინეთ, ბატონო... ।

ქ. პერნელი. დიდი პარტივისმცემელი გახლავარ თქვენი, ძალიან მიყვარხართ და თაყვანსა გცემთ, მაგრამ, მე რომ ჩემი შვილისა ვი-ყო, სახლში არ შემოგიშვებდით. თქვენ იმისთანა აზრების კაცი ხართ, რომ ეკლესიაშიც კი გარყვნილება შეგაქვთ. ცოტა არ იყოს, პირდაპირ მოგახსენებთ ჩემსას, მაგრამ, რა ვქნა, შენი ჭირიმე, ასეთი ხასიათის ადამიანი ვარ! რაც გულში მაქვს, ყოველც ვიტყვი, ცხვარი ხომ არა ვარ, რომ ცოხნა დაეუწყო!

ღამი. და გულში ხომ ტარტიუფის ქების მეტი არა აქვთ რა!..

ქ. პერნელი. ტარტიუფი წმიდა კაცია და იმის ავად ხსენებას არავის მოვუთმენ.

ღამი. კარგია თქვენმა მზემ! ვილაც მაწანწალა მოეთრეს, სახლში გამოიქიშოს, დიდსა და პატარას ბრძანებლობა დაუწყოს და მე კი ხმასაც ნუ ამოვიღებ! აკლდამას დაამსგავსა ჩვენი სახლი, იმისი ში-შით სიცილი ველარავის გაუბეღია, და თქვენ კი ბრძანებთ, იმისი ავი არავინა თქვათო.

ღორანი. იმას რომ აპყვეს კაცი, ცოცხლივ სამარეს გაითხრის, მოჰყოლია და სულ იმას გაიძახის — ცოდვია ჩვენი ცხოვრებაო; თან ყველასა ზეერავს და თვალ-ყურს ადევნებს.

ქ. პერნელი. ძალიან კარგსაც გიშვრებათ. კიდევ კარგი, რომ ეგ ლეთისნიერი ადამიანი მოგივლინათ ღმერთმა, თორემ აქ ხომ დალუ-პულნი ხართ, და საიქიოს უარეს ყოფაში ჩავარდებოდით. ჩემს შვილს რომ თავში ტვინი ეღვას, ტარტიუფს ისე შეგაყვარებდათ, როგორც თავის-თავს.

ღამი. არა, ბებიაჩემო! მამამ კი არა, მამის მამამაც რომ მიბრძა-ნოს, მე ტარტიუფს ვერ შევიყვარებ, ისეთი საზიზღარია ყოველი მისი საქციელი სისხლი ყელში მადგას, თავს ძლივს-ღა ვიმაგრებ! მაგრამ დღეს იქნება, თუ ხვალ, მგონი, ვერ გადამრჩეს და იმისთანა დღეს დავაყენებ, რომ საუკუნოდ სახსოვრად დარჩეს.

დორინი. სირცხვილი არ არის, გენაცვალეთ, ვილაც უცხო, საი-დანღაც მოთრეული დაჰპატრონებოდეს ოჯახს! განა არ გახსოვთ, ჭა! ფეხშიშველი დადიოდა, დახეულ-დაფხრეწილი. იმისი ჯღანები ახლაც შენახული მაქვს! და დღეს კი ყველას ბატონობას ნდომობს და ყველას ბრძანებას უბედავს.

ქ. პერნელი. ყველა რომ იმის ნებაზე იყოს, აღარც ამდენი ცოდვა იქნებოდა ქვეყანაზედ.

დორინი. წმიდად მარტო თქვენ მიგაჩნიათ! მერწმუნეთ, ფარისე-ველია, საზიზღარი ფარისეველი!

ქ. პერნელი. უი, მეხი კი დაგაყარე!

დორინი. ფარისეველი, გაიძვერა, მუზმუზელა, თვალთმაქცი ისიცა და იმის მსახურიც.

ქ. პერნელი. მსახურისა რა მოგახსენოთ და რაც შეეხება ბატონს, თავდები მე ვარ, რომ ჭეშმარიტად წმიდა კაცია. თქვენ იმიტომ ავიძულდებით, რომ ყველას პირში გეუბნებათ თქვენს საძრახისს. იმას თქვენი ხსნა უნდა, თქვე უბედურნო, სასუფიველის დამკვიდრება უნდა თქვენთვის, და თქვენ კი მოჰყოლიხართ და ლანძღავთ.

დორინი. მაშ სტუმარი ცოდვა ყოფილა, მომაკვდინებელი ცოდვა! გენაცვალეთ, კაცს ველარ გაუვლია ჩვენსა: მოჰყვება და იმისთანა ამბავს დააწევს, რომ სულ თავებდს გვაწყველინე! აჰ ხომ სულ შინაურნი ვართ და რალა დავმალო (ელმირზე უჩვენებს): ჩამაქვავეთ თუ ქალბატონზე არ იქვიანობდეს.

ქ. პერნელი. სსუ, სსუ, შე უნამუსო, შენა! — თქვენი სტუმრებისა მარტო ტარტიუფი კი არ არის წინააღმდეგი! დღედაღამ იმოდენი ხალხი ირევა, რომ ერთი ალიაქოთი დგას თქვენს სახლში: სტუმრებიო, ეტლებიო, მოსამსახურენიო... ისეთი ორომტრიალია თქვენს ქუჩაში, რომ ქვეყნის სალაპარაკოდა ხდებით. რატომ? შეიძლება ცუდს არას ჩადიოდეთ, მაგრამ ყბადაღებულო, წყალწალღებულო, ხომ გაგიგონიათ.

კლემანტი. იქნება ქვეყანას გაჩუმებას უპირებთ, ქალბატონო? ვინ იტყვის, ნათესავსა და სწორ-ამხანაგს გაეწირავ, ყველას ჩამოვეცლები, ოღონდ ჩემზე ნურავინ რას იტყვისო? და კიდევ რომ გამოჩნდეს ვინმე ეგეთი და ყველას განზე გაუდგეს, განა მით ქვეყანას გააჩუმებს? ჭორს და ტილისწამებას, თუ გნებავთ, რომ არ გავნონ, ყურადღებას ნუ მიაქვავთ. თქვენ ცუდს ნურას იწამთ, და ქვეყანაზე ყბელიც ბევრია და ჭორიკანაც, იმათ ენას ვერავინ აუბამს.

დორინი. ნეტა ვინ რას ამბობს ჩვენზე? იქნება ჩვენი მეზობელი დაფნე და მისი პატიოსანი ქმარი ბედავენ რასმე? სხვის საქციელს რომ ისინი გასკორავენ ხოლმე, ვინც თვითონ უარესად იქცევა! რაკი თვითონ შესტოპავენ, მერე სულ იმასლა ზრუნავენ, თავიანთსავით წამხდარი სხვაც იპოვონ და, თუ ვერავენ ნახეს, ცილსაც კარგად შესწამებენ! ბუხი რომ არსად იყოს, სპილოდ მოელანდებთ და ცხელ-ცხელი ქორების მასალა გაუჩნდებთ: თავისას სხვას შესძღვნიან, არავის დაინდობენ, რასაც თვითონ ჩაღიან, სხვას გადააბრალებენ. ყველას ჩირქს შვაცხებენ, ყველას ცოდვით შესვრიან... ქვეყანა ასეაო, მერე ბრძნულად იტყვიან. ჩვენ ნუ დაგვძრახავს ვინმე, სხვა უარესიაო, მრუშობა და ფლიდობა ცხოვრების წესიაო.

ქ. პერნელი. საიდან სადაო, გენაცვალეთ, არ მეტყვიოთ! ქვეყანამ იცის, რომ ცოლიც და ქმარიც ძალიან პატიოსანი და ღვთის მოსაუნი არიან, და თუ გძრახავენ, თქვენი სიყვარულით მოსდით და არა ჯიბრით და სიძულელით.

დორინი. გმადლობთ, ქალბატონო. რომ მისაბძავად მაგისტანა პატიოსანი ქალი დაგვისახელეთ. მართალია, მოლოზნასავით განცალკევებულად ცხოვრობს ახლა დაფნე, მაგრამ იცით, რა არის მაგის მიზეზი? თაფლი აღარა აქვს და ბუხიც აღარ ეხვევა. თორემ, როცა ყმაწვილი იყო და მსურველს შოულობდა, ძალიან თურმე მისდევდა სიამოვნებას. მაშ, ქა! თავისი თვალითა ხედავს, რომ დაბერდა, დაქენა და, ვინც გუშინ ფარვანასავით თავს ევლებოდა, ღღეს ყველა ერიდება. იმათ გაქცევას, მე გაერეკო, ის არა სჯობიაო, იფიქრა და თაღხით დაიფარა ჩამომხმარ ღაწვთა სისუსტე. ყოველთვის ასე ყოფილა და კვლავაც ასე იქნება: სიყმაწვილეს რომ უნაშუსოდ გაატარებს ქალი, სიბერეში სინანულს შეუდგება, მეტადრე, როდესაც არშიყი აღარავინ შერჩება: ყველას სასტიკად განსჯის, ყველას ჰკიცხავს და ლანძღავს. პატიოსნად ამ ქვეყნად აღარავისა სახავს. მაგრამ იცით, რით მოსდის? სიწმიდე არ გეგონოთ: ჰშურს, რომ დაბერდა, დაქენა და აღარავინ სწყალობს.

ქ. პერნელი. აი, ჩემო რძალო, შენი სასიამოვნო სიტყვები. ბარემ ვიცი, გინდა პირში ჩალაამოვლებული გამისტუმრო, მაგრამ მაინც გეტყვი ჩემსას, თუნდა ქვეყანა ჩამოინგრეს: ჩემი შვილი ბედს იმ ღღეს ეწია, რა ღღესაც ტარტიუფს შეხვდა და სახლში შეიყვანა. წმიდაა-მეთქი, გეუბნებით, ეგ კაცი! წმიდაა, ცით მოვლენილი თქვენდა მოსაქცევად, თქვე უგუზურნო! ნუთუ ვერა ხედავთ, თქვე სულით ხორცამდე დაღუპულნი, რომ თქვენი ხსნა იმის ხელთ არის? ნუთუ არ გეყურებათ, რომ ყოველს მის სიტყვას ისე უნდა. ისმენდეთ, რო-

გორც ახალს აღთქმას? აკი გეუბნებათ, ეშმაკისაგან არის ლხინი და დროს გატარებო, სტუმრები და არშიყობაო! რატომ არ გეუბრებათ? რას ხედავთ კარგს თქვენს ყოფაქცევაში და დროს გატარებაში? სამღვთო სჯულისას თქვენ არას ზრუნავთ და სულის ცხოვრებისას. შეიყრებით და მოჰყვებით უნამუსო სიცილს და უფრო უნამუსო სიმღერებს. სიმღერით რომ მოიღლებით, ახლა ჰორიკანობას დაიწყებთ და გაუკილავი აღარავინ გადაგრჩებათ. კმარა, რაც ხანი გაჩუმებულნი ვიყავით! უფროსმა რომ ყური არ უგდოს, ბავშვი კლდეზე გადავარდებო. ისე თქვენა: აწალი ბაბილონია თქვენი ცხოვრება (კლენატზე უჩვენებს). აგერ ცოფი ერევა ვაებატონს! რაში მოეწონება აბა ჩემი სიტყვა (ელმირს) კმარა, კმარა, ჩემო რძალო! (სილას გაჰკრავს ფლიპოტს). რა დროს ძილია, შე სასიკვდილე, შენა! გენაცვალეთ, ისე ამოქნარებს, თითქო ქვეყანას გადაყლაპვას უპირებდსო! მე დაგამოქნარებო.. გადასდგი ეგ აღრე და მალე დასაღუნებელი ფეხები.

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ი

კლენტი, დორინი

კლენტი. მე აღარ გავყვები, თორემ ისე გამომლანძლავს, რომ შეუგინებელი აღარა დამიტოვოს-რა.

დორინი. გაეგო ეგ სიტყვები! მერე თვითონ იცოდა, რა პასუხსაც გაგცემდათ.

კლენტი. რაზე გამოგვლანძლა ამოდენი ხალხი? სწორედ გიყია, ისეა გატაცებული თავის ტარტიუფით.

დორინი. დედას რა უშავს? თქვენ შვილი უნდა ნახოთ, ის უარესია, გიყი თუ გნებაეთ, აბა ის არის: ტარტიუფს ძმას ეძახის და ის უფრო უყვარს, ვიდრე თავისი ცოლი და შვილი. საიდუმლო აღარა აქვს რა, ყველაფერს იმას უზიარებს და უიმისოდ საქმეს არას დაიქერს. აფუფუნებს, ანაზებს, ფეხქვეშ ეგება და, გარწმუნებთ, საყვარელი რომ ჰყოლოდა, ისე არ უაღერსებდა, როგორც ტარტიუფს უაღერსებს. სუფრას გავშლით, და სუფრის თავში იმას გამოსქიმავეს; საქმელს მოვიტანთ, ყველაზე უწინ იმას მიართმევს და, რაც კარგი ნაქრებია, სულ წინ დაულაგებს. იმასაც რა ეხარჯება? თვითო იმისთანა ლუკმას გადააგდებს, რომ დამშეულ მუშას გაუქირდება. ათი კაცის ოდენსა სქამს, ლორივით იყრის ყველაფერს. აუფარდება მერე ბოყინი და ჩენი ბატონი კი თავს ევლება და სასუნებელს აწვდის. გიყია, გიყი! ტარტიუფის იქით აღარა სწამს-რა! ტარტიუფს შეჰხარის და ტარტიუფსა ფიცავს! ყოველი მისი სიტყვა ახალ მცნებად მიაჩნია და

ყოველი მისი საქციელი — სასწაულად. მერე იმ გაიძვერამაც გაუგო ბატონს სისუსტე და ისე იქცევა, რომ უფრო და უფრო თვალს უბამს, აქაო და ბატონს მოსწონსო, მთელი დღე ჩვენს დარიგებაში და ქადაგებაში არის. იმისთანა გაიძვერა რამ არის, იმისთანა ფლიდი და თვალთმაქცი, რომ ცალი არავინ ეყოლება. მოსამსახურეც რომ თავისავით გაქნილი ჰყავს! ამას წინათ მოგვდგა და ლანძღვა დაგვიწყო — სამკაულები რად გინდათო?! ზოგს საკაბე გადაგვიგდო, ზოგს ფერ-უმარული, ზოგს თაეშალი. ხატთან ხელსახოცი გვქონდა დამალული; როგორღაც მიეგნო, გადმოიღო და ლუკმა-ლუკმად აქცია: არა გრცხვენიათ, თქვე სულწაწყმედილნო, წმინდა ხატთან სატანი-საგან შემოღებულს სამკაულს როგორ ინახავთო?!

ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ე

ელმზიბი, მარიაანი, ცაზი, ჯლუანცი, დორინი

ელმზიბი. რა კარგი ჰქენ, რომ არ წამოხვედი: რაც აქ დაგვაქლო, იქ შეგვისრულა... ჩემი ქმარი დავინახე, წავალ, შინ დაფუხვდები. ცლენატი. მე კი აქ დაფუცდი, მივესალმები.

ს ც ე ნ ა მ ე ო თ ხ ე

ჯლუანცი, ცაზი, დორინი

ცაზი. იქნება ჩემი დის ქორწინების შესახებ უთხრათ რამე მამა-ჩემს. ტარტიფუფი წინააღმდეგია ჩემი დის გათხოვებისა და ის გვირევს საქმეს, თორემ მამაჩემი აქამდე ან ჰოს იტყოდა, ან არას. თქვენ ხომ მოგეხსენებათ, ბიძაჩემო, რად ვცდილობ მარიაანის გათხოვებას: იქნება მერე ჩემი საქმეც გავირიგო.

დორინი. მობრძანდება.

ს ც ე ნ ა მ ე ხ უ თ ე

თბგონი, ჯლუანცა, დორინი

ორგონი. აა... ცოლის ძმას გაუმარჯოს!

ცლენატი. სიძე-ბატონს ვახლავარ, სიძე ბატონს! მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდი.

ორგონი. დორინ! (ცლენატს) უკაცრავად, შენი ქირიმე! ცოტა ხანი მომითმინე, ვიღრე გულს დავიმშვიდებდე და ოჯახის ამბავს გავიგებ-

დე. როგორა ხართ, დორინ? რას შერებთ, რას აკეთებთ? ახალი ხომ არაფერი მომხდარა ამ ორ დღეში?

დორინი. ქალბატონს გააცევა გუშინწინ, მერე სიცხე მისცა და საღამომდე არ გამოწვლენია. იმისთანა შაკიკი ჰქონდა, რომ კინალამ თავის ქალა ავარდა.

ორგონი. ტარტიუფი?

დორინი. ტარტიუფს რა უშავს? საშობაო ქოსმანიებით ჩასუქებულა და იმისთანა მშვენიერ ფერზე არის, რომ მტერსაც კი შეშურდება.

ორგონი. საწყალი კაცი!

დორინი. საღამოზე ქალბატონს გულის კიდილი აუვარდა და ვახშმად ბელი არაფრისთვის უხლია.

ორგონი. ტარტიუფი?

დორინი. სუფრაზე მარტოდმარტო გამოიქიმა და მშვენივრად შეეკცა: ორი დედალი შეკამა და ერთი კარგი ცხვრის ბარკალი.

ორგონი. საწყალი კაცი!

დორინი. ღამე ისე გავათენეთ, რომ ქალბატონს თვალი არ მოუხუკავს. ისე შეგვიწუხდა, რომ ჩვენც აღარ დავწეკით და მთელი ღამე თავს ვადეკით.

ორგონი. ტარტიუფი?

დორინი. ადგა თუ არა ვახშმიდან, მაშინვე თავის ოთახისკენ გასწია, ჩაწვა ღამაზად თავის ლოგინში, მთელი ღამე ისე ეძინა, რომ ფეხი არ გაუნძრევია.

ორგონი. საწყალი კაცი!

დორინი. ბოლოს, როგორც იყო დაგვთანხმდა ქალბატონი და სისხლი გამოიღო. მაშინ კი უკეთ შეიქნა.

ორგონი. ტარტიუფი?

დორინი. ქალბატონმა სისხლი გამოიღო, და სისხლის აღსადგენად ადგა და საუზმეზე ისე ღამაზად გამოიბრუვა წითელი ღვივით, რომ უკეთესი არ შეიძლება.

ორგონი. საწყალი კაცი!

დორინი. და ახლა ორივე კარგად გახლავან. მე გიახლებით და გავახარებ ქალბატონს: ვუამბობ, როგორი სიყვარულით მკითხავდით მის ამბავს.

ს ც ე ნ ა მ ე მ მ ს ე

თრგონი და კლუანტი

კლუანტი. ვერა ხედავთ, ჩემო სიძე, როგორ მასხარად გივდებთ ეგ გოგო? და, ღმერთმა ხომ იცის, მე თქვენი წყენა არ მინდა, მაგრამ მაინც, მართალი უნდა მოვახსენოთ, კარგს გიშვრებათ, რომ დაგცინით. გაგონილა, ისე როგორ გაგიტაცათ ვილაცა მაწანწალამ, რომ აღარც თქვენი თავისა გაგონდებათ რა, და აღარც თქვენი ცოლ-შვილისა? განა-ის არა კმარა, ოხერ-ტიალს, ვილაც მაწანწალას ბინა მიეცით, რომ ახლა...

ორგონი. კმარა, ჩემო ბატონო, კმარა! თქვენ არ იცნობთ იმ კაცს, რომლის აეს აგრე ადვილად ბრძანებთ.

კლუანტი. დაე, ნუ ვიცნობ, თუ კი თქვენ აგრე გნებავთ, მაგრამ კაცი თავისი საქციელთ იცნობა და...

ორგონი. მერწმუნეთ, სულში ჩაიძვრენთ, რომ იცნობდეთ, სალოცაე ხატად დაისვენებთ. იცით, რა კაცია!.. იცით, რომ კაცს... ჰო!.. დიახ... ერთი სიტყვით საკვირველი კაცია! რასაც ქადაგებს, თვითონაც იმას სჩადის, სინილისის ქენჯნისა არა იცის-რა, და დიდიხანია შეგნებული აქვს ქვეყნიური არარაობა და ამოცემა. სულ სხვა კაცად ვხდები, იმის ბაასს რომ ვისმენ; იმის ზეგავლენით შემძლია მე უძლურს ავიძულო ყოველივე მიწიერი, თვით უსაყვარელისი ჩემი ნათესავი და მეგობარი, და სრულიად თავისუფლად ვგრძნობდე სულს. დღესვე რომ დამეხოცნენ ყველანი — და, ძმა, ცოლი და შვილი, — ისე არას ვიდარდებ, როგორც შარშანდელი თოვლის გადნობას.

კლუანტი. კარგი მოუვა, კარგი გავლენა იმასა ჰქონია!

ორგონი. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ შევხვდით ერთმანეთს, იქნება თქვენც ჩემსავით შეგყვარებოდათ. ეკლესიაში ისე არ შევიდოდრი, რომ ისიც არ მოსულიყო. იქვე ჩემთან მოვიდოდა და მუხლს ნოიყრიდა. იმისთანა გულმხურვალედ შეჰლაღადებდა უფალს, რომ მთელი კრებულის ყურადღება იმისკენ იყო მიქცეული: მწარედ გმინავდა, თავს ქვას ახლიდა და გულში ცემით თვალცრემლიანი შესთხოვდა ყოვლად შემძლებელს. რა დამინახავდა შინისკენ მიმავალს, წინ გამისწრებდა, კარებში მელოდებოდა და აიაზმის წყალს მომაწოდებდა. მოსამსახურეც ხომ თავისავით ღეთისმმოსავი, ჰყავს, უნდა იცოდეთ... დიახ, მოსამსახურისაგან გავიგე, ვინც იყო და რა შეძლების პატრონი. ცოტა რამ შევთავაზე, მაგრამ გაანაწილა და უმეტესი ნაწილი უკანვე დამიბრუნა: მეტისმეტია, ბატონო,

მეტისმეტია, ნახევარიც მეყოფა! რა ღირსი ვარ მე უბადრუკი თქვენის წყალობისაო! და რაკი ვეურჩებოდი და არ ვართმევდი, იქვე ჩემ თვალწინ, გლახებს გაუნაწილა და დაურიგა. ბოლოს, როგორც იყო, შინ მოვიტყუე და აღარ გავუშვი. ის არის და ის, ბედი ეწვია ჩემს ოჯახს. იმასაც გაგიტებით ვუყვარვარ და ჩემი სიყვარულით ჩემს ცოლსაც კი ჰპატრონობს: ყოველთვის მეუბნება, თუ ვინმე ეარშიყება, და ერთი ათად უფრო ძალიან იქვიანობს, ვიდრე თვითონ მე. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა წმიდა კაცია! არც კი დაიჯერებთ, კიდევ რომ მოგახსენოთ. წერილმანი რამ მოუვა ისეთი, რომ სათქმელადაც კი არა ღირს: წაიშენს თავში და პირში — ღმერთო შეგცოდნე, სული წავიწყმიდნო, ამას წინათ კინალამ ჭკუაზე შეიშალა საწყალი: ელოცულობდი, ღმერთს ვვედრიდი, ამდროს რწყილმა მიკბინაო... დავიკირე და გავსრისე... სატანამ შემიცლინაო.

კლევანტი. რა ვქნა, თქვენა ხართ გიგი, ჩემო სიძევ, თუ მე მხლით გიქალ? დამცინით, თუ რა არის, ემაგ სისულელეს რომ ჩმახავთ?

ორგონი. ფრთხილად, ფრთხილად, ურწმუნოვ, ღმერთს ნუ სცოდავთ! მაგრამ რა? თქვენი სული რომ სატანის კერძია, ეგ დიდხანია ყველამ ვიცით.

კლევანტი. ემანდა თქვენი და თქვენისთანების პასუხი: ურწმუნო ხარ, ღმერთსა სცოდავო. თვითონ ხომ ბრმანი არიან და უნდათ სხვაც დააბრმავონ. თუ არ გარყვნილებიანათვის, რად გინდა, რომ თვალს ახელო? თქვენი აზრით, ღმერთსა სცოდავს და უარპყოფს, ვინც ფარისევლების წინააღმდეგია. მაგრამ თქვენ რაც გინდათ ბრძანეთ. მე ჩემსას არ დავიშლი, მე ყველგან და ყოველთვის დატურიდებლივ ვიტყვი ჩემსას და, თქვენ და თქვენისთანები თუ დაძძრახავენ, ღმერთმა ხომ იცის გულთამხილაება ჩემი პასუხი. ან როგორ არა ვსთქვა? რამდენია, რომ ვაეკაცის ხმა აქვს გავარდნილი და ნამდვილად კი მხდალზე მხდალია? რამდენია, რომ დღედაღამ ლოცვებს ბუტბუტებს და საქმით კი ქვეყნის დამლუპველია? როგორც კარგი ვაეკაცი არ იკადრებს კვენას და ბაქიობას, ისე გულწრფელი ღვთისმმოსავი მოერიდება ხალხში თავის გამოჩენას და ყურადღების მიპყრობას. არა, ნუთუ თვითონ თქვენ კი ვერ არჩევთ თვალთმაქცს, ფარისეველს და ქეშმარიტ ღვთისმმოსავს? ნუთუ ერთსაც და მეორესაც ერთნაირად მოექცევით და ერთნაირად მოიწონებთ: ადამიანის ნამდვილ სახეს და მის ნილაბს? ნუთუ განსხვავებას ვერ ჰპოვებთ გულწრფელსა და თვალთმაქცს შორის, ქეშმარიტსა და ყალბს შორის? ნუთუ ლანდს ადამიანად მიიღებთ და ყალბს ფულს კარგ ფულად? უცნაური რამ არის ადამიანი: სულ იმის ცდაშია, რომ ნამდვილი

თავისი ბუნება არავის დაანახვოს. ღვთის მოცემულს არც ნიქს სჯერდება, არც გონებას: ცდილობს, ხალხის თვალში მეტად გამოჩნდეს, ვიდრე შეუძლია, იქიმება, იფხრიწება და სამარცხვინოდ ხდის ყოველს თავის ღირსებას.

ოზგონი. დიახ, ჩემო ბატონო, ჩვენს დროში მარტო თქვენლა ბრძანდებით მსწავლულთ-მსწავლული და ბრძენთა-ბრძენი. თქვენ-ლა ბრძანდებით წინასწარმეტყველი, ქეშმარიტების მოციქული, კატონი, სოლომონ ბრძენი და თქვენს გარდა სხვა ყველა ტყის ნადირი და მხეცია, ოტროველა რეგვენია.

კლვანტი. ღმერთმა ხომ უწყის, ჩემო სიძვე, მე არც მსწავლულად მიმაჩნია თავი, არც კატონად და არც სოლომონ ბრძენად. მაგრამ რაც უნდა უსწავლელი ვიყო, ქეშმარიტის და ყალბის გარჩევა კი მაინც ვიცი. ქვეყნად სარწმუნოების მეტი ხომ არა გაგვანჩია რა სასუფეველის მოსაპოვებლად და რა გასაკვირველია, რომ ყოველგვარ ყალბისმქნელს და ფლიდს შორის უმეტესად სარწმუნოების შემარცხენელი თვალთმაქცი ავითვალწუნო! განა საზიზღარი არ არის ფარისეველი, რომელიც ადამიანის უწმინდესს გრძობასაც კი არ ინდობს, და პირადი, წუთიერი კეთილდღეობის მისაღწევად, ღმერთს შეუდგება ურწმუნო! სარწმუნოებას ხელობად და სავაქროდ გაიხდის, მუხლის თავზე ცოცვას დაიწყებს, სულ რაღაცას ბუტბუტებს და გულში მუშტს იცემს. ხალხს ქუა თვალში აქვს და რა მოინდომოს სულმა და გულმა, რომ ამ ხალხმა მე არ მომანიქოსო. განა საზიზღარი არ არის ფარისეველი, რომ ხალხში ისეა მიკრძალებული, თითქო ჭიანჭველას ვერ გასრისავსო, და პირადი ინტერესების დასაცავად კი ძმას არ დაინდობს! განა საზიზღარი არ არის თვალთმაქცი, რომ ენა ტკბილად აქვს მოქარგული და გული გესლითა აქვს აღსავსე! არც ღმერთი სწამს, არც ხატი, არც სჯული და მოყვასი, და სარწმუნოებას იარაღად იხდის თავის ბინძურ წადილთა მისაღწევად. კიდეც კარგი, რომ ადვილი საცნობი არის ქვეყნის გამრყენელი, თორემ დაილუპებოდა ქვეყანა. კაცმა მოინდომოს, თორემ ბრმაც რომ იყვეს, მაინც იცნობს ფარისეველს და ქეშმარიტს ღვთისმშობლავს: ბუკსა და ნალარას კი არ დაჰკრავს, ვისაც მართლა სწამს — ხალხო, ხომ ხედავ, რა მლოცველი ვარო! გმინვას და კვნესას კი არ დაიწყებენ ეკლესიაში და მუხლზე ცოცვას, რომ ხალხის ყურადღება მიიპყრას და წმიდანის სახელი მოიპოვოს. ვისაც ქეშმარიტად სწამს და სასუფეველის მოპოვებას ცდილობს, საიქიოსას ცდილობს და არა სააქაოსას, და ხალხოდ არ გამოიტანს თავის რწმენის წმიდათაწმიდას. საქმით ამტკიცებს, ვისაც მართლა სწამს, და კვენას და ყიჟინას არ საქი-

როებს. ღეთისნიერი კაცი არც დარიგებით შეაწუხებს ვისმე, არც თავისი მაგალითით, და თავისდღეში არ გასწირავს ადამიანს, რაც უნდა ცოდვილი იყოს. მაღლიანს ცოდვა სძულს და არა ცოდვილი. მეც მარტო ამისთანასა ვცემ პატივს და მარტო ის მიმაჩნია ღირსეულ და სამაგალითო ქრისტიანად. თქვენი მეგობარი კი, თუ მართალს მათქმევენებთ, სულ სხვა ჯურის კაცია და, არ ვიცი, რითი აგვიბათ თვალი, რომ მისი სიყალბე ვერ შეგიფიქრიათ.

ორგონი. გაათავე, ბატონო, ჩემო ცოლის ძმავ?

კლევანტი. დიახ.

ორგონი (მიდის). თქვენი უმორჩილესი მონა.

კლევანტი. ერთი სიტყვა კიდევ, ჩემო სიძევ. მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ. გეხსომებათ, რომ ვალერს ქალის მიცემა ალუთქვით?

ორგონი. დიახ.

კლევანტი. ქორწინების დღეც დანიშნეთ.

ორგონი. მართალია.

კლევანტი. მაშ, რაღად აგვიანებთ?

ორგონი. არ ვიცი.

კლევანტი. იქნება სხვა განზრახვა გაქვთ რაიმე?

ორგონი. შეიძლება.

კლევანტი. იქნება გინდათ თქვენს სიტყვას უმტყუნოთ?

ორგონი. მე მაგას არ მოგახსენებთ.

კლევანტი. დამაბრკოლებელი, მგონი, არაფერი გაქვთ, რომ ალუ-თქმული აუსრულოთ?

ორგონი. ვინ იცის?

კლევანტი. პო თუ არა, მითხარით და გაათავეთ! რა ცოცხალი თევზივით მისხლტებით ხელიდან. ვალერმა მთხოვა თქვენი ნახვა.

ორგონი. გმადლობ, შენ ღმერთო, ამ წყალობისთვის.

კლევანტი. პო და რა პასუხი მივუტანო?

ორგონი. რაც თქვენი სურვილი იყოს.

კლევანტი. საჭიროა, თქვენი განზრახვა ვიცოდე. რას აპირებთ, არ იტყვიეთ?!

ორგონი. რასაც ღმერთი ინებებს.

კლევანტი. ახირებულა, თქვენმა მზემ! ვალერს რომ სიტყვა მიეცით, აუსრულებთ თუ არა?

ორგონი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

კლევანტი (მარტო). წასულია ვალერის საქმე და რაც მალე შეეატყობინებ, ის ეგობინება.

მოქმედება მეორე

ს ც ე ნ ა პ ი რ მ ე ლ ი

ორგონი, მარიანი

ორგონი. მარიანი!

მარიანი. რას მიბრძანებთ?

ორგონი. აქ მოდი, მინდა საიდუმლოდ გითხრა რამე.

მარიანი (ორგონს, რომელიც იჭაურობას ათვლიერებს). რას ეძებთ?

ორგონი. მინდა დავრწმუნდე, რომ ყურს არავენ გვიგდებას. ჰო, არავენ ყოფილა. აი, შეილო, რა უნდა გითხრა: როგორც ყოველთვის მამის მასიამოვნებელი იყავი, ისე ღირსეულადაც მინდა დაგაჯილდოვო.

მარიანი. ღმერთმა თქვენი სიყვარული და წყალობა ნუ მომაკლოს.

ორგონი. ერთიც და მეორეც შენზე არის დამოკიდებული, შეილო!

მარიანი. ვიცი, ბატონო, და სასახელოდ მიმაჩნია თქვენი სიყვარული.

ორგონი. შენ გიშველა ღმერთმა. როგორ მოგწონს, შეილო, ტარტიუფი, ჩვენი სტუმარი?

მარიანი. მე?

ორგონი. დიახ, შენ. ნუ, შეილო, ნუ გრცხვენია; აბა ვნახოთ, რას შეტყვი.

მარიანი. რა ვიცი! ტარტიუფისას, რაც გნებავთ, იმას მოგახსენებთ.

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

ორგონი, მარიანი, ფორინი (შემოიპარება და ორგონს უკან ამოუდგება)

ორგონი. აი კუჩიანი სიტყვა მაგასა ჰქვია! ჰო და მე მნებავს, შეილო, შენგან გავიგონო, რომ ყოველი ღირსებით აღსავსე კაცია ჩემი მეგობარი, რომ შენი გული უკვე იმას ეკუთვნის და ბედნიერია მაშინ იქნები, როდესაც ტკბილი უღელით შეუერთდები.

დორინი. რაო?

ორგონი. ეს ვინ იყო?

მარიანი. რაო? რა მიბრძანეთ?

ორგონი. ვინ იყო, მეთქი?

მარიანი. იქნება ყურმა მოგატყუათ?

ორგონი. რას იტყვი, შვილო?

მარიანი. ვინ გნებავთ, მამაჩემო, რომ ყოველი ღირსებით აღსავსედ მიმაჩნდეს და საქმროდ მენატრებოდეს?

ორგონი. ტარტიუფი.

მარიანი. სრულიადაც არა, მამაჩემო, ღმერთს გეფიცებით, არა! ნეტა, რამ გაფიქრებინათ, რომ მე მაგისტანა საზიზლარს აზრს გავეტარებდი გულში?

ორგონი. მე ასე მსურს და ასე უნდა იყოს.

მარიანი. როგორ? თქვენ გნებავთ, მამაჩემო..?

ორგონი. დიახ, მე მნებავს, ჩემო კარგო, ტარტიუფის დანათესავება და ამ მიზნით ქალს ვაძლევ. ტარტიუფი შენი ქმარი უნდა იყოს, მე ეს უკვე გადავწყვიტე და რადგან შენის გათხოვების შესახებ მე... (დორინს დაინახავს). აქ რა გინდა შენ? ისე როგორ გაგიტაცა ცნობისმოყვარეობამ, რომ შემოგვეპარე და ყურისგდება არ ითაკილე?

დორინი. უნდა მოგახსენოთ, ჩემთვის ახალი აღარ გახლავთ ეგ ამბავი და ამასწინათაც მოვკარ ყური რალაცა ქორებს, მაგრამ მაგისტანა სისულელეს რა დამაჯერებინებდა?

ორგონი. მერე რას ხედავ მანდ დაუჯერებელს?

დორინი. დაუჯერებელი როგორ არ გახლავთ, ბატონო, რომ თქვენი სიტყვაც კი არა მჯერა?

ორგონი. ჰო და მე ვიცი, როგორც დაგაჯერებთ.

დორინი. ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ, რამდენი ხანია გულიანად აღარ მიცინია.

ორგონი. სასაცილოს კი არა, მე იმას ვბრძანებ, რასაც ხვალ თქვენი თვალითა ნახავთ.

დორინი. იჰ, კარგით ერთი!

ორგონი. არ გეხუმრები, შვილო!

დორინი. მართალი კი არ გეგონოთ, ქალბატონო: დღეს მეტად კარგ გუნებაზე ბრძანდება ბატონი და ხუმრობს.

ორგონი. მე გეუბნებით...

დორინი. რომ არც კი ეცინება!

ორგონი. შენ წერას ხომ არ აუტანიხარ, გოგო?

დორინი. მჯერა, ბატონო, მჯერა! როგორ? ჭკუიანი კაცის შეხედულება მქონდეს, ე მაგოდენი წვერი დამეშვას და ისე გავგიჟდე, რომ...

ორგონი. აჰა, თუ არ შემომელახოს ერთი სულიერი!

დორინი. რადა, ბატონო? არ შეიძლება, გულდამშვიდებით ვილაპარაკოთ? არა, დავცინით, თუ რა არის, მტკნარ უაზრობას რომ გვიბრძანებთ? ასი ქალი რომ მყავდეს, ერთს არ მივსცემ იმ მუზმუზელას. ან რა ნასეთ იმაში სახარბიელო? რას შეგძენთ, ნეტავი, იმისი გატლევითი ჯიბე და ქისა? განა ქვეყანაზე კაცი გაწყდა, რომ ტარტიუფს ქალს აძლევთ?

ორგონი. ჩუ! გაჩუმდი, შე სულელო! სწორედ იმიტომ არის ყველასავე პატივსაცემი, რომ არაფერი აბადია. სიღარიბე საძრახისი არ არის და მეტადრე იმისთანა წმიდანისთვის. იმას მიწიერი, წუთისოფლისა არა უნდა რა და საიქიოს იმზადებს დიდებას და განსვენებას. იცი, რამოდენი სარჩო-საზადებელის პატრონი ყოფილა? მაგრამ რაკი სულის საქმეს შესდგომია, უარუყვია ყოველი სიმდიდრე. როცა სიძვედე შემოვიყვან სახლში, დავებმარები და თავის მამა-პაპეულ მამულს გამოვუსყიდო. თუ არა და რაც უნდა ჯიბე გატლევითი იყოს, მაინც ცხადად ეტყობა, რომ პატიოსანი კაცია და პატიოსანის გვარის შვილია.

დორინი. დიახ, ის მოგახსენებთ მაგას. ის იკვებხის და — იქნება თქვენც დამეთანხმოთ — ეგ ამაოება არად შეჭფერის მის წმინდანებას. კაცი რომ სულის საქმის შეუდგება, გვარიშვილობით და სიმდიდრით აღარ უნდა ამყობდეს. სად ღვთისმშობსავი, ლოცვათა და მარბევია მისუსტებული, და სად ეგ კვებნა და ბაქიაობა? მაგრამ, მგონი, გწყინთ ჩემი სიტყვა. მაშ, თავი დავანებოთ იმის დიდებულ შთამომავლობას და თვითონ იმაზე ვილაპარაკოთ. ქრისტე-ღმერთი ჭკუით იცნესო, ნათქვამია. არა, ვილაც მაწანწალას რომ ქალს აძლევთ, იმას კი ძლარა ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება მაგ კავშირს? განა არ იცით, ქალს რომ ძალად გაათხოვებენ, განსაცდელს მიაყენებენ მის ნამუსს და პატიოსნებას? ქალის ნამუსი მის ქმრის ხელთ არის; ვაი იმისი ბრალი, თუ ვერ მოახერხა და გულის გზა ვერ უპოვა; ქვეყნის მასხარა გახდება, იმოდენა რქები გამოუვა გამოტყინებულ თავზე! ან არა და ვინ იქნება გიჟი, რომ ძალად გადაკიდებულს, ძალით გამარჯვებულს ქმარს არ უღალატოს? ჰო და იმას მოგახსენებდით: სულით ხორცამდე წაწყმედილი უნდა იყოს მამა, რომელიც ქალს ძალად გაათხოვებს და უნამუსობის გზაზე დააყენებს! სააქოსაც შერცხენილი და საიქიოსაც წაწყმედილი!..

ორგონი. მაგის დარდი ნუ გაქვს, კარგი დამრიგებელი ეყოლება.

დორინი. კარგ მთქმელს კარგი მსმენელი უნდაო. მე კი არ გარბობ, რომ ყურსაც არ იბერტყავთ.

ორგონი. კიდევ! ფრთხილად მეთქი: ემაგ გადარეულს კი არ აჰყვე, შვილო. მე მამა ვარ შენი და შენზე უკეთ ვიცი, რა გაგაბედნიერებს. მართალია, ვალერს აღვუთქვი, ქალს მოგცემ-მეთქი, მაგრამ ძალიან თამაშობს თურმე ქალადს; გარდა მაგისა, ძალიან გარყვნილი კაცი უნდა იყოს და ეკლესიაში ხომ სრულიად არ დაიარება.

დორინი. რაკი თქვენ ვერა ჰხედავთ! იქნება გნებავთ, ეკლესიაში იმ დროს და იმიტომ დაიარკობოდას, რომ თქვენ დაგენახვოთ? ეგ მარტო თქვენ ტარტიუფს შეუძლია.

ორგონი. ხმა გაიკმინდე! მე შენ არას გეკითხები! ერთი სიტყვით, ღმერთმა მოიხედა ჩემკენ, რომ ამისთანა ღირსეული კაცი მომივიღინა სასიძოდ. რა ვიცი, რა უნდა ინატროს ქალის გულმა, რომ ამისთანა, ყოველისფრით შემკულმა ქმარმა არ მიანიჭოს? რომ გესმოდეს, შვილო, რა ბედსა გწევ, დაჩოქილი შემეხვეწებოდი ქორწინების დაჩქარებას. შაქარივით შეადნებით ერთმანეთს, გვრიტებივით ილუღუნებთ თქვენს ბუდეში და თქვენზე უბედნიერესი და უტკბესი ცხოვრება, მგონი ბევრს არა ჰქონდეს წუთისოფელში. მორჩილი და მოსიყვარულე ქმარი გეყოლება; ისე მოჰქნი ხელში, რომ რასაც მოინდომებ, იმას უზამ.

დორინი. რქებს გამოაბამს და იმას უზამს.

ორგონი. სუ, შე უნამუსო, შენა!

დორინი. რქოსანთა ჯიშისა ვახლავეთ, ბატონო, განა არ ეტყობა?

ორგონი. ვერა ხედავთ ამ აჯილღას! როხაეს და როხაეს მოშლილი წისქვილივით:

დორინი. თქვენი სიკეთე მინდა, ბატონო, გული მტკივა და იმიტომ მოგახსენებთ.

ორგონი. გმადლობ, ტყუილად გულს ნუ იტყენ და ჩუმაღ იყავ!

დორინი. თქვენი სიყვარული მალაპარაკებს...

ორგონი. არ მინდა შენი სიყვარული.

დორინი. თქვენ ვინა გკითხავთ? მე მინდა და მიყვარხართ!

ორგონი. ოოჰ!

დორინი. ძვირად მიღირს თქვენი ღირსება და სახელი. არა, მე არ შემძლია გაჩუმებული ვიდგე, როდესაც თქვენს პარტიოსან ოჯახს ჩირქის მოცხებას უქადით.

ორგონი. აღარ გაჩუმდები?!

დორინი. ან რა სინიდისმა უნდა გამიძლოს, რომ კლდიდან გადავარდნას აპირებდეთ და არ დაგიპიროთ?

ორგონი. - გაჩუმდები თუ არა, შე გველის წიწილო?..

დორინი. დამიხედეთ ღეთისმშოსავეს! ხედავთ, როგორ გაბრაზდა!

ორგონი. აქ მომებჯინა სისხლი! რომ ველარ გაგაჩუმე! გაჩუმდი, გაჩუმდი!

დორინი. კარგი, გავჩუმდები, მაგრამ, ნეტავი ვიცოდე, ფიქრსაც დამიშლით? არ ვიტყვი, მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიფიქრებ.

ორგონი. იფიქრე, ჯანდაბას შენი თავი! ეცადე... (თავის ქალს) წინააღმდეგი აღარა გამაგონო რა, თორემ... კმარა... მე კეკელიან კაცს მეძახიან, და ასჯერ გავზომე, ვიდრე მოვკრიდი.

დორინი (იქით). გულზე გავსკდები, თუ პასუხი არ გავეცი.

ორგონი. მართალია, ტარტიუფი დიდი დარდიმანდი არაა, მაგრამ იმოდენი ღირსებით არის შემკული...

დორინი (თავისთვის). დიახ, ღორის დინგია!

ორგონი. შეხედულობით რომ არც კი მოგეწონოს, სხვაფრივ მოიგებს შენს გულს.

დორინი (თავისთვის). დიდი მომზიბლავი ვინმეა (ორგონი დორინისკენ მიბრუნდება და გულ-ხელდაკრებილი შესცქერის). მე ვყოფილიყავ ქალბატონის ალაგას! ვნახავდი, როგორ შემირთავდა ვინმე ჩემდა უნებურად! საკუთარი თვალით ვაყურებივინმე, როგორ იცის დედაკაცმა ჯავრის ამოყრა!

ორგონი (დორინს). მაშ, ჩემი სიტყვა ქარი ყოფილა, რალა?

დორინი. ნეტა, რა გინდათ? მე თქვენ არ გელაპარაკებით.

ორგონი. მაშ, ეგ რა არის?

დორინი. ჩემი ფიქრებია!

ორგონი (იქით). ძალიან კარგი. ეს უღვაში მომკერით, აი ეს ცალი უღვაში, თუ ხუთივე თითი ნიშნად არ დავასვი ლოყაზე. (მოემზადება სილის გასაკრავად. თავის ქალს ელაპარაკება, ყოველ სიტყვაზე გოგოს შესცქერის. დორინი გაკვირვებული დგას და ხმას არ იღებს). ასე, შევილო, უნდა იცოდე, რომ მამაშენი შენთვის ავს არას იზრუნავდა; უნდა დამეთანხმო, უკეთესს საქმროს... ვერც კი წარმოიდგენდი... (დორინს) რატომ აღარას ამბობ?

დორინი. სათქმელი აღარა მაქვს-რა.

ორგონი. ერთი სიტყვა კიდეც...

დორინი. არ მინდა.

ორგონი. რომ იცოდე, როგორ მქავა ხელისგული...

დორინი. ფულს მიიღებთ, ბატონო!

ორგონი. იმას გეუბნებოდი, შეილო, უნდა დაემორჩილო ჩემს სურვილს და ტარტიუფსაც ისე მოექცე, როგორც შენს საქმროს.

დორინი (გაიქცევა). სასაცილოა!

ორგონი (სილას მოუქნევს, მაგრამ გოგო აღარ დახვდება). შენ, შეილო, მოახლე კი არა, კირი შემოგიყვანია ჩემს სახლში, კირი! წავიდე. გავეცალო, თორემ ცოდოს შემამთხვევს რასმე. გამაბრაზა, სისხლი ყელში მომებჯინა! წავალ, გავივლი, იქნება ჰაერზე დავმშვიდდე.

ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ი

მარიანი და დორინი

დორინი. რა ვქნა, რა დაგემართათ? ხმას ვერ ამოიღებდით? არ შეგძლოთ თქვენი გულას პასუხი თქვენვე მოგეხსენებინათ მამითქვენისთვის? ნუთუ ისე მოისმინეთ ეგ საზიზღარი წინადადება, რომ გული არ აგიშფოთლათ? განა თქვენს მაგივრად მე უნდა ვლაპარაკობდე?!

მარიანი. არ ვიცი, განა, რა ახირებული კაცია მამაჩემი? რა ვქნა?

დორინი. ყოველივე, რითიც კი ამ განსაცდელს აიცილენთ.

მარიანი. მაგალითად?

დორინი. მოახსენეთ, რომ სიყვარული ბრძანებით არ არის; მოახსენეთ, რომ ქალი თავისთვის თხოვდება და არა თავის მამისთვის; მოახსენეთ, რომ ქნარი ქალს თავისთვის უნდა და თვითონ უნდა მოსწონდეს და არა მის მამას. მოახსენეთ, რომ ტარტიუფი-თქვენ არ მოგწონთ და, თუ აგრე ძალიან მოსწონს ბატონ მამათქვენს, თვითონ შეირთოს, თქვენ რას ჩაგციებიათ!..

მარიანი. მამაა მშობელი, უფლება აქვს, მაგეებს როგორ გაუუბედავ?

დორინი. კარგი და პატიოსანი. მაგრამ საქმეს არ უნდა დავუკვირდეთ?.. ვალერს გაგიყებით უყვარხართ და გთხოულობთ კიდევ. ერთი მიბრძანეთ: გიყვართ ვალერი, თუ არა?

მარიანი. რა გულქვა ხარ, დორინ! განა შენ მაგას უნდა მეკითხებოდე? განა, ასჯერ მაინც არ გადამიშლია შენთვის ჩემი გული? არ იცი, განა, რა საშინლად წაჰკიდებია ამ დამწვარ გულს ვალერის სიყვარული?

დორინი. მერყე ვინ იცის — ენა ამბობდა, თუ გულიც ემოწმებოდა?

მარიანი. ნუ, დორინ, ნუ შეურაცხმყოფ. განა არ იცი, რომ ჩემი ენა ყოველთვის გულის მოპასუხეა?

დორინი. ერთი სიტყვით: ვალერი გიყვართ?

მარიანი. ოჰ, როგორ გაგიყვებით მიყვარს!

დორინი. და როგორ გგონიათ, იმასაც უყვარხართ?

მარიანი. ვუყვარვარ.

დორინი. და, ორივეს გენატრებათ შეუღლება?

მარიანი. გენატრება და აგრე!

დორინი. ტარტიუფს რაღას უპირებთ?

მარიანი. თავს მოვიკლავ და ტარტიუფს კი არ გავყვები.

დორინი (დაინფით). მართლა ჭა, სრულებით გადამავიწყდა ეგ გარემოება: სიკვდილისთანა კარგი რა არის გაჭირვებიდან თავის სახსნელად! სიკვდილი მალამოა გაჭირვებულისა, ხსნა და წამალი!.. სწორედ ცოფი მომერევა, მაგისთანა უაზროს რომ მეტყვიან რასმე.

მარიანი. რა ვქნა, რა გაჯავრებს, დორინ? ისე როდი უნდა გაჯავრდე, რომ აწყენინო ვისმე.

დორინი. მე არაფრად მიმაჩნია იმ ქალის წყენა, ვინც თავის სიყვარულის დაცვა არ იცის.

მარიანი. რა ვქნა, რომ არ შემიძლია! ასეთი მოკრძალებული გაუჭინივარ ღმერთს.

დორინი. მოკრძალებული კი არა! შეყვარებული ქალი აფთარს უნდა ჰგავდეს, რომ ვისაც კლანჭი გაჭკრას...

მარიანი. მე ჩემი გავათავე: ვალერი დარწმუნებულია, რომ მიყვარს და ახლა თვითონ იცის, რა საშუალებას მიჰმართავს, რომ ტარტიუფისა და მამიჩემისაგან დამიხსნას.

დორინი. რაო, რაო? მამათქვენი რომ ერთი ახირებული, კერპი, გაჭკირი რამ იყოს, და ტარტიუფის სიყვარულით თვალეზაბმული ვალერს ქალს უქერდეს, განა ბრალი საწყალ ყმაწვილს უნდა დასდოთ?

მარიანი. რა ვქნა, საქვეყნოდ ხომ არ ვიძახებ — ვალერი მიყვარს და ტარტიუფი იმიტომ არ მინდა-მეთქი! ქალი ვარ, მერიღება, მრცხვენია! შენ კი გინდა რომ...

დორინი. არა, არა, მე არა მინდა-რა! მე ვხედავ, რომ თქვენ ტარტიუფის ცოლობა გნებავთ და, ძალიანაც შეეცდები, რომ წინააღმდეგი გირჩიოთ რამე. ან რა გიფი ვიქნები, რომ თქვენი სურვილი ვიცოდე და მე კი — ნუ მიჰყვები გულის თქმასა-მეთქი, ჩაგციებოდეთ. ან რით არის დასაწუნი ბატონი ტარტიუფი? მშვენიერი, წარმოსადეგი ვაჟკაცია, ყველასაგან პატივცემული და პატივსაცემი, ერთ დროს მდიდრადაც ყოფილა და დიდებაცა ჰქონია... დიდცხვირაა, დიდყურა და, დარწმუნებული ვახლავართ, ასეთი ყოველიფრით შემკული

ქმარი განუსაზღვრელს ბედნიერებას მოგანიკებთ და, ბატონისა არ იყოს, შაქარივით შეადნებით ერთმანეთს.

მარიანი. ოჰ, ღმერთო!

ღორინი. როგორ გაგიტაცებენ ვნებანი, იმისთანა ლელწამ ტანის ქმარს რომ ამოუღლებით გვერდში!

მარიანი. კმარა, ღორინ, შემობრალე. თუ იცი რამე, მირჩიე და, ოღონდ ტარტიუფისაგან დამიხსენ, ყველაფერს ვიზამ, რასაც მეტყვი.

ღორინი. თქვენგან არ მიკვირს! ქალი მამის მორჩილი უნდა იყვეს, თუნდა მაიმუნს რთავდნენ ქმრად. თქვენისთანა ბედნიერი განა იქნება ვინმე? არ ვიცი, ღმერთმანი, რას სჩივით? ჯვარს გადაიწერთ და მაშინვე შინ წაგიყვანთ თქვენი დიდებული ქმარი; გაგაცნობთ თავის ბებიებსა და პაპიდებს, დაჯდებით და სულ სულის საქმეებზე ილაპარაკებთ.

მარიანი. მაშ, მაგის მეტს არას მეტყვი?

ღორინი. რას მიბრძანებთ, თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს?

მარიანი. გენაცვალე, ღორინ...

ღორინი. ნეტავი კი ტარტიუფს მიგცენ და! აბა კჟუას მაშინ ისწავლით!

მარიანი. რას გეუბნები, ღორინ...

ღორინი. მე აღარა ვიცი რა!

მარიანი. რომ ვთქვა, ვალერი მიყვარს-მეთქი...

ღორინი. რა საჭიროა? თქვენი ბედი ტარტიუფია და მანამ ხელთ არ გიგდებთ...

მარიანი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, როგორ გენდობი: მითხარ...

ღორინი. არა! ჯერ გატარტიუფდით!

მარიანი. კარგი, მაშ! რაკი ჩემი მწუხარება შენ აღარად მიგაჩნია, აღარც მე შეგაწუხებ. ჩემს სიყვარულში მოვძებნი ხსნას და შევლას და, თუ ვერას გაეხდი, მე ვიცი, როგორ ვუპატრონებ ჩემს თავს. (წახვლას აპირებს).

ღორინი. ერიპა, სად მიბრძანდებით? აღარა ვჯავრობ, აღარა! რა ექნა, მეც რომ არ დაგეხმაროთ, ვილა გყავთ მშველელი?

მარიანი. კიდევ გეუბნები, თუ არ ამცდა ეს წამება, ტარტიუფის ცოლობას სიკვდილი მირჩევნია.

ღორინი. ნუ სწუხართ, ქალბატონო, რამეს მოვახერხებთ. მაგრამ, აგერ, ვალერიც...

ს ც ე ნ ა მ ე ო ტ ხ ე

მარიანი, ჯალღრა, დორინი

ვალერი. უცნაური ამბავი მითხრეს, ბატონო!

მარიანი. რა ამბავი?

ვალერი. მარიანი ტარტიუფზე თხოვდებო.

მარიანი. მართალია, მამაჩემს ძალიან უნდა შავის მოხერხება.

ვალერი. მამათქვენს ნებავს?..

მარიანი. დიახ, ეს არის ახლა გამიმზილა თავისი სურვილი.

ვალერი. ნუთუ მართლა?

მარიანი. დიახ, ბატონო, უკვე გადაწყვეტილი აქვს და...

ვალერი. თქვენა, ბატონო? თქვენი გული რაღას ამბობს?

მარიანი. რა ვიცი!

ვალერი. კარგი პასუხია, არ იცი?

მარიანი. არა.

ვალერი. არა?

მარიანი. თქვენ რას მირჩევთ?

ვალერი. მე გირჩევთ, ის შეირთოთ.

მარიანი. თქვენ? თქვენ მირჩევთ?

ვალერი. დიახ.

მარიანი. მართლა?

ვალერი. კეშმარიტად. დიდად სახელოვანი მეუღლე გეყოლებათ, და არ ვიცი, რად უნდა სწუნობდეთ?

მარიანი. ძალიან კარგი! რაკი თქვენ ბრძანებთ, ვეცდები ავასრულო თქვენი რჩევა.

ვალერი. მგონი არც გაგიჟირდეთ მისი ასრულება.

მარიანი. როგორც თქვენ არ გაგიჟირდათ ჩემთვის ეგ რჩევა.

ვალერი. მე იმიტომ გირჩიეთ, რომ თქვენი გულის წადილის წინააღმდეგი არ გავმხდარიყავ.

მარიანი. და მეც ავასრულებ თქვენს რჩევას, რომ თქვენი გულის წადილის წინააღმდეგი არ გავხდე.

დორინი (უკან უკან მიდის). ვნახოთ ერთი, რითი გათავდება ეს კამათი.

ვალერი. მაშ, ეგ იყო თქვენი სიყვარული? მაშ, მატყუებდით, როდესაც...

მარიანი. უმორჩილესადაა გთხოვთ, მაგაზე ნულარას ვიტყვი. თქვენ გულწრფელად მიბრძანეთ: ის უნდა შეირთო, ვისაც მამათქვენი

გირჩევთო. მე მოგახსენებთ: სწორედ აგრე მოვიქცევი, რაკი ეგ გახლავთ თქვენი სურვილი-მეთქი.

ვალერი. უმჯობესი იქნება, საბაბად ჩემი სურვილი არ გაიხადოთ. თქვენ უკვე გადაწყვეტილი გქონდათ ჩვენი აღთქმის დარღვევა და მიზეზს-ლა ელოდით, რომ თავიდან მოგეცილებინეთ.

მარიანი. მართალსა ბრძანებთ.

ვალერი. მე კი არ ვიცი! თქვენს გულს თავის დღეში არ უძგერიო ჩემთვის.

მარიანი. აგრე იყოს, ბატონო, აგრე იყოს.

ვალერი. და აგრეც გახლავთ. მაგრამ კარგად იცოდეთ, თქვენგან შეურაცხყოფილი წავალ და...

მარიანი. დარწმუნებული გახლავართ: თქვენ ისეთი ღირსეული ყმაწვილი კაცი ბრძანდებით, რომ ჩემზე უკეთესს ათასს იშოვით.

ვალერი. თაჳი დავანებოთ ჩემს ღირსებას: ვიცი უღირსი გახლავართ თქვენი და აკი ჭკუაუც მასწავლეთ. იქნება ვიპოვო სადმე კეთილი ვინმე, რომ შემიბრალოს და თქვენგან დაკოდილს გულს მალამო დასდოს.

მარიანი. დაკოდილი არა გქონიათ გული, თორემ აგრე საჩქაროდ სხვაგან არ მოსძებნიდით მალამოს.

ვალერი. რატომ იმას კი არ ფიქრობთ, რომ მოტყუებულს, შეურაცხყოფილს მაინც სიცოცხლე სწყურია და გულის სიმშვიდეს ველარ მოიხვეჭს, ვიდრე სამაგიეროს არ შესძღვნის მტარეალს? რალა დარჩენია დაწყლულბულს გულს, თუ არ დავიწყება? კაჳივით უნდა გამაგრდეს და, კიდეც რომ ვერ დაიმორჩილოს გრძობანი, არვის არ უნდა გაუმეღავნოს თავისი სისუსტე. ლაჩარი, სულმდაბალი უნდა იყოს კაცი, რომ ის უყვარდეს, ვისაც იგი სძულს.

მარიანი. დიდება თქვენს გულს და ვაჳაკობას!

ვალერი. დიახ, დიდება! არა, თქვენ გნებავთ ჩემი თვალით მაჳურებინოთ ჩემს უბედურებას და მაინც უკუნითი უკუნისამდე თქვენ შემოგტრფოდეთ, თქვენით ვხარობდე, თქვენით ვცოცხლობდე?

მარიანი. პირიქით, ბატონო! ნეტავი უკვე გყავდეთ ვინმე არჩეული.

ვალერი. ეგ გახლავთ თქვენი ნატვრა?

მარიანი. დიახ, ბატონო!

ვალერი. კმარა, ქალბატონი, რაც შეურცხყოფა მომაყენებთ! ახლავ წავალ და ავასრულებ თქვენს ნატვრას (მიდის).

მარიანი. ძალიან კარგი.

ვალერი (დაბრუნდება). ოღონდ ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ შემძულეთ და დამითხოვეთ.

მარიანი. დიახ, ბატონო!

ვალერი (ისევ მობრუნდება). ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მაგალითი თქვენ მაჩვენეთ და მე მხოლოდ თქვენი წაბაძვით მოგიტეც ასე.

მარიანი. ჩემი წაბაძვით? აგრე იყოს.

ვალერი. კმარა! მაშ კაცი არა ვყოფილვარ, თუ...

მარიანი. ძალიან კარგი.

ვალერი. მე ვილუპები, მაგრამ ჩემი ცოდვა თქვენ გედებათ.

მარიანი. ძალიან კარგი.

ვალერი (კართან მივა და მოიხუდავს). რა ბრძანეთ?

მარიანი. მე?

ვალერი. მგონი დამიძახეთ.

მარიანი. მე? მოგჩვენებიათ.

ვალერი. მაშ, მშვიდობით, ქალბატონო! (წელი ნაბიჯით მიდის).

მარიანი. მშვიდობით!

დორინი. შეშლილს ჰგავხართ ერთიც და მეორეც. ვდგევარ და ყურს გიგდებთ, — ენახოთ, რითი გაათავებენ-მეთქი. ერიჰა, ბატონო ვალერ! (ხელს დაუჭერს ვალერს და შეაყენებს).

ვალერი (ვითომ წასვლას ცდილობს). ეჰ, რა გინდა, დორინ?

დორინი. აქ მობრძანდით.

ვალერი. არა, არა! აივსო ფიალა მოთმინებისა. გამიშვი, დაე მოხდეს, რაც ამ ქალბატონს ნებაავს.

დორინი. გაჩერდით.

ვალერი. არა-მეთქი, არა! ჩემს გარდაწყვეტილებას ვერავენ, შემაცვლევინებს.

მარიანი (თავისთვის). იქნება მე გამიბრბის! იქნება დასანახავადაც კი ვეჯავრები! მაშ მე წავიდე, დავტოვო ის, არა სჯობია?

დორინი (ხელს უშვებს ვალერს და მარიანს გაუდგება). ახლა ეს! სად მიხვალთ?

მარიანი. თავი დამანებე!

დორინი. აქ მობრძანდით.

მარიანი. ნუ, ნუ, დორინ! ტყუილად ნუ სწუხდები.

ვალერი (თავისთვის). ისე ეძულვარ, რომ სანახავადაც კი ვეჯავრები. თუ კი აგრეა, რილასთვის ვტანჯავ, წასვლა არ მიჩვენია?

დორინი (მიატრევს მარიანს და ვალერს გაუდგება). დასწყევლოს ღმერთ-მა თქვენი ეშმაკი! კარგით, ნულარ იბუტებით! ორივ აქ მოდით. (ხელს დაუჭერს ორივეს და წინ მიიყვანს).

ვალერი. მერე რა გნებავს, არ იტყვი?

მარიანი. ნეტავი ვიცოდე, რა გინდა ჩემგან?

დორინი. მინდა შეგარიგოთ და საქმე გაგირიგოთ. (ვალერს): რა დროს ჩხუბია, ხომ არ შეშლილხართ!

ვალერი. ხომ გაიგონე, რას მირჩევდა ეს ქალბატონი!

დორინი (მარიანს). ერთი მიბრძანეთ, აგრე გაგიყება შეიძლება?

მარიანი. ხომ გაიგონე, რას მირჩევდა ეს ვაჟბატონი!

დორინი (ვალერს). სისულელე როგორ მხრივ! მერწმუნეთ, ჩემს ქალბატონს თუ მოჰკლავს რამე, თქვენი დაკარგვა მოჰკლავს. (მარიანს): ღმერთმა ხომ იცის, ვალერს თქვენს მეტი არაფერ უყვარს და, თუ მოჰკლავს რამე, თქვენი დაკარგვა მოჰკლავს.

მარიანი (ვალერს). მაშ, რალად მირჩევდით, გათხოვდით?

ვალერი (მარიანს). მერე რალას მეკითხებოდით? არ იცოდით, რა რჩევას მოგცემდათ ეს გული?

დორინი. გაგაგიჟოთ ჩემმა გამჩენმა. მოიტანეთ ხელი! (ვალერს): ხელი მეთქი!

ვალერი (ხელს მისცემს). ნეტავი შენა, ხუმრობის გუნებაზედა ხარ.

დორინი (მარიანს). თქვენი ხელი!

მარიანი (ხელს მისცემს). ნეტა, რა საჭიროა!

დორინი. ახლავე ნაზავთ. წინ წამოდექით. იცოდეთ, თქვენ ერთმანეთი გიყვართ და ერთმანეთისანი ხართ. (შეუერთებს ხელებს. ვალერი და მარიანი ცოტა ხანი ისე დგანან, რომ ერთმანეთისთვის ვერ შეუხედავთ).

ვალერი (მიუბრუნდება მარიანს). ნუ გიქირთ, შემომხედეთ.

დორინი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, სიყვარულმა გახელება იცისო.

ვალერი (მარიანს). არა, როგორ არა ვთქვა? რას მერჩოდით.

მარიანი. თქვენა? თქვენ რალას მერჩოდით, რომ ასე გულცივად მირჩევდით ტარტიუფის შერთვას?

დორინი. მაგის გამოკვლევას მერე შევეუდგეთ. თქვენ ისა ბრძანეთ, რა მოვახერხოთ, რომ ეს აღმაშფოთებელი ქორწინება ჩავშალოთ..

მარიანი. გვირჩიე რამე.

დორინი. ხერხი სჯობია ღონესაო, ხომ გაგიგონიათ. (მარიანს): მათქვენი დაგვცინის; (ვალერს): მაგრამ საქმე ბოლოა. (მარიანს): მე რომ თქვენ ვიყო, ჩუმაღ ვიქნებოდი, არას ვაწყენინებდი და ვითომ კიდევ დავთანხმდებოდი. იცით, რისთვის? თუ გაგვიქირდა და ვერა მოვაგვარეთ რა, უფრო ადვილად გადასდებთ ქორწილს. თუ კაცს დრო აქვს და თავში ჭკუა, ქვეყანას გადააბრუნებს. ხან ავადმყოფობას

მოიგონებთ, ხან ცუდ სიზმარსა ნახავთ, უბედურების მომასწავებელს ქორწინებისთვის; ხან იტყვიან, მღვდელი შემხედო, ხან კაქკაჰმა დამჩხაულაო. ერთი სიტყვით, უმთაფრესი დრო არის და... ოღონდ ერთად არავინ დაგინახოთ. (ვალერს): მიბრძანდით, ქვეყანა შესძარით და დაპირება აასრულებინეთ თქვენს სასიამაოროს. (მარიანს): ჩვენ წავიდეთ და კლეანტი ვნახოთ. თუ კლეანტი და თქვენი დედინაცვალი მოვიმხრეთ როგორმე, მერე აღარა გვიჭირს რა. ნახვამდის.

ვალერი (მარიანს): მე ქვეყანა ვერას მიშველის, ჩემი იმედი მართლ თქვენა ხართ.

მარიანი (ვალერს): მამიჩემისას ვერას მოგახსენებთ, და იმას კი გეტყვით, რომ მე თუ არ თქვენი, არავისი ვიქნები.

ვალერი. რა ბედნიერება მომანიჭეთ მაგ სიტყვით!

დორინი. ახლა ალერსით ველარ გაძღებიან. გასწით მეთქი, გეუბნებით!

ვალერი (მიდის). და ბოლოს...

დორინი. ვიცით, ვიცით! თქვენ აქეთ მობრძანდით! თქვენ იქით! (მხარს დაუპერს და აქეთ-იქით გაიყვანს).

მესამე მოქმედება

ს ც ი ნ ა ჰ ი რ შ ე ლ ი

ღამი, დღიანი

ღამი. შერცხვენილი ვიყო, თავს ლაფი მესხას, სწორ-ამხანაგში გამოვწყდე, თუ ისე არ გავუხადო საქმე იმ მუზმუზელას, რომ...

ღორინი. გთხოვთ დამშვიდდეთ, მამათქვენმა მარტო სურვილი გამოაცხადა ჯერ-ჯერობით. ყოველი სურვილი ხომ არ სრულდება? დიდი მანძილი გახლავთ სიტყვასა და საქმეს შორის.

ღამი. არა, ღორინ. მე თუ ერთი ჩემებურად არ ველაპარაკე, კეკუას ვერ ისწავლის. მარტო დაგვტოვე...

ღორინი. თავი დაიკირეთ! თუ გინდათ, კეკუა ასწავლოთ, ტარტიუფსაც და მამათქვენსაც თქვენი დედინაცვალი შეუჩინეთ; განა არ იცით, როგორ სჯერა ყოველი მისი სიტყვა ჩვენს მუზმუზელას! არ დაჰკვირვებინართ, თორემ თქვენც ჩემსავით ექვი შეგეპარებოდით: ტარტიუფს ქალბატონი უყვარს! და თუ ინება ღმერთმა და ჩემი ექვი გამართლდა... მაშინ აღარა გვიკირს-რა, და გარწმუნებთ, გამარჯვება ჩვენია. ასეა თუ ისე, გაბრაზებით ვერას გახდებით და საქმეს კი წაახდენთ. თქვენი დედინაცვალი უნდა გამოვიდეს ახლა და მოელაპარაკოს ტარტიუფს: უნდა გამოჰკითხოს, გაიგოს მისი წადილი და აუხსნას, რამდენი უბედურება მოხდება, თუ მართლა ღმერთი გასწყრომია და მარიანის შერთვა განუძრახავს. ტარტიუფის ბიჭმა სთქვა, ბატონი ლოცულობსო, და იმიტომ ვერა ვნახე. მაგრამ საცაა გაათავებს და ჩამობრძანდება. კარგს იზამთ, რომ წახვიდეთ: მარტო უფრო უკეთ მოვახსენებ ჩემს სათქმელს.

ღამი. რა გენადლებს, მეც აქ ვიყო? რას დაეუშლი?

ღორინი. არა, არა! სრულიად მარტონი უნდა დაეტოვოთ და ისე ველაპარაკოთ.

ღამი. ხმას არ ამოვიღებ.

ღორინი. თითქო არ ვიცოდე, რა გულფიცხი ბრძანლებით. გეუბნებით, საქმეს წავახდენთ მეთქი. მიბრძანდით!..

ღამი. გეფიცები, ხმას არ გავცემ...

ღორინი. რა კერპი რამ არის! ავერ მოდის! გადით! (ღამი პატარო თახში მიიმალება, სცენის უკანა მხარეს).

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

ჭარჭიუფი, დორინი

ტარტიუფი (დორინს რომ დაინახავს, ხმაშლივ უბრძანებს თავის მოსამსახურეს, რომელიც არა ჩანს): ლორან, ჰმოლტი და დადიანი შემინახე. ილოცე! ღმერთს შეევედრე, რომ ავ გზას აგაცდინოს. თუ მიკითხოს ვინმემ, უთხარ საპატიმროში გაიხლათ მოწყალების დასარიგებლად-თქო.

დორინი (თავისთვის). რომ შეეძლოს, ბუკითა და ნალარით შეატყობინებს ქვეყანას თავის ქველობას.

ტარტიუფი. რა გნებავს?

დორინი. მინდა მოგახსენოთ, რომ...

ტარტიუფი (ხელსახოცს ამოიღებს). ღმერთო ძლიერო! ჯერ ნუ, ჯერ ნურას მეტყვი! ჯერ ეს ხელსახოცი გამომარვი.

დორინი. რაო?

ტარტიუფი. ძუძუებზე მიიფარე. ნუ დამანახებ! ნუ დამლუპავ! ნუ წამწყმედ!

დორინი. ძალიან სუსტი ბრძანებულხაროთ, თქვენმა მზემ, თუ კი აგრე გაძრწოლებთ ყოველი ცდუნება. ეტყობა, სულიერი თქვენი არსება ხორციელს დაუჯაბნია, რომ შიშით თვალს ველარ ახელთ. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ალი წაგეკიდათ! მე აგრე ადვილად არ ამეშლება ეინი და ტიტველიც რომ გნახოთ, თავით ფეხამდე ტიტველი, მე თქვენ არად გინდომებთ.

ტარტიუფი. ქალის დამამშვენებელი მოკრძალებაა და მოწიწება. დაშშიდდი, თორემ ხმასაც არ გაგცემ.

დორინი. ნუ სწუხდებით, ბატონო, მე თვითონაც არას შეგაწუხებთ. სულ ორი სიტყვა მინდა მოგახსენოთ: ქალბატონმა გთხოვათ, თქვენი ნახვა მინდა, და თუ შეიძლება, დამიცადეთო.

ტარტიუფი. ოო! დიდი სიამოვნებით!

დორინი (თავისთვის). როგორ მოლბა! რომ ჩამომახრჩონ, მაინც ვიტყვი, რომ ქალბატონი უყვარს.

ტარტიუფი. ჩქარა მობრძანდება?

დორინი. მგონი ფეხის ხმა მესმის. ავერ მობრძანდება. მე აღარ შეგაწუხებთ.

ს ც ე ნ ა მ ე ს ა შ ე

ღ ზ მ ი რ ი დ ა ჭ ა რ ტ ი უ ფ ი

ტარტიუფი. ღმერთმა ყოველივე სიკეთე მოგანიჭოთ! ყოველად მოწყალე ღმერთმა ნუ მოგაკლოთ თავისი მადლი და წყალობა! გააძლიეროთ და ნეტარგყოთ უკუნითი უკუნისამდე!

ელშირი. გმადლობთ, ბატონო, დაესხდეთ, თუ თქვენც ისურვებთ, რომ უფრო უკეთ მოვილაპარაკოთ.

ტარტიუფი (დაჯდება). ხომ უკეთ ბრძანდებით, ბატონო?

ელშირი (დაჯდება). გმადლობთ, უკეთ გახლავართ. გავცივდი, ეტყობა, მაგრამ დღეს სრულიად კარგადა ვარ.

ტარტიუფი. ჩემს ლოცვას, რასაკვირველია, არა აქვს იმოდენი ძლიერება, რომ იგი შეესმინოს ყოველად მოწყალეს; მაგრამ ჩემი სალოცავი მხოლოდ თქვენ-ლა ბრძანდებოდით და ერთს-ლა შეესთხოვდი ყოველად ძლიერს — თქვენს კარგად ყოფნას.

ელშირი. ძალიან ვწუხვარ, რომ აგრე შემოწუხებინართ ჩემდა უნებურად.

|| ტარტიუფი. რას ბრძანებთ, ბატონო! თქვენ სალოცავი ხატი ხართ ჩემი და ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებ, ოღონდ თქვენ კარგად შეგულეობდეთ.

ელშირი. ქრისტიანებრივი კაცთმოყვარეობა სრულიადაც არ საჭიროებს მაგვარ მსხვერპლს და მით უფრო მეტად მავალეობთ თქვენი ლოცვით და კურთხევით.

ტარტიუფი. ოჰ, ნეტავ შემეძლოს, რომ სავესებით მოგანიჭოთ, რისიც ღირსი ბრძანდებით.

ელშირი. მინდოდა საიდუმლოდ მოგლაპარაკებოდით ერთის საქმის შესახებ და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მარტონი დაქრჩით.

ტარტიუფი. რომ იცოდეთ, რა გულმხურვალედ შევლალადებდი ცას თქვენთან კერძოდ ბაას. მაგრამ ამაოდ! და დღეს მით უფრო მიხარის თქვენი ნახვა, რომ ძლივს მისმინა ღმერთმა და ეს ნეტარებით აღსავსე წამი მომანიჭა.

ელშირი. მე მინდა, ბატონო, გკითხოთ რამ, და იმედი მაქვს, ისე გადამიშლით თქვენს გულს, რომ დაფარული არა დარჩეს-რა.

(დამი გააღებს კარს, რომ უკეთ გაიგონოს, თვითონ არ გამოჩნდება).

ტარტიუფი. ჩემი სანატრელიც მარტო ეგ გახლავთ. მინდა ერთხელც არის გადაგიშალოთ ეს კრული გული და დაგანახვოთ მისი ტკივილი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ, თუ არ მომწონან მე თქვენი

თაყვანისმცემელი და ვამბობ რასმე, თქვენი სიძულვილით კი არა, თქვენი სიყვარულით მომდის, — უმანკო, წმინდა სიყვარულით.

ელმირი. დარწმუნებული ვახლავართ, ბატონო, რომ ჩემი სულისთვის ზრუნავთ და ჩემი ხსნა გნებავთ.

ტარტიუფი (ხელს ჩამოართმევს). დიახ, ბატონო; დიახ, იმდენად მძლავრია ჩემი სიყვარული, იმდენად მწვეავი...

ელმირი. აჰ, ხელი მატკინეთ!

ტარტიუფი. უკაცრავად, არ მინდოდა თქვენი ვნება. ოჰ, ძირიანად ამოვიგლეჯდი ამ გულს, თქვენი საენები რომ მოეწადინოს რაზე. (ხელს კალთაში ჩაუდებს).

ელმირი. მანდ რა უნდა თქვენს ხელს?

ტარტიუფი. მინდა კაბა გაგისინჯოთ: საგანგებო აბრეშუმი.

ელმირი. თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ! ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეღიტინება. (სკამს იქით გასწევს. ტარტიუფი თავის სკამით მიუახლოვდება).

ტარტიუფი (წამოსასხამს დაუჭერს). ღმერთო, რა მშვენიერი ქსოვილია! როგორ დახელოვნდა ყველაფერში ადამიანი! საკვირველებაა სწორედ!

ელმირი. დიახ, ბატონო, მაგრამ საქმეზე ვილაპარაკოთ. ამბობენ ჩემი ქმარი თავის სასიძოს უარს უპირებსო და... ქალს თქვენ თურმე გაძლევთ. მიბრძანეთ, მართალია ეს ხმები?

ტარტიუფი. დიახ, რალაცა მითხრა, მაგრამ — როგორ არა ვთქვა, ჩემს დამწვარ გულს სულ სხვა ენატრება... სულ სხვისთვის გმინავს. სულ სხვაგან იხილა ჩემმა თვალმა გულის წარმტაცი და იმას შევხარი და იმას ვეტრფი.

ელმირი. იმიტომ რომ მიწიერი არა გიყვართ-რა.

ტარტიუფი. რადა, ბატონო? ნუ თუ გგონიათ, ლოდი. მეღოს გულის ალაგას?

ელმირი. მე გგონია, რომ ყოველივე თქვენი წადილი ცას ეკუთვნის და თქვენს სურვილს ვერ გაიტაცებს მიწიერი რამ ამოვება.

ტარტიუფი. სულის ცხონებას და საიქიოს ვინც ზრუნავს, განა სააქაოსი უნდა მოიკლას გრძნობა და ფიქრი?

ჩვენს გულს ადვილად გაიტაცებს ყოველი არსი, რომელი უხვად შეუმკია ცას თავისი მადლით.

ბევრი მინახავს ტურფა აღსავეს მრავალ სიკეთით, მაგრამ თქვენ სხვა ხართ! თქვენ ისე ბრწყინავთ, თითქო შემომქმედს მარტო თქვენთვის მოუცლიაო და ყოვლად სრული, ვითა ღვთაება, შეუქმნიაო.

ვერ უძლებს თვალი და თვალთან გული თქვენს სიკეკლუტეს, და უნებურად თქვენს ყმად და მონად ხდება ყოველი.

მე თაყვანსა გცემთ, ოჰ, ყოვლად სრულო, ტკბილო ოცნებაჲ, და მით ვადიდებ უზენაესს თქვენს შემქნელს ძალას.

რა ექმნა გულსა, თქვენსა მნახველს, თქვენგან დაკოდის, თუ თქვენთვისავე არ მოეთხოვა წყლულის მალამო?

ესთქვი, მაცდურისგან არ იყოს-მეთქი ეს სიყვარული ჩემს დასალუბად, წარსაწყმედად წარმოვლენილი?

ვიფიქრე კიდევ, გაგქცეოდით, აღარ მენახეთ, რადგან მეგონა, თქვენთვის მკვდარს გულს არ დაჰყვებოდით.

მაგრამ მაგონა ყოვლად მოწყალემ ტანჯულს, წამებულს, რომ ჩემს სიყვარულს არა რა აქვს დასაძრახისი.

აწი თქვენი ჩემი გული, უნდა გამოვტყდე, და აღვიარო დიდხანს ფარული ჩემი გრძნობანი.

ვიცი, თავხედი უნდა იყოს ის მომაკვდავი,

ვინც გაგიბედავთ და გულს გიძღვნით თქვენ ანგელოზთ სწორს;

მაგრამ ტკბილს იმედს მაძლევს თქვენი გულკეთილობა,

და არა სუსტის ჩემის ბუნების რამ ღირსებანი.

თქვენა ხართ ჩემი სასოება, ჩემი სიცოცხლე!

დღეს თქვენს ხელთ არის ჩემი ბედი და უბედობა!

ელმირი. საგანგებო იყო, ბატონო, თქვენი აღსარება, მაგრამ ძალიან მოულოდნელიც: ცოტაც არის რომ დაჰფიქრებოდით თქვენს განზრახვას და საქციელს... ღეთისმოსავე! კაცი ბრძანდებით, ქვეყანაში წმიდანის სახელი გაქვთ განთქმული და...

ტარტიუფი. არა, წმიდანიც რომ ვიყუე, მაინც კაცი გახლავარ და თვით ღმერთიც კი დამავიწყა თქვენმა მშვენებამ.

ან ვინა განხოთ ცით მოვლენილი, ციურთა სწორი,

რომ არ წარსტაცოთ ყოველივე -- გრძნობაც და ფიქრიც?

განა არ ვიცი, ჩემგან ეს ლექსი უცნაურია,

მაგრამ, მიბრძანეთ, ანგელოზი ხომ არ გგონივართ?

და თუ გამრისხავთ და შეყვარებულს დამძრახავთ. დამგმობთ, თქვენს სილამაზეს ჰკითხეთ ჩემის ჟინის პასუხი.

როგორც კი განახეთ აღსავესე მზეებრ ბრწყინვალე მუქით,

მყის დაგემონეთ ვნებათა ღელავით გახელებულნი.

თქვენკენ იწევდა გული ჩემი, გონების ურჩი,

ლოცვის და მარხვის უარმყოფი, თქვენი მორჩილი.

ჩემმა გოდებამ უკვე მრავალჯერ გაცნობათ ყველა,

და დღეს სიტყვით-ლა, უფრო მწარედ, გთხოვთ შებრალებას,

რომ შემინჯნაროთ, თქვენი მადლი მეც გადმომფინოთ და თქვენთვის ტანჯულს ტკბილი იმედის ნუგეში მომცეთ, თქვენლა გილოცავთ, თქვენ გადიდებთ, თქვენლა გაღმერთებთ, სალოცავ ხატად თქვენ დაგისვენეთ და გილოცავდებთ. მე არ შევარცხვენ, ჩირქს არ მოვსცხებ თქვენსა სახელსა, მე არ ვუმტყუვნებ ტკბილსა კავშირს უკუნისამდე. მე ვიცი, ქალებს სულ სხვა უნდათ: ნორჩი, ყმაწვილი, ცელქი, გიჟი, მუხანათი დაუდგრომელი; მაგრამ ვაი თქვენ, თუ მიენდეთ ყრმას შეყვარებულს და გაღუშალეთ უმანკო გულის წმიდათა-წმიდა: თქვენს მზეს იფიცავს თქვენის ჩრდილის არშიეი კრული, თქვენს ფეხის მტვერად, თქვენს ფინიად თავს მოგაჩვენებთ, და ოა მოიკლავს გულის ფინსა, ვნებათა ლელვას, კვებნას დაიწყებს და საქორაოდ მიგცემთ ქვეყანას. სულ სხვაა ჩვენი სიყვარული დარბაისლური, ჩუმი, ფარული, შიგ გულის-გულში ღრმად დაკრძალული! მოგვხსენებთ, ჩვენი ღირსება ჩვენ ძვირად გვიღირს, და თქვენ რომ გაგცეთ, უწინარეს ჩვენ ჩაგქოლავენ. ვფიცავ, მხოლოდ მე მოგანიჭებთ ოცნებით ნატრულს, სიამოვნებას და სიყვარულს დაუძრაბავსა.

ელმირი. მესმის, ბატონო! თქვენი მკვერმეტყველება ყრუსაც კი გააგონებდა. ერთი მიბრძანეთ, ხომ შეიძლება თქვენი გულის წუხილი მე ჩემს ქმარს გავაგებინო და ვაცნობო, რა კაცი გაუხდია თავის გულითად მეგობრად?

ტარტიუფი. გულკეთილი ბრძანდებით და, ვიცი, აგრე სასტიკად არ დასჯით ჩემს გაბედულებას. ვიცი, მაპატივებთ თქვენს შეურაცხმყოფელს სიყვარულს და ადამიანებრივს სისუსტეს: აკი მოგახსენეთ... ადამიანი ვარ, ხორცშესხმული ადამიანი და, თუ დავაშავე რამე, ჩემი ბრალი კი არა, თქვენი სილამაზის ბრალი გახლავთ.

ელმირი. სხვა უჩემო იქნება სხვაფრივ მოგქცეოდით, მაგრამ დაე, ღმერთმა შეგინდოთ. მე არაფერს ვეტყვი ჩემს ქმარს, ოღონდ სამაგიეროდ ერთს რასმე დავაგავლებთ: დააჩქარეთ და, რაც შეიძლება, მალე მოახერხეთ ვალერის და მარინის ქორწინება. თქვენც გონებაზედ მოდით და...

ს ც ე ნ ა მ ე ო ტ ხ ე

ჟღმზაზა, ჟაზი, ჳარჯიჟიჟი

ღაში (გამოვარდება პატარა ოთახიდან, სადაც დამალული იყო). არა, დედა, არა! მაგის დამალვა შეუძლებელია! მე აქ გახლდით, ყოველივე გავიგონე და, მგონი, თვით ღმერთმა მაგონა ამ ოთახში ყოფნა, რომ ამ მუზმუზელას საიდუმლო გამეგო და ქვეყნისთვის შემეტყობინებია.

ელმირი. არა, დამი! ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ გონებაზედ მოვიდეს და თხოვნა ამისრულოს. დავპირდი და კიდევ უნდა შეეუსრულო დაპირებული. ან რა საჭიროა უბრალო საქმის საქვეყნოდ გახდა? პატიოსანი ქალი, ამისთანა სისულელეს რომ ეტყვიან, გულიანად გაიცინებს და ქმარს უბრალოდ მოსვენებას არ შეურყევს.

ღაში. თქვენ თქვენებურად სჯით, მე კი ჩემებურად მიჯობს, და ამ არაკაცის დაუსჯელად დატოვება სწორედ რომ მასხარად აგდება იქნება ჩენი. ეყო, რაც ხანი იპარპაშა ამ ოჯახში, რაც ღვარძლი სთესა და შეგვაძულა ერთმანეთი. მამას შვილი გადაამტერა, დანიშნულებს ქორწინება შეგვიშალა. განა დრო არ არის, რომ საწყალმა მამაჩემმა იცნას თავისი მოსისხლე მტერი? დღეს ღმერთმა საშუალება მომცა, რომ თვალი ავუხილო, და გიჟი არ ვიქნები, ამ შემთხვევით არ ვისარგებლო? გველი ხელთ მყავდეს და არ გავსრისო? გავუშვა, რომ ხვალ უფრო მწარედ დამშხამოს?

ელმირი. დამი...

ღაში. არა, ბატონო, არა! ან დღეს, ან არასოდეს! რომ იცოდეთ, რა ნეტარებასა ვგრძნობ, რომ ხელთა მყავს ეს თვალთმაქცი, მაგრე არ მთხოვდით, და ამ ნეტარებას არ გამომწირავდით. ახლავ გავათავებ საქმეს.

ს ც ე ნ ა მ ე ხ უ თ ე

თრგთნი, ჟღმზაზი, ჟაზი, ჳარჯიჟიჟი

ღაში. სწორედ დროზე მობრძანდებით, მამაჩემო! იმისთანა ამბავს დაგახვედრებთ, რომ თქვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდეს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან კარგად გადაგიხადათ თქვენმა მეგობარმა ამოდენი სიყვარული და მეგობრობა. თქვენი სიყვარული და პატივისცემა ეს არის ახლა დაამტკიცა და იმოდენი სიკეთის ნაცვლად, იცით რა განიზრახა? თქვენი შერცხვენა! მე აქ გახლდით და ჩემი ყურით გავიგონე, დედაჩემს რომ სამარცხვინო სიყვარულს უცხადებდა. ანგე-

ლოზის გულისა უნდა ბრძანდებოდეს დედაჩემი, რომ აპატივოს და ამისთანა შეურაცხყოფის დამალვა მოინდომოს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ — ამგვარი უსინიდისობის დამალვა მტრობით მომივიდოდა და არა მამაშვილური სიყვარულით.

ელმირი. ვსთქვი და კიდევაც ვიტყვი: საცა რამ უთხრან ქალს, ყველა რომ ქმარს გააგებინოს, ქმრის სიძულვილით, მტრობით მოუვა და არა სიყვარულით. პატიოსნებას ის ქალი კი არ იცავს, ვინც ყველაფერს ქმარს აცნობებს და სულ უბრალოდ გაუმწარებს სიცოცხლეს; არამედ ის, ვინც თავის ნამუსს თვითონვე დაიფარავს. ასეთი შეხედულებებისა გახლავართ და დარწმუნებული ვარ, დამი, ცოტა რამ ჩემი პატივისცემა რომ გქონოდათ, თქვენც არას იტყოდით.

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ მ ს ე

თბათნი, დამი, ფარფიუფი

ორგონი. რა მესმის, ღმერთო! ნუ თუ დასაჯერებელია?!

ტარტიუფი. დიახ, საყვარელო ძმაო, უსინიდისო ვარ, თვალთმაქცი, გველი, ბიწიერი, მრუში, სულით ხორცამდე გარყვნილი და გაბრწინილი. ყოველი ჩემი საქციელი, ყოველი ჩემი სიტყვა ბალღამია და ღვარძლი; უწმინდურობის და ჩირქის მორეგია მთლად ჩემი სიცოცხლე. დიდად ცოდვილი ვარ, ალბათ, რომ ასეთი სასჯელი მომაყენა ღღეს ღვთის განგებამ. ღვთისაგან არის ყოველიფერი და რაც უნდა მძღაერი და მომაკვდინებელი ბრალი დამწამონ, მე არ აყვეები ჩემს თავმოყვარეობას და თავს არ ვიშაროლებ. იყავნ ნება შენი, ყოვლად ძლიერო, გულთამხილაგო. ერწმუნეთ ყველას, რაც მოგახსენეს; გაჯავრდით, გაშმაგდით და გამდევნეთ აქედან, ვითა მრუში, მომაკვდინებელი ცოდვის ჩამდენი.

ორგონი (თავის შვილს). ოჰ, მუხანათო! ნუ თუ იქამდე დაგაბრმავა ამ მადლიანის სიძულვილმა, რომ ცილისწამებაც კი იკადრე?

დამი. რაო? იქნება თავი რომ მოიკატუნა მაგ მუზმუზელამ, ჩემი ნათქვამი ცილისწამებად მიგაჩნიათ?

ორგონი. ჩუმად, შე შერცხვენილო!

ტარტიუფი. ნუ, ნუ გააჩუმებთ! ტყუილად ნუ ამტყუნებთ. მოუსმინეთ, საყვარელო ძმაო, გაიგეთ, გამოიძიეთ. რას გამოგადგებათ ამისთანა საქმეში ჩემი ნდობა? რა იცით, რა კაცი ვარ, რა ღირსების პატრონი? ნუ, ნუ ენდობით, ჩემო ძმაო, ჩემს გარეგნობას. თქვენ კეთილსინდისიერი კაცი გგონივართ, მაგრამ რა იცით, რომ არა სცდებით? რა იცით, რომ სწორედ ის არა ვარ, რადაც ამათ მივაჩ-

ნივარ? ქვეყანა ღირსეულ და პატიესაცემ კაცად მიცნობს, მაგრამ -- მართალს მოგახსენებთ, -- ჩალის ფასად არა ვლირვარ მე. (დამის) დი-ახ, საყვარელო ჩემო შვილო, ბრძანეთ, რაც გაიგონეთ. მითხარით, რომ მე მუხანათი ვარ, მეგობრობისა და მასპინძლობის გაუტანელი. ქურდი, მრუში და ფიცის გამტეხი. შემომათურთხეთ. ჩამაქვავეთ! ხმას არ ამოვიღებ; ღეთის განგებაა სულ ყველაფერი. აი, დაეიჩოკებ და ისე მოვისმენ თქვენ ლანძღვა-კიცხვას, ვითა ღირსეულს სასჯელს ჩემი ცოდვებისას.

ორგონი (ტარტიუფს). ეგ კი მეტისმეტია. ძმაო! (თავის შვილს): არც ახლა მოლბა შენი გული?

დამი. რა ვქნა, აგრე როგორ ტყუვდებით?

ორგონი. ჩუმაღ, შე გველის წიწილო! (ტარტიუფს ააყენებს). ადექით, ძმაო, ღეთის გულისთვის! (დამის). თავლაფდასხმულო!

დამი. მაშ...

ორგონი. ხმა გაიკმინდე!

დამი. ლამის გაევიდე! გეუბნებით...

ორგონი. ხმა, კრინტი, თორემ გვერდებს დაგამტვრევ!

ტარტიუფი. დამშვიდდით, ძმაო, დაწყნარდით. ჯოჯოხეთის ტან-ჯვას არად მივიძჩნევ, ოღონდ ამ ყმაწვილს ჩემს გამო ნუ რა ევნება რა.

ორგონი (დამის). უმაღურო!

ტარტიუფი. აკმარეთ, ძმაო! თუ ინებებთ, მუხლმოყრილი გთხოვთ, აპატივით.

ორგონი (დაუჩოკებს და მუხლებზედ მოეხვევა ტარტიუფს). ნუ, ნუ დამ-ცინით, ძმაო! (დამის) ვერც ახლა ნახე ამის სიკეთე, შე წუპაკო, შენა!

დამი. მაშ...

ორგონი. სუ!

დამი. გეფიცებით...

ორგონი. სუ, სუ, სუ! განა არ ვიცი, რამ გაიძულა, რომ ეგ იკად-რე. განა არ ვიცი, რომ ყველასა გძულთ, გეჯავრებათ და ღიღით პატარამდე ცოლი, შვილი, მოსამსახურენიც კი -- ამის სისხლსა სვამთ. თქვენთვის საძრახისი და უკადრისი აღარა არის რა და ყვე-ლაფერს სწადით, რომ ეს წმიდა, ღეთით მოვლენილი ადამიანი შე-მაძულეთ. მაგრამ იცოდეთ, ვერას გახდებით! თქვენ თუ ამის გან-დევნას ცდილობთ, მე უფრო მეტად შევიყვარებ და... დღესვე ჯვარს გადავწერ ჩემს ქალზედ, რომ ძირიანად ამოვფხვრა თქვენი განზრახ-ვანი.

დამი. მაშ, აღარ იშლით, ძალას დაატანთ ჩემს დას?

ორგონი. დიახ, მუხანათო, და ამაღამევე, რომ ცოფი გაყრევი-ნოთ ყველას! მე გაჩვენებთ თქვენ, ვინ არის აქ ბატონი და პატრონი! მე გასწავლით თქვენ ჩემს მორჩილებას! კმარა! ახლავ დაიჩოქე და ბოდში მოსთხოვე!

ღამი. ვინა? მე? ბოდში მოვთხოვო ამ მყარალს, რომელმაც...

ორგონი. უარსაც ბედავ! ლანძღავ კიდევ, შე საძაგელო. (ტარტიუფს) ჯოხი მომეცით, ჯოხი! ნუ მიჭერთ, ნუ! გასწი, გაეთრიე! ჩემს სახლში ფეხი აღარ შემოდგა!

ღამი. დიახ, მე წავალ, მაგრამ...

ორგონი. ჩქარა, მეთქი! შენს წილს შემკვიდრეობას გართმევ და სამაგიეროდ წყევლას გიძღვნი. წყეულიც იყავ...

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი ლ ე

თბგონი, ტარტიუფა

ორგონი. ხედავთ, რა შეჰქარდა ამ წმიდანს!

ტარტიუფი. ღმერთო, შენ მიუტევე, როგორადაც მე მიმიტევე-ბია. (ორგონს) ნეტავი ვიცოდე, რად მტანჯავენ ასე, რად უნდათ ჩვენი შეძულება?

ორგონი. ოჰ!

ტარტიუფი. რა უნდათ, ვის რას ვუშავებ? რომ მომკლან, მაწა-მონ, ნაქერ-ნაქერ ამკუწონ, ისე არ ვიტანჯები, როგორადაც ეს შე-ურაცხება მაწუხებს. გული მიღონდება, სულს ვეღარ ვითქვამ, ვკვდებ-ბი, აღარა ვარ კაცი...

ორგონი (თვალცრემლიანი გაიქცევა იმ კარისაკენ, საითაც ღამი გააგდო). რატომ ხელი არ მომტყდა, რომ აქვე არ მოგკალი. (ტარტიუფს): დამ-შვიდდით, ძმაო, გული მოიბრუნეთ.

ტარტიუფი. არა, ჩემთვის ისიც მეტია, რაც აქამდის ავითანე. თქვენი ოჯახის დამრღვევი და ამშლელი მე ვყოფილვარ, როგორცა ჩანს! დამერწმუნეთ, ძმაო, აქ დარჩენას წასვლა მირჩევნია.

ორგონი. ხუმრობთ, თუ?!

ტარტიუფი. ყველას ეძულვარ, ყველას ვეჯავრები და მარტო იმას-ლა ცდილობენ, რომ ავკაცად გამომიყვანონ და უსაყვარლესს ჩემს ძმას შემაძლონ.

ორგონი. თქვენ რა? ხომ დარწმუნებული ხართ, რომ მე იმათი არა მჯერა.

ტარტიუფი. დღეს არ მოუსმენთ, ხვალ, ზეგ; მაგრამ ბოლოს თქვენც შეგეპარებათ ეჭვი და, რაც დღეს ცილისწამებად მიიღეთ, შემდეგში იქნება ქეშმარიტებად აღიაროთ.

ორგონი. ოჰ, ღმერთმა ნუ მომასწროს!

ტარტიუფი. არა, ძმაო, თუ ქალმა განიძრახა რამე, ქმარსაც ადვილად დააჯერებს.

ორგონი. არა, მეთქი, არა!

ტარტიუფი. ან რად გინდათ ჩემი ტანჯვა? გამიშვით, წავიდე: მეც მოვისვენებ და თქვენებიც დამშვიდდებიან.

ორგონი. ფებს არ მოგაცვლევინებთ აქედან. უთქვენოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია!

ტარტიუფი. რამდენი დამცილება, რამდენი ცილისწამება უნდა ჩავიმარხო ამ გულში! მართალია, თქვენ რომ გნებავდეთ...

ორგონი. ბრძანეთ!

ტარტიუფი. არა, რა საჭიროა? რა გაეწყობა, ისე მოვიტყევი, რომ აღარავის რა ვათქმევინო: ახლო აღარ გაუფული თქვენს შეუღლეს; სადაც ის იქნება, მე იქ არ ვიქნები, და ისე მოგერიდებით, რომ ველარც კი მხედავდეთ.

ორგონი. არა, იმათ გულის სახეთქად თქვენ სულ ჩემს ცოლთან უნდა იყვეთ! თუ კი ჯიბრია, დაე ჯიბრი იყოს! მე მსურს, რომ თქვენ და ჩემ ცოლს ყოველთვის ერთად გხედავდნენ! მაგრამ ეგეც არა კმარა: იმათ გამოჯავრებული დღესევე გამოვაცხადებ, რომ მე თქვენს მეტი მემკვიდრე არაფინა მყავს. ახლავ წავალ და მთელ ჩემს შეძლებას თქვენ დაგიმტკიცებთ. კარგი და პატროსანი მეგობარი, რომელსაც ჩემ ქალს ვაძლევ, მე ცოლსაც მირჩევნია, შეილსაც და ნათესავსაც. უარს ხომ არ მეტყვით ამ წინადადებაზე?

ტარტიუფი. იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, აგრეთვე ქვეყანასა ზედა.

ორგონი. საწყალი კაცი! აბა წავიდეთ, ახლავე ქალაღი დაესწეროთ და დავამტკიცებინოთ. დე, ისინი ჯავრით გულზე გასკდნენ.

მოკმელება მეოთხე

4

სურათი პირველი

კლდეანი, ჭაბჭაბუკი,

კლდეანი. დიახ, ბატონო, ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს და მერ-წმუნეთ, თქვენს სასახელოს არას ამბობენ. სწორედ დროზე შეგხედით, უნდა მოგახსენოთ, რადგან დიდი ხანია მინდოდა თქვენი ნახვა. მე არ დაუფკვირდები იმ ხმებს, რომლებიც თქვენზე დადის: დაე, თუნდა იოტის ოდენიც ნურა იყოს რა მართალი; დაე, დამი თავით ბოლომდე მტყუანი იყო და სულ უბრალოდ შეგეწამათ ცილი. განა ქრისტიანის ვალდებულება არ იყო, ეპატივებინა შეცოდება და ყოველივე შურისძიება ამოეფხვრა თავის გულიდან? ხომ იცით, რომ თქვენს გამო მამამ შვილი განდევნა სახლიდან? თქვენს გამო! კიდევაც მოგახსენებთ, დიდი და პატარა თქვენზე-ლა ლაპარაკობს და ყველა თქვენ გამტყუვნებთ. მე რომ თქვენ ვიყო — რაც მოხდა, მოხდა — ვეცდებოდი შემერიგებინა მამა-შვილი და უკიდურეს სასო-წარკვეთილებამდე არ მიმეყვანა ყმაწვილი კაცი.

ტარტიუფი. ოჰ, გეფიცებით, მეც მაგის მეტი არა მენატრება-რა. მე აღარაფერი მახსოვს, ყოველივე შევუნდე და სულით და გულით მინდა დავეხმარო იმ საცოდავს. მაგრამ რა ვქნა, რომ ღვთის განგება სულ სხვაფორივ ატრიალებს საქმეს: იმისი შინ დაბრუნება და ჩემი აქედან წასვლა ერთი უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც მოხდა — და დამეთანხმეთ, მეტი შელახვა ადამიანის პიროვნებისა შეუძლებელი-ლაა — ჩემი შერცხვენა იქნება ჩვენი შერიგება. რას იტყვის ქვეყანა? ტარტიუფმა თავისი ბრალმდებელი იმიტომ შეირიგა, რომ დაევა-ლებინა, ხელთა ჰყოლოდა, პირში ლაგამი ამოედო და უფრო თავი-სუფლად ემრუშაო!

კლდეანი. თქვენგან არ მიკვირს! რა საკადრისია მაგისთანა უსა-ფუძლო საუბარი! ან რა უნდა აქი ღვთის განგებას? არა, დამნაშავის დასჯას ღვთის განგება თვით ვერ მოახერხებს, რომ თქვენ არ მოგმართოთ? ღმერთი იმდენად ძლიერია, მგონი, რომ ცოდვილს

უთქვენოდაც კარგად დასჯის. სულ ღმერთი გაკერიათ პირზედ და მის მცნებას კი აგრე ადვილად იფიწყებთ; თუ მართლა გულწრფელი მოსამსახურე ბრძანდებით ღვთისა, შეცოდების მიტევებაც უნდა იცოდეთ. არა, ქვეყანა რას იტყვისო? — განა სარწმუნოების წინააღმდეგ უმდა მოიქცეთ? განა — ქვეყანა რას იტყვისო? — თქვენს ღმერთს უნდა გადაუდგეთ? არა, ბატონო! ოლონდ გულწმინდად აეპარულოთ ყოველი მცნება მაცხოვრისა, და სხვა ჩვენ აღარა შეგვეხება-რა.

ტარტიუფი. აკი მოგახსენეთ, ბატონო, სულით და გულით მიპატივებია ყოველივე. ოლონდ მას შემდეგ. რაც მოხდა, ჩვენ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ღმერთისაც წინააღმდეგი იქნება და სარწმუნოებისაც.

კლევანტი. ის კი წინააღმდეგი არ არის ღვთისა და სარწმუნოებისა, რომ ბრახისაგან გაგიყებულს კაცს ქალაღდს აწერინებთ და თქვენ ისაკუთრებთ, რაც არ გეკუთვნით?

ტარტიუფი. ვინც მე მიცნობს, თავის დღეში არ იფიქრებს, რომ მე ჩემთვის შემეძინოს რამე. ქვეყნის სიმდიდრე რომ მომცენ, ჩემთვის იმასაც არ ვინდომებ, და წუთისოფლის ამოებით სულს არ წავიწყებ. და თუ დავყეფ და ჩემი ძმისაგან ეს საჩუქარი მივიღე, მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინია — უღირს ვისმე, ლოთს, გარყვნილს არ ჩაუვარდეს ხელში; სიმდიდრეს მოხმარებაც უნდა, და, მერწმუნეთ, ჩემებრ სხვა ვერაფერ მოიხმარს მოყვასთა სასარგებლოდ და ღვთის სადიდებლად.

კლევანტი. რა თქვენი საქმეა, ვინ როგორ მოიხმარს თავის საკუთრებას? ცუდადაც რომ მოეხმარა და გაეფლანგა, თქვენ ხომ არავინ გაგამტყუენებდათ? ხომ არავინ იტყოდა — მოტყუებით და პირმოთნეობით გამოსცინცლა, რაც რამ ებადაო. იქნება მე არ ვიცოდე, და განა სარწმუნოება გვიბრძანებს, კანონიერს შვილს თავისი მემკვიდრეობა წაართვით? იძახით, ღვთის რისხვა მეწვეა, მე და დამი რომ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდეთო. ის არ გირჩეუნიათ, წახვიდეთ აქედან და ამოდენი ცოდვის ტვირთი მოიხსნათ თავიდან? რას გუუბნებთ თქვენი ღმერთი, რომ თქვენს გამო შვილს მშობელი მამის სახლში ვეღარ გაუვლია? რატომ არა გრძნობთ, რომ ქეშმარიტი სარწმუნოება წასვლას დაავალებდა ყველა სინდისიერს და უანგარო კაცს.

ტარტიუფი. უკაცრავად გახლავართ, ოთხის ნახევარია და უნდა გიახლოთ — ლოცვის დრო გახლავთ.

კლევანტი. ეჰ!

სურათი მეორე

ელზიბი, მარიანი, კლუანტი, დორინი

დორინი (კლუანტს): თუ ღმერთი გწამთ, გვიშველეთ რამე: ამაღამ ნიშნობა უნდა იყოსო, ბრძანა ბატონმა, და საწყალს ქალს ლამის თავისი დაემართოს. სადაც არის, ბატონიც მოვა — და იქნება მოვავაროთ რამე. ვთხოვოთ, შევეხვეწოთ, შევაშინოთ, დავემუქროთ, თორემ გეფიცებით, ცოცხალი ვერ გადაჩება უბედური ქალი.

6

სურათი მესამე

ორგონა, ელზიბი, მარიანი, კლუანტი, დორინი

ორგონი. ოჰ, რა კარგია, რომ ყველას ერთად გხედავთ. (მარიანს): აი, შეილო, შენი ქორწინების ქაღალდები; ამაღამ ნიშნობა, და ჯვრისწერაც მალე იქნება.

მარიანი (დაუჩოქებს ორგონს). მუხლმოდრეკილი გევედრებით, მამა, შემობრალეთ, მაგრე სასტიკად ნუ გამოიყენებთ თქვენს მამობრივ უფლებას და დამორჩილებას ნუ მიიძლეობთ. ნუ, ნუ მაწამებთ, ნუ გამიმწარებთ წუთისოფელს, ნუ დამაწყევლინებთ ჩემის გაჩენის დღეს და თქვენს შვილობას. ნუ თუ იმიტომ მომანიჭეთ სიცოცხლე, რომ ჩემი დღენი ტანჯვითა და ვაებით დავლიო და სიკვდილისაგან-ლა მოველოდე შეებას? რატომ, შეიძლება თქვენ არ მოგწონდეთ ჩემი მოწონებული და წინააღმდეგეთ ჩემის გულის წადილს, მაგრამ, განა ეგ არ კმარა ჩემთვის, რომ იმ კაცს არ მიმცეთ, რომელიც ჭირივით მძულს და მეზიზღება? ნუ მიმიყვანთ სასოწარკვეთილებამდე, მამა, ნუ გამიმეტებთ სულით ხორცამდე დასალუბავად.

ორგონი (გული მოუღებდა). გამაგრდი, გულო! რა დროს სიბრალული და სისუსტეა!

მარიანი. ღმერთმან ხომ უწყის, მე სრულიადაც არა მწყინს თქვენი სიყვარული იმ კაცისადმი. თუ გნებავთ, ყველანი გაგვრეკეთ და იმას მიეცით თქვენი ქონება; თქვენი მამული. გეფიცებით, ხმას არ ამოვიღებ. ეგ თქვენა და ეგ თქვენი ტარტიუფი, ოლონდ მე კი თავი დამანებეთ, აგრე ადვილად ნუ გამწირავთ, მამა, ნება მიბოძეთ, მონასტერში გიახლოთ და იქ გავატარო ჩემი უკვე ზნელი და მწარი დღენი.

ორგონი. ხედავთ! მონასტერი მაშინ მოაგონდა, როდესაც მამამ ნება არ მისცა, ვილაც მაწანწალაზე გათხოვილიყო, ადექი! რამდენადაც გძულს და გეზიზღება ტარტიუფი, იმდენად უფრო ღირსეული სასჯელი იქნება შენთვის ეს ქორწინება. კმარა, დროა მოიკლა გულის ვნებანი და დამორჩილდე ჩემს გარდაწყვეტილებას. ეგ იყოს და ეგ, დღეის შემდეგ ამბზედ ლაპარაკით აღარ შემაწუხო.

დორინი. კარგია, თქვენმა მზემი

ორგონი. ჩუმი! ვინა გგონია აქ შენი სწორი?!

კლეანტი. ნება მიბოძეთ, სიძე-ბატონო, ცოტა რამ მოვახსენოთ.

ორგონი. დარწმუნებული ვახლავართ, ჩემო ცოლის-ძმავე, ცუდს არას მიბრძანებთ. თითო ოქროდ ღირს ყოველი თქვენი სიტყვა და რჩევა, მაგრამ ნება მიბოძეთ ჩემს საქმეში ჩემებურად მოვიქცე.

ელმირი. (ორგონს). ველარ გამიგია რა ხდება. დაბრმავდა ეს კაცი, გიჟი უნდა იყოს, რომ არავის დაუჯეროს!

ორგონი. თქვენს უმორჩილესს მონას, ქალბატონო, თვალიცა აქვს, ყურიც და გონებაც. განა არ ვიცი, როგორ გიყვართ და გებრალებათ თქვენი თავლაფდასხმული გერი. რომ ხმა ველარ ამოიღეთ წელან და პირდაპირ არ დაიძახეთ — ტყუის, ცილსა სწამებს წმინდა კაცსაო. მართალი რომ ყოფილიყო, ისეთი დამშვიდებული კი არ იქნებოდით, იქნება სულ ცეცხლი გეფრქვიათ სიბრაზისა და შეურაცყოფისაგან.

ელმირი. რა ვქნა, რა საჭიროა ან გაბრაზება, ან ცეცხლის ფრქვევა? დიდი რამ მოხდა, თუ კაცს მოვეწონე და მიყვარხარო, გამიბედა! ან სად არის აქ შეურაცყოფა, რომ მაშინვე ლანძღვა-გინება დავუწყო და შიგ ყანყრატოში ვწვდე დასახრჩობად? სთქვა, მე სიცილადაც არ მეყო იმის ნათქვამი. ღმერთმა დამიფაროს, მე იმათ არ დავემსგავსო, ვინც ერთ უბრალო სიტყვაზედ ყოჩინას დასცემენ და ქვეყანას შეჰყრიან ხოლმე. გეფიცებით, ღირსეულად მოხსენებული უარი ნაკლებად არ მოხედება თავხედის გულს, ვიდრე ლანძღვა-გინება.

ორგონი. ასეა თუ ისე, მე ვიცი, როგორც იყო საქმე, და ჩემთვის ესეც კმარა.

ელმირი. საკვირველი კაცი ხართ. რომ დაგარწმუნოთ, თქვენი თვალით რომ გაყურებინოთ, მაშინ რაღას ბრძანებთ?

ორგონი. ჩემი თვალით მაყურებინო?

ელმირი. დიად.

ორგონი. მეხუმრები.

ელმირი. გეხუმრებით კი არა! სწორედ თქვენი თვალით გაყურებინოთ...

ორგონი. ნეტავი შენა!

ელმირი. საკვირველია! მე ხომ იმას არ გთხოვთ, ჩვენი ნათქვამი ქვშმარიტებად მიიღეთ მეთქი. მე იმას გეხვეწებით, მიპასუხოთ: — მაშინ რას იტყვით, რომ მოვახერხო და თქვენი თვალით გაჩვენოთ, რა მუხმუხელაა თქვენი წმიდანი.

ორგონი. მაშინ იმას ვიტყვი რომ... არათერსაც არ ვიტყვი, რადგან ეგ შეუძლებელია.

ელმირი. თქვენ ისე დაგაბრმავათ იმ კაცის სიყვარულმა, რომ ლამის ცოლიც დაღუპოთ და შეილიც. კმარა, რაც ხანი გაჩუმებული ვიყავ. მე უნდა დაგარწმუნოთ, რომ ყოველივე ჩვენი ნათქვამი მართალი იყო და დაგარწმუნებთ კიდევ. აი ახლავე.

ორგონი. ვნახოთ ერთი რას მოახერხებს ქალბატონი, რომ ქალი არ გაუცრუვდეს.

ელმირი. (დორინს) ტარტიუფი ჩამომიყვანე.

დორინი. ის ისეთი ფლიდია, რომ ექვს აიღებს და არ ჩამოვა, მახეში არ გამბანო.

ელმირი. ნუ გეშინია: ფლიდზედ ფლიდიც რომ იყოს, მაინც მოტყუვდება სიყვარულისაგან დაბრმავებული. წადი, ჩამომიყვანე, (კლენტს და მარიანს) თქვენ მიბრძანდით.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ო თ ხ ე

ელმირა, ორგონი

ელმირი. თქვენ, ბატონო, ამ მაგიდის ქვეშ უნდა დაიმალოთ.

ორგონი. რაო?

ელმირი. უმთავრესი ის არის, რომ თქვენ კარგად დაიმალოთ.

ორგონი. რალა უთუოდ ამ მაგიდის ქვეშ?

ელმირი. ღმერთო ჩემო! სულ ერთი არ არის? მე ჩემი განზრახვა მაქვს, და ხელს ნუ მიშლით, შეძვერით მანდ! ფრთხილად იყავით, არ დაგინახოთ.

ორგონი. არათერია, ვნახოთ ერთი, როგორ ამისრულებთ თქვენს სიტყვას.

ელმირი. ვნახოთ, ვნახოთ! თქვენ მოთმინება იქონიეთ. (ორგონი უკვე მაგიდის ქვეშ არის) ახლავე მოგახსენებთ: ტარტიუფთან ლაპარაკში მე იმისთანა საგანს შევეხებო, რომ... ძალიან საწყენიც რომ იყოს

თქვენთვის, მაინც ჩუმაღ უნდა ბრძანდებოდეთ და არამც და არამც არ გამცეთ. მაშასადამე, ნება უნდა მქონდეს თავისუფლად ვუთხრა, რის თქმასაც საჭიროდ დაეინახავ. ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ამას მხოლოდ თქვენს დასარწმუნებლად ჩავდივარ. რა გაეწყობა, უნდა დავუტკბე, ცოტა რამ იმედი მივცე მის თავხედურს წადილს, მახეში ჩავითრიო და თავისუფლად აეაქიკიკო, რომ მით მაინც მოვხადო ნილაბი ჩვენს დამლუპველ ფარისეველს. და რადგან მხოლოდ თქვენს გამოისადა ვარ ამ განსაცდელში, ფთხილად უნდა იყვეთ და დროზედ გამოჩნდეთ, რომ ის არ შემემთხვეს, რაც თქვენ არ გნებავთ. ამგვარად თქვენზე იქნება დამოკიდებული დროზე შეყენება იმ ურცხვისა და დაცვა სირცხვილისაგან თქვენის მუშაობისა. ეს თქვენი საქმე განხლავთ, პირადად თქვენ შეგვხებათ და... აგერ მოდის! ჩუმაღ იყავით!

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ფარტაოფი, ჟღიბა, ღატონი (მაგიდის ქვეშ)

ფარტაოფი. ჩემი ნახვა მოგსურვებიათ, ბატონო.

ელნარი. დიად, საიდუმლოდ მინდა მოგელაპარაკოთ, მაგრამ ჯერ ეგ კარი გააღეთ... გაიხედეთ, არავინ იყო. (ტარტიუვი გაიხედავს, მიხურავს კარს და დაბრუნდება) ისიც კმარა, რაც დღეს მოხდა, და ღმერთმა ნულარ შემასწროს იმ ამბავს. რომ იცოდეთ, როგორა ვწუხდი... თქვენთვის, ბატონო, თორემ მე როგორც იქნებოდა თავს ვიმართლებდი. შევკრთი, შევშინდი, გონება დამებნა და აზრადაც არ მომივიდა მეთქვა, რომ სტყუოდა და ცილს გწამებდათ ის საძაგელი. თქვენ რომ აგრე პატივცემული არა ყოფილიყავით ყველასაგან, დღეს ამ ღვთისრისხვას ვერ ავიცდენდით. კიდევ კარგი, რომ თქვენმა სახელმა გვიხსნა და ასე კარგად გათავდა საქმე. ახლა კი საშიში, მგონი, აღარა გვაქვს რა: ჩემს ქმარს ისე სჯერა თქვენი, ისე სწამართ, რომ ექვსაც აღარ გაიტარებს. დასამტკიცებლად იმისა, რომ ქორებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ჩემს ქმარსა სურს, რომ მე და თქვენ ყოველთვის ერთად ვიყენეთ და მეც ამიტომ გავბედე საიდუმლოდ თქვენი ნახვა. მინდა ამით ვისარგებლო, გული ვადაგიშალოთ და თქვენს გრძნობას ჩემი შემოფერითო.

ფარტაოფი. ძნელი დასაჯერებელი გახლავთ, ბატონო, თქვენი სიტყვა. წელან არ იყო, სულ სხვას ბრძანებდით?

ელმირი. ოჰ, მაშ სრულიადაც არა გცნობიათ ქალის გული, თუ წელანდელი ჩემი უარი მართლა უარყოფად მიიღეთ: ქალის უარი, სუსტი უარი სულ სხვასა ნიშნავს! რა ვქნათ, რომ მორცხვი ენა არ ენორჩილება ენებით სავსე გულს და ჰოს მაგივრად არას იძახისო როდი უნდა გაგვიწყრეთ, მაშინვე რომ არ დაგყვეთ და სიყვარულით გატაცებულნი, მორცხვობისგან მუნჯად ქცეულნი და თვალდახრილნი მოკრძალებით და მორიდებით „არას“ ვამბობდეთ. მაშ ქალი არ ვყოფილვართ, თუ კი უარს არ ვიტყვით, და ქალის ხასიათი არა სცნობია, ვინც არას ჰოდ არ გაიგონებს და გაგვებუტება. მეტის-მეტს მოგახსენებთ, ვიცი; ხელის გულზე გიშლით ჩემს გულს, რომ, თუ კითხვა შეგიძლიათ, წაიკითხოთ კიდეც, შიგ რა სწერია, მაგრამ რა ვქნა, რომ ველარ შემეკავებია თავი? ასე რომ არ ყოფილიყო, განა წელან დამის დამშვიდებას დაუწყებდით? ან თქვენ ისეთი სიამოვნებით მოგისმენდით, სიყვარულს რომ მეფიცებოდით? განა და მისთან ერთად მე კი ვერას ვეტყუდი ჩემს ქმარს, თქვენი მოაზრებ და მოზიარებ რომ არ ვყოფილიყავ? ჩემი გერის შერთვას დაგიშლიდით, თქვენი დაკარგვა რომ არად მიმაჩნდეს? რატომ არ მიხვდით: თუ დაგიშალეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთრივ ჩემთვის მინდა ეგ გული და საზიაროს არას ვინდომებ.

თარბიუფი. ოჰ, რა ტკბილია თქვენგან მაგ სიტყვის გაგონება! განა ჩემზედ უბედნიერესი იქნება ვინმე ქვეყანაზე, თქვენი სიყვარული რომ მოვიპოვო და თქვენგან ნეტარყოფილი თქვენს ნეტარებას-ლა ვზრუნავდე?! მაგრამ ვინ მალირსებს მე უბადრუკს ამოდენს ბედნიერებას? ამ გულს დაჩაგრულს როგორღაც არ სჯერა შეუძლებელი და არ გერწმუნებათ... იქნება იმიტომ მიბრძანებთ მაგას, რომ თქვენს გერს დამაშოროთ? ახლავე მოგახსენებთ, მე თქვენსას არას დავიჯერებ, ვიდრე სიტყვას საქმედ არ შესცვლით! ვიდრე ცოტაც არის შეებას არ მისცემთ ენებით აღსავსეს, თქვენგან ტანჯულს გულს და არ დამისაკუთრებთ, რასაც აგრე ტკბილად მპირდებით.

ელმირი. (დაახველებს, რომ ქმარს ანიშოს) რადა, ბატონო, რას ეჩქარებთ? რად გნებავთ უცბად ამოსწოვოთ ნეტარარით სავსე გულის ფიალა? განა არ კმარა, რაც გავებდე და მოგახსენეთ, რომ უფრო მეტსა და მეტს თხოულობთ? ნუთუ კმაყოფილი მაშინ დარჩებით, როდესაც ჟინს მოიკლავთ და დამშვიდდებით?

თარბიუფი. სიტყვით თანახმანი ვართ და საქმით კი არაო? თქვენი მისთანა ნეტარებას მიქადით, რომ ვერც კი წარმომიდგენია, და რა არის საკვირველი, რომ ვიდრე გერწმუნებოდეთ, ვეცადო გემო გავიგო? მე იმდენად სუსტი, უჩინარი გახლავართ, რომ თქვენს სიყვა-

რულს ძნელად მოვიპოვებ და, მანამ საქმით არ დამარწმუნებთ, რომ თქვენ ჩემი ხარო, სულით ხორცამდე ჩემი, მე თქვენს სიტყვას ვერ დავიჯერებ.

ელმირი. სწორედ მტარვალთა ვაჟიკაცის სიყვარული! აღარც განკითხვა იცის, აღარც დანდობა და მოლოდინი! ერთი კი აღიძრას და მერმე, ქვეყანაც რომ დაინგრეს, არ დამშვიდება, ვიდრე თავისას არ იხამს. დამაცადეთ, ბატონო, სული მომაბრუნებინეთ! ან რა საკადრისია, აგრე ძალა დამატანოთ და — აქაოდა გული მიძღვნაო, — იმისთანა საქმე მაიძულოთ, რომ საუკუნოდ მანანოთ?

ტარტიუფი. მიკვირს: თუ კი მართლა კეთილის თვალთ გადმოხედეთ ჩემს გრძნობას, რა გენაღვლებათ, მომანიჭოთ ყოველივე, რითიც ტკბილია, უკვდავია სიყვარული?

ელმირი. მერმე ღმერთი, ბატონო, ღმერთი?

ტარტიუფი. თუ ჩემს სურვილს ღმერთის მეტი წინ არავინ უღვას, კარგად ყოფილა ჩემი საქმე: ღმერთს მე გავცემ პასუხს.

ელმირი. რას ბრძანებთ, ბატონო, ღვთის შიში არ გქონიათ!

ტარტიუფი.)ნეტავი თქვენა, რომ დღევანდლამდე შეგყოლიათ ბავშვური შიში და რიდი ღვთისა. მე ჩემი ხელობა კარგად ვიცი და ახლავ დაგარწმუნებთ, რომ ღვთის საწყენს არას ჩავდივართ. მართალია, საარწმუნოება გეკრძალავს რაოდენსამე სიტკბოებას, მაგრამ ღმერთი კეთილია და, თუ მოინდომა კაცმა, ყოველთვის მოურიგდება; ჭკუა, გონება და ცოდნა ჰქონდეს კაცს, თორემ სინდისისთანა რბილი და ადვილი მოსაქნელი არა არის რა. უმთავრესი ის გახლავთ, რა განზრახვით სჩადის, ადამიანი ღვთისაგან აკრძალულს და ცოდვად წოდებულს. ამას ყველაფერს გასწავლით, ბატონო, თქვენ ოლონდ დამყეთ და დაჰმორჩილდით ჩემს სურვილს. ნუ გეშინიათ: ჩემს კისერზე იყოს, თუ აქ ცოდვა არის რამე. (ელმირი უფრო მაგრა ახველებს). რა ძალიან გახველებთ?

ელმირი. დიად, ძალიან ვიტანჯები.

ტარტიუფი. სურდოს წამალი მოგართავათ?

ელმირი. იმისთანა ახირებული სურდო მჭირს, რომ ქვეყნის წამალიც ვეღარ მომაშორებს, მგონი.

ტარტიუფი. ეგ ცუდი ამბავია.

ელმირი. დიად, უფრო ცუდი, ვიდრე თქვენა გგონიათ.

ტარტიუფი. კმარა, ნულარა მტანჯავთ. ნურაფრისა გეშინიათ. ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენს საიდუმლოს ვერავინ გაიგებს? ცოდვა ცოდვად მაშინ ხდება, როცა გამოქვეყნდება, და მერწმუნეთ — არას შესცოდავს, ვინც ჩუმაღ სცოდავს.

ელმირი. (დაახველებს და მაგიდას დააბრაზუნებს) ერთი სიტყვით, თუ არ დაგყევით, არ დაგმორჩილდით და; რასაცა მთხოვთ, ყოველივე არ აგისრულებთ, თქვენ არ დაკმაყოფილდებით და ჩემსას არას დაიჯერებთ. რა გაეწყობა, უნდა დაგმორჩილდეთ. ექვი არ არის, საზარელია, სამარცხვინო, რასაც თქვენა მთხოვთ, მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს ახირებულს, რომელსაც უამისოდ ჩემი სიტყვა არა სჯერა და ლამის ეს სირცხვილიც მაქამოს! ღმერთმა ჰკითხოს გახელებულს, რომელსაც დაუჯინია, მანამ საქმით არ დამიმტკიცებთ, ცარიელი სიტყვისა არა მწამს რაო. რა გაეწყობა, თუ კი უამისობა არ შეიძლება, ამით მაინც დავაჯერებ ურწმუნოს... და თუ ვცოდავ რასმე, ღმერთმა ჰკითხოს, ვინც ამ უკიდურეს ყოფაში ჩამაგდო...

ტარტიუფი. დეე, მე მკითხოს! ქვეყნის ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ ამაში...

ელმირი. კარი გააღეთ და გაიხედეთ, ჩემი ქმარი არსად იყოს მანდ აივანზე.

ტარტიუფი. საქმე არა გქონიათ, ბებენი ვერისა გეშინიათ! თქვენს ქმარს დღეში ასჯერ ჩავიყვან წყალზე და ისე ამოვიყვან, რომ წყალ-ვერ დალიოს. იმას სასახელოდაც მიაჩნია ჩემი თქვენთან დაახლოვება. ეგეც რომ არ იყოს, ისეთი გაწვრთნილი მყავს, რომ თავის თვალთადაც რომ დაგვინახოს, მაინც არ დაიჯერებს.

ელმირი. სულ ერთია, ცოტა ხანი გარედ გადით და მოათვალიერეთ მანდაურობა.

ს უ რ ა თ ი მ ე ე მ მ ს ე

თავგონი და აღზიანა

ორჯონი. (გამოძვრება) ფუ, ეგ ფლიდი, არა, როგორ წარმოვიდგენდი? ეგ უსინიღისო!

ელმირი. ჯერ რა დროს გამოსვლაა! დაგვეცინით, თუ რა არის? შეძვერით, დაიმაღლეთ! მოითმინეთ, ბატონო, ცარიელი სიტყვა რის მაქნისია? ის არა სჯობია, საქმეს უყუროთ და ისე დარწმუნდეთ?!

ორჯონი. ღმერთსა ვფიცავ, თვით ჯოჯობხეთიც ვერ შექმნიდა მაგისტანა გაუტანელს და ბიწიერს.

ელმირი. თქვენგან არ მიკვირს! აგრე ადვილად როდი უნდა დაიჯეროთ ადამიანის სიტყვა. ხომ შეიძლება შესცდეთ და სული წაიწყმიდოთ. ის არ სჯობია, ჯერ კარგად დარწმუნდეთ, საქმით, საბუთით აღიკუთროთ და... (ტარტიუფის ფეხის ხმაზე ქმარს უკან ამოიყვანებს).

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ჭარჭიფი, ჟღმირი, ღრგონი

ტარტიუფი. (ორგონს ვერა ხედავს) ჩემსკენ ყოფილა მთელი ქვეყანა! აქ არავინ არის და თავისუფლად დავეწათები ჩემს ნეტარებას! (ხელგაშლილი მიდის ელმირისკენ, რომ მოეხვიოს. ელმირი გვერდზე გადაგება და ტარტიუფი ორგონს დაინახავს).

ორგონი. ნელა, ბატონო, ნელა! ვინ თქვენა და ვინ მაგისთანა შეხუდება! ოო, წმიდაო, ღვთის მმოსავო! მაშ მაგას მიპირებდი? ქალს ცოლად მთხოვდი და ცოლს საყვარლად იხდიდი? განა არა, ექვი მქონდა, დიდი ხანია ექვი მქონდა, მაგრამ ჩემს თავსვე ვამტყუნებდი: — იმ ღვთისნიერს მაგას როგორ სწამებ მეთქი! დღეს კი გავიგე, რაც კაცი ყოფილხარ! გავიგე, დავრწმუნდი და მეტი საბუთი აღარ მინდა, ჩემთვის ესეც კმარა!

ელმირი. (ტარტიუფს) მე არა დამაბრალოთ—რა. რაც მოხდა, მიიძულეს და იმიტომ მოხდა.

ტარტიუფი. (ორგონს) რაო? ნუ თუ გჯერათ?..

ორგონი. კმარა, ბატონო, კმარა! ხმა აღარ ამოიღოთ! აბა, ჩქარა! რაც მალე აიბარგებით, ის ემჯობინება.

ტარტიუფი. ჩემი წადილი გახლდათ...

ორგონი. ძალა გამოეღია თქვენს სიტყვას. აიბარგეთ—მეთქი, გეუბნებით!

ტარტიუფი. თუ აბარგვია, თქვენ უნდა აიბარგოთ, აგრე მრისხანედ რომ ყვირიოთ! სახლი ჩემია! იქნება გეგონათ, — შარს მოგუდებთ, შევარცხვენთ და პანლურის ცეშით გავაგდებთო! ნელა, ბატონო, ნელა! იქნება არ იცით, რომ ჩემი გაუპატიურება გნობაა ღვთისა? ოჰ, როგორ შეგანანებთ ამ შეცოდებას! (გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ი

ჟღმირი, ღრგონი

ელმირი: რას ბოდავს, რას გვემუქრის?

ორგონი. აბა, ახლა გამიწყრა ღმერთი! ვაიმე, ვაიმე!

ელმირი. რა მოხდა?

ორგონი. ის მოხდა, რომ შეეცდი, და ყოველიფერი დაეუმტკიცე...

ელმირი. როგორ თუ დაუმტკიცე?

ორგონი. დაეუმტკიცე და გავათავე. მაგრამ მე სხვა უფრო მაწუხებს...

ელმირი. სხვა რაღა!

ორგონი. ჯერ ჩემი ყუთი ვიპოვო, ქალაღდებს რომ ვინახავდი!

მოქმედება მისუთი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თრგონი, კლუანცი

კლევანტი. მერმე სად მირბიხართ?

ორგონი. რა ვიცი!

კლევანტი. არა სჯობია, მოვილაპარაკოთ, ავწონ-დავწონოთ და ამ გაქირებაში ისე მოვიქცეთ.

ორგონი. ნეტავი ჩემი ყუთი მაპოვინა და სხვა არა მინდა რა. ლამის გავეციდე კაცი!

კლევანტი. ძალიან საიდუმლო უნდა იყოს, რაღაცა ყუთია.

ორგონი. არგასი ხომ გახსოვთ, ჩემი ძველი მეგობარი. გაპარვა რომ დააპირა, მომიტანა და საიდუმლოდ ჩამაბარა: მთელი ჩემი ქონება და საქირო ქალაღდები აქ მიწყვია, — შენ იცი, როგორც შემინახავ, ჩემი სიცოცხლე შენ ხელთ იქნებაო.

კლევანტი. მერე თქვენც აიღეთ და ანაბარი სხვას მიეცით?

ორგონი. ეეპ, ჩემი სისულელე, თორემ მაგას ვიზამდი? დასახრობი ვარ, დასახრობი! როგორღაც იყო, ჩემი საიდუმლო იმ სულწაწყმედლის გავანდე; ის იყო და ის, მოსვენება აღარ მომცა: ჩამაცივდა, ყუთი მე მომეცი, თორემ შეიძლება გაიგონ, სუხლი გაგიჩხრიკონ და დაღუპო საწყალი კაციო. რაკი მე მექნება, თუნდა დაიფიცო, რომ შენ არა გაქვს რა, ტყუილს არ იტყვი და არა სცოდავო.

კლევანტი. ანაბარი, მგელმა იცისო, დალოცვილო, და თქვენ აგრე როგორ გაგაბრიყვათ იმ ეშმაკის კერძა, რომ გულითადი მეგობრის საიდუმლოს იმას უამბობდით? რომ წავიდეს და დაგაბეზლოთ, ხომ დაიღუპეთ? სულით-ხორცამდე იმის ხელთა ყოფილხართ, მე რომა ვხედავ... არ შეიძლება, შეირიგოთ როგორმე?

ორგონი. რაო? ის შევირიგო, ის თვალთმაქცი, ორგული და ორპირი? ღმერთო, რა უსინდისოდ მომატყუა! რას წარმოვიდგენდი, რომ ანგელოზებრივ უმანკოების ქვეშე სატანის სულსა ჰმალავდა. ქუჩის მაწანწალა, მთხოვარი გლახა იყო, სახლში რომ შემოვიყვანე. არა, კმარა! ღმერთმა დაპითაროს, მე პატიოსნება აღარავისე ვიწა-

მო! მოსისხლე მტერი გავხდები დღეის იქით იმ ფარისევლებისა და, საცა მოვასწრობ, გველსავეთ გავსრეს.

კლევანტი. უცნაური ხასიათის კაცი ხართ, ჩემო სიძვე! ჯერ ღმერთსავეთ ლოცულობთ და მერმე სასიკვდილოდ აღარ დაინდობთ. ცარიელი გულის-თქმა ხართ და არც კი იცით, რა არის საქმის დაკვირვება და შეგნება. აქაო-და მოვტყუედი და ვილაც მუზმუზელას თვალთმაქცობა ქეშმარიტ პატიოსნებად მივიღეო, მტრად გადაკიდებას უქადით ყოველ პატიოსანს და ღვთის მმოსავ კაცს. განა საცა პატიოსანი კაცია, ყველა თქვენი ტარტიუფის მსგავსია? მაშ რაკი ტარტიუფი ფლიდი გამოდგა, ქვეყანაზე ღვთისნიერი აღარავეინ ყოფილა! რადა, ბატონო? რატომ არ იცით, რომ ქეშმარიტი, სათნოება სხვაა, ფარისევლობა ზე ქვეყნის თვალის ამბმელი თვალთ-მაქცობა სხვაა? ნურც აგრე ადვილად გააწმინდანებთ ვისმე, როგორც თქვენ იცით, და ნურც ისე მალე დაჰგმობთ, როგორც ახლა ბრძანებდით. დაუკვირდით, ყველას თავისი მიუწყეთ და, თუ მაინცა და მაინც უნდა შესცდეთ, სჯობს ისევე ძველებურად სცდებოდეთ, ვიდრე ბრაზ-მოკრულს ქვეყანაზე ღირსეულ კაცად აღარავეინ მიგაჩნდეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ა მ

თბგონა, კლუანცი, დავი

დამი. ნუთუ მართალია, მამა-ჩემო, რომ გემუქრებათ კიდევ ის შერცხვენილი! ნუთუ აგრე მალე ამოირეცხა გულიდგან ყოველი თქვენი სიკეთე?!

ორგონი. დიად, შვილო, დიად. ოჰ, როგორ ვიტანჯები!.

დამი. ოღონდ თქვენ თავი დამანებეთ და, კაცი არა ეყოფილვარ, თუ პირში არ ჩაეჩარე თავის მუქარა! გამოვასალმებ წუთი-სოფელს!

კლევანტი. აი, ყმაწვილ-კაცობა! დამშვიდდი, გეთაყვა! ქვეყანაა, სჯული და სამართალი. არა, თავდაუქერლობით საქმეს ზიანს მიაყენებთ.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ს ა მ მ

კლუანცი, დ. პაბნელა; თბგონა, ელმაზი, მაზიანი, დამა, დორინა

პერნელი. ვუი, დამიდგეს თვალი! იცით რაებს ამბობენ?

ორგონი. იმას ამბობენ, დედა-ჩემო, რაც ჩემი თვალითა ვნახე და სხვას არაფერს. ვის გადაუხდია სიკეთე სიკეთით, რომ იმას გადაე-

ხადა? ვილაც უბედურს, ბოგანოს, ძონძებით მოსილს ბინა მივეცი, ძმასავით შევითვისე, ქალის მიცემა აღუუთქვი, სულ იმას დაეღმტკიცე ჩემი სარჩო-საბადებელი; და იმან კი, - იცით, რა მიყო? ჩემს ცოლს გაუარშიყდა! ესეც არ მაქმარა და ახლა მემუჭრის, სახლ-კარს წაგართმევ და ისე გაგიხდი საქმეს, რომ ხელგაწვდილი დადიოდე და მოწყალებას თხოულობდეო.

ღორინი. საწყალი კაცი!

პერნელი. ტყუილია, შვილო, ტყუილი! ღმერთმა ნუ დამაჯერებინოს!

ორგონი. როგორ თუ ტყუილი?!

პერნელი. ღეთისნიერ კაცს მტერი არ დაეღევა. შური...

ორგონი. რას ბრძანებ, დედა?

პერნელი. იმას მოგახსენებ, შვილო, რომ თქვენი ცხოვრება და იმ წმინდანის სიძულვილი გალაპარაკებთ მაგას.

ორგონი. რა სიძულვილი?

პერნელი. პატარა იყავი, შვილო, რომ სულ იმას - ჩაგძახოდი: წუთისოფელში სათნოება ყოველთვის დევნილი ყოფილა და კვლავაც დევნილი იქნება. მოშურნენი დაიხოცებიან, მაგრამ შური კი თავის დღეში არ გაქრება.

ორგონი. კაცი აყრას მიპირებს და შენ კი შენსას გაიძახი!

პერნელი. შენგან არ მიკვირს! აგრე როგორ გაგბერეს ქორებით? როდი უნდა აჰყვე, შვილო!

ორგონი. ჩემი თვალითა ვნახე, დედა!

პერნელი. შენ არ იცი, რა ტკბილი ენა აქვს შურისძიებას.

ორგონი. ამისთანა გინახავთ! ადამიანო, გეუბნები, ჩემი თვალითა ვნახე და ჩემი ყურით გავიგე მეთქი.

პერნელი. შურისთანა გესლიანი ხომ აღარა იქნება რა. ვაი იმისი ბრალი, ვისაც მიზანში ამოიღებს და თავის შხამს შეასხამს.

ორგონი. დედა, რა გინდა ჩემგან? ჩემი სევდა არ მეყოფა? გეუბნები, ჩემი თვალითა ვნახე მეთქი, აი ამ თვალით! ვნახე, ვნახე, ვნახე! გეყურება? ვნახე! სხვაფრივ როგორ გაგაგებინო? გეუბნები, ვნახე მეთქი!

პერნელი. ნახულსაც არ უნდა ენდო, შვილო! განა არ შეიძლება, მოტყუდე! ნახულსაც შეგნება უნდა, მაშინვე თავში კი არ უნდა აიფრინო.

ორგონი. ვაჰიმე! ყელში მომადგა სისხლი!

პერნელი. სუსტია, შვილო, ადამიანის ბუნება: ტყუილ-უბრალო-დაც იცის იქვნეულობა და ჭკეტილ განზრახვას ხშირად ბიწიერად მიიღებს ხოლმე.

ორგონი. მაშ ჩემი ცოლი საკეთილოდ ნდომია და მე რაღა მეტყმის!

პერნელი. მაშ, აგრე აჩქარება როგორ იქნება? უნდა დაგეცადა, საქმე საქმეზე მოგვარებულიყო, და სიმართლე ისე გენახა.

ორგონი. უნდა დამეცადა, რომ ჩემი ცოლი... ხომ არ გინდა წამომაროშვინო რამე დედა-ჩემო?

პერნელი. ერთი სიტყვით, ღეთის მადლით მოსილი, წმიდათა სწორია ის კურთხეულის შვილი, და თუნდა მომკლათ, მაინც არ დავიჯერებ, რომ მაგგვარი განზრახვა ჰქონოდეს რამე.

ორგონი. თავი დამანებე, თავი დამანებე! დედა ხარ, როგორ გააკადრო, თორემ იმისთანას გეტყოდნი, რომ...

დორინი. (ორგონს) რასაც დასთეს იმას მომკიო, ბატონო: თქვენ ჩვენი არა გჯეროდათ, დედა თქვენს კიდევ თქვენი.

კლევანტი. რა ვქნა, რა დროს ვგ არის! ტყუილად დროს ვკარგავთ მაგ კამათში და ის კი გვავიწყდება, რომ მტერს დახვდომა უნდა. ხომ იცით, რას გვემუქრება?

დამი. რაო, გვემუქრება?

ელმირი. მართალია, მეტად უმადური გამოდგა, მაგრამ არა მგონია, გაბედოს და...

კლევანტი. ნუ, ნუ, ტყუილი იმედი არას გვიშველის. ალბად საბუთი აქვს რამე და შეუძლია, რომ თამამად არის. კიდევ გეტყვი, რაკი-იკოდით, რომ ძალა მის ხელთ იყო, არც აგრე უნდა გაგებოროტებინათ.

ორგონი. რაოა დროსია. გველივით დამსუნთქა და ველარ შევიკავე თავი.

კლევანტი. ნეტავი მოხერხდებოდეს როგორმე თქვენი შერიგება!

ელმირი. ნეტავ მცოდნოდა, რომ მაგისთანა იარაღი ჰქონდა ხელში; რა ღმერთი გამიწყრებოდა, ამ ამბავს როგორ დავაწვიდი!

ორგონი. (დორინს) რა უნდა იმ კაცს? წადი ჰკითხე. დიალ, სწორედ მაგისთვის მცალნა ახლა!

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ა

ოტგონი, პერნელი, ელმირი, მათიანი, კლევანტი, დამი, დორინი,
ლუაიალი

ლუაიალი. (სცენის უკან მარჯვს დორინს) დილა მშვიდობისა, ჩემო კეთილო. უმორჩილესადა გთხოვთ, თქვენს ბატონს მოახსენოთ, რომ მცირე საქმე მაქვს.

დორინი. ბატონი მარტო არ გახლავთ და, არა მგონი, დღეს ინახულოს ვინმე.

ლუაიალი. მე არავის შევაწუხებ. პატარა საქმეზე გიახვლით, ფრიად სასიამოვნო საქმეზე და, იმედი მაქვს, მადლობელიც დამჩიება.

დორინი. როგორ მოვახსენო?

ლუაიალი. მოახსენეთ, რომ ბატონ ტარტიუფისაგან გახლავართ გამოგზავნილი.

დორინი. (ორგონს) ძალიან ზრდილი, ტკბილი მოლაპარაკე გახლავთ, ვილაცხა არის; მოვახსენებთ—ტარტიუფისაგან ვარ გამოგზავნილი და სასიამოვნო ამბავი მომაქვსო.

კლევანტი. უნდა ნახოთ, გაიგოთ, რა უნდა.

ორგონი. იქნება შერიგება უნდა? რა გულით-ღა უნდა ველაპარაკო!

კლევანტი. რა დროს გულია, რა ვქნა!.. თუ შერიგებაზე სთქვა რამე, უნდა მოუსმინოთ და დაჰყვეთ კიდევ.

ლუაიალი. (ორგონს) ჩემს ბატონს ვახლავარ. ღმერთმა ძირიანად ამოაგდოს თქვენი მტერი და მოშურნე! ღმერთმა ნუ მოაკლოს თქვენს ოჯახს თავისი მადლი და წყალობა!

ორგონი. (კლევანტს ჩუმიად) ძალიან ტკბილად დაიწყო. მგონი შესარიგებლად არის გამოგზავნილი. ნეტავი!

ლუაიალი. ღმერთმა ყველა თქვენს მტერს შეაყვაროს თქვენი ოჯახი, როგორც მე მიყვარს, და სხვა ნულარა გნებავთ რა. რამდენი ხანია, გიცნობთ, ბატონო, და ჯერ ისევ ცხონებული მამითქვენის დროს თქვენი უმორჩილესი მონა და მოსამსახურე გახლდით.

ორგონი. ძალიან ვწუხებვარ, ბატონო, რომ თქვენი ვინაობა არ ვიცი. მაპატივეთ და მიბრძანეთ, ვინ ბრძანდებით?

ლუაიალი. ლუაიალი გახლავართ, ბოქაული, და ღვთის მადლით აგერ ორმოცი წელიწადია პატიოსნად და ღირსეულად ვასრულებ ჩემს თანამდებობას. თქვენთანაც იმიტომ გიახვლით, რომ სასამართლოს გარდაწყვეტილება წარმოგიდგინოთ და აღვასრულო.

ორგონი. რაო? რა უნდა აასრულო!

ლუაიალი. საიმისო არაფერი, ბატონო, ნუ აღშფოთდებით. უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ და თქვენებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალოთ ეს სახლი, რათა ამიერიდან კანონიერი პატრონი დამკვიდრდეს შიგ.

ორგონი. სახლი დავკალო?!

ლუაიალი. დიად, ბატონო, თუ თქვენი ნებაც იქნება. ეს სახლი დღეიდგან ჩვენს კეთილს ტარტიუფს ეკუთვნის, ეს ხომ თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ამ სახლ-კარის პატრონი დღეიდან ის გახლავთ. ამის საბუთი აი აქა მაქვს, სრულიად კანონიერად შედგენილი დამტკიცებული.

დამი. ხედავთ ამ ურცხვს, ამასა?

ლუაიალი. მე, ბატონო, თქვენთან არა მაქვს საქმე, არამედ მართო ბატონი ორგონთან. დაფიქრებული, დარბაისელი კაცი ბრძანდება ბატონი მამა-თქვენი, და კარგად მოგეხსენება, რომ მართებლობის წინააღმდეგობიდან ავის მეტი არა წარმოდგება-რა.

ორგონი. მერე?..

ლუაიალი. დიად, ბატონო, ვიცი, მილიონიც რომ იყოს, თქვენ წინააღმდეგობას არ გაუწევთ კანონიერად დასაბუთებულს ოქმს და ნებას მიბოძებთ მეც კანონიერად აღვასრულო ჩემი ვალდებულება.

დამი. მეც რომ კანონიერად აღვასრულო ჩემი ვალდებულება და ერთი კარგა მიგთელო?

ლუაიალი. დააჩუმეთ, ბატონო, თქვენი შვილი, ან გამარიდეთ სადმე. საუკუნოდ სანანურად გამიხდება, რომ მიიძულოს და ოქმი შემადგენინოს.

დორინი. ბატონი, ლუაიალი, არა ლოიალურად გამოიყურება.

ლუაიალი. პატიოსანი კაცისა მე დიდად პატივიმცემელი ვახლავართ და, თუ ვიკისრე დღევანდელი ჩემი ვალდებულება, მხოლოდ თქვენი სიყვარულით და პატივისცემით: არ მინდოდა იმისთანა ბოქაული მოგდგომოდათ კარს, რომ თქვენი ყადრი არა სცოდნოდა: ბრიყულად, თავხედად მოგქცოდათ და შეეწუხებინეთ.

ორგონი. მაგაზხედ უარესი შეწუხება კიდეც იქნება? მოსულხართ და ჩვენი სახლიდან გვერეკებით.

ლუაიალი. ეხლავე ხომ არა, ბატონო! ოო, ღმერთმა დამიფაროს! ხვალამდე ვადას გაძლევთ, ხვალ დილაამდე; ოლონდ ღამე მეც თქვენთან გახლდებით... მე და ერთი ათიოდე კარგი ბიჭი. ჩემად ვიქნებით, ბატონო, ვერც კი გაიგებთ ჩვენს აქ ყოფნას. რომ წვებოდეთ, სახლის გასაღები მე მიბოძეთ: ეს უბრალო ჩვეულება გახლავთ, კანონის ძალით დადგენილი; და ნურც ჩვენ დავარღვევთ წესსა და რიგსა. ღამე ტკბილად გეძინებათ, ისე მოისვენებთ, როგორც თქვენს სახლში, და ხვალ დილით კი უნდა აჩქარდეთ და გაზიდოთ თქვენი ბარგი. თქვენ რომ არ შესწუხდეთ, მე ჩემს ბიჭებს დაგახმარებთ. თვალის დახამხამების უმაღლ გაიტანენ თქვენს ბარგს და სწორედ ამ განზრახვით წამოვიყვანე იმისთანა ღონიერი ბიჭები. რა ვიცი, მე მგო-

ნია, რომ მეტი თავაზიანობა აღარ შეიძლებოდა და, რადგან მე ასეთი პატივისცემით გექცევეით და არას გაწუხებთ, უმორჩილესადა გთხოვთ, თქვენც ისე მოაგვაროთ საქმე, რომ ჩემი მოვალეობის აღსრულებაში ხელი არათერამა შემეშალოს.

ორგონი. (იქით) ოოჰ, ნეტავი კი შენი ცემა შეიძლებოდეს, და თუნდა ისიც წამართვან, რაც დამრჩენია.

კლენანტი. (ჩუმად) თავი დაანებეთ, უფრო წაახდენთ საქმეს.

დამი. ოჰ, როგორ მქაეა ხელი!

დორჩინი. მერე რა კარგი ბეჭები აქვს ბატონს ლუაიას! შეერგება კიდეც.

ლუაიალი. მე რომ ავი კაცი ვიყო, ჩემო მშვენიერო, ე მაგ სიტყვებს ოქმში ჩაეწერდი და ძალიანაც შეგანანებდი: იქნება გგონია, ქალი ვარ და ციხეში არ დამიჭერენ!

კლენანტი. კმარა, ბატონო, კმარა. მოგვეცით რალაც უწყება გაქვთ და თავი დაგვანებეთ.

ლუაიალი. ნახვამდის! ღმერთმა სიხარული ნუ მოგიშალოსთ.

ორგონი. ღმერთმა სიმწარე ნუ მოგიშალოს შენცა და შენს გამომგზავნსაც.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

თბგონი, პერნელო, ელმიატი, კლენანტი, მარტიანი,
დამი, დორჩინი

ორგონი. ახლა ხომ ნახე, დედაჩემო, რომ მართალს მოგახსენებდი. ახლა ხომ ხედავ, როგორ მიღალატა იმ მუხთალმა და რა მახეში გამაბა?

პერნელო. ჯერაც გონებაზე ვერ მოვსულვარ, შეილო!

დორჩინი. (ორგონს) ტყუილად უჩივით, ბატონო, და ტყუილად ამტყუნებთ. საქმე განზრახვა გახლავთ და... თქვენი სიყვარულით მოსდის ყველაფერი; იცის, რომ სიპილიდრე კაცს გარყვინის, ეშინია, ცუდად არ მოიხმაროს, სული არ წაიწყმიდოსო და, რაკი თქვენი ხსნა და ცხონება უნდა, რა ჰქნას — იძულებულია ხელიდან გამოგვლიჯოთ ყოველივე თქვენი სარჩო-საბადებელი.

ორგონი. გაჩუმდი, სულ იმას გეუბნები, გაჩუმდი მეთქი, და მაინც ჰკუაზე ვერ მოგიყვანე.

კლენანტი. ახლა, რა ვქნათ?

ელმირი. მე რომ მკითხოთ, უნდა გამოვაქვეყნოთ იმ ურცხვის საქციელი. იქნება გავუბათილოთ როგორმე, რალაც ქალაქი რავს. ქვეყანაა, სამართალი. ისე როგორ იქნება, რომ ჩვენ კი არა ვკითხოვთ რა.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ა მ ს ე

ვალუა, თბგონი, პიბნული, ელმააა, ვლუაწვი, მათაანა,
ღამი, დღიანი

ვალერი. ძალიან ვწუხვარ, ბატონო, რომ ბედმა მწუხარების შიკრიკობა მარგუნა წილად, მაგრამ რა გაეწყობა? თქვენ იმისთანა განსაცდელში ბრძანდებით, რომ თუ საჩქაროდ თავს არ უშველეთ ცუდად იქნება საქმე. ერთმა ჩემმა მეგობარმა კარგად იცის, რა კავშირით ვუერთდებოდით მე. თქვენს ოჯახს და, ღმერთმა უშველოს, სახელმწიფო საიდუმლოს გაცემაც კი არ დაიზარა, რომ დაგსწარბოდით როგორმე. შემოგითვალათ, რაც შეიძლება დაჩქარდით, გაიპარეთ სადმე, თორემ დაქერას გიპირებენო. იმ მუზმუხელამ, რომელიც ამოდენი ხანია გატყუებდათ, მეფესთან თურმე დაგაბეზლათ და რალაც ყუთიც მიართვა; ეს ყუთი ვილაც გაქცეულისა ყოფილა, მეფისა და სახელმწიფო წეს-წყობილების წინააღმდეგ დამნაშავისა და თქვენ გქონიათ შენახული. დაწერილებით არა ვიცი-რა ამ საქმისა, მაგრამ ის კი დარწმუნებით ვიცი, რომ ბრძანება უკვე ხელმოწერილია და, რომ არსად დაიმალოთ, თვით ტარტიუფი მოუძღვის თქვენს დასაქერად გამოგზავნილს კაცებს.

კლევანტი. ხედავთ, სად დაგვსუნთქა გველმა: თქვენ თავიდან მოგიშორებთ, მერე დაჯდება თქვენს მამულზე და ფიქრიც აღარავისი ექნება.

ორგონი. უნდა ვალვიარო, რომ აღამიანისთანა საზარელი არა ყოფილა-რა.

ვალერი. ნულარ იგვიანებთ, ბატონო, თავს უშველეთ, მანამ შეგიძლიანთ. ჩემი ეტლი აქ გახლავს აქვე ამ თქვენს კარებზე; ეს ათასი ოქროც თან წაიღეთ, დაგქირდებით უცხო ქვეყანაში. დაჩქარდით: თუ მოგასწროთ, მეხვივით დაგეცემით თქვენი მოყვარე! თუ ნებას მიბოძებთ, მეც ვიახლებით და თავს არ დავანებებთ, ვიღრე სამშვიდობოში არ ვაგიყვანთ.

ორგონი. რა მალე მაგრძნობინა ღმერთმა ჩემი შეცდომა! ახლა რალა დროსია, ბატონო, ან მადლობა გიძღენათ, ან ბოდიში მო-

ვიხადო! მაგრამ იქნება ასე ადვილად არ გამწიროს ჩემმა ბედმა და ერთხელც არის შემთხვევა მომცეს, დაგიმტკიცოთ, რა მადლობელი ვარ თქვენი და რა მონანული ვარ ჩემის შეცდომისა. მშვიდობით! თქვენი დარდი მკლავს!

კლევანტი. ფიქრი ნუ გაქვთ, ჩენს თავს ჩვენ ვუპატრონებთ. ნუ-ღარ იგვიანებთ!

ს უ რ ა თ ი მ ე შ მ ი დ ე

ჭარჭიფი, პთლიდილი, პერნლი, მრგთნი, ელზირი, კლავნტი,
მარიაანი, ვალერი, დამი, დორინი

ტარტიუფი. (ორგონს დაიპერს) ნელა, ბატონო, ნელა! საით მიეჩქარებით! შორს წასვლა რა საჭიროა, რომ ბინა უკვე მზადაა. გაქვთ: მეფის ბრძანებისამებრ ახლავე ციხეში ჩაგადებენ.

ორგონი. გამცემო! ამისათვის ემზადებოდნი?

ტარტიუფი. ხომ იცით, ლანძღვით და გინებით მე ვერას მაწყენინებთ: ღვთისაა ყოველი ჩემი საქციელი, ღვთისთვის ვიღწვი და მესიამოვნება კიდევ, რომ წმინდა საქმისთვის ამოდენ შეურაცყოფას და დვენას ვიტან.

კლევანტი. თავდაბლობაც ამისთანა უნდა, სწორედ!

დამი. კიდევ ღმერთს ახსენებს!

ტარტიუფი. ცოფი რომ შემომანთხიოთ, მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და არ ვულალატებ ჩემს წმინდა მოვალეობას.

მარიაანი. დიდება თქვენდა, ჩემო ბატონო! დიდება თქვენს პატრონებას და ვაჟკაცობას!

ტარტიუფი. დიად, ბატონო, დიდება ჩემს ვაჟკაცობას, რომ ამოდენს ლანძღვა-თრევას ვითმენ და კეთილსინიღისიერად ვასრულებ ჩემი მეფის ბრძანებას.

ორგონი. ის მაინც როგორ დაავიწყდა ამ უმაღლესს, რომ მშვიტობელი, უბინაო, ვიღაც მაწანწალა ვიპოვე ტალახში, შინ მივიყვანე და სული და გული გავუზიარე!

ტარტიუფი. ღმერთმა ნუ დამავიწყოს თქვენი სიკეთე, მაგრამ, რაც უნდა დავალებული ვიყო თქვენგან, მე ჩემს მეფეს მაინც ვერ ვულალატებ. რა ვქნა, ჯერ უწმიდესი მოვალეობა ყოველი პატროსანი კაცისა თავისი მეფისადმი, და მერმე მეგობრობისა და დავალების გახსენება! თქვენ კი არა, მეფისთვის ცოლს გავწირავდი, შვილს, ნათესავს! ჩემ სიცოცხლეს არ დავზოგავდი, თუკი გაჭირდებოდა.

ელშირი. მუზმუზელა!

კლენტი. ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ, თუ კი აგრე ერთგული და თავგანწირული მონა ბრძანდებოდიოთ ჩვენი მეფისა, ამოდენი ხანი რას უყურებდით? რატომ მაშინვე არ დააბეზლეთ თქვენი მასპინძელი? რალა მაშინ მოგაგონდათ მეფის ერთგულება, როდესაც ჩემმა სიძემ გაიგო თქვენი ბინძური წადილი და სახლიდან დაგითხოვათ? მაშ სახლკარი რალად 'გამოსცინცლეთ? კაცს დაბეზლებას, დალუპეას ვუპირებდეთ და იმისგან ვინდომო რამე!

ტარტიუფი. (პოლიციელს) მაკმარეთ, ბატონო, ამოდენი შეურაცყოფა და თქვენი მოვალეობის აღსრულებას შეუდევით.

პოლიციელი. დიად, მგონი რომ კმარა, რაც ხანი დავიგვიანე. სწორედ დროზე მომაგონეთ ჩემი მოვალეობა. გთხოვთ ციხეში წამობრძანდეთ, ჩემო ბატონო.

ტარტიუფი. ვინა? მე, ბატონო?

პოლიციელი. დიად, თქვენ.

ტარტიუფი. რისთვის? რა დავაშავე?

პოლიციელი. მე თქვენთან სალაპარაკო არა მაქვს-რა. (ორგონს) დამშვიდდით, ბატონო, გული მოიბრუნეთ. დიდად სამართლიანი ბრძანდება ჩვენი კეთილი მეფე, გულთა-მზილავი და ამისთანა მუზმუზელებისაგან არ მოტყუვდება. გულდამშვიდებული სჯის დიდს და პატარას, ღირსეულად აჯილდოვებს ყოველს კეთილს და პატიოსანს და ღირსეულადვე ჰსაჯავს ავსა და ბიწიერს. აკი მოგახსენებთ, გულთა-მზილავი ბრძანდება და ეს კი არა, ამაზედ უდიდესი ფლიდიც ბევრი ყოფილა, რომ ჩვენი მეფის მართლმსაჯულება ვერ შეულახავს. თავის-თავი გასცა ამ უბედურმა, თქვენს დასაბეზლებლად რომ მოვიდა: რამდენი ხანია ერთ გაიძვერას დავეძებთ; იმის საქმეებს რომ მოგიყვებთ, სამს დღეს ვერ გავათავებ; ჩვენ სხვა სახელით ვიცნობდით, რასაკვირველია. ჩამოვიდა თუ არა ეს ვაჟბატონი, მაშინვე ვიცნაით, მაგრამ არა ვუთხარით-რა, რადგან მეფეს ნებავდა, დარწმუნებულიყო, რამდენად სულ-მდაბალი და გახრწნილი ბრძანდება ეს წმიდანი. მეფემ სცნა ყოველივე თქვენი დანაშაული და შეგინდოთ: ეს კაცი აქ იმიტომ გამომატანა, რომ აქვე თქვენს თვალ-წინ წავართვა გაქცეულის თქვენის მეგობრის ქალაღები და თქვენვე ჩაგაბაროთ. რაც შეეხება თქვენს სახლ-კარს და მამულს; მეფემ უკვე გააუქმა თქვენგან დამტკიცებული საჩუქარი და თქვენი საკუთრება თქვენვე გიწყალობათ. მეფე კარგად ვიცნობთ, ჩემო ბატონო. იცის, რომ ერთს დროს თქვენც კარგად დაეხმარეთ. მაშინდელი სამსახურისას დღეს გიძღვნიოთ სამაგიეროს და გთხოვთ გახსოვდეთ, რომ მტრობა

ადვილად ავიწყდება ჩვენს კეთილს მეფეს და სიკეთე კი თავის დღე-ში არა.

დორიანი. ღმერთო დიდებულო!

პერნელი. ძლივს არ ამოვისუნთქე!

ელმირი. რა კარგად დაბოლოვდა!

მარიანი. ვინ იფიქრებდა!

ორგონი. (ტარტიუფს, რომელიც პოლიციელს მიჰყავს) აი, შე გამცემო შენა!

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

პირნელი, თბგონი, ელმირი, მარიანი, კლავდი, ვალერი,

დაზი, ცარინი

კლევანტი. ნუ ჩემო სიძევე, თავი დაანებეთ! მაგას თავისივე ეყოფა, რალა თქვენი ლანძღვა უნდა! ნეტავე შეინანიოს შეცდომანი და თავი შეაბრალოს მართლ-მსაჯულებას. თქვენ კი დღესვე უნდა ეახლოთ ჩვენს მოწყალე მეფეს და მუხლ-მოდრეკილმა მოახსენოთ მადლობა.

ორგონი. დიად, ახლავ ვეახლები, ფეხ-ქვეშ ჩავუფარდები და ისე მოეახსენებ მადლობას. მერე, ბრწყინვალე ქორწილით უნდა დავაგვირგვინო ვალერის კეთალშობილი სიყვარული.

ს ი ყ ვ ა რ უ ღ ი
მ კ უ რ ნ ა ღ ო ბ ს

L'AMOUR MÉDECIN

სამ-მოქმედებიანი კომედია—ბალეტი

თარგმანი

დომიტრი შიჭიანისა

მოკმეღნი პირნი:

სგანარელი, ლუცინდას მამა.

ლუცინდა, სგანარელის ქალიშვილი.

კლიტანდრი, ლუცინდას მიჯნური.

ამენთა, სგანარელის მეზობელი ქალი.

ლუკრეცია, სგანარელის დისწული (ქალი).

ლიზა, ლუცინდას მოახლე.

გილომე, ვაჟარი.

იოსხე, ოქრომკედელი.

ტომეზი —

დეფონანდრი —

მაკრატანი —

ბაპიზი —

ფილტენი —

ნატარიუსი.

} ექიმები.

შამპანი, სგანარელის მსახური.

წარმომადგენელი:

კომედისა, მუსიკისა, ბალეტისა, თამაშობისა, სიცილისა და
სიამოვნებისა.

მოკმედება პირველი

სურათი პირველი

სგანარელი, ამენცა, ლუჯრეცია, გილიომე, იოსე

სგანარელი. ეჰ! რა არის ეს ჩვენი სიცოცხლე! მართალი უთქვამს ამ ვილაც ფილოსოფოსსა: „უის გავეყარე და ვაის შევეყარეო: — ერთი ქირი ისე არ მოვა; რომ მეორეც არ მოჰყვეს თანაო“. აი, მე! ერთი ცოლის მეტი არა მყავდა და ისიც მომიკვდა.

გილიომე. მერე — რამდენი გინდოდა გყოლოდა?

სგანარელი. ის ერთად-ერთი მომიკვდა, ბატონო ჩემო მეგობარო, და ისე არ მომაგონდება, რომ თვალები ცრემლებით არ ამეცსოს. მართალია, ყოფა-ქცევა იმისი მაინცა და მაინც საქებარი არ იყო და ძალიან ხშირად მოგვდიოდა ხოლმე ამაზე ლაპარაკი, მაგრამ რა გახდა: სიკვდილი ყველას ასწორებს. ის მომიკვდა და მე ვტირი. ცოცხალი რო ყოფილიყო იქნება ჩხუბიცა გექონოდა. ახლა შეიღებო? რამდენიც ღმერთმა შეილი მომცა, ერთი ქალის მეტი არ შე-მარჩინა და ისიც როგორი? ისეთი დაღონებულია, ისეთი ჩაფიქრებული, რომ ვერას გზით ვერ შევიტყე, რა დაემართა: რომ ეშველებოდეს რამე. მე სულ ველარა მომიფიქრებია რა და ერთი მირჩიეთ რამე-ღეთის გულისათვის (ლუჯრეციას) შენ დის-წული ხარ ჩემი; (ამენტის) შენ ჩემი მეზობელი; (გილიომს და იოსეს) თქვენ — ჩემი ნათლიები და მეგობრები: თქვენა გთხოვთ მირჩიოთ რა ვქნა, როგორ მოვიქცე!

იოსეს. მე ჩემის ფიქრით, ასე მგონია, რომ გასათხოვარ ქალს ისე არა ეხალისება რა, როგორც კაი გამოსვლა, კაი გამოწყობა. მე რო შენ ყოფილიყავ დღესვე ერთს კარგს რასმე სამკაულს ვუყიდდი, ბრილიანტისას, თვალ-მარგალიტისას, ზურმუხტ-იაგუნდისას...

გილიომე. სამკაულისა რა მოგახსენო და მე რომ შენ ვიყო ახლავე ისეთს ნაირ-ნაირ საფენებს უყიდდი და ოთახს ისე შეუმკობდი, რომ თვალსაც იამებოდეს და გულსაც გაუმხიარულებდეს.

ამენცა. ჩემ თავად მე მაგდენ თასლიბს კი არ გაუწევდი, ახლავე ჯვარს გადავსწერიდი იმ პატროსან კაცზე, ამას წინად რომ მაშუალი მოეგზავნა, როგორც ამბობენ.

ლუკრეცია. მე კი ამას ვადგივარ, ბიძა ჩემო, რომ იმისი გათხოვება სულაც არ არის საფიქრებელი. მეტად სუსტი აგებულების პატრონია და მეტად უღონო, რომ შეილოსნობამ იმ გამოუბრუნებელს გზას არ გაუყენოს. ქვეყნიერება სრულებით არ არის იმისი საქმე და მე ამას გირჩევთ, რომ მონასტერში შეიყვანოთ; ის იქ იპოვის თავის შესაფერ გასართობს.

სგანარელი. რაც რამ აქ ითქვა, ყველა საკვირველი კარგი რჩევაა, უძველესია; — მაგრამ ყველას თავისი მიზანი აქვს და რასაც მირჩევთ, თქვენთვისვე მირჩევთ. შენა ბძანდები, ბატონო იოსებე, ოქრომკედელი და შენს რჩევას ისეთი კაცის სუნი სდის, რომელსაც თავისი სამკაულების გასაღება სწყურია. შენ, ბატონო გილიომე, ქეჩაორხოებსა ჰყიდი და სახეზე გეტყობა, ჩრჩილმა არ წამიხდინოსო, გინდა, მალე მოიცილო; — შენ, ჩემო მშვენიერო მეზობელო, შენ რომ ერთს ადამიანზე თვალი გიჭირავს, იმისას ამბობენ, ცოტა არ არის ჩემს ქალს ევლება თურმე გარსა და სულ არას ინალვლი, რომ ჩემი ქალი სხვას გაჰყვებოდეს ვისმე. შენი რალა ვთქვა, ჩემო საყვარელო დისწულო! მე სულაც არა მაქვს განზრახვა, რომ ჩემი ქალი მივსცე ვისმე და ამისი მიზეზიც მე ვიცი; მაგრამ შენ რომ რჩევას მიკეთებ, მოლოზნად შეიყვანე მონასტერშიო, ეს ისეთი ქალის რჩევაა, რომელსაც თითქო ღვთის სათნო სურვილი აქვს, ეგების სულ მე დამრჩეს ბიძი-ჩემის ყოფა-ცხოვრებაო. ასე, ჩემო ვაჟბატონებო და ქალბატონებო, თუმცა თქვენს რჩევაზე უკეთესი რჩევა არ შეიძლება, მაგრამ მგონი არ დამეწუნებოდეს, რომ მე არც ერთს მაგ რჩევას არ დავადგე. (მარტო) დახეთ, როგორი მრჩეველები არიან.

ს უ რ ა თ ი მ ა მ რ ა მ

ლოცინდა, სგანაბოლი

სგანარელი. ოჰ, გარეთ გამოსულა ჩემი ქალი ჰაერის ჩასაყლაპავად! მე ვერა მხედავს. ოზრავს. ცას შეჰყურებს. (ლუცინდას) უფალმა გილხინოს, შვილო; დილა მშვიდობისა, ჩემო პატარავ. ახლა რასა იქ, როგორა ხარ? რაო? ისევ ისე მწუხარე ხარ, ისევ ისე დაღონებული? და მე კი არ გინდა მითხრა რა გაწუხებს? აბა, აბა ერთი; გამიღე ეგ შენი პაწაწკუნა გული; მითხარ, ჩემო საბრალო, მითხარ, მითხარ, მითხარ შენი ნამცეცა ფიქრი შენს პატარა მამასა! ყოჩაღად იყავი! გინდა გაკოცო? მოდი! (ცალკე) სულ ცეცხლი მედება, რომ ამ გუნებაზედა ვხედავ. (ლუცინდას) მითხარი, და, რატომ არას მეტყვი? თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, მითხარი, რა არის, რომ აგრე გულ-

ჩათუთქული ხარ? ოღონდ მიზეზი ამიხსენ და პირობას გაძლევ რა-საცა მთხოვ, შეგისრულო. ოღონდ შენ გულახსნით მითხარი, რისა-განა ხარ აგრე დაღონებული და ახლავე პირობას დაგიდებ, შემოგ-ფიცავ თუ გინდა, რომ ყოველი შენი გულის წადილი აგისრულო, — არა დავიშურო რა; ასე მითქემს. იქნება შეგშურის ვისიმე, რომ შენზე უფრო მორთული გამოდიოდეს... ან იქნება სხვა ახალი რამ ფარჩა გინდოდეს საკაბეთა? არა! იქნება შენი ოთახის მოწყობილო-ბა არ მოგწონდეს და უკეთ მორთვა გინდოდეს? არც ესა. მაშ იქ-ნება სწავლა გინდოდეს რამე, გინდა ოსტატს მოვიწვევ, რომ ფორ-ტოპიანოზე დაკვრა გასწავლოს? ალარც ესა! იქნება მიჯნური გყავ-დეს და შერთვა გინდოდეს იმისი? (ლუციონდა თავს ხრის).

ს შ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

სგანარელი, ლუციონა, ლიზა

ლიზა. ახლა, ბატონო, თქვენ ქალს რომ ელაპარაკებოდეთ, შეი-ტყუთ რამე თუ ვერა იმისი ნაღვლის მიზეზი?

სგანარელი. ვერა, ისეთი კერპი რამ არის, რომ ლამის გამაან-ჩხლოს.

ლიზა. მაშ ახლა მე დამანებეთ, ჩემებურად გამოვეკითხო.

სგანარელი. რა საჭიროა. თუუნდა მაგ გუნებაზე იყოს. იყოს, ვის რა ენაღვლება.

ლიზა. მე დამანებეთ მეთქი, გეუბნებით. იქნება მე უფრო ადვი-ლად გამომიტყდეს. როგორა, ქალბატონო! არ გვეტყვით რა გემი-ზეზებათ და ამით ქვეყანა უნდა შეაწუხოთ? მგონია სხვა არაფერ ჩა-დიოდეს აგრე და, თუ მამასთან გაჩუმების მიზეზი გაქვთ, ჩემთან მაინც რა მიზეზი უნდა გქონდეთ, რომ თქვენი გულის პასუხი მე არ შემატყობინოთ. თუ მამისაგან რაიმე გინდა, მე მითხარით. რამ-დენჯერ გამიგონია იმისაგან ჩემი ქალისათვის მე არაფერს არ დავი-შურებო. იქნება ნებას არ გაძლევდეთ, გიშლიდეთ რასმე? გასეირნე-ბა, ან საჩუქარი რამე ნუთუ არ იამება თქვენს გულსა? ან იქნება ვისგანმე გწყენიყოთ რამე? — იქნება თვალი გეკიროთ ვიზედმე და იმისი შერთვა გენატრებოდეთ? — ჰო, ახლა კი მესმის! საქმე ესა ყოფილა. მერე ამას, დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი, ამას მაგდენი გა-პრტყელება რად უნდოდა? ბატონო! მიზეზი გამოცხადდა და...

სგანარელი. გადი იქით, უმადურო შვილო, შენთან ლაპარაკი აღარ მინდა, ეგდე მაგ სიკერპეში.

ლუცინდა. მამავ! რადგან გნებავს რომ გამოგიტყდე...
 სგანარელი. აღარა მაქვს მე შენი სიყვარული.
 ლიზა. ბატონო? ამის მწუხარებას რაღა...
 სგანარელი. კერპია, კერპი, ჩემი სიკვდილი უნდა, სხვა არა-
 ფერი.

ლუცინდა. მამავ! მე გულითა მსურს...
 სგანარელი. მაგიერს მიხვდი, რომ აგრე გამოგზარდე, განა?
 ლიზა. ბატონო, ეგ რა...
 სგანარელი. ისე გულ აშფოთებული ვარ, რომ მეტი არ შეიძლ...
 ლუცინდა. მამა ჩემო...
 სგანარელი. აღარ არის ჩემს გულში შენი სიყვარული, აღარა.
 ლიზა. მაგას როგორა ბრძანებთ.
 სგანარელი. მატყუარაა.
 ლიზა. როგორა ბრძანებთ.
 სგანარელი. უმადური მეთქი...
 ლიზა. ნეტა რასა ბრძანებთ.
 სგანარელი. კერპი, კერპი, ვერ ვათქმევინე რა უნდა.
 ლიზა. ქმარი უნდა, ქმარი.
 სგანარელი. (თითქო არ გაუგონია). ხელი ამიღია.
 ლიზა. ქმარი...
 სგანარელი. დასანახავათ მეჯავრება.
 ლიზა. ქმარი...
 სგანარელი. აღარ მიმაჩნია ჩემ შვილად.
 ლიზა. ქმარი...
 სგანარელი. არა. ნუ მელაპარაკები...
 ლიზა. ქმარი...
 სგანარელი. -ნუ მელაპარაკები.
 ლიზა. ქმარი.
 სგანარელი. წულარ მელაპარაკები მეთქი!
 ლიზა. ქმარი უნდა, ქმარი, ქმარი...*(სგანარელი გავა).

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ნ ე

ლუციინდა, ლიზა

ლიზა. სწორედ არ უთქვამთ? ყველაზე უფრო ყრუ ის არის, ვინც
 თავს იყრუებსო.

ლუცინდა. აბა, ლიზა, ჰხედავ როგორ დაეაშავე, რომ მამას არ
 გამოეუტყდი. ყველა რომ მეთქვა, ხომ აგრე არ გაჯავრდებოდა.

ლიზა. ამისთანა კაცი გაგონილა კიდევ? უნდა გამოგიტყდეს, ქალბატონო, მე იმას ერთ რასმე ოინს რომ მოუხერხებდე, ძალიან მიამებოდა. მაგრამ ეს რისგან არის, რომ აქამდინ მიმალავდით მაგ თქვენს ნალველსა!

ლუციინდა. ეჰ! რაში გამომადლებოდა, რომ ადრე შემეტყობინებინა, — ან სულაც რომ არ გამომეცხადებინა, უარესი ვითამ რალა უნდა მომხდარიყო? იქნება გგონია, რომ რაც ახლა მოხდა, ადრევე არა ვიცოდი, ან მამიჩემის გაჯავრებაზე ექვი მქონდეს. ვინც მე მთხოულობდა, იმას რომ ცივი უარი შეუთვალა, ამან შეჭხუთა ჩემი გული და ყოველი ჩემი სიცოცხლის იმედი.

ლიზა. როგორ? ეგ ის უცნობი არის, თქვენ რომ გთხოულობდათ და რომლისათვისაც...

ლუციინდა. იქნება გასათხოვარი ქალისათვის რიგი არ იყოს ესე გამოტეხილი ლაპარაკი; მაგრამ სწორე გითხრა, თუ ნება მაქვს, რომ სურვილი ვიქონიო, მე იმას გარდა სხვისი სურვილი არავისი მაქვს. ერთმანეთისათვის ხმაც არ გაგვიცია; იმის პირიდან ერთი სიტყვაც არა მსმენია ტრფილებისა; მაგრამ სადაც კი მნახავდა, თვალს აღარ მომაცილებდა ხოლმე და ისეთის სინაზით და სინარნარით შემომყურებდა, მამაჩემსაც სიტყვა ისეთის თავაზითა და ზრდილობით გამოუტარა, რომ ჩემის მხრით უგრძნობელობა რალა საქციელი იქნებოდა; ახლა ხომ ხედავ, რომ მამიჩემის მრისხანებამ გამიქრო ყოველი იმედი.

ლიზა. მე მიცალვით ახლა. მართალია, თქვენს სიყვარულს აქამდის მიმალავდით, მაგრამ მე მაინც მინდა გემსახუროთ და, თუ გამბედაობას იმდენს იქონიებთ, რომ...

ლუციინდა. მერე ვითამ რა გინდა—მამის უფლების საწინააღმდეგო ჩამადენინო? თუ რომ ჩემი სურვილი არ შეიწყნარა.

ლიზა. კარგი, კარგი; აღამიანის შვილი ჩიტვივით ხელით სატარებელი კი არ უნდა იყოს. ოლონდ პატიოსნება არ დაირღვეს, და მამის მკაცრი წინააღმდეგობა შეიძლება გადავლახოთ. რა ნებავს ახლა თქვენგანა? წლოვანებით არა ხართ ჯერ გასათხოვარი თუ? იქნება ეგონოს ვისმე, რომ ქვა იყოთ და არა ხორცშესხმული? კარგი ერთი! მინდა თქვენს სიყვარულს ხელი მოვუწყუო. დღეის. აჰას იქით ყოველი ზრუნვა მე ჩემ თავზე ამილია და ჰნახავთ, როგორ შემოვუჯრო მე ამ საქმესა. მაგრამ აგერ მამა თქვენი! შინ შევიდეთ და პერე მე დამანებეთ ვიმოქმედო.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

სგანარელი

სგანარელი. (მარტო) ძალიან კარგად მეყურება რასაც ამბობენ, მაგრამ ურიგო არ არის, რომ ხანდახან ყური მოიყრუოს კაცმა, თითქო სულ არა მესმის რაო და მეც ძალიან კარგად მომივიდა, რომ ვითამ სულ ვერ ვაგიგონე, რაც მე აქ ისეთი საქმე გამომიცხადეს, რომ ფიქრათაც არა მაქვს იმისი შესრულება. გაგონილა-ლა სადმე იმისთანა უსამართლოება, რომ მამას ძალას-ატანდნენ, დიღის გაჭირებითა და ვაი-ვაგლანით რომ შეძლება შეგიძენია და ქალი გამოგიზღია, გინდა თუ არა ეგ ქალიცა და ეგ შეძლებაც ისეთ კაცს ჩაუვდე ხელში, რომ ჯერ თვალითაც არ გენახოსო? არა, არა, მე ეს ჩვეულება სულაც არაფრად მიმაჩნია, ჩემი დოვლათი და ჩემი ქალიც მე ჩემთვის შინდა.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ე მ ს ე

სგანარელი, ლიზა

ლიზა. (გამწარებული შემორბის სცენაზე და სგანარელს თითქო ვერ ჰხედავს). ოჰ, რა უბედურებაა, ოჰ, რა უბედურებაა, ოჰ, საბრალო ჩემო ბატონო, სად გიპოვო ახლა, სადა ვნახო!

სგანარელი. (თავისთვის) ნეტა რა აღრიალებს ამასა?

ლიზა. (ისევ ისე). ოჰ, უბედურო მამავ, რასა იქ, როცა შეიტყობ?

სგანარელი. (თავისთვის) რაო, რა მოხდა?

ლიზა. საწყალი ჩემი ქალბატონი.

სგანარელი. (თავისთვის) ვაიმე, შენ ჩემო თავო! ვაიმე!

ლიზა. ბატონო, აგრე ნუ ტირით, თორემ გამეციდება ეს-ეს არის. **სგანარელი.** მაშ თქვი მალე.

ლიზა. თქვენი ქალი, თქვენ განრისხებულ ლაპარაკსა და გაწყრომას ისე შეუპყრია, რომ თავისს ოთანში რომ ასულა და იმედ გადაწყვეტილს ფანჯარა გაუღია, მდინარეს რომ გადაჰყურებს...

სგანარელი. მერე?

ლიზა. მერე ზევით აუხედნია და შეუძახნია, რა რომ მამა გამიწყრა, ჩემზე ხელი აიღო, ჩემი სიცოცხლე როგორღა შეიძლებაო, თავი რალად მინდა ცოცხალიო და...

სგანარელი. და გადავარდნილა?

ლიზა. არა, ბატონო! ფანჯარა ისევ მოუხურავს და ქვეშაგებში ჩაწოლილა. იქ მწარე ტირილს მოჰყოლია და ამასობაში უცებ გადაცრეცილა, თვალები გადმობრუნებია, გული წასვლია და...

სგანარელი. ვაიმე! მომკვდარა?

ლიზა. არა, ბატონო! ლავიწები იმდენი უსრისე და იმდენი ვანძრე, რომ მოვიყვანე გონზე როგორც იყო; მაგრამ მაინც წამ და უწუმ მისდის გული და არა მგონია სალამომდინ მიაწიოს.

სგანარელი. შამპანო, შამპანო, შამპანო!

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

სგანარელი, შამპანი, ლიზა

სგანარელი. არიქა, ირბინე, ექიმები მომგვარე, ბევრი, რამდენიც შეიძლებოდეს. ახ, ჩემო შეილო, ჩემო შეილო! (შამპანი გავარდება).

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

სგანარელი, ლიზა

ლიზა. ოთხი ექიმი რომ დაგიბარებიათ, რად გინდათ განა ერთი ვერ შესძლებდა ადამიანის მოკვლას?

სგანარელი. ჩუმაღ იყავი! ოთხი რჩევა არა სჯობია ერთსა?

ლიზა. განა ამ ბატონებს რომ არ მოაკვლევინოთ თქვენი ქალი, თავის თავად კი ვერ მოკვდება?

სგანარელი. როგორა? ექიმები ჰკლავენ?

ლიზა. რასაკვირველია. მე ერთი კაცი ვიცი, რომელიც ბეჯითად ამბობდა: არას დროს არ უნდა ითქვას, ესა და ეს ცხელებით. ან ფილტვების ანთებით მოკვდაო. არამედ ის მოჰკლა ოთხმა ექიმმა და ორმა აფთიაქარმაო.

სგანარელი. ჩუმაღ!

ლიზა. აი ამას წინად ჩვენი კატა გადავარდა ბანიდან და ძირს ისე დაეცა, რომ სამ დღეს უქმელ-უსმელი ეგდო და ველარც ფეხს ანძრევდა, ველარც თავსა და ბედი იმისი, რომ კატებში ექიმობა არ იციან, თორემ ბოლოს მალე მოუღებდნენ სასაქმებლებითა და სისხლის გალებით.

სგანარელი. გაჩუმდები თუ არა? უყურეთ ერთი ამასა! აგერ ისინიცა!

ლიზა. ფრთხილად იყავით, თორემ კარგად აგაშენებენ ეგენი. ლათინურად აგისნინან ქალი ავადა გყავთო.

სურათი მეორე

ლემოზი, დეფინანდრი, მაკრატონი, შაპიზი, სგანარელი, ლიზა

სგანარელი. ახლა? ბატონებო!

ტომეზი. საკმაოდ გაეშინჯეთ ავადმყოფი და უეჭველია უწმინდურება ბევრია იმაში.

სგანარელი. როგორ? ჩემი შვილია უწმინდური?

ტომეზი. მე ეს მინდა ვთქვა, რომ ბევრი უწმინდურება უდგია ტანში, ესე იგი ბევრი ბაღალში აქვს.

ხგანარელი. ჰო, ახლა კი მესმის.

ტომეზი. მაგრამ... უნდა ერთმანეთში მოვილაპარაკოთ, კონსილიუმი შევადგინოთ.

ხგანარელი. აბა, სკამები, სკამები!

ლიზა. (ტომეს) ოჰ, ბატონო, თქვენც აქა ბრძანდებით?

ხგანარელი. შენ საიდან იცნობ ამ ბატონს.

ლიზა. ამას წინეთ თქვენი დისწულის მეგობრისას გახლდი და იქა ვნახე.

ტომეზი. ახლა როგორ არის იმისი მეჯინიბე?

ლიზა. ძალიან კარგად. სულ განისვენა.

ტომეზი. მოკვდა თუ?

ლიზა. დიად.

ტომეზი. ეგ შეუძლებელია!

ლიზა. შესაძლებელი არის თუ არა, მე არ ვიცი, მაგრამ ეს კი კარგად ვიცი, რომ მოკვდა.

ტომეზი. ვერ მოკვდებოდა მეტი, მე გეუბნებით.

ლიზა. მე კი ამას მოგახსენებთ, რომ მოკვდა და დამარხეს კი-დეცა.

ტომეზი. შემცთარი ხართ.

ლიზა. მე ჩემის თვალითა ვნახე.

ტომეზი. ეს ყოვლად შეუძლებელია. ჰიპოკრატი ამბობს, რომ ამგვარი ავადმყოფობა თავდება თოთხმეტს ან ოც-და-ერთს დღეზე და იმისი ავადმყოფობა ხომ ექვს დღეზე მეტი არ არის.

ლიზა. ჰიპოკრატმა რაც ნებავს ისა ბრძანოს; იმ მეჯინიბეს კი ველარავენ გააცოცხლებს.

ხგანარელი. კარგი ახლა, დაანებეთ მაგას თავი, გავიდეთ აქედან. ბატონებო, გვედრებით კარგად არჩიოთ. წინათვე გასამრჯელოს შეძლება ჩვეულებად არ არის მიღებული, მართალია, მაგრამ, მეშინია არ დამავიწყდეს და აი, ამ თავითვე მომირთმევია, (ფულს ურიგებს, ისინი რომ მიიღებენ, ყველა თავისებურად უხდის მადლობას).

ს უ რ ა თ ი მ ი ს ა მ ე

დეფონანდრი, ცომეზი, მაკროფონი, შაპიზი

(ისინი სხდებიან და ახველებენ)

დეფონანდრი. მეტის-მეტად დიდი ქალაქია ეს ჩვენი პარიზი; ცოტა გზის გამოვლა კი არ გვიხდება!

ცომეზი. უნდა ვალვიარო, რომ ამისთვის მე ისეთი საკვირველი ჯორი მყავს ერთი, რომ ადამიანი ვერ წარმოიდგენს. რასაც ის მუდამ დღე გზას გამოივლის ხოლმე.

დეფონანდრი. მე ცხენი მყავს საოცარი: იმისი დალაღვა ყოველად შეუძლებელია.

ცომეზი. იცით დღეს რა გზა გამომატარა ჩემმა ჯორმა? თავდაპირველად არსენალთან ვიყავი; არსენალიდან სენ-ჟერმენის უბნის ბოლოს გავედი; — სენ-ჟერმენის უბნის ბოლოდან შუა-გულ მარეს მივედი; მარეს შუა-გულიდან ლა პორტ-სენტ-ონორეს ამოვჰყავ თავი; ლაპ ორტ-სენტ-ონორედან სენ-ჟაკის უბანში ჩამოვხტი; სენ-ჟაკის უბნიდან რიშელიეს კარს მივადექი; რიშელიეს კარიდან აქ მოვედი და აქედან უნდა მივიდე კიდევ პლას-როიალს.

დეფონანდრი. ჩემმა ცხენმა ყველა ეს ადგილი გამოიარა დღესა და ამას გარდა რუელსაც ვიყავ ერთი ავანტურის სანახავად.

ცომეზი. მართლა, ვისი მხარე გიჭირავთ თქვენა თეოფრასტისა და არტემიოზის უთანხმოებაში? ჩვენი ექიმების გუნდი შუა გაჰყო ამ საქმემ.

დეფონანდრი. მე მიჭირავს არტემიოზის მხარე.

ცომეზი. მეცა; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იმისმა ექიმობამ მოკლა ავადმყოფი, როდესაც თეოფრასტისას იქნება მოერჩინა; — მაინც კი უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთს შემთხვევაში შემცდარი არის და სხვა აზრზე არ უნდა დამდგარიყო, თუ არ თავისი უფროსი ამხანაგის აზრზე. თქვენ რას იტყვიან?

დეფონანდრი. ეგ უეჭველია. რაც უნდა მოხდეს, რიგი არას დროს არ უნდა დაირღვეს.

ცომეზი. ოო! მე წესსა და რიგს ძალიან შეურყეველად ვადგევარ ხოლმე, თუ მეგობრებთან არა მაქვს საქმე. ერთხელ ერთ ავადმყოფთან შეგვეყარეს კონსილიუმზე სამი ჩვენი და ერთი სხვა ექიმი. წესისა და რიგის ცოტა რამ გადადგომა მოიწადინეს იქა, მაგრამ მე მოკლედ მოუშქერ სიტყვა. შინაურებიცა და თითონ ავადმყოფიც ძა-

ლიან ბევრს ეცადნენ, მაგრამ მე არას გზით არ დავუყუევი და ამა-
ქობაში ავადმყოფი ყოჩაღად მოკვდა მანამ ჩვენ ბაასში ვიყავით.

დეფონანდრი. ძალიან კარგად გიქვინათ. უნდა იცოდეს ხალხმა
ცხოვრება როგორ უნდა.

ტომეზი. მკვდარი კაცი არა არის რა, თუ არ მკვდარი კაცი;
იმას სხვა ბოლო არა აქვს რა, და თუ დაწესებული რიგი დაირღვა,
ამითი კი მთელი ჩვენი საზოგადოება გაიკიცხება.

ს უ რ ა თ ი მ ი ო თ ხ ე

სვანარული და ისყ იმ ქიმეზი

სვანარელი. თან-და-თან უფრო სწუხს ჩემი ქალი; გთხოვთ მალე
შითხრათ, რას დაადექით!

ტომეზი. (დეფონანდრს) აბა, ბატონო!

დეფონანდრი. არა, თქვენ იწყეთ, ბატონო!

ტომეზი. ნუ ხუმრობთ.

დეფონანდრი. მე არ დავიწყებ.

ტომეზი. ბატონო!

დეფონანდრი. ბატონო!

სვანარელი. ეჰ, მაგ ცერემონიას თავი დაანებეთ ღვთის გული-
სათვის; აქ განსაცდელი გვადგია.

ტომეზი, დეფონანდრი, მაკროტონი, ბაშიზი (ერთად ამბობენ)

ტომეზი. თქვენი ქალის ავადმყოფობა.....

დეფონანდრი. ჩვენ ყველასი საერთო აზრი.....

მაკროტონი. კარ-გათ რომ ა-ვილ-და-ვი-ღეთ...

ბაშიზი. ამის დასასკენელად უნდა გადაწყვეტილი...

სვანარელი. არა, ბატონებო, ღვთის გულისათვის, ცალ-ცალკე
ილაპარაკეთ.

ტომეზი. ჩვენ ერთმანეთში მოვილაპარაკეთ თქვენი ქალის ავად-
მყოფობაზე და ჩემი აზრი ეს არის, რომ მიზეზი დიდი სიმხურვა-
ლეა სისხლისა და როგორც შეიძლებაოდეს ისე საჩქაროდ უნდა სი-
სხლი გააღებინოთ.

დეფონანდრი. მე კი ამას ვამბობ, რომ მიზეზი არის ბალღამის
ჩადგომა კუჭის უმოქმედობისაგან და უთუოდ პირ-საღებინებელი
უნდა მიეცეს.

ტომეზი. მე ამას ვადგევი, რომ პირ-საღებინებელი მოჰკლავს.

დეფონანდრი. მე კი ამასა, რომ სისხლის გაღება მოჰკლავს.

ტომეზი. თქვენ ვითამ და უფრო გამოცდილი ბრძანდებით.

დეფონანდრი. დიად ვარ; და არას ცოდნაში არ ჩამოვიდგებით. ის კაცი გახსოვთ თუ არა, ამ დღეებში რომ ფეხები გააქიმინეთ?

ტომეზი. თქვენ ამ სამი დღის წინათ რომ ერთი ქალი საიქიოს გაგზავნეთ, ის გახსოვთ თუ არა? (სგანარელს). მე ჩემი აზრი მოგანსენეთ.

ტომეზი. (სგანარელს) თუ ახლავე სისხლი არ გამოაშვებინეთ, თქვენი ქალი მკვდარია, იცოდეთ. (გავა).

დეფონანდრი. თუ სისხლი გამოაშვებინეთ, იცოდეთ რომ ნახევარ საათსაც ველარ იცოცხლებს. (გავა).

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

სგანარელი, მახტოფონი, შაპიზი

სგანარელი. რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა, და ორს ასე ერთმანეთის წინააღმდეგს რჩევაში რომელს დაადგეს? გევედრებით ბატონებო, გონებაზე მომიყვანეთ და უშფოთველად მითხარით, რა უფრო მოუხდება ჩემ ქალსა?

მაკროტონი. ა-მის-თანა საქ-მე-ში დი-დი სიფ-თხი-ლე გვმართებს, თუ შეც-დო-მა მო-ვი-და რა-მე, მო-მა-კვდი-ნე-ბე-ლი იქ-ნე-ბა, რო-გორ-ცა ბრძა-ნებს ჩვე-ნი მოძღ-ვა-რი ჰი-პო-კრა-ტი.

ბაჭიზი. ((სხაა-სხუპით). მართალია, აქ დიდი გაფთხილება უნდა, რადგან აქ სათამაშო სულ არა არის რა; თუ წახდა რამე ნურაეისა ჰგონია რომ გამოკეთებულა შეიძლებოდეს; experimentum periculum. ცდა ხან ბედის მონახევრეა, ხან სრული უბედურებაა, ამისათვის დიდი მოფიქრება გვმართებს, უნდა ავილოთ, დავილოთ აგებულება განვიხილოთ, მიზეზი გამოვიკვლიოთ ავადმყოფობისა და კარგად გავზინჯოთ რანაირად რა წამალი ვახმაროთ.

სგანარელი. (ცალკე) ერთი კუს ვერ მოეწევა და მეორე ფოსტასაც გაუსწრებს.

მაკროტონი. საქ-მე საქ-მე-ზე რომ მი-ვი-ყვა-ნოთ, მე მგო-ნი-ათქვენ ქალს ქო-რო-ნი-კუ-ლი, ხან-გრძ-ლი-ვი, სნე-უ-ლე-ბა ჰქონ-დეს და ძა-ლია-ან გა-უძ-ნელ-დე-ბა თუ, მა-ლე არ უშ-ვე-ლეთ; ბუ-ლი სდის კვამ-ლე-უ-ლი და ისე ცხა-რე, რომ ტვინს უშ-ფო-თებს. ეს ბუ-ლი ა-ნუ ქარი, ბერ-ძნუ-ლად რომ ატ-მოსს ვენტყ-ვით, მოს-დის წამხ-და-რის ბალ-მი-სა-გან, რო-მე-ლიც ქვე-და მუ-ცელ-ში უდ-გი-ა.

ბაჰიზი, და რადგან ამ ბალღამს დროთი უმატნია და უმატნია, შედღუღებულა და ის თვისება დასჩემებია, რომ იმისი ბული კვამლივით ტვინში აღის.

მაკროტონი. ახ-ლა რომ გა-მო-ვი-ლოთ, მო-ვა-ცი-ლოთ, გან-ვა-შო-როთ ეს ბალ-ლა-ში, ერ-თი ძლი-ერი სა-საქ-მე-ბე-ლი უნ-და მი-ე-ცეს; მაგ-რამ მე უფ-რო ა-მას ვამ-ჯო-ბი-ნებ და უფ-რო შე-სა-ბა-მიც იქნე-ბა რომ პა-ტა-რა ა-ნო-დი-ნი ვიხ-მა-როთ, ე-სე ი-გი და-მამ-შვი-დე-ბე-ლი ჯუ-ლა-ბი და სას-მე-ლი შა-რა-ფი, ა-ნუ შარ-ბა-თი.

ბაჰიზი. მერე განსაწმედელს სასაქმებელს მივსცემთ და სისხლს გამოვუშვებთ, თუ საჭირო იქნება მეორედაც.

მაკროტონი. ა-მას ვერ ვიტყ-ვით, რომ ამ წამ-ლო-ბით თქვე-ნი ქა-ლი უ-თუ-ოთ მორ-ჩე-ბო-დეს; მაგ-რამ ნუ-გე-შად მა-ინც გე-ქნე-ბათ, რომ ცდას არ აკ-ლებთ და, თუ მოკვ-და, რიგ-ით მა-ინც მოკვ-დე-ბა.

ბაჰიზი. რასაკვარველია, კანონიერი სიკვდილი სჯობია უკანონო გადარჩენას.

მაკროტონი. გუ-ლის სიწ-მინ-დით გა-ტყო-ბი-ნებთ ჩვენს აზრ-სა.

ბაჰიზი. გელაპარაკებით, როგორც საკუთარ ძმას.

სგანარელი. (მაკროტონს იმისებურად). მრავალს მად-ლო-ბას მო-გახ-სე-ნებთ, (ბაჰიზს, სხაბი-სხუბით). თქვენც` გულითა გმადლობთ გარ-ჯილობისათვის, ჩემო ბატონო.

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ ს მ

სგანარელი

სგანარელი. (მარტო). ამათ მოსვლამდინ თუ არა ვიცოდი რა. ახლა უფრო აღარა გამეგება რა. აი დასწყევლოთ... ერთი ფიქრი მომივიდა: წავალ და ორვიეტანს თრიაქს ვიყიდი, მივალეზინებ. ეს ისეთი წამალია, რომელსაც ბევრი მოუჩინია. გამოფონე შენ ეი!

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ ი დ ა

სგანარელი და ერთი ბეჭვტილზანე

სგანარელი. ერთი კოლოფი ორვიეტული თრიაქი მომეცი და ფულს ახლავე დაგითვლი.

მეწვრიმალე. აი სულ ახალ-ახალი, ჩინებული. ისე სკრის, რომ თითქმის მკედარს წამოაყენებს.

აფილჰანი, ცომეზი, დეაუნანდრა

ფილრენი. როგორ არა გრცხვენიათ, ბატონებო, რომ მეცნიერნი და შერე თქვენია ხნისანი ისე წაკიდებულხართ, რომ ბიჭ-ბუჭებსაც არ შეუფერება? როგორ არ გესმით, რომ ამ გვარი ყოფა-ქცევა ქვეყანაში სახელს გვიტეხს ყველასა. ის არ გვეყოფა, რასაც თითონ ჩვენ ჩვენი ძველების კარაბადინებში და სხვა სამკურნალო წიგნებში უთანხმოებასა ეპოვებთ, რომ ჩვენი ხელობის სიყალბე ხალხსაც არ დაევანახოთ? მე ჩემ თავათ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის ყოფა-ქცევა სრულებით არ გამეგება და ჩემსავით ყველამ უნდა აღიაროს, რომ ჩვენი ერთმანეთის წინააღმდეგობა ისე გვიტეხს ქვეყანაში სახელსა, რომ თუ ძალიან არ გავფუთხილდით და გონიერებას არ დავადექით, მთელი ექიმობა შიმშილით უნდა ამოწყდეს. მე აქ ჩემი თავისას არას ვამბობ; მე ჩემი საქმე, ღვთის შეწევნით, კარგათა მაქვს დაქერილი: თუნდ ქარი ჰქროდეს, თუნდ სწვიმდეს, თუნდ სეტყვა მოდიოდეს, ვინც ერთხელ მოკვდა, მოკვდა, და ვინც ცოცხალია, მე იმათი შემაყურებელი აღარა ვარ. მაგრამ მაინც ვიტყვი, — ყოველი ეს ჩვენი ერთმანეთის მტყუნება და დავა გროშათაც არა ღირს ჩვენი ხელობისათვის. რადგან ერთხელ ჩვენ ისეთი ზეციერი წყალობა მოგვევლინა, რომ რამდენიმე საუკუნოების მიმდინარეობაში ქვეყანას ჩვენი რალაც სწავლა და ხელობა სჯერა და ნდობა აქვს ჩვენი, რა ქკუა ვითამ, რომ თვალი ავახილვინოთ და ჩვენი მაცდურობა ცხადათ დავანახოთ? წყნარად და თავაზიანად გამოვჩებოდეთ ამ ხალხის სისულელეს, ის არა ჰსჯობია? იქნება გეგონოთ, რომ ჩვენს მეტი სხვა არავინა ცდილობდეს ხალხის უგონრობა თავისათვის გამოიყენოს? თითქმის ყოველი სწავლისა და მეცნიერების მიმართულება ის არის, რომ კაცის უღონობას და უგონრობას გამოჩეხს რასმე. პირმოთნეებმა, მაგალითად, იციან, რომ აღამიანს ქება უყვარს და ამ სიყვარულადამ გამოაქვთ თავისი სარგებლობა. ზოგნი ისე არიან ამასში დახელოვნებული, რომ დიდი სარგებლობა გამოაქვთ. ალქიმის-

ტებმა იციან, რა დიდი სურვილი აქვს კაცს სიმდიდრისა და იმითი სარგებლობენ, რომ ოქროს მთებსა ჰპირდებიან ყველას, ვინც ყურს უგდებს და იმათს მეცნიერებას ენდობა. მკითხავები ამბობენ, ასტროლოლია ვიციტო, ჰოროსკოპში ვიყურებითო და რამდენია იმათი დამჯერებელი ქვეყანაზედ, ვინ მოსთვლის, და აქედამ მაცდურებს რამდენი სარგებლობა გამოაქვთ, ვინ აღრიცხავს. ყველა კაცობრივს გრძნობაზე უძლიერესი გრძნობა არის სიცოცხლის სიყვარული, — ყველაზე უტკბესი არის კაცისათვის სიცოცხლე, და ჩვენ დიდის მედიდურობით, დიდის პამპრაუქობით მოგვაქვს თავი, რომ ჩვენა ვართ სიცოცხლის გამაგრძობელნი, ჩვენი მეცნიერება არის ის განუზომელი მეცნიერება, რომელსაც სიკვდილის განშორება შეუძლიაო და სიკვდილის მოშიშარნი გვიჯერებენ, რასაც ვამბობთ და სწამთ ჩვენი ძლიერება. რად გინდათ, ერთი შემატყობინეთ, რომ გადუღგეს ხალხი ამ სარწმუნოებასა და თითონ ჩვენგანვე შეიტყოს, რომ შემცდარი თურმე ყოფილა ჩვენს ძლიერებაზედაცა და ჩვენს მეცნიერებაზედაც? ის არა სჯობია, რომ ჩვენი ალაგი გვექიროს ავადმყოფობასთან და რაც ჩვენს სიყალბეს შეუღდება, რასაც ჩვენ დავაშავებთ, ის ბუნებას გადავებრალოთ, ღვთის განგებასა. რად დავარღვიოთ ჩვენი საზრდო ჩვენის ხელითა და ვინც ჩვენის მიზეზით მიწასა ჰბარდება, იმათი შეძლება იმათ მემკვიდრეებს ნუ დარჩებათო, ან ამათ რაღას ვემართლებით?

ტომეზი. სულ მართალია, რასაც ბრძანებთ, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ხანდახან სისხლის სიმხურვალეს ველარ დავიმორჩილებთ ხოლმე.

ფილარენი. კარგია, ახლა ბატონებო. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და მორიდდით.

დეფონანდრე. მე თანახმა ვარ. აქ მე ჩემი სასაქმებელი მიმატე-მინონ ამ ავათმყოფისათვის და იმან, რაც ჰნებავს, ის მისცეს პირველს სხვა ავადმყოფსა.

ფილარენი. უკეთესი სიტყვა აღარ ითქმის.

დეფონანდრე. საქმე გათავდა.

ფილარენი. აბა ხელი-ხელს ახლა მშვიდობით. ამას იქით იმედია უფრო ფრთხილად იქნებით.

ს შ რ ა თ ი მ ი ო რ ა მ

ტომეზი, დეფონანდრე, ლიზა

ლიზა. როგორ, ბატონებო, თქვენ აქა ბრძანდებით და თქვენს ხელობას სხვანი რომ გეცილებიან, ამას კი არა დასდევთ?

ტომეზი. რაო, რა მოხდა?

ლიზა. ერთმა ვიღამაც თავებდმა თქვენს ხელობას ზედაც არ შეხედა და ეს არის ახლა ხმლით გააყრევიანა სული ერთ კაცსა!

ტომეზი. გაიგონე შენ ეი! შენ ხუმრობ, მაგრამ დღე მოვა, რომ შენც ჩვენს ხელში გაიარო.

ლიზა. პირობას გაძლევეთ, მე თითონ მოვიკლა თავი, მანამ თქვენ მოგმართავედეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ლიკანდრი (ექიმის ტანისამოსით), ლიზა

ლიკანდრი. აბა, ჩემო ლიზა, ამ ჩემს მორთულობაზე რას იტყვი? ამ ტანისამოსით საპატრიო კაცის თვალების ახვევა შეიძლება თუ არა, როგორა გგონია? მოგწონს?

ლიზა. ძალიან, ძალიან, უკეთესი არ შეიძლება: დიდი ხანია მე აქ გელით. ღვთისაგან ისე ვარ დაბადებული, რომ ორი მიჯნური, რომ ერთმანეთისათვის ოხრავდნენ, მე გული არ მომისვენებს, თუ არ მივეშველე და ყოვლისფრით ხელი არ მოეუმართე, რომ თავის საწადელს ეწვივნენ. რითიც იქნება მინდა გამოვიხსნა ლუციინდა მამის ხელიდან და თქვენ მოგცეთ ხელში. ჯერ ერთი ესა, რომ მომეწონეთ; — ამ ნაირს საქმეში მე გაგება მაქვს, განა არა, და ვამბობ, რომ უკეთესს ვერავის შეეტრფოდა. სიყვარულს ბევრი ახირებული განსაცდელი ადგია და ჩვენ ისეთნაირადა გვაქვს საქმე მოკვანილი, რომ მგონია კარგად დაბოლოვდეს. ზომები ჩვენს მიერ მიღებულია. ირც ის კაცია ისე გამოქნილი, რომ იმასთან ამ საქმის დაქერა გასაქირი იყოს. თუ ეს განზრახვა ჩაგვეშალა როგორმე, სხვა ათასნაირი გზა იპოვება კიდევ, რომ ჩვენი მიზანის მისაღწევად. პატარა ხანს ა იქ მომიცადეთ და მალე მოგნახეთ. (ლიკანდრი მიეფარება).

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

სგანარელი, ლიზა

ლიზა. ბატონებო, მიხარებია, მიხარებია!

სგანარელი. რაო?

ლიზა. გიხაროდეთ!

სგანარელი. რა?

ლიზა. გიხაროდეთ მეთქი, მოგახსენებთ.

სგანარელი. ჯერ გამაგებინე, რა არის და იქნება გაეიხარო.

ლიზა. არა, მე ის მინდა, რომ ჯერ იხაროთ, იმღეროთ, ითამაშოთ.

სგანარელი. რაზე?

ლიზა. ჩემ სიტყვაზე.

სგანარელი. კარგი, რა გაეწყობა. (მღერის და ცეკვავს). ლა, ლერა,

ლა, ლა, ლა, ლერა, ლა. არც ახლა იტყვი?

ლიზა. ბატონო, თქვენი ქალი მორჩენილია.

სგანარელი. ჩემი ქალი მორჩენილია?

ლიზა. დიალ! ერთი ექიმი მომყავს, მერე ისეთი ექიმი, ისეთი ექიმი, რომ მკურნალი არის საოცარი, და სხვა ექიმს ზედაც არავის შეჰხედავს.

სგანარელი. სად არის?

ლიზა. ახლავე შემოვიყვან. (გავა).

სგანარელი. (მართლ). ვნახოთ ერთი, ეს სხვებზე მეტსა იქს რასმე თუ ვერა?

ს ლ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ი

ლიკანდრა (ექიმის ტანისამოსში) სგანარელი, ლიზა

ლიზა. (მიუძღვის ლიკანდრს). აი!

სგანარელი. სულ უწვერო ექიმი!

ლიზა. ცოდნა წვერით კი არ იზომება.

სგანარელი. ბატონო, გამიგონია, ერთი წამლობა თურმე იცით, რომ ყოველი სენის გამკურნავიაო.

ლიკანდრა. ბატონო, ჩემი წამლობა სხვების წამლობას არ მიემსგავსება. იმათ აქვთ სხვა-და-სხვა დასალევიანებელი თუ წასასმელი წამლები; იმათ იციან პირ-ღებინება, სისხლის გამოშვებინება, ოყნის მიცემა, ჯულაბის დალევინება; — მე — მხოლოდ სიტყვით ვარჩენ, ხმით, წერილით და ჯადო-ბეჭდებით.

ლიზა. მე რაღა მოგახსენეთ?

სგანარელი. კაცი ესა ყოფილა.

ლიზა. ბატონო, თქვენი ქალი ტან-ჩაცმული ზის თავის ოთახში და ბარემ აქ შემოვიყვან.

სგანარელი. აგრე ქენი.

ლიკანდრა. (სგანარელს მაჯას უსინჯავს) თქვენი ქალი მძიმე ავით-მყოფი ყოფილა.

სგანარელი. ეგ ამითი შეიტყუეთ?

ლიკანდრა. დიალ, იმ თანამგრძობელობით. რომელიც მამასა და შეილში არსებობს.

ს უ რ ა თ ი მ ე ნ ე მ ს ე

ზგანარელი, ლუციინდა, ლიკანდრი, ლინა

ლიზა. (ლიკანდრს) - აი, ბატონო, სკამი ავადმყოფთან. (სგანარელს) ჩვენ თავი დავანებოთ.

სგანარელი. რათაო მერე? მე აქ მინდა ვიყო!

ლიზა. ხუმრობთ თუ? უნდა მოშორდეთ. ვინ იცის ექიმს ავადმყოფ ქალთან რამდენნაირი საკითხავი აქვს და სხვამ თუ ყური უგდო, როგორ შეიძლება, რალას გაიგებს ექიმი! (მოშორდებიან).

ლიკანდრი. (ლუციინდას ნელა). ოჰ! რა დიდად სასიხარულოა ეს ჩემი აქ ყოფნა! არ ვიცი საიდან დავიწყო თქვენთან საუბარი. მანამდისინ თუ არ თვალებით, სხვა გამოლაპარაკება არ მქონდა რა თქვენთან, რამდენი რა მქონდა თქვენთვის სათქმელი; და ახლა კი, როდესაც შემთხვევა მაქვს თავისუფლად ლაპარაკისა, ენა აღარ მემორჩილება და სიხარულით აღტაცებამ სრულებით დამამუნჯა.

ლუციინდა. მეც ეგ მეთქმის; თქვენსავით მეც ისე ვარ სიხარული-საგან შეშფოთებული, რომ ენა მეკვეთება.

ლიკანდრი. ღმერთო დიდებულო! რა ბედნიერი ვიქნებოდე, რომ მართლა თქვენც იმასა ჰგოძნობდეთ, რასაც მე ვგოძნობ, და ნება რომ მქონდეს ჩემი გული თქვენსას შეუწონო. მაგრამ ნეტავე ეს მაინც იყოს ჩემთვის დასაჯერებელი, რომ თქვენის აზრით არის მოხერხებული ჩემი ასე ახლოს თქვენთან ყოფნა და თქვენთან ლაპარაკი!

ლუციინდა. აზრი თუ ჩემი არ იყო, ნება-დართვა მაინც იყო ჩემი და დიდის სიხარულით მოწონება ამ აზრისა.

სგანარელი. (ლიზას) როგორღაც მეტად ახლო უზის მგონია.

ლიზა. (სგანარელს) მაშ როგორ იქნება, სახის მეტყველება თუ კარგად არ გიუშინჯა?

ლიკანდრი. (ლუციინდას) რომ შესცვალათ ეგ გულის ღმობიერება, რომელსაც ნეტარებითა ვხედავ?

ლუციინდა. თქვენა? თქვენ კი მტკიცედ დაადგებით მაგ თქვენს გადაწყვეტილებას?

ლიკანდრი. ოჰ, სანატრელო! სიკვდილამდის ამის უდიდესი სურვილი მე აღარა მაქვს რა, რომ თქვენი ვიყო და აქვე, ახლავე დამტკიცებთ ამასა.

სგანარელი. (ლიკანდრს). აბა, ჩენი ავადმყოფი, მგონია, მართლა, უფრო მოხედვით იყოს.

ლიკანდრი. ეგ იმისაგან არის, რომ ვიხმარე ერთი იმ წამალთაგანი, რომელთაც ჩემი ხელობა მამცნევს. რადგან გონებას დიდი უფლება აქვს სხეულზედა და უფრო ხშირად იმისაგან სწარმოებს მრავალი ავადმყოფობა, ჩემი ჩვეულებაც ის არის, რომ ჩემის წამლობით ჯერ გონებას მივმართო და მერე სხეულის მკურნალობას. ამ ანგარიშით მე გაუუშინჯე თვალები, სახე და ორივე ხელის გულის ხაზები; და ზეგარდამო მონიჭებულის ცოდნით მივაგენ, რომ გონებით იყო ავად და ეს ავადმყოფობა სწარმოებდა შერყეულის ფიქრისაგან, განსაკითხავი სურვილისაგან, მალე გავთხოვდეო. მე თუ მკითხა კაცმა, ისე სათაკილო და საკიცხავი წადილი სხვა არა მეგულება რა, როგორც გათხოვების სურვილი.

სგანარელი. (ცალკე) აი კაცური კაცი!

ლიკანდრი. მქონია და ყოველთვის მექნება ზიზლი ამისთანა სურვილისა.

სგანარელი. (ცალკე) აი დადი ექიმი!

ლიკანდრი. მაგრამ რადგან ავადმყოფს ჯერ დაყვავება უნდა და რადგან მე ამ ქალში გონების შერყევა ვპოვე და აუცილებელი იყო, რომ საჩქაროდ მივშეელებიყავ, მეც იმას მივადექ, რაცა სტკივოდა და ვუთხარ, იმისთვისა ვარ აქ მოსული, რომ მინდა გითხოვოთ მეთქი, — მაშინვე შეეცვალა სახის გამომეტყველება, ფერი მოუვიდა, თვალები გაუნათლდა და თუ თქვენი ნება იქნება, რომ რამდენსამე დღეს ამ აზრზედ ვამყოფოთ, თვალთ დაინახავთ, რომ გამოვა იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ახლა არის.

სგანარელი. დიად არის ჩემი ნება, დიად არის.

ლიკანდრი. მერე სხვა წამალს ვახმარებთ, რომ სრულებით განიკურნოს თავის შერყეული ფიქრისაგან.

სგანარელი. ეგ ხომ ყველაზედ უკეთესი იქნება. ახლა, ჩემო შეილო! აი ბატონი ამბობს, რომ შენი შერთვა სურს და მეც თანახმა ვარ მეთქი ვეუბნები. შენ რას იტყვი?

ლუცინდა. იქნება მართლა?

სგანარელი. სწორედ.

ლუცინდა. ნამდვილად?

სგანარელი. სწორედ, სწორედ!

ლუცინდა. (ლიკანდრს). როგორ? თქვენ მართლა განიზრახავთ, მე შემირთოთ?

ლიკანდრი. უსაბულოდ, ბატონო!

ლუცინდა. მამა ჩემიც მართლა თანახმა არის?

სგანარელი. მართლა, სწორედ მართლა, შეილო!

ლუცინდა. ოჰ? ღმერთო! რა ბედნიერი ვარ, თუ მართალია.

ლიკანდრი. ექვი ნუ გაქვთ, ბატონო! დღევანდელი ამბავი არ არის, რომ მე თქვენ გეტრფით და სურვილით ვიდაგები, რომ თქვენ შეუღლეთ ვიქნებოდე. სხვა არაფრისთვისა ვარ მე აქ. მოსული, თუ არ ამისათვის; და თუ გნებავთ, რომ გადაწყვეტით მოგახსენოთ, ეს მკურნალის ტანისამოსიც იმ განზრახვით მაცვია, რომ თქვენთან დავახლოვებულყავ და ეს ჩემი გულითადი წადილი დაუბრკოლებლად ამესრულებინა.

ლუცინდა. ...და ჩემთვის დაგემტკიცებინათ ჭეშმარიტი ტრფიალება და სიყვარული! ჩემის მხრით მეც როგორც შემძლია ისე გითანაგრძნობებთ.

სგანარელი. სულელი, სულელი, სულელი!

ლუცინდა. არა, მართლა გნებავთ მამაო, ამ კაცს მიმცეთ?

სგანარელი. დიად! შენი ხელი მომეცი აქა. თქვენი ხელიც მომეცით, ყასიდად.

ლიკანდრი. აი, ბატონო, მაგრამ...

სგანარელი. (სიცილს ძლივს იმაგრებს) არა, არა...ეს იმისთვის... იმისთვის... რომ გონება დაუშოშმინოთ, აბა მომეცით. საქმე მოგვარდა.

ლიკანდრი. საწინდრად ეს ბეჭედი მიიღეთ ჩემგან. (სგანარელს ჩუმად) ეს ის შელოცვილი ბეჭედი, შერყეულ გონებას რომ თავის დონეზე აყენებს.

ლუცინდა. მამ ბარემ კონტრაქტიც შევადგენინოთ, რომ ჯვარის წერას აღარა აქლდეს რა.

ლიკანდრი. მეც დილა მსურს ეგა, ბატონო. (სგანარელს ჩუმად) მინდა ჩემი რეცეპტების მწერალი შემოვაყვანინო და ქალს ნოტარიუსად წარუდგინო.

სგანარელი. ძალიან კარგი იქნება.

ლიკანდრი. ვინა ხართ მანდა? მე რომ ნოტარიუსი მომყვა, აქ შემოიყვანეთ.

ლუცინდა. როგორ? ნოტარიუსიც მოგიყვანიათ?

ლიკანდრი. დიად, ბატონო!

ლუცინდა. ოჰ, ღმერთო, რა მიხარია!

სგანარელი. სულელი, სულელი!

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ნოტარიუსა, ლაჰანდრი, სგანარული, ლუდინდა, ლაზა

(ლიჰანდრი ნოტარიუსს ეჩურჩულება).

სგანარული. (ნოტარიუსს.) დიად, უფალო, კონტრაქტი უნდა შეუდგინოთ ამათა. აბა დაუწერეთ. (ლუცინდას) აი, კონტრაქტსა სწერენ. (ნოტარიუსს) მე ვაძლეე შხითვად ოცი-ათას ოქროს. ასე დასწერეთ.

ლუცინდა. ოჰ, მამა! როგორა გმადლობ, რომ იცოდეთ?

ნოტარიუსი. აი, გავათავე ხელის-მოწერის მეტი აღარა უნდა რა.

სგანარული. რა შალე შეადგინა, ე!

ლიჰანდრი. (სგანარულს). დიად, მაგრამ ეს მინც...

სგანარული. არა მეთქი, გეუბნებით. ვინ რა იცის, რომ... (ნოტარიუსს) კალამი მიეცით ხელი მოაწერონ. (ლუცინდას) მოაწერე რაღა, მოაწერე, მოაწერე. მიდი, მიდი მოაწერე მეთქი. მერე მეც მოვაწერ.

ლუცინდა. მე მინდა ხელში ვიქონიო ეგ კონტრაქტი.

სგანარული. გინდა და აჰა! (ხელს აწერს) ახლა? კმაყოფილი ხარ, თუ არა?

ლუცინდა. ოჰ, დიდათ კმაყოფილი, რომ მეტი არ შეიძლება.

სგანარული. მადლობა ღმერთსა, მადლობა ღმერთსა!

ლიჰანდრი. მარტო ნოტარიუსი კი არ მომიყვანია აჰა, მომღერალნი, დამკვრელები და მოთამაშეებიც მოვიყვანე, რომ ბედნიერ დღეს ვიხაროთ და ვისიამოვნოთ. აბა შემოიყვანეთ. ეგ ისინი არიან, ყოველთვის რომ თან დამყავს ავადმყოფ გონების გასართობად და შესაქცევად.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

სგანარული, ლუდინდა, ლაჰანდრი, ლიზა

შ ე მ ო ვ ლ ე ნ :

კომედიო, მალუცი, მუხიკა, თამაზომა, სივილი, სიამოთჳნა.

კომედიო, მალეტი, მუსიკა, (ერთად).

უჩვენოთ კაცნი

ავად არიან,

ჩენა ვართ მათნი

გამკურნავია.

კ ო მ ე ღ ო ა

თუ გსურთ, რომ გააქრეს
 ყოველი თქვენი
 მტკივნეულობა,
 ჰიპოკრატს კი ნუ,
 ჩვენ მოგემართავდეთ.

ხამნივ ერთად:

უჩვენოთ კაცნი
 ავად არიან. /
 ჩვენა ვართ მათნი
 გამკურნავია.

(თამაშისა, სიცილისა და სიამოვნების ცეკვის დროს ლიკანდრს მიჰყავს ლუციინდა)-

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

სკანარელი, ლიზა, კთვიდია, შუანიკა, მალუჯი, თამაზიშა,
 სიცილი, სიამოვნება

სკანარელი. სასიამოვნო ექიმობა სწორედ ეს არის. ჩემი შვილი
 და ექიმი რა იქნენ?

ლიზა. ქორწილის დასაბოლოებლად წავედნენ.

სკანარელი. როგორ თუ ქორწილის?

ლიზა. მა რა? გაება ჩიტი მახეში. რაც თქვენ აქ ხუმრობა გე-
 გონათ, სულ მართალი გამოდგა.

სკანარელი. რაო, რაო! (იწევს წასულებს დავეწიოო, მაგრამ სხვანი არ
 უშვებენ.) გამიშვით ერთი, გამიშვით მეთქი, გეუბნები. (მინც არ უშვე-
 ბენ) ამათ უყურეთ ერთი! (მოცეკვავენი ცდილობენ სკანარელი ძალით აცე-
 კონ) გამიშვით, თორემ მამა ჩემი არ წამიწყდება...

სიყვარული მხაფხობს

LE SICILIEN
OU
L'AMOUR PEINTRE

ერთ-მოკმედებიანი კომედია — ბალეტო

თარგმანი

დომიტრი შიფიანისა

მოგმეღნი პირნი კომედიასი:

დონ-ჰედრო, სიცილიელი აზნაური.
ადრახტი, ფრანგი, აზნაური, იზიდორას სატრფო.
ფიოდორა, ბერძნის ქალი, დონ-ჰედროს მონა.
ზაიდა, აზალგაზრდა ქალი მონა.
ერთინენატორი,
ალე, თურქი, ადრასტის მონა.
ორი სხვა მსახური.

ბ ა ლ ე ტ უ ი:

მოსაკრავენი.
მომღერალი მონა.
მონანი მოცეკვავენნი.
არაბნი და არაბის ქალები.
მოცეკვავენნი.
მეხინის მოედანი.

სურათი პირველი

ალი, მთავრად;

ალი. ჩუმი! აქეთ ნულარ მოხვალთ, მანდ იყავით მანამდის მე დაგიძახებდეთ.

სურათი მეორე

ალი მარტო

ალი. თითქო ორმოში იყო, ისე ბნელა აქა. ცას ნაბადი წამოუსხამსო, კაცი იტყვის, — ერთი ვარსკვლავიც აღარსადა სჩანს, ეჰ, რა ყოფაა მონის ყოფა! შენი დღენი სულ იმას ადგე, რაზედაც ბატონმა დაგაყენა; შენი ნება არაფერში იქონიო, თუ არ იმისი; რა გუნებაზედაც ის იყოს, შენც იმ გუნებაზე იყო; შენი თავისთვინ არა იზრუნო რა, თუ არ ბატონის ნაბრძანები; რაც იმას უნდა, გინდა თუ არა, შენც ის გინდოდეს; — რალა გავაგრძელო, ის ბატონი და შენ ყმა. — აქაო და მე ქალს ვეტრფიო, შენ ჩემთვის დღე და ღამე უნდა სტეხო და მოსვენება რასა ჰქვია არ იცოდეთ. ამისთანა სიცოცხლესაც რა უთხრა? მაგრამ აგერ სინათლე მოჩანს რალაცა, უთუოდ თითონ მოდის.

სურათი მესამე

აღბასც, მარტო მთავრად, (რომელთაც ეინდილები უჭირავთ) ალი

ადრახტ. ალი, შენა ხარ მანდა?

ალი. სხვა ვინ უნდა იყოს? ამ დროს თქვენს გარდა, ბატონო, და ჩემს გარდა ვის გაეხედება აქაურ ქუჩებში გარედ გამოსვლა და სიარული?

ადრახტ. არც მე მეგულება ვინმე, რომ სიყვარულის ცეცხლით ისე იყოს მოდებული, როგორც მე ვარ. მარტო დაუდევრობა რომ იყოს სატრფო ქალისაგან, ან მიუკარებლობა იმისი, ეს მაინც გექნებოდა კიდევ ნუგეშადა, რომ ბედს უჩივლებდი და ოხვრა-ხენემას

მიანებებდი თავსა. მაგრამ ვერას გზით შემთხვევა ვერ იშოვო, რომ სატრფოს ხმა გამოსცე; ვერას გზით ვერ შეიტყო, მშვენიერმა თვალემა რომ გულში სიყვარულის ცეცხლი ჩამოგივდეს, იმ თვალების პატრონისათვის. საამოა ეს შენი წვა და დაგვა, თუ არა; — ერთი მითხარით, ამ მწუხარებას რა მწუხარება უნდა უღრიდეს? მერე ვისგანა ვარ ამ გაქირვებაში ჩავარდნილი? ერთი გადახწეული ბერი-კაცი საგან; პატრონია ჩემი მაცოცხლებელი ბერძენი ქალისა და ფეხს არ იცვლის, რომ თვალი მოაცილოს როგორმე.

ალი. მიჯნურების გამოლაპარაკება რამდენ ნაირად მოხერხდება ვინ მოსთვლის! თქვენ და თქვენ სატრფოს მარტო თვალებით რამდენი რა შეგიტყობინებიათ ამ ორ თვეში ერთმანეთისათვის, მე რა ვიცი!

ადრასტ. მართალია, თვალებით ბევრჯელ გვილაპარაკნია მე და იმასა, მაგრამ როგორ შევიტყო, სწორედ ისე მიხვდი იმის ნალაპარაკევს, როგორცა მგონია, თუ არა? ან ის ჩემს ნალაპარაკევს ისე მიხვდა, როგორც ჩემი თვალები ეუბნებოდნენ თუ არა, როგორ შევიტყო?

ალი. მაშ ისეთი გზა უნდა გამოძებნოთ რამე, რომ ლაპარაკი სხვანაირადაც შეიძლებოდეს.

ადრასტ. მოსაკრავენი მოიყვანე?

ალი. დიად!

ადრასტ. აქ მოვიდნენ. (მარტო) მინდა გათენებამდის ვაკვრე-ვინო და ვამღერო აქა, ვგება ამ მუსიკაზე ერთ-ერთ ფანჯარას შიდადგეს და გამოიხედოს.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ა

ადრასტე, ალი, მოსავტაყენი

ალი. აი, ბატონო! რა დაუკრან?

ადრასტ. რაც თითონ ერჩიოთ.

ალი. გუშინ წინ რომ უკრავდნენ, ის დაუკრან?

ადრასტ. არა, მე რომ მინდა, ეგ ის არ არის.

ალი. ოჰ, ბატონო! მშვენიერი ბეკარია.

ადრასტ. მშვენიერი ბეკარი რაღა ეშმაკია?

ალი. ბეკარი ცოტა უფრო მაღალი ხმაა; ბეკარი სჯობია, ბატონო! მოგეხსენებათ, რომ გამეგება მე ეს საქმე. ბეკარი ყურის დამატებობია. მუსიკას უბეკაროდ რა საშველი აქვს! აბა, ცოტა ყური დაუგდეთ ამ ტრიოსა.

ადრასტ. არა, მე ისეთი რამ მინდა, რომ ნაზი ხმა იყოს და გულის წამტაცებელი: ისეთი რამ მინდა, რომ საამო ფიქრებში და ოცნებაში შემიყვანოს.

ალი. ცხადია ბემოლის მხარე გპერიათ, დაბალი ხმისა. მაგრამ ესეც კი შეიძლება, რომ ორივე მხარეზე შეიჯეროს კაცმა გული. — უნდა ერთი პატარა კომედიიდან ერთი ადგილი დავამღერებინოთ; შევატყუე, რომ ისინიც ამას აპირებდნენ. ამის მოკლე ამბავს მოგახსენებთ. — ორ მეცხვარეს მოსდებიათ ტრფიალების ცეცხლი, ცალცალკე ბემოლს უეკრებ და ასე მოსთქმენ თავის მწუხარებას. დადიან ტყე-ტყე, ერთმანეთის ხმას რო გაიგონებენ, ერთად შეიყრებიან და ერთმანეთს შესჩივლებენ თავ-თავისს სატრფოს უგრძნობელობასა. ამასობაში სხვა ერთი მზიარული მწყემსი მოადგებათ, საკვირველს ბეკარს უკრავს და ამათს სულ მოკლეობას დასცინის.

ადრასტ. მაშ კარგი, ეგ დააკვრევიწე, ვნახოთ ერთი.

ალი. აი იმ გამოსვლის წარმოსადგენად სწორედ ზედ გამოკრილი ადგილი და ეს ორი ჟინელილიც კარგად მიუნათებს.

ადრასტ. ამ სახლის პირდაპირ დადექი, რომ ოდნავე ხმაურობის შემთხვევაში, ჟინელებს მოთუარება შეიძლებოდეს.

კომედიის ნაკვეთი

ასრულებენ დამკვრელნი და მომღერალნი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფილენი, ციტიცისი

პირველი მომღერალი:

ფილენი.

თუ ჩემის ნალველის მოთქმითა
ვარღვევ თქვენს მღუმარედ ყოფნასა,
ნუ მიწყენთ, კლდენო, აქ მოსვლასა.
რომ გითხრათ ამ ჩემს გულს რაც სდაგავს,
თუმცა რომ ქვანი ხართ, მაგრამ მწამს,
თვითონ თქვენც კი შემობრალებდით.

მეორე მომღერალი:

ტირცისი

რა რომ დღე ინათლებს, ფრინველები
ჰხარობენ, უსტვენენ, ჰგალობენ; —
და მე კი ჩემს ოხერას მოვჰყვები
და ტანჯვის გამოთქმას. ოჰ! ფილენ?

ფილენი. ტირცის, უენ?

ტირცისი. გულ-წყლული!

ფილენი. მეც ვსტირი,

ტირცისი. რომ ჩემთვის კლიმენი ყრუ არის;

ფილენი. მე ქლორმა სულაც არ მომხედა.

ორივე ერთად:

უმართლო კანონო! თუ ტრფობას
სატრფონი არა ჰმონებენ, —
ნებას რად აძლევ იმთ გულს
სიყვარულისთვის აღიგზნენ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ფილენი, ციბილი, მწყვდისი

მესამე მომღერალი —

მწყემსი.

საბრალლო მიჯნური,
თუ უგულოს აღმერთებს!
გულკეთილი არსება
უხეშობას არ იჩენს;
ბორკილებად იქცევა
ტრფობა გულთა-კაეწირი...
ლამაზები ბევრია,
ვერც ერთს ვერ შეველევი;
ნიავეს არ მივაკარებ,
თავზე შემოვევლები;
ვეფხვად თუ გადაიქცნენ,
მეც ვეფხვად გადავიქცევი.

ფილენი და ტირცისი (ერთად) ბედნიერია, ვისაც ასე შეუყვარდება-
ალი. ბატონო, რაღაც ხმაურობა მომესმა შიგნიდან.

ადრასტი. სწრაფად მიეფარონ და ჩირალდნები ჩააქრონ.

ს უ რ ა თ ი მ ა ხ უ თ ე

დონ-პედრო, ადრასტ, ალი

დონ-პედრო. (შინიდან გამოდის საღამური თავსახურავით და ხალათით, ილიაში ამოღებული ხმალი უპირავს.) რამდენიმე ხანია რალაც სიმღერის ხმა მომესმის აქა და ეს უმიზეზოთ არ იქნება. უნდა კი ამ სიბნელეში გავიგო როგორმე, ვის რა უნდა აქა?

ადრასტ. ალი!

ალი. ბატონო!

ადრასტ. ხმა აღარ მოგესმის?

ალი. აღარა. (დონ-პედრო ამათ უკან მოექცევა და ჩუმად ყურს უგდებს).

ადრასტ. როგორ? ვერაფრით ვერ მოვახერხებთ, რომ ამ მშვენიერს ბერძნის ქალს ერთს წამს გამოველაპარაკო? და ამ წყევლმა, ექვიანმა, ამ შეჩვენებულმა სიცილიელმა ყოველთვის გზა უნდა დამიფოლოს ხოლმე?!

ალი. ეშმაკსაც წაუღია იმისი სული, იმ ჯალათისა, ჩენი ჯანის გაგდებინებისათვის. ნეტავი ერთი ხელში ჩამივარდებოდეს აქა და მაშინ ვაჩვენებდი, როგორ ამოვიყრიდი იმის ჯაფრსა, რომ იმისი მიზეზით მოსვენება აღარა გვაქვს, — იმისი უმსგავსო ექვიანობის მიზეზით.

ადრასტ. მაინც უნდა ღონე ვიპოვოთ რაღე, გამოვიგონოთ რაღე, მოვაგვაროთ რაღე, რომ ნადირი ხელში ვიგდოთ როგორმე.

ალი. ბატონო! არ ვიცი რას ნიშნავს ესა, მაგრამ კარი ღიაა და თუ თქვენი ნებაც იქნება შევალ, ეგება შევიტყო რა მიზეზია. (დონ-პედრო კარს უკან მოექცევა).

ადრასტ. აგრე ქენი, მაგრამ ფრთხილად, არავინ არა შეიტყოს. მეც აქვე მოვიცდი; ღმერთი ინებებდეს, რომ იზილორა იქნებოდეს.

დონ-პედრო. (სილას გააწნავს ალის) ვინა ხარ ეგა?

ალი. (სილას შეუბრუნებს). მეგობარი!

დონ-პედრო. არიქა, ეი! ფრანჩესკო, დომინიკე, სიმონ, მარტინ, პიეტრო, თომასო, ჯორჯი, ბართლემი! არიქა! საჩქაროთ! ჩემი ხმალი, ჩემი ფარი, ჩემი ნაჯახი, ჩემი დამბაჩები, ჩემი თოფები, მალე, მალე! აბა ჰე, არიქა! არავინ დაინდოთ.

სურათი მემკვსე

ადრასტე, ალა

ადრასტე. აქ ჩუქუნებაც აღარავეისია, ალი!

ალი. (ერთს კუთხეში მიმალული.) ბატონო!

ადრასტე. სად იმალეები?

ალი. აღარავეინ არის ვითამ აქა?

ადრასტე. სულ აღარავეინა!

ალი. მომძანდნენ თუ კაცები არიან და ვნახოთ როგორ გაიტყუ-
პებიან.

ადრასტე. არა, ყოველი ჩვენი ცდა სულ ასე უნდა ჩაგვეშალოს
ხოლმე? ამ საძაგელი ეკუიანისათვის ყოველთვის სამასხარაოდ უნდა
გავეხდეთ ხოლმე.

ალი. აქ მომდის სისხლი, რომ ჩემს ოსტატობას მიტრიზავებენ.
არა! მოხერხებაში რომ მაჯობოს ვინმემ, ამას მე არავეის ვათქმევინებ.
ამდენი ხელის შეშლა მოთმინებას მაკარგვინებს და უნდა ახლა კი
გამოვიჩინო, რა გაქნილობის ნიჭიცა მაქვს ლეთისაგან ნაბოძები.

ადრასტე. მე ამის მეტი არა მინდა რა, რომ ქალაღლით იქნება,
თუ რითიმე, ქალს ჩემი გულის წადილი შევატყობინო და იმისი გუ-
ლის პასუხიც გავიგო. სხვა ყველა ადვილია.

ალი. საქმე ჩემზე მოაგდეთ ახლა, მე იმდენ ხერხსა და ხრიკს
ვიხმარებ, რომ ბოლოს ერთ-ერთიც არის გამოგვადგეს. ახლა აგერ
თენდება კიდეცა, მე ჩვენებს მოვძებნი და აქ მოვიყვან; ბერი-კაცის
გამოსვლას უდარაჯონ და მაშინვე შემატყობინონ.

სურათი მუშვიდე

დონ-პედრო, იზიდორა

იზიდორა. ჩემი ასე ადრე გამოლვიძება რატომ-ინებეთ არ ვიცი.
თითქო დღეისათვის ამზობლით მინდა გადაგახატეინოო და ჩემს გა-
დახატვას სისხამ დილაზე ჩემი წამოგდება რაში უნდა გამოაღგებს?
ფერს მომიმატებს, თუ თვალების ელვარებასა?

დონ-პედრო. მე ერთი ისეთი საქმე გამიჩნდა, რომ ახლავე უნდა
გავიდე.

იზიდორა. არა მგონია, მაგ საქმისათვის ჩემი გამოლვიძება შაინცა
და შაინც ძალიან საჭირო ყოფილიყო; ხელს რაში შეგიშლიდათ,
რომ დილის ტკბილი ძილი არ გაგეტეხინებინათ?

დონ-პედრო. დიად, მართალია, მაგრამ მე მინდა ყოველთვის ჩემთან იყო! სიფრთხილისაგან კაცს თავი არ ასტკივდებაო, არ გაგიგონია? აი, ამაღამაც, — მოსულიყვნენ ვილანიცა და ჩვენს ფანჯრებს წინ იმღეროდნენ.

იზიდორა. დიად, მართალია, რაღაც მშვენიერი მუსიკის ხმა მესმოდა.

დონ-პედრო. შენთვის უკრავდნენ და იმღეროდნენ, განა?

იზიდორა. ნეტავი დამაჯერებინა, რასაც ამბობთ.

დონ-პედრო. მერე იცი ვინ იყო, ეს სერენადა რომ გაგიმართა?

იზიდორა. რა ვიცი ვინ იყო; მაგრამ ვინც უნდა იყოს, მაინც გულითა ვმადლობ.

დონ-პედრო. ჰმადლობ!

იზიდორა. რასაკვირველია! იმას არა ცდილობს ვინც არის, რომ მე მაამოს?

დონ-პედრო. მაშ საამოდ მიგაჩნია, რომ უყვარდე?

იზიდორა. დიად, რატომ არა? საწყენი რა არის აქა?

დონ-პედრო. მერე გამარჯვება ყველასთვისა გასურს, ვინც მაგას აღგია?

იზიდორა. უეჭველად.

დონ-პედრო. ეგ კარგი გამოტეხილი ლაპარაკია!

იზიდორა. დამალვა რა საჭიროა? ვინც რა უნდა სთქვას, ყოველთვის სასიამოვნოა, რომ ტრფიალებით გეკიდებოდნენ. ჩვენი სილამაზის ქება არას დროს არ არის ჩვენგან დასაწუნარი. რაც უნდა ითქმოდეს, ქალისათვის ისე თავის მოსაწონი არა იქნება რა, მე მერწმუნეთ, როგორც ის სიყვარული, რომელსაც გულში აღუნთებთ კაცსა. ეს არის ყოველი ჩვენი ზრუნვა და მეცადინეობა და ჩვენში არავინ იპოვება, რომ გულით არ უხაროდეს, ჩემმა თვალებმა სიყვარულის ცეცხლი მოსდეს ამა და ამ კაცსაო.

დონ-პედრო. შენ თუ მაგაში სიამოვნებასა ჰხედავ, შენა, რომ გეარზიყებოდნენ, ის კი აღარ იცი, რომ მე არაფრად მეპრიანება ესა, მე, რომელსაც მიყვარხარ.

იზიდორა. რატომ არ ვიცი. მაგრამ მე რომ მიყვარდეს ვინმე, ისე არა მიამება რა, რომ სხვებსაც ყველას უყვარდეს. ამაზედ უკეთესი დამოწმება რაღა იქნება, რომ მე შემცდარი არა ვყოფილვარ და ისიც სწორედ ღირსი ყოფილა ჩემი ტრფიალებისა. უფრო არ მოვიწონებ თავსა, რომ ჩემი საყვარელი სხვებსაც მოწონდეს?

დონ-პედრო. ყველამ თავისებურად იცის სიყვარული; და მე თუ მკითხეს, ჩემთვის სასიხარულო უფრო ის იქნებოდა, რომ შენზე

სხვა ვერავენ იტყოდეს ლამაზიაო, იძულებული ვიქნები, მგონია, გარედ გასვლა დაგიშალო, რომ უცხოს აღარავის დაენახო.

იზიდორა. ვითამ ექვიანობთ?

ლონ-პედრო. სწორედ ვექვიანობ და როგორ ვექვიანობ, რომ იცოდე, როგორც აფთარი, და თუ მეტი გინდა, როგორც ქაჯი. ჩემს სიყვარულს შენ მარტო ჩემთვის უნდინარ. სხვისი ერთი გაღიმება, სხვისი ერთი შეზედვა შენი, ააშფოთებს ჩემ სიყვარულსა. ყოველი ჩემი სიფრთხილე მარტო იმაზე არის მიქცეული, რომ შენკენ ყველას ამოკვეთილი ჰქონდეს ფეხი და გული, იმაზე დაჯავრო, რომ სხვისი გასაზიარებელი შენში მე, ბეწვი რა არის, ბეწვიც არა მეგულეობდეს რა.

იზიდორა. გინდათ მართალი გითხრათ? სწორე გზაზე ვერა მდგარხართ. ვისაც სხვისი გულის მოგება უნდა, დიდად საეჭვო იქნება ეს მოგება, თუ ძალასაც იხმარს. ჩემთავად მე ვიტყვი რომა, კაცი რო ვიყო და ისეთ ქალს ვეტრფოდე, რომელიც სხვის ხელთ არის, ყოველს ჩემს კჳუა-გონებასა და გამოცდილებას იმაზე მოვიხმარებდი, რომ იმის პატრონისათვის ექვი ამეღებინებინა და დღე და ღამე თვალ-დაუხამხამებლად მედარაჯებინა, რომ ჩემთვის იმ ქალზე ზედაც არ შეეზედებინა. საქმის წინ წასაყვანად ჩემთვის ამაზედ უკეთესი აღარა იქნება რა: ქალი აშფოთდება, გაჯავრდება, ჟინში ჩადგომა გულს განურისხებს და მაშინ რალა დაუშლის, რომ სიყვარული თავისს ბედნიერ დღეს ეწიოს?

ლონ-პედრო. მაშ, შენ რო მაგ ყოფაში ეგულეობდე ვისმე, შენც მზა-მზარეულად დახვდები?

იზიდორა. მაგაზედ მე არას. გეტყვით, მაგრამ ქალებს არ უყვართ, რომ აწუხებდნენ და დიდი წინ-დაუხედაობა იქნება, თუ ექვიანობა შეამჩნევიან და კარი გამოუკეტეს.

ლონ-პედრო. არაფერი სიკეთის დახსომებაა ევა ნაყიდი გოგონასაგან, რომელიც განათავისუფლეს, ქალად გამოიყვანეს და ისე აფუფუნებენ, რომ ცოლად უნდათ.

იზიდორა. ვითამ რა დავალება გგონიათ, რომ ქალი მონებიდან გამოიყვანოთ, თავისუფლად ხელის განძრევის ნება კი არ მისცეთ და სამუდამოდ დატუსაღებული იმყოფოთ ოთხ-კედელ შუა.

ლონ-პედრო. სიყვარულისაგან არის ევა!

იზიდორა. თქვენებური სიყვარული თუ ეგ არის, ნეტავი მომიძულეობდეთ.

ლონ-პედრო. დღეს როგორღაც ამრეზილს გუნებაზედა ხართ და ეგ. სიტყვები იმიტომ მოგეტყვებათ, რომ დილის ძილის შემოღობ გაწყენინეს.

ს უ რ ა თ ი მ მ რ მ მ

დონ-პედრო, იზიდორა, ალი (თურქულად მორთული,
მრავალს სალამს აძლევს დონ-პედროს)

დონ-პედრო. გაათავეთ ახლა ეგ სალამი! რა გნებავთ?

ალი. (დონ-პედროსა და იზიდორას შუა დგება. რასაც დონ-პედროს ეუბნება ყოველ სიტყვაზე იზიდორას მიუბრუნდება ხოლმე და თითოქო ანიშნებს, თქვენთან სხვა საქმე მაქვსო). ბატონო! თუ ქალბატონო! თუ ქალბატონის ნებაც იქნება, — მე ამას მოგახსენებთ, — ქალბატონის ნება-დართვით, — რომ იმისთვისა ვარ თქვენთან მოსული, — თუ ქალბატონიც ინებებს; — რომ გთხოვოთ, — თუ ქალბატონმა გამაბედვინა, — ერთი წყალობა მოიღოთ, — ქალბატონის ნება-დართვით...

დონ-პედრო. ქალბატონის ნება-დართვით — ცოტა აქეთ გადმოდიოთ (და თითონა დგება აღის და იზიდორას შუა).

ალი. ბატონო, მე ერთი მუსიკაში დახელოვნებული დამკვრელი გახლავარ.

დონ-პედრო. ამჟამად ჯიბეში არა მაქვს რა, რო მოგცეთ და...

ალი. მე მაგას არა გთხოვთ. რადგან მუსიკისა და თამაშობის ზედ-მიწევნით ცოდნასა ვჩემობ, — მე ეს საქმე რამდენსამე მონას ვასწავლე და ახლა იმათა ჰსურთ ისეთი ბატონი იზოვნონ, რომ ეს ხელობა მოსწონდეს, — და რადგან გაგონილი მაქვს რომ დიდი კაცი ბრძანდებით, ამასა გთხოვთ ნახოთ ისინი და ყური დაუგდოთ, რომ მერე ან თქვენ იყიდოთ, თუ ინებებთ, ან თქვენი მეგობარი მისაწავლოთ ვინმე იმათი მყიდველი.

იზიდორა. ეგ სხვა არის. შემოაყვანიეთ, ვნახოთ.

ალი. შალა-ბალა... სულ ახალთ-ახალი სიმღერა გახლავთ: ყური დაუგდეთ კარგადა: შალა-ბალა!

ს უ რ ა თ ი მ მ მ მ რ მ

დონ-პედრო, იზიდორა, ალი, მონანი, თურქინი

(ერთი მონა უმღერს იზიდორას)

მთელს ქვეყანაზედ ტრფიალი მისდევს
მხურვალის გულით თავის სატრფოსა
და თუ საძაგი იქნენულემა
თვალს არ აცილებს მშვენიერებას,
რა ქნან ტრფიალთა, თუ არც თვალეზით
ილაპარაკონ.

დონ-პედროს. შირიბირიდა უშ ალლა,
 კარგი თურქი ვარ, უფულო,
 ყმად არ გინდა, რომ მიყიდო,
 დღე და ღამე მიმსახურო?
 თუ ჩემთვის ფულს გადაიხდი,
 კარგ საკმელებს მოგიმზადებ,
 დილით ადრე წამოვდგები,
 ოჯახს წალმა ვატრიალებ.
 ხმა გამეცი მითხარ ჩქარა:
 ყმად მიყიდი შენ, თუ არა?

ბალეტის პირველი გამოცვლა

მონების ცეკვა

მონა. (იზიდორას) სიყვარული ტანჯვა არის,
 ჩამოადნობს მოტრფიალეს,
 მაგრამ ქალის თვალებმა თუ
 ერთხელ მაინც მოიციალეს,
 ვაჟს ანიშნეს: ნულარ ჰფარავ —
 ჩემთვის იწვი ნელა-ნელა...
 ყრმა დასცინებს ეჭვიანს, რომ
 მას სიფრთხილემ ვერ უშველა.

დონ-პედროს. შირიბირიდა უშ ალლა,
 კარგი თურქი ვარ, უფულო,
 ყმად არ გინდა, რომ მიყიდო,
 დღე და ღამე მიმსახურო?..
 თუ ჩემთვის ფულს გადაიხდი,
 კარგ საკმელებს მოგიმზადებ,
 დილით ადრე წამოვდგები,
 ოჯახს წალმა ვატრიალებ.
 ხმა გამეცი, მითხარ ჩქარა:
 ყმად მიყიდი შენ თუ, არა?

ბალეტის მეორე გამოსვლა

(მონები ხელახლა ცეკვავენ)

დონ-პედრო. (მღერის) სასაცილოა
სიმღერა თქვენი, —
ვერ დაითვალათ,
მოგხვდეთ იმდენი..
შირიბირიდა უშ ალლა,
გამეცალე, გიჯობს, ჩქარა,
სანამ გვერდებს ჩაგიმტვრევდე!
არ გიყიდი, არა, არა...
ნუ მაწუხებ, გაიპარე,
თორემ ცემას არ გაკმარებ!

დონ-პედრო. ესენი, მე ვიცი, შემომელახებიან და დამჩიებიან
ცარიელი. (იხილვრას) შევიდეთ, შინ შევიდეთ. იღრუბლება როგორ-
ღაცა და დღეს მე აღარსად წავალ. (აღის, რომელიც გამოჩნდება) აჰა,
შე მაცდურო, შენა!

ალე. მართალი გინდა და აი მართალიცა. ჩემ ბატონს გაგიყვებით
უყვარს ქალ-ბატონი და თუ ქალ-ბატონის ნებაც იქნება, ცოლად
უნდა ითხოვოს.

დონ-პედრო. დიად, დიად! სულ იმისთვის არ ვინახავ?

ალე. ნუ გენაღვლება, მაინც წავეყვანთ.

დონ-პედრო. რაო, რაო?

ალე. წავეყვანთ მეთქი, რამდენიც უნდა აღრაქუნო კბილები.

დონ-პედრო. ავიღო ერთი...

ალე. ძალიან კარგად უდარაჯებ, მაგრამ დამიფიცნია წავეყვანთ
მეთქი და წავეყვანთ კიდევცა.

დონ-პედრო. მაცალე! ერთი ხელში ჩაგიგდო!

ალე. შენ ვერა და ჩვენ კი ჩაგიგდებთ ხელში. ცოლად გვინდა,
საქმე გადაწყვეტილია. (მარტო) უნდა ან თავი მოვიკლა და ან ეს
საქმე თავს მოვიყვანო.

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

აღრასც, ალი, თბი მსასურბი

ალი. ბატონო! მე დავადექ საქმესა, მაგრამ...

აღრასც. ნულარა სწუხდები. მე ალალ-ბედათ მივაგნე, რასაც ვეძებდი და ახლა პირ-და-პირ უნდა მივიღეთ იმათთან, რომ ჩემი სიცოცხლის ნახვით დავსტკბე. მხატვარ-დამონს შეევჭხელი, რომელსაც დღეს ჩემი სატრფოს ხატვა უნდა დაეწყო. ჩემი დიდი ხნის სარწმუნო მეგობარია, და, რასაკვირველია, ჩემს მოხმარებას მოინდომებდა. ახლა თავის მაგიერად მე მგზავნის ძქა; პატარა ბარათსაც მატანს. რომ ექვი არა აიღონ რა. შენ ხომ იცი, რომ მე ხატვა სიყრმითაგანვე მიყვარს და სამხატვრო კალამიც ამიღია ხოლმე ხან-და-ხან ხელში, თუმცა საფრანგეთში კი არ მოსწონთ, რომ აზნაურიშვილი რაიმე ხელობას ადგეს. დღეს ეს შემთხვევა მეძლევა, რომ ჩემი სატრფო თავისუფლად ვნახო. მაგრამ იმისი იმედი კი არა მაქვს, რომ საძაგელი ექვიანი ბერი-კაცი მოგვეცილდეს და ქალთან გამოლაპარაკებაში ხელი არ შემიშალოს. სწორე უნდა გითხრა და გამოგიტყდე, რომ მე უფრო სხვა ანგარიში მაქვს. ერთი ახალგაზრდა მონა ქალის შეწევნით უნდა გამოვიხსნა ბერი-კაცის ხელიდან ჩემი მშვენიერი, თუ თითონაც დამყვა ამაზე.

ალი. გამიშვით ერთი მე ჩემებურად მოგებმაროთ ქალთან გამოლაპარაკებაში. როდის მინდა რომ ამ საქმეში მეც არ ვერიო. თქვენ როდის მიხვალთ?

აღრასც. ახლავე; რაც საქირია ყველა მზადა მაქვს.

ალი. მაშ, მეც ახლავე მოვემზადება და წავალ.

აღრასც. მე დროს აღარ დავჰკარგავ! გაიგონეთ, ეი! ნულარ ვიგვიანებთ!

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

დონ-პედრო, აღრასც, თბი მსასურბი

დონ-პედრო. ამ სახლში რას ეძებთ, ბატონო?

აღრასც. მე ვეძებ უფალს დონ-პედროს.

დონ-პედრო. აგერ გახლავარ!

აღრასც. მაშ, გაისარჯეთ და ეს ბარათი წაიკითხეთ.

დონ-პედრო. (კითხულობს). „თქვენ რომ იცით იმ სურათის გადა-

„საღებად გიგზავნით ამ ფრანგ აზნაურს, რომელსაც დავალება მსურს საპატიო ხალხისა და სიამოვნებით მიიღო ჩემგან ეს დასაქმება. უეჭველია პირველთაგანი არის ამგვარს ხელოვნებაში და თქვენ უმეტესად როგორ დაგაფალებდით, რომ ამისთანა მხატვარი არ გამომეგზავნა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენის სატრფოს პორტრეტი ყოვლითურთ სრული გამოვა. მაგრამ ამაზე კი გაფთხილებთ, რომ შრომის სამაგიერო არა გაუხსენოთ რა, თორემ ისეთი კაცია, რომ დიდად იწყენს, რადგან გამოსარჩენად კი არა სწევს ჯაფასა, მხოლოდ სახელისათვის“.

ბატონო ფრანგო! ეს დიად დიდი დავალება იქნება თქვენგან და დიდათაც დაგიმადლებთ.

ადრასტ. ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ყოველს ღირსეულსა და სახელოვან კაცს ვემსახურო შცძლებისადაგვარად.

დონ-პედრო. ახლავე შემოვიყვან, ვინც უნდა დახატოთ.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო რ მ მ ტ მ

იზიდორა, დონ-პედრო, ადრასტ, თაბ მზასურა

დონ-პედრო. (იზიდორას) აი, კეთილშობილი ფრანგი, დამონის მაგიერი. შრომის გაწევას აპირებს, რომ თქვენი სურათი გადილოს. (ადრასტს, იზიდორას რომ მისალმებაზე გადაეხვია). ექჷ! ბატონო! ჩვენს ქვეყანაში აგრე არ ესალმებიან.

ადრასტ. ეს ჩვენებური ჩვეულებაა, ფრანგული.

დონ-პედრო. თქვენებური ჩვეულება იქნება ვარგოდეს თქვენებური ქალებისათვის, მაგრამ აქაურებისათვის კი დიდი კადნიერებაა ეგა!

იზიდორა. ეს სალაში მე დიდის სიამოვნებით მიმიღია. შემთხვევა მაკვირვებს და სწორე უნდა ესთქვა, რომ ასე სახელოვანსა და განთქმულს მხატვარს მე არას დროს არ მოველოდი.

ადრასტ. ქვეყანაზე არაეინ იპოვება, რომ ამისთანა საქმის ხელის მოკიდება ძალიან სასიქადულოდ არ მიაჩნდეს. მე მაგდენი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ სადაც, ამისთანა დედანი არის გადასალები, იქ უსათუოდ მშვენიერება რამ უნდა გამოვიდეს.

იზიდორა. დედანი არაფერია; საქმე მხატვრის ხელოვნებაა, რომ რაც დედანს ნაკლულევანება აქვს დაპფაროს.

ადრასტ. მხატვარი ნაკლულევანებას ვერასა ჰხედავს და სხვა იმას არა ენატრება რა, რომ გადასახატავი თვალების საოცარი ეშხი

ისე გადაიღოს, როგორც არის, რომ ქვეყანამა ნახოს და დაიჯეროს, მართლა ყოფილა ამისთანა სრულქმნილი დედანი.

იზიდორა. თუ თქვენი ყალამიც ისეთი შემამკობელია, როგორც ენა გქონიათ, თქვენ ისეთს რასმე დაჰხატავთ, რომ მე სულ არა მგავდეს.

ადრასტ. დედანი უზენაესს ისე შეუქმნია, რომ კიდევ მეტად შესამკობი აღარა დაუტოვებია რა.

იზიდორა. უზენაესს, რაც უნდა სთქვათ, არა...

დონ-პედრო. დავანებოთ მაგაებს თავი, ღვთის-გულისათვის. პირმოთნეობა გადავდვათ და ხატვას მივჰყუთ ხელი.

ადრასტ. (შახურებს) აბა, შემოიტანეთ! (შემოაქვთ რაც ხატვაში საჭიროა).

იზიდორა. (ადრასტა) სად გნებავთ დამსვათ?

ადრასტ. აი, აქა! ეს ძალიან კარგი ადგილია და საგანს სინათლე საქმაოდ მიაღდება.

იზიდორა. (რომ დაჯდება) ასე კარგად ვარ?

ადრასტ. დიალ! ცოტა აიწიეთ, თუ თქვენი ნება იქნება. ცოტა აქეთ! ტანი ოდნავ ჩემსკენ გამოიბრუნეთ! თავი ცოტა მაღლა, რომ ყელის მოყვანილობა ჩნდეს. ეს ცოტა გადიხსენით (ყელს უფრო უზენს). კეთილი! ცოტა კიდევ! ერთი ბეწვა კიდევ!

დონ-პედრო. (იზიდორას) მეტად გაჭირდა ეგ თქვენი დასმა. ვეღარ მოახერხებთ, რომ რიგიანად გეჭიროთ თავი?

იზიდორა. ეს სულ ახალი ამბავია ჩემთვის, ამათი საქმეა, როგორც უნდა ისე დამსვან.

ადრასტ. (მჯდომარე) უკეთესი აღარ შეიძლება, როგორც ახლა ხართ და თავიც საუცხოოდ გიჭირაეთ (ცოტა თავისკენ მოაბრუნებს) ასე, თუ თქვენც ინებებთ.

დონ-პედრო. კარგი და პატიოსანი.

ადრასტ. ცოტა აქეთ. თვალეები ჩემსკენ, გთხოვთ, მე შემომჩერეთ.

იზიდორა. მე სხვებივით არა ვარ, — ანგარიშით რომ იხატებიან მხატვრობაც დავიწუნოთ და მხატვარიცაო, თუ პორტრეტი ნამდვილს ისე არ ემჯობინება, როგორც დღე ღამესაო. იმათი გულის შესაჯერებლად პორტრეტი ისეთი უნდა დაიხატოს, რომ სახეს ფერი ზამბახისა და ვარდისა ჰქონდეს, ცხვირი სწორი და ღამაზად მოყვანილი; პატარა წმინდა ტუჩები და დიდი ცოცხალი თვალეები; მეტადრე პირის-სახე რომ მუქზედ მეტი არ გამოვიდეს, რაგინდ ფართეც იყოს. მე თქვენ ისეთ პორტრეტსა გთხოვთ, რომ მე ვიყო და ვისი არისო არ იკითხებოდეს.

ადრასტ. თქვენს პორტრეტზე შეუძლებელია, ვისიას, იკითხონ-იშვიათი სახის-მოყვანილობა გაქვთ, არა მგონია თქვენს გარდა-მსგავსება კიდევლა გამოვიდეს ვისიმე. ისეთი ნაზი და ეშხიანი სახე. გამშვენებთ, რომ დიდ სიძნელეს წარმოადგენს მისი დახატვა.

დონ-პედრო. ცხვირი, მგონია, ცოტა მსხვილი მოდის.

ადრასტ. კარგად არ მახსოვს სად წამიკითხავს, რომ აპელლესს უხატავს. ალექსანდრე მაკედონელის სატრფო ქალი, რომელიც ისეთი-საოცარი მშვენიერი ყოფილა თურმე, რომ ხატვაში აპელლესი გაგი-ეებით შესტრფია; ალექსანდრეს კი ისეთი სულ-გრძელება გამოუჩენია თურმე, რომ დაუთმია მხატვრისათვის თავისი საყვარელი. (დონ-პედროს). შეიძლება რაც აპელლესს იქ დამართვია, აქ მე დამემართოს; მაგრამ თქვენ კი იმდენი სულ-გრძელება იქნება ვერ იქონიოთ. (დონ-პედროს ეს არ მოეწონება).

იზიდორა. ეს გვარ-ტომობის თვისებაა, ფრანგების ზდილობა. ისეა გათქმული, რომ ყოველგანა ვრცელდება.

ადრასტ. ამგვარს საქმეში შეცდომა არ შეიძლება და თქვენ მეტად გონიერი ბძანდებით, რომ რაც გესმით, იმისს წყაროს ვერა-ჰხედავთ. გარწმუნებთ, ალექსანდრე მაკედონელი რომ აქა ყოფილი-ყო და თქვენ იმისი სატრფო ყოფილიყავით, მე მაინც ვერა დამაშ-ლევირებდა რა თქვენთვის ამის თქმასა, რომ ჩემს სიცოცხლეში ისე-თი მშვენიერება არსად მინახავს, როგორსაც ახლა შევჰყურებ და რომელიც...

დონ-პედრო. ბატონო ფრანგო! ლაპარაკი, მგონია საქმეს უშლი-დეს და მაგდენს არ უნდა ლაპარაკობდეთ.

ადრასტ. არა ჩვეულებადა მაქვს ლაპარაკი, როდესაც ვხატავ და საჭიროც არის ამ შემთხვევაში საუბარი, რომ გადასახატავი მხი-არულად იქნებოდეს და სახის გამომეტყველებაც ცხოვლად ჰქონდეს-

ს უ რ ა თ ი ნ ე ც ა მ ე ბ ა

ალი, უსპანულად მღრთული, დონ-პედრო, ადრასტ, იზიდორა

დონ-პედრო. ამას რაღა უნდა, დაუკითხავათ აქ შემოსვლის ნება ვის მიუცია, ნეტავი?

ალი. (დონ-პედროს) დაუკითხავად შემოვედი მართალია, მაგრამ ახნაურობაში ეს კადნიერება ყოველგან არის მიღებული. ბატონო! მიცნობთ მე თუ ვერა!

დონ-პედრო. ვერა ბატონო!

ალი. მე გახლავარ დონ ჯილეს დ'ავალოს და ჩემი ღირსება ეს-
პანეთის ისტორიაში გექნებათ ამოკითხული!

დონ-პედრო. ჩემგანა გნებავთ რამე?

ალი. დიალ! რჩევასა გთხოვთ ერთს საქმეზე, რომელიც ღირ-
სებას შეეხება. ვიცი რომ ამისთანა შემთხვევაში თქვენზე უფრო გან-
ვითარებული მსაჯული, თითქმის, არსად იპოვება; — მაგრამ გულ-
მოდგინებითა გთხოვთ ამათ ცოტა მოვშორდეთ და ისე ვილაპარა-
კოთ; ყველას კი არ მინდა შევატყუოთ.

დონ-პედრო. აი, ახლა კარგა მოშორებითა ვართ!

ადრასტ. (დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა, რომ მეტად ახლო
ეწურაულებოდა იზიდორას) ლურჯი თვალები ჰქონია.

ალი. (დონ-პედროს, რომელიც კიდევ იქით მიჰყავს, რომ ადრასტს და
იზიდორას შიშობდა) ბატონო საქმე ეს არის, რომ მე სილა გამარტ-
ყეს, ხომ მოგეხსენებათ სილა რაც არის: გაშლილი ხელის-გულით
რომ ლაწანს გაადენენ თქვენს ლოყაზე? მე გამარტყეს ამისთანა
სილა, და ახლა რა მმართველს არ ვიცი, ხმალში გამოვითხოვო, თუ
ისე მოვაკვლევინო!

დონ-პედრო. მოკვლა, რასაკვირველია, უფრო შეამოკლებს საქ-
მესა. ვინ არის ეგ თქვენი მტერი?

ალი. ცოტა დაბლა ვილაპარაკოთ, თუ თქვენი ნება იქნება
(რომ ელაპარაკება, ისე აყენებს, რომ ადრასტი ვერ დაინახოს).

ადრასტ. (დაჩოქილი იზიდორას წინ, მანამდის დონ-პედრო და ალი ჩუ-
მად ლაპარაკობენ). დიალ, მშვენიერო იზიდორა, აგერ ორი თვეა, რაც
ჩემი თვალები მოგახსენებენ ამასა. მიყვარხართ, რომ უმეტესი სი-
ყვარული აღარ შეიძლებოდეს, — და სხვა განზრახვა, ღმერთმა ხომ
იცი, მე არა მაქვს რა, სხვა არა მწადია რა და არა მენატრება რა,
რომ სიკვდილამდის თქვენი ვიყო, თქვენი ვიყო სამარადისოდ.

იზიდორა. არ ვიცი, გულით ამბობთ მაგასა თუ არა, მაგრამ
მაჯერებთ კი.

ადრასტ. აქამდის მაინც მაჯერებთ თუ ვერა, რომ ცოტაოდენი
სიკეთე გინდოდეთ ჩემთვის?

იზიდორა. ცოტა კი არა ვერიდები, მეტად ბევრი არ მინდოდეს.

ადრასტ. გენდომებათ იმდენი, შეუდარებელი იზიდორა, რომ
რაც ნატვრა მოგახსენე, იმისი ახდენა იყაბულოთ?

იზიდორა. მაგას ჯერ ვერ გეტყვით.

ადრასტ. რას ელით?

იზიდორა. ჯერ ვერ გადამიწყვეტია.

ადრასტ. სადაც სიყვარულია, იქ გადაწყვეტა აღვილია.

იზიდორა. მაშ აგრე იყოს, თანახმა ვარ.

ადრასტ. გნებავთ, რომ ახლავე შესრულდეს საქმე?

იზიდორა. სადაც ერთხელ საქმე გადაწყდება, იქ შესრულება ჩალამ უნდა შეაყენოს?

დონ-პედრო. (აღის) ჩემი რჩევა ეს არის და ახლა თქვენ იცით.

ალო. ბატონო! ერთხელაც არი თუ სილა თქვენც მოგხვდათ როდისმე, მეც რჩევის კაცი ვარ, რჩევა. მეც შემძლია და სიამოვნებით გადაგიხდით მაგიერსა!

დონ-პედრო. მიხვალთ, მაგრამ მე ვერ გამოგაცილებთ; კეთილ-შობილთა შორის ეს კანდიერებაც არის მიღებული.

ადრასტ. (იზიდორას) არა, ისეთი არა იქნება რა, რომ ჩემი გულიდან ამოფხვრა შეიძლებოდეს ამ ნაზი... (დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა, რომ მეტად ახლო უჯდა იზიდორას) ნიკაპზე პაწაწა ნაკენკს უშინჯავდი, შორიდან ხალი შეგონა. — დღეს ამითი გავათავოთ და სხვა მერე იყოს. (დონ-პედროს, რომელიც მხატვრობის ნახვას ეტანება) არა, ჯერ ნურას გაშინჯავთ, გთხოვთ შემაკვრევინოთ. (იზიდორას). და თქვენ ამას გევედრებით არ დაიზაროთ და გული მხიარულად იქონიოთ, რომ ეს ჩვენი საქმე კარგად დავაბოლოვოთ.

იზიდორა. მხიარულად ვიქნები, რამდენიც შესაძლებელი იქნება.

ს ლ რ ა თ ი მ ი თ ო ტ ხ მ ი ტ ა

დონ-პედრო, იზიდორა

იზიდორა. თქვენ რას იტყვით? ამისთანა ზდილობიანი კეთილ-შობილი მე არა მგონია სხვა იყოს სადმე და სწორე უნდა სთქვას კაცმა, რომ ფრანგები ისეთი ზრდილი და თავაზიანები არიან, რომ სხვა ხალხში არ იპოვება.

დონ-პედრო. მართალია, მაგრამ ცუდი ესა სკირთ, რომ ყოველგან მეტად კანდიერად არიან და ვისაც შეხვდებიან უბედვენ არშიყობას.

იზიდორა. იციან, რომ ქალებს ამითი თავს აწონებენ.

დონ-პედრო. მაგრამ კაცებს კი სულაც არავინ მოუწონებს, რომ ცოლსა თუ საყვარელს, პატრონის ცხვირ წინ ელაქუკებოდნენ.

იზიდორა. გულის გადასაყოლებლად კი მოსდით, რასაც ამბობენ და რასაც ჩადიან.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ მ ე ტ ე

ზაიდა, დონ-პედრო, იზიდორა

ზაიდა. დამიფარეთ, ბატონო, ლეთის გულისათვის, გაცეცხლე-ბულ ქმარს გადამარჩინეთ, ღმერთი გადღეგრძელდებო! იმისი ექვიანობა არ გამოითქმის და გაბრაზებულმან დანდობა აღარ იცის. პირბადე მუდამ გეფაროსო და ერთი ბეწვა გადანდილი რომ მნახა, ისე გაანჩხლდა, რომ ხმალი იშიშვლა და გამომეკიდა; აქ რომ არ შემოვარდნილიყავი სწორედ დამჩეხდა. აგერა ჩანს! ოჰ! ლეთის გულისათვის გადამარჩინეთ.

დონ-პედრო. (ზაიდას იზიდორასაკენ ანიშნებს). ა იქ შედით იმასთანა და ნულარაფრისა გეშინიათ.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე მ ვ ს მ ე ტ ე

ადრასტ, დონ-პედრო

დონ-პედრო. როგორ, ბატონო! თქვენ ხართ ეგა, კეთილშობილი ფრანგი და აგრე ექვიანი? მე მეგონა ექვიანობა მარტო ჩვენა გვექირს შეთქი.

ადრასტ. ფრანგები ყოველ საქმეში აღმატებიან სხვებსა და ერთხელც არის თუ ექვი აგვადებინეს სიცილიელეებზე ერთი ოცჯერ უფრო ვექვიანობთ. რა რომ თქვენ შემოგვეკელათ, იმ უპატიურსა ჰგონია, რომ ხელი ველარაგინ ახლოს? თქვენ მეტად გონიერი ხართ, რომ ჩემი უფლება შეურაცხყოთ. გთხოვთ გამიშვათ, ისე მოვექცე, როგორც შეჰფერის.

დონ-პედრო. ლეთის გულისათვის დადექით! მაგისთანა უბრალო საქმეზე აგრე გაანჩხლება თქვენგან მიკვირს.

ადრასტ. საქციელი. უბრალო საქმეზე ჩაუდენიათ თუ ბრალიანზე, ამითი კი არ გაიზომება; დამნაშავე ბრძანების დამრღვევი არის და ვინც ბრძანებას არ ემორჩილება, განუკითხავად არის დასასჯელი.

დონ-პედრო. იმის სიტყვით, რასაც თქვენ იმასა სწამებთ, განზრახვით კი არ უქნია, უნებურად მოსვლია; დიდადა გთხოვთ აპატიოთ და ისევ შეირიგოთ.

ადრასტ. როგორ! იმისს მხარეს იქერთ თქვენა, თქვენა, ამნაირ ყოფა-ქცევაზე ხომ თქვენ თითონ ძალიან ფრთხილობთ?

დონ-პედრო. დიად, იმის მხარეს ვიქერ და ჩემი დავალება თუ გინდათ, გული დაიმშვიდეთ და შერიგდით; ეს ერთი შემთხვევაა დამავალეთ, დიდად გთხოვთ და ამ.თხოვნას თუ შეიწყნარებთ იმ მკვებრობის დამოწმებად მივიღებ, რომელიც მსურს ჩვენში არსებობდეს.

ადრასტ. მაგ პირობით მე უარი აღარ გამებედემა და იყოს ნება თქვენი.

სურათი მჩხვილმება

ზაიდა, დონ-პედრო, ადრასტა (კუთხეში)

დონ-პედრო. (ზაიდას) აბა, გამოდით აქ! თქვენი საქმე გავარიგე, უკეთესს ვერას იქმოდით, რომ აქ შემოხვედით.

ზაიდა. ისე ვარ თქვენგან დავალებული, რომ მეტი არ შეიძლება; მაგრამ პირ-ბადე დამრჩა იქა; როგორ შემიძლია უმისოდ დავენახო.

სურათი მეთვრამება

დონ-პედრო, ადრასტ

დონ-პედრო. ახლავ გამოვა ისევა. დიდად გაიხარა საბრალომ, საქმე გავარიგე მეთქი რომ უთხარი.

სურათი მცხრამება

ინდიტრა, (ზაიდას პირ-ბადით), ადრასტ, დონ-პედრო

დონ-პედრო. (ადრასტს) რადგან თქვენი გულის წყრომა მე მაპატუაეთ, ხელი-ხელს აქვე მიეცით და შერიგდით, რომ ამას იქით ერთობა და თანხმობა შეურყეველად იქონიოთ ჩემის პატივისცემისათვის.

ადრასტ. გაძლევთ პირობას, რომ თქვენის პატივისცემისათვის ისეთის თანხმობით ვიცხოვროთ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდეს.

დონ-პედრო. საგრძნობელად დამავალებთ და არც დავივიწყებ ჩემს სიცოცხლეს.

ადრასტ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ბატონო დონ-პედრო, რომ თქვენი სიყვარულისათვის ისეთის პატივითა და ფუფუნებით შევინახო, რომ მეტი არ შეიძლებოდეს.

დონ-პედრო. დიდად, დიდად მავალებთ! (მარტო) სასიამოვნოა ხალხის დამშვიდება და თანხმობის ჩამოგდება. იზიდორა! გამოდი აქა!

სურათი მეოცე

ზაიდა და ღონ-პედრო

ღონ-პედრო. ეს რას ნიშნავს?

ზაიდა. ეს რას ნიშნავს და იმასა, რომ ექვნიანი კაცი გარეული მხეცივით ეჯავრება ყველასა და ქვეყანაზე არავინ იქნება, რომ იმისი ზარალი არ იამოს, რაშიაც უნდა მოუვიდეს. კარს რაც უნდა ურდული უყარო, რაც უნდა კლიტე ადვა, მაგითი ვერავის დაამწყვდევ. თუ რომ გული არა გაქვს მოგებული. იზიდორა ახლა იმ კაცის ხელშია, რომელიც უყვარს, რომელსაც უყვარს და რომელმაც თქვენ ეს არის პირში ჩალა გამოგავლოთ.

ღონ-პედრო. როგორ თუ? მერე ღონ-პედრომ აიტანოს ესა? არა, არა! სხვა არ იყოს რა, სამართალი ხომ არის აქა. აი, აგერა დგას ერთი სენატორი. ეი!

სურათი მეოცდაერთე

ზინატორი და ღონ-პედრო

სენატორი. ოჰ! ბატონ ღონ-პედროს ვახლავარ! რა კარგს დროს მოხვედით!

ღონ-პედრო. ერთს შეურაცხყოფაზე მინდა შემოგჩივლოთ, ახლა რომ მომაყენეს.

სენატორი. ისეთი კარგი მასკარადი იმართება აქა, რომ სწორედ თქვენი მოსაწონი.

ღონ-პედრო. ერთმა თავხედმა ფრანგმა თქვენს მტერს რაც მე საქმე დამმართა.

სენატორი. გარწმუნებთ, რომ ამისთანა შექცევას არსად შესწრებიხართ.

ღონ-პედრო. ნასყიდი ქალი მომტაცეს, რომელიც განთავისუფლებული მყავდა.

სენატორი. ყველანი გადაცმული იქნება მაყრებად და შესანიშნავად იცეკვებენ.

ღონ-პედრო. აი, ამისთანა შეურაცყოფის ატანა შეუძლებელია.

სენატორი. საუცხოვო ტანსაცმელნი, საგანგებოდ შეკერილნი...

ღონ-პედრო. მე გთხოვთ მართლმსაჯულებით მომეშველოთ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

სენატორა. მე მინდა, რომ თქვენ ყველაფერი ეს ნახოთ. ისინი ჯერ ივარჯიშებენ, რომ შემდეგ ხალხს გასართობი უჩვენონ.

დონ-პედრო. რაო! რაზე ლაპარაკობ?

სენატორი. მე მასკარადზე ვლაპარაკობ.

დონ-პედრო. მე ჩემს საქმეზე გელაპარაკებით.

სენატორი. მე დღეს არავითარი საქმე არ მინდა, სიამოვნების გარდა. გაესწიოთ, ბატონებო! მობრძანდით. ენახოთ, როგორი იქნება.

დონ-პედრო. ჭირმა წაიღოს ეს გადარეული თავისი მასკარადით.

სენატორი. ეშმაკმა წაიღოს ეს ბრაზიანი თავისი საქმით!

სურათი მონაცდარე

სენატორი და მთევჯაჟთა გუნდი

ბალეტის გამოსვლა:

მეორულად გამოწყობილი მოცეკვავენი ცეკვავენ სენატორის წინ.
კომედია თავდება.

ძ უ ნ ნ ო

თარგმანი პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ჯგუფისა
ივანე მაჩაბლის რედაქციით.

მოკმედეანი პირნი:

შ ა რ ბ ა გ ო ნ ი, კლენტიისა და ელიზას მამა და მარინას არშიყი.

კ ლ ე ა ნ ტ ი, ჰარპაგონის შვილი და მარინას საყვარელი.

ე ლ ი ზ ა, ჰარპაგონის ქალი და ვალერის საყვარელი.

ვ ა ლ ე რ ი, ანსელმის შვილი და ელიზას საყვარელი.

მ ა რ ი ნ ა, კლენტიის საყვარელი და ჰარპაგონის შეყვარებული.

ა ნ ხ ე ლ შ ი, ვალერისა და მარინას მამა.

ფ რ ა ნ ს ი ნ ა, მაჭანკალი.

ხ ი შ ო ნ, შუამაველი,

ქ ა კ ი, ჰარპაგონის მზარეული და მეეტლე.

ლ ა ფ ლ ე შ ი, კლენტიის მსახური.

კ ლ ო დ ი ა, ჰარპაგონის მოახლე.

ბ რ ი ნ დ ა ვ უ ა ნ ი და } ჰარპაგონის მსახურები.
ლ ა მ ე რ ლ ი შ ი,

პ ო ლ ი ც ი ი ს მ ო ხ ე ლ ე

დ ა მ ი ს ი მ წ ე რ ა ლ ი.

მოქმედება ხდება პარიზში, ჰარპაგონის სახლში.

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

ვალერი და ვლიზა

ვალერი. რად გადაგკვრია ღრუბელი მაგ მშვენიერ სახეზე, საყვარელო ელიზა? ნუთუ ნანობ, რომ ჩემმა მხურვალე სიყვარულმა შენ ეგ ფიცი გაგაბედვინა?

ელიზა. არა, ვალერ, მე მაგას არა ვნანობ და არც თავის დღეში შევიანებ, რომ ჩემის სიტყვებით შენ გასიამოვნო რამე. თუ კი შენ ჩემის გულსათვის თავი დაანებე შენს ოჯახს და აქ, ამ უცხო ქვეყანაში ჩემთან ყოფნისთვის არ ითაკილებ მამაჩემს მოსამსახურედ დასდგომოდი და ყოველი იმისი უცნაური სურვილი აგესრულებინა, ნუთუ მაგიერი არ უნდა გადაგიხადო? მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ სხვებმაც ჩემის თვალით შემოგხედონ.

ვალერი. ეგ სულ მეტია, რაც ახლა ჩამოთვალე; მხოლოდ ჩემი სიყვარულია შენი ყურადღების ღირსი. თუ ხალხის ყაყანისა გეშინიან, თითონ მამაშენივე კისრულობს ქვეყნის თვალში გაგამართლოს. იმის სიკრიჟანგე, იმის ტანგვანი ქცევა თავის შვილებთან უფრო გასაკვირველ საქმეს გააბედვინებს კაცსა.

ელიზა. ეგ ყველა კარგი, ვალერ, მაგრამ რატომ არ ეცდები ჩემი ძმა მიიმხრო? იმის შეწვევა საჭირო იქნება ჩვენთვის.

ვალერი. ორივეს გაძლოლა ძნელია. მამისა და შვილის ხასიათი ისე შორი-შორს არის ერთმანეთთან, რომ მათი ერთად მოთავსება შეუძლებელია. მაგრამ შენ კი შენის მხრით ეცადე შენ ძმასთან, და თქვენ ისეთი სიყვარული გაქვთ ერთმანეთისა, რომ არა მგონია, რომ არ დაიყოლიო და ჩენი მხარე არ დააქერინო. აგერ ისიც მოდის. მე წავალ. ახლა ლაპარაკისთვის დრო გაქვს, მაგრამ იმის მეტს კი ნურას გაუმხელ, რასაც საჭიროდ დაინახავ.

ელიზა. არ ვიცი შევიძლებ ამ ამბის გამხელას თუ არა.

სურათი მორაბ

კლუანტი და ჟლიზა

კლუანტი. რა მოხარული ვარ, რომ აქ მარტოსა გხედავ, დაო. გაცხარებული დაგეძებ სალაპარაკოდ და მინდა ერთი საიდუმლოება გაგიმხილო.

ელიზა. მე მზადა ვარ ყური დაგიგდო.

კლუანტი. ჩემი საიდუმლოება ერთ სიტყვაშია მოქცეული: მე მიყვარს.

ელიზა. შენ გიყვარს?

კლუანტი. სწორედ, მე მიყვარს ერთი ქმნილება. მე ვიცი მამა მყავს და როგორც შვილი უნდა დავემორჩილო. მე ვიცი, რომ მშობელთ დაუკითხავად არავის სიყვარული არ უნდა გამოვუცხადო. მე ვიცი, რომ ზეცამ ისინი დანიშნა ჩვენი სურვილის ბატონად და იმათ უნებურად არც ერთ ჩვენს გულისწაღილს არ უნდა მივდიოთ. იმათ სიყმაწვილის ცეცხლი არ უღვივით გულში და ჩვენზე უფრო ძვირად შესცდებიან, ჩვენ შესაფერს ჩვენზე უკედ ხედვენ, უფრო იმათ გამოცდილებას უნდა დავუჯეროთ, ვიდრე საკუთარ ვნებათა ღელვას; ხშირად ყმაწვილური გატაცება ბნელ უფსკრულში ჩაგვეყრის ხოლმე. მე ეს ყველა ვიცი და ამიტომ ჩამოგივალე ყველაფერი ასე დაწვრილებით, რომ შენ თავი აღარ შეიწუხო ამის გამეორებაზე; ეგ ტყუილი შრომა იქნება: ჩემი სიყვარული ბრმა და გთხოვ ყოველივე საყვედურს თავი დაანებო.

ელიზა. ჯერ შენი საყვარლისთვის სიტყვა ხომ არ მიგიცია?

კლუანტი. ჯერ არა, მაგრამ ეგ გადაწყვეტილი მაქვს და განმეორებით გთხოვ, ნუ მოინდომებ ამ გადაწყვეტილებაზე უარი მათქმევინო.

ელიზა. განა ეგრე მიცნობ?

კლუანტი. არა, დაო, მაგრამ შენ ჯერ არავინ გიყვარს; შენ არ იცნობ იმ ტკბილ ძალას, რომლითაც სიყვარული ჩვენ გულზედა მეფობს. მე შეშინიან შენი განკიცხვისა.

ელიზა. დავეხსნათ, ძმაო, განკიცხვაზე ლაპარაკს; ვინ არის იმისთანა, რომელიც ერთხელაც არის თავის გრძნობას არ გაეტაცოს? მე რომ ჩემი გული გადმოგიშალო, იქნება მე შენზე უფრო გატაცებული გეჩვენო.

კლუანტი. ღმერთმა ჰქნას, რომ შენც მაგ ცეცხლს...

ელიზა. ჯერ შენი საქმე გავათავოთ. აბა მითხარ, ვინ არის შენი საყვარელი?

კლემანტი. ის არის ერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში ცხოვრობს. შეუძლებელია იმის მნახველს მისადმი სიყვარული არ ჩაუვარდეს გულში. ბუნებას იმაზე ტურფა ქმნილება არ გაუჩენია. ვნახე თუ არა, მაშინვე ალტაცებაში მოვედი. სახელად ჰქვიან მარინა; მარტო დედა-ლა ჰყავს, ერთი საწყალი დედაკაცი, რომელიც სულ ავადმყოფობს და რომელსაც ეს ნაზი ქმნილება ისე უფლის და უფროსილდება, რომ ვერ წარმოიდგენ; რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერს ხალისიანად, მადიანად აკეთებს. ყოველ იმის საქმიდან გამობრწყინავს მისი სიმშვენიერე, მიმზიდველი თავაზიანობა, მომხიბვლელი გულკეთილობა, გასაოცრად პატიოსანი ქცევა. ახ, დაო, ნეტავი კი შენ ის გაჩვენა!

ელიზა. იმის გასაცნობად ეგეცა კმარა, რაც მითხარ. მე ვგრძნობ, რაც უნდა იყოს, რაკი შენ ის ეგრე გიყვარს.

კლემანტი. მე შევიტყე, რომ ისინი ღარიბები არიან. წარმოიდგინე, რა სასიამოვნო უნდა იყოს, უშველო იმას, ვინც გიყვარს და იმის გაუგებლად შეუძსუბუქო გაჭირვებული მდგომარეობა. ახლა წარმოიდგინე, რა სიმწარეა ჩემთვის, რომ მამიჩემის სიძუნწით მოკლებული ვარ ამ სიამოვნებას; მე საქმით ვერ ვუმტკიცებ ჩემ სიყვარულს იმ მშვენიერ ქმნილებას.

ელიზა. ვხედავ, ვხედავ, ძმაო, შენ მწუხარებას.

კლემანტი. ოჰ, დაო, ჩემ მწუხარებას საზღვარი არა აქვს. ერთი მითხარ, ასე სასტიკად მოქცევა გაგონილა! ხედავ როგორ თვალყურს გვადევნებენ, რომ მეტი არა დაიხარჯოს-რა ჩვენზე; როგორა გვტანჯავენ და გვაწვალებენ ამ უზომო სიძუნწით, ერთი სიტყვით, მე შენთან ლაპარაკი იმიტომ მინდოდა, მეთხოვნა, მამაჩემი ერთად გამოგვეკითხა; ვნახოთ რას იტყვის ამ საქმეზე და, თუ წინააღმდეგი გამიხდა, მაშინ გადავიკარგები საღმე, იმ ქალთან ერთად ვიცხოვრებ, როგორც ღმერთი შეგვაძლებინებს; მე ამ აზრით ყველგან ვაძებნინებ სასესხებელ ფულს; თუ შენი საქმე ჩემსასა ჰგავს, და, თუ მამაჩემი ორივეს სურვილს წინაღუდგა, ორივენი მოვშორდეთ და განვთავისუფლდეთ ამ ტანჯვისაგან, რომელშიაც მაგისმა უზომო სიძუნწემ ჩავყვარა.

ელიზა. მართლა რომ მამაჩემმა ისე გაგვიხადა საქმე, რომ ყოველდღე დედაჩემს გვანატრებს და...

კლემანტი. იმის ხმა მოისმის. პატარა ხანს თავი მოვარილოთ და ისე გავათავოთ ჩვენი ლაპარაკი.

პარპაგონი. ახლავ აქედან დაიკარგე და აღარ გაბედო სიტყვის შემობრუნება, გაეთრიე აქედან ახლავე, შე წუწკო, შე ჩამოსახრობო.

ლაფლეში. (იქით) ამ წყეული ბებრისთანა არა მინახავს-რა. თუ ამას გვამში ეშმაკი არ უზის, მე აღარა ვიცი-რა.

პარპაგონი. რას ბუტბუტებ მანდა?

ლაფლეში. რისთვის მაგდებ კარში?

პარპაგონი. განა მაგის მიზეზსაც მკითხავ, შე არამზადა? წადი აქედან, თორემ უსიკვდილო ვერ გადამირჩები.

ლაფლეში. რა დავაშავე მერე სასიკვდილო?

პარპაგონი. ის დააშავე, რომ აქედან უნდა გახვიდე.

ლაფლეში. ბატონო, თქვენმა შვილმა მიბრძანა აქ მოგუცადო.

პარპაგონი. წადი და ქუჩაში მოუცადე; ჩემ სახლში კი ნულარ დგახარ ეგრე ჯირკვით გაჩერებული, რომ შეიტყო რა ხდება და მას უკან გამოიყენო. მე არ მინდა, რომ მულამ თვალწინ ჩემი საქმეების მზვერავად ერთი მოლაღატე მყავდეს, რომელიც თავის დასაბრმავებელის თვალებით ყოველ ჩემს საქმეს დაშტერებია, თვალეებითა სჭამს, რაც რამ მახადია, და ყველგან გაფაციცებული იცქირება: რა არის მოსაპარავი.

ლაფლეში. მოსაპარავი, ასე გგონია ეგრე ადვილი იყოს! განა თქვენ ადვილად გასაჭურდი კაცი ხართ? ყველაფერი დაკეტილში გაქვთ შენახული და დღე-და-ღამ ყარაულობთ.

პარპაგონი. რასაც მინდა დაკეტილში შევინახავ და რასაც მინდა, ვუყარაულებ. გაგონილა ამისთანა ჯაშუში კაცს სახლში ჰავდეს და ყოველისფერს თვალი ადევნოს? (იქით) ვაიმე, თუ ჩემი ფულისაც შეიტყო რამე. (ხმამალა) შენ ისეთი კაცი ხარ, რომ წახვალ და ქვეყანას მოსდებ, ვითომ მე ფული მაქვს დამალული.

ლაფლეში. თქვენ ფული გაქვთ დამალული?

პარპაგონი. მაგას ვინ გეუბნება, შე მხეცო?! (იქით) ბრაზი მომდის! (ხმამალა) მე იმას გეუბნები, რომ შენისთანა ეშმაკს არ გაუქირდება ტყუილი ხმები დამიყაროს.

ლაფლეში. ერთი მითხარით, ვის რა ენაღვლება, ფული გაქვთ, თუ არა გაქვთ? ჩვენთვის სულ ერთი არ არის?!

ჭარბაგონი. (ხელს ასწევს ლაფლემის სილის გასართყმელად) შენც სჯაში ერევი? მე გიჩვენებ, სჯა როგორ უნდა, როცა მაგ ყურებს აგიწიწი-
კნი. გასწი, აქედან დაიკარგი!

ლაფლეში. აჰა, მივდივარ!

ჭარბაგონი. მოიცა, თან ხომ არა მიგაქვს-რა?

ლაფლეში. თან რა უნდა მიმქონდეს?

ჭარბაგონი. მოდი ერთი დაგათვალიერო. გაშალე ხელები.

ლაფლეში. აჰა, აჰა.

ჭარბაგონი. მეორე?

ლაფლეში. მეორე?

ჭარბაგონი. ჰო, მეორე.

ლაფლეში. აჰა, მეორეც.

ჭარბაგონი. (ლაფლემს შარვალზე უჩვენებს) ამაში რა გიღვეს?

ლაფლეში. თქვენ თითონ ნახეთ, რაც მიღვეს.

ჭარბაგონი. (შარვალს უსინჯავს) ეს განიერი შარვლიანები, თავიან-
თივე შარვლით უნდა ჩამოახრჩონ; ყველა ნაქურდალის დამალვა შეი-
ძლება ამაში.

ლაფლეში. ამისთანა კაცს ის უნდა მოუვიდეს, რისაც ეშინიან.
რა მადლი იქნებოდა ამის გაქურდვა!

ჭარბაგონი. რაო?

ლაფლეში. როგორა?

ჭარბაგონი. გაქურდვაზე რას ამბობ?

ლაფლეში. იმას ვამბობდი, რომ ყველგანა მჩხრეკავთ. გინდათ
შეიტყვოთ, ხომ არა მოგპარეთ-რა.

ჭარბაგონი. მნებავეს და გჩხრეკავ. (ჯიბებში ხელს ჩაუყოფს).

ლაფლეში. (იქით) ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კაციცა და სი-
ძუნწეც!

ჭარბაგონი. რაო, რას ამბობ?

ლაფლეში. რას ვამბობ?

ჭარბაგონი. ჰო, რას ვამბობ ძუნწს კაცზე და სიძუნწეზე?

ლაფლეში. მე ვამბობ, რომ ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კა-
ციცა და სიძუნწეცა მეთქი.

ჭარბაგონი. ვისზე ამბობ შენ მაგას?

ლაფლეში. ძუნწ კაცზე.

ჭარბაგონი. ვინ არის მერე ძუნწი?

ლაფლეში. ძალდი და ღოროი; მე რა ვიცი ვინ არის...

ჭარბაგონი. არა, ვისზე ამბობ მერე მაგას?

ლაფლეში. თქვენ რაო, ვისზედაც ვამბობ.

ჭარპაგონი. მე რაც მგონია, ის მე ვიცო, მაგრამ მე მინდა შევიტყუო, ვის ეუბნებოდით, ახლა რასაც ლაპარაკობდით?

ლაფლეში. მე ვეუბნებოდით... ჩემს ქულსა.

ჭარპაგონი. მაშ მე თუ კაცი ვარ, შენს ყბებს გამოველაპარაკები.

ლაფლეში. დამიშლით განა, ძუნწი კაცი დავსწყევლო?

ჭარპაგონი. მაგას მე არ დავიშლი, მაგრამ ყბედობას და თავებედობას გადაგაჩვევ, თუ კაცი ვარ.

ლაფლეში. მე არავინ დამისახელებია.

ჭარპაგონი. კიდეც! გაულახავი ვერ მომიჩრები, თუ კიდეც ხმა ამოგილია.

ლაფლეში. ვისაც ნიორი არ უჭამია, პირი როდით აუყროლდება.

ჭარპაგონი. აღარ გაჩუმდები?

ლაფლეში. ბარემ სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ უნდა გავჩუმდები, მეტი რა გზა არის!

ჭარპაგონი. რაო, რაო?

ლაფლეში. (აჩვენებს თავის კურტკის ჯიბეს). აი ერთი ჯიბე კიდეც, არ გეყოფათ ახლა?

ჭარპაგონი. მაშ მოიტა. მომეცი, ნულარ გამაშინჯვინებ...

ლაფლეში. რა უნდა მოგცეთ?

ჭარპაგონი. რაც ჩვენგან მივაქვს.

ლაფლეში. მე თქვენგან არა მიმაქვს-რა.

ჭარპაგონი. მართლა?

ლაფლეში. მართლა.

ჭარპაგონი. მაშ წადი ჯანდაბას.

ლაფლეში. (იქით) კარგად არ მისტუმრებს!!.

ჭარპაგონი. შენს სინილისზე მიმიგლიხარ. მაშ, შენს სინილისზე მიმიგლიხარ.

ს უ რ ა თ ი მ ი ო თ ხ ი

ჭარპაგონი (მარტო)

ლამის ჯავრით გამხეტქოს ამ სათოკე ბიკმა: არაფრად არ შექაშნიკება ამ წუწვი ძალლის აქ გდება. მართლა, რომ ძნელი ყოფილა სახლში ბევრი ფულის შენახვა. ბედნიერი ის არის, ვისაც თავის ქონება კარგად აქვს გაცემული და შინ მარტო სახარჯო ფულს ინახავს. ძალიან გასაჭირია კაი შესანახავი ალაგი იპოვო, თუნდ მთელს სახლში; რკინის ზანდუკებისა მეშინიან, ვერ ვენდობი. ისინი მე ქურდების მახედ გამომადგებიან, პირველად იმათ მისცვივიან.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

პარპაგონი, ელიზა და კლუანტი (ერთმანეთს ელაპარაკებიან სცენის სიღრმეში)

პარპაგონი. (თავის თავი მარტო ჰგონია) არ ვიცი, კარგად ვქენ, რომ ბალში ჩაეფალი ის ათასი თუმანი, გუშინ რომ დამიბრუნეს თუ არა? ათასი თუმნის ოქრო შინ შესანახად დიდი... (დაინახავს ელიზას და კლუანტს და თავისთვის იტყვის) ვაიმე, მე ჩემი თავი თითონვე გამიმხელა. გაეცხარდი და მგონი ხმამალლა ლაპარაკი დავიწყე. (კლუანტს და ელიზას) რა გინდათ თქვენ აქა?

კლუანტი. არაფერი, მამა.

პარპაგონი. დიდი ხანია, რაც მანდა დგებართ?

ელიზა. ეს არის ახლა მოვედით.

პარპაგონი. თქვენ გაიგონეთ...

კლუანტი. რა?

პარპაგონი. ის...

ელიზა. რა?

პარპაგონი. რაცა ვთქვი.

კლუანტი. ჩვენ არა გავვიგონია-რა.

პარპაგონი. როგორ არა, როგორ არა!

ელიზა. უკაცრავად, მამა.

პარპაგონი. მე კარგად ვხედავ, რომ ჩემი სიტყვებისათვის თქვენ ყური მოგიკრავთ. მე იმაზე ელაპარაკობდი, რომ ახლანდელ დროში ძნელია ფულის შოვნა და ვამბობდი, რომ ბედნიერია, ვისაც სახლში ათასი თუმანი უძევს მეთქი.

კლუანტი. ჩვენ ფეხაკრეფით იმიტომ მოვედიოდით, რომ თქვენი ლაპარაკის დაშლას ვერიდებოდით.

პარპაგონი. მე მიხაროან, რომ ეს გაგაგებინეთ, თორემ შეიძლებოდა საქმე მრულედ გჩვენებოდათ და გეფიქრათ, რომ ვითომ მე მქონდეს ათასი თუმანი ფული.

კლუანტი. თქვენი საქმეები ჩვენ რას შეგვცხება.

პარპაგონი. ახ, ნეტავი ერთი ათასი თუმანი მქონდეს.

კლუანტი. მე არა მგონია...

პარპაგონი. ურიგოდ არ მოვიხმარდი.

ელიზა. ეგ უბრალო...

პარპაგონი. სწორედ რომ მეჭირვება ათასი თუმანი.

კლუანტი. მე მგონი, რომ...

შარპაგონი. გამაკეთებდა, გამამდიდრებდა...

ელიზა. თქვენ ხართ...

შარპაგონი. მაშინ ჩივილს არ დავიწყებდი და არ ვიტყოდი, სადაგელი დრო დაგვიდგა მეთქი.

კლენტი. მაინც არც ახლა შეგშვენის ჩივილი: ყველამ იცის, რომ თქვენ საყოფი გაქვთ.

შარპაგონი. როგორ თუ საყოფი მაქვს! ტყუის, ვინც მაგას ამბობს!.. ეგ რა დასაჯერებელია! სულ ავაზაკები არიან, ვინც მაგისთანა ხმებს ავრცელებენ.

ელიზა. რისთვისა ჯავრობთ, ბატონო?

შარპაგონი. როგორ არ გავჯავრდე, რომ ჩემი ღვიძლი შვილები მლალატობენ და მტრად მიხედნიან.

კლენტი. განა ის მტრობაა, რომ გითხრათ საყოფი გაქვთო?

შარპაგონი. მაშ რაა? ეგ სიტყვები და თქვენგან ფულების ხარჯვა, იცით, რას დამმართებენ? მოვლენ ერთ ღლეს და ყელს გამომპირიან; ასე, ეგონებათ სულ ოქროებში ვზივარ.

კლენტი. რა ბევრ ფულებს მე ვხარჯავ!

შარპაგონი. რა ფულებსა? ის რა არის, რომ მორთულ-მოკაზმულ ეტლით ქალაქში დასეირნობ? გუშინ შენი და მაგის გულისათვის დაეტუქსე, მაგრამ შენ კიდევ გადააჭარბე. განა ღმერთი აიტანს მაგას? რაც თავით ფეხებამდე გაცვიათ, ყველა რომ ვიანგარიშოთ, ღარიბ კაცს გამამდიდრებდა. ათასჯერ მითქვამს შენთვის, კლენტი, რომ შენი ქცევა თვალში არ მომდის. გაგიყვებით გინდა დიდკაცს დაემსგავსო და ეგრე მდიდრულად იცვამ და იხურავ, ალბად ჩემგან მოპარულის ფულით.

კლენტი. როგორ თქვენგან მოპარულის ფულით?

შარპაგონი. აბა რა ვიცი? საიდან შოულობ იმდენს, რომ ასეთი ცხოვრება ატარო?

კლენტი. საიდან, მამაჩემო, ქალაღდა ვთამაშობ, ბედი მწყალობს და რასაც ვიგებ, ყველაფერს ჩემზედა ვხარჯავ.

შარპაგონი. ძალიან ცუდად გიქნია. თუ თამაშობაში ბედი გაქვს, უნდა მოხმარებაც იცოდე; უნდა წესიერი სარგებელით გასცე მოგებული ფული, რომ ერთ დროს გამოგადგეს. სხვაზე არას გეტყვი, ერთი ეს შემატყობინე, რა ეშმაკად გინდა ეს ლენტები თავით ფეხამდე რომ დაგკონწილობენ; ნახევარი ღუფინი ქინძისთავი არ კმა-რა ამ შარვლის დასამაგრებლად?! დიდად საჭიროა პარიკებზე ფულის დახარჯვა, როდესაც შენი ოხერი თმა თავზე ამოგდის უფასოდ, უარარაოდ. თუნდა დაგენაძლევებით, რომ ამ ლენტებზე და პარი-

კებზე ექვს თუმანზე მეტია დახარჯული და თუმანი მანეთადაც რომ გასცე წელიწადში, აი შენი ექვსი მანეთი.

კლევანტი. მართალსა ბრძანებთ.

შარპაგონი. თავი დავანებოთ მაგას. ახლა სხვა საქმეზე ვილაპარაკოთ. (დაინახავს, რომ კლევანტი და ელიზა ერთმანეთს რალაცას ანიშნებენ და იტყვის თავისთვის) მგონია, ერთმანეთს ანიშნებენ, ქისა მოვპაროთო. (ხმა მალლა) რაო, რას ანიშნებთ?

ელიზა. ორივეს თქვენთან რალაც სათქმელი გვაქვს და ერთმანეთს ვაქებებთ, არა ჯერ შენ უთხარი, არა ჯერ შენაო.

შარპაგონი. მეც მაქვს რალაც სათქმელი თქვენთან.

კლევანტი. ჩვენ ქორწინებაზე უნდა მოვახსენოთ რამე.

შარპაგონი. მეც მაგაზე მინდა მოველაპარაკოთ.

ელიზა. ოჰ, მამაჩემო!

შარპაგონი. რასა ჰყვირი? რამ შეგაშინა; ამ სიტყვამ თუ თვით ქორწინებამ?

კლევანტი. ჩვენ გვეშინიან ქორწინებისა, მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ მოინდომებთ თქვენებურად საქმის გარიგებას. ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ ჩვენი გული თქვენს არჩეულს ვერ შეეთვისოს.

შარპაგონი. ცოტა მოთმინება იქონიეთ. ნუ შეგეშინდებათ, მე ვიცი ორივეს რაც გეჭირვებათ და არც ერთი არ დაიწუნებთ ჩემს არჩეულს. დავიწყოთ თავიდან. (კლევანტს) ხომ არ გინახავს ერთი ყმაწვილი ქალი, მარინა, აქვე ახლოს რო დგას?

კლევანტი. როგორ არა, მამა.

შარპაგონი. შენა?

ელიზა. მეც გამიგონია.

შარპაგონი. როგორ მოგწონს შენ ის ქალი?

კლევანტი. ჩინებული ქალია.

შარპაგონი. სახით როგორია?

კლევანტი. მშვენიერი, კკვიანი სახე აქვს.

შარპაგონი. შეხედულობა და ქცევა?

კლევანტი. საუცხოვო.

შარპაგონი. როგორ გგონია, იმისთანა ქალი ღირსი არ არის, რომ კაცმა იმაზე თვალი დაიჭიროს?

კლევანტი. სწორედ ღირსია, მამა.

შარპაგონი. არც დასაწუნი საცოლოა.

კლევანტი. დასაწუნი კი არა, სანთლით მოსაძებნია.

შარპაგონი. სახეზე ეტყობა, რომ სახლის კაი გაძლოლა უნდა იცოდეს.

კლევანტი. მართალსა ბრძანებთ.

ჰარპაგონი. იმის ქმარი იმის კმაყოფილი დარჩება.

კლევანტი. უეჭველად.

ჰარპაგონი. მარტო ერთია სამძიმო: მე არა მგონია იმდენი ჰქონდეს, რაც საჭიროა.

კლევანტი. მზითევს როდი უნდა მიჰხედოს კაცმა, როცა პატიოსან ქალს ირთავს.

ჰარპაგონი. მაგას სტყუი, სტყუი, მაგრამ ისიც კია, რომ, თუ რაც საჭიროა იმდენი არა აქვს, სხვა გზით შევიძლებ მზითევის შესრულებას.

კლევანტი. რასაკვირველია.

ჰარპაგონი. მე მიხარიან, რომ თქვენ ყველაფერზე მეთანხმებით. იმისმა პატიოსანმა ქცევამ და კეთილმა ხასიათმა გულში ისარი გამიყარა და მე გადავწყვიტე ის ცოლად შევიერთო, თუ მზითევი აქვს რამე.

კლევანტი. ეჰე!

ჰარპაგონი. რაო?

კლევანტი. თქვენ გადასწყვიტეთ... .

ჰარპაგონი. მარინას შერთვა.

კლევანტი. ვინა! თქვენა, თქვენა?

ჰარპაგონი. ჰო, მე. მე... რა მოგდის, ერთი მითხარი.

კლევანტი. არაფერი; უცბად თვალებზე ბინდი გადამეკრა; უნდა წავიდე აქედან.

ჰარპაგონი. მაგით არა გიჭირს-რა. წადი სამზარეულოში, ერთი ჭიქა ცივი წყალი დალიე.

ს უ რ ა თ ი. მ ე ე მ მ ს ე

ჰარპაგონი და ღლიზა

ჰარპაგონი. რა სნეულები არიან ახლანდელი ყმაწვილები ქათმის ღონე არა აქვთ. აი, შეილო, ჩემი გადაწყვეტილება. შენს ძმასაც ერთი ქვრივი მინდა შევერთო, რომელზედაც დღეს დილით მელაპარაკენ. შენ კი ანსელმს მინდა მიგათხოვო.

ღლიზა. ანსელმსა?!

ჰარპაგონი. ჰო, ანსელმს; კაცს მოწიფულს, ჭკვიანსა და გონიერს; ორმოცდაათი წლისა ძლივს იქნება და შეძლებასაც უქებენ.

ელიზა. (თავს დაუკრავს) თუ თქვენი ნებაც იქნება, მე მსურს გაუ-
თხოვარი დავრჩე.

ჰარპაგონი. (გააჯავრებს ელიზას) თუ თქვენი ნებაც იქნება, ქალ-
ბატონო, მე მსურს ვაგათხოვოთ.

ელიზა. (თავს დაუკრავს კიდევ) ნურას უკაცრავად, ბატონო.

ჰარპაგონი. (კიდევ გააჯავრებს) ნურას უკაცრავად, ქალბატონო.

ელიზა. მე დიდი პატივისცემა მაქვს ბატონ ანსელმისა, მაგრამ
(თავს დაუკრავს). თუ თქვენი ნებაც იქნება, მე იმას ვერ შევირთავ.

ჰარპაგონი. მეც თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ (გააჯავ-
რებს), თუ თქვენი ნებაც იქნება, ამაღამვე იმაზე ჯვარს დიწერთ.

ელიზა. ამაღამვე!

ჰარპაგონი. დიახ, ამაღამვე.

ელიზა. (თავს დაუკრავს) ეგ შეუძლებელია, მამაჩემო.

ჰარპაგონი. ეს შესაძლებელია და მოხდება კიდევ, ქალბატონო.

ელიზა. ვერ მოხდება.

ჰარპაგონი. მოხდება.

ელიზა. ვერა, მეთქი.

ჰარპაგონი. ჰო, მეთქი.

ელიზა. მაგაზე თავის დღეში ვერ დამიყოლიებთ.

ჰარპაგონი. მაგაზე მე თქვენ დაგიყოლიებთ.

ელიზა. მე სიკვდილს ვარჩევ მაგისთანა ქმრის შერთვას.

ჰარპაგონი. არც სიკვდილს არჩევ და შეირთავ კიდევ. დახედეთ
ამ უსირცხვილოს; უნახავს ვისმე, რომ ქალი თავის მამას ასე თავს
უყადრებდეს?!

ელიზა. ის ვილას უნახავს, რომ მამა თავის ქალს ასე ათხო-
ვებდეს?

ჰარპაგონი. ის იმისთანა კაცია, რომ წინააღმდეგს ვერავენ იტ-
ყვის; მე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მოიწონებს ჩემს არ-
ჩეულს.

ელიზა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არავენ არ მოიწონებს,
ვისაც გოგრა ცარიელი არა აქვს.

ჰარპაგონი. (დინახავს ვალერს შორიდან) აი ვალერიც; გინდა ამ საქ-
მეში ეგ შუამდგომლად ჩამოვაყენოთ მე და შენ შუა?

ელიზა. ბატონი ბრძანდებით.

ჰარპაგონი. მერე იმის გადაწყვეტილებას დათანხმდები?

ელიზა. დავთანხმდები.

ჰარპაგონი. მაშ კარგი.

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ვალერი, ჰარპაგონი, ჟლიზა

ჰარპაგონი. აქ მოდი, ვალერ. მე და ჩემმა ქალმა მსაჯულად ამოვირჩიეთ. შენ უნდა გაარჩიო, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი ვალერი. რაღა თქმა უნდა, რომ თქვენ იქნებით მართალი.

ჰარპაგონი. იცით, რაზე ვლაპარაკობთ?

ვალერი. ანა, მაგრამ თქვენ თავის დღეში მტყუანი არ გამხვალთ, რადგან თქვენ თითონ სიმართლე ბრძანდებით.

ჰარპაგონი. მე ამაღამ მინდა მაგას ერთი მდიდარი და კვიანი კაცი შეერთო და ეგ ურცხვი პირში მიეუბნება, რომ მე ეგ არ მეპრიანებაო. რას იტყვი ამაზე?

ვალერი. რას ვიტყვი?

ჰარპაგონი. პო, რას იტყვი?

ვალერი. ჰმ, ჰმ!

ჰარპაგონი. რას ამბობ?

ვალერი. მე ვამბობ, რომ თუმცა მაგ საქმეში თქვენი თანახმა ვარ, რადგან ურგო საქმეს არ მოიკმედებთ, მაგრამ არც ეგ არის სრული მტყუანი და...

ჰარპაგონი. როგორ თუ მტყუანი არ არის! ანსელმი ჩინებული საქმროა. ის არის აზნაურიშვილი, ზრდილობიანი, კეთილი, კვიანი, შეძლებული და დამჯდარი კაცი; ამას გარდა პირველი ცოლისა ერთი შვილი არა ჰყავს. უკეთესს აბა ვის იპოვის?

ვალერი. ეგ მართალია, მაგრამ მაგასაც შეუძლიან გითხრათ, რომ ეგ ძლიერ აჩქარებული საქმე იქნება და ცოტა დრო უნდა, კაცმა შეიტყოს, მიუვა გული იმას...

ჰარპაგონი. ეს იმისთანა შემთხვევაა, რომ საჩქაროდ უნდა კუდზე მოექიდო. მე აქ კიდევ ერთ სარგებლობასა ვხედავ, რომელსაც სხვა შემთხვევაში მოკლებული ვიქნებოდი; ის ყაბულს არის უმზითვოდ შეირთოს.

ვალერი. უმზითვოდ?

ჰარპაგონი. სწორედ უმზითვოდ.

ვალერი. მაშ მე ხმა უნდა გავიკმინდო. ეგ ისეთი საბუთია, რომ წინააღმდეგს ვერაფერ იტყვის; დავმორჩილდეთ.

ჰარპაგონი. ეგ დიდი სარუაა ჩემთვის.

ვალერი. მართალია, მაგაზე ლაპარაკი მეტია. მართალია, თქვენ-მა ქალმა შეიძლება გიპასუხოთ, რომ კმრის შერთვა ისეთი ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთს ჰგონია, მაგაზე ჰკიდია კაცის ბედნიერება და უბედურება და იმისთანა პირობის შეკერა, რომელიც სიკვდილამდე დაურღვეველია, დიდის სიფრთხილით უნდა მოხდეს.

ჰარპაგონი. უმზითვოდ!

ვალერი. მართალსა ბრძანებთ; სულ მაგაზედაა დამოკიდებული; მართალია, ზოგთ შეუძლიანთ გითხრან, რომ მაგისთანა შემთხვევაში ქალის გულსაც უქველად უნდა დაეკითხოს ადამიანი და, ხანის ხანისათვის, გრძნობის უთანასწორობას შეუძლიან უსიამოვნება ჩამოაგდოს ცოლ-ქმარს შუა.

ჰარპაგონი. უმზითვოდ!

ვალერი. აშკარაა, რომ მე მაგის წინააღმდეგი არა მეტქმის-რა; რა ეშმაკი დაუდგება მაგ საბუთს წინა?! მაგრამ არიან იმისთანა მამები, რომელთაც თავიანთი ქალების სურვილის შესრულება ურჩევნიათ მზითვად მიცემულს ფულს; არიან იმისთანანი, რომელნიც თავიანთ შვილებს სარგებელს მსხვერპლად არ შესწირვენ და მონახავენ უფრო იმისთანა საქმროს, რომ ცოლ-ქმარს შუა არ იყოს სხვადასხვაობა, რომელიც ამხობს პატიოსნებას, მშვიდობიანობას და სიხარულს და რომ...

ჰარპაგონი. უ-მ-ზ-ი-თ-ვ-ო-დ.

ვალერი. მართალია, ეგ სიტყვა, „უმზითვოდ“, კაცს პირში ბურთსა სჩრის; მაგას წინ რა დაუდგება?

ჰარპაგონი. (ბაღისკენ) ოჰო, მე მგონია, ეს ძაღლის ყეფაა; იქნება ჩემს ფულს ეპარებიან! (ვალერს) არ დაიძრათ, ახლავე დაებრუნდები.

ს უ რ ა თ ი ი მ ი რ ვ ი

ოლიზა და ვალერი

ოლიზა. ხუმრობ თუ რა არის, მამას' რომ ასე ელაპარაკები?

ვალერი. მე ის მინდა, რომ არ გავაცხარო და მით უფრო ჩემი გულის წადილი შევისრულო. მაგის აზრებს რომ წინააღმდეგი გავუხდე, საქმე სულ წახდება: არიან ისეთი ადამიანები, რომლებთანაც საქირთა სხვანაირი მოქცევა — წინააღმდეგობას მოთმინებიდან გამოჰყავს ისინი, სიმართლის თქმა აბრაზებს მათ და იძულებული ხარ ყველაფერზე დაეთანხმო: უნდა უჩვენო სახე თითქო მას ეთანხმება, მიზანს ამით მიიღწევ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

ელიზა. მაგრამ ეს ქორწინება?

ვალერი. უნდა ხერხით დავაშლევინოთ.

ელიზა. მერე რა ხერხს ვინმართ, თუ ამალამვე უნდა მოხდეს?

ვალერი. უნდა თავი მოიკვამყოფო და გადაადებინო.

ელიზა. მერე ექიმს რო დაუძახონ, ხომ შემატყობენ ტყუილ ავადმყოფობას?

ვალერი. კარგია, რას ხუმრობ, ექიმებს ავადმყოფობისა რა გაეგებათ? რა ტყუილი ავადმყოფობაც უნდა დაიჩემო, ისინი მაინც შეეცდებიან გითხრან ავადმყოფობის მიზეზები.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ი

• ჰარპაგონი, ელიზა, ვალერი

ჰარპაგონი. (იქით) მადლობა ღმერთსა, არა იყო-რა.

ვალერი. (ჰარპაგონს ვერა ხედავს) თუ აღარა და აღარ იქნა, მაშინ ესლა დაგვრჩენია, რომ გაეიქცეთ და ყველაფერს თავი მოვარიდოთ; თუ შენი სიყვარული მაგ სიმტკიცეს ზამოიჩენს... (ჰარპაგონს დაინახავს) დიახ, რიგი და მართებულობაა, რომ ქალი მამას ემორჩილებოდეს; ქალმა უნდა მიჰხედოს, როგორია იმისი საქმრო და, თუ დაურღვეველი საბუთი, „უმზითვოდ“, ზედ-ემატება, უნდა შეერთოს, ვიზედაც მითითებენ.

ჰარპაგონი. აი ბარაქალა! აი ლაპარაკი ასე უნდა!

ვალერი. უკაცრავად გახლავარ თქვენთან, ბატონო, რომ ასე გავცხარდი და კადნიერად ველაპარაკები. თქვენს ქალსა.

ჰარპაგონი. რა ბოდიშს იხდი. მე ის მინდა, რომ შენ ეგ დაიმორჩილო. (ელიზას) ტყუილად მირბიხარ; რაც მე შენზე უფლება მაქვს, ყველას ამას ვანებებ და გიბრძანებ, რომ რაც გითხრას, ყოველისფერი აღუსრულე.

ვალერი. ამის შემდეგაც ჩემს ვედრებას არ შეისმენ?

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ი

ჰარპაგონი და ვალერი

ვალერი. მე წავყვები თქვენ ქალს, რომ ჩემი დარიგება არ შეეწყვიტო.

ჰარპაგონი. ძალიან დამავალე, სწორედ...

ვალერი. კარგი იქნება, პატარა აღვირი ამოვუქიროთ.

ჰარპაგონი. მართალს ამბობ, ეგ საქიროა.

ვალერი. თქვენ ნუ შესწუხდებით, მე თითონ გავარიგებ.

ჰარპაგონი. მაშ წადი, ნულარ უკურებ. მე წავალ, ქალაქში საქმეები მაქვს და ისევ მალე დავბრუნდები.

ვალერი. (წავა იქით მხარეს, საითაც ელიზა გავიდა და გაჰყვირის) დიახ, ფული ყოველ ქვეყნიერ ქმნილებაზე უფრო ძვირფასია. თქვენ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ მამათქვენი მაგისტანა კაცსა გრთავს. სხეას არასფერს არ უნდა მიჰხედო; ყველა ამ სიტყვაშია მოქცეული: „უმზითვოდ“: იგი შეიცავს მშვენიერების, ახალგაზრდობის, გვარი-შვილობის ღირსებას, ჰკუისა და პატროსნების ადგილს.

ჰარპაგონი. აი ყოჩალი კაცი! სწორედ წინასწარმეტყველსავეით ლაპარაკობს. ბედნიერია, ვისაც ამისთანა მსახური ახლავს.

მოქმედება გეორგი

სურათი პირველი

კლავანტი და ლაფლეში

კლავანტი. სად დაიღუპე, შე მუხანათო! შე შენ არ გიბრძანე...

ლაფლეში. მიბრძანე, ბატონო, და შესრულებასაც ვაპირებდი, მაგრამ თქვენმა გადარეულმა მამამ პანჩურის კვრით გამომაგლო და ცემასაც ძლივს გადავურჩი.

კლავანტი. როგორ მიდის ჩვენი საქმე? ძალიან აჩქარება უნდა; შენი წასკლის შემდეგ შევიტყუე, რომ მამაჩემი ჩემი მოცილე ყოფილა და იმასაც ის უყვარს, ვინც მე მიყვარს.

ლაფლეში. განა მამათქვენსაც სიყვარული შეუძლია?

კლავანტი. აბა ეგა სთქვი და! ძლივს შევიმავრე თავი, ეს ამბავი რომ გავიგე!

ლაფლეში. ისიც სიყვარულში ერევა?! რა ეშმაკს გაუგივებია? ქუყანას დასცინის თუ! განა სიყვარული მაგისტანა კაცისათვის არის გაჩენილი?

კლავანტი. ალბად ევეც ჩემი ცოდვია კითხვია!

ლაფლეში. მერე, რად უმაღავეთ იმას თქვენ სიყვარულს?

კლავანტი. თუ გაიგო, გზებს ისე დაგვიხლართავს, რომ საქმე ხელიდან წავივია. ახლა შენ რაღა ამბავი მომიტანე?

ლაფლეში. ჭეშმარიტად, დიდად უბედურნი არიან ვალის ამღებნი; ბევრი თავის დამცირება უნდა მოითმინოს, ვინც თქვენსავით მოვალის ხელში ჩავარდება.

კლავანტი. მაშ საქმე არ ხერხდება?

ლაფლეში. მომითმინეთ, ჩვენი შუამავალი, სიმონი, ძალიან გამკრიანი კაცია და გულმოდგენით სურს თქვენი საქმის წარმართვა. როგორც სჩანს, ერთი ნახვით მოგივია იმისი გული.

კლავანტი. მაშ მიშოვის ხუთას თუმანს?

ლაფლეში. დიახ! მაგრამ ცოტა რამ პირობაზე უნდა დასთანხმდეთ, თუ გნებავს, რომ საქმე კარგად წავიდეს.

კლავანტი. შენ თითონ გალაპარაკა ფულის პატრონთან?

ლაფლეში. საქმე სხვაფრივ არის; ფულის პატრონი თქვენზე მეტად იმაღაეს თავს, თავის სახელს არ ამხელს. ამ საქმეს ისე მცირე მნიშვნელობა კი არა აქვს, როგორც თქვენ ჰფიქრობთ. დღეს უნდა შეიკრიბნეთ თქვენ ერთ დანიშნულ სახლში და მოილაპარაკოთ თქვენ შეძლებაზე და ოჯახობაზე, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მარტო მამითქვენის სახელი კმარა, რომ საქმე კარგად დაბოლოვდეს.

კლევანტი. ამას გარდა დედაჩემი ხომ შევდარია და იმის წილი მე არ წამერთმევა.

ლაფლეში. აი რამდენიმე პირობა, რომელიც თითონ იმან დააწერინა ჩვენ შუამავალს: პირველი ის, რომ სარგებელს სამ აბაზ ნაკლებს არ იღებს.

კლევანტი. სამი აბაზი სარგებელი? აი პატიოსანი კაცი! მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!!

ლაფლეში. ეგ მართალია. ამას გარდა, რადგან იმას ახლა სრულად არა აქვს ხელში ნათქვამი ფული, ის იძულებულია თქვენი პატივისცემისათვის თითონაც სხვისგან ისესხოს თუმანზე 20%⁰; ცხადია, რომ სრული სარგებელი თქვენ უნდა იკისროთ, რადგანაც ის მარტო თქვენი პატივისცემისათვის იღებს ამ ვალსა.

კლევანტი. რა უღმერთობაა! ნამდვილი წურბელა ყოფილა. ეს ხომ ორსა და ათ შაურზე მეტი გამოდის.

ლაფლეში. ეს არის რაცა ვთქვი, ახლა თქვენ იცით და იმან.

კლევანტი. რაღა მეტქმის! მე ფული მიჭირს და ყველაფერზე უნდა დავთანამდე.

ლაფლეში. მეც ეგ ვუთხარი.

კლევანტი. იქნება კიდევ არის რამე?

ლაფლეში. ერთი პატარა პირობა კიდევ არის: იმ 500 თუმნიდან, რომელსაც თქვენ თხოულობთ, ის ფულად ოთხასი თუმნის მეტს ვერ მოგცემსთ, და დანარჩენ ას თუმანში უნდა აიღოთ ტანისამოსი, სახლის მორთულობა და სხვადასხვა ავეჯი, რომელიც მოხსენებულია სიაში შეძლებისამებრ.

კლევანტი. ეგ რაღაა?

ლაფლეში. ყური, დაუგდეთ ამ სიას: „პირველად იქნება ერთი ხელი ლოგინი, შემკობილი ყავისფერი დრაფის ბანტებითა; ექვსი იმავე ფერის სკამი, გადაკრული წითელ და ცისფერ ზოლიანი ფარჩით; ამ ლოგინს ექნება თავის ფარდა წმინდა ტილოსი ფარჩის ფუნჯებით და ფოჩით“.

კლევანტი. ახლა რად მინდა მე ეგენი?

ლაფლეში. მოითმინეთ. „ამას გზრდა ერთი მოქარგული ხალიჩა, ერთი კარგი თორმეტფეხიანი კაკლის მაგიდა ორსავ მხარეს გასაშლელი, თავისი ექვსი სკამით“.

კლევანტი. რაში გამოვიყენო, ერთი მითხარი?

ლაფლეში. მოთმინება გქონდესთ! „კიდევ სამი დიდი თოფი სადფით მორთული, თავის ზუმბით, ერთი 'აგურის ლუმელი, ორი ზარფუში და სამი გეჯა“.

კლევანტი. მოდი და ბრაზი ნუ მოგივა!

ლაფლეში. მოითმინეთ! კიდევ ერთი ჩონგური, სიმებით გამართული, ერთი თივით გატენილი ხელიკის ტყავი“... საუცხოვო რამ არის ოთახში ჩამოსაკიდებლად. ყველა ზემოხსენებული ნივთები ღირს, კანონიერი ფასი რომ დაეადოთ, ას ორმოცდაათ თუმნად, მაგრამ ის თქვენი ხათრით ას თუმანზე ჩამოდის.

კლევანტი. აი ღმერთმა ამოაგდოს ისიც და იმის პატიოსნებაც! ის უღმერთო, ის სისხლის მსმელი! გაგიგონია სადმე ამისთანა უსინიღოსობა? განა საკმაო არ იყო ის სარგებელი, რომ კიდევ ძალად არ ამალეზინოს ეგ ჩიხი-მანოები? მაგრამ რა გაეწყობა, იმან ყველაფერი კარგად იცის, მამიჩემის სიძუნწით იმისთანა მდგომარეობაში ვარ, რომ სუყველაზე თანახმა უნდა გავხდე, ავაზაკივით ყელზე ხანჯალს მაქერს.

ლაფლეში. არ გეწყინოს, ბატონო, მაგრამ თქვენ სწორედ იმ გზას ადგებით, რომელმაც ბ-ნი პანურჯი გააკოტრა: იგი ფულს სესხულობდა, ძვირად ყიდულობდა, იაფად ჰყიდდა.

კლევანტი. მაშ რა ვქნა? აი სადამდე მიჰყავთ საძაგელი სიძუნწით მამებს თავისი შვილები! ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ შვილებმა მამების სიკვდილი ისურვონ?

ლაფლეში. უნდა გამოვტყდეთ, რომ მამა-თქვენი სიძუნწი იშვიათი სიმშვიდის ადამიანსაც კი გამოიყვანს მოთმინებიდან. ღვთის მადლით მე არა ვარ ბოროტი საქმის ჩამდენი, მაგრამ სადაც შესაძლებელია რაიმეს ხელში ჩაგდება, უარს არ ვამბობ და სასჯელსაც მოხერხებულად ავიცდენ. მამათქვენსაც დიდი სიამოვნებით გავქურდავდი.

კლევანტი. მომეცი სია, რომ ერთხელ კიდევ გადაეხედო!..

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა მ

ჰარპაგონი, სიმონი, ვლადიმი, ლაფლევი

(კლენტი და ლაფლევი სცენის სიღრმეში)

სიმონ. ასე, ჩემო ბატონო, ის ყმაწვილი კაცი ისე გაპირებულ-
ლია, რომ რაც უნდა პირობები დაუდოთ, თანახმა გახდება.

ჰარპაგონი. ხომ დარწმუნებული ხარ, სიმონ, რომ ამ საქმეში სა-
შიში არაფერია? ხომ კარგად იცით იმისი გარემოება, ქონება და
ოჯახისშვილობა?

სიმონ. სწორე მოგახსენო, მაგაზე ბევრს ვერაფერს ვეტყვი: მე
თითონაც შემთხვევით ვაეიგე ეს საქმე, მაგრამ თქვენ თითონ იმის-
გან სუყველაფერს უფრო დაწვრილებით შეიტყობთ. მე ნამდვილად
ვიცი მხოლოდ, რომ ის ძალიან მდიდარი ოჯახისშვილია, დედა ალა-
რა ჰყავს, და ის კისრულობს რვა თვეზე ადრე თავის მამა სხვაგან
გაისტუმროს.

ჰარპაგონი. ეგეც საკმაოა. გაპიერებულს რითაც კი შეგვიძლიან,
უნდა შევეწიოთ.

სიმონ. ეგ ქეწმარტია.

ლაფლევი. (იციობს სიმონს; ჩუმად კლენტს) ამას რას ვხედავ! ჩენი
შუამავალი მამათქვენს ელაპარაკება.

კლენტი. (ჩუმად ლაფლევის) იქნება; შე მუხანათო, შეატყობინე
ვინცა ვარ?

სიმონ. (კლენტს და ლაფლევის). ოჰ, თქვენც აქა ყოფილხართ? გზა
ვინ მოგასწავლათ? (ჰარპაგონს) გარწმუნებთ, რომ ამათვინ არც
თქვენი სახელი გამიხსენებია და არც სახლი მისწავლებია, მაგრამ მე
მგონია, აქ ცუდი არაფერია. ესენი პირდაცულნი არიან და შეგიძ-
ლიათ აქვე ერთად მოილაპარაკოთ საქმეზე.

ჰარპაგონი. რაო?

სიმონ. (აჩვენებს კლენტს) ეს ყმაწვილი გახლავს ის პირი, რო-
მელსაც უნდა თქვენგან. ხუთასი თუმანი ისესხოს და რომელზედაც
ეს არის, ახლა მე თქვენ გელაპარაკებოდით.

ჰარპაგონი. აი, შე ჩამოსახრობო, შენ ჩადიხარ ამ სამარცხვინო
საქმეებს?

კლენტი. მერე მამაჩემო, თქვენ იქცევით ეგრე უსინდისოთ?!
(სიმონი გავა და ლაფლევი იმალება).

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ჰარპაგონი და კლეანტი

ჰარპაგონი. მაშ შენ იღებ ოჯახის ამისთანა დამლუპავ ვალებს? კლეანტი. მაშ თქვენ ამისთანა უსჯულო -სარგებლებით მდიდრდებით?

ჰარპაგონი. რალა სინილისით მიყურებ პირში?

კლეანტი. რალა პირით ეჩვენები ხალხს?

ჰარპაგონი. ეგრე როგორ დაჰკარგე ნამუსი, რომ აღარა გრცხვენია შენი გარყვნილი ცხოვრებისა? დასდგომიხარ ვაებითა და ოფლით შეძენილ ცხოვრებას და ერთბაშად ჰლუპავ!!

კლეანტი. როგორ არა გტანჯავთ სინილისი, რომ თქვენი საძაგელი საქმეებით ეგრე არცხვენთ თქვენ თავსა; აღარ გახსოვთ აღარც სახელი, აღარც პატივი, აღარც სინილისი, ოღონდ კი გააძლოთ თქვენი გაუმადლარი გული და უმატოთ მანეთს მანეთი; მამასისხლი სარგებლის აღებით და ხრიკების მოდებით უნდა ლამის ყველას გადააქარბოთ.

ჰარპაგონი. თვალიდან მომშორდი, ავაზაკო, მომშორდი თვალიდან!

კლეანტი. რომელი უფრო დამნაშავეა თქვენის აზრით: ისა, რომელიც თავის საჭიროებისათვის ფულს სესხულობს, თუ ისა, რომელიც არა საჭიროებს და იპარავს კი?

ჰარპაგონი. დამეკარგე მეთქი, გტუბნები, თვალთ აღარა მეჩვენო. (მარტო) მე მადლობელი ვარ ამ შემთხვევისა; ახლა ჰკუა ვისწავლე; ამას იქით თვალი კარგად უნდა მექიროს მაგის ყოფაქცევაზე.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ჰარპაგონი და ფროსინა

ფროსინა. ბატონო...

ჰარპაგონი. მომითმინე ცოტა ხანს. ახლავ დავბრუნდები შენთან სალაპარაკოდ. (თავისთვის) ერთი ჯერ ჩემ ფულებს დავხედო.

ლაფლეში და ფროსინა

ლაფლეში. (ფროსინას ვერ ხედავს) სასაცილო ამბავია: ალბად ტანსამოსის მალაზია უნდა ჰქონდეს საღმე, თორემ ამ სახლში არა მინახავს რა, რაც იმ სიაში სწერია.

ფროსინა. ოჰ, შენა ხარ, ლაფლეში! აქ რას მოუყვანიხარ?

ლაფლეში. ოჰ, შენა ხარ, ფროსინა! შენ რაღა საქმისათვის მოსულხარ?

ფროსინა. განა არ იცი ჩემი ხელობა? საქმეს გავუჩივებ ვისმე, კაცს სამსახურს გავუწევ და ამრიგად ვცდილობ გამოვიყენო ის მცირედი ნიჭი, რომელიც ჩემთვის ღმერთს მოუცია. ხომ იცი, ამ ქვეყანაში კაცმა ხერხით უნდა იცხოვროს, და ღმერთს ჩემთვის ემბაკობის და მაჰანკლობის მეტი სხვა ხერხი არა მოუნიჭებია—რა.

ლაფლეში. ამ სახლის პატრონთან გაქვს რამ საქმე?

ფროსინა. დიახ! მაგისტრის ერთს საქმეს ვაკეთებ და იმედი მაქვს კარგს გასამრჯელოს მივიღებ.

ლაფლეში. მაგისგან? მაშ შენისთანა დედაკაცი არავინ იქნება, თუ ერთ ცალ ფულს გამოიტან: ვერაფერს დასტყუებ.

ფროსინა. ზოგი სამსახური მაგისთანა კაცზედაც კი გასკრის ხოლმე.

ლაფლეში. ეგ ძალიან კარგი, მაგრამ, ეტყობა, შენ ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობ ჰარპაგონს. ეგ ისეთი ძუნწი და დაშწვარდადაგულია, რომ კაცობაც კი აღარ ეტყობა. რაც უნდა დიდი სამსახური გაუწიო, ხელს ვერ გააშლევინებ. ენით რამდენსაც გინდა გაქებს, პატივსაც გცემს და გიმეგობრებს, მაგრამ ფულს კი ნუ გაუხსენებ. იმის აღერსიც ისეთი უგემური და უუამური, როგორც თითონ. თითონ სიტყვა „მიეცი“ ისე ეზიზღება, რომ თავის ღლეში არ იტყვის: სალაში მომიცია, — სალაში მისესხებიაო.

ფროსინა. შენ ნე ვერ მიცნობ; მე ისეთნაირად მოველაქუცები, რომ ძუნწსაც კი ძუნწობას დავავიწყებინებ: ისეთი თილისმა მაქვს, რომ ერთბაშად გავიგებ კაცის სისუსტეს და გულს ბალდადივით გადავაშლევინებ.

ლაფლეში. ეგ სულ ტყუილი ფიქრია, მაგრამ აი თითონვე აქ მოდის.

ჰარპაგონი და ფროსინა

ჰარპაგონი. (ჩუმად) ყველაფერი: თავის ალაგას არის (ხმამალა) აპ, ფროსინა, შენა ხარ?

ფროსინა. ოპ, ჩემო ბატონო, მიხარია, რომ ეგრე ჯანის სიმრთელით ბრძანდებით და ეგეთი კაი ფერი გადევთ.

ჰარპაგონი. ვითომ?

ფროსინა. მე გერ ეგრე ყოჩაღად და მხიარულად არ მინახებიხართ.

ჰარპაგონი. მართლა!

ფროსინა. ბევრი ოცდახუთი წლის ყმაწვილი კაცი ვიცი, რომელსაც თქვენზე უფრო ბებრული სახე აქვს.

ჰარპაგონი. რას მეუბნები, ადამიანო, მე ხომ სამოცი წლისა მეტიც ვარ.

ფროსინა. სამოცი წლისა! ეგ რა სათქმელია; თქვენ იმისთანა ხანში შედიხართ ახლა, როდესაც კაცი ღვივის, ვარდივით იშლება.

ჰარპაგონი. მართალია; მაგრამ ერთი ოცი წლით რომ ყმაწვილი ვიყო, ცუდი არ იქნებოდა.

ფროსინა. კარგი ერთი ნუ ხუმრობთ. ეგ რა საქიროა თქვენთვის: თქვენ ისეც ასი წლის სიცოცხლე გიწერიათ.

ჰარპაგონი. ვითომ?

ფროსინა. ნამდვილს მოგახსენებთ. ყველაფერზე გეტყობათ, რომ ხანგრძლივ იცოცხლებთ. აი ეს ნიშანი თვალებს შუა, ხანგრძლივი სიცოცხლის ნიშანია.

ჰარპაგონი. განა ეგეებიც იცი?

ფროსინა. ძალიან კარგად. აბა, ხელები გაშალეთ. ღმერთო! რა გრძელი ხაზია!

ჰარპაგონი. როგორ?

ფროსინა. ვერა მხედავთ, სადამდინ მიდის ეს ხაზი?

ჰარპაგონი. ახლა, რას ნიშნავს?

ფროსინა. მე ხომ ასი წელიწადი გითხარით, ასოცსაც იცოცხლებთ.

ჰარპაგონი. არა, გეთაყვა, მართალს ამბობ?

ფროსინა. თუ სხვის ხელით არა დაგიშავდათ-რა, ვინ იცის, რამდენ ხანს იცოცხლებთ: თქვენ შვილებსაც და შვილიშვილებსაც თქვენ დაასაფლავებთ.

ჰარპაგონი. უფრო კარგი. ახლა ჩვენი საქმე როგორ მიდის?

ფროხინა. მაგას რაღა კითხვა უნდა, განა მე გავერევი იმისთანა საქმეში, რომ ბოლო კარგად არ მოვიყვანო? მეტადრე მაქანკლობაში საკვირველი ნიჭი მაქვს. რაც შეეხება დაქორწინების და ვარიგების საქმეს, დარწმუნებული ვარ, რომ, რაც უნდა გაწეწილი საქმე იყოს, ცოტა ხანში უთუოდ დავაბოლოვებ; რომ მოვინდოშო, თითონ მოსისხლე მტრებსაც კი შეეყრი ერთად. ამ საქმეში მე არა გამიჭირდება რა, რადგანაც მისვლა-მოსვლა მაქვს დედასთანაც და ქალთანაც. მე დაწვრილებით მოვილაპარაკე ორთავესთან თქვენზე. დედას კი ვუამბე, თუ რა განგიზრახავთ მარინაზე, როდესაც ის გინახავთ ქუჩაში გავლილი და მერე როცა თვალი მოგიკრავთ ფანჯარაში.

ჰარპაგონი. მერე რა გიპასუხეს?

ფროხინა. ამ ამბავმა ძალიან გაახარა და როდესაც მე ვუთხარი, რომ თქვენა გსურთ იმის ქალი დაესწროს თქვენი ქალის ქორწილს, ის სიამოვნებით დათანხმდა და ყოველისფერი ჩემზე მოაგდო.

ჰარპაგონი. მე დღეს, ჩემო ფროხინავ, ვახშმად დაპატიჟებული მყავს ანსელმი და დიდათ მოხარული ვიქნები, რომ ისიც მეწვიოს.

ფროხინა. ძალიან კარგი იქნება. დღეს სადილს უკან ის თქვენი ქალის სანახავად მოვა, იქიდან წავა თავის საქმეზე და სალამოზე ვახშმად თქვენთან დაბრუნდება.

ჰარპაგონი. მამ კარგი, მე ჩემს ეტლს ვათხოვებ და ჩემი ქალი და ის ერთად წავიდნენ.

ფროხინა. კარგად მოიფიქრეთ!..

ჰარპაგონი. მაგრამ ერთი მითხარი: მოელაპარაკე დედას მზითვეზე, აძლევს რასმე თავის ქალს! ხომ უთხარი, რომ უნდა შეეწვიოს რითიმე, უნდა ყოველი ღონისძიება ისმაროს, რომ ხელიდან არ გაუშვას ამისთანა შემთხვევა? აბა, შენ თითონ მითხარი, სულ ცარიელს ვინ შეირთავს?!

ფროხინა. სულ ცარიელსა! აბა რას მიბრძანებთ! უკანასკნელს ოთხას თუმანს მაინც შეგმატებთ წელიწადში!..

ჰარპაგონი. ოთხას თუმანს!

ფროხინა. დიახ, მომისმინეთ. პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ ის დიდ პირის პატივში არ არის გაზრდილი. სხვა ქალივით ბრ მოგთხოვთ, რომ სადილად უთუოდ რამდენიმე თავი და არჩეული საქმელები უშხადოთ, ძვირფასი სასმელები ასვათ, ის ისეთი ნაზი მკამელია, რომ რძე, ყველი, მწვანელი და ხილი სულ მთლად საკმაოა; ეს უბრალო რამე კი ნუ გგონიათ. ყოველწლივ ასი თუმანი მაინც დარჩება ძირს. ამასთან, ძალიან წყნარი და ჩუმი ცხოვრება უყვარს,

სხვასავით გაგიჟებული არ არის ძვირფასი კაბებისათვის, ძვირფასი თვლებისათვის და მდიდრულად შორთვისათვის, ესეც, რომ ცოტა ვიანგარიშოთ, წელიწადში ას ოცდაათ თუმნამდის შეადგენს... ამას გარდა, იმას საშინლად სქულს ქალაღდის თამაშობა, რომელიც ჩვენ ქალებში ხშირია. მე თვითონ ვიცნობ ერთ ჩვენ უზნელ ქალსა, რომელმაც ამ წელს შვიდას თუმნამდის წააგო. მეოთხედი ვიანგარიშოთ? წელიწადში ას სამოცდაათი თუმანი ქალაღდის თამაშობისა ჩავაგდოთ, ას ოცდაათი — კაბები და შორთულობა; ეს სულ შეადგენს სამას თუმანს; ასი თუმანიც რომ საქმლისა მიუღმატოთ? — აი ოთხასი თუმანი...

ჭარბაგონი. ეგ ყველა კარგი, მაგრამ ნაღდად, რომ არაფერი სჩანს...

ფროსინა. რას მიბრძანებთ, ბატონო! განა ეს ნაღდი მზითვეი არ არის, რომ ცოლად მოგყავთ ამისთანა ოჯახის მომვლელი ქალი, რომელსაც ამისთანავე ქალაღდის თამაშობა ძალიან ეჯავრება?

ჭარბაგონი. ეგ მასხარაობაა: იმას მითვლი მზითვად, რასაც ის შესკამს და არ წააგებს?! მე მინდა, რომ ხელშესახები იყოს რამე.

ფროსინა. ფიქრი ნუ გაქვთ, ხელშესახებიც იქნება. იმათ ერთი დიდი მამული აქვთ და თქვენს მეტი იმის პატრონი ვინ იქნება.

ჭარბაგონი. ვნაბოთ, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს. ხომ იცი, რომ ის ქალი ახალგაზრდაა; ახალგაზრდა ქალი თავის შესაფერ ახალგაზრდა კაცს ეძებს, და ჩემი ხნის კაცი არ ექაშნიკება. მეშინიან, რომ ბოლოს გული არ აიყაროს ჩემზე და უსიამოვნება არ მოხდეს.

ფროსინა. სრულებით არ გიცვნიათ თქვენ ის ქალი; მაგის თქმა მინდოდა კიდევ, რომ იმას ძალიან ეჯავრება ახალგაზრდა კაცები და ბებრები კი გაგიჟებით უყვარს.

ჭარბაგონი. რას მეუბნები?

ფროსინა. ჭეშმარიტს მოგახსენებთ. ნეტავი ყური დაგაგდებინა იმის ლაპარაკისთვის. ასე მოგახსენებთ, ახალგაზრდა კაცი თვალის დასანახავათ ეჯავრება და როდესაც თმა და წვერ გათეთრებულ ბებერსა ჰხედავს, არ იცის სიხარულით რა ქნას: ის ისეთ საქმროს ნდომულობს, რომ სამოცი წლისა მანაც იყო; ერთი თვე არც კია, რაც იმას საქმრო აჩენილი ჰყავდა და ქორწილი იმიტომ, მოიშალა, რომ იმის საქმრო ორმოცდათექვსმეტი წლისა მეტი არ იყო და ხელის მოსაწერად სათვალეები არ იხმარა.

ჭარბაგონი. ნუ მეტყვი!

ფროსინა. თითონ იმან მითხრა, რომ ორმოცდათექვსმეტი წელიწადი მეცოტავებაო და მეტადრე საკვირვლად მოსწონს სათვალეებით შეკაზმული ცხვირი.

ჭარბაგონი. საკვირველია, მე მას თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი და დიდად მოხარული ვარ, რომ ის მაგისტანა ნიმართულებიდან ყოფილა. მართლაც და, მე რომ ქალი ვყოფილიყავი, თავის დღეში ყმაწვილკაცს არ შევიყვარებდი.

ფროსინა. მეც მაგ აზრისა ვარ. ნეტავი ერთი რა მოსწონთ იმ საძაგლებში, რომ ეგრე გიჟდებიან იმათთვის?

ჭარბაგონი. მეც ეგ მიკვირს, არ მესმის, როგორ მისდით იმათზე გული.

ფროსინა. სწორედ სულელები არიან; რა თავში მოსასვლელია ყმაწვილი კაცის შეყვარება. განა ისინი კაცად ჩასაგდებნი არიან? შეიძლება პირუტყვების შეყვარება?

ჭარბაგონი. მაშ მოგწონვარ?

ფროსინა. რას მიბრძანებთ, სწორედ კალმითა ხართ დახატული. ერთი მიბრუნდით ცოტა. ამაზე მშვენიერი ვილა იქნება. ერთი გაისეირნეთ კიდეცა: რა მშვენიერი წერილი ტანისაა, რა მიხერამოსვრა აქვს, ვერაფერ წუნს ვერ დასდებთ.

ჭარბაგონი. მადლობა ღმერთს; ნაკლულევანება არამაქვს-რა. მართო ხანდახან ეს ხველა მაწუხებს.

ფროსინა. ეგ არაფერი: თქვენ ხველაც გიხდებათ.

ჭარბაგონი. ერთი მითხარი, მარინას ჯერ არ უნახივხარ? ქუჩაში ხომ თვალი არსად მოუკრავს ჩემთვის?..

ფროსინა. არა, მაგრამ დიდი ხანი კი გვექონდა თქვენზე ლაპარაკი; მე დაწვრილებით აფუწვრე თქვენი სახე და დავარწმუნე, რომ თქვენზე ღირსეულ ქმარს ის ვერ იშოვის.

ჭარბაგონი. დიდად მადლობელი ვარ კარგად გიქნია.

ფროსინა. ერთი პატარა სათხოვარი მაქვს თქვენთან: სასამართლოში საჩივარი მაქვს და ლამის წავაგო უფულობისა გამო (ჭარბაგონი სახეს შეიკმუნხავს). თქვენ შეგიძლიათ ადვილად დააბოლოოთ ეს საქმე, თუ ჩემთვის სიკეთეს მოინდომებთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იამება მარინას თქვენი ნახვა (ჭარბაგონი მზარულ სახეს შილღს). როგორ მოეწონება თქვენი ძველი ტანისამოსი!

ჭარბაგონი. ალტაცებაში მოგყვარ შენის ლაპარაკით.

ფროსინა. სწორედ მოვასწენოთ, დიდი მწამენლობა აქვს ჩემთვის იმ საჩივარს (ჭარბაგონი კიდევ მოიკმუნხავს სახეს). დავილუპები, თუ ის საქმე წავაგე; პატარა შემწეობა კი რომ საიდანმე მომეცეს, მალე გავასწორებდი საქმეს. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, როგორ მიგდებდა ყურს მარინა თქვენზე, რომ ველაპარაკებოდი (ჭარბაგონი ისევ მზარულ სახეს მიიღებს). სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, როდესაც თქვენ

ხასიათზე ველაპარაკებოდრი, და მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როდესაც ეს ქორწილი მოხდება.

ჭარბაგონი. ეგ დიდად სასიამოვნოა ჩემთვის და გარწმუნებ, რომ დიდად დამავალებ.

ფროსინა. გთხოვთ, ბატონო, პატარა შემწეობა მომცეთ (პარაგონი ისევ სახეს შეიკმუნნავს). თქვენი შემწეობა თეხზე წამომაყენებს, საუკუნოდ დამავალებთ.

ჭარბაგონი. მშვიდობით: წერილები მაქვს დასამთავრებელი.

ფროსინა. გარწმუნებთ, ამაზე მეტად გაკვირვებულს ველარა მნახავთ.

ჭარბაგონი. მე ვუბრძანებ, ეტლი შეგიბან ბაზარში წასასვლელად.

ფროსინა. არ შეგაწუხებდით, რომ ძლიერ საჭირო არ ყოფილიყო.

ჭარბაგონი. მე ვუბრძანებ, რომ ვახშამი ადრე გვაქამონ: მეშინიან, საკმელმა არ გაწყინოთ.

ფროსინა. უარს ნუ მიბრძანებთ, ღვთის გულისათვის, ხელი გამიმართეთ; თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სიამოვნებას...

ჭარბაგონი. უნდა წავიდე, ნახვამდის.

ფროსინა. (მარტო) აი, ქირმა წავილოს, ქოთაკო ძაღლო, ეშმაკის კერძო! რა ეშმაკობა არ ვიხმარე, მაგრამ ამ კრიჟანგს გროში ვერ დავსტყუე; მაგრამ საქმეს მაინც თავი არ უნდა დავანებო, სხვა მხრიდან მოვუვლი, დარწმუნებული ვარ გასამრჯელოს მივიღებ.

მომხმელებს მისამხმ

სურათი პირველი

პარპატონი, კლუანცი, ღლიშა, ჯალუბი, კლუბია, (ხელში ოცხი
შვირავს) აქავი, ლამჯრლიშა, მზინდჯუანი

პარპატონი. აბა, აქეთ მოდით, რომ ყველას შესაფერი ბრძანება
მოგცეთ და ყველას თავისი საქმე დაგირიგოთ. კლოდ, წინ წამო-
დექი, შენიდგან დავიწყებ. ყოჩაღ, ფარხმალიც თანა გქონია. უფრო
დამიგდე, მე შენ გიბძანებ, ყველაფერი კარგად დასწმინდე, მაგრამ
ავეჯი ბევრი არა ხეხო, თორემ გაცვდება და ვაი შენი ბრალი. ამას
გარდა, ვახშმის დროს ბოთლები შენთვის ჩამიბარებია; არა დაი-
კარგოს რა, ან არა გასტეხოთ-რა, თორემ გაჩვენებ შენ სეირს. სულ
შენი კისრიდან ამოვიღებ.

ჟაკი. კარგი მუქარაა!

პარპატონი. (კლოდს) გასწი, წადი.

სურათი მეორე

პარპატონი, კლუანცი, ღლიშა, ჯალუბი, აქავი, ლამჯრლიშა,
მზინდჯუანი

პარპატონი. თქვენ, ბრენდჯუან და ლამერლიშო, თქვენთვის ჩამი-
ბარებია ქიქები და ვახშმის დროს ღვინის დასხმა; მარჯვეთ იმას მი-
ართვით ღვინო, ვისაც სწყუროდეს და ზოგიერთ უგნურ ბიჭებსა-
ვით არ მოიქცეთ, რომელნიც სტუმრებს აღარ მოეშვებიან, გინდა
თუ არა, დალიეო! წყალი ბლომ-ბლომად ზიდეთ და კარგად გახსოვ-
დეთ, ნურავის დააღვეინებთ ღვინოს, სანამ რამდენჯერმე არ მოით-
ხოვოს.

ჟაკი. (თავისთვის) დიახ, უწყლო ღვინო თავში გაუჯდებათ.

ლამერლიშო. ძველი ტანისამოსი გავიხადოთ თუ არა, ბატონო?

პარპატონი. გაიხადეთ და ახალი ჩაიცვით, როდესაც სტუმრები
მოვლენ. მაგრამ გაფრთხილდით, არ გაათუქოთ.

ბრენდვუანი. ბატონო, თქვენ თითონაც კარგად მოგეხსენებათ, ჩემი საცმელის წინ კალთები ნავთითა მაქვს დალაქებული.

ლაშერლიში. მე კიდეც, ბატონო, შარვალი გახვრეტილი მაქვს და რომ მოვბრუნდები ხოლმე...

ჰარპაგონი. ჩუმაღ! კედელთან იყავ ატუზული და ლაპარაკის დროს ზურგი არავის შეაქციო (მიუბრუნდება ბრენდვუანს და აჩვენებს. როგორ უნდა ვგვიროს ქუდი, რომ კალთებზე ლაქები დაფაროს). შენ. კიდეც ასე გეჭიროს ქუდი, როდესაც გვემსახურებოდე.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ჰარპაგონი, კლჟანცი, ჟლიზა, ჯალურბი, აქაო

ჰარპაგონი. შენ, ჩემო ქალო, ნასუფრალზე გეჭიროს თვალი, არა წახდეს-რა. სწორედ საქალო საქმეა. ჰო, მართლა, მოემზადე და კარგად დახვედი ჩემ საცოლოს. დღეს შენთან აპირებს მოსვლას, გესმის, რას გეუბნები?

ელღიზა. მესმის, მამაჩემო.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ჰარპაგონი, კლჟანცი, ჯალურბი, აქაო

ჰარპაგონი. თქვენ, ვაჟბატონო, წინანდელი ცუდლუტობა რომ გაპატიე, ხომ კიდეც არას აპირებ, ხომ არ აპირებ, რომ ცუდად დაუხვდე ჩემ საცოლოს?!

კლჟანცი. მე და იმას ცუდად დაუხვდე?! რატომ?

ჰარპაგონი. ეჰეი! ვიცით, რა შეილიც ბრძანდებით. ახლანდელი ახალგაზდა ყმაწვილები, ვიცით, რა თვალითაც უყურებთ თქვენ დედინაცვლებს; მაგრამ თუ გინდა, რომ თავის დღეში აღარ მოვიგონო შენი უკანასკნელი ცუდლუტობა, გიბრძანებ, კარგად მოექცე შენ დედინაცვალს, და რაც კი შეიძლება, ასიამოვნო.

კლჟანცი. მართალი გითხრა, მამაჩემო, ვერ დავპირდები, რომ ძალიან მიხაროდეს მისი დედინაცვლობა; ტყუილი დაპირება იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში კი მტკიცედ აღვასრულებ თქვენ ბრძანებას — კარგად და მსიარულად დაეუხვდები.

ჰარპაგონი. ფრთხილად იყავი.

კლჟანცი. ისე მოვიქცევი, რომ თქვენ არ დამემდღუროთ.

ჰარპაგონი. კარგს იზამ...

ს უ რ ა ტ ი მ ე ხ უ თ ა

ჭარბაგონი, ვალურა, აჟაო

ჭარბაგონი. ვალერ, ახლა შენც დამეხმარე. ჟაკ, აბა წინ წამოდე, საბოლოოდ შენ დაგარჩინე.

ჟაკი. ვისთან გნებავთ ლაპარაკი, თქვენ მეეტლესთან თუ მზარეულთან? ორივე მე გახლავართ და ამიტომ გთხოვთ, ბატონო, მიბრძანოთ.

ჭარბაგონი. ორივესთან.

ჟაკი. მაინც პირველად რომელს დაუწყებთ ლაპარაკს?

ჭარბაგონი. მზარეულს.

ჟაკი. მაშ ცოტა მომიტომინეთ (იხდის მეეტლის ტანისამოსს და რჩება მზარეულის ტანსაცმელში).

ჭარბაგონი. რა თავს იგდებ!

ჟაკი. ახლა მიბრძანეთ.

ჭარბაგონი. მე მინდა, ჟაკ, ამაღამ კარგი ვახშამი გავმართო.

ჟაკი. (თავისთვის) ჩხირი კედელს.

ჭარბაგონი. ერთი მითხარი, ხომ კარგ ვახშამს გავგიკეთებ?

ჟაკი. კარგი მოგეცეს, თუ ფულსაც კარგს მიბოძებთ.

ჭარბაგონი. რაო?! დაგწყევლოთ ღმერთმა! სულ ფული და ფული! თითქოს სხვა აღარა ითქმებოდეს—რა მაგის მეტი: ფული, ფული და ფული! გაგონილა ფულზე ამდენი ლაპარაკი?

ვალერი. ამაზე ბრიყვი კაცი თავის დღეში არ მინახავს. ერთი მითხარი, რა დიდი საქმეა ბევრი ფულით კარგი ვახშმის გაკეთება? დიდი ქეჟა უნდა მაგას? ხომ ყველა უგუნური შეიძლება? ბიქს მაშინ დაგიძახებ, რომ ცოტა ფულით კარგი ვახშამი გააკეთო.

ჟაკი. კარგი ვახშამი ცოტა ფულით?

ვალერი. ჰო, რას გავგიკვირდა?

ჟაკი. (ვალერს) ჩემის მხრით, ბატონო მოურავო, ძალიან მაღლო-ბელი გახლდებით, თუ მაგისთანა საიდუმლოს გვასწავლი, და, რადგანაც ყველაფერში თქვენ ეჩხირებით, დიდად დამავალებთ, თუ ჩემს თანამდებობასაც თქვენ იკისრებთ...

ჭარბაგონი. ბევრს ნუ ყბედობ! შენ ისა სთქვი, რა მოგვიწოდება?

ჟაკი. აი, ბატონო, თქვენი მოურავი უფრო იაფად გავგიკეთებთ კაი ვახშამს.

ჭარბაგონი. ჩუმაღ! მე შენ გიბრძანებ.

ჟაკი. რამდენი სული იქნებით?

ჰარპაგონი. ჩვენ ვიქნებით რვა ან ათი სული, შენ რვისთვის მოამზადე, რადგანაც სადაც რვა კაცისათვის არის მომზადებული, იქ ათიც კარგად სჭამს.

ვალერი. რა თქმა უნდა.

ჟაკი. მაშ, თქვენ მოგინდებათ ცივი ხორცი, წვნიანი, მოხრაკული...

ჰარპაგონი. რას მიქარავ! მთელი ქალაქი უნდა გააძლო თუ რა ამბავია?!

ჟაკი. შემწვარ...

ჰარპაგონი. (პირზე ხელს აფარებს) აი, შე მუხანათო, მთელ ჩემ ცხოვრებას სულ შენ სჭამ!

ჟაკი. ტკბილ...

ჰარპაგონი. (კიდევ ხელს აფარებს პირზე) კიდევ!

ვალერი. (ჟაკს) რას მიედ-მოედები? აქ ხალხის ამოწყვეტა ხომ არ გინდა? ჩვენ ბატონს იმიტომ ხომ არ დაუპატიჟებია სტუმრები, რომ ჰამით სული ამოართვას? ჯერ წადი, წაიკითხე პატარა და ექიმებს გამოჰკითხე, რა ენება შეუძლია მეტისმეტ ჰამას და მერე ილაქლაქე აქა.

ჰარპაგონი. აი კარგი სიტყვა.

ვალერი. იცოდე, ჟაკ, შენცა და შენისთანა უმსგავსოებმაც, რომ, თუ კაცის მოკვლა გინდა, ბევრი ხორცი უნდა მოუტანო ხოლმე სადილად. სტუმარი მაშინ დაგრჩება კმაყოფილი, როდესაც ყველას ზომიერად მიუტან. ხომ გაგიგონია ანდაზა: „ჰამა სიცოცხლისათვის გვინდა და არა სიცოცხლე ჰამისათვის!“

ჰარპაგონი. ოჰ, რა მშვენიერად არის ნათქვამი! მოდი ერთი გაკოცო მაგ სიტყვისათვის! ეგრე ჰქვიანური ჯერ არა გამიგონია-რა. დიახ, სიცოცხლე ჰამისათვის გვინდა და არა ჰამა სიცოცხლ... არა, არა... როგორა სთქვი, ჩემო ვალერ?

ვალერი. ჰამა სიცოცხლისათვის გვინდა და არა სიცოცხლე ჰამისათვის...

ჰარპაგონი. (ჟაკს) ჰო, გეყურება? (ვალერს) რომელმა მეცნიერმა სთქვა ეგა?

ვალერი. ახლა, ბატონო, სახელი ვერ მომიგონია.

ჰარპაგონი. არ დაგავიწყდეს, ეგ სიტყვები დამიწორე: ჩემს სასტუმრო ოთახის ბუხარზე დავაწერიებ ოქროს ასოებით.

ვალერი. ბატონი ბრძანდებით, უთუოდ. ვახშმისათვისაც, თქვენი ბრძანება-ლა მაკლია, თორემ ყველას ისე გავმართავ, როგორც რიგითი.

მარპაგონი. მაშ შენთვის მომინდვია.

ჟაკი. ძალიან კარგი; მე უფრო მოსვენებით ვიქნები.

მარპაგონი. (ვალერს) იმისთანა საქმელები მოამზადე, რომ ბევრი ვერ იქმებოდეს და ძალიან კი აძლობდეს: ლობიო ზეთით მოხრაყული, კაი კუპატები ღორის ხორციტ გატენილი.

ვალერი. ეგ მე მომანდეთ.

მარპაგონი. ახლა, ჟაკ, ჩემი ეტლი გაწმინდე.

ჟაკი. მომითმინეთ პატარა, ეგ მეეტლეს საქმეა (ჟაკი გადაიღვას მებრტლის ტანსაცმელს.) თქვენ ბრძანებთ, რომ...

მარპაგონი. რომ ჩემი ეტლი გასწმინდო და ცხენები მზადა გყვანდეს ბაზარში წასასვლელად.

ჟაკი. თქვენი ცხენები, ბატონო? რის ცხენები? ფეხები ველარ დაუძრავთ. თქვენ იმათ ისეთ მარხვას ანახვინებთ, რომ, მგონია, ბებია-ჩემსაც არ შეუნახავს.

მარპაგონი. რამ გახადა აგრე, რომ არაფერს აკეთებენ?

ჟაკი. განა ვინც არას აკეთებს, კამა არ უნდა? ნეტავი გეჭმიათ რამე და ჯაფით თუნდა სული ამოგერთმიათ. გული მიკვდება, იმათ საცოდლობას რომ ვუყურებ. ჩემი ცხენები ისე მიყვარს, რომ იმათი ტანჯვა ჩემ ტანჯვად მიმაჩნია. ღმერთი ზომ არის მოწამე — პირიდგან ლუქმას ვიღებ და იმათ ვაძლევე. აბა რა გულის კაცი უნდა იყოს, რომ პირუტყვი არ ებრალეზოდეს!...

მარპაგონი. ბაზრამდის არა უშავთ-რა, დიდი ჯაფა არ დაადგებათ.

ჟაკი. არა, ბატონო, მე იმათი წვალება არ შემიძლიან, შოლტს იმათ ვერ გადავკრავ და უიმისოდ ახლა ისინი ვერ გამორდებიან. არა, ერთი მიბრძანეთ, ეტლს როგორ დასძრავენ, თავის ფეხებიც რომ ვერ დაუძრავთ?

ვალერი. ნუ სწუხართ, ბატონო, მე ჩვენს მეზობელს დაუძრავებ; ცხენებსაც გაუძრავება და ვახშმის გაკეთებასაც გვიშველის...

ჟაკი. აგრე! ისევე სხვის ხელში დაიხოცნენ. — ჩემ ხელში დახოცვას.

ვალერი. კარგს იზამდი, ჟაკ, რომ ჰქუას ძალას არ ატანდე.

ჟაკი. თქვენ უფრო კარგს იზამდით, ბატონო მოურავო, რომ ყველა საქმეში არ ეჩხირებოდეთ.

მარპაგონი. (ჟაკს) ჩუმაღ, ბევრს ნუ ყბელობ...

ჟაკი. მე, ბატონო, პირმოთნეობას ვერ გავუძლებ. განა არ მესმის, რისთვისაც სჩადის ეს ყმაწვილი ამისთანა საქმეებს? იმისთანა არა იქნება-რა, რომ მაგას ხელიდან არ გამოუვიდეს: მზარეულიც ეგ არის, ხაბაზიც, მეჯინიბეც, ლაქიაც და მეცნიერიც. მაგის ბაჭი-ბუქ-

მა ილაჯი წაიღო. ვითომ რაო? ბატონს თავი მოვაწონო და შევავყაროვო. ის კი არ იცის ჩემმა ბატონმა, როგორ შეუკუთხებენ ხოლმე, რაკი თვალიდან მოიშორებენ. ბარემ გული მიღრინავს, მაგრამ რას ვიზამ. ტყუილს, ბატონო, მე შენ არ გეტყვი, დამიჯერე, ღმერთი არ გამიწყრება, ისე მიყვარხარ; რომ ჩემს ცხენებში ვერ გამოძირჩევიხარ...

ჰარპაგონი. არ შეიძლება, ერთი გავიგოთ, როგორ შემომიკურთხებენ ხოლმე?

ჟაკი. მოგახსენებდი, მაგრამ ვაი თუ გამიწყრე.

ჰარპაგონი. ნუ გეშინია, არ გავიწყრები.

ჟაკი. უკაცრავად კი ნუ ვიქნები, ბატონო, და მგონია კი, რომ გეწყინებათ.

ჰარპაგონი. მე, პირიქით, მადლობელიც დაგრჩები, თუ ყველას შემატყობინებ, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ.

ჟაკი. მაშ თუ აგრეა, ყველა სიმართლეს მოგახსენებთ. საითაც კი მიიხედავთ, ყველგან თქვენ დაგცინიან. ისე პირს არავეინ დააღებს, რომ თქვენი სახელი არ ახსენოს და ზედ ათასი რალაც-რალაცეები არ მიაყლოს. ერთს მოუგონია, ვითომ თქვენ ახალი ჟამნი შეგიდგენიათ; ქრისტიანულად ხომ ერთის მეტი დიდმარხვა არ არის, თქვენში ვითომ ოთხი იყოს, აბა რა მოსაგონია? მეორეს მოუგონია, ვითომ თქვენ ბიჭებს განგებ უჯავრდებოდეთ და ეჩხუბებოდეთ ვადის გასვლის დროს, რომ ჯამაგირი თქვენ შეგრჩეთ. მესამე ამბობს, რომ თქვენი მეზობლის კატაზე საჩივარი შეგიტანიათ, ცხერის ღუმის ნაგლეჯი მომპარაო; გინახავთ ამისთანა ლაზლანდარობა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთს მოუგონია, რომ თქვენ თითონ, შეპარულხართ ერთ ღამეს თქვენსავე თავლაში, თქვენვე თქვენისავე ცხენებისათვის ქერის მოპარვა გდომებიათ, მაგრამ მეჯინიბეს მოუსწვრიხართ ბნელში და იმდენი ურტყამს, რომ სულ ზურგიდან ტყავი აუძვრია, მაგრამ სირცხვილით ხმა ვერ ამოგიღიათ. რალა ბევრი გავიგობელთ, ბატონო, ერთი სიტყვით ყველგან თქვენი ლანძღვა ისმის. ყველა თქვენ ყოფილხართ: ძუნწიც, წუწკიც, ქეციანიც, ლაჩარიც და, უკაცრავალი პასუხია...

ჰარპაგონი. (უკაც ცემას დაუწყებს) რას მიჰქარავ, შენ თითონ წუწკო, თავხედო!

ჟაკი. მე ვიცოდი, რომ თქვენ არ დაიჯერებდით, გითხარით, რომ სიმართლის თქმა გაგაბრაზებდათ.

ჰარპაგონი. აწი კეკუს ისწავლი (გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ ვ ს ე

ვალერი, აქაო

ვალერი. გეყო თუ არა! (იღინის) კარგად დაგიჯდა, მგონი, შენი ხიშართლე... რა გინდოდა ჰა? (გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი ლ ე

მარინა, აქაო, ფროსინა

ფროსინა. უაკ, თუ იცი, ბატონი შინა ბრძანდება?

უაკო. ვიცი და აგრე? დიახ, შინ არის.

ფროსინა. მოახსენე ერთი თუ ღმერთი გწამს, რომ ჩვენ აქა ვართ.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

მარინა და ფროსინა

მარინა. ოჰ, ფროსინა, რა უცნაურ მდგომარეობაში ვარ, რა რი-ვად მეშინია იმის ნახვისა.

ფროსინა. რისა გეშინია, ან სამწუხარო რა გაქვს?

მარინა. როგორ თუ რა! ნუთუ ვერ წარმოგიდგენია რა დარდი უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც დღეს-ხვალ სატანჯველს მოელის?!

ფროსინა. განა არ ვიცი, რომ თუ კი ამორჩევაზე მივარდება საქმე, თქვენ ჰარპაგონს არ ამოირჩევთ, ის ქერა კი, რომელზედაც წელან მელაპარაკებოდით, როგორცა ვხედავ, თვალში დაგჯდომია.

მარინა. გამოგიტყდები, ფროსინა, რომ ის მიყვარს — მომწონს და სულ თვალწინ მიდგა, მეტადრე მასუკან, რაც იმან ჩვენ სახლში სიარული დაიწყო.

ფროსინა. გაიცანი კი, რა კაცია?

მარინა. გაცნობით ჯერ არ გამიცენია, მაგრამ შეხედულობა იმის-თანა აქვს, რომ უთუოდ თავს შეგაყვარებს; რასაკვირველია, მე რომ მომანდონ, ყველას მაგას ვამჯობინებდი და, უნდა გითხრა, მაგის ბრალიც არის, რომ ახლანდელი ჩემი საქმრო ვგრე მაშფოთებს.

ფროსინა. საკვირველია, ღმერთს გეფიცები! ქერა ყმაწვილები ასე აყვარებენ თავს, მაგრამ უმეტესი მათგანი საშინელი ლატაკები

არიან. საქმრო ისევ მდიდარი ბებერი გირჩევენია. მართალია, გული სხვას გეუბნება და ბებერი შენი შესაფერი არ არის, მაგრამ მაინც ეგა სჯობს, რადგანაც მალე მოკვდება და შენ სრულებით თავისუფალი დარჩები. მაშინ ვინც გიყვარს, ის ამოირჩიე.

მარინა. უჰ, ფროსინა, მაგას როგორ ამბობ? ჩემ საბედნიეროთ სხვის სიკვდილს უნდა მოველოდე; პირობას ხომ ვერ ჩამოვართმევ, უთუოდ მოკვდი მეთქი?!

ფროსინა. მაშ რა გგონია? უიმისოდ არას გზით არ შეირთო, მინამ პირობა არ მოგცეს, რომ მალე დაგაქვრივებს. აჲ თითონაც მოდის...

მარინა. უჰ, შენი ქირიმე, რასა ჰგავს!

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ა

ჰარპაგონი, ფროსინა, მარინა

ჰარპაგონი. (მარინას) მაპატიე, ჩემო ხელმწიფევე, რომ სათვალეებით გაიხელი თქვენი სიმშვენიერის სამზერად. თქვენ ისეთი მშვენიერებით ბრწყინავთ, რომ სათვალეები საჭირო არ იყო, მაგრამ ყოველ მნათობს სათვალეებითა სინჯვენ ხოლმე და, რადგანაც ჩემთვის თქვენ უმშვენიერესი და უტუტრფესი მნათობი ბრძანდებით ყველა მნათობთა შორის, ამიტომ გავბედე და სათვალეები გავიკეთე. ფროსინა, რატომ ხმას არ იღებ; არც სიყვარული ეტყობა ჩემის დანახვით..

ფროსინა. ჯერ კიდევ უცხოობს... ხომ იცით, ყმაწვილი ქალები მორცხვები არიან და თავის დღეში არ იტყვიან, რაც გულში უდევთ.

ჰარპაგონი. მართალს ამბობ. (მარინას) აი, უმშვენიერესო, ჩემი ქალიც გაიხლებათ...

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ი

ჰარპაგონი, ელიზა, მარინა, ფროსინა

მარინა. უკაცრავად, რომ აქამდის ვერა განახეთ და ვერ გაგიცანით.

ელიზა. რასა ბრძანებთ, ბატონო, სიტყვა დამასწარით, თორემ ბოდიში მე უნდა მომეხადა.

ჰარპაგონი. მოზრდილი ქალი კი მყავს, მაგრამ ცუდი ბალახი ყოველთვის მაღალი იზრდება.

მარინა. (ფროსინას, დაბლა) ოჰ, რა საძაგელი რამ არის!..

ჰარპაგონი. რას ბრძანებს ჩემი მზეთუნახავი?

ფროსინა. სულ თქვენ ქებაშია.

ჰარპაგონი. მაგ ბედნიერების ღირსი არა ვარ, ჩემო მშვენიერო!

მარინა. (ცალკე) ღმერთო, რა მხეცია!

ჰარპაგონი. მეტისმეტად მავალვით მაგ გრძნობის გამოცხადებით.

მარინა. (ცალკე) მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ი რ თ მ ე ტ ი

ჰარპაგონი, ჟლიზა, მარინა, ფროსინა, კლუანცი, ჯალურა,
ზრუნდაჟუანი

ჰარპაგონი. აი, ჩემი შეილიც გიახლათ თქვენ სანახავად.

მარინა. (ფროსინას, დაბლა) ფროსინა, ჰხედავ? ეს სწორედ ის არის, ვისზედაც მე გელაპარაკებოდი.

ფროსინა. ეს კაი ამბავია!

ჰარპაგონი. როგორცა სჩანს, გიკვირთ, რომ ამისთანა დიდრონი შეილები მყავს, მაგრამ მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე ეგენი თავიდან მოვიშორო.

კლუანტი. (მარინას) სწორედ მოგახსენოთ, მე არ მოველოდი ამისთანა შემთხვევას და დიდად გამაკვირვა მამაჩემმა, თავის გულის წაღილი რომ გამომიციხადა.

მარინა. მეც ეგვე უნდა მოგახსენოთ. ჩვენ აქ ერთმანეთთან შეხვედრას არც მე მოველოდი და დიდადაც გამაკვირვა.

კლუანტი. მართალაა, მარინა, თქვენზე კარგს მამაჩემი ვერავის ამოირჩევდა, და დიდად მოხარული ვარ თქვენი აქ ნახვისა, მაგრამ ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი დედინაცვლობა არაფრად მიაშება. ღმერთმა თქვენც დაგიფაროთ მაგისტანა ხვედრისაგან. იქნება გარეშე კაცს არ მოეწონოს ჩემი სჯა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ კი დამეთანხმებით, რომ საზიზღარი ცოლქმრობა გძულთ. თქვენ კარგად იცით, როგორ შემიხება მე ეგ საქმე და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ასე ცხარეთ ვეკიდები. გამოგიტყდებით და გეტყვით, თუ მამიჩემის ნებაც იქნება, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმარდი თქვენი ჯვარისწერის დასარღვევათ, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული.

ჰარპაგონი. გინახავთ კიდევ ამისთანა ურცხვი? ერთი მითხარი, ვინ გეუბნება აღსარება მითხარო?

მარინა. ჩემის მხრით მეც იმასვე მოგახსენებთ, რაც თქვენ მიბრძანეთ: თუ თქვენ ჩემი დედინაცვლობა მიგაჩნიათ სამწუხაროდ, მე კიდეც უარესად—თქვენი გერობა. ნუ გეგონებათ, რომ შე ვარ მიზეზი თქვენი მწუხარებისა; მე პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თავის დღეში არ დავთანხმდები იმისთანა ჯვარისწერაზე, რომელიც თქვენ შეგაწუხებთ, თუ ვინმემ ძალა არ დამატანა.

მარპაგონი. სწორედ აგრე უნდა. სულელურ სიტყვას პასუხიც შესაფერი ეკუთვნის. ბოდიშს ვიხდი, ჩემო მშვენიერო, ჩემი შვილის სიბრძოვისათვის, ჯერ კიდეც ჭკუა აკლია და არ ესმის რასა ჰბოლავს.

მარინა. მერწმუნეთ, რომ მაგის სიტყვებმა სრულებით არ მაწყენინა. მე უფრო მადლობელი ვარ, რომ აგრე გადამიშალა თავის გული.

მარპაგონი. ეგ ხომ მეტიმეტი წყალობაა თქვენგან მაგდენი შეცოდების მიტევება; მაგრამ არა უშავს—რა, თანდათან ჭკუას ისწავლის და გამოიცვლის აზრს.

კლენტი. შემცდარი ბრძანდებით, მამაჩემო, მე რაცა ვსთქვი, თავის დღეში არ გადავთქვამ...

მარპაგონი. ვერ უყურებთ. ამ საძაგელს? ახლა უფრო თავს გავიდა.

კლენტი. მაშ რა ვქნა? ჩემ გულს მე თითონ ვუღალატო?

მარპაგონი. დიდება ზენთვის ღმერთო! აღარ დაგვეხსნები?

კლენტი. წარმოიდგინეთ, მშვენიერო მარინა, რომ მე მამიჩემის მაგივრად ვლგევარ თქვენ წინ. თქვენ ხართ ლმშვენიერესი ქმნილება მთელ ქვეყანაზე; დედამიწის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა—რა უკეთესი და იმაზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იქნება, ვისაც შენ მოიწონებ. არა ხელმწიფის ბედს არ დავხარბდებოდი, თუნდ მთელი ხმელეთის მბრძანებელიც ყოფილიყო, ოღონდ შენთან გვირგვინს ველირსებოდე, ოჰ, მარინა, მე მეტი არა მინდა—რა, ველარაფერი დამიღება წინ. არაფერს არ შეეუშინდები და ყველას ავიტან შენი ერთი სიტყვისათვის, ოღონდ კი შენ მითხარ: „ჩემი ხარ!“ ოჰ, ოღონდ კი...

მარპაგონი. დაწყნარდი, დაწყნარდი!

კლენტი. ბატონო, მე თქვენ მაგივრად ვლაპარაკობ.

მარპაგონი. ახა, ღმერთო! მე ენა დამება, თუ რა ამბავია? რასაც მოვინდომებ, მე თვითონაც კარგად ვიტყვი, შუამავალი რალა საჭიროა?! შენ აქ სკამები მოართვი, ის ემჯობინება.

მარინა. არა ბატონო, სჯობს ჯერ ბაზარში წავიდეთ, უფრო ადრე დავბრუნდებით და უფრო ბევრი დრო დავგვრჩება სამუსაიფოდ. ჰარპაგონი. (ბრუნდაუფანს) ცხენები შეაბმევიანე საჩქაროდ ეტლში.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ჰარპაგონი, ჟლიზა, მარინა, ფრთსანა, პლანცი, ვალერი

ჰარპაგონი. მამატივე, ჩემო მშვენიერო, რომ აქამდე სამხრად არა მოგართვით-რა.

კლიანტი. მე წინათვე მივხვდი, რომ ასე მოხდებოდა და ამიტომ თქვენ მაგივრად მოვატანინე მალაზიიდან რამდენიმე კალათა ფორთოხალი და მურაბები.

ჰარპაგონი. (ვალერს, დაბლა) ვალერ!

ვალერი. (ჰარპაგონს) გაგიყვებულა!

კლიანტი. მამაჩემო, ცოტად ხომ არ გეჩვენა? არა უშავს-რა, მარინა ისეთი კარგი გულისაა, რომ მოგვიტყვევებს.

მარინა. რასა ბრძანებთ, ბატონო, არც ეგ იყო საჭირო.

კლიანტი. რა მაგის პასუხია, და გინახავთ სადმე ამისთანა ბრწყინვალე აღმასი, როგორიც მამაჩემსა აქვს თითზე?

მარინა. მართლაც მშვენიერება რამ არის...

კლიანტი. (მამას ხელიდან წააძრობს ბეჭედს და მარინას აძლევს) არა, თქვენ ახლოს გაშინჯეთ როგორია!..

მარინა. მშვენიერება რამ არის, მშვენიერება, საკვირველად ბრწყინავს.

კლიანტი. (წინ დაუდგება მარინას, რომელიც ჰარპაგონს ბეჭედის შიცმას უპირებს) თქვენ არ მომიკვდეთ, — ახლა თავის შესაფერ თითებს უპირავს. მამაჩემმა პირისანახავად მოგართვათ.

ჰარპაგონი. მე?

კლიანტი. ამ ბეჭედს თქვენ სახსოვრად აძლევთ მარინას, არა მამაჩემო?

ჰარპაგონი. (კლიანტს. დაბლა) როგორ თუ?

კლიანტი. (მარინას) აკი მოგახსენეთ! შეხედეთ, როგორ შეხვეწება, ჩემს მაგივრად მიართვიო!

მარინა. რას ბრძანებთ, ბატონო, მე თვითონ არ ავიღებ.

კლიანტი. (ნებას არ აძლევს დაუბრუნოს) არა, ძალიან ეწყინება.

ჰარპაგონი. (ვალკე) ამისთანა უბედურება გავინილა!

მარინა. ნება მომეცით...

კლევანტი. (უშლის გადაცემას) შეხედეთ, როგორ სწყინს, რომ უარს ამბობთ.

მარინა. ვთხოვთ!..

კლევანტი. ყოვლად შეუძლებელია!

მარპაგონი. (კლევანტს დაბლა) დამაცადე შე მუხანათო!

კლევანტი. მამაჩემო, ხომ ხედავთ, ჩემი ბრალი არ არის; მე რაღა კი შემიძლიან, ვეხვეწები, აილე მეთქი, მაგრამ ვერა გზით ვერ დავაჯერე.

მარპაგონი. (კლევანტს დაბლა) დამაცადე, შე ჩამოსახრჩობო.

კლევანტი. თქვენი ბრალი იქნება, მარინა, მამაჩემი რომ წამეჩხუბოს.

მარპაგონი. დამაცადე, შე არამზადაე.

კლევანტი. ღმერთს გეფიცებით, ავალ გახდება, ნულარ გაჯიუტდებით, აილეთ...

ფროსინა. (მარინას) რა დაგემართათ თქვენც? გამოართვით, რაკი აგრე გეხვეწებიან.

მარინა. (მარპაგონს) რაკი აგრეა, მეც აღარ გაწყენინებთ, დავიტოვებ, სანამ შესაძლებელი იქნება დაგიბრუნოთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ტ ა მ ე ტ ა

მარპაგონი, ელიზა, მარინა, ფროსინა, კლევანტი, ჯალური,
მარენდაჯანი

მარენდაჯანი. ვილაცა კაცი გიახლათ, ბატონო, თქვენი ნახვა უნდა.

მარპაგონი. წადი, უთხარ, რომ არა მცალიან; მეორედ მოვიდეს.

მარენდაჯანი. ფული უნდა მივართვა ბატონსაო.

მარპაგონი. (მარინას) მამატიეთ, ახლავე გიახლებით.

კლევანტი. მანამდე, მამაჩემო, თქვენ მაგივრად მე გაეწიე მასპინძლობას, და მარინას ბალში მივართმევე სამხარსა.

სურათი მეთოთხმეტი

მარინა, ფრანსინა, ჰარპაგონი, ჟლიზა, ვლადიმი ვალერი,
ლამერლუში

ლამერლუში. (შემოვარდება და წააქცევს ჰარპაგონს) ბატონო!

ჰარპაგონი. ვაი, მოვკვდი!

კლენტი. მამა! გეტყინათ რამე?

ჰარპაგონი. ეს მოლაღატე უეჭველად მოყიდულია ჩემი მოვალეე-
ბისაგან, რომ კისერი მომტეხონ!

ვალერი. (ჰარპაგონს) დამშვიდდით!

ლამერლუში. მაპატიეთ, ბატონო, მე კარგს ვშვებოდი მეგონა
რომ მოვრბოდი...

ჰარპაგონი. რა გინდა შენ ჯალათო?

ლამერლუში. ორივე ცხენს ნალები აპყრია...

ჰარპაგონი. სასწრაფოდ მქედელთან წაიყვანონ!..

სურათი მეხუთმეტი

ჰარპაგონი და ვალერი

ჰარპაგონი. ვალერი, თუ გიყვარდე, ყველაფერზე თვალყური გე-
ქიროს, ეგება ცოტა მეტი გადაანარჩუნო სამხარს, რომ ვაჰარს
შკანვე დავუბრუნო.

ვალერი. ბატონი ბრძანდებით.

ჰარპაგონი. ოჰ, შვილო, ჩემი დალუპვა გაგიზრახავს.

მოკმელებს მიმართ

საზრათი პირველი

კლუანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა

კლუანტი. ასე მობრძანდით, ეს ისეთი ადგილია, სადაც თამამად შეგვიძლიან, რაზედაც გვინდა, იმაზე მოვილაპარაკოთ.

ფროსინა. ორნივე ძალიან ურიგოდ მოვიქცით. თქვენი განზრახვა რომ ცოტა ადრე გამგებიყო, საქმესაც კარგად წავიყვანდი და ამ გაჭივრებულ მდგომარეობიდანაც დაგიხსნიდით.

კლუანტი. რა გაეწყობა, ჩემს ჰედს უნდა დავემდურო. მშვენიერო მარინა! შეიძლება შენი სურვილი შევიტყო?

მარინა. ჩემი სურვილი ეს არის, რომ დედაჩემთან მოილაპარაკოთ. მე იმისი დიდი ხათრი მაქვს; პატარაობიდანვე ფუფუნებაში გავუზღივარ და სწორედ გითხრა, არ მინდა, რომ იმას მწუხარება მივაყენო.

კლუანტი. შენ, ჩემო ფროსინა, ამ საქმეში ხელს არ მოგვიმართავ?

ფროსინა. ეგ რაღა საკითხავია; როგორ არ მოგიმართავთ! ხომ იცით, როგორი შემბრალებელი ვარ კაცისა. იცით ხომ, რომ ღმერთს ჩემთვის ქვის გული არ მოუცია?

კლუანტი. აბა, გეთაყვა, მოაგვარე რამე.

ფროსინა. ეგ საქმე მე ძლიერ მეძნელება. (მარინას მიუბრუნდება). დედაშენთან საქმის გარიგება ადვილია; ის კეთილი და გონიერი დედაკაცია; იმედია, იმას მალე დავიყოლიებთ, რომ შენ, მამის მაგიერად, შეიღს მიგათხოვოს, (კლუანტს მიუბრუნდება), მაგრამ ვაი, რომ მამაშენი სხვა მამებს არა ჰგავს!

კლუანტი. ეგ მე ვიცი.

ფროსინა. (მარინას) ეგება როგორმე მოვახერხოთ და თითონ იმას თქვენზე უარი ვათქმევინოთ.

კლუანტი. ძალიან კარგი იქნება.

ფროსინა. დიახ, კარგი იქნება, მაგრამ ამის მოხერხება, მე კი არა, ეშმაკსაც არ შეუძლია. ეს რა კაი ფიჭრი მომივიდა. იცით რა?

მოდო მოენახოთ სადმე ერთი ხანში შესული ქალი, აი ჩემსავეთ მოხერხებული და ხმა დავეაროთ, რომ ვითომც ის ახლად მოსულა უცხო ქვეყნიდან და უთვალავი ქონება აქვს; ვითომც მამათქვენი იმას გაგიყებით უყვარს და ძლიერ მოწადინებულცი იყოს, რომ ის შეერთოს და თავის ქონებასაც სრულებით დაუმტკიცებს. არა მგონია ამისთანა ამბაეს ყური არ ათხოვოს. მართალია, თქვენ იმას ძლიერ უყვარხართ, მაგრამ ცოტა თქვენზე მეტად იმას ფულები უყვარს. როდესაც იმას დავაჯერებთ, შეიძლება თქვენ ქორწინებაზედაც დავათანხმოთ. ბოლოს ოინებასაც, მართალია, გაიგებს, მაგრამ ბევრიც იხტუნოს, რალას დაგვაკლებს...

კლემანტი. უკეთესი მოხერხება არ უნდა, რომ ეს არის!

ფროზინა. მე ეგ მიკისრია. მე ვიცი და ამ საქმემ! ჩვენ რომ ქალი გვინდა, ისეთი ქალიც მზადა მყავს.

კლემანტი. ფროსინა! თუ ამ საქმეს კარგად დააბოლოვებ, იცოდე, შენს სიკეთეს გადავიხდი. საყვარელო მარინა, შენ უნდა დედაშენს შეუჩნდე; ვიცი ის უარს არაფერზე გეტყვის, თუ შემწეთ გეყოლება ეგ შენი სილამაზე, სიტურფე, ტკბილად მოუბარი ენა, და განსაკუთრებით შენი ალერსი. ეგ ალერსი, მაგ ეშხიან, მოცინარ თვალბზე და ნაზ ტუჩებზე ისე მშვენიერად იხატება (ხელზე ჰკოცნის).

მარინა. რითაც კი შევიძლებ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ი

პარპაგონი, კლემანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა

პარპაგონი. (მოშორებით სდვას, იმის იქ ყოფნას ვერ შენიშვნენ) ამას რას ეხებდეთ? ჩემი შვილი ხელზე ჰკოცნის თავის დედინაცვალს; ისიც უარს არ ეუბნება. აქ რალაც ამბავია.

ელიზა. აი მამაჩემიც.

პარპაგონი. ეტლი მზად გახლავთ; როცა გნებაგდეთ, მაშინ წაბრძანდით.

კლემანტი. მამაჩემო, რადგანაც ამათ თქვენ არ მიჰყვებით, მე მაინც ვავაჰყვები..

პარპაგონი. არა, არა! ეგენი მარტო წავლენ, შენ აქ დარჩი, მე შენთან საქმე მაქვს.

პარპაგონი. დედინაცვლობით კი ნუ მოერიდები და სწორედ მითხარ; შენ რას ფიქრობ მაგ ქალზე?

კლუანტი. რასა ვფიქრობ?

პარპაგონი. ჰო, იმის შეხედულებაზე, ტანადობაზე, სიმშვენიერეზე, ქკუაზე...

კლუანტი. არა, რა ვიცი, რას ვფიქრობ.

პარპაგონი. მაინც?

კლუანტი. გამოგოტყდები, მამაჩემო; მე როგორიც მეგონა, ისეთი არ არის. რაღაც მეტისმეტი პრანკია სჩანს, ტანიც უშნო აქვს, სილამაზითაც მაგდენი არაფერია, და არც დიდი კკუის პატრონი გახლავს.

პარპაგონი. წედან შენ იმას ელაპარაკებოდი...

კლუანტი. დიახ, თქვენ მაგიერ ორიოდე ტკბილი სიტყვა ვუთხარ...

პარპაგონი. ერთი ეს მითხარ, შენ იმაზე თვალი ხომ არ გიქირავს?

კლუანტი. მე? ეგ რა სათქმელია?

პარპაგონი. გამიგონე. როცა მე ის ქალი კარგად გავსდნჯე, მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდი, თვალწინ ჩემი წლოვანება წარმომიდგა; მერე ამ აზრმა გამიელვა თავში: ვინ რას იტყვის, რომ ამ ხნის კაცმა ამისთანა ახალგაზრდაზე ჯვარი დავიწერო. ამის გამო მინდოდა იმ ქალზე ხელი ამეღო და შენთვის დამეთმო, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ შენ ის არ მოგწონს.

კლუანტი. ჩემთვის უნდა დაგეთმოთ?

პარპაგონი. ჰო!

კლუანტი. საცოლეთ?!

პარპაგონი. ჰო!

კლუანტი. მაშ ყური დამიგდე. მართალია, მე ის ქალი არ მომწონს, მაგრამ თუ თქვენთვის სასიამოვნო იქნება, გავბედავ ჯვარის დაწერას.

პარპაგონი. არა, შეილო, მეც გამეგება რამე. ისე შეუგნებელიც არა ვარ, როგორც შენა გგონია, მე სიყვარულის დაძალება არ მიყვარს.

კლევანტი. მამაჩემო! ლმერთს გეფიცები, თქვენი გულისათვის ძალად შევიყვარებ.

მარპაგონი. არა შეილო, არა. ცოლ-ქმარს თუ ერთმანეთი არ უყვართ, ბედნიერი არ იქნებიან.

კლევანტი. მამაჩემო! სიყვარული ისეთი რამ არის, რომ ჩვენდა უნებურად დაინერგება! ნათქვამია, სიყვარული ქორწინების ნაყოფიაო.

მარპაგონი. არა! სწორე გითხრა, კაცი წინდაუხედაობით ბევრს წააგებს. შენ ადგილას მე ამას არ ვიზამდი. შენ რომ ის ქალი გყვარებოდა, მე იმას თავს დავანებებდი და ჩემ მაგიერ შენ იმაზე ჯვარს გადაგწერდი, მაგრამ, რადგანაც შენ ის არ მოგწონს, რალა გაეწყობა, ისევე მე უნდა შევიერთო.

კლევანტი. მაშ კარგი! რახან აგრეა, მე ახლავე გადაგიშლი ჩემს გულს: გეტყვი ჩემს საიდუმლოს. მართალი თუ გინდა, ეს არის: მე ის ქალი მას აქეთ მიყვარს, რაც ის ერთხელ სეირნობის დროს ენახე. ახლა უნდა მეთხოვა, რომ იმაზე ჯვარის დაწერის ნება მოგეცათ; მაგრამ ვერ გავბედე; ვიცოდი, რომ იმ ქალზე თქვენც თვალი გექირათ და არ მინდოდა გამეჯავრებინეთ.

მარპაგონი. დადიოდი იმასთან თუ არა?

კლევანტი. დაედიოდი.

მარპაგონი. ხშირად.

კლევანტი. დიახ, ხშირად.

მარპაგონი, კარგად გეპყრობოდენ?

კლევანტი. ძალიან კარგად, თუმცა ჩემი ვინაობა კი არ იცოდენ.

მარპაგონი. გამოუცხადე იმას შენი სიყვარული? აცნობე, რომ შენ გინდა იმაზე ჯვარი დაიწერო?

კლევანტი. უეჭველია, რომ ეგრე იქნებოდა! ჩემი განზრახვა იმის დედასაც შევატყობინეთ.

მარპაგონი. მერე უარი გითხრა?

კლევანტი. არა.

მარპაგონი. ქალსაც უყვარხარ?

კლევანტი. ჰო, როგორც ვატყობ, ის კარგის თვალთ უნდა მიუყურებდეს.

მარპაგონი. (ხმადაბლა, პირის მორიდებით) კარგი ამბები შევიტყე: მეც ეს მინდოდა. (ხმამალლა) ვაებატონო! იცი, რა გითხრა! მე შენ გიბრძანებ, იმ ქალის სიყვარული გულიდან ამოიჩეცხო! არ იცი, რომ შენ იმაზე უნდა დაიწერო ჯვარი, ვიზედაც მე მივითითებ?

კლევანტი. განა ეგრე მასხარადაც უნდა ამიგდოთ? მაშ. კარგი! რახან ეგრეა, მე პირდაპირ გამოგიცხადებ, რომ მე მარინაზე ხელს არ ავიღებ! რაც უნდა საშინელი მდგომარეობა მომელოდეს. იცოდე, ყოველი განსაცდელისათვის მზადა ვარ და თუნდაც რომ იმისი დედა დაიყოლიო, იცოდე მაინც ვერას გაიტან.

ჰარპაგონი. აი, შე ლაწირაკო, შენა! შენ მიბედავ ჯიბრში ჩადგომას?

კლევანტი. მე კი არა, შენ მიდგებარ ჯიბრში. შენზე პირველად მე არ განუცხადე მას სიყვარული?

ჰარპაგონი. მე მამა არა ვარ? შენ მე არ უნდა მემორჩილებოდე?

კლევანტი. ველარ გაიგე, რომ მაგისთანა საქმეში შევიღები მამას აღარ ემორჩილებიან? სიყვარული არავის ემორჩილება.

ჰარპაგონი. როცა კარგად მოგარტყამ, მაშინ დაგიმორჩილებ მე შენ!

კლევანტი. შენ მაგითი ვერ შემაშინებ!

ჰარპაგონი. თუ კაცი ვარ, მარინაზე ხელს აგაღებინებ.

კლევანტი. როგორ შეგიძლიან.

ჰარპაგონი. რაო? ჩქარა. ჩქარა, ჯოხი მომაწოდეთ.

ს ო რ ა თ ი მ ი ო თ ხ ა

ჰარპაგონი. ულუანდი, აჟაი

ჟაკი. ჰეი, ჰეი! ეს რა ამბავია? როგორ გეკადრებათ, ბატონო!

კლევანტი. მე შენი ჯოხისა არ მეშინიან!

ჟაკი. (კლევანტს) ხმა დაიდაბლე, ყმაწვილო, მორიდება გმართებს!..

ჰარპაგონი. შე უსინიდისო, შენა! როგორ ჰბედავ ეგრე უზრდელად ჩემთან ლაპარაკს!

ჟაკი. აპატივე, ბატონო, აპატივე!

კლევანტი. მე ჩემს სიტყვას არ გადავთქვამ.

ჟაკი. (კლევანტს) როგორ ჰბედავ მაგას მამათქვენთან?

ჰარპაგონი. გამიშვით!

ჟაკი. რას ნებულობთ, ბატონო, რასა! შევიღზე იწევთ საცემად? მე რომ მცემოთ, კიდევ ჰო, ჰო...

ჰარპაგონი. ჟაკ, მოდი, შენ გაარჩიე ჩვენი საქმე; მაგრამ ჯერ კი ჩემი გაიგონე...

ჟაკო. ბატონი ბრძანდებით! (კლვანტს მიუბრუნდება) ყმაწვილო, არ შეიძლება ცოტა უკან დადგეთ?

ჰარპაგონი. ჟაკ! მე მიყვარს ერთი ქალი; მალე იმაზე ჯვარის დაწერას ვაპირებ. ის ქალი ამ წუწკსაც შეჰყვარებია. ამასაც უნდა იმაზე ჯვარი დაიწეროს; თავს არ ანებებს, მეურჩება.

ჟაკი. ეგ მტყუანია ამ საქმეში.

ჰარპაგონი. კაცო, გაგონილა, რომ შეილი მამას ეჯიბრებოდეს? ნუთუ შეილს დედმამის იმოღენა მორჩილება არ უნდა ჰქონდეს, რომ მამის სიყვარულს არა ჰკადროს-რა?

ჟაკი. მართალსა ბრძანებთ. თქვენ აქ მომითმინეთ — მე მივალ იმასთან, მოველაპარაკები.

კლვანტი. (მიეგვება ჟაკს, რომლიც იმას უახლოვდება) ჟაკ, მეც შენ ამომირჩევინხარ; შენ იცი, როგორ პირუთვნულად გაარჩევ ჩვენ საქმეს. ჟაკ, მე მიყვარს ერთი ქალი; იმასაც მე ვუყვარვარ; მამაჩემიც ეარ-შიყება, შენ რას იტყვი ამაზე?

ჟაკი. მტყუანია მამათქვენი.

კლვანტი. სირცხვილი არ არის მაგ ხნის კაცი ცოლის შერთვაზე ჰფიქრობდეს, ან შეჰფერის მაგას არშიყობა? ეგ საქმე მაგან ყმაწვილ-კაცებს არ უნდა დაუთმოს?

ჟაკი. მართალსა ბრძანებთ; ალბათ ხუმრობს მამათქვენი. ერთი წავიდე, იმას დავეკითხო. (ჰარპაგონს) ეჰ, საკვირველი კაცი ბრძანდებით, ღმერთმანი. მე თქვენ შეილში გასაკიცხავს ვერასა ვხედავ. ის ამბობს მხოლოდ, რასაკვირველია, შეილი მამას უნდა ემორჩილებოდესო, მაგრამ მამასაც მართვბსო, რომ შეილს კარგად მოეპყრასო. ოღონდ შესაფერი საცოლე ამოურჩიეთ, ის მეტს არაფერსა გთხოვთ.

ჰარპაგონი. წადი და უთხარი, რომ თუ ეგრე ჰკვიანად დაიქერს თავსა, ჩემგან ბევრს წყალობას მოელოდეს. ოღონდ მარინას თავი დაანებოს და სხვა ვინც უნდა ამოირჩიოს.

ჟაკი. ეგ მე მომანდეთ. (კლვანტს მიუბრუნდება) მამათქვენი ისეთი შეუგნებელი კაცი არა სჩანს, როგორც თქვენა გგონიათ. მართალია, ის თქვენ ყოფაქცევას გაუცოფებია, თქვენი საქციელი არ მოსწონებია, მაგრამ ახლა მოლბა და ყველაფერზე გეთანხმებათ, მხოლოდ თქვენ კი იმასთან თავი ისე დაიპირეთ, როგორც მას ეკადრება! მორჩილად, თავმდაბლად და ზრდილობიანად.

კლვანტი. ჟაკ! შეგძლია დაარწმუნო მამაჩემი, რომ თუ ის მე მარინას დამითმობს, მთელ ჩემ სიცოცხლეში იმის ყურმოპკრილ ყმად გავხდები და ჩემისთანა მორჩილებას იმას მთელ ჰვეყანაზე ვერავინ ვერ გაუწევს.

ჟაკი. (პარპაგონს) რაც გინდოდათ, შეეასრულე. .ის ყველაფერზე თანახმა გაგიხდათ.

ჰარპაგონი. ეგ კარგად მოახერხე!

ჟაკი. (კლუანტს) დიახ, გავათავე ყველაფერი; მამათქვენი ყაბულს არის!

კლუანტი. მაღლობა ღმერთსა!

ჟაკი. ბატონებო! ახლა თქვენ მოილაპარაკეთ ერთმანეთში: ხომ შეგარიგეთ. მე რომ არ დაგსწრებოდით, კაი კინკლაობა მოგივიდოდათ.

კლუანტი. ჟაკ! შენგან მე დიდად დავალებული ვარ.

ჟაკი. დავალებად არა ღირს, ბატონო!

ჰარპაგონი. ჟაკ! შენ მე დღეს დიდად მასიამოვნე; საჩუქრის ღირსი ხარ და (პარპაგონი ჯიბეში ხელს ჩაიყოფს. ჟაკიც ხელს გაუწვდის, მაგრამ პარპაგონი მხოლოდ ხელსახოცს ამოიღებს ჯიბიდან და ეტყვის): არც დავეიფოყებ.

ჟაკი. ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს, ბატონო!

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ი

ჰარპაგონი და პლუანტი

კლუანტი. მამაჩემო! გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი გულუფიცხობა.

ჰარპაგონი. მიპატიებია.

კლუანტი. გარწმუნებთ, რომ მას აქეთ დიდ სინანულში ვარ.

ჰარპაგონი. მე კი სიხარულით ცას ვეწევი, რომ შენ ჭკუაზე მოსულსა გხედავ.

კლუანტი. რა სულგრძელი ბრძანდებით, რომ ეგრე მალე ივიწყებთ ჩემს ურჩობას!

ჰარპაგონი. თუ კი შეინანებს, ყმაწვილკაცს შეცდომა ყოველთვის მიეტევენა.

კლუანტი. პატიოსან სიტყვას გაძღევ, მამაჩემო, რომ თქვენი გულკეთილობა სიკვდილამდე მეხსომება.

ჰარპაგონი. მე კი იმას გეტყვი, შვილო, რომ, რაც უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებ.

კლუანტი. რახან მარინას თავს არ მაშორებ, სხვა აბა რაზე უნდა შეგაწუხო?

ჰარპაგონი. რაო?!

სურათი მემძვსე

კლუანტი და ლაფლეში

(ლაფლეში ბალიდან გამოდის, ხელში ყუთი უჭირავს).

ლაფლეში. ოჰ, ბატონიშვილო, რა კარგ დროს გნახე! ჩქარა უკან გამომყევი.

კლუანტი. რა ამბავია?

ლაფლეში. უკან გამომყევი მეთქი; ჩვენი საქმე კარგად მიდის...

კლუანტი. როგორ.

ლაფლეში. აი, ამაშია შენი ბედი.

კლუანტი. რას ამბობ?

ლაფლეში. რომ იცოდე, მთელი დღე სულ ამას ვეთვალთვალე.

კლუანტი. ეგ რა არის?

ლაფლეში. მამიშენის დოვლათი ხელთ ჩავიგდე.

კლუანტი. როგორ მოახერხე, შე ეშმაკო!

ლაფლეში. ამას მერე გაიგებ; თავს ვუშველოთ. გესმის, მამაშენი როგორ საცოდავად ღრიალღებ?

სურათი მემშვიღე

მარპაგონი. (ბალიდან შემოდის ყვირილით) არიქა, ქურდი! ქურდი დაიქით, დაიქით, ეგ ავაზაკი, კაცის მკვლეელი! ოჰ, შე სამართლიანო, დალოცვილო ღმერთო! ეს რა ამბავია ჩემს თავზე? დავიღუპე! გამძარცვეს, ყელი გამომჭრეს! ვინ იქნებოდა? როგორ მოვნახო? საით წავიდე, საით არა? აქ ხომ არ იქნება: ვინ იცის, იქნება აქვეა! დადექ, დადექ! (წაივლებს ხელს მკლავზე ფულები, ჩემი ფულები დამიბრუნე! ფულები დამიბრუნემეთქი ვაიმე! ეს ხომ მე ვარ. კეკა ამერიკია. არ ვიცი, სადა ვარ, ვინა ვარ, რას ვშვრები? ვაი ჩემო, ჩემო საყვარელო ფულებო! ვაი ჩემო, ჩემო ერთგულო მეგობარო! წამართვეს შენი თავი! დამეკარგე! შენ დამეკარგე, მაგრამ შენთან ნუგეში და სიხარულიც დამეკარგა! მართლა, რით ვიცხოვრო? ამის შემდეგ რით ვინუგეშო? მე ამ სოფლად რაღა უნდა გავაკეთო? რაღა მინდა სიცოცხლე! ვკვდები; სამარეშიაც ჩაშვებას მიპირებენ. ვინ გახდება ჩემი ღმერთი! ვინ ჩამიდგამს მეორედ სულსა! ვინ დამიბრუნებს ჩემ ფულსა?! ვაიმე, რას ვბოდავ: ვის ველაპარაკები! რა კარგი დრო ამოურჩევია იმ არა წმინდას, იმას; სწორედ მაშინ დაუკლავარ, როდესაც ჩემს თავზედ შეიღს ველაპარაკებოდი! გა-

ვიდე გარეთ, პოლიციას მაინც ვაცნობო; მთელ ჩემ ოჯახს გაეხვევ ამ საქმეში! გოგოებს, ბიჭებს, ქალს, შვილს და თვით ჩემს თავსაც, ჩვენება უნდა ჩამოვართვა. უპ, ღმერთო! (ააუხა) დიდძალი ხალხი მოგროვილა! ყველაზე ექვი მაქვს! ყველა ჩემი ქურდი მგონია. იქ რაზე ლაპარაკობენ? ალბათ ჩემს ქურდზე! ზევით კიდევ რალაც ხმაურობაა! ალბათ ჩემი ქურდი იქ არის! ოხ, ღმერთო! რა შეგცოდე ამის ფასი! ხალხნო! ნუ იღებთ ჩემ ცოდვას! მითხარით, ვინ გამომპრა ყელი? თქვენში ხომ არ იმალება? ყველა შემომჩერებია! მამასახლისებო! მოსამართლენო! მომეშველეთ, თქვენი ჭირიმე! შინდა ყველანი ჩამოვახრჩო! ყველანი ჩემზე იცინიან, ალბათ ესენიც ჩემი ქურდის ამფსონები არიან! მცველებო! გზირებო! მტანჯველებო! მწვალებლებო! თუ ჩემი ფული ვერ ვიპოვნე, თავსაც ჩამოვიხრჩობ.

მოქმედება მხსოთე

სურათი პირველი

პარპაგონი და პოლიციის მოსულე

მოხელე. დამაცადეთ, ბატონო! ჩემი ხელობა, მადლობა ღმერთს, კარგად ვიცი. ამისთანა საქმეებში მე ხამი როდი ვარ. აი, ნეტავი ოქროებით გატენილი იმდენი ყუთები მომცა, რამდენი ვაჟბატონიც სახრჩობელაზე გამომიკიდიან.

პარპაგონი. ყველა მოსამართლენი მოვალენი არიან გამოიკვლიონ ეს საქმე და, თუ სამართალმა არ დამიბრუნა ჩემი ფულები, — თითონ სამართალს სამართალში მივცემ.

მოხელე. აქ სასტიკი და მოხერხებული გამოძიებაა საქირო. თქვენ ბრძანეთ, რომ ის ყუთი...

პარპაგონი. ორი ათასი ოქროთი იყო გატენილი.

მოხელე. ორი ათასი ოქროთი!

პარპაგონი. დიახ, ორი ათასი ოქროთი.

მოხელე. ეგ ხუმრობა აღარ არის.

პარპაგონი. ხუმრობა რასა ჰქვია? არ არის ქვეყანაზე იმისთანა სასტიკი სასჯელი, რომ ღირსეულად დაისაჯოს ეს ავაზაკობა!..

მოხელე. რაგვარი ფულები იყო იმ ყუთში?

პარპაგონი. სულ ნამდვილი ბაჯალლო ოქროები.

მოხელე. ვის აბრალებთ ამ ქურდობას?

პარპაგონი. მთელ ქვეყანას! მე მსურს დაატუსალოთ მთელი ქალაქის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი.

მოხელე. მე თუ დამიჯერებთ. ჯერ ნურავის დააფრთხობთ, ეცადეთ ჩუმად მიაგნოთ კვალს, რომ მერმე, კანონისამებრ, ბეჯითად მოვკიდოთ საქმეს ხელი და დაგიბრუნოთ ფული.

სურათი მეორე

პარპაგონი, მოხელე, ქაჯი

უაჯი. (სცენის უკან მიბრუნდება, საიდანაც შეზოვიდა და იძახის) მე ახლავე დავბრუნდები: უთხარი, რომ გამოსკრან ყელი, გატუსონ კარგად აღზე, გაათუქონ მერმე მღულარეში და გამოჰკიდონ ქერში.

ჭარბაგონი. (ჟაკს) ვინა? ვინც ფულები მომპარა?

ჟაკი. მე იმ გოკზე მოგახსენებთ, რომელიც ეს არის ახლა თქვენი მოურავისაგან მომივიდა! რას მიბრძანებთ: შეგწვათ თუ მოვხარშოთ?

ჭარბაგონი. რა შეგოკება! (მოხელეს) ურიგო არ იქნება, რომ ამასთან მოილაპარაკოთ.

მოხელე. (ჟაკს) ნუ შეგეშინდებთ! მე არა ვარ იმისთანა კაცი, რომ სირცხვილი გაჟამო: საქმეს ჩემად წავიყვანთ.

ჟაკი. ვახშამზე მიბრძანებთ?

მოხელე. ბატონთან დასამალავი არაფერი გვაქვს—რა, ჩემო ძმობილო...

ჟაკი. მერწმუნეთ, ბატონო, ვეცდები კარგი ვახშამი მოგიმზალოთ.

ჭარბაგონი. მაგას ვინა გკითხავს?

ჟაკი. ვახშამს თუ ვერ გიმზადებთ, ბატონო, როგორც რიგია, თქვენი მოურავის ბრალია; თავისის ყაირათით საქმე გამიჭირა.

ჭარბაგონი. ხმა ჩაიწყვიტე! შენ ვინა გკითხავს ვახშამს ან სადილს? შენ იმ ფულის ამბავი მითხარი, მე რომ მომპარეს.

ჟაკი. თქვენ მოგპარეს ფული?

ჭარბაგონი. ჰო, მე მომპარეს! აბა ნუ დაგიბრუნებია და ჩამოვახრჩობინებ შენ თავს, თუ კაცი ვარ.

მოხელე. ღმერთო ჩემო! ნუ გაუჭირე საქმე ამ კაცს. მე მაგას სახეზე ვატყობ, პატიოსანი კაცია. ძალის დატანება რა საჭიროა — ისედაც მართალს გვეტყვის. (ჟაკს) ჰო, ჩემო ძამია, თუ გამოტყდები, დასჯა კი არა, კარგ საჩუქარსაც მიიღებ შენის ბატონისაგან. შეუძლებელია, რამე არ იცოდეს ამ საქმისა.

ჟაკი. (განზე) ააა! თუ გადახდა მინდა ჩვენის მოურავისა, სწორედ ახლაა დრო. რაც ის შემოვიდა ამ ოჯახში, რჩევის მომცემიც ის გახდა, ბატონიც ის შეიქნა და ჯოხებიც აქამდე გულიდან არ ამომსვლია.

ჭარბაგონი. რას ბუტბუტებ ბიჭო?

მოხელე. (ჭარბაგონს) დააცალეთ, რალაცის თქმას აპირებს: — აკი გითხარით, პატიოსანი კაცია—მეტქი.

ჟაკი. თუ მართალი გინდათ, ქურდი თქვენი ერთგული მოურავი უნდა იყოს.

ჭარბაგონი. ვალერი?

ჟაკი. დიახ!

ჭარბაგონი. რომელიც მე ასე სანდო კაცად მიმაჩნდა?

ჟაკი. დიახ, სწორედ ის!

ჭარბაგონი. მაგას რისთვის ჰფიქრობ?

ჟაკი. რისთვის?

ჰარპაგონი. ჰო!..

ჟაკი. რისთვის?.. რისთვის და... მისთვის.

მოხელე. კარგი, მაგრამ რა საბუთები გაქვს?

ჰარპაგონი. ეგება დაინახე, რომ ის დადიოდა იმ ადგილის ახლო-მახლო, სადაც ფულები მქონდა შენახული?

ჟაკი. დიახ, ქეშმარიტია. სადა გქონდათ თქვენ, ბატონო. ფული?

ჰარპაგონი. ბალში.

ჟაკი. ჰო, სწორედ, სწორედ რომ ბალში ვნახე. რაში იყო, ბატონო, ფულები?

ჰარპაგონი. ყუთში.

ჟაკი. ჰოოო! მე დავუნახე იმას ყუთი.

ჰარპაგონი. ჰო და ის ყუთი როგორი იყო?

ჟაკი. როგორი ყუთი იყო?

ჰარპაგონი. დიახ!

ჟაკი. როგორი და ისე... ყუთისთანა...

მოხელე. ეს გვესმის, მაგრამ, აბა ნიშანი გვითხარი რამე?

ჟაკი. ის გახლდათ დიდი ყუთი.

ჰარპაგონი. მე რომ მომპარეს ის პატარაა.

ჟაკი. ჰო, ისიც პატარაა, მაგრამ დიდი იმიტომა ვსთქვი, რომ შიგ დიდი ფული იყო.

ჰარპაგონი. რა ფერის იყო?

ჟაკი. რა ფერისა?

მოხელე. დიახ!

ჟაკი. ის იყო იმ ფერისა... აი იმ ფერისა... აი იმ ფერისა... (ჰარპაგონს) არ შეგიძლიათ, ბატონო, მომაგონოთ, რა ფერისა იყო?

ჰარპაგონი. ჰერი ჰაა!..

ჟაკი. წითელი იყო განა?

ჰარპაგონი. არა, ნაცრისფერი.

ჟაკი. ჰო, დიახ, ნაცრისფერი... ცოტა მოწითალო, მეც მაგის თქმა მინდოდა, დიახ...

ჰარპაგონი. ექვი არ არის! ის არის ნამდვილად! (მოხელეს) დასწერეთ, ბატონო, დასწერეთ ამის ჩვენება. ჰო, ღმერთო! ვის უნდა მიენდო ამას იქით. მაშ ფიციც არაფერი ყოფილა! მოდი და ნუ იფიქრებ, რომ თითონ შენ გაჰქურდავ შენს თავს.

ჟაკი. (ჰარპაგონს) აი, ბატონო, თითონაც აგერ მოდის; ნუ ეტყვიოთ მაინც, რომ მე გაგიმხილეთ ეს ამბავი.

ჰარპაგონი, მთხულე, აჟაი და ჯალური

ჰარპაგონი. აქ მობრძანდი აღიარე შენი ავაზაკობა, შენი უსინდისო მოქმედება, რომლის შესგავსი არა მომხდარა-რა ქვეყანაზე.

ვალერი. რა გნებათ, ბატონო?

ჰარპაგონი. როგორ არ წითლდები, შენ მოლალატევ, შენის ავაზაკობისათვის?

ვალერი. რა ავაზაკობაზე ბრძანებთ, ბატონო?

ჰარპაგონი. რა ავაზაკობაზე ვბრძანებ, უსინდისო ვითომ არ იცი, რაზედაც ვამბობ! ტყუილად ჰფიქრობ დაჰფარო შენი საქციელი. საქმე ცხადია, ყველაფერი შემატყობინეს. აგრე გადამიხადე ჩემი ამაგი, განა ჩემს გასაოხრებლად შემოხვედი ჩემს ოჯახში?

ვალერი. ბატონო, მაშ რადგანაც შეგატყობინეს, რალად უნდა დაგიმალოთ; სჯობს ისევ გამოვაშკარავო ყველაფერი.

ჟაკი. (განზე) დიდება შენთვის, ღმერთო, ძალიან არ მიმხვდარვარ!

ვალერი. მე თითონ მინდოდა ამაზე მოლაპარაკება, მაგრამ შემთხვევა არ მქონდა. ახლა, რადგანაც საქმე ასეა, გვეედრებით დამშვიდებით მოისმინოთ ჩემი გარემოება.

ჰარპაგონი. აბა, რა სიმართლეს მეტყვი, შე უსინდისო, შე ქურდო, შენა!..

ვალერი. ბატონო, მე ეგ სახელი არ მეკადრება. მართალია, დამნაშავე ვარ თქვენთან, მაგრამ ჩემი შეცოდება მოსატყვებელია.

ჰარპაგონი. როგორ თუ მოსატყვებელია? ამგვარი ღალატობა. ამგვარი კაცის კვლა!

ვალერი. ბატონო! ნუ სწუხდებით აგრე. როდესაც მომისმენთ, თქვენ თითონვე დარწმუნდებით, რომ ჩემი შეცოდება აგრე დიდი არ არის, როგორც თქვენ გგონიათ!

ჰარპაგონი. აგრე დიდი შეცოდება არ არის, როგორც გგონია? რას როშავ? ჩემი სისხლი, ჩემი გულ-ღვიძლი არაფერია, შე ავაზაკო, შენა?..

ვალერი. თქვენი სისხლი არ ჩავარდნილა ცულ ხელში. მე იმისთანა კაცი არა ვარ, დაეუშავო იმას რამე, და თუნდა დამეშავებინოს კიდევ, გასწორება გამიძნელდეს.

ჰარპაგონი. მეც ეგ მინდა, რომ დამიბრუნო, რაც წამართვი.

ვალერი. თქვენი პატიოსნება, ბატონო, სრულიად დაცული იქნება.

ჰარპაგონი. შენ ჩემ პატიოსნებას ვინა გკითხავს. შენ ეს მითხარი, ვინ ჩაგაგონა ამგვარი საქმე?

ვალერი. ნუთუ მაგასაც მკითხავენ!

ჰარპაგონი. დიახ, სწორედ გკითხავენ.

ვალერი. მე ეგ ჩამაგონა სიყვარულმა.

ჰარპაგონი. სიყვარულმა?

ვალერი. დიახ!

ჰარპაგონი. ჩემი ოქროების სიყვარულმა? უცხო სიყვარულია თქვენმა მზემ!...

ვალერი. არა, ბატონო, თქვენს სიმდიდრეს არ გაუტაცნივარ, არ დაეუბრმევებივარ. მე ახლავე უარსა ვყოფ მათ, ოღონდ დამანებეთ ის, რაცა მაქვს.

ჰარპაგონი. მე შენ შავ ქვას დაგანებებ! ნაჭურდლის შერჩენაც უნდა!

ვალერი. განა ეს ქურდობაა?

ჰარპაგონი. ქურდობაო? ამოდენა საუნჯის მოპარვა!

ვალერი. თქმა არ უნდა საუნჯეა, უძვირფასესი ყოველი თქვენი სიმდიდრისა, მაგრამ, რომ დამითმოთ, განა ეგ დაკარგვა იქნება? მუხლმოდრეკილი გვედღრებით, ნუ გამოპართმევთ ხელიდან სანატრელ საუნჯეს...

ჰარპაგონი. რას მიედებ-მოედები?

ვალერი. ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა და ჩვენი გაყრა შეუძლებელია.

ჰარპაგონი. კარგი დაპირებაა!

ვალერი. დიახ, ჩვენი საუკუნოდ შეერთება გადაწყვეტილია.

ჰარპაგონი. უკაცრავად ბრძანდებით: თავის დღეშიაც არა.

ვალერი. სიკვდილის მეტი ჩვენ ვერაფერი გაგვყრის...

ჰარპაგონი. ძალიან არ შეპყვარებია ამ შეჩვენებულს ჩემი ფულები!!

ვალერი. მე მოგახსენებთ, ბატონო, რომ ფულისათვის არ ჩამიდენია ეს ამბავი; ჩემი გულის ამგზნები ის კი არ იყო, თქვენ რომ ფიქრობთ, არა, უფრო კეთილშობილურმა გრძნობამ ჩამადენინა ეს საქმე...

ჰარპაგონი. ერთი ამას უყურეთ. ლამის არის დამიმტკიცოს, რომ ქრისტიანული სულგრძელობის გამო შეიყვარა ჩემი ფულები. მაგრამ არა, ეს თავის დღეში არ მოხდება. მე გაჩვენებ, შე უსირცხვილო, შე ავაზაკო, რომ სამართალი კიდევ არის ქვეყანაზე.

ვალერი. როგორც გნებავდეთ ისე მოიქეცით. მე მზადა ვარ ავიტანო ყოველი დასჯა, რასაც თქვენ გადამიწყვეტთ: მაგრამ იცოდეთ კი, რომ ამ საქმეში, თუ კი რამ შეცოდება მოაპოვება, მე ვარ დამნაშავე. და თქვენი ქალი კი სრულებით შემცოდე არ არის თქვენს წინაშე.

ჰარპაგონი. მაგას რაღა შენი თქმა უნდა! კარგი კი იქნებოდა, რომ ჩემი ქალი გარეუღიყო ამ ბინძურ საქმეში! მე მინდა მხოლოდ გამომიტყდეს შენ, რა ადგილას მომტაცე ჩემი საუნჯე?

ვალერი. მე? თქვენთვის არაფერი საუნჯე არ მომიტაცინია, თქვენი საუნჯე თქვენთანვეა.

ჰარპაგონი. ოჰ, ჩემო ძვირფასო ყუთო! (ხმაზლდა) მაშ ის ჩემი სახლიდან არ დაძრულა?

ვალერი. არა, ბატონო.

ჰარპაგონი. მაშ ერთი მითხარი: შენ იმისთვის ხელი არ გიხლია?

ვალერი. მე იმას ხელს ვახლებდი! თქვენ ტყუილად ცილსა გეწამებთ იმასა და მეცა, მე ვიწვი მისთვის წმინდა უბიწო სიყვარულით.

ჰარპაგონი. დახეთ, დახეთ, იწვოდა ჩემი ყუთისათვის!

ვალერი. მე უფრო სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე იმაზე რასმე თავში გავიტარებდი. შეურაცხმყოფი აზრი ვერ შეეხება იმას, ვინც იმასავით ჭკვიანი და პატიოსანია.

ჰარპაგონი. ვინა? ჩემი ყუთია პატიოსანი?

ვალერი. ჩემი სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ დავმტკბარეყავი იმისი ცქერით და არავითარი ცუდი აზრი არ ჰრყენიდა იმ უმანკო გრძნობას, რომელიც ჩემში იმისმა მშვენიერმა თვალებმა აღძრა.

ჰარპაგონი. ჩემი ყუთის მშვენიერმა თვალებმა! ისე ლაპარაკობს ჩემ ყუთზე; თითქოს ამის საყვარელი იყოს.

ვალერი. უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ დიდი წვალება გამოვიარე, ვიდრე დავძლიე მისი მორცხვობა და დავიყოლიე ჩემს სიყვარულზე.

ჰარპაგონი. ვისი მორცხვობა?

ვალერი. თქვენი ქალისა, და მხოლოდ გუშინ დავითანხმე ის ჩვენ ქორწინებაზე.

ჰარპაგონი. ჩემი ქალი დაითანხმე ქორწინებაზე?

ვალერი. დიახ, ბატონო.

ჰარპაგონი. ოჰ, ღმერთო ჩემო! ეგეც მეორე უბედურება.

თაკი. (მოხელეს) ჩასწერეთ, ბატონო, ჩასწერეთ.

ჰარპაგონი. ეს-ლა მკლდა! უიმისოდაც უბედურს, მეორე უბედურებაც ზედ მეწვია. (მოხელეს) წამობრძანდით, ბატონო, აღასრულეთ თქვენი მოვალეობა, მიეცით ეს პასუხისგებაში, როგორც ქურდი და ჩემი ქალის გამრყენელი.

ჟაკი. როგორც ქურდი და გამრყენელი.

ვალერი. ეგ სახელები მე არ მეკუთვნის... და, როდესაც გაიგებთ, რომ მე...

ს უ რ ა თ ი მ ე ო ტ ხ ე

ჰარპაგონი, ელიზა, მარინა, ჯალაბი, ცაბოზინა, აქაე, პოლაგიის მთელუ

ჰარპაგონი. ააა! მობრძანდი, ავაზაკო შვილო, შე უღირსო ჩემისთანა მამისა, განა ასე ასრულებ ჩემ დარიგებას? შენ გაგიტაცა განა ამ უსინდისო ქურდის სიყვარულმა, და შენ მას აძლევ სიტყვას ჩემ ნებადაურთველად? შემცდარხართ, ბატონებო! (ელიზას) ოთხ კედელს შუა გამოგალობ. (ვალერს) შენ კი სახრჩობელა გაგცემს პასუხს, შე პირშავო, შე მუხანათო შენა...

ვალერი. თქვენი გაცხარება არ იქნება მსაჯულად ამ საქმეში. მეც მკითხვენ რასმე, სანამ გადამიწყვეტენ სასჯელს.

ჰარპაგონი. სახრჩობელა ცოტაა შენთვის! ცოცხლად დაეკეპინებ შენს თავს.

ელიზა. (დაჩოქილი, ჰარპაგონს) მამაჩემო, გვედრებით უფრო ადამიანური გრძნობით განსაჯოთ ჩენი საქმე, მდგომარეობა, და ეგრე ბოროტად ნუ მოიხმართ მამის უფლებას. ეგ სრულიად იმისთანა არ არის, როგორც თქვენ გეჩვენებათ. თუ იმასაც მიიღებთ სახეში, რომ უმაგისოდ მე, დიდი ხანია, მკვდარი ვიქნებოდი, თქვენ მიხვდებით, თუ რისთვის მივენდები მაგას. მაგან გადამარჩინა წყალში დახრჩობისაგან, მაგის წყალობით ვარ დღეს ცოცხალი, და თქვენ კი...

ჰარპაგონი. ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა დამხრჩვეალიყავი ბარემ, და ამ დღეს კი არ მოვსწრებოდი.

ელიზა. მამაჩემო, გეფიცებით მამობრივ სიყვარულს, რომ...

ჰარპაგონი. არა, არა! მოსმენაც არ მინდა! ისევე სამართალმა გააარჩიოს ეს საქმე.

ჟაკი. (იქით) მე შენ გაზღვევინებ ჩემ შეურაცხყოფას.

ფროსინა. (იქით) ხათაბალა თუ გინდა, ეს არის.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

პარპაგონი, ანჟლმი, ულიზა, მარინა, ვალერი, ფრანცინა, აჟა, პოლიციის მოსულე

ანსელმი. ეს რა ამბავია, ბატონო ჰარპაგონ, რამ გავაგულისათ ეგრე?

ჰარპაგონი. ახ, ბატონო ანსელმო, ჩემისთანა უბედური კაცი არ დაბადებულა ქვეყანაზე. ღმერთო, რა მწუხარება, რა უწესობა, რა უბედურება არის ჩემს თავზე! ქონებას მპარავენ, პატიოსნებას მიწყენიან, და ის მოლაღატე, ის ავაზაკი, რომელიც შეეხო ჩემ წმინდას და უძვირფასესს უფლებას, რომელიც შემოვიდა ჩემ ოჯახში ვითომ და მოსამსახურედ, რომ უფრო ადვილად მოეპარა ჩემი ფულები და შეეცდინა ჩემი ქალი...

ვალერი. რას ბოდავთ, რა ფულებზე მელაპარაკებით?

ჰარპაგონი. დიახ, ამათ მისცეს ერთმანეთს ცოლ-ქრმოვის პირობა. ეს თქვენი შეურაცყოფაა, ბატონო ანსელმ, თქვენი მოვალეობაა, მოჰკიდოთ ამ საქმეს ხელი და მიაყენოთ ყოველნაირი შევიწროება — თქვენის ხარჯით, რასაკვირველია, — ჩვენი შეურაცხყოფისათვის.

ანსელმი. მე სრულიადაც არ მინდა ძალად შევიერთო თქვენი ქალი, მაგრამ თქვენი საქმისათვის თავს არ დავზოგავ, ისე როგორც ჩემი საკუთარისათვის.

ჰარპაგონი. აი, ბატონო, ის პატიოსანი მოხელეც, რომელიც არ დაივიწყებს თავის მოვალეობის შესრულებას (მოხელეს ჩვენებს ვალერზე) მოექეცი ამას კანონისამებრ.

ვალერი. მე აქ ცუდ მოქმედებას არ ვხედავ; მე არ მესმის, რა ცუდკაცობა ჩავიდინე მით, რომ შევიყვარე თქვენი ქალი და, როდესაც გაიგებენ ვინა ვარ მე...

ჰარპაგონი. სასაცილოა ეგ ზღაპრები, ქვეყანა ავსილია კეთილ-შობილ გვართა მიმთვისებლებით, რომლებიც ეფარებიან ცნობილ სახელებს და ათას სისაძაღლეს ჩადიან!

ვალერი. იცოდეთ, რომ მე იმისთანა უპატრონო კაცი არა ვარ, რომ მივითვისო ის, რაც მე არ მეკუთვნის... მთელმა ნეაპოლმა იცის, ვინცა ვარ.

ანსელმი. ყმაწვილო! ნუ ლაპარაკობთ აგრე წინდაუხედავად, თორემ ინანებთ. მეც ვიცნობ მთელს ნეაპოლს და შემძლია სიცრუე შეგამჩნიოთ.

ვალერი (იხურავს თავის ქუდს) მე იმისთანა კაცი არ გახლავარ, რომ ვისმესი მეშინოდეს, და, თუ თქვენ იცნობთ მთელს ნეაპოლს, თქვენ გეცოდინებათ, ვინ არის ღონ-თომას ალბურისი.

ანსელში. რასაკვირველია, ვიცნობ; ჩემსავით ვინ იცნობს იმას!

მარპაგონი. რას დავეძებ ვილაც თომა ალბურისია (მარპაგონი ჰხედავს ორ ანთებულ სანთელს და აქრობს ერთს).

ანსელში. ღვთის გულისათვის, დააცალეთ სთქვას, ვნახოთ რას იტყვის.

ვალერი. მინდა ვსთქვა, რომ მამაჩემია...

ანსელში. ღონ-თომას ალბურისი?

ვალერი. დიახ.

ანსელში. რას მასხარობ!.. უფრო ჭკუაში რამ მოსასვლელი მოიგონე, თორემ მაგნაირი სიცრუით თავს ვერ უშველი.

ვალერი. ნუ აჩქარდებით. ეს სრულებით სიცრუე არ არის, და, თუ საჭიროება მოითხოვს, მე კიდევ დავამტკიცებ ჩემ სიტყვას.

ანსელში. როგორ? ნუთუ ჰბედავ სთქვა, რომ შენა ხარ შვილი ღონ-თომას ალბურისისა?

ვალერი. დიახ, ვბედავ და კიდევაც მზად ვარ დავუმტკიცო ყველას ეს ჭეშმარიტება.

ანსელში. რა უშვერობაა! მაშ იცოდეთ, რომ თექვსმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ის კაცი, რომელზედაც თქვენ ამბობთ, დაილუპა ზღვაში თავის ცოლ-შვილით იმ დროს, როდესაც ნეაპოლის არეულობის დროს დააპირა უცხოეთში გაქცევა...

ვალერი. დიახ, თქვენც იცოდეთ, რომ იმის შვიდი წლის შვილი თავისი მოსამსახურეთი გადაარჩინა ერთმა ესპანელმა ზომალდმა და ეს გადარჩენილი შვილი არის ის, ვინც თქვენ გელაპარაკებათ.

ანსელში. მაგ ცარიელი სიტყვების გარდა, რა საბუთი გაქვს, რომ, რასაც ამბობ, სულ ჭეშმარიტებაა და არა მოხერხებული ზღაპარი?

ვალერი. ესპანელი კაპიტანი და იაგუნდის ბეჭედი, რომელიც ჰქონდა მამაჩემს, გიშრის ბრასლეტი, რომელიც დედაჩემმა გამიკეთა ხელზე, მოხუცი პედრო, რომელიც გადარჩა ჩემთან.

მარინა. რაც სთქვით, ყველაფერი მართალია და ისიც მართალია, რომ შენ ჩემი ძმა ყოფილხარ.

ვალერი. თქვენ ჩემი და ხართ!

მარინა. დიახ, ეს ჩემმა გულმა იგრძნო მას აქეთ, რაც თქვენ ხმა ამოიღეთ.

ანსელში. ღმერთო ჩემო! დიდება შენს ძლიერებას! მხოლოდ შენ შეგიძლია მოახდინო სასწაული... გადამეხვიეთ, შვილებო, მომესალმეთ თქვენს მამას.

ვალერი. თქვენა ხართ ჩვენი მამა?

მარინა. ეს თქვენა ბრძანდებით ისა, რომლისთვისაც დედა ასე სტიროდა?!

ანსელში. დიახ, შეილებო! მე ვარ დონ-თომას ალბურისი; მე ღმერთმა გადამარჩინა ტალღებისაგან ყოველი ჩემი სიმდიდრით, და თექვსმეტი წლის განმავლობაში არა გამიგია რა თქვენზე. მე თქვენ ყველანი დალუპულები მეგონეთ, და, რომ ეს ჩემი უბედურება მუდამ გულმოსაკლავად თვალწინ არა მქონდა, სახელიც კი გამოვიცვალე.

მარპაგონი. (ანსელმს) ეს შენი შეილია?

ანსელში. დიახ.

მარპაგონი. მაშ თქვენ უნდა გიჩივლოთ. რომ მიზლოთ ის ორი ათასი ოქრო, რომელიც ამან მე მომპარა.

ანსელში. ვინა? ჩემმა შეილმა მოგპარათ?

მარპაგონი. დიახ, თვითონ ამ ვაჟბატონმა!

ვალერი. ეს ვინ გითხრათ?

მარპაგონი. მზარეულმა უაკმა.

ვალერი. (უაკს) ეს შენ უთხარი?

უაკი. მე რას ვეტყვოდი! მე არაფერი მითქვამს.

მარპაგონი. როგორ თუ არა?! აი პოლიციის მოხელე, რომელსაც აქვს შენი ჩვენება.

ვალერი. ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ მე ვიკადრებდი მაგვეარ სამარცხვინო საქმეს?

მარპაგონი. იკადრებდი, თუ არ იკადრებდი, მინდა დავიბრუნო ჩემი ფულები...

ს უ რ ა თ ი მ ე ნ ა მ ს ა

მარპაგონი, ულინა, მარინა, ვალერი, ანტონინა, უაკი, პლანცი, ლაფლაშა, პლიციის მისელო

კლევანტი. ნუ იწუხებ თავს, მამაჩემო, და ნურც ვინმეს აბრალებთ. მე შეეკრიბე ცნობები თქვენი საქმის შესახებ და მოველ შეგატყობინოთ, რომ, თუ ნებას მომცემთ, შევირთო მარინა, თქვენი ფულები უკანვე დაგიბრუნდებათ.

მარპაგონი. სად არის ჩემი ფული?

კლევანტი. ნუ სწუხდებით; ის იმისთანა ადგილას არის, რომ ჩემს მეტმა არავინ იცის და იმის შესახებ მე ვაგებ პასუხს. თქვენ ეს მი-

ბრძანეთ, ამ ორში რას ირჩევთ: შევირთო მე მარინა ცოლად, თუ დაგეკარგოს თქვენი ყუთი?!

ჰარპაგონი. ხელი ხომ არ გიხლიათ იმ ფულისათვის?

კლევანტი. სრულიადაც არა! სთქვით რაღა, თანახმა ხართ, თუ არა ნება დართოთ ამ ქორწინებას და დაეთანხმოთ იმის დედანს, რომელმაც მიანიჭა მას სრული თავისუფლება ქრმის ამორჩევაში.

მარინა. (კლევანტს) თქვენ გავიწყდებათ, რომ ეგ ნებართვა არ არის საკმაო, რადგანაც ლმერთმა (აჩვენებს ვალერზე) ამ ძმასთან, რომელსაც თქვენ ჰხედავთ, დამიბრუნა მამაცა (აჩვენებს ანსელმზე), რომელთა ნებართვაც აგრეთვე საჭიროა.

ანსელმი. შეილებო, ლმერთი არ მიყაბულებს ვეწინააღმდეგო თქვენ პირობას. თქვენც უნდა დამეთანხმოთ, ბატონო ჰარპაგონო, რომ ახალგაზრდა უფრო შეიღს ირჩევს, ვიდრე იმის მამას. ნულარ ათქმევინებთ იმას, რაც უთქმელადაც ცხადია; დაეთანხმეთ ამ ქორწინებაზე...

ჰარპაგონი. ვიდრე ჩემ ნებართვას გამოვაცხადებდე, საჭიროა ენახო ჩემი ყუთი.

კლევანტი. თქვენ იმას მთლად და ხელუხლებლად ნახავთ.

ჰარპაგონი. მე სრულიად არა მაქვს სამზითვო ფულები.

ანსელმი. რა გავწყობა! მე ვუშოვნი. ამათ ფულებს, ოღონდ თქვენ ნუ შესწუხდებით.

ჰარპაგონი. ამას გარდა, თქვენ უნდა იკისროთ ამ ორი ქორწილის ხარჯი.

ანსელმი. დიახ, ვკისრულობ. კმაყოფილი ხართ ახლა?

ჰარპაგონი. დიახ, კმაყოფილი ვარ, ოღონდ საქორწინო ტანი-სამოსიც შეაკერინეთ.

ანსელმი. მაგაზედაც თანახმა ვარ.

მოხელე. დამაცადეთ! ვინ გადამიხდის გასამრჯელოს ოქმის შედგენისათვის!

ჰარპაგონი. ჩვენთვის შენი ოქმი საჭირო აღარ არის!

მოხელე. მომატყუეთ? ეგრე მცოდნოდა, ხომ არ ვიშრომებდი?

ჰარპაგონი. (აჩვენებს ჟაკზე) აი, თქვენი, შრომის ჯილდო! გინდა ჩამოახრჩეთ, გინდა ცოცხლად დამარხეთ.

ჟაკი. იპ, ეგლა მაკლდა! მართალი ეთქვი, — ჯოხების ბრაგა-ბრუგით გვერდები ჩამიქციეთ, სიცრუე წამცდა, — „დაახრე და დამარხეო“!

ანსელმი. ბატონო ჰარპაგანო, უნდა აპატიოთ ამას თავისი სიცრუე.

ჰარპაგონი. მისცემ გასამჯელოს მოლიციის მოხელეს?

ანსელმი. ჯანი გაეარდეს, მიეცემ. მაშ რაღას ეუცდით: წავიდეთ, გავუნაწილოთ ეს სიხარული დედათქვენსაც.

ჰარპაგონი. მე კი წავიდე, ვნახო ჩემი საყვარელი ყუთი.

გაუნაუჩეხუდი მღაბიო

LE BOURGEOIS
GENTILHOMME

ხუთ-მოქმედებანი კომედია—ბალეტი

თარგმანი

კონსტ. ანდრონიკაშვილისა

მომქმედნი პირნი:

ბ-ნი ეურდენი.

კ-ნი ეურდენი, ამისი ცოლი.

ლუხილი, ამათი ქალი.

კლეონტი, ლუსილის შეყვარებული.

დორიშენი, მარკიზა.

დორანტი, გრაფი, დორიშენზე შეყვარებული

ნიკოლი, ეურდენის მსახური ქალი.

კოვდილი, კლეონტის მსახური.

მუხიკის მახწავლებელი.

ამიხი შეგორდი.

ცეკვის მახწავლებელი.

ფარიკაობის მახწავლებელი.

ფილოსოფიის მახწავლებელი.

თერძი.

ამიხი ქარგალი.

ორი მსახური.

ბალეტის პერსონაჟი

პირველი მოქმედება

მომღერალი ქალი,

ორი მომღერალი ვაჟი,

მოცეკვავენი.

მეორე მოქმედება

თერძის ქარგლები — მოცეკვავენი.

მესამე მოქმედება

მოცეკვავე მხარეულები.

მეოთხე მოქმედება

სამი მომღერალი,

თურქული ცერემონია,

მუფტი,

მუფტის ამალი,

მომღერალი თურქები,

დერვიშები,

მოცეკვავენი.

მეხუთე მოქმედება.

ბალეტი სხვადასხვა ვროვნებათა ცეკვები.

მ ო ჭ მ ე ღ ე ბ ა ჰ ი რ ვ ე ლ ი

მემუსიკენი უვერტურას უკრავენ. შუა სცენაზე მაგიდასთან მუსიკის მასწავლებლის ერთი შევირძოი ზის და არიას სთხზავს სერენადისათვის, რომელიც ურდენმა შეუკვთა.

ს უ რ ა თ ი ჰ ი რ ვ ე ლ ი

ზუსიას მასწავლებელი, ცუკის მასწავლებელი, სამი მუჟიკაი, მოცუკაჟენი

მუსიკის მასწავლებელი (მემუსიკეთ) შემოდით, დასხედით ამ ღარბაზში და დაისვენეთ მის მოსვლამდის.

ცუკის მასწავლებელი (მოცუკაჟეთ) თქვენ კი აქეთ! აი ამ მხარეს.

მუსიას მასწავლებელი (შევირდს) აბა, დასწერეთ?

შევირდი. მზად გახლავს.

მუსიკის მასწავლებელი.. ვნაზოთ! ოო... ძალიან კარგია.

ცუკის მასწავლებელი. რა არის? ახალია რამე?

მუსიკის მასწავლებელი. დიახ, 'არია სერენადისათვის. ამას მივეცი დასაწერად და შევთავაზებ ჩვენს ბატონს, როცა გაიღვიძებს.

ცუკის მასწავლებელი. შეიძლება? თვალს გადავაავლებ.

მუსიკის მასწავლებელი. როცა ურდენი მოვა, მაშინ მოისმენთ დიალოგთან ერთად. ახლავ გამოვა.

ცუკის მასწავლებელი. ერთი სიტყვით ახლა ჩვენ, ცოტა საჭმე კი არა გვაქვს.

მუსიკის მასწავლებელი. ეგა ბრძანეთ და! ურდენი ჩვენთვის, ჩვენ რომ გვინდა, სწორედ ისეთი კაცი გამოდგა. მისი ოცნება აზნაურობაზე ჩვენთვის სწორედ რომ მადანია. მე და ჩემმა ღმერთმა ჩემთვისაც და თქვენთვისაც ძალიან სასურველია, რომ ყველა მაგასა ჰგავდეს.

ცუკის მასწავლებელი. არც თუ ეგრეა! მე მინდა უფრო მეტი ესმოდეს იმ ხელოვნებისა, ჩვენ რომ ვასწავლით. ეს მისთვის უკეთესია.

მუსიკის მასწავლებელი. მართლა და მეტად ცოტა ესმის, მაგრამ ფასს კი კარგს გვაძლევს, ღვთის წინაშე. ახლა, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ხელოვნებისათვის ეს ყველაზე უმთავრესია.

ციკვის მახწავლებელი. მე კი, სწორედ გითხრათ, დიდებაც მიზიდავს, ტაშის დაკვრა სიამოვნებას მგვრის, და ხელოვანისათვის სწორედ წამებაა, თუ რომ იგი თავის ნაწარმოებს ახურდავებს ბარბაროსთა და უვიცთა წინაშე. რაც გინდათ ბრძანეთ, და მეტად სიამოვნოა — როცა ვმუშაობ მათთვის, ვისაც შეუძლიან დააფასოს ხელოვნების თვისებანი, ვინც ალტაცებით შეხვდება ამ თვისებათ და საგრძნობ წაქეზებით გაამხნევენს თქვენს მუშაობას. დიახ, ყველაზე უმაღლესი ჯილდო თქვენის ნამოქმედარისათვის სწორედ აპლოდისმენტია. ჩემის აზრით მუშაობის ასეთ ჯილდოს ვერაფერი შეედრება და განათლებულ ადამიანთა წაქეზება — უმაღლესი ნეტარებაა.

მუხიკის მახწავლებელი. აპლოდისმენტი, რა თქმა უნდა, კარგობაა, მაგრამ ცხოვრებისათვის მარტო ეგ არ გეყოფათ. კაცს, ამის გარდა, კიდევ უნდა ისეთი რამ ხელშესახები, რაიც ხელებიდან პირდაპირ ჯიბეში გადადის. რასაკვირველია, ჟურდენი სრულიად გაუნათლებელი კაცია, უთავბოლოდ მსჯელობს ყველაფერზე და ყოველ სისულელეზე ალტაცებაში მოდის, მაგრამ მას ფულებისათვის ყველაფერს აპატიებ, საგანთა შეცნობა მას ქისაში აქვს, ხოლო მისი წაქეზება — ფულია. ეს უვიცი მდაბიო მოქალაქე, ხომ ხედავთ, მეტს იძლევა იმ განათლებულ მაღალწრის კაცზე, რომლის დახმარებითაც ჩვენ აქ მოვხვდით.

ციკვის მახწავლებელი. თქვენს სიტყვებში ცოტა რამ სიმართლეც არის, მაგრამ, მგონია, თქვენ მეტის მეტად ემყარებით ფულსა. ანგარება ძალიან დამამცირებელი თვისებაა, და ყოველი პატიოსანი კაცი მას უნდა გაურბოდეს.

მუხიკის მახწავლებელი. თქვენ ხომ ართმევთ მას ფულებს?

ციკვის მახწავლებელი. მართალია, ვართმევ, მაგრამ მერწმუნეთ, მე მხოლოდ ფულით არა ვარ დაინტერესებული. მე მსურს, რომ ჟურდენმა თავის სიმდიდრესთან ერთად, გამოვინება ცოტათი მანც განავითაროს.

მუხიკის მახწავლებელი. განა ეგ მე კი არ მინდა? ჩვენ ორივენი ერთსა და იმავე მიზანს ვემსახურებით, ერთი სიტყვით, მის მეოხებით ვხვდებით თვალსაჩინო ხელოვანნი და მისგან მივიღებთ ფულებს იმისათვის, რომ სხვები გვაქებენ.

ციკვის მახწავლებელი. აი ისიც.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

აქრდენი ხალათში და თაყვაკრული. მუსიკის მასწავლებელი, ამისი შვიტრდი, ცუკის მასწავლებელი, მიმუტაკი ქალა, ორი მიმუტაკი ჟაჟი, მითეჟჟაჟენი, ორი მზახური.

ჟურდენი. აბა ბატონებო... რალას უცდით?.. მიჩვენებთ დღეს იმ რალაცას თუ არა?

ცეკვის მასწავლებელი. რალაცას? რა რალაცას?

ჟურდენი. ეშმაკმა იცის!.. პროლოგია... დილოგი თუ რალაც ჯანდაბა... სიმღერითა და ცეკვით.

ცეკვის მასწავლებელი. ჰმ!..

მუსიკის მასწავლებელი. ჩვენ მზად გახლავართ თქვენდა სამსახურად.

ჟურდენი. ცოტა გაცდევინეთ, მაგრამ ახლა ხომ მე ვით წარჩინებული ადამიანი ისე ვიცვამ. თერძმა კი ისეთი აბრეშუმის წინდები გამომიგზავნა, რომ ძლივს ჩავიცვი.

მუსიკის მასწავლებელი. რამდენიცა გსურთ, იმდენს მოვიცდით.

ჟურდენი. თუ ეგრეა, მაშ თერძის მოსვლამდე ნუ წახვალთ, — მინდა ახალ ტანსაცმელში გეჩვენოთ.

ცეკვის მასწავლებელი. როგორც გენებოთ.

ჟურდენი. თავით ფეხამდე დიდებულად ვიქნები მორთული.

მუსიკის მასწავლებელი. მაგაზე ჩვენ ექვი არა ვგაქვს.

ჟურდენი. ეს როგორღა მოგწონთ, ჩემი ინდოური ხალათი?

ცეკვის მასწავლებელი. მშვენიერია!

ჟურდენი. ჩემი თერძი ამბობს, რომ წარჩინებულთა წრეში დილოებით ყველა ასეთ ხალათს ატარებს.

მუსიკის მასწავლებელი. გიხდებათ კიდევ!

ჟურდენი. მსახურო! ეი! ორთავე მსახურო!

პირველი მსახური. რას მიბრძანებთ, ბატონო, რა გნებავთ?

ჟურდენი. არაფერიც არა მნებავს. მე მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, გესმის თუ არა, როცა გეძახი? (მასწავლებელთ) ჩემი მსახურების ლივრები როგორღა მოგწონთ?

ცეკვის მასწავლებელი. საუცხოოა!

ჟურდენი. (ხალათის კალთებს გადაიწვევს და გამოაჩენს თავის ტანსაცმელს, აცვია წითელი ხავერდის შარვალი და მწვანე ზედატანი). აი, დილდლოებით მე ასე ვიცვამ და ასე გამოვდივარ საეარჯიშოდ.

მუსიკის მასწავლებელი. მეტად მოხდენილი ტანსაცმელია.

ჟურდენი. მსახურო!

პირველი მსახური. რა გნებათ, ბატონო?

ჟურდენი. მეორე მსახურო!

მეორე მსახური. ბატონო?

ჟურდენი. (ხალათს იხდის) დაიქით. (მასწავლებელს) ხომ კარგი ვარ ამ ტანისამოსში?

ცეკვის მასწავლებელი. უკეთესი წარმოუდგენელია.

ჟურდენი. ჰო და... აბა, რა უნდა გეჩვენებინათ?

მუსიკის მასწავლებელი. ხომ არ ისურვებთ მოისმინოთ თქვენი შეკვეთილი სერენადა! (მოწაფეზე უჩვენებს) ამან ახლა შეთხზა ეს არის... ჩემი მოწაფეა, მეტად ნიჭიერია.

ჟურდენი. ეგ მჯერა, მაგრამ მოწაფეს რად მიანდეთ? მე მგონია, არიის შეთხზვა თქვენვე უნდა გეკისრათ.

მუსიკის მასწავლებელი. არა, ბ-ნო, მოწაფეც არის და მოწაფეც. ასეთ მოწაფეებს მუსიკა დიდებულ მიესტროზე ნაკლებად კი არ ესმით. აბა, ყური დაუგდეთ... მშვენიერი არიია!

ჟურდენი. (მსახურებს) მომართვით ხალათი, რომ უფრო უკეთესად მოვისმინო... მოიცათ... იქნებ ასე, უხალათოდა სჯობდეს? ჰა? მაგრამ არა, ხალათში სჯობიან.

მომღერალი ქალი. (მღერის)

ჩემს მწუხარებას არ უჩანს ბოლო, ვიწვი ნელ-ნელა...

შენს ლამაზ თვალებს რომ დავემონე, — ამის ბრალია.

თუ მოტრფიალეს ეპყრობი ასე დაუნდობელად,

რას უზამ იმას, ვისთვისაც მხოლოდ სამტროდ გცალია!

ჟურდენი. ოო, კმარა, კმარა... სევდიანი სიმღერაა, ძილსა მგერის-არ შეიძლება შიგ მეტი მხიარულება შეიტანოთ და ისე გადააკეთოთ? მუსიკის მასწავლებელი. მაგრამ, ბატონო, მუსიკა და სიტყვები უნდა შეფარდებული იყოს.

ჟურდენი. ამასწინედ ერთი მშვენიერი სიმღერა მასწავლეს... მოითმინეთ...

ცეკვის მასწავლებელი. მართალი მოგახსენოთ, მეც არ ვიცი...

ჟურდენი. რალაც ბატკანზე იქ ლაპარაკი.

ცეკვის მასწავლებელი. ბატკანზეო?

ჟურდენი. აა! მომაგონდა.

„ჩემი ჟანეტა ნაზი მეგონა და მორჩილი.

ჩემი ჟანეტა მორჩილი მეგონა ცხვარივით —

ვამ მე, ვამ მე, მეელი ბოროტი — ათასჯერ ბოროტი აღმოჩნდა ჟანეტა“.

ხომ კარგი სიმღერაა?

მუსიკის მასწავლებელი. საუცხოოა!

ცეკვის მასწავლებელი. მშვენიერადაც მღერით.

ჟურდენი. მით უფრო, რომ ჯერ მუსიკა არ შემიწავლია.

მუსიკის მასწავლებელი. უნდა უსათუოდ შეისწავლოთ. მუსიკა და ცეკვა, — ეს ორი დარგი ხელოვნებისა ერთმანეთთან შეიძროდ არიან დაკავშირებულნი.

ცეკვის მასწავლებელი. ადამიანში მშვენიერების გრძნობას ანვი-თარებენ.

ჟურდენი. განა მალალი წრის ხალხი მუსიკასაც სწავლობს?

მუსიკის მასწავლებელი. რასაკვირველია, ჩემო ბატონო.

ჟურდენი. მაშ, მეც ვისწავლი. მხოლოდ აღარ ვოცო, ამისათვის რა დრო ამოვირჩიო. ფარეკაობის მასწავლებლის გარდა, ფილოსო-ფიის მასწავლებელიც დავიჭირავე... აი სწორედ, ამ დილას უნდა მომცეს პირველი გაკვეთილი...

მუსიკის მასწავლებელი. ფილოსოფია, რასაკვირველია, კარგა საგანია, მაგრამ მუსიკა, ბატონო... ოო! მუსიკა!

ცეკვის მასწავლებელი. მუსიკა და ცეკვა!.. ცეკვა და მუსიკა!.. აი რაა საჭირო ადამიანისათვის!

მუსიკის მასწავლებელი. სახელმწიფოსათვის მუსიკაზე სასარგებ-ლო არა არის რა.

ცეკვის მასწავლებელი. ადამიანისათვის ცეკვისთანა გამოსადეგი არა არის რა.

მუსიკის მასწავლებელი. უმუსიკოდ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს.

ცეკვის მასწავლებელი. უცეკვოდ ადამიანი ვერც კი მოისაზრებ-და, — რა ექნა.

მუსიკის მასწავლებელი. რაც კი ღედამიწის ზურგზე ომი და არევა ხდება ყველა მუსიკის უცოდინარობით წარმოსდგება.

ცეკვის მასწავლებელი. ადამიანთა უბედურებანი, დამღუპავი გარდატეხანი კაცობრიობის ბედიღბლისა, დიპლომატთა საბედისწე-რო შეცდომანი და სარდალთა დამარცხებანი — ყოველივე ეს, ბა-ტონო, ცეკვის უცოდინარობითა ხდება.

ჟურდენი. ეგ როგორ?

მუსიკის მასწავლებელი. განა ომი, იმიტომ არ ხდება რომ ადა-მიანთა შორის შეკავშირება არ არის?

ჟურდენი. სწორედ.

მუსიკის მასწავლებელი. აბა, წარმოიდგინეთ: ყველას რომ მუ-სიკა შეესწავლა, განა ეს არ იქნებოდა ადამიანთა შემავსირებელი რამ!.. წყარო მშვიდობიანობისა ამ ქვეყნად?

ქურდენი. თქვენ მართალი ხართ!

ცეკვის მასწავლებელი. თუ კი ვინმე ცუდად მოიქცა თავის მშობელთა მიმართ, ან როგორც მმართველი სახელმწიფოსი, ანუ სარდალი: განა ამ შემთხვევაში არ იტყვიან, შემცდარი ნაბიჯი გადაღაო?

ქურდენი. დიახ, იტყვიან.

ცეკვის მასწავლებელი. და განა შემცდარ ნაბიჯს მხოლოდ ისეთი ადამიანი არ გადასდგამს, ვისაც ცეკვა არ უსწავლია?

ქურდენი. ეგეც მართალია... ორთავენი მართალს ამბობთ.

ცეკვის მასწავლებელი. ჩვენ მხოლოდ იმის დამტკიცება გვინდოდა, თუ რაოდენ მაღლა სდგას ეს ორი საგანი. ხელოვნებისა სხვა დარგებსა და მეცნიერებაზე.

ქურდენი. ახლა კი ყველაფერი გავიგე.

მუსიკის მასწავლებელი. გნებავთ 'გაეცნოთ ჩვენს ნაწარმოებთ'?

ქურდენი. დიახ.

მუსიკის მასწავლებელი. მე უკვე მოგახსენეთ ერთ პატარა მუსიკალურ ნაწარმოების შესახებ. ამ სიმღერაში ყველა ის გრძნობაა, რაიც კი მუსიკის საშუალებით შეიძლება გამოსთქვა.

ქურდენი. საუცხოოა.

მუსიკის მასწავლებელი. (მემუსიკეებს) აქეთ მოდიოთ! (ქურდენს) უნდა წარმოიდგინოთ, რომ ეს ხალხი მწყემსებია.

ქურდენი. რატომ?.. უსათუოდ მწყემსი მუდამ და ყოველთვის ყველა სიმღერაში!

ცეკვის მასწავლებელი. თუ მუსიკის საშუალებით ლაპარაკი სწარმოებს, სინამდვილისათვის საჭიროა პასტორალი; ყოველთვის და ყველგან მომღერლებად მწყემსები ჰყვანდათ წარმოდგენილი, და მეტად არა ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ რომ რომელიმე პრინცი, ან თუ გინდ მოქალაქე თავის გრძნობებს სიმღერით გამოსთქვამს.

ქურდენი. ოჰ, ოჰ! აბა ვნახოთ. (დილოჯი მუსიკაზე გადადებული: მომღერალი ქალი და ორი მომღერალი ვაჟი).

მომღერალი ქალი.

სიყვარულის გადამკიდე,

რომ შფოთავდე არ გაჰკვირდე.

მოტრფიალეს თურმე ტანჯვაც ახალისებს...

ვინც რა უნდა ის სთქვას კიდევ,

მიჯობს ვიყო თავისუფლად, ლალად ისევ.

პირველი მომღერალი ვაჟი.

რა ტკბილი არის ტრფობის საბმილი!

იპყრობს ორის გულს ერთი სურვილი.

არ ცნობს სიყვარულს —

სდევნი სიხარულს!

და თუ ცხოვრებას ტრფობა არ ახლავს,
სიამოვნებას ვერაფერს ნახავს.

მეორე მომღერალი ვაჟი.

შეყვარებულის შევნატრი მე ბედს,

ნამდვილს სიყვარულს თუ კი ჰპოებდეს!

ეპ, ვინ მიჩვენოს მე მწყემსი-ქალი,

ერთგული იყოს, ალალ-მართალი.

უღირს ქალთ მოდგმას ველარ ვენდობი,

გაქვავდა გული, ტრფობის არმლომი.

პირველი მომღერალი ვაჟი. წმინდა გატაცებავ!

მომღერალი ქალი. ბედნიერო გულწრფელობავ!

მეორე მომღერალი ვაჟი. სქესო მატყუარავ!

პირველი მომღერალი ვაჟი. რა ძვირფასი ხარ!

მომღერალი ქალი. როგორ მომწონხარ!

მეორე მომღერალი ვაჟი. რა ზიზღსა მგვერი...

პირველი მომღერალი ვაჟი. ეპ, დაივიწყე სიყვარულისთვის ეს
სიძულვილი.

მომღერალი ქალი.

შემიძლია გიჩვენო

მწყემსი-ქალი ერთგული.

მეორე მომღერალი ვაჟი.

სად ვიპოვო რჩეული?

მომღერალი ქალი.

რომ დავიცვა მე ქალების სახელი,

მსურს მოგიძღვნა ეს გული.

მეორე მომღერალი ვაჟი.

შენს გულს დავენდო? არ ძალმიძს, არა!

ისიც იქნება, მწამს, მატყუარა.

მომღერალი ქალი.

ეცადოთ, გვიჩვენებს ერთად ცხოვრება —

ჩვენ ორში უფრო ვის ეყვარება.

მეორე მომღერალი ვაჟი.

ვინც ერთგული არ იქნება,

ის ღვთისაგან დაისჯება.

სამივე ერთად.

ღე, ტრფობის ცეცხლი
მოედოს ჩვენს გულს...
ორი ერთგულის
რა სჯობს სიყვარულს!

ჟურდენი. მეტი არაფერი?

მუსიკის მასწავლებელი. გათავდა, ბატონო.

ჟურდენი. ჩემის აზრით კარგათ არის აწყობილი... ზოგიერთი სიტყვებიც კობტაა.

ცეკვის მასწავლებელი. მაშ, ახლა ჩემი ჯერია. გნებავთ, გაჩვენებთ მცირე ნიმუშს ჩემი მუშაობისას? მიაქციეთ ყურადღება ცეკვის დროს, რა მოხდენილი ნაირ-ნაირი მოძრაობა იქნება.

ჟურდენი. ისევ მწყემსები იქნებიან?

ცეკვის მასწავლებელი. ყველა, ვინც კი გნებავთ. (მოცეკვავთ) დაიწყეთ.

ბალეტის გამოსვლა.

(ოთხი მოცეკვავე სხვადასხვა პოზებს მიიღებენ, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცეკვავენ)

მომხმედება მეორე

სურათი პირველი

ქურდენი, მუხივის მასწავლებელი. ცეკვის მასწავლებელი

ქურდენი. კარგია, მშენიერია... ეს ვაებატონები კარგათ ხტუნაობენ.

მუსიკის მასწავლებელი. უფრო კარგი იქნება, როცა ცეკვის მუსიკაც თან ეხლება. აი ნახავთ, თქვენთვის რა წარმტაცი ბალეტი მოვამზადებ.

ქურდენი. ეგ ბალეტი მეც მალე დამპირდება, რადგან ამ დღეებში პატივს დამდებს და ჩემთან ისადილებს ერთი მანდილოსანი.

ცეკვის მასწავლებელი. ჩვენ უკვე მზად გახლავართ.

მუსიკის მასწავლებელი. მაგრამ ერთი რამ კი გაკლიათ... თქვენისთანა პიროვნებამ, ასეთ ბრწყინვალე ფუფუნებით რომ ბრძანდებით მოწყობილი... და მასთან ასე რომ გიყვართ ხელოვნება — ყოველ ოთხშაბათობით, ან ხუთშაბათობით, უნდა უსათუოდ კონცერტები მართოს.

ქურდენი. ასე მართავენ წარჩინებული ადამიანები?

მუსიკის მასწავლებელი. დიახ, ბატონო!

ქურდენი. მაშ, მეც აგრე მოვიქცევი. კარგათ გამოვა?

მუსიკის მასწავლებელი. რაღა თქმა უნდა! მხოლოდ სამა ხმაა საჭირო: კრინი, დისკანტი და ბანი. აკომპანიმენტისათვის საკმარისია: ალტი, ტეორბი და კლავესინი. ხოლო რიტურნელისათვის ორი ვიოლინოც საკმარისია.

ქურდენი. ერთსიმინი ქნარიც საჭიროა უსათუოდ. მე ძალიან მომწონს — ჰარმონიული საკრავია.

მუსიკის მასწავლებელი. ეგ მე მომანდებ.

ქურდენი. არ დაგავიწყდეთ მომღერლების გამოგზავნა, რომ სადლის დროს იმღერონ.

მუსიკის მასწავლებელი. ყველაფერი თავის რიგზე იქნება.

ქურდენი. მეტადრე ბალეტი უნდა იყოს თვალსაჩინო.

ცეკვის მასწავლებელი. არხეინად ბრძანდებოდეთ, კმაყოფილი დარჩებით. სხვათა შორის ჩვენ სხვადასხვა მენუეტებს გაჩვენებთ.

ჟურდენი. აა! მენუეტი, ეს ჩემი საყვარელი ცეკვაა. აბა მიყურეთ როგორა ვცეკვავ! აბა, ბ-ნო მასწავლებლო!

ცეკვის მასწავლებელი. დაიკავეთ ხელში ქუდი, ჩემო ბატონო. (ჟურდენი მსახურს ქუდს გამოართმევს და ღამის ქუდზე დაიხურავს. ცეკვის მასწავლებელი ჟურდენს ხელს დაუკაებს და სიმღერით მასთან ცეკვავს). ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა; ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა. ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა; ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა; ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა. ფეხაწყოებით თუ შეიძლება. ლა, ლა, ლა, ლა, ლა; მარჯვენა ფეხით, ლა, ლა, ლა; ხელები ეგრე უხეზად ნუ გიჭირავთ. ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა; თავი მაღლა ასწიეთ! ლა, ლა, ლა, ლა, ლა. ფეხის წვერები განზე გასწიეთ, ლა, ლა, ლა. ტანში გასწორდით. ჟურდენი. როგორია, პა?

ცეკვის მასწავლებელი. უკეთესი შეუძლებელია.

ჟურდენი. სხვათა შორის, მასწავლეთ მარკიზას როგორ უნდა დაეჟურა თავი... ესეც მალე დამჭირდება.

ცეკვის მასწავლებელი. მარკიზას?

ჟურდენი. პო, მარკიზას. აი დოკიმენტი რომ ჰქვია.

ცეკვის მასწავლებელი. მიბოძეთ ხელი!

ჟურდენი. რადა? თქვენ მხოლოდ მაჩვენეთ და მე ისედაც დავიმასხოვრებ.

ცეკვის მასწავლებელი. თუ თქვენცა გსურთ ღრმა პატივისცემის საღამო, მაშინ ერთი ნაბიჯი უკან გადასდგით და თავი დახარეთ, შემდეგ მასთან მისვლისას კიდევ სამჯერ ასევე... უკანასკნელად კი პირდაპირ ფეხთ ჩაუვარდით.

ჟურდენი. აბა, მიჩვენეთ, მიჩვენეთ. (მასწავლებელი უჩვენებს) მესმის... მესმის...

სურათი მეორე

ჟურდენი, მუხიანის მასწავლებელი, ცეკვის მასწავლებელი; მასწავლებლის მსახური. ბატონო, ფარეკაობის მასწავლებელი გეახლათ ჟურდენი. უთხარით მოვიდეს, დაიწყოს გაკვეთილი. (მასწავლებლებს) როგორი ფარეკაობა ვიცი, ახლა ნახავთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

აქრდენი, შუხიკის მასწავლებელი, ცუკვის მასწავლებელი, მასაჭრის და
ფარიკაობის მასწავლებელი

ფარიკაობის მასწავლებელი. (მსახურს დაწინაურებას გამოართმევს) აბა, დაიწყეთ, ჩემო ბატონო! სალამი! ტანში გასწორდით! ცოტა მარჯვენა ფეხზე გადახარეთ! ფეხებს ნუ გაშლით! ეცადეთ ერთ ხაზზე გქონდეთ. დაშინის წვერი მხარს გაუსწორეთ! ხელს ნუ გასქიმათ... მარცხენა მხარე უკან გასწიეთ! თავი სწორედ!.. გაბედულად მოიხედეთ! აბა, დაჰკარით. ტანს ნუ არხევთ. შემომოტიეთ. ერთი! ორი! კვლავ დადგით! ნაბიჯი წინ! ნაბიჯი უკან! როცა ჩაცემა გინდათ, დაშინით იმოქმედეთ, ტანი დაცვისათვის მოამზადეთ! ერთი, ორი, წინ! ტიერს! წინ! ტანს ნუ არხევთ! წინ! ჩაეცით! ერთი, ორი! მშვიდად, მშვიდად! ერთი, ორი! ნაბიჯი უკან! თავდაცვისათვის, ბატონო, თავდაცვისათვის. (მასწავლებელი დაშინას სცემს და ყვირის: „თავდაცვისათვის“)..

ფურდენი. აბა, როგორია, ჰა?

შუხიკის მასწავლებელი. თქვენ პირდაპირ სასწაულს ახდენთ.

ცუკვის მასწავლებელი. დიახ, სასწაულს ახდენთ!

ფარიკაობის მასწავლებელი. მე უკვე აგინსენით, ფარიკაობის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მოპირდაპირეს დაშინა ჩასცეთ და მისგან არ მიიღოთ ჩაცემა. თუ ისე მოიქცევით, როგორც წასულ გაკვეთილზე გიჩვენეთ, ყოველთვის აიცილებთ მოპირდაპირის დაშინის წვერს, მხოლოდ უნდა შესძლოთ იგივე წვერი თქვენს ტანის ხაზს გადააცილოთ, ამისათვის კი სულ უბრალო საშუალებაა საჭირო: თქვენი ხელი უნდა ან ტანისაკენ მოიტანოთ, ან მოაშოროთ.

ფურდენი. ასეთი საშუალებით მშიშარაც მოჰკლავს მოპირდაპირეს და თვითონ კი უვნებლად გადარჩება.

ფარიკაობის მასწავლებელი. გასაკვირველია, განა თქვენ თვითონ არა ნახეთ!

ფურდენი. ვნახე.

ფარიკაობის მასწავლებელი. იცოდეთ ახლა; თუ რა პატივსცემის ღირსნი არიან სახელმწიფოში ფარიკაობის მასწავლებელნი და რამდენად მალლა სდგას ჩვენი ხელობა სხვა უმნიშვნელო მეცნიერებაზე: მაგალითად, ცუკვაზე, მუსიკაზე, ან და...

ცუკვის მასწავლებელი. წყნარად, წყნარად, ბატონო. ფარიკაობის ოსტატო! პირი გამოირეცხეთ, როცა ცუკვაზე ლაპარაკობთ!

მუსიკის მასწავლებელი. გთხოვთ უფრო პატივისცემით მოეპყროთ მუსიკის სხვა ხელოვნებასთან უპირატესობას.

ფარიაკაობის მასწავლებელი. აი, სწორედ, სასაცილო ხალხი! თავის ხელობას ჩემს ხელობას ადარებენ!

მუსიკის მასწავლებელი. ერთი უყურეთ რა დიდი ვინმე ბრძანებულა!

ცეკვის მასწავლებელი. ჯავშნიანი მხეცი!

ფარიაკაობის მასწავლებელი. საბრალო მობუქნავე! ბუქნას გაჩვენებთ მე თქვენა! თქვენ! თქვენ კი, ეი, მესტვირევ! ისეთს საქმეს დაგმართებ, რომ სულ ჩემს ჰანგზე აგამლერებ.

ცეკვის მასწავლებელი. ფრთხილად, დაშნით შექურვილო მოჩხუბარო, თორემ ისეთ მეცნიერებას გაჩვენებთ, რომ...

შურდენი. (ცეკვის მასწავლებელს) ხომ არ გაგიუდიოთ! როგორ ეჩხუბებით ისეთ კაცს, რომელსაც შეუძლიან ვაგათაუვოს უბრალო ან ტიერსით ან კარტით.

ცეკვის მასწავლებელი. ფეხებზე მკილია მე მაგის კარტიცა და ტიერსიც.

შურდენი. (ცეკვის მასწავლებელს) ნუ ღელავთ, თუ ღმერთი გწამთ.

ფარიაკაობის მასწავლებელი. (ცეკვის მასწავლებელს) შე. თავხედო, შენა!

შურდენი. დამშვიდდით, ბატონო მოფარიაკავე!

ცეკვის მასწავლებელი. (ფარიაკაობის მასწავლებელს) რაო! ფუ შე ჯაგლაგო, შენა!

შურდენი. ბატონო მოცეკვავე... თუ ღმერთი გწამთ!

ფარიაკაობის მასწავლებელი. (ცეკვის მასწავლებელს) მე შენ...

შურდენი. ჩუმაღ... რა ამბავში ხართ!

ცეკვის მასწავლებელი. აბა, მობრძანდი, მობრძანდი!

შურდენი. ჩუმაღ, მეთქი!

ფარიაკაობის მასწავლებელი. მე შენ!..

შურდენი. გემუდარებით!

ცეკვის მასწავლებელი. მე შენ გიჩვენებ სეირსა!

შურდენი. თუ ღმერთი გწამთ,

მუსიკის მასწავლებელი. მოგვეცალეთ, ჩვენ მაგას კეჟუას ვასწავლით.

შურდენი. ოხ! ღმერთო ჩემო! კმარა! კმარა!

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

აქრდენი, მუხიანის მასწავლებელი, ვეჯვან მასწავლებელი, ფაჩაქაძის მასწავლებელი, ფილთხათიანის მასწავლებელი და მასხუა

უფრდენი. აა! ბ-ნო ფილოსოფოსო! თქვენი ფილოსოფიით სწორედ დროზე შემოგვასწარიოთ: ჩაერიეთ როგორმე. ეს ვაებატონები... ფილოსოფიის მასწავლებელი. რა მოხდა, ბ-ნებო?

უფრდენი. მათ შორის დავაა ასეთი: რომელი ხელოვნება უფრო მაღალია, კინალამ კრივი დატრიალდა.

ფილოსოფიის მასწავლებელი. (მასწავლებელთ) ეეე, ბ-ნო! განა ასეთი თავშეუკავლობა შეიძლება? განა არ წაგიკითხავთ სენეკას სამეცნიერო ტრაქტატი „მრისხანებაზე“? ადამიანისათვის ამაზე მეტი სამარცხვინო არა არის. რა, რადგანაც იგი მას მხეცადა ხლის! განა ჩვენი სულის მოძრაობას გონება არ უნდა მართავდეს?

ცეკვის მასწავლებელი. რას ბრძანებთ? ამ ვაებატონმა მით მოგვაყენა შეურაცყოფა, რომ უკადრისად მოიხსენია მუსიკა და ცეკვა!

ფილოსოფიის მასწავლებელი. გონიერი კაცი შეურაცხოფაზე მაღლა უნდა იდგეს. შეურაცყოფის საუკეთესო პასუხი თავშეკავება და მოთმინებაა.

ფარეკაობის მასწავლებელი. იმდენი თავხედობა გამოიჩინეს, — ჩემი ხელობა თავის ხელობას შეადარეს!

ფილოსოფიის მასწავლებელი. ღირს განა ამაზე აღელვება? ადამიანები ასეთ არარაობაზე არ უნდა კამათობდნენ... არსებითი განსხვავება ერთი ადამიანისა მეორისაგან სიბრძნე და კეთილშობილებაა.

ცეკვის მასწავლებელი. მე მას ვუმტკიცებდი, რომ ცეკვა მეტად პატივსაცემი მეცნიერებაა!

მუსიკის მასწავლებელი. მე კი ვეუბნებოდი, რომ მუსიკას ადამიანები ყოველთვის პატივით ეპყრობოდნენ.

ფარეკაობის მასწავლებელი. მე კი ვამტკიცებ, რომ ფარეკაობა დედამიწის ზურგზე ყველა მეცნიერებაზე უფრო საჭიროა.

ფილოსოფიის მასწავლებელი. მაშ, თქვენის აზრით, ფილოსოფია რალა ყოფილა? თქვენ სამივენი, მართლაც რომ თავხედები ყოფილხართ: ბედავენ და ჩემთან ამაყად ლაპარაკობენ და უსირცხვილოდ მეცნიერებას ისეთ რამეს უწოდებენ, რაიც ხელოვნების სახელის ღირსიც არ არის... ეგ საგნები სხვა რა არის, თუ არა ხელობა ქუჩის მოჩხუბართა, მომღერალთა, ჯამბაზებისა და...

ფარეკაობის მასწავლებელი. იქით დაიკარგე, ძაღლების ფილოსოფოსო!

მუსიკის მასწავლებელი. გასწი, შე უმოკმედო პედანტო!

ცეკვის მასწავლებელი. აი შე სკოლის დარაჯო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. რაო, რაო, თქვე ცულლუტებო, თქვენა. (მივარდება მათ. ისინი სცემენ)

ჟურდენი. ბატონო ფილოსოფოსო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. რაო? რაო? ბრეყენი, უსინდისონი, თავბედნი!

ჟურდენი. ბატონო ფილოსოფოსო!

ფარეკაობის მასწავლებელი. საზიზლარო, მხეცო!

ჟურდენი. ბატონებო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. უსვინდისონი!

ჟურდენი. ბატონო ფილოსოფოსო!

ცეკვის მასწავლებელი. ეშმაკმა წაგიღოთ, ვირო, ვირო,

ჟურდენი. ბატონებო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. უსვინდისონი!

ჟურდენი. ბატონო ფილოსოფოსო!

მუსიკის მასწავლებელი. ეშმაკის კერძო!

ჟურდენი. ბატონებო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. ცულლუტებო, მატყუარებო, ეშმაკებო!

ჟურდენი. ბატონო ფილოსოფოსო! ბ-ნო ფილოსოფოსო! ბ-ნო ფილოსოფოსო! (ყველანი გადიან ჩხუბით და ცემა-ტყვიით)

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ჟურდენი, მსახური

ჟურდენი. თავში ქვა გიხლდათ! რომ მეცადნა მათი გაშველება, — ტანისამოსი სულ ერთიანად შემომეხეოდა. სულელი ვიქნებოდი, მათ რომ ავყოლოდი. მეც კარგა მომხედებოდა!

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ მ ს ე

ჟურდენი, მსახური, ფილოსოფიის მასწავლებელი

ფილოსოფიის მასწავლებელი. (საყელს ისწორებს) აბა, ენლა კი გაკვეთილს შევუდგეთ.

ჟურდენი. მეტად სამწუხაროა, ბატონო მასწავლებელო, რომ თქვენ ეგრე მიგტყეპეს.

ფილოსოფიის მასწავლებელი. არაფერია. ფილოსოფოსი საგნებს სადად უყურებს. იუვენალის სტილით მე მათზე სატირას დაწვერ და ისე გავამათრახებ, რომ თქვენი მოწონებული! მაგრამ ამაზე კმა-რა. თქვენ ეს მიბრძანეთ, სახელდობრ რისი შესწავლა გსურთ?

ჟურდენი. რაც შეიძლება მეტის — ყველაფრისა. მეტად მინდა, რომ სწავლული ვიყო და მაბრახებს ის გარემოება, რომ დედმამამ ბავშობისას მეცნიერებანი არ შემასწავლა.

ფილოსოფიის მასწავლებელი. მეტად საფუძვლიანადა მსჯელობთ. nam, sine doctrina, veta est quasi mortis imago. რასაკვირველია, გესმით ლათინური?

ჟურდენი. დიახ... მაგრამ მაინც აზრი გამოსტყვით ისე, თითქოს მე არც კი მესმოდეს ეგ ენა... რას ნიშნავს ეგ წინადადება, თქვენ რომ ბრძანეთ?

ფილოსოფიის მასწავლებელი. ეს ნიშნავს: „მეცნიერება რომ არ იყოს, ცხოვრება სიკვდილს დაედრებაო.“

ჟურდენი. ეგ თქვენი ლათინური სიმართლეს ამბობს.

ფილოსოფიის მასწავლებელი. მაშ, აბა, რითი დავიწყით? გნებავთ ლოლიკას გასწავლით?

ჟურდენი. ეგ ლოლიკა რაღაა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. ლოლიკა ჩვენი აზროვნების სამნაირ პროცესს გვასწავლის.

ჟურდენი. სახელდობრ, რომელ სამ პროცესს?

ფილოსოფიის მასწავლებელი. პირველს, მეორეს და მესამეს. პირველი — ის არის, რომ საგნის საერთო თვისებით შეადგინო მასზე წარმოდგენა, მეორე — კატეგორიებითი მსჯელობა; ხოლო მესამე — გვასწავლის სწორედ დასკვნას ფიგურების საშუალებით: Barbara, Celarent, Darii, Ferio, Baralipton, etcetera.

ჟურდენი. ოო, რა ბრძნული სიტყვებია! არა ეგ ლოლიკაა თუ რაღაც, მე არ მომწონს: მოდით სხვა რამ უფრო საინტერესო მასწავლეთ.

ფილოსოფიის მასწავლებელი. გნებავთ ზნეობის ფილოსოფიას გასწავლით.

ჟურდენი. ზნეობის ფილოსოფია?

ფილოსოფიის მასწავლებელი. დიახ.

ჟურდენი. რას გვასწავლის ზნეობის ფილოსოფია?

ფილოსოფიის მასწავლებელი. იგი გვასწავლის ბედნიერების მოპოებას, ვნებათა ლელვის შეკავებას და...

ჟურდენი. არა, არა. მაგას თავი დავანებოთ. მე ეშმაკსავით

ბრაზიანი ვარ და ვერავითარი ფილოსოფია ვერ მიშველის: როცა მომინდება ვიბრაზებ, რამდენიცა მსურს.

ფილოსოფიის მასწავლებელი. მაშ, ფიზიკის შესწავლა ხომ არ გნებავთ?

ჟურდენი. ფიზიკა რალა საკმელია?

ფილოსოფიის მასწავლებელი. ფიზიკიდან თქვენ გაიგებთ ყველა ფიზიკურ მოვლენათა კანონებს. ამ მოვლენათა მიზეზებს; ლითონთა, ცხოველთა და მცენარეთა თვისებებს. გაიგებთ აგრეთვე ცისარტყელის, ვარსკვლავთა ჩამოვარდნის, ელვის, ქუხილის, წვიმის, თოვლის, სეტყვის, ქარის, ქარიშხალის და სხვა მოვლენათა მიზეზებს.

ჟურდენი. ოო, ღმერთო ჩემო, რა დომხალია!

ფილოსოფიის მასწავლებელი. მაშ, რა გსურთ, რის შესწავლა გინდათ, ჩემგან?

ჟურდენი. მართლწერა შემასწავლეთ.

ფილოსოფიის მასწავლებელი. დიდი სიამოვნებით.

ჟურდენი. შემდეგ მასწავლეთ ისიც, თუ როგორ შევიტყო კალენდარის საშუალებით როდის არის მთვარე და როდის არა.

ფილოსოფიის მასწავლებელი. თქვენს მოთხოვნილებას ფილოსოფიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ, უნდა დავიწყოთ ერთგვარი რიგით. ჯერ უნდა გაიგოთ ასოთა თვისებანი და მათი გამოთქმის საშუალებანი. აქვე უნდა განვიმარტოთ, რომ ასოები ორ ნაწილად განიყოფებიან: ხმოვანი და თანხმოვანი. ხმოვანი ეწოდებათ იმიტომ, რომ ნიშნავენ ხმის ბგერას, თანხმოვანი კი — იმიტომ რომ გამოითქმება ხმოვანთა საშუალებით. ხმოვანი ასოები არიან შემდეგნი: ა, ე, ი, ო, უ.

ჟურდენი. აი მაგას კი მივხვდი.

ფილოსოფიის მასწავლებელი. რომ გამოსთქვათ ა, უნდა პირი ძალიან გააღოთ: ა.

ჟურდენი. (იმეორებს) ა, ა. ასე?

ფილოსოფიის მასწავლებელი. ე-ს გამოთქმისათვის საჭიროა ქვეითა ყბა ზეითას დაუახლოვოთ: ე.

ჟურდენი. ა, ე, ა, ე. დიახ, დიახ. სწორედ ეგრეა. რა კარგია!

ფილოსოფიის მასწავლებელი. რომ ი გამოთქვათ, უფაო უნდა დაუახლოვოთ ერთმანეთს ყბები, ხოლო ტუჩების კუთხეები უნდა ყურებისაკენ გასწიოთ. აი ასე: ა, ე, ი.

ჟურდენი. ა, ე, ი, ი, ი. სწორედ ეგრეა, გაუმარჯოს მეცნიერებას!

ფილოსოფიის მასწავლებელი. ო-ს, გამოთქმისათვის საჭიროა

ებების დაშორება ერთი მეორისაგან. ხოლო ტუჩების კუთხეების მანძილი კი უნდა დაამოკლოთ: ო.

შურდენი. ო, ო, ო. სწორება, სწორე! ა, ე, ი, ო, ი, ო, ი, ო. საკვირველია. ი, ო, ი, ო!

ფილოსოფიის მასწავლებელი. უ-ს გამოთქმისათვის კბილები თმის უნდა შეაკავშიროთ და ტუჩები წინ გამოსწიოთ: უ.

შურდენი. უ, უ! სწორედ ეგრეა: უ.

ფილოსოფიის მასწავლებელი. შეამჩნიეთ, ტუჩები წინ უნდა გამოსწიოთ: ასე რომ, თუ ვისმეს დაცინვას მოინდომებთ სახის დაღრეკით, საკმარისი იქნება სთქვა: უ.

შურდენი. უ, უ! მართალია, მართალი! ძალიან სამწუხაროა, რომ აქამდე ყველაფერი ეს არ მისწავლია.

ფილოსოფიის მასწავლებელი. ხვალ დანარჩენ ასოებსაც განვიხილავთ — თანხმობანებს.

შურდენი. ეგ ისეთივე საინტერესოა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. რასაკვირველია! აი, მაგალითად: ასო დ-ს გამოთქმისათვის საჭიროა ენის ბოლო ოდნავ ზედა კბილებსა ჰკრათ: და.

შურდენი. დდა, დდა! მშვენიერია, მშვენიერი!

ფილოსოფიის მასწავლებელი. იმისათვის რომ გამოსთქვათ რ, ენის წვერი უნდა სასას მიაბჯინოთ, სუნთქვის ძალით უნდა ააკანკალოთ და გამოვა ასო რა.

შურდენი. რ, რ, რ, ა! რ, რ, რ, ა! სრული კეშმარიტებაა! უუჰ — რა ხელოვანი ყოფილხართ, რამდენი დრო დავკარგე ტყვილა უბრალოდ. რრა, რრა!

ფილოსოფიის მასწავლებელი. ყოველივე ამას ხვალ აგიხსნით.

შურდენი. გთხოვთ, ახლა კი ერთი რამ უნდა საიდუმლოდ შეგატყობინოთ... აი, რა: შემეყვარდა ერთი წარჩინებული მანდილოსანი და მსურს მომეხმაროთ მისთან წერილის დაწერაში. იმ წერილს მის ფეხთა წინ დავაგდებ:

ფილოსოფიის მასწავლებელი. ძალიან კარგი!

შურდენი. ეს ხომ თავაზიანობა იქნება, არა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. რასაკვირველია. ლექსად გინდათ დასწეროთ თუ...

შურდენი. არა, არა, ლექსი აბა რა საჭიროა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. მაშ, პროზად გირჩევენიათ?

შურდენი. არც ლექსი მინდა და არც პროზა.

ფილოსოფიის მასწავლებელი. აუცილებელია რომ იყოს: ან ერთი, ან მეორე.

ჟურდენი. ეგ რადა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენი აზრების გამოთქმისათვის ორი საშუალება არის: ლექსი ან პროზა.

ჟურდენი. მხოლოდ ლექსი ან პროზა?

ფილოსოფიის მასწავლებელი. სხვაფრივ არ შეიძლება. რაც პროზა არ არის, ის ლექსია და რაც ლექსი არ არის, ის კი პროზაა.

ჟურდენი. მაშ ჩვენ როგორ ვლაპარაკობთ.

ფილოსოფიის მასწავლებელი. პროზით.

ჟურდენი. როგორ, განა ეს პროზაა, მე რომ ვიტყვი: ნიკო, მომიტანე ფლოსტები და ღამის თავსახვევი.

ფილოსოფიის მასწავლებელი. სწორედ.

ჟურდენი. გამოგიტყდებით—არ მეგონა, რომ აგერ უკვე ორმოცი წელიწადია პროზით ვლაპარაკობ... დიდად გმადლობთ, რომ ეს გამაგებინეთ... მაშ, აი რა მინდა მივწერო: წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები სიყვარულის ცეცხლს მიკიდებენ. მხოლოდ მინდა, რომ ეს გამოვიდეს, ასე ვთქვათ, უფრო ზრდილობიანად... როგორ გითხრათ... თავაზიანადაც.

ფილოსოფიის მასწავლებელი. მისწერეთ, რომ მის თვალთა ცეცხლმა თქვენი გული ნაცრად აქცია, რომ მის გამოისობით თქვენ დღე და ღამ განიცდით საშინელებას...

ჟურდენი. არა, არა... ეგ არ უნდა მე მხოლოდ ისე მინდა მივწერო, როგორცა ვთქვი: „წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები სიყვარულის ცეცხლს მიკიდებენ“.

ფილოსოფიის მასწავლებელი. ეგ აზრი უნდა უფრო ვრცლად გამოითქვას.

ჟურდენი. ხომ გითხარით არა მეთქი! სწორედ ეს სიტყვები მსურს იყოს წერილში... მხოლოდ ისე უნდა დაიწეროს, როგორც ახლაა მიღებული: ახალ ყაიდაზე, თქვენ მხოლოდ მასწავლეთ.

ფილოსოფიის მასწავლებელი. ჯერ ერთი შეიძლება ისევე, როგორც თქვენა ბრძანეთ, „წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები სიყვარულის ცეცხლს მიკიდებენ.“ ან კიდევ: „სიყვარულის ცეცხლს მიკიდებენ თქვენი მშვენიერი თვალები, წარმტაცო მარკიზა“. ან ასე: „მიკიდებენ ცეცხლს სიყვარულისას, წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები“. ასეც შეიძლება: „თქვენი მშვენიერი თვალები ცეცხლს სიყვარულისას მიკიდებენ, წარმტაცო მარ-

კიზა“. და თუ გნებავთ ასეც შეიძლება: „სიყვარულისა ცეცხლს, წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები მიკიდებენ“.

ჟურდენი. მაგათ შორის საუკეთესო რომელია?

ფილოსოფიის მახწავლებელი. ყველას ემგობინება დავწეროთ ისე, როგორც თქვენა სთქვით: „წარმტაცო მარკიზა, თქვენი მშვენიერი თვალები სიყვარულის ცეცხლს მიკიდებენ.“

ჟურდენი. როგორია, ჰა! არასოდეს არ მისწავლია და მშვენიერად კი გამოვიდა! ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ თქვენი და გთხოვთ ხვალ, რაც შეიძლება, ადრე მოხვიდეთ.

ფილოსოფიის მახწავლებელი. არ დავიგვიანებ.

სურათი მეფვილი

ჟურდენი და მსახური

ჟურდენი. (მსახურს) ნუ თუ ჩემი ტანისამოსი ჯერ არ მოუტანიათ?

მსახური. ჯერ არა, ბატონო!

ჟურდენი. ამდენი საქმე მაქვს და ის დაწყევლილი თერძი კი მალოდინებს! სწორედ რომ მოთმინებიდან გამოვყვეარ! ციებ-ციებლებამ კი მოჰკლას ის არამზადა, ისა! შავმა ჭირმა დაახრჩოს, ეშმაკის კერძი! ერთი, მეტი არ მინდა, თვალით დამენახოს ის ძალღი, ცუღღლუტი, არამზადა! მე იმას...

სურათი მერვე

(ჟურდენი, მსახური, თერძი, თერძის შიქი, რომელსაც ჟურდენმა ცანისამოსი მიაქვს).

ჟურდენი. აა, მობრძანდით? მე კინაღამ გავჯავრდი.

თერძი. ძლივს მოვასწარი, ბატონო, ისიც იმიტომ, რომ ოცი ქარგალი დავსვი თქვენი ტანისამოსის შესაკერად.

ჟურდენი. თქვენი გამოგზავნილი აბრეშუმის წინდები ისეთი ვიწრო გამოდგა, რომ ძლივს ჩავიცვი. აი ორი თვალი ამოვარდა კიდევ.

თერძი. არაფერია, ბატონო, გაიწვეს.

ჟურდენი. ჰო, დიახ, როცა სულერთიანად დაიგლიჯება, არა? ეს ფეხსაცმელიც საშინლად მიჭერს.

თერძი. არ შეიძლება, ბატონო.

ჟურდენი. როგორ თუ არა?

თერძი. სრულიადაც არ გიკერათ.

ჟურდენი. გეუბნებით, მიკერს მეთქი.

თერძი. თქვენ მხოლოდ გგონიათ.

ჟურდენი. დიახ, მგონია, იმიტომ, რომ ფეხებსა მტკენს! შეხეთ, რა კარგად მსჯელობს!

თერძი. აბა ჟურდენო, რა მშვენიერი ტანისამოსი მოგართვით, მეფის კარზეც გამოდგება! სწორედ საკვირველია, როგორ მოვახერხე ასე დარბაისლური ტანისამოსის შეკერვა, არაშავიფერის მატერიისაგან. სანაძღვოს დავდებ, თუ ამაზე უკეთესად ვინმე გამოჩენილი თერძი შეპკერავს.

ჟურდენი. ეს რაა? ყვავილები თავდალმა მოგიქცევიათ!

თერძი. შეკვეთის დროს არ გითქვამთ, რომ თავაღმა მომეცია.

ჟურდენი. ამას განა თქმა უნდა?

თერძი. მაშ როგორ? მთელ წარჩინებულ ხალხს სწორედ ასე აცვიათ.

ჟურდენი. ასე, ყვავილები თავდალმა?

თერძი. დიახ, ბატონო!

ჟურდენი. მართლა, იცით, ასე ძალიან ლამაზია.

თერძი. თუ გნებავთ, შემოვაბრუნებ..

ჟურდენი. არა, არა!

თერძი. მიბრძანეთ მხოლოდ!

ჟურდენი. არა მეთქი, საჭირო არ არის. ძალიან კარგად არის გაკეთებული. როგორ გგონია ეს ტანისამოსი მომიხდება?

თერძი. რასა ბრძანებთ! თავს დავდებ, თუ რომელიმე მხატვარი უკეთესს დახატავს. ერთი შეგირიდი მყავს, შარვლის შეკერვაში სწორედ რომ გენიოსია, ხოლო მეორე ზედატანის გამოყვანაში ჩვენი დროის გმირია სწორედ.

ჟურდენი. პარიკი და ფრთები ხომ კარგია?

თერძი. უკეთესი შეუძლებელია!

ჟურდენი. (თერძის ტანისამოსს სინჯავს) ეჰე, ბატონო თერძო, თქვენი ტანისამოსიც სწორედ ჩემი მასალიდან არის შეკერილი. ამასწინად რომ შევიკერე, იმას ჰგავს. ვიცანი, ვიცანი!

თერძი. თქვენი მასალა იმდენად მშვენიერი იყო, რომ მართალბოთხრათ, ვერ მოვითმინე და ცოტა ჩემთვისაც ვადავიჭერი.

ჟურდენი. ეგ მართალია, მაგრამ ჩემსას რად მოაპკირით.

თერძი. გნებავთ ჩაიცვათ?

ჟურდენი. აბა, მოიტათ.

თერძი. არა, ბატონო, ეგრე როგორ შეიძლება ჩემი კაცები ჩა-
გაცმევენ, საკირო ცერემონიით, როგორც ეს წარჩინებულთა წრეში
ხდება ხოლმე. აი თქვენ! აბა, მოდით!

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ი

(ქურდენი, მსახური, თერძი, თერძის შიჭი, და თერძას
მთევრავი შვიტრდენი)

თერძი. აბა ჩააცვით ბატონს ისე, როგორც წარჩინებულთ აცმევთ
ხოლმე.

ბალეტის პირველი გამოხვლა.

(ოთხი შვიტრდენი ცეკვით ჟურდენს მიუახლოვება. ორნი მას შარვალს გახდინან
ხოლო დანარჩენნი ხედატანს, შემდეგ ისევე ცეკვით ჟურდენს ახალ ტანისამოსს
ჩააცმევენ. ჟურდენი რომ ჩაიცვამს, შედიდურად დაიწყებს სიარულს).

შეგირდი. თქვენო კეთილშობილებავ, მაჩუქეთ რამე. დაგლოცოთ.

ჟურდენი. როგორ მითხარი?

შეგირდი თქვენო კეთილშობილებავ!

ჟურდენი. თქვენო კეთილშობილებავ! აი რას ნიშნავს, როცა ისე
გაცვია, როგორც წარჩინებულს. აბა მდაბიურად მეცვას, — ვინ და-
ნიძახებს ასე. (მისეგმს ფულს) აი, აჰა, ჩემი კეთილშობილებისაგან მიიღე.

შეგირდი. თქვენო ბრწყინვალელებავ, მაჩუქეთ რამე.

ჟურდენი. ბრწყინვალელებავ! ოჰო! თქვენო ბრწყინვალელებავ! მოიცა
მეგობარო, „თქვენო ბრწყინვალელებავ“ — ღირს რადმე თუ არა? ეს
ხომ უბრალო რამე ხომ არ არის — თქვენო ბრწყინვალელებავ! აი რას
გაძლევს მისი ბრწყინვალეება.

შეგირდი. თქვენო უგანათლებულესობავ, ჩვენ ყველანი თქვენი
უგანათლებულესობის სადღეგრძელოს დავლევთ.

ჟურდენი. უგანათლებულესობა! ა! აი სადამდის მივალწიე. მე
მეუბნებიან — უგანათლებულესობაო! ოჰოჰო! (განუხ) ღმერთმანი, თუ
უმაღლესობამდე მივიდა — მთელ ქისას ვაჩუქებ. (ზმა მალლა) აი, ესეც
ჩემი უგანათლებულესობისაგან.

შეგირდი. დიდად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალელებავ, მოწყა-
ლებისათვის.

ჟურდენი. კარგია რომ წავიდა, თორემ მართლაც მთელ ქისას
მივცემდი.

ბალეტის მეორე გამოხვლა

(ოთხი შვიტრდენი ცეკვავს და მხიარულობს, კმაყოფილი ჟურდენის
გულუხვობით).

მოქმედება მესამე

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

აქრდენი და ორი მსახური

ჟურდენი. აბა, გამომყევით მე მსურს ახალ ტანისამოსში გავიარო და ქალაქს ჩემი თავი დავანახო, იცოდეთ კი, ერთი ნაბიჯიც არ ჩამომრჩეთ! დეე, ყველამ დამინახოს, რომ თქვენ ჩემი მსახურები ხართ.

მსახური. გვესმის, ბატონო.

ჟურდენი. ნიკოლს დამიძახეთ, უნდა ვუბრძანო რამე, მოხცათ, აი თვითონ მოვიდა კიდეც.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ი

(აქრდენი ორი მსახური და ნიკოლი)

ჟურდენი. ნიკოლ!

ნიკოლი. რა გნებავთ?

ჟურდენი. უური დამიგდე...

ნიკოლი. ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. რას იცინი?

ნიკოლი. ხი-ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. რას იკრიკები, შე გომბიოვ!

ნიკოლი. ხი-ხი-ხი! რასა ჰგეგხართ. ხი-ხი!

ჟურდენი. რა არის?

ნიკოლი. ოხ, ღმერთო ჩემო, ღმერთო! ხი-ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. ერთი უყურეთ რა თავხელია? მე დამცინი, არა?

ნიკოლი. არა, ბატონო, აბა, ეგ როგორ შეიძლება... ხი-ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. აბა ერთი კიდეე გავიცინია და... ცხვირპირს დაგამტვრევ.

ნიკოლი. ბატონო, რა ვქნა თავი ვერ შემიკავებია. ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. არ გაჩუმდები!

ნიკოლი. მაპატიეთ, ბატონო... მაგრამ სწორედ რომ სპასილო ხართ... აღარ შემიძლიან... ხი-ხი-ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. ერთი შეხედეთ, რა თავხედობაა!

ნიკოლი. სასაცილო ხართ მაგ ტანისამოსში. ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. მე შენ...

ნიკოლი. მაპატიეთ ღვთის გულისათვის... ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. გესმის, თუ არა! თუ არ გაჩუმებულხარ, ღმერთმან ისეთ სილას გაგაწინავ, ქვეყანაზე ჯერ არ ნახულს.

ნიკოლი. აი, გაეჩუმდი... აღარ გაეციენებ.

ჟურდენი. აი, ეგრე! მე იმიტომ გეძახობდი, რომ აქაურობის დალაგება მეგრძანებინა.

ნიკოლი. ხი-ხი!

ჟურდენი. კარგად უნდა დააღაგო.

ნიკოლი. ხი-ხი!

ჟურდენი. მეტადრე სასტუმრო დარბაზი.

ნიკოლი. ხი-ხი!

ჟურდენი. კიდევ?

ნიკოლი. (სიცილით სკამზე დაეშვება) რაც უნდა ბრძანოთ, რომ მომკლათ კიდევ, არ შემიძლია... ჯერ სიცილით გული მოვიჯერო. ხი-ხი-ხი!

ჟურდენი. ლამის გავგიჟდე.

ნიკოლი. არა, მადლი ჰქენით, მომეცით ნება გაეცინო. ხი-ხი-ხი!

ჟურდენი, საძაგელო! როცა ბატონი ბრძანებას გაძლევს შენ მას დასცინი, დაიკარგე აქედან.

ნიკოლი. მიბრძანეთ, რა გნებავთ.

ჟურდენი. ოთახები კარგად დააღაგე, მალე სტუმრები მოვლენ.

ნიკოლი. (ადგება) ახლა კი, მართლაც, სიცილისათვის აღარა მცალიან. თქვენი სტუმრები ყოველთვის აურ-დაურევენ ხოლმე აქაურობას, საკმარისია გავიგონოთ სიტყვა „სტუმრები“, მაშინვე ცუდ გუნებაზე დაედგები ხოლმე.

ჟურდენი. მაშ, შენი გულისათვის ჩემს სტუმრებს ჩემი სახლის კარი უნდა დაუხშო, არა?

ნიკოლი. თუ მე მკითხავთ, ზოგიერთ მათგანს მართლა უნდა დაუხშოთ კარი.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

(ქურდენი, ნიკოლი, და დ-ნი ქურდენი)

ქ-ნი ჟურდენი. ახ, ახ! ეს რაღა ახალი ამბავია? როგორ გამოპრანქულა ჩემო ქმარო, მაგ ჯამბაზურ ტანისამოსით ვის გასულელელებას აპირებ? ის გინდა არა, რომ კეთილი ხალხის თითით საჩვენებელი გახდე?

ჟურდენი. მე მხოლოდ სულელები დამცინებენ.

ქ-ნი ჟურდენი. ისედაც ყველა დაგცინის, ნუ გეშინიან.

ჟურდენი. ერთი ეს მიბრძანეთ, ვინა, ვინ დამცინის?

ქ-ნი ჟურდენი. ყველა; ვინც კი შენსავით სულელი არ არის. და თავში ცოტა ტვინი მაინცა აქვს. სირცხვილით ვიწვი, შენს ცხოვრებას რომ ვხედავ. აბა, რას ჰგავს ჩვენი სახლი? დილიდან დაწყებული ნამდვილი სოდომია: ვიოლინოზე აწრიპინებენ, მღერიან, მეზობლებს მოსვენება არა აქვთ.

ნიკოლი. მართალია, ქალბატონო, აბა, როგორ შემიძლიან წესრიგი დავამყარო, თუ კი აქ ამოდენა ხალხი დადის. მთელი ქალაქის მტვერი აქ შემოაქვთ ფეხებით... საცოდავი ფრანცისკა, სწორედ წელში გაწყდა თქვენი ვილაც მასწავლებლების წასვლის შემდეგ, იატაკის წმენდით.

ჟურდენი. ნიკოლ... შენ მეტის მეტს ყბედობ. თავს ნუ ივიწყებ.

ქ-ნი ჟურდენი. ნიკოლი მართალია. ამას ჰქუააც შენზე მეტი აქვს, აბა, ერთი ეს მითხარი შენს ხანში, რისთვის დაგჭირდა ცეკვის მასწავლებელი.

ნიკოლი. ან კიდევ ის აყლაყუდა მასწავლებელი ფარიკაობისა. მისი ფეხის ბრახუნით მთელ სახლს ზანზარი გააქვს... დარბაზში მალე ქერისა და კედლების ნალესი ჩამოინგრევა.

ჟურდენი. გაჩუმდით ორივენი, ცოლო და მოახლე!

ქ-ნი ჟურდენი. რალა დროს შენი ცეკვაა, როცა ცალი ფეხი სამარეში გიდგას!

ნიკოლი. ნუთუ ვინმეს სიკვდილი განიზრახეთ?

ჟურდენი. გაჩუმდით მეტი, გეუბნებით! თქვენ ორივენი ხეპრეები ხართ და არ გესმით ცეკვისა და ფარიკაობის დიდი მნიშვნელობა.

ქ-ნი ჟურდენი. ის გირჩევიან ქალიშვილის გათხოვებაზე იზრუნო.

ჟურდენი. ჩემი ქალიშვილის გათხოვებაზე მაშინ ვიზრუნებ, როცა შესაფერ საქმროს გამოფუნახავ. მაგრამ განა არ შეიძლება, რომ ჩემს საკუთარ განათლებაზედაც ვიზრუნო?

ნიკოლი. იცით ქალბატონო, ამბობენ ფილოსოფიის მასწავლებელიც მოუწყვეია.

ჟურდენი. დიახ, მოვიწვიე... მოვიწვიე იმიტომ, რომ მინდა ჰქვია-ნი კაცი გაუხდე და პატიოსან საზოგადოებაში გავერიო.

ქ-ნი ჟურდენი. არა სჯობია სასწავლებელში წახვიდე, რომ ამ სიბერის დროს კარგა ლაზათიანად გაგწყვილონ?

ჟურდენი. დიახ, სწორედ, მე რა დიდი სიამოვნებით გავწყობ-
ლავედი ჩემს თავს, თუ რომ შემასწავლიდენ ყოველივე იმას, რასაც
სკოლებში ასწავლიან.

ნიკოლი. ეგ ამბავი თქვენ მართლაც გაგასწორებდათ.

ჟურდენი. რასაკვირველია!

ქ-ნი ჟურდენი. ძალიან არ მეპიტნაება შენი მეცნიერება: რა
გამოსადეგია ოჯახისათვის, ერთი მითხარიო?

ჟურდენი. სწორედ, რომ გამოსადეგია! სულელები ხართ ორთა-
ვენი! მცხვენთან სწორედ, რომ ასეთი უსწავლელი ხართ! (ცოლს)
გესმის კი რაცა სთქვი ახლა?

ქ-ნი ჟურდენი. ძალიან კარგად! ვიცი რას ვლაპარაკობ და ძა-
ლიან კარგად მოგახსენებ, უნდა დაფიქრდებ და ასეთ ცხოვრებას თავი
დაანებო.

ჟურდენი. მაგას არ გეუბნები. მე იმას გკითხავ, რა არის შენი
სიტყვები, ახლა რომ წარმოსთქვი?

ქ-ნი ჟურდენი. აზრიანი და ჰკვიანი სიტყვებია. აი შენი ქვევაც
რომ ასეთი იყოს...

ჟურდენი. ეგ, მაგაზე კი არ გეუბნები. მე შენ გკვირებები რა
არის, ახლა მე რომ გელაპარაკები? აი, აი! ახლა რომ გკითხავ?

ქ-ნი ჟურდენი. სისულელე!

ჟურდენი. ეხ, არა!.. აი ახლა რომ ვლაპარაკობთ... ჩვენი ეს
საუბარი რა არის?

ქ-ნი ჟურდენი. რა?

ჟურდენი. რა ჰქვიან ამას?

ქ-ნი ჟურდენი. რაც გინდა, ის დაარქვი.

ჟურდენი. ეს პროზაა, გაუნათლებლო დედაკაცო!

ქ-ნი ჟურდენი. პროზა?

ჟურდენი. დიახ, პროზა. ყველაფერი, რაც ლექსი არ არის პრო-
ზაა. — და რაც პროზა არ არის, ის კი ლექსია! აი განათლება რა
არის. (ნიკოლს) შენ იცი ასო უ როგორ უნდა გამოსთქვა?

ნიკოლი. რაო?

ჟურდენი. აბა სთქვი: უ.

ნიკოლი. აჰა უ.

ჟურდენი. რა ქენი ახლა?

ნიკოლი. ვთქვი: უ.

ჟურდენი. როდესაც უ-ს ამბობ, რას აკეთებ?

ნიკოლი. ვაკეთებ, რასაც მიბრძანებთ.

ჟურდენი. ოხ, რა უბედურებაა, საქმე რომ გაუნათლებელთანა გაქვს! აი როგორ: ტუჩები წინ უნდა გამოსწიო და ყბები კი ერთმანეთს უნდა მიუახლოვო: უ. ხედავ. ანდა, აი ასე დაიღრიჯო.

ნიკოლი. ერთი სიტყვით მშვენიერია.

ქ-ნი ჟურდენი. სწორედ რომ საკვირველია.

ჟურდენი. ან მაგალითად, ო. უ, ან ა. და ან კიდევ რ სულ სხვანაირად.

ქ-ნი ჟურდენი. ეგ რაღა აბღაუბღაა?

ნიკოლი. რომელ ავადმყოფობას უხდება ეგა?

ჟურდენი. სწორედ გადამრევენ ეს გაუნათლებელი დედაკაცები.

ქ-ნი ჟურდენი. მე რომ შენ ვიყო, იმ ადამიანებს, მაგეებს რომ გასწავლიან, გავრეკავდი.

ნიკოლი. მეტადრე იმ აყლაყულა მოფარიკავეს... მტვერის დაყენების მეტი არა იცის რა.

ჟურდენი. შენ ის მოფარიკავე როგორღაც არ მოგწონს. ახლავე დაგიმტკიცებ, რომ მის ხელობაში შენ სრულიად უვიცი ხარ. (აიღებს ჭანჭებს. ერთს მისიკებს ნიკოლს) აბა, დაიჭი! სწორედ დადექი, როცა კარტა ხმარობ ჩემ მოსახვედრად, უნდა ასე ქნა... ხოლო როცა ტიერს, აი ესე, ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებაა თავდაცვისათვის. და როცა ვისმის ეომები, იმაზე კარგი რაღა არის, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ვერ მოგკლავენ. აბა დადექი და შემომიტიე.

ნიკოლი. აი, აჰა! რა?.. (რამდენჯერმე მოახვედრებს დაშნას).

ჟურდენი. ნელა... ოი, ოი, ოი!.. ეშმაკმა კი წაგიღოს, საძაგელო!

ნიკოლი. თქვენ თითონ არ მიბრძანეთ, შემომიტიეო?

ჟურდენი. კი, მაგრამ, ჯერ კარტი უნდა გეხმარა და მერე ტიერსი... შენ არ მოითმინე, ვიდრე მე შეტევას არ ავიცდენდი.

ქ-ნი ჟურდენი. შენ, ჩემო კარგო, მაგ მიქარვებით კეჟიდან შეიშალე, დიახ, კეჟიდან შეიშალე სწორედ მას შემდეგ, რა რომ წარჩინებულებს გადაეკიდე.

ჟურდენი. თუ ჩემთან პატიოსანი ხალხი დადის, ეს ჩემი გემოვნების მაჩვენებელია... შენს ნაცნობ მდაბიობთან ნაცნობობას წარჩინებულთა საზოგადოების ნაცნობობა სჯობიან!

ქ-ნი ჟურდენი. დიახ, სწორედ! დიდი სარფაა თქვენთვის მალალი წრის ხალხი, მეტადრე ის პირლამაზა გრაფი, შენ რომ გაგიყვებით მოგწონს და გიყვარს.

ჟურდენი. დაჩუმდი, გირჩევნია. ჯერ იფიქრე და მერე წამორო-შე. იცი რომ, როცა იმაზე ლაპარაკობ, არც კი გაქვს წარმოდგენი-

ლი, თუ ვისზე ლაპარაკობ. იგი ძალიან დიდი პიროვნებაა. უფრო დიდი, ვიდრე შენა გგონია! კარისკაცთაგან უპირველესია, თვით მეფეს ისევე ელაპარაკება, როგორც მე შენ. განა ეს სახარბიელო არ არის, რომ ასეთი მაღალი პიროვნება ჩემთან ხშირად დაიარება, მეგობარს მეძახის და ისე მეპყრობა, ვით თანასწორს. ჩემ მიმართ იმდენ სიკეთეს იჩენს, რომ ხანდახან მცხვენნიან კიდევ.

ქ-ნი ჟურღენი. დიახ, სწორედ, კეთილია და გელოლიავება მისთვის მხოლოდ, რომ ფულები დაგესესხოს.

ჟურღენი. მერე რა? ჩემთვის განა პატივი არ არის, რომ ასეთ წარჩინებულ კაცს ფულებს ვასესხებ?

ქ-ნი ჟურღენი. ნეტავ ვიცოდე პირადად შენთვის ის წარჩინებული პიროვნება რას აკეთებს?

ჟურღენი. რომ იცოდეთ, რასაც აკეთებს, მეტად გაგიკვირდებოდათ.

ქ-ნი ჟურღენი. ჰო და სთქვი, რას აკეთებს?

ჟურღენი. ბასტა! ამას კი ველარ გეტყვით. შენთვის ისიც საკმარისი უნდა იყოს, რომ მას ფული ვასესხე და ძალიან მალე დამიბრუნებს.

ქ-ნი ჟურღენი. როგორ არა, დიახ, ელოდე.

ჟურღენი. აი ნახავ! განა არ დამპირდა?

ქ-ნი ჟურღენი. და უსათუოდ მოგატყუებს.

ჟურღენი. მე მან კეთილშობილის პატიოსანი სიტყვა მომცა.

ქ-ნი ჟურღენი. ზღაპარია!

ჟურღენი. ნუთუ? ო, რანაირი ჯიუტი ხარ! მე კი გარწმუნებ, სიტყვას შეასრულებს მეთქი. ამაში დარწმუნებული ვარ.

ქ-ნი ჟურღენი. მე კი დარწმუნებული ვარ, არ შეასრულებს. ყოველივე მისი ქათინაურები იმისთვის არის, რომ ხაფანგში გაგაბას.

ჟურღენი. კარგია, კმარა, აგერ თითონაც მოდის.

ქ-ნი ჟურღენი. ეგლა მაკლდა! ალბათ ისევე ფულის სასესხებლად მობრძანდა. მისი ყურებით სწორედ სული მეხუთება.

ჟურღენი. ხმა გაიკმიდე-მეთქი!

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

(ქურდენი, ქ-ნი ქურდენი, ნიჟელი და დღარანცი)

დორანტი. როგორა ბრძანდებით, ძვირფასო მეგობარო, ბატონო ქურდენ?

ქურდენი. ძალიან კარგად, ჩემო ბატონო. მზად გახლავართ თქვენდა სამსახურად.

დორანტი. ქ-ნი ქურდენი როგორლა ბრძანდება?

ქ-ნი ქურდენი. ისე ვარ, როგორცა ვარ.

დორანტი. ო, ღღეს თქვენ მშვენივრალა ხარო ჩაცმული, ბატონო ქურდენ.

ქურდენი. თქვენ შეამჩნიეთ?

დორანტი. ამ ტანსაცმელში თქვენ მშვენიერი შესახედავი ხარო, სასახლის კარზე არც ერთი ახალგაზრდა არა გვყავს თქვენსავით ტანადი.

ქურდენი. ხე, ხე, ხე!

ქ-ნი ქურდენი. (განზე) იცის, რაც იამება.

დორანტი. აბა, შემოტრიალდით. მშვენიერი, მშვენიერი!

ქ-ნი ქურდენი. (განზე) დიახ, სულელურია წინიდანაც და უკნიდანაც.

დორანტი. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ბატონო ქურდენ, რომ მე მოუთმენლად მოველოდი თქვენთან შეხვედრას. იცით, ყველა ჩვენ წარჩინებულ პირთა შორის თქვენდამი უფრო ვგრძნობ პატივისცემას. აი, სწორედ ღღეს მეფეს ველაპარაკებოდი თქვენზე მის კაბინეტში.

ქურდენი. განა ღირსი ვარ. მაგ პატივისა? (ცოლს) გესმის. მეფის კაბინეტშიო?

დორანტი. რატომ ქუდს არ დაიხურავთ?

ქურდენი. აბა, რასა ბრძანებთ, ჩემი პატივისცემა თქვენდ...

დორანტი. კარგით ერთი... დაიხურეთ. ჩვენ შორის ვგ ცერემონიები არ გამოდგება.

ქურდენი. მაგრამ...

დორანტი. დაიხურეთ მეთქი! ქურდენ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

ქურდენი. მე თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე გახლავართ.

დორანტი. მაშ, თუ აგრეა, მეც თავშიშველა ვიქნები.

ქურდენი. არა, არა (დაიხურავს) სჯობია ისევ უზრდელი ვიყო, ვიდრე შევაწუხო ვინმე.

დორანტი. ხომ იცით, მე თქვენი მოვალეცა ვარ.

ქ-ნი ჟურდენი. (განზე) ეგ ძალიან კარგად ვიცით.

დორანტი. რამდენჯერ იყო, რომ სულგრძელობით მასესხეთ ფული და ამას ისე სათუთად სჩადიოდით, რომ...

ჟურდენი. თქვენ ხუმრობთ, ბატონო.

დორანტი. ჩემი წესია ფულის გადახდა, პატივისცემაც და დაფასებაც ვიცი.

ჟურდენი. განა მაგის ექვი მაქვს?

დორანტი. მოგიედი ანგარიშის გასასწორებლად.

ჟურდენი. (ცოლს) ხედავ შენს თავხედობას?

დორანტი. მე ისეთი კაცი ვარ, რომელსაც ანგარიშის გასწორება თავის დროზე უყვარს.

ჟურდენი. (თავის ცოლს ჩუმაღ) მე ხომ გეუბნებოდი ამას.

დორანტი. ენახოთ ერთი რამდენი მმართველს.

ჟურდენი. (ჩუმაღ თავის ცოლს) აი რა სასაცილოა შენი ექვები!

დორანტი. ხომ კარგად გახსოვთ, რაც მომეცით?

ჟურდენი. მგონია მახსოვს. პატარა ანგარიში მაქვს შედგენილი, აი პირველად 200 ლუიდორი მოგეცით.

დორანტი. დიახ, დიახ.

ჟურდენი. მეორედ — 120.

დორანტი. სწორედ.

ჟურდენი. შემდეგ — 140.

დორანტი. სრული კემმრითებაა.

ჟურდენი. ყველა ეს ერთად 460 ლუიდორს შეაღვენს, ან და 5060 ლივრს.

დორანტი. ანგარიში სწორია, სწორედ 5060 ლივრია.

ჟურდენი. 1832 ლივრი თქვენ მაგიერ მე მივეცი პლიუმბეების ვაჭარს.

დორანტი. მართალია.

ჟურდენი. 2780 ლივრი — თქვენს მკერავს.

დორანტი. დიახ, დიახ.

ჟურდენი. სხვადასხვა მალაზიებს — 4379 ლივრი, 12 სუ და 8 დენიე.

დორანტი. 12 სუ და 8 დენიე, არა? ანგარიში სწორია.

ჟურდენი. ხოლო უნაგირების ოსტატს — 1748 ლივრი, 7 სუ და 4 დენიე.

დორანტი. სრული სიმართლეა. სულ რამდენია?

ჟურდენი. სულ გახლავთ 15800 ლივრი.

დორანტი. ჯამიც სწორია. 15800 ლივრი. ამ ანგარიშს კიდევ ორასი პისტოლი მიუმატეთ. ამას დღეს მომცემთ და მაშინ სწორედ თვრამეტი ათასი ფრანკი იქნება. ყველა ამას სულ ახლო ხანში გადაგიხდით.

ქ-ნი შურდენი. (ქმარს) ჰე, გამოვიცანი თუ არა?

შურდენი. (ცოლს ჩუმაღ) გაჩუმდი!

დორანტი. იქნება თქვენთვის უხერხული იყოს, რომ მომცეთ ის, რაც გთხოვეთ.

შურდენი. ო, არა!

ქ-ნი შურდენი. (ქმარს ჩუმაღ) ამ კაცმა შენ საწველი ფური გაგხადა.

შურდენი. (ცოლს) ხმა გაკმდი.

დორანტი. თუ თქვენ გეძნელებათ — სხვას მივმართავ.

შურდენი. არა, არა!

ქ-ნი შურდენი. (ქმარს ჩუმაღ) ვიდრე არ გაგაკოტრებს, ვერ მოსვენებს.

შურდენი (ცოლს) გაჩუმდი-მეთქი!

დორანტი. ნუ მომერიდებით, თუ ღმერთი გწამთ, იქნებ ეს თქვენთვის უხერხულია.

შურდენი. აბა რასა ბრძანებთ.

ქ-ნი შურდენი. (ქმარს) რა გაიძვერაა!

შურდენი. (ცოლს) გაჩუმდი მეთქი!

ქ-ნი შურდენი. (ქმარს) სულსაც ამოგაცლის.

შურდენი. (ცოლს) არ გაჩუმდები?

დორანტი. რასაკვირველია, ყველა ჩემი მეგობარი, ვისაც კი მივმართავდი, ამ ფულს არ დამიჭერდა, მაგრამ მე თქვენ მოგმართეთ, როგორც მეგობარს, რომ არ გწყენოდათ.

შურდენი. ეგ ჩემთვის დიდი, დიდი პატივია, ბატონო. ახლავ გამოგიტანთ.

ქ-ნი შურდენი (ქმარს) გაგიყდი? ზნდა ასესხო?

შურდენი. (ცოლს) მაშ როგორ, ისეთ წარჩინებულ ძირს, რომელმაც ჩემზე მეფესთან ილაპარაკა, უარს ზომ ვერ ვიტყვი!

ქ-ნი შურდენი. ეეჰ, შე გამოყვეჩებულო!

სურათი მახუთე

(დორანტი, ე-ნი აურდენი, ნიათლი)

დორანტი. თქვენ, ვგონებ, გუნებაზე არა ბრძანდებით? რა ამბავია, ე-ნო აურდენ?

ე-ნი აურდენი. თავი მტკივა, ლამის 'გამისკდეს.

დორანტი. თქვენი ქალიშვილი სადა ბრძანდება? ამ ბოლო ხანებში ველარა ვხედავ.

ე-ნი აურდენი. ჩემი ქალიშვილი იქ არის, სადაც უნდა იყოს.

დორანტი. როგორ არის?

ე-ნი აურდენი. ისეა — როგორც უნდა იყოს.

დორანტი. ხომ არ ისურვებთ, მობრძანდეთ ამ დღეებში სასახლეში თქვენი ქალიშვილით, რომ იქ ნახოთ კომედია და ბალეტი?

ე-ნი აურდენი. ოღონდაც... ახლა ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სასაცილო... დიახ, უნდა ვიცინოთ!

დორანტი. მე მგონია, ე-ნო აურდენ, ახალგაზრდობაში თქვენ ბევრი თაყვანის მცემელი გეყოლებოდათ. ლამაზი იქნებოდით და მხიარულიც.

ე-ნი აურდენი. დღეთისმშობელო მარიამ! განა მე მიხრწნილი ბებერი ვარ?

დორანტი. არა, აბა რასა ბრძანებთ, ქალბატონო, მამაკითხ... სრულიად დამავეიწყდა, რომ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ბრძანდებით..

სურათი მამეძვსე

(აურდენი, დორანტი, ე-ნი აურდენი, ნიათლი)

აურდენი. (დორანტს) აი, სწორედ ორასი ლუიდორია.

დორანტი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო აურდენ, რომ გულით და სულით თქვენი ვარ და ჩემი ერთად ერთი მხურვალე სურვილია მეფის კარზე გამოგადგეთ რაითიმე.

აურდენი. დიდათ გმადლობთ.

დორანტი. ათუ რომ ე-ნი აურდენს სურს წარმოდგენის ნახვა სასახლეში, მე განკარგულებას მოვახდენ და მისთვის საუკეთესო ადგილებს დავუკვეთავ.

ქ-ნი ურდენი: ქ-ნი ურდენი ხელებზე გგოცნით.

დორანტი. (ჩემად ურდენს) თანახმად ჩემი წერილისა ჩენი მშვენიერი მარკიზა საცაა გაჩნდება სადილად და ბალეტის სანახავად. მასთანვე მე მოვახერხე ისე, რომ იგი დასთანხმდა თქვენგან საჩუქარიც მიიღოს.

ურდენი. ცოტა განზე გავდგეთ... რადგანაც...

დორანტი. უკვე ერთი კვირაა, რაც მე და თქვენ ერთმანეთი არ გვინახავს და დღემდე ველარა შეგატყობინეთ რა იმ ბრილიანტის ბექტის შესახებ, მარკიზასთვის გადასაცემად რომ მომეცით, და მიუხედავად იმისა, რომ უხერხული იყო მარკიზასათვის ასეთი საჩუქრის მიღება თქვენგან, მე მაინც იმდენი მოვახერხე, რომ მივალბინე.

ურდენი. ხომ მოეწონა?

დორანტი. ძალიან.—იქნებ მე ვცდები, მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ ის ნივთი მარკიზაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენს სასარგებლოდ.

ურდენი. ნეტავი თქვენი სიცოცხლით.

ქ-ნი ურდენი. (ნიკოლს) ერთი თუ ნახა ეგა, მერე ველარ მოაშორებ.

დორანტი. მასთანვე საკმარისად ვაგრძნობინე საჩუქრის ღირებულებაც და თქვენი მისდამი სიყვარულის სიძლიერეც.

ურდენი. მაგდენი წყალობა... მრცხვენთან ღმერთმანი, თქვენ რომ ბრძანდებით ეგზომ მაღალი ხარისხის კაცი და ჩემთვის ამდენს ირჯებით...

დორანტი. ხომ არა ხუმრობთ! ნუთუ მეგობრისათვის ასეთი მცირე რამ საქმელი უნდა იყოს? განა თქვენ თითონ ჩემთვის მაგასვე არ იზამდით?

ურდენი. რა ბრძანებაა?.. წრფელის გულით!

ქ-ნი ურდენი. (ურდენს) ეს კაცი გულზე ლოდვიტმაწევს.

დორანტი. (ურდენს) მეგობრისათვის არაფერსაც არ დავერიდები. როგორც კი გამიმელანეთ თქვენი მარკიზისადმი სიყვარული, მარკიზას მეც ვეარზიყებოდი, გახსოვთ, მაგრამ მაშინვე აღვითქვით ამ საქმეში ჩემი დახმარება.

ურდენი. სრული ჰემმარიტებაა... თქვენი ასეთი გულკეთილობა. მრცხვენთან ღმერთმანი.

ქ-ნი ურდენი. (ნიკოლს) მგონი, წასვლას სულაც არ აპირებს.

ნიკოლი. (ქ-ნი ურდენს) ერთად რომ არიან, თავს მხიარულად გრძნობენ.

დორანტი. თქვენ კი მისი გული შიგ ნიშანში ამოიღეთ და მოხვდა კიდევ. ქალებს უყვართ, როცა ფულებს ახარჯავენ. თქვენი გამუდმებული სერენადები, თაიგულები, მშვენიერი შუმუნები წყალზე, ბექედი და ბოლოს ახლა რომ საჩუქარს უმზადებთ, მერწმუნეთ ყოველივე ეს უფრო მჭერმეტყველური ლაღადია, ვიდრე ის, რომ პირადად გელაპარაკნათ მასთან თქვენს სიყვარულზე.

ჟურდენი. არაფრითაა ხარჯს არ მოვერიდები, ოღონდ კი როგორმე მის გულისკენ გზა მოვნახო. წარჩინებულნი მანდილოსანი ზემთვის განსაცვაფრებელი მშვენიერებაა. ჩემთვის ეს ისეთი პატივია, ვარაფერს არ დავხოვავ.

ქ-ნი ჟურდენი. (ნიკოლს) ამდენს რას ლაპარაკობენ?.. აბა მიეპარე და ყური დაუგდე!

დორანტი. საცაა დავსტკებით მისი ხილვით და იმდენი უცქირეთ, რამდენიც გსურთ.

ჟურდენი. იცით, რომ ხელი არ შეგვიშალონ, ჩემს ცოლს სადილად დასთან გაგვზავნი და იქვე დარჩება საღამომდე.

დორანტი. ეგ გონებრივი მოსახზრებაა, თორემ, რასაკვირველია, ხელს შეგვიშლიდა. მე უკვე გავეცი ყოველი განკარგულება სადილისა და ბალეტის შესახებ. ეს ბალეტი ჩემი საკუთარი თხზულებაა, და თუ კი შეასრულებენ ისე, როგორც მის შინაარსს შეეფერება, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ...

ჟურდენი. (შეამჩნევს, რომ ნიკოლი ყურს უგდებს სილას გაქრავს) ოხ, შე მაზიზღარო გომბიოვ, შენა! (დორანტს) წავიდეთ აქედან.

ს უ რ ა თ ი მ ე შ მ ი ლ ე

ქ-ნი ჟურდენი და ნიკოლი

ნიკოლი. დიახ, ქალბატონო, ძვირად დამიჯდა ჩემი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ, ვგონებ, რომ აქ საქმე სხვანაირიდ უნდა იყოს, და უნდათ ისე მოახერხონ, რომ თქვენ არ იცოდეთ.

ქ-ნი ჟურდენი. დღეს პირველი არ არის, რომ მე ექვი მაქვს ჩემს ქმარზე. აშკარაა, მოტყუებული ვარ ისე, როგორც არავინ. სჩანს რაღაც სიყვარულის ხლართი გაუბამს და ეს ამბავი უსათუოდ უნდა გავიგო, მაგრამ ახლა ჩემს ქალიშვილზედაც ვიფიქროთ. შენ იცი, რომ კლეონტს უყვარს იგი, მე მომწონს კლეონტი და ჩემს ნებაზე რომ იყოს, სიამოვნებით მივეცემდი მას ჩემს ლუსილს.

ნიკოლი. მაგ თქვენ სურვილს, ქალბატონო, ალტაცებაში მოვეყვარ! იმიტომ რომ, თქვენ თუ ბატონი მოგწონთ, შე მისი მოსამსახურე გულს მომხვდა. რა კარგი იქნებოდა, თუ რომ ბატონებთან ერთად ჩვენც ჯვარს დაგვწერდით.

ქ-ნი შურდენი. წადი კლეონტთან და ჩემ მაგიერ უთხარი ახლავე აქ მოვიდეს. ორთავე ჩავაცივდებით ჩემს ქმარს და უსათუოდ დავითანხმებთ.

ნიკოლი. მივრბივარ, მივრბივარ! არც ერთი თქვენი განკარგულება ასე სასიამოვნო არ ყოფილა ჩემთვის, (ქ-ნი შურდენი გადის) ორთავეს როგორ გაუხარდებათ!

ს უ რ ა თ ი მ ი რ ვ ე

კლუტენცი, კოფილი და ნიკოლი

ნიკოლი. ოჰ, ხსენებაზე. დროზე მობრძანდით! შე მახარობელი ვარ!..

კლეონტი. გასწი დაიკარგე და თავის დღეში აღარ გამიბედო სიცრუე!

ნიკოლი. მაშ ეგრე?..

კლეონტი. დაიკარგე მეთქი და მოახსენე შენს მოლალატე პატარა ქალბატონს, რომ კლეონტის მოტყუილებას იგი ვერ მოახერხებს.

ნიკოლი. ეს რა მესმის! საბრალო, ჩემო კოვიელ, რას ნიშნავს ესა, შენ მაინც მითხარი!

კოფიელი. შენი საბრალო კოვიელი?.. უღირსი!.. გამეცალე თვალთავან, თავი დამანებე.

ნიკოლი. როგორ? შენცა?

კოფიელი. გამეცალე მეთქი! არც კი მინდა, რომ კვლავ გიცნობდე!

ნიკოლი. ოჰო! რა ბუზმა უკბინა ორთავეს! წავიდე, ყველაფერი ჩემს პატარა ქალბატონს ვუამბო. (მიდის).

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

კ ლ ე ო ნ ტ ი დ ა კ ო ვ ე ლ ი

კლეონტი. განა შესაძლებელია ასე მოეპყრა მას, ვინც გიყვარს? კაცს, რომელიც მხოლოდ მასზე ფიქრობს, მას აღმერთებს!

კოვციელი. ძალიან, ძალიან ოინი გვიყუევს.

კლეონტი. ისე მიყვარდა, როგორც არავის! ქვეყანაზედ მასზე ძვირფასი არაეინა მყავდა. მისდამი იყო შიშართული ჩემი გონება, სურვილები, ოცნება. იგი იყო ჩემი სიხარული... მასზედ, მხოლოდ მასზედ, ვლაპარაკობ! ფიქრობ დღე და ღამე!.. სიზმარში ვხედავ... მისით ვსუნთქავ! მასშია მთელი ჩემი ცხოვრება! და ასეთ სიყვარულისათვის, ასეთი ჯილდო? ორი დღეა არ მინახავს და საუკუნოები მეგონა!.. ანაზღად შევხვდი და სიხარულით აღვზნებული ვავფშურე მისკენ. სახე ჩემი ბედნიერების... გამომსახველია... მან, მოლაღატემ კი თვალი მომარიდა და ჩამიარა ისე, თითქოს არასოდეს არ ვუნახავარ.

კოვციელი. მეც სწორედ მაგას მოგახსენებთ.

კლეონტი. კოვციელ, აბა მითხარ ლუსილის ვერაგობას გაა შეედრება რამე?

კოვციელი. ისე როგორც ნიკოლის ღალატს ვერა შეედრება რა.

კლეონტი. და კოვციელივე ეს ამდენი მსხვერპლისა და ტანჯვის შემდეგ.

კოვციელი. ამდენი არშიყობისა და სამზარეულოში მოხმარების შემდეგ.

კლეონტი. იმდენ ცრემლთა შემდეგ, რაც მის ფეხთან ვაფრქვიე.

კოვციელი. იმის შემდეგ, მე რომ მისთვის კიდან სამზარეულოში წყალის ზიდვით წელი მოვიწყვიტე.

კლეონტი. ჩემი ცხოველი ვნებისა და აღერსის შემდეგ.

კოვციელი. შემდეგ იმისა, რაც მისი მწვადების ტრიალის დროს ცეცხლისაგან მთლად დავიტრუსე.

კლეონტი. დიახ, ყველა ამის შემდეგ ზიზლით თავს მანებებს...

კოვციელი. თავხედურად ზურგი შემოგვაქცია...

კლეონტი. ასეთი გაუტანლობა დიდი სასჯელის ღირსია.

კოვციელი. ასეთ ღალატს ათასი სილა ეკუთვნის.

კლეონტი. არ გამიბედო და თავის დღეში ჩემთან მისი სახელი არ ახსენო.

კოფიელი. მე, ბატონო? ო, ღმერთმა დამიფაროს.

კლეონტი. თავის დღეში იმ მოლალატის ქომავად არ გამოხვიდე.

კოფიელი. არხეინად ბრძანდებოდეთ.

კლეონტი. რაც უნდა მითხრა მის გასამართლებლად, სულერთია — ვერ უშველის.

კოფიელი. აბა მაგაზე ვინა ფიქრობს?

კლეონტი. მე მტკიცედ დავადგები ჩემს გადაწყვეტილებას და მოვსპობ მასთან ყოველგვარ კავშირს.

კოფიელი. მაგაზე მეც გეთანხმებით.

კლეონტი. ალბად, იმ გრაფმა, აქ რომ დადის, მოახდინა მასზედ შთაბეჭდილება და, დარწმუნებული ვარ, მოსწონს იმიტომ, რომ მაღალი წრის კაცია. მაგრამ ჩემი პატიოსნება მიკარნახებს მას მიუძღვნა ღალატითვე, მაშინ ველარ იტრაბახებს, ვითომ პირველმა მან მიმატოვა.

კოფიელი. მშვენიერი ნათქვამია და მეც, სწორედ, ეგრევე მოვიქცევი.

კლეონტი. მაშ მომეხმარე, რომ მტკიცე იყოს ჩემი გადაწყვეტილება. ჩავიკლა გულში უკანასკნელი ნაშთი სიყვარულისა. მითხარი იმაზე ყოველი ცუდი, რაც კი ენაზე მოგადგება, დამისურათხატე იგი ისე, რომ გამოიწვიო ჩემში მისდამი ზიზღი.

კოფიელი. მართლაც და, აბა, რას წარმოადგენს?! უსახო ბზრიალა, რომელიც სულაც არ არის ღირსი ეგოდენი სიყვარულისა. რამდენს იზოვნით ისეთებს, ვინც მართლაც რომ თქვენი ღირსი იქნება. ჯერ ერთი — პაწაწკინტელა თვალები აქვს.

კლეონტი. მართალია, თვალები სულაც არა აქვს ღიდი, მაგრამ იმ თვალეში რამდენი ცეცხლია ისეთ ეშხიან, ისეთ მწველ თვალებს დედამიწის ზურგზე ვერ მოსძებნი.

კოფიელი. პირი ღიდი აქვს.

კლეონტი. მართალია, მაგრამ რა ჯადოსნური ღიმილი აქვს! აბა, აბა. როგორ უნდა უყურო მას გულდამშვიდებით! ჯადოსნური პირი აქვს, სწორედ ჯადოსნური!

კოფიელი. ტანად პატარაა.

კლეონტი. მართალია, მაგრამ რა მშვენივრად არის შემკობილი.

კოფიელი. მერე რა კილოთი ლაპარაკობს, ვითომ მართო მე ვარ და სხვა კი არაყინაო.

კლეონტი. კი მაგრამ ეგ კილო ძალიან უხდება... მაგაშია სწორედ მისი მშვენება და მიმზიდველობა.

კოვიელი. კკუაზე ხომ ნულარას მეტყვიით.

კლეონტი. ახ, კოვიელ, რა მაღალი გონების პატრონია.

კოვიელი. ლაპარაკი რომ...

კლეონტი. წარმტაცია, წარმტაცი!

კოვიელი. ყოველთვის დაღვრემილი...

კლეონტი. შენის აზრით ის სჯობია, რომ მთელი დღე იცინოდეს? ქალი, რომელიც ყოველთვის იცინის — აუტანელია.

კოვიელი. კაპრიზებით აღსაესე, იმ ზომამდე, რომ სხვას, მის მსგავს, ვერც კი მოსძებნით.

კლეონტი. გეთანხმები, ეგეც მართალია, მაგრამ ლამაზ ქალს ყველაფერი უხდება. ლამაზ ქალს ყველაფერს მოუთმენ.

კოვიელი. მაშ, თუ ეგრეა თქვენ მას თავის დღეში ვერ შეიძლებთ.

კლეონტი. მე? არა სიკვდილს ვამჯობინებ! შემძულდება ისეთივე სიძლიერით, როგორც მიყვარდა.

კოვიელი. აბა, მაგას როგორ მოახერხებთ, თუ კი იგი ყოველი მშვენიებით შემკული გგონიათ?

კლეონტი. მით უფრო ძლიერი იქნება ჩემი შურისძიება! სიძულვილით დავადასტურებ ჩემს სიმტკიცესა. იგი მშვენიერია, მომჯადოებელი, მწამს მისი ყველა შესანიშნავი თვისებანი — და... მაინც თავს ვანებებ. აი, თითონაც მოდის!

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

კლიონტი, კოვიელი, ლუსილი, ნიკოლი

ნიკოლი. (ლუსილს) ისეთი შეურაცყოფა მომაცენეს, რომ...

ლუსილი. მერწმუნე, ნიკოლ, აქ სხვა მიზეზი არა არის რა... აი ისიც!..

კლეონტი. (კოვიელს) არა მსურს მასთან ლაპარაკი...

კოვიელი. არც მე.

ლუსილი. კლეონტ, ეს რას ნიშნავს? რა დაგემართათ?

ნიკოლი. რა მოგივიდა, კოვიელ?

ლუსილი. რადა ხართ ეგრე მოწყენილი?

ნიკოლი. რას იბღვირები, კოვიელ?

ლუსილი. დამუნჯდით, კლეონტ?

ნიკოლი. კოვიელ, ენა ხომ არ ჩაგივარდა, ადამიანო?

კლეონტი. თქვენ ბოროტი ხართ.

კოვციელი. აი ნამდვილი იუდა, სწორედ ეს არის.

ლუხილი. ვატყობ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა არ გესიამოვნათ.

კლეონტი. (კოვციელს) აჰა, მიხვდნენ!

ნიკოლი. მე რომ შემხვდი, მას შემდეგ გაბრაზდი?

კოვციელი. (კლეონტს) სწორედ რომ მიხვდნენ.

ლუხილი. ხომ ეგრეა, კლეონტ, დღევანდელმა შეხვედრამ დაგანაღვლიანათ?

კლეონტი. დიახ, ცბიერო, სწორედ ეგრეა! მაგრამ ნუ სწუხართ! ჩემზე გამარჯვებით თქვენ ვერ იზენიებთ! პირველი მე ვწყვეტ ჩვენს შორის ყოველგვარ კავშირს, რომ არ მოგცეთ საშუალება ჩვენი უკუგდებისა! მართალია, ძნელია თქვენდამი სიყვარულის გულში ჩაკვლა, — ერთხანს დავიტანჯები კიდევ... მაგრამ ყველაფერს ავიტან და მზად ვარ უმალ გული ამოვიგლიჯო მკერდიდან, ვიდრე კვლავ უკან დაგიბრუნდეთ.

კოვციელი. (ნიკოლს) მეც სწორედ ეგრე, სწორედ ეგრე!

ლუხილი. რას ნიშნავს ეგ ალიაქოთი ტყუილუბრალოდ? მომისმინეთ, კლეონტ, და ახლავე აგინხნით მიზეზს, რამაც მაიძულა თქვენთან შეხვედრის დროს პირი მომერიდებინა.

კლეონტი. (წასვლას აპირებს) ვერ მოგისმენთ, ვერა!

ნიკოლი. (კოვციელს) ახლავე გეტყვით, დღეს სწრაფად გვერდი რად ჩავიარე.

კოვციელი. (წასვლას აპირებს) ვერ მოგისმენთ, ვერა!

ლუხილი. (კლეონტს აკავებს) იცით, ამ დილით...

კლეონტი. არა, არა შეთქი.

ნიკოლი. იცით, რა?..

კოვციელი. გამშორდი, მატყუარავ!

ლუხილი. მომისმინეთ...

კლეონტი. თქვენთან მე საქმე არა მაქვს!

ნიკოლი. დამაცადე, ადამიანო, გეტყვი....

კოვციელი. მე ყრუ ვარ! .

ლუხილი. კლეონტ!

კლეონტი. არა შეთქი!

ნიკოლი. კოვციელ!

კოვციელი. არა, არა!

ლუხილი. მოითმინეთ.

კლეონტი. ზღაპარია!

ნიკოლი. მომისმინე.

- კოვიელი.** სისულელეა.
ლუხილი. ერთი წუთი!
კლემონტი. არც ერთი წამი!
ნიკოლი. ცოტა მოთმინება.
კოვიელი. ვერ მოგართვი!
ლუხილი. ორი სიტყვა.
კლემონტი. არა და არა!
ნიკოლი. ერთი სიტყვა.
კოვიელი. მორჩა, გათავდა!
ლუხილი. (შეჩერდება) მაშ, კარგი! არა გასურთ ჩემი მოსმენა? დაე
 ეგრე იყოს! როგორც გინდათ, ისე მოიქეცით.
ნიკოლი. (შეჩერდება) თუ ეგრეა—როგორცა გასურთ!
კლემონტი. (ლუსილს) აბა, ამიხსენით თქვენი დღევანდელი შშვე-
 ნიერი საქციელი!
ლუხილი. (წასვლას აპირებს) ახლა მაგაზე ლაპარაკი მე აღარ
 მსურს.
კოვიელი. (ნიკოლს) აბა, ერთი ვნახოთ, რას გვიბრძანებთ?
ნიკოლი. (წასვლას აპირებს) არა, ახლა კი ბასტა!
კლემონტი. (ლუსილს გამოუდგება) მითხარით, მითხარით...
ლუხილი (მიდის, ყურადღებას არ აქცევს) არა. არაფერსაც არ გეტ-
 ყვით.
კოვიელი. (ნიკოლს დასდევს) სთქვი რა!
ნიკოლი. (არც კი შესცქერის) არა; არ გეტყვი!
კლემონტი ღვთის გულისათვის...
ლუხილი. არა მეთქი, რომ გეუბნებით!
კოვიელი. მოილე მოწყალება...
ნიკოლი. შენთან მე საქმე აღარ მაქვს!
კლემონტი. გეხვეწებით.
ლუხილი. თავი დამანებეთ.
კოვიელი. გემუდარები!
ნიკოლი. მომწყდი თავიდან!
კლემონტი. ლუსილ!
ლუხილი. არა!
კოვიელი. ნიკოლ!
ნიკოლი. არათრის გულისათვის!
კლემონტი. თუ ღმერთი გწამთ!
ლუხილი. არ მინდა!
კოვიელი. სთქვი, რა არი?

ნიკოლი. არაფერის გულისათვის.

კლემონტი. განფანტეთ ჩემი ეჭვები!

ლუსილი. არც კი იფიქროთ!

კოვიელი. გამაგებინე, რაშია საქმე.

ნიკოლი. არა მსურს მეთქი!

კლემონტი. მაშ, კარგი! ჩემი სულიერი სიმშვიდე თქვენთვის თუ არაფერი ყოფილა და არა გსურთ თქვენ მიერ ჩადენილ საქციელში თავი იმართლოთ, — მაშინ, უმადურო, იცოდეთ, უკანასკნელად მხედავთ, ვილტივი აქედან და თქვენთან დაშორებული მოვკვდები სიყვარულისა და მწუხარებისაგან!

კოვიელი. (ნიკოლს) მე სწორედ მის კვალსვე გავყვები.

ლუსილი. (აკავებს კლემონტს, რომელიც გასვლას აპირებს) კლემონტ!

ნიკოლი. (აკავებს კოვიელს) კოვიელ!

კლემონტი. (შეჩერდება) რა გსურთ?

კოვიელი. (შეჩერდება) რა გსურთ!

ლუსილი. სად მიდიხართ?

კლემონტი. უკვე მოგახსენეთ!

კოვიელი. პივდივართ თავის მოსაკლავად!

ლუსილი. თავის მოსაკლავად მიდიხართ, კლემონტ?

კლემონტი. დიახ, ვერაგო არსებავ, თქვენ თვითონ ასე გსურთ!

ლუსილი. მე! მე მსურს თქვენი სიკვდილი?

კლემონტი. დიახ, გსურთ!

ლუსილი. მერე, ვინ მოგახსენათ?

კლემონტი (ლუსილს მიუახლოვდება) თქვენ ხომ არა გსურთ ვაფანტვა ჩემი ეჭვებისა?

ლუსილი: ეგ, განა, ჩემი ბრალია? რომ მოგესმინათ საქმეს სულ ადვილად დაინახავდით. დილას, მე რომ შეგხვდით, ჩემს მოხუცს დეიდას მივყვებოდი, მას კი ჰგონია, რომ მამაკაცის მოახლოვება კი აუბატურებს ქალს. დეიდაჩემი მთელი დღე ამას გვეჩიჩინება და ყველა მამაკაცი ეშმაკად წარმოუდგენია, და ამ ეშმაკს ქალიშვილი უნდა ერიდებოდეს და გაურბოდესო.

ნიკოლი. (კოვიელს) ამის მეტი არაფერი ყოფილა.

კლემონტი. ლუსილ, მართალს მეუბნებით?

კოვიელი. (ნიკოლს) ხომ არ მატყუებ, ნიკოლ?

ლუსილი: (კლემონტს) ეს არის სრული სიმართლე!

ნიკოლი. (კოვიელს) მართალს გეუბნები.

კოვიელი. (კლემონტს) ვითომ დაუეუჯროთ?

კლეონტი. აჰ, ლუსილ! მხოლოდ ერთ სიტყვას, თქვენ მშვენიერ ბაგეს რომ მოსცილდება, შეუძლია ჩემი გულის მღვლეარების დამშვიდება! როცა გიყვარს, ადვილად გჯერა.

კოვიელი. ოჰ, კულრაქემო! კარგად იცით მამაკაცის თავის მოქონვა!

ს უ რ ა თ ი მ ე თ ი რ თ მ ე ბ ა

ქ-ნი აქრდენი, კლუნცი, ლუსილი, კოვიელი, ნიჟლი

ქ-ნი უურდენი. მეტად მიხარია თქვენი ნახვა, კლეონტი! სწორედ დროზე მოსულხართ. აქ მოვა ახლა ჩემი ქმარიც და სთხოვეთ მას ლუსილი.

კლეონტი. როგორ მესიამოვნა, ქალბატონო, ეგ სიტყვები! უმეტეს ბედნიერებას არ მოველოდი.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო რ მ ე ბ ა

აქრდენი, ქ-ნი აქრდენი, კლუნცი, ლუსილი, კოვიელი, ნიჟლი.

კლეონტი. ჩემო ბატონო! მსურს უშუამავლოდ ერთი შეკითხვით მოგმართოთ, იგი მე დიდი ხანია მოვისაზრე და ავწონ-დავწონე: პირდაპირ მოგახსენებთ: ჩემთვის თქვენი ქალის შერთვა დიდი პატივია და, რომ ამას ველირსებოდე, ჩემზე ბედნიერი ამ ქვეყნად აღარავინ იქნებოდა.

უურდენი. ვიდრე გიპასუხებ, მოწყალეო ბატონო, მეც მოგმართავთ ერთი შეკითხვით: აზნაური ბრძანდებით, თუ არა?

კლეონტი. სხვა გიპასუხებდათ, ვარო. სიტყვის თქმა ადვილია. ახლანდელ დროში, თავის თავს ყველა აზნაურად აღიარებს და ეს ჩვეულება იმდენად განმტკიცდა, რომ შესაძლებლადა ჰქმნის ამ უკანონო მითვისებას. მაგრამ მე აი გაგიტყდებით, ასეთი მითვისება წოდებისა, როგორღაც მეჩოთიერება. დადწმუნებული ვარ, ყოველი მოტყუება ადამიანს მეტად ამცირებს. უსინილისობაა შენი ნამდვილი შთამომავლობა დაჰფარო და ადამიანთ მოველინო სხვა წოდებით, არა იმ მხრივ, რაცა ხარ ნამდვილად. მე, რასაკვირველია, შეილი ვარ ისეთი მშობლების, ვისაც საზოგადოებაში საპატიო ადგილი ჰქონდათ. ექვსი წელიწადი მხედარი ვიყავი და არც დავიჭერ უკანასკნელ ადგილს საზოგადოებაში... და მიუხედავად ყველა ამ გარე-

შოებისა მაინც ვერ მივითვისებ ისეთ წოდებას, შთამომავლობით რომ არ მეკუთვნის, თუმცა სხვა ჩემს ადგილას კი, ასეთ მითვისებას არ მოერიდებოდა და კანონიერადაც ჩასთვლიდა. გულახდილად გიცხადებთ: აზნაური არ გახლავართ.

ჟურღენი. ნება მიბოძეთ, ბატონო, მადლად ნიშნად ხელი ჩამოგართვათ, მაგრამ ჩემი ქალი თქვენი ცოლი მაინც არ გახდება.

კლეონტი. რატომ?

ჟურღენი. აზნაური არა ყოფილხართ, და ქალს ვერ მოგცემთ.

ქ-ნი ჟურღენი. აზნაური? რისი თქმა გინდა? ჩვენ კი ერთი სიტყვით, წმინდა ლუდოვიკოს შთამომავალნი ვართ!

ჟურღენი. ჩემად, მეუღლევ! მე ვიცი, საითაც ლაპარაკობ.

ქ-ნი ჟურღენი. შენის აზრით განა ჩვენი წინაპარნი მდაბიონი არ იყვნენ?

ჟურღენი. ენა ნუ გექავება!

ქ-ნი ჟურღენი. განა მამაშენი მამაჩემსავეთ ვაჟარი არ იყო?

ჟურღენი. აი ჰირმა კი წაგიღოთ დედაკაცები! არა, ყველა რომ ერთ ყაიდაზეა გამოკერილი! თუ მამაშენი ვაჟარი იყო, მით უარესი მისთვის, მამაჩემს კი მხოლოდ ბოროტი ენა უწოდებს ვაჟარს! მე მსურს სიძედ აზნაური მყავდეს.

ქ-ნი ჟურღენი. შენს ქალიშვილს ჰმრად თავისი ტოლი და შესაფერი უნდა. მისთვის პატიოსანი, მდიდარი და კარგი სახის კაცია საჭირო და არა ვინმე კუდაბზიკა აზნაური — უსახური და ლარიბლატაკი.

ნიკოლი. რაც მართალია, მართალია! ჩვენ სოფელში ერთი აზნაური, ნამდვილი საფრთხობელაა — ისეთი უტვინო, — რომ ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი.

ჟურღენი. (ნიკოლს) ხმა ჩაიწყვიტე! თავხედო, და ლაპარაკში ნუ ეჩრები! ჩემს ქალს კარგი მზითვეი აქვს — მდიდარია. ახლა მხოლოდ ხარისხი-ლა მაკლია: უნდა უსათუოდ მარკიზად გავხადო.

ქ-ნი ჟურღენი. მარკიზად?

ჟურღენი. დიახ, მარკიზად...

ქ-ნი ჟურღენი, ღმერთო, დაგვიხსენ და დაგვიფარე!

ჟურღენი. ეს საქმე გადაწყვეტილია.

ქ-ნი ჟურღენი. არა, ეგ კი ვერ მოგართვი! მაგისტანა ქორწინება ყოველთვის უბედურებით თავდება. მე არა მსურს, რომ თქვენმა სიძემ ჩემს ქალიშვილს ყოველთვის დააყვედროს მისი შთამომავლობა და რომ ჩემს შვილიშვილებს ჩემი დიდებობა სირცხვილად მიაჩნდეთ. ერთიც ვნახოთ, მოვიდა ჩემი ქალიშვილი ჩემთან ეტლით;

წარჩინებულ მანდილოსნურად ჩაცმული და ვინმე ჩვენს მეზობელს თავი არ დაუკრა? ხომ ატყდა მთელი უბანი და სასაცილოდ აივდო: „ერთი შეხედეთ,—იტყვიან,—როგორ იბერება ეს მარკიზა! ეს ხომ ჟურდენის გოგოა, წინაღ რომ ჩვენთან სიამოვნებით ქალბატონობიას თამაშობდაო. მაშინ ეგრე არ იბლინძებოდა! მისი წინაპარნი წმინდა ინოკენტის მონასტერთან მაუდიოა ვაქრობდენ: უზრუნველ-ჰყვეს შვილები, ახლა კი შეიძლება საიქიოს ამისთვის ისჯებიან კიდევ. პატროსანი შრომით ვის შეუძენია ამოდენა სიმდიდრე“.

მე არა მსურს, რომ ჩვენმა მეზობლებმა ასე იქორაონ. მე ისეთი სიძე მინდა, ჩემი ქალის გამო ყოველთვის მაღლობით პატივსა მცემდეს და, რომელსაც შემეძლება, ისე უბრალოდ ვუთხრა: აბა, სიძე-ბატონო, მოდი დაჯექ და პური ერთადა ვქამოთ.

ჟურდენი. აი ასე მსჯელობს გაუნათლებელი ხალხი! არც კი უნდა არაარაობისაგან თავის დაღწევა! ჩუმიდ ეყარენით! თქვენს ჯიბრზე ჩემი ქალი მარკიზა გახდება და, თუ მოთმინებიდან გამომიყვანთ, პერცოგის მეუღლედაც კი გაეხლი!

ს უ რ ა თ ი მ ე ც ა მ ა ტ ა

ქ-ნი აქრდენი, ლუისი, კლინცი, ნიილი, ჰიილი

ქ-ნი ჟურდენი. ოღონდ თქვენ არხეინად იყავით! (ლუსილს) წავიდეთ მამასთან და გადაწყვეტით ვუთხრათ, რომ კლეონტის გარდა შენ საქმროდ ირავინ გინდა.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო მ ხ მ ა ტ ა

კლინცი, ჰიილი

კოვიელი. ძალიან კი მოიგეთ თქვენი კეთილშობილებით!

კლეონტი. მაშ, რა უნდა მექნა, მე მაქვს რწმენა და ამ რწმენას ვერ გადავუხვევ.

კოვიელი. განა შეიძლება იმ კაცთან სერიოზული ლაპარაკი? ვერა ხედავთ განა, რომ ჰკუაზე შემცდარია? აიღებლით თქვენც და კვერს დაუკრავდით!

კლეონტი. მართალი ხარ, მაგრამ რა ვიცოდი, რომ ჟურდენს სიძედ სწორედ აზნაური უნდოდა.

კოვიელი. ჰა, ჰა, ჰა!

კლეონტი. რა გაცინებს?

კოვიელი. ერთმა აზრმა გამიელვა თავში: მოდი, მოვატყუოთ ჟურდენი და მოვიპოვოთ ის, რაც თქვენა გსურთ.

კლეონტი. როგორ?

კოვიელი. საოცარი აზრი მომივიდა.

კლეონტი. მაინც როგორი?

კოვიელი. ქალაქში ახლა მასკარადია და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ. ამას, რასაკვირველია, კომედის სუნი უდის, მაგრამ ჟურდენთან ყველაფერი შეიძლება. რისთვისა მოვერიდოთ? მოდი იგი გავასულელოთ, ამ კომედიაში ჟურდენი მშვენიერად შეასრულებს თავის როლს და დაიჯერებს ყველაფერს, რასაც კი ვეტყვით. ტანისამოსი და მსახიობნიც უკვე მზადაა.

კლეონტი. მაინც არ მესმის... ამიხსენი.

კოვიელი. ეგ შემდეგ იყოს, ახლა კი წავიდეთ: თითონ მოდის აქეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ მ ე ბ ა

აჟრდენი მარტო

ჟურდენი. აი ეშმაკმა კი წაგიღოს! ყველა იმას მაყვედრის, რომ წარჩინებულთა წრეში ვარ—ამას აბა რა სჯობია? ღმერთმანი, სიამოვნებით მოვიქრიდი ნელის ორ თითს, ოღონდ ხელმეორედ დავიბაღო ან გრაფად ან მარკიზად.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ა მ მ ს მ ე ბ ა

აჟრდენი, მზახური

მზახური. თქვენ გელოდებათ გრაფი ვილაც მანდილოსანთან ერთად.

ჟურდენი. ღმერთო ჩემო! ჯერ განკარგულებიანი არ მომიხდენია! მოახსენეთ, რომ ახლავე მოვალ. (გადის)..

სურათი მხკვილმხტა

ღობაშენი, ღობაშენი, მასაჟი

მსახური. ბატონმა მოგახსენათ—ახლავე გეახლებითო...
დორანტი. ძალიან კარგი.

სურათი მეთვრამხტა

ღობაშენი და ღობაშენი

დორიშენი. მგონი, ვერ მოვიქეცი წესიერად, რომ დაეთანხმდი და წამოგყეთ ამ სახლში, სადაც მე არავის ვიცნობ.

დორანტი. მაგრამ, აბა, სხვაგან სად შემეძლო თქვენთან სადლის კამა? თქვენ ხომ წრიდებით ჩვენი დამოკიდებულების გამომქლავნებას და პენმანისათვის მოხერხებულად არა სთვლით არც თქვენსა და არც ჩვენს სახლს.

დორიშენი. თქვენ კი დღითი დღე სიყვარულის სულ ახალსა და ახალს დამამტკიცებელ საბუთებს მაძლევთ. ბევრსა გცდილობთ თავიდან ავიცილინო ეგ საბუთები, მაგრამ თქვენი თავაზიანი დაყინებით იქამდე მიმიყვანთ ხოლმე, რომ იძულებულს გამხდით ყოველთვის მივიღო ყოველივე, რაც გსურთ. ჯერ თქვენი მუღმივი ვიზიტები, შემდეგ სიყვარულის გამოცხადება, სერენადები, ზეიმები, საჩუქრები... ყველა ამას მე წინ აღვუდექი, მაგრამ თქვენმა სიმტკიცემ სძლია და დიმიმორჩილეთ. ახლა, ალბათ, იმასაც კი მოახერხებთ, რომ ქორწინებაზე დამითანხმებთ, თუმცა ამ ამბისა მე ძალიან მეშინოდა.

დორანტი. მართალი მოგახსენოთ, ქალბატონო, თქვენ დიდხანია ჩემი ცოლი უნდა ყოფილიყავით. ქერივი ბრძანდები და სრულიად დამოუკიდებელი. მეც საესებით ჩემს თავს ვეკუთვნი და სიცოცხლეზედ მეტად მიყვარხართ. რატომ არა გსურთ დღესვე გამხადოთ უბედნიერესად მომავლდავთა შორის?

დორიშენი, ღმერთო ჩემო, დორანტი, ბედნიერი ცოლქმრობა ბევრ რასმეს ავალებს: ორივე მხარეს. ხშირად გონიერნიც კი ვერ ახერხებენ ისე, რომ ყველაფერი კარგად მოეწყოს.

დორანტი. თქვენ ხუმრობთ, მარკიზა! ნუ აღმართავთ ამოდენა ზღუდეს. თქვენი საკუთარი გამოცდილება აქ მოსატანი არ არის.

დორიშენი. მაგრამ შინც თქვენ ბევრს ხარჯავთ ჩემზე და ეს გარემოება ორმაგ მაწუხებს. ჯერ ერთი ამით თქვენ მიგყუევართ იქამდე, სადაც არ მსურს. მეორეც ისა, რომ შაპატიეთ გულუბრყვილობა, ასეთი ხარჯები, ალბად, თქვენც გაწუხებთ და... ეს კი ჩემთვისაც არ არის სასიამოვნო.

დორანტი. აბა რასა ბრძანებთ! ეგ უმნიშვნელოა სრულიად...

დორიშენი. მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ... აი, მაგალითად, ეს ბრილიანტის ბეჭედი, ძალით რომ მიმალეზინეთ, ღირს, ალბათ...

დორანტი. ღეთის გულისათვის... ნუ გგონიათ, რომ ეს ნივთი დიდი რამ ღირდეს. ჩემი სიყვარული არც სთვლის მას თქვენთვის ღირსეულ სამკაულად: ნება მიბოძეთ... აი სახლის პატრონიც.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ბ ა

დორიშენი, დორანტი, აურღენი

აურღენი. (ორჯერ თავს უკრავს და დორიშენის ახლო გაჩერდება) გთხოვთ, ქალბატონო, ცოტა უკან დაიწიოთ!

დორიშენი. რაო?

აურღენი. მხოლოდ ერთი ნაბიჯი!

დორიშენი. რადა?

აურღენი. უკან დაიწიეთ, რომ შესამეჯერ თავი დაგიკრათ!

დორანტი. ქალბატონო, ბატონი აურღენი კარგადა გრძნობს, ვისთანაც აქვს საქმე!

აურღენი. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასე გამაბედნიერეთ... მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ბედნიერება თქვენი ისეთი გულკეთილი... ისეთი მოწყალე... პატივი... თქვენი მობრძანებით... გამაპატიოსნეთ... მე რომ ვიყო ღირსი; ღირს ვიქმნე მივიღო ღირსება, თქვენებრ... რომ თვით ზეცამ... ჩემს ბედნიერებას, რომ ეცილება, წარმომიგზავნა ეს ბედნიერება... და ღირსმყოფ, ასე ვთქვათ...

დორანტი. კმარა, კმარა, აურღენ! მარკიზას არ უყვარს ქათინაურები. ისედაც იცის, რომ ჭკვიანი აღამიანი ბრძანდებით. (ჩუხად დორიშენს) ეს კეთილი მდაბიო, როგორცა ხედავთ, მეტად სასაცილოა თავისი ქცევით.

დორიშენი. (ჩუხად დორანტს) კარგადა ვხედავ.

დორანტი. აი, მარკიზა, ჩემი საუკეთესო მეგობარი.

აურღენი. ეგ ჩემთვის დიდი პატივია.

დორანტი. საზოგადოებაში ფრიად გამოსული.

დორიშენი. მე დიდ პატივსა ვცემ.

ჟურდენი. ო, მარკიზა, მე ჯერ ეს არაფრით დამიმსახურებია.

დორანტი. (ჩუმად ჟურდენს) თქვენ რომ აჩუქეთ, იმ ბეკლის შესახებ არა წამოგვცდეთ რა!

ჟურდენი (ჩუმად დორანტს) მხოლოდ ერთს ვკითხავ: მოსწონს თუ არა?

დორანტი. (ჩუმად ჟურდენს) აბა რას ამბობთ, ღმერთმა დაგიფარათ. ეგ ხომ უზრდელობა იქნება. თუ გინდათ, რომ მართლა მოიქცეთ ისე, როგორც კარგად აღზრდილს კაცს შეჰფერის, დაიჭირეთ თავი, თითქოს თქვენ არც კი გიჩუქებიათ ის ნივთი. (ხმაშალა მარკიზას) ქალბატონო, ბ-ნი ჟურდენი, ამბობს, რომ აღტაცებულია თქვენი მობრძანებით.

დორიშენი. ჩემთვის ეგ დიდი პატივია.

ჟურდენი. (ჩუმად დორანტს) დიდად გმადლობთ, რომ ჩემზე სიტყვა ჩამოუგდეთ.

დორანტი. (ჩუმად ჟურდენს) დიდი გარჯა დამქირდა, ვიდრე აქ მოსვლაზე დავითანხმე...

ჟურდენი. (ჩუმად დორანტს) არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

დორანტი. ბ-ნი ჟურდენი მეუბნება, მარკიზა, რომ თქვენ ქალთა შორის უმშვენიერესი ხართ.

დორიშენი. ეგ დიდი თავაზიანობაა.

ჟურდენი. თვით, თქვენ, მარკიზა, მეტის მეტად თავაზიანი ბრძანდებით, რომ მე...

დორანტი. აბა, ახლა კი სადილზე ვიზრუნოთ...

ს უ რ ა თ ი მ ი ო ც მ

ჟურდენი, დორანტი, დორიშენი, მსახური

მსახური. მზად გახლავთ, ბატონო!

დორანტი. აბა, მოვეუსხდეთ სუფრას, უხმეთ დამკვრელებს!

ბალეტის გამოხვლა.

ცქკავს ექვსი მზარეული, რომლებიც სადილს ამზადებენ. მესამე ინტერმედის ანვითარებენ და ამის შემდეგ შემოაქვთ სუფრა სხვადასხვა საკმელებით.

მოქმედება მეოთხე

სუბათი პირმღი

ღორბენი, აქრდენი, ღორბენი, სამი მონღოალი, მახური

ღორბენი. დიდებული სუფრა გაუმართავთ!

ქურდენი. თქვენ ხუმრობთ, მარკიზა! მე მსურს მხოლოდ, რომ ჩემი სადილი თქვენს ღირსებას არ შეურაცყოფდეს. (ღორბენი, ღორბენი, ქურდენი, სამი მონღოალი სუფრას მიუხსნებიან).

ღორბენი. ქურდენი მართალს ამბობს, მარკიზა. მართლაც, ეგ სადილი არ არის თქვენი შესაფერი. საკმელები თვით მე შევუკვეთე, მაგრამ უნდა გამოვტყდე: ამ საქმეში მე არა ვარ ჩვენ მეგობარსავით განსწავლული. ვიმეორებ: სადილი არ არის სავსებით გასტრონომის გემოვნებისა. აი, მაგალითად, ჩვენი მეგობარი დამისი რომ ყოფილიყო, მაშინ ყველაფერი შესანიშნავი იქნებოდა! ყველაფერს უმაღლეს გემოვნების ბეჭედი დაესმოდა... თვით დამისი ალბათ, ყოველ კერძის შესახებ ფართო განმარტებას იტყოდა და თქვენც ამ საქმეში მის მაღალ ნიჭს უსათუოდ აღიარებდით. მართლაც, რას არ იტყოდა იგი: გახუხულ თეთრ პურზე ირგვლივ შებრაწულზე, კბილებზე რომ ხრახმა-ხრუსი გააქვს, მშვენიერ ღვინოზე, სურნელოვანზე და ისე რბილზე, ვით ხავერდი. ბატკნის შემწვარ მკერდზე... ნორმანდულ ხბოს ხორცი, ნიახურით შეზავებული, რბილი და სათუთი ისე, რომ პირში გიდნებათ... მწყრები შემწვარი, განსაკუთრებულ სურნელებისა და, როგორც გვირგვინი ყველა ამისა:—ხორცის მაგარი ბულიონი და მსუქანი ახალგაზრდა ინდოური. ირგვლივ რომ მტრედები აქვს შემოწყობილი და ხახვითა და ციკორით რომ არის მორთული! მაგრამ, მე ხომ გამოვითქვით ჩემს უვიცობას ამ საქმეში, ძვირფასო მარკიზა, და მსურს მხოლოდ, როგორც ბრძანებს ქურდენი, რომ ეს სადილი თქვენს ღირსებას არ შეურაცყოფდეს.

ღორბენი. მე თქვენს ზრდილობას მხოლოდ იმით ვუპასუხებ, რომ საქმელებს მაღიანად გიახლებით.

ქურდენი. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ხელებია!

დორიშენი. ხელები? ხელები ისე, საშუალო, მაგრამ ალბათ, თქვენ ბეჭედს ჰგულისხმობთ? იგი, მართლაც მშვენიერია.

ჟურდენი. ბეჭედი? ბეჭედზე ვალაპარაკო? ღმერთმა დამიფაროს! ასეთი ქცევა სრულიადაც არ იქნებოდა მაღალი წრის ხარისხისა... მეორეც ესა, ეს ბეჭედი... ისე უბრალო რამ არის.

დორიშენი. ოჰო, თქვენ განსაკუთრებული გემოვნებისა ყოფილხართ.

ჟურდენი, მეტად გულკეთილი ბრძანებულხართ, მარკიზა!

დორანტი. (ანიშნებს ჟურდენს) ეი, მოართვით ღვინო ბ-ნ ჟურდენს. ახლავე სუფრულს შემოსძახებენ.

დორიშენი. კარგს სადილს კარგი მუსიკა მორთლაც რომ უხდება. ახლა ვხედავ ამ სახლში კარგად მიმასპინძლებიან!

ჟურდენი. ქალბატონო, ეს...

დორანტი. ბ-ნო ჟურდენ, ამ ბატონთ მოვეუსმინოთ... მათი სიმღერა ჩვენს ნათქვამს, მერწმუნეთ, გაცილებით ემჯობინება.

პირველი და მეორე მომღერალი ვაჟები ერთად (კიპით ხელში)

გადავკრათ ერთი, ძვირფასო ფილის, რომ სმას შევუდგეთ, ოჰ, თქვენს თითებში რა მიშვიდველი არის სასმისი! ერთი მეორეს ქიშპობას უწევთ თქვენ და ეს ღვინო. ვგრძნობ, სიყვარული მიორკეცდება ორივესადმი. შევფიცოთ ღვინით, ტურფავ, ერთმანეთს მარადი ტრფობა!

რა შეეხება თქვენს ტუჩებს ღვინო, იგი გატკბება. და თვით ბაგესაც ჰმატებს მშვენიებას! ერთი-მეორის სურვილს აღმიძრავს. თქვენით და ღვინით ვთვრები უსაზღვროდ. შევფიცოთ ღვინით, ტურფავ, ერთმანეთს მარადი ტრფობა!

მეორე და მესამე მომღერალი ვაჟები ერთად:

შევსვათ, შევსვათ, მეგობრებო, დრო მიჰქრის და-თუ გვაცალა... ვისარგებლოთ ამ ცხოვრებით, სანამდის ჩვენ შეგვწევს ძალა.

საიქიოს, კარგად ვიცი,
 არც ღვინოა და არც ტრფობა...
 ჩქარა ღვინოს დავეწაფოთ, —
 არ მოგვიწევს იქ დათრობა.

ღე, ეძიონ სულელებმა
 ჭეშმარიტი ნეტარება. /
 იგი, ჩვენი გამოკვლევით,
 ყანწებს შორის იმალება.

დარდს ვერ მოსპობს დიდი ცოდნა,
 ვერც ქონება, ვერც სახელი...
 უნდა სვა და მოიღვინო,
 თუ გსურს იყო უდაზრდელი.

სამივე ერთად

აბა, ბიჭო, ყველას ღვინო დაგვისხი, დაგვალევიწე...
 არ დაინანო, დაგვისხი, სანამ გეტყოდეთ: გვაკმარე.

დორიშენი. არა მგონია, რომ უკეთესად მღეროდეს ვინმე. მშვენიერია! მშვენიერია.

ჟურდენი. აქ მე ვხედავ, ქალბატონო, მეტ მშვენიერებას, ვიდრე ეს სიმღერა იყო!

დორიშენი. გამოგიტყდები, არ მოველოდი, რომ თქვენ ეგზომ თავაზიანი ბრძანდებოდით.

დორანტი. რატომ? განა თქვენ ბ-ნი ჟურდენი ვინა გგონიათ?

ჟურდენი. მე ძალიანა მსურს, რომ მარკიზას სწორედ ის ვეგონო, რასაც ვეტყვი.

დორიშენი. კიდევ?

დორანტი. (დორიშენს) თქვენ მას ვერ იცნობთ.

ჟურდენი. ახლავე მიცნობენ, ოღონდ მოისურვონ და...

დორიშენი. როგორ მოგწონთ?

დორანტი: ამ კაცს სიტყვის შებრუნება არ გაუჭირდება. შეხედეთ, მარკიზა, იგი ყოველ ნაქერს სქამს, რასაც კი თქვენ ხელი შეახეთ.

დორიშენი. ბ-ნი ჟურდენით აღტაცებული ვარ.

ჟურდენი. თქვენი გულის აღტაცება რომ შემეძლოს, მე მაშინ...

ქ-ნი აქრდენი, აქრდენი, დორიზნი, დორანცი, სამი მომღერალი,
მსასურაო

ქ-ნი ჟურდენი. ააა... სამაგალითო კრებულაი! გეტყობათ, არ მომელოდით! აი, თურმე ჩემო შეუღლევე, რა ყოფილა მიზეზი იმისა, რომ დღეს სადილად ჩემს დასთან მგზავნიდი და თავიდან მიცილებდი! იქით ოთახებში ვნახე, რალაც წარმოდგენისათვის ემზადებიან, აქ კი ქეიფია, თითქოს ქორწილიაო. აი თურმე შენს სიმღიდრეს როგორა ჰფლანგავ! აქმევ და ასმევ ვილაც ქალბატონებს, მათთვის კომედიებსაც კი მართავ, მომღერლებს იწვევ და მე კი ამ დროს სახლიდან სხვაგან მგზავნი.

დორანტი. რა გნებავთ, ქალბატონო! საიდან მოიტანეთ, თითქო თქვენი ქმარი ჩვენზე ფულებსა ჰფლანგავდეს და თავის ხარჯზე უმასინძლდება მარკიზას. გაიგეთ, რომ სადილს მე ვმართავ, მე! ბ-ნმა ჟურდენმა მხოლოდ ბინა დამითმო. დიახ, ქალბატონო, და სანამ იტყოდეთ რამეს, ჯერ კარგად უნდა მოიფიქროთ ხოლმე.

ჟურდენი. დიახ, თავხედო! სადილს მართავს გრაფი აი ამ ქალბატონისათვის. (მარკიზაზე უჩვენებს) იგი წარჩინებული ქალბატონია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ეს ამბავი ჩემს სახლში ხდება და თვით მეც ვარ მიწვეული.

ქ-ნი ჟურდენი. ვიცით, ვიცით, ეგ ზღაპრები!

დორანტი. ქ-ნო, სათვალეები გამოიცვალეთ, ემჯობინება.

ქ-ნი ჟურდენი. სათვალეებს ტყუილად მთავაზობთ, უიმისოდაც მშვენიერადა ვხედავ! სულელი მნახეთ, არა? სისაძაგლეა: წარჩინებული ბატონი—და ჩემს ქმართან ერთად კი სისულელეს სჩადიხართ. თქვენც კი ბრძანებულხართ, ქალბატონო! წარჩინებულ მანდილოსანს უნდა სცხვენოდეს ასეთი საქციელისათვის: ჩემ სახლში შუღლისა სთესავთ და ჩემს ქმარს ნებას აძლევ არშიყობისას.

დორიშენი. (მიმავალი) რა არის ეს, დორანტ? დამცინით მით, რომ მაიძულებთ ამ გადარეულ დედაკაცის სისულელის ჩმახვას ყური ვუგდო!

დორანტი. მარკიზა, (დორიშენი მიდის) ღვთის გულისათვის! სად მიბრძანდებით, მარკიზა!

ჟურდენი. მარკიზა! გრაფი.. გთხოვთ ბოდიში მომხადოთ მის წინაშე და სთხოვეთ, ემუდარეთ, რომ დარჩეს!

ს უ რ ა თ ი მ ი ს ა მ ე

ქ-ნი აჟრდენი, აჟრდენი, მსასურა

ჟურდენი. აი რა მოიმოქმედე, შე თავხედო, შენა! მთელი საზოგადოების წინაშე შემარცხვინე! ასეთ წარჩინებულ პირთა ჩემი სახლიდან გაგდებია..

ქ-ნი ჟურდენი. მე ფხეზებზედაც არა მკილია მათი წარჩინება!

ჟურდენი. აჰა! არ ვიცი, რა მაკავებს, რომ მაგ სიტყვების შემდეგ ამ სუფრის ბოთლებსა და ლანგრებს შენს თავზე არ დავამტვრევ! (მსახურები საჩქაროდ სუფრას გაიტანენ).

ქ-ნი ჟურდენი. (შიმაგალი) მეცინება მაგ მუქარისა! მე ჩემს უფლებას ვიცავ და ყველა ქალი ამ შემთხვევაში მხარს დამიჭერს.

ჟურდენი. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ჩემს რისხვას გადურჩი.

ს უ რ ა თ ი მ ა ო ტ ხ ა

აჟრდენი მარცხ

ჟურდენი. რა ეშმაკმა მოიყვანა! ო, რა მშვენიერ გუნებაზე ვიყავი! ასე ენამახვილი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ... ეს რაღა ამბავია?

ს უ რ ა თ ი მ ა ხ უ თ ე

აჟრდენი, კოვცილი, გადამზოლი

კოვცილი. ეს მიბრძანეთ, მოწყალეო ბატონო, არ ვიცი მიცანით თუ არა?

ჟურდენი. არა, ბატონო!

კოვცილი. მე თქვენ აი ამოდენას გიცნობდით.

ჟურდენი. მე?

კოვცილი. დიახ! მშვენიერი ბალლი იყავით! ყველა მანდილოსანი საკოცნელად ხელში გიყვანდა.

ჟურდენი. საკოცნელად?

კოვცილი. დიახ, თქვენი განსვენებული მამის დიდი მეგობარი ვიყავი.

ჟურდენი. ჩემი განსვენებული მამის?

კოფიელი. დიახ, იგი ნამდვილი კეთილშობილი იყო, აზნაური.

ჟურდენი. რა ბრძანეთ?

კოფიელი. მე მოგახსენეთ, რომ იგი ნამდვილი აზნაური იყო მეტქი!

ჟურდენი. მამაჩემი?

კოფიელი. სწორედ!

ჟურდენი. თქვენ მას კარგად იცნობდით?

კოფიელი. ჰაი, ჰაი, რომ ვიცნობდი.

ჟურდენი. თქვენ მას, როგორც აზნაურს, სწორედ ისე იცნობდით?

კოფიელი. რასაკვირველია!

ჟურდენი. რა, ადამიანო, ადამიანო!

კოფიელი. რაო, რა იყო?

ჟურდენი. თქვენ იცით, აღმოჩნდნენ ისეთი ტუტუტუკები, რომლებიც მარწმუნებდნენ, ვითომ მამაჩემი ვაჟარი იყო.

კოფიელი. მამათქვენი და ვაჟარი?! ეგ ხომ ნამდვილი ცილისწამებაა! იგი ვაჟარი არასდროს არ ყოფილა. მამათქვენი, ბატონო, დიდად მოსიყვარულე და კეთილი გულის პატრონი იყო. ამასთანავე მშვენიერად ესმოდა და იცოდა სავაჭრო საქონლის თვისება-ღირსება, ძალიან ხშირად სხვადასხვა ადგილს დადიოდა და თითონ არჩევდა საქონელს, უბრძანებდა ხოლმე მოეტანათ არჩეული საქონელი სახლში და შემდეგ თავის ნაცნობ-მეგობრებს ურიგებდა ფულზე.

ჟურდენი. ალტაცებული ვარ თქვენი გაცნობით, მით უფრო, რომ ამით თქვენ დაამოწმეთ მამაჩემის აზნაურობა.

კოფიელი. ამას თუ გნებავთ მთელი ქვეყნის წინაშე გავიმეორებ.

ჟურდენი. თუ მაგას იზამთ, მეტად დამევალებთ, მაგრამ, რა საქმისათვის მობრძანდით აქა?

კოფიელი. თქვენი მამის რომელიც, როგორც მოგეხსენებათ ნამდვილი აზნაური იყო გაცნობის დროიდან, მე მთელი სამყარო შემოვიარე.

ჟურდენი. მთელი სამყარო?

კოფიელი. დიახ!

ჟურდენი. ეგ, ალბათ, აქედან ძალიან შორს უნდა იყოს?

კოფიელი. მეტად! მოგზაურობიდან ეს მეოთხე დღეა, რაც დავბრუნდი... და რადგანაც მე მოვალეობად მიმაჩნია ყველაფერში, რაც თქვენ გეხებათ, მონაწილეობა მივიღო, უნდა შეგატყობინოთ ერთი რამ ღირსშესანიშნავი ახალი ამბავი.

ჟურდენი. რა?

კოფიელი. ხომ მოგეხსენებათ, რომ აქ ხონთქრის შვილია ჩამოსული.

ჟურდენი. არა!

კოფიელი. ნუთუ? მშვენიერად ცხოვრობს. მთელი პარიზი მასთან დადის და იგიც ყველაზე მიღებულია, როგორც ფრიად წარჩინებული გვამი.

ჟურდენი. ეს როგორ მოხდა, რომ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი?

კოფიელი. თქვენთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი ის გარემოებაა, რომ ხონთქრის შვილს თქვენი ქალიშვილი შეჰყვარებია.

ჟურდენი. ხონთქრის შვილსა.

კოფიელი. იმდენად შეჰყვარებია, რომ სურს თქვენი სიძობა.

ჟურდენი. ჩემი სიძობა? ხონთქრის შვილს?

კოფიელი. სწორედ, აი, დღეს შევიარე მასთან, ვიმუსაიფე ამ თავზე, იმ თავზე—თურქულად, რასაკვირველია, მე ხომ თურქულს მშვენიერად ვლაპარაკობ, —ვიმუსაიფეთ და უცბად მეუბნება: „აქიამ კროკ სოლერ ონშ ალლა მუსტაფა, გიდელუმ ამანაბემ ფარახინი უსერე კარბულაჩ, ე. ი. შენ გინახავს ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, პარიზელ აზნაურის ჟურდენის ქალიშვილიო?“

ჟურდენი. ხონთქრის შვილი ჩემზე ეგრე ლაპარაკობდა?

კოფიელი. და როცა მოვახსენე, რომ კარგად გიცნობთ და თქვენი ქალიშვილიც მინახავს, ასე მითხრა: „ა მარაბაბა საჰემ“, ეს ნიშნავს: ახ, როგორ ვარ შეყვარებულიო!

ჟურდენი. „მარაბაბა საჰემ“ ნიშნავს როგორ ვარ შეყვარებულიო?

კოფიელი. დიახ.

ჟურდენი. დიდად გმადლობთ, რომ შემატყობინეთ ეგ ამბავი. თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ „მარაბაბა“ ნიშნავს: როგორ ვარ შეყვარებულიო. რა გასაკვირვავი ენაა, თურქული ენა!

კოფიელი. იმდენად გასაკვირველი, რომ ვერც კი წარმოვიდგენთ! იცით რას ნიშნავს „კაკარაკამუშენ“?

ჟურდენი. „კაკარაკამუშენ“? არა!

კოფიელი. ეს ნიშნავს: სულიკო.

ჟურდენი. „კაკარაკამუშენ“ სულიკოს ნიშნავს?

კოფიელი. დიახ,

ჟურდენი. „კაკარაკამუშენ“—სულიკო, არა, აბა, როგორ წარმოვიდგენდი! საკვირველია სწორედ!

კოვციელი. მაგრამ მე უნდა დავასრულო ჩემი მოციქულობის ამბავი. იგი თქვენ ქალსა გთხოვთ და რომ მისი მომავალი სიმამრი შეიქნეს ღირსი ასეთ მალაღმარისხის სიძესი, მან კეთილი ინება გიბოძოთ „მამამუშობა“. მათ ქვეყანაში ეს დიდი წარჩინებაა.

ჟურდენი. „მამამუშობა“?

კოვციელი. დიახ, მამამუშობა, ჩვენებურად ეს პალადინია... პალადინები... ეს ხომ ძველის ძველად... ერთი სიტყვით პალადინი. მთელ სამყაროზე ამაზე უმაღლესი არაფერია... ამით თქვენ მთელ ქვეყანაზე უწარჩინებულეს პირთა რიცხვში შეხვალთ.

ჟურდენი. დიდ პატივს მანიჭებს ხონთქრის შვილი. წამიყვანეთ, თუ ღმერთი გწამთ, მასთან, რომ ჩემი გულითადი მადლობა გამოვუცხადო.

კოვციელი. ხონთქრის შვილი ღლეს თქვენთან თითონ მობრძანდება.

ჟურდენი. ჩემთან თითონ მობრძანდება?

კოვციელი. დიახ. და თან მოიტანს ყველა იმ საჭირო ნივთებს, რაიც „მამამუშობის“ ხარისხის მიღების ცერემონიისათვის არის საჭირო.

ჟურდენი. როგორ, ასე მალე?

კოვციელი. მისი სიყვარული მცირე მოთმენასაც კი ვერ იტანს.

ჟურდენი. მე მხოლოდ ერთი გარემოება მაწუხებს... ჩემი ქალი მეტად ჯიუტია. ვილაც კლეონტი შეჰყვარებია და გაფიცულია: მის გარდა სხვას არ გავყვებიო.

კოვციელი. მაგ გადაწყვეტილებას მყისვე შეშლის: ერთი დაინახოს ხონთქრის შვილი. ამასთანავე, წარმოიდგინეთ, რა თამაშია ბედისა: ხონთქრის შვილი იმ ვილაც კლეონტს ძალიანა ჰგავს... მე ვნახე იგი, სიყვარული ერთიდან მეორეზე აღვილად გადავა... მაგრამ აგერ თვითონაც მობრძანდება... დიახ... სწორედ ის არის ხონთქრის შვილი.

ს უ რ ა თ ი მ ი მ ა მ ს ი

ჟურდენი, კოვციელი, კლეონტი (თურქულად გადაცემული)

კლეონტი. „ამბუსა ჰიმ ოკი ბორაფ, ჟორდინა, სალამალეკი“.

კოვციელი. (ჟურდენს) ეს ნიშნავს: ბ-ნო ჟურდენ, დაე გული თქვენი, მთელი წლის განმავლობაში, ვარდის გაშლილ ბუჩქს ედარებოდეს! ეს მათი ქვეყნის ჩვეულებრივი მისალმებაა.

ჟურდენი. (კოვჩელს) ყურმოკრილი მონა გახლავარ მისი თურქული უმაღლესობისა.

კოვჩელი. (კლუნტს) „კარიგარ კამბოტო უსტინ მორაფ“.

კლუნტი. უსტინ იოკ—კატამა ლეკი ბაზუმ ბაზე ალა მარან.

კოვჩელი. იგი ამბობს: მოგივლინოს ზეცამ ლომის სიძლიერე და გველის სიბრძნეო.

ჟურდენი. მისი თურქული უმაღლესობა დიდ პატივს მცემს. ვისურვებ მათთვის ყოველივე კეთილს.

კოვჩელი. ასსა ბინამენ სადოკ ბაბალიორაკაფ ურამ“.

კლუნტი. „ბელ-მენ“.

კოვჩელი. ამბობს, რომ ახლავე უნდა წაბრძანდეთ და ცერემონიისათვის მოემზადოთ. უნდა რაც შეიძლება ჩქარა ნახოს თქვენი ქალიშვილი და იქორწინოს.

ჟურდენი. ყველა ეგ ორი სიტყვით გამოსთქვა?

კოვჩელი. რას იზამ, თურქული ენა ისეთია, რომ რამდენიმე სიტყვით ბევრის თქმა შეიძლება. წადით ჩქარა და შეასრულეთ მისი ნება.

ს უ რ ა თ ი მ ე შ მ ი დ ე

კოვჩელი წარტო

კოვჩელი. ხა, ხა, ხა! რა ვირია, ღმერთო! თავისი როლი ზეპირად რომ ესწავლა, მაშინაც უკეთესად ვერ შეასრულებდა.

ს უ რ ა თ ი მ ე რ მ ე

ღორანცი, კოვჩელი

კოვჩელი. ძალიანა გთხოვთ, ბატონო, ერთ საქმეში მოგვეხმაროთ.

ღორანტი. ოჰო! კოვჩელ! ვინ გიცნობდა? ეგ რა ჩაგიცვამს?

კოვჩელი. აი, ნახეთ! ხა, ხა, ხა!

ღორანტი. რა გაცინებს, ბიჭო.

კოვჩელი. ერთი რამ, ბატონო, რაიც სიცილის ღირსია.

ღორანტი. რაო?

კოვჩელი. ვერა, ვერ გამოიცნობთ. ისეთი ხუმრობა გამოვიგონეთ, რომ ჟურდენი ვაიძულოთ თავისი ქალიშვილი ჩემს ბატონს მიათხოვოს.

დორანტი. რა ხუმრობა—არ მესმის, მაგრამ რაკი შენ მთავარ მონაწილეობას იღებ ამ ამბავში, დარწმუნებული ვარ, თქვენი განზრახვა კეთილად დაბოლოვდება.

კოვციელი. თქვენ, ვიცი, კარგად იცნობთ იმ ოხერს.

დორანტი. საქმე სთქვი, საქმე!

კოვციელი. ინებეთ, ბატონო, ცოტა იქით დადექით, რომ ფართე აღგილი ჰქონდეს მას, რაც ახლა აქ მოხდება. თქვენს წინაშე კომედიის ნაწილი გათამაშდება და დანარჩენსაც შემდეგ გიამბობთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ი

მუყცი, დრჯიშვი, თერძნი, მუყცის ამალა, სიმღერით და ცუჯით

ბალეტის პირველი გამოხვლა

ექვსი თურქი ზემით მოდის წყვილ-წყვილად. შესიკა უკრავს, მოაქვთ მალა აწეული სამი ხალია. სხვა თურქნი სიმღერით მოდიან და ხალიჩებს ქვეშ გაივლიან და სცენის ორთავ მხარეს გაბრდებიან. მოყვება მუფტი, დერვიშები. შემდეგ თურქნი ხალიჩებს ატაკებენ გაშლიან და დაიხოქებენ, მუფტი და დერვიშები შუაში ფეხზე დგანან. მუფტი ჩუმად, პრანკუაგრეხითა და მოძრაობით მაჰმადს გამოიძახებს: თურქნი დაემსობიან და მღერიან. „ალი“, შემდეგ ხელებს ჰხეციასკენ აღაპურობენ და მღერიან: „ალლაჰ“. ეს ცერემონია რამდენჯერმე მეორდება. შემდეგ ყველანი წამოდგებიან სიმღერით: „ალლაჰ ეკბერ“ ხოლო ორი დერვიში შურდენის მოსაყვანად გაეღვენ.

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ი

მუყცი, დრჯიშვი, მიმღერალნი და მიცუჯაჟ თერძიშვი, აქრდინი თერძიშვი და ჩადმული, თაჯაპარსული, უჩალმით და უხმლოდ

მუფტი. (შურდენს) სე ტი საბირ,
ტი რესპონდირ;
სე ნონსადირ,
ტაზირ, ტაზირ.

—
მი სტარ მუფტი,
ტი ქი სტარ ტი?
ნონ ინტენდირ:
ტაზირ, ტაზირ.

(ორი დერვიში შემოიყვანს შურდენს)

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

მადეცი, დრჯამეში, მიმღრალაი და მიფყჳჳჳ თურქეში, ქურდინი

მუფტი. დიცი, თურქო, ქი სტარ ქისტა? ანაბატისტა? ანაბატისტა?

თურქები. იოქ.

მუფტი. ზუინგლისტა?

თურქები. იოქ.

მუფტი. კოფფიტა.

თურქები. იოქ.

მუფტი. ჰუსსიტა? მორისტა? ფრონისტა?

თურქები. იოქ, იოქ, იოქ!

მუფტი. იოქ, იოქ, იოქ. სტარ შაგანა?

თურქები. იოქ.

მუფტი. ლუტერანა?

თურქები. იოქ.

მუფტი. პურიტანა?

თურქები. იოქ.

მუფტი. ბრამინა? მოფფინა? ზურინა?

თურქები. იოქ, იოქ, იოქ.

მუფტი. იოქ, იოქ, იოქ. მაჰამეტანა? მაჰამეტანა?

თურქები. ჰი ვალლა. ჰი ვალლა.

მუფტი. კომო შამარა? კომო შამარა?

თურქები. ჯიურდინა, ჯიურდინა.

მუფტი. (ზტის) ჯიურდინა, ჯიურდინა.

თურქები. ჯიურდინა. ჯიურდინა.

მუფტი. მაჰამეტა, პერ ჯიურდინა,

მი პრეგარ, სერა ე მატინა.

ვოლერ ფარ ენ შალადინა

დე ჯიურდინა, დე ჯიურდინა;

დარ ტურბანტა, ე დარ სკარრინა,

კონ ვალერა ე ბრიგანტინა,

პერ დეფფენდერ პალესტინა.

მაჰამეტა, პერ ჯიურდინა,

მი პრეგარ, სერა ე მატინა.

(თურქებს) სტარ ბონ თურქა ჯიურდინა?

თურქები. ჰი, ვალლა, ჰი ვალლა.

მუფტი. (მღერის და ცეკვავს)

ჰა ლა ბა, ბა ლა შუ, ბა ლა ბა, ბა ლა და.

თურქები. ჰა ლა ბა, ბა ლა შუ, ბა ლა ბა, ბა ლა და.

ს უ რ ა თ ი მ ი თ ო რ მ ი ტ ა

მიმღერალი და მიცეკვავე თურქები

ბაღების მეორე გამოსვლა

მეფცი, ცერჯიშები, აქრდენი, მიმღერალი და მიცეკვავე
თურქები

მუფტი უშველბელი ჩაღმა ახურავს, ჩაღმას ირგელივ ანთებული სანთლები აქვს გაკეთებული. მის შემდეგ ორი დერვიში, რომელთაც გრძელი შუბები უჭირავთ ანთებული სანთლებით მოაქვთ ყურანი. ორ სხვა დერვიშს ჟურდენი. მოჰყავს დაოთხებით. დააოქებენ და თავს დაახრევიანებენ. შემდეგ ზურგზე ყურანს დაადებენ, და მუფტი ისევ პრანკვა-გრებით ვითომ მაჰმადს იწვევს, რამდენიმეჯერ დაპკრავს ხელს ყურანს, სწრაფად ფურცლავს, შემდეგ ხელებს მაღლა ალაპყრობს და წარმოსთქვამს: „ჰუ“! თურქნი მუხლებზე დაეცემიან, ისევ წამოდგებიან და იმეორებენ: „ჰუ“! „ჰუ, ჰუ“, „ჰუ“! ყურანს აიღებენ.

ჟურდენი. (წამოდგება) უჰ!

მუფტი. (შურდენს) ტი ნონ სტარ ფურბა?

თურქები. ნო, ნო, ნო.

მუფტი. ნონ სტარ ფორფანდა?

თურქები. ნო, ნო, ნო.

მუფტი. (თურქებს) დონარ ტურ ბანტა.

თურქები. ტი ნონ სტარ ფურბა?

ნო, ნო, ნო.

ნონ სტარ ფორფანტა?

ნო, ნო, ნო.

დონარ ტურ ბანტა.

ბალეტის შესახებ გამოსვლა

მთიუნჯაჟი თურქებში ჩალმას ასურაჟუნ აქურდუნს თავბუ. ზუსიკა
რურაჟს

მუფტი. (ეროდემს ხმალს აძლევს) ტი სტარ ნობილე, ნონ სტარ
ფაბბოლა პიგლიარ შიაბბოლა.
თურქები. (ხმალს ხელში აძლევენ) ტი სტარ ნობილე, ნონ სტარ
ფაბბოლა. პიგლიარ შიაბბოლა.

ბალეტის მეოთხე გამოსვლა

მთიუნჯაჟი თურქებში რიცმულად ცემენ ხმალს აქურდუნს

მუფტი. დარა, დარა
ბასტონარა.
თურქები. დარა, დარა
ბასტონარა.

ბალეტის მეხუთე გამოსვლა

მთიუნჯაჟი თურქებში ჯიხს რიცმულად სცემენ აქურდუნს

მუფტი. ნონ ტენერ ჰონტა,
ქესტა სტარ ლულტიმა აფფრონტა.
თურქები. ნონ ტენერ ჰონტა,
ქესტა სტარ ლულტიმა აფფრონტა. —

(მუფტი მესამედ იწვევს მაჰმადს. დერვიშები მოკრძალებით უპერენ კლავებს
მუფტს, რის შემდეგ მოცეკვავე და მომღერალი თურქები მუფტის გარშემო ხტუნ
ვით გადიან მასთან ერთად და ეურდენიც გაჰყავთ.)

მოქმედება მისთვის

სურათი პირველი

ქ-ნი აჭრდენი, აჭრდენი, თურქულად გამოძვობილი

ქ-ნი აჭრდენი. ახ, მოწყალეო ღმერთო! რა არის ეს? რა მოყვანილობაა? ეს რაღა ჯანაბა ჩაგიცვამს? მასკარადში მიხვალ? სთქვი, რას ნიშნავს ყველა ეს? ვინ გამოგაწყო ასე?

აჭრდენი. დამიხედეთ ამ ლაპარაკს! მერე ვისთან, „მამამუშთან“!

ქ-ნი აჭრდენი. ეგ რაღა არის?

აჭრდენი. ახლა მე ყველა პატივს უნდა მცემდეს, „მამამუში“ გავხდი.

ქ-ნი აჭრდენი. „მამამუში“?

აჭრდენი. გეუბნებიან, „მამამუში“! მე „მამამუში“ ვარ!

ქ-ნი აჭრდენი. ეგ რაღა მხეცია?

აჭრდენი. „მამამუში“ ჩვენებურად პალადენს ნიშნავს.

ქ-ნი აჭრდენი. ბალადენი? მასხარა! ამ სიბერის დროს ბალეტის მოცეკვავედ გახდი, განა?

აჭრდენი. შეხე ამ ბრიყვს! გესმის კი? ეს დიდი რამ ხარისხია. აი ეს არის ახლა დიდის ცერემონიით მივიღე.

ქ-ნი აჭრდენი. რომელი ცერემონიით?

აჭრდენი. მაგომეტა პერ ჯიურდინა.

ქ-ნი აჭრდენი. რას ნიშნავს ეგ?

აჭრდენი. ჯიურდინა აჭრდენს ნიშნავს.

ქ-ნი აჭრდენი. ვსთქვათ, რომ აჭრდენ, მერე რაო?

აჭრდენი. ვოლერ ფარ უნ პალადინა დე ჯიურდინა?

ქ-ნი აჭრდენი. რაო?

აჭრდენი. დარ ტურბანტა კონ გალერა.

ქ-ნი აჭრდენი. რასა ნიშნავს მერე?

აჭრდენი. პერ დე ფფენდერ პალესტინა.

ქ-ნი აჭრდენი. რა გინდა მერე მაგითი სთქვა?

აჭრდენი. დარა, დარა ბასტონარა.

ქ-ნი ეურდენი. ეს რა იწილო-ბიწილოა?

ეურდენი. ნონ ტენერ ანტა, კვესტა სტარ ლულტიმა აფფრონტა.

ქ-ნი ეურდენი. სთქვი, რას ნიშნავს ყველა ეს?

ეურდენი. (მღერის და ცხვავს) გუ ლა ბა, ბა ლა შუ, ბა ლა ბა ლა ბა. (დავარდება).

ქ-ნი ეურდენი. ახ, ღმერთო ჩემო! ქმარი გადამერია!

ეურდენი. (დგება და მიდის) ხმა, თავხედო. დედაკაცო! მოეპყარ პატივით „მამამუშს“!

ქ-ნი ეურდენი. (მარტო) ნეტა, სად დაკარგა მან გონება! ნახეთ, რომ ქუჩაში გავარდება! უნდა დავედევნო. (დაინახავს დორანტს და დორიშენს) თქვენლა მაკლდით. ყოველ მხრიდან უბედურება (გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე რ ო რ ი

დორანტი, დორიშენი

დორანტი. დიახ, მენდეთ, რომ ჩინებული სერი იქნება. არა მგონია, მეორე ასეთი სულელი კიდევ გამოჩნდეს ქვეყნად. ჩვენ კი, ჩვენის მხრით, მარკიზა, უნდა ვეცადოთ დავებმაროთ კლეონტს მის სიყვარულში და ამ მასკარადს ხელი შევეწყუთ. ის ჩინებული ყმაწვილია და ღირსია, რომ ყურადღება მიაქციოთ.

დორიშენი. მე მას დიდ პატივსა ვცემ.—ღირსეული ყმაწვილი კაცია.

დორანტი. ამასთანავე ბალეტისათვის მოცეკვავენი უკვე დაქირავებული არიან. რატომ უნდა გადავყაროთ მუქთად ფული, ვნახოთ, გამოდგება ჩენი გეგმა თუ არა.

დორიშენი. აქ მოსვლისას მე შევნიშნე, რომ დიდ მზადებაში არიან, მაგრამ, დორანტ, ასეთი ამბავის ატანა აღარ შემიძლია. მე გავიფიქრე, თქვენს ფლანგვას ბოლო მოუღო. თქვენ რომ ჩემზე აღარ იხარჯებოდეთ, მე გადავწყვიტე, რაც შეიძლება მალე ვიქორწინო თქვენთან. ეს ერთად ერთი საშუალება არის თქვენს ასალაგმავად. ქორწილის შემდეგ, როგორც ალბათ თქვენც მოგეხსენებათ, ასეთ ნებიერობას ბოლო ედება.

დორანტი. ახ, მარკიზა! ნუთუ თქვენ ბოლოს და ბოლოს ჩემი გაბედნიერება გადაწყვიტეთ?

დორიშენი, მე თანახმა ვარ თქვენი ცოლი გავხდე მხოლოდ იმისთვის, რომ გიხსნათ დალუპვისაგან, თორემ მალე ერთი სუ აღარ შეგარჩებათ.

დორანტი. სიტყვა ვერ მიპოვია მადლობისათვის ჩემდამი ასეთი ზრუნვის გამო. მთელი ჩემი ქონება, როგორც ჩემი გულიც, მთლად თქვენია. მიმსახურეთ ისე, როგორც გეგნებოთ.

დორიშენი. მე ვისარგებლებ ერთითაც და მეორითაც. მაგრამ აი ჩვენი რაინდი. გასაოცარი შეხედულება აქვს.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ა

ჟურდენი, დორიშენი, დორანტი

დორანტი. მარკიზასა და მე გვსურს აღვიბეჭდოთ, მოწყალეო ხელმწიფევე, ჩვენი უღრმესი პატივისცემა თქვენი ახალი წარჩინებისადმი, და გაეზიაროთ თქვენი სიხარული თქვენი ასულის ხონთქრის შვილთან ქორწინების გამო.

ჟურდენი. (თავს უკრავს თურქულად) გისურვებთ, ბატონო, გველის ძლიერებას და ლომის სიბრძნეს.

დორიშენი. ფრიადა მსურს პირველმა მოგილოცოთ ის მაღალი წარმატება, რომელსაც თქვენ ახლა მიაღწიეთ.

ჟურდენი. ქალბატონო, გისურვებთ, რომ მთელი წლის განმავლობაში თქვენი ვარდის ბუჩქი გამუდმებით ჰყვავოდეს. უზომოდ დავალებული ვარ, რომ მონაწილეობას იღებთ ჩემს სიხარულში. განსაკუთრებით მახარებს, რომ კვლავ გხედავთ ჩემსას და შემთხვევა მაქვს უმდაბლესი ბოდიში გთხოვოთ ჩემი ცოლის სულელურ საქციელზე.

დორიშენი. რას ბრძანებთ, მე მესმის მისი საქციელი. თქვენს გულს ის მეტად აფასებს და გასაკვირვალა არ არის, რომ თქვენისთანა ქნარის პატრონობა ხანდახან აღელვებს მას.

ჟურდენი. ჩემი გულის პატრონობა მთლად თქვენს ხელშია.

დორანტი. ხომ ხედავთ, მარკიზა, რომ ბ-ნი ჟურდენი იმ ხალხთაგანი არ არის, რომელთაც აბრმავეებს ბედნიერება: უმაღლესი წარმატება ხელს არ უშლის, რომ თავისი მეგობრები კიდევ ახსოვდეს.

დორიშენი. ეს მართლაც კეთილშობილი გულის ნიშანია!

დორანტი. მაგრამ სად არის მათი თურქული უმაღლესობა! თქვენ მეგობრებს სურთ მასაც გამოუცხადონ თავისი პატივისცემა.

ჟურდენი. აი, ისიც. მე უკვე დავიბარე ჩემი ქალი, რომ ქორწილი ახლავე გადავიხადოთ.

სურათი მეოთხე

ქუჩღენა, დობიშენი, დობანჯი, კლონჯი ჩაგუღი თურქულად

დორანტი. (კლონჯი) როგორც მეგობარნი თქვენის კეთილშობილის სიმამრისა, ჩვენ გეახელით დაგიმოწმით ჩვენი უღრმესი პატივისცემა და ერთგულება.

ჟურდენი. სად არის თარჯიმანი, რომ წარგადგინოთ მათ უმაღლესობასთან, და გადაუთარგმნოს თქვენი სიტყვები. ნახეთ, რა პასუხი გაგკეთ! ჩინებულად ლაპარაკობს თურქულად. ჰეი! ეშმაკმა წაგიღოს, სად დაიკარგა თარჯიმანი? (კლონჯი) სტრუფ, სტრიფ, სტროფ, სტრაფ. თქვენო უმაღლესობავ, ეს, როგორც ხედავთ—გრანდე სენიორე, გრანდე სენიორე, გრანდე სენიორე, ეს კი—გრანდა დამა, გრანდა დამა, გრანდა დამა! (ხედავს რომ ვერაფერს გაუგო) აჰა! (უჩვენებს კლონჯს დორანტზე) ეს ფრანგული „მამამუშია“. ეს მანდილოსანი კი—ფრანგული „მამამუშინა“. უფრო ნათლად ლაპარაკი არ შემძლიან. მაგრამ, აი თარჯიმანი!

სურათი მეხუთე

ქუჩღენი, დობიშენი, დობანჯი, კლონჯი (თურქულად ჩაგუღი),
კოფილი (გადაცმული)

ჟურდენი. სად დაიკარგეთ? უთქვენოთ ერთი სიტყვა ვერ გვითქვამს მათ უმაღლესობისათვის (უჩვენებს კლონჯზე) მოახსენეთ, თუ ღმერთი გწამთ, რომ გრაფი და მარკიზა დიდად წარჩინებული გვამნი არიან, ჩემი მეგობრები არიან და სურვილი აქვთ დაუმოწმონ მათ უმაღლესობას პატივისცემა და ერთგულება. (დორიშენს და დორანტს) ყური დაუგდეთ როგორ პასუხს გაგკენით.

კოფილი. ალაბალა ვროჩიამ აქი ბარამ ალაბამენ.

კლონჯი. კატალე კი თუბალ ურინ როტერ ამალუხან.

ჟურდენი. გესმით? (დორიშენს და დორანტს).

კოფილი. ბრძანეთ: „დეე მუდამ ეამს ბედნიერებით დყოს სავეს თქვენი ოჯახი“.

ჟურდენი. ხომ გითხარით, რომ თურქულად ლაპარაკობს მეთქი.

დორანტი. საოცარია!

ს უ რ ა თ ი მ ე ე მ ე ს ე

ღუძილი, კლონდი, აჭრდანი, დორიზანი, დორანდი, კიკილი

შურდენი. მოდი აქ, ჩემო ქალო! გაუწოდე ხელი ამ ბატონს, რომელიც გაბედნიერებს და ცოლად გირთავს.

ლუხილი. რა ამბავია? ეს რა გიქნიათ თქვენი თავისთვის, მამა-ჩემო, კომედიას ხომ არ თამაშობთ?

შურდენი. არა, ეს კომედია სრულებით არ არის, ეს ზეტად სერიოზული საქმეა, და იმდენად სასახელო შენთვის, რომ უკეთეს ვერ მოისურვებ (უჩვენებს კლონტზე) აი შენი ქმარი!

ლუხილი. ჩემი ქმარი?

შურდენი. დიახ, შენი ქმარი. გაუწოდე ხელი და მადლობა შესწირე ზეცას შენი ბედნიერებისათვის.

ლუხილი. მე სულაც არ მსურს გათხოვება.

შურდენი. მე კი, მამაშენს, მსურს.

ლუხილი. მე კი არ მსურს.

შურდენი. სადაური ლაპარაკია? გეუბნებიან, ახლავე გაუწოდე ხელი!

ლუხილი. არა, მამილო, ერთხელ უკვე გითხარით თქვენ, რომ ვერაფერს ვეცდები ვერ მიიძღლებს გავყვე სხვას, თუ არა კლონტს. რას არ ჩავიდენ, რომ... (იცნობს კლონტს) მე შირჩევიან არ ვიცი რა, რასაკვირველია, თქვენ ჩემი მამა ხართ და ჩემი ვალია დაგემორჩილოთ ყველაფერში. ჩემი ბედი თქვენ ხელთ არის, როგორც გენებოთ, ისე მოაწყვეთ.

შურდენი. ახ. მე აღტაცებული ვარ, რომ შენ ასე მალე მიხვდი შენს მოვალეობას, რა სიამოვნებაა გყავდეს ასეთი მორჩილი ასული!

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

(ღ-ნი აჭრდანი. კლონდი, აჭრდანი, ლუძილი, დორანდი, დორიზანი, კიკილი).

ქ-ნი შურდენი. როგორ? რაო? ამბობენ, შენ გინდა შენი ქალი ვიღაც ჯამბაზს მიათხოვო?

შურდენი. გაჩუმდები თუ არა როდისმე! მუდამ შენის სისულელით ეჩხირები, და კაცი ვერაფერს შეგაგნებინებს.

ქ-ნი ჟურდენი. შენ ვერ შეგაგნებინებს კაცი! სისულელეს სისულელეზე როშავე სთქვი, ლეთის გულისათვის, რას აპირებ მიინც და მაინც. რაში დაგპირდა ეს ქორწილი!

ჟურდენი. მე მსურს ჩემი ქალი ხონთქრის შვილს მივათხოვო.

ქ-ნი ჟურდენი. ხონთქრის შვილს?

ჟურდენი. (ქ-ნ ჟურდენს) დიახ, (უჩვენებს კოვიელზე) ინებეთ და მოახსენეთ თქვენი პატივისცემა აი ამ თარჯიმანის საშუალებით.

ქ-ნი ჟურდენი. რაში მჭირია თარჯიმანი თითონ მივახლი პირში, რომ ჩემ ქალს თვალითაც ვერ ნახავს!

ჟურდენი. ინებებ თუ არა გაჩუმებას?

დორანტი. როგორ, ქ-ნო ჟურდენ, ასეთი ბრწყინვალე ცოლქმრობის წინაღმდეგი ბრძანდებით? მათი თურქული უმაღლესობა თქვენ სიძედ არა გასურთ?

ქ-ნი ჟურდენი. ღმერთო ჩემო! ბატონო, თქვენ თქვენი საკუთარი საქმეები ჩხრიკეთ!

დორანტი. განა შესაძლოა ასეთ დიდ პატივზე უარის თქმა?

ქ-ნი ჟურდენი. თქვენცა გთხოვთ, ქალბატონო, ნუ შესწუხდებით იმაზე, რაც თქვენ სრულებით არ გეკითხებათ.

დორანტი. ჩვენ ვზრუნავთ თქვენს სასარგებლოდ, მხოლოდ მეგობრობის გამო.

ქ-ნი ჟურდენი. ჩვენ თავს თქვენი მეგობრობის გარეშეც კარგად მოვეუვლით.

დორანტი. თქვენი ქალი თითონ არის თანახმა, იყვეს მამის მორჩილი.

ქ-ნი ჟურდენი. ჩემი ქალი თანახმაა თურქს გაჰყვეს?

დორანტი. ეკვს გარეშეა!

ქ-ნი ჟურდენი. და მან კლეონტი დაივიწყა?

დორანტი. ქალები, წარჩინებულის მეუღლე რომ გახდნენ, რას არ სჩადიან ხოლმე!

ქ-ნი ჟურდენი. აბა, ერთი ჩაიდინოს და ჩემის ხელით წავახრჩობ!

ჟურდენი. ცარიელი ყბედობა! რაკი ითქვა, ქორწილიც იქნება, მორჩა და გათავდა.

ქ-ნი ჟურდენი. მე კი გეუბნები, რომ არაფერი მსგავსი არ იქნება.

ჟურდენი. რა გაყვირებს?

ლუსილი. დედა!

ქ-ნი ჟურდენი. გამეცალე! ქარაფშუტა!

ჟურდენი. შენ ლანძლავ მამის მორჩილებისათვის?

ქ-ნი ჟურდენი. შენი ქალი თუა, ჩემიც არის.

კოვიელი. (ქ-ნ შურდენს) ქალბატონო!

ქ-ნი შურდენი. თქვენ რაღა გნებავთ ჩემგან.

კოვიელი. ერთი სიტყვა.

ქ-ნი შურდენი. საჭირო არ არის!

კოვიელი. (შურდენს) ქ-ნი შურდენი თანახმა იქნება ყოველივეზე, რაც კი თქვენ გნებავთ, მხოლოდ ნება დამართოს რამდენიმე სიტყვა ცალკე ვუთხრა.

ქ-ნი შურდენი. თქვენთან საქმე არა მაქვს!

კოვიელი. მომისმინეთ მხოლოდ!

ქ-ნი შურდენი. არა!

შურდენი. მოუსმინე ერთი!

ქ-ნი შურდენი. არა მსურს მაგის მოსმენა.

შურდენი. ის შენ გეტყვის...

ქ-ნი შურდენი. მასთან სალაპარაკო არაფერი მაქვს!

შურდენი. აი, ქალის უგნური ჯიუტობა. რა დაგაკლდება, რომ ერთი მოუსმინო?

კოვიელი. კიდევ გიმეორებთ, მომისმინეთ ერთი და მე რე ისე მოიქეცით, როგორც გესურვთ.

ქ-ნი შურდენი. აბა, სთქვი, რაო?

კოვიელი. (ჩუმად ქ-ნ შურდენს) მთელი საათია, ქ-ნო, განიშნებთ! ნუთუ ვერა ხედავთ, რომ მთელი ეს კომედია იმიტომ არის მოწყობილი, რომ კარგად ავეხვიოთ თვალი თქვენს ქმარს! ამ გადაცემით ჩვენ მას ვატყუებთ! ეს სულთანის შვილი სწორედ ის კლენტია!

ქ-ნი შურდენი. (ჩუმად კოვიელს) ააა!

კოვიელი. (ჩუმად ქ-ნ შურდენს) და მე კოვიელი—მისი თარჯიმანი ვარ.

ქ-ნი შურდენი. თუ აგრეა, თანახმა ვარ.

კოვიელი. (ჩუმად ქ-ნ შურდენს) მოიქეცით ისე, თითქოს არაფერი იცით.

ქ-ნი შურდენი. (ზმამალა) ახლა სხვა საქმეა, მე თანახმა ვარ.

შურდენი. მაღლობა ღმერთს, ყველანი მოვიდნენ ქუაზე. (ქ-ნ შურდენს) აი, არ გინდოდა მოსმენა! მე კი ვიცოდი, რომ შეგაგნებინებდა, თუ ვინ არის ხონთქრის შვილი!

ქ-ნი შურდენი. ყველაფერი ამიხსნა, რაც საჭირო იყო, და მეც კმაყოფილი ვარ, უნდა ნოტარიუსი დავიბაროთ.

ლორანტი. აი, ეს მესმის! და რომ თქვენ, ქ-ნო შურდენ, მთლად კმაყოფილი დარჩეთ და თქვენს ქმარზე ექვები აღარ გქონდეთ მარჯნას შესახებ, იგივე ნოტარიუსი, რომელიც თქვენი ქალის კონტ-

ჩაქტს დასწერს, დასწერს ჩემს საქორწინო კონტრაქტსაც მარკიზასთან.

ქ-ნი შურდენი. მაგაზედაც თანახმა ვარ.

შურდენი. (ჩუმაღ დორანტს) თქვენ მაგას იმიტომ ამბობთ, რომ თვალები აუხვიოთ იმას, არა?

დორანტი. (ჩუმაღ შურდენს) დეე, თავი შეიქციოს.

შურდენი. (ჩუმაღ) ჩინებულა, ჩინებულა! მაშ, უნდა ნოტარიუსი დაეიბაროთ!

დორანტი. სანამ ის მოვა და კონტრაქტს დასწერს გავართოთ მათი თურქული უმაღლესობა ჩვენი ბაღეტიო.

შურდენი. ჩინებული აზრია. მაშ, დავსხდეთ.

ქ-ნი შურდენი. ნიკოლი?

შურდენი. ნიკოლს თარჯიმანს მივათხოვებთ. ჩემი ცოლი კი, ვიცაქ სურს, იმან წაიყვანოს.

კოვიელი. უმორჩილესად გმადლობთ. ბატონო! (იქით) თუ კი ასეთი ყვეერი სხვაც მოიძებნება, მაშინ მე ეს თვით რომს უნდა ვაუწყო.

1) კომედია ბოლოვდება წინასწარ მოწინააღმდეგეული პატარა ბაღეტით

პირველი გამოხვლა.

შემოდის ბაღეტის ლიბრეტოების დამრიგებელი, მას აწყდება სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსული უამრავი ხალხი, რომელიც სიმღერით ჰყვირის, რომ ლიბრეტო მიიღოს. მელიბრეტოს განსაკუთრებით აწუხებს სამი მეტიჩაჩა, რომელიც ფეხებში ედება.

ხალხთა დიალოგი

(რომელნიც სიმღერით ლიბრეტოებს ითხოვენ

ყველანი.

გთხოვთ ჩემთვის წიგნი არ დაიშუროთ...

ამ წყალობისთვის ყმად მიმსახუროთ.

დარბაისელი.

ბატონო ჩემო, ჩვენ მათ არ ვგავართ, ვინც აქ ღრიალებს?

გთხოვთ ეგ ლიბრეტო მიართვათ ქალებს.

მეორე დარბაისელი.

ეი, ბატონო, ჩეენც ყურადღება!
ჩენაც გვალირსეთ წიგნის მიღება.

დარბაისელი ქალი.

ოჰ, ღმერთო ჩემო, არვინ აფასებს
აქ პატროსან აღამიანებს...

მეორე დარბაისელი ქალი.

ლიბრეტოები და ეს სკამებიც
ხელთ ჩაუგდიათ მღაბიო ქალებს.

გასკონელი.

წიგნიანო, მეც კაცი ვარ,
ხმა ჩამიხჩა, იმდენს ვყვირი,
ხედავთ, უკვე დამცინიან!..
სად წავიდე შერცხვენილი?!
ყველა ოხერს ამ წიგნს აჩრი,
ხელგაწვდილი მე კი დავრჩი.

მეორე გასკონელი.

უნდა გაიგოთ, ვისთან გაქვთ საქმე,
გთხოვთ მხოლოდ ერთ წიგნს... არ მომცემთ არა?
მე ვატყობ, ღირსი ჩემი გაცნობის
ეს მეტიჩარა ჯერ არ გამზდარა!

შვეიცარელი.

ქალაღდის დამრიგებელო,
ბატონო უკარებელო!
ყვირი ყელი ამომიხმა,
ვერ გაწვდინე მე მაინც ხმა.
ვარ უწიგნოდ, მიგდებული...
ღმერთს ვფიცავ, ხარ გადაკრული.

მოხუცი მღაბიო მოლაყბე.

ყველაფერი ეს,
გულწრფელათ ვამბობ,

მომწონს ნაკლებად.
 საზიზღრობაა,
 რაღა თქმა უნდა,
 რომ ჩემს ქალიშვილს,
 ნაზს, სანდომიანს,
 მრავალ ვაჟკაცთა
 სათაყვანებელს,
 თავის სურვილი
 არ აუსრულდა,—
 ბალეტის წიგნი
 მასაც რგებოდა,
 ცეკვის შინაარს
 რომ გასცნობოდა.
 თუ კონტად მორთულს
 ოჯახის წევრებს
 შორს, ჰანდარაზე
 მომითავსებდნენ,—
 არც ეს მეგონა.
 როცა დარბაზი
 გავსებულა
 ათასნაირი
 გაიძვერებით.
 ყველაფერი ეს,
 გულწრფელად ვამბობ
 მომწონს ნაკლებად.
 საზიზღრობაა,
 რაღა თქმა უნდა.

მოხუცი მღაბიო ქალი მოლაყბე.

ოპ, სირცხვილო!
 სახეს ცეცხლი მეკიდება...
 ამ წიგნების დამრიგებელს
 არაფერი გაეგება!
 ეს ჯაგლაგი,
 ეს უზრდელი,
 თავგასული
 საქონელი!...
 არ აფასებს იმ ქალიშვილს,

სასახლის რომ ამკობს უბანს.
 ამასწინად გრაფმა ბალზე
 სულ პირველად ის აცეკვა!..
 ამ წიგნების დამრიგებელს
 არათფერი გაეგება!
 ეს ჯაგლაგი,
 ეს უზრდელი
 თავგასული
 საქონელი!..

დარბაისელი ქალები და კაცები.

რა ხმაურია?

არეც დარევა!

ოროპტრიალი!

უწესრიგობა!

გაუგებრობა!

რა ქაოსია?

სული მეხუთვის

ფეხზე ვერ ედგები!..

გასკონელი.

მეც გეთანხმებით.

მეორე გასკონელი.

შევიშლები, ღმერთს გეფიცები.

შვეიცარელი.

რის მაქნისი ვარ მე ამ დარბაზში?!

გასკონელი.

საიქიოს მივემგზავრები.

მეორე გასკონელი.

გონებას ვკარგავ.

შვეიცარელი.

გეფიცებით, სჯობს გავეცალო აქაურობას.

მონუსტი მღაბიო მოლაუბე.

წავიდეთ, ჩემო,
 მომყევი ჩქარა.
 გთხოვ არ ჩამომრჩე...
 აქ არავითარ პატივს არ გვცემენ.
 ეპ, დავიღალე
 ამ ხმაურობით!
 ეს ღრიანცელი,
 არევ-დარევა
 მხრებზე დამაწვა მიძიმე ლოდვიით.
 და თუ ოდესმე
 ჩემს ცხოვრებაში
 ბალეტის ნახვა,
 ან კომედის
 კიდევ ვისურვო,—
 დე, მაშინ კარგად
 დამასახირონ.
 წავიდეთ, ჩემო,
 მომყევი ჩქარა,
 გთხოვ არ ჩამომრჩე...
 აქ არავითარ პატივს არ გვცემენ.

მონუსტი მღაბიო ქალი მოლაუბე.

ჩემო კარგო ბიჭუნა,
 მივაშუროთ ჩვენს ბინას,
 რა დაგვრჩა ამ ქონებაში,
 სადაც ვერც კი დაჯდები!
 როგორ გაუკვირდებათ,
 აქ რომ ველარ გენახავენ!
 ამ დარბაზის არევ-დარევას
 ვამჯობინებდი ყოფნას ბაზარში.
 თუ მე ოდესმე მოვისურვო
 მსგავსი გართობა, გთხოვთ ჩამცხოთ თავში.
 ჩემო კარგო ბიჭუნა,
 მივაშუროთ ჩვენს ბინას,
 რა დაგვრჩა ამ ქონებაში,
 სადაც ვერც კი დაჯდები!

ჰველანი.

გთხოვთ ჩემთვის წიგნი არ დაიშუროთ...
ამ წყალობისთვის ყმად მიმსახუროთ.

მეორე გამოხვლა:

(სამი პირველი ცეკვავს)

მესამე გამოხვლა.

სამი ესპანელი (რომელიც მღერის).

Sé que me muero de amor
y solicito el dolor.

Aun muriendo de querer,
De tan buen ayre adolezco,
Que es mas de lo que padesco,
Lo que quiero padecer;
Y no pudiendo excèder
A mi deseo el rigor.

Sè que me muero de amor,
Y solicito el dolor.

Lisonxea me la suerte
Con piedad tan advertida
Que me assegura la vida
En el riesgo de la muerte.
Vivir de la golpe fuerte
Es de mi salud primor.

Sè que me muero de amor,
Y colicito el dolor.

(ექვსი ესპანელი ცეკვავს).

სამი მომღერალი ესპანელი

Ay! que locura, con tanto rigor
Quexarse de amor,
Del nino bonito.
Que todo es dulçura!
Ay! que locura!
Ay! que locura!

ესპანელი (მღერის).

El doro solicita,
El que al dolor se 'da:
Y nadie de amor muere,
Sino quien no sabe amar.

ორი ესპანელი.

Dulce muerte es el amor
Con correspondencia ygal;
Y si esta gozamos hoi,
Porque la quieres turbar?

ესპანელი.

Alegrese enamorado
Y tome mi parecer
Que en esto de querer
Todo es allar el vado.

სამივე ერთად.

Vaya, vaya de fiesta,
Vaya de bayle!
Alegria, alegria, alegria!
Que esto de dolor es fantasia.

მეოთხე გამოსვლა.

იტალიელები.

იტალიელი მომღერალი ქალი ჰყვება ამბავს ზემდეგი სიტყვებით:

Di rigori armata il seno,
Contro amor mi ribellai;
Ma fui vinta in un baleno,
In mirar due vaghi rai.
Ahi! che resiste puoco
Cor di gelo a stral di fuoco!
Ma si caro è 'l mio tormento,
Dolce è si la piaga mia,
Ch' il penare è mio contento.

E l sanarmi è tirannia.
 Ah! che più giova e piace,
 Quanto amor è più vivace!

(მომღერალი ქალის მიერ შესრულებულ არიის შემდეგ ორი ხუმარა, ორი ტრიკელენი და ერთი არლეკინი წარმოადგენენ რიტმულად ლამეს. იტალიელი მომღერალი ვაჟი უახლოვდება მომღერალ იტალიელ ქალს და მასთან ერთად ორი შემდეგ სიტყვებს:

იტალიელი მომღერალი ვაჟი.

Bel tempo che vola
 Rapisce il contento:
 D, amor ne la scuola
 Si coglie il momento

იტალიელი მომღერალი ქალი.

Insi che florida
 Ride l'età;
 Che pur tropp' orrida,
 Da noi sen va

ორივე ერთად.

Sù cantiamo,
 Sú godiamo,
 Ne' bei di di gioventù;
 Perduto ben non si racquista più.

მომღერალი ვაჟი.

Pupilla ch'è vaga
 Mill' alme incatena,
 Fa dolce la piagia,
 Felice la pena

მომღერალი ქალი.

Ma poichè frigida
 Langue l'età,
 Più l'alma rigida
 Fiamme non ha.

ორივე ერთად.

Sù cantiamo,

Sù godiamo,

Ne' bei di di gioventù;

● Perduto ben non si racquista più,

იტალიელთა დიალოგის შემდეგ ხუმარები და ტრიველენები
მხიარულ ცეკვას ასრულებენ.

გამოსვლა მესუთე.

ფრანგები, ორი მომღერალი პუატუელი ცეკვავს და მღერის შემდეგ სიტყვებს:

პირველი მენუეტი.

ოჰ, რა კარგია ეს ხეივანი!

ლაქეარდი ზეცა თვალებს ახარებს...

მეორე მომღერალი.

ნაზი ბუღბული ქორფა ფოთლებქვეშ
თავის მოფრენას ამცნობს ამ მხარეს.

აქ ყოფნას რა სჯობს —

ამ სიმწვანეში!

ბუნება გვიხმობს

ტრფობის მხარეში.

მეორე მენუეტი.

(ორივე ერთად)

ნახე, კლიმენ,

ამ მუხის ქვეშ

ჩიტე ჩიტს რომ უაღერსებს.

არაფერი ხელს არ უშლის

მათ ნაზ სურვილს,

ცხელი ყრეოლა

ტანში უვლისთ.

მედნიერნი!..

ჩვენც ხომ ძალგვიძს.

თუ იხურვებ,

ვიყოთ ასე..

სხვა ექვსი ფრანგი შემოდის, კობტად მორთულნი, პუატუელთა ტანისამოსში —
სამი ვაჟი და სამი ქალი. ისინი მენუეტს ცუკვავენ. მათ ახლავთ რვა დაპკვრელი
ფლეიტით და სტვირით.

გამოსვლა შეექვსე.

(ყველაფერი ეს თავდება სამი ხალხის ერთმანეთში არევით. ყველა დამსწრე ცე-
კვისა და სიმღერის დროს ტაშს უკრავს. მღერიან შემდეგ ლექსს:)

ვაშა ასეთ წარმოდგენას,
ვაშა ასეთ დროსტარებას!..
ღმერთებსაც არ განუცდიათ
უფრო ტკბილი ნეტარება...

სკაპინის ტულღუზობა

LES FOURBERIES DE SCAPIN

სამ-მოქმედებიანი კომედია

თარგმანი

აკაკი წერეთლისა

მომქმელი პირები:

არგანტი, ოქტავის და ზერბინეტის მამა.
ერონტი, ლეანდრისა და გიაცინტის მამა.
ოქტავი, არგანტის შვილი და გიაცინტის არშვიცი.
ლეანდრი, ერონტის შვილი და ზერბინეტის არშვიცი.
ზერბინეტი, არგანტის ქალი. რომელიც ეგვიპტელი ქალი ჰგონიათ.
გიაცინტი, ერონტის ქალი.
სკაპენი, ლეანდრის მსახური.
სილბისტო, ოქტავის მსახური.
ნერიანი, გიაცინტის გადია.
კარლი, სკაპენის მეგობარი.
არიშეკურტნი.

მოქმედება ხდება ნეაპოლში.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

თქვაფი და სილიბისტრო

ოქტავი. ეგ სამწუხარო ამბავი ისრად ხვდება ამ ჩემს ტრფიულ გულს. აჰა, ღმერთო ჩემო, სილიბისტრო, შენ ეს—ეს არის ახლა შეიტყუე ნაეთსაყუდელში, რომ მამაჩემი მოდის?

სილიბისტრო. დიად, ბატონო!

ოქტავი. ამ დილასვე მოვაო?

სილიბისტრო. დიახ ამ დილასვე.

ოქტავი. ჰმ... ისიც გაიგონე, რომ მე ცოლი უნდა შეერთოს?

სილიბისტრო. დიახ.

ოქტავი. უფალი ჟერონტის ქალი?

სილიბისტრო. დიახ, სწორედ იმის ქალი.

ოქტავი. და ის ქალიც, მხოლოდ მაგის გულისათვის, პირდაპირ გამოუთხოვია ტარენტიდან?

სილიბისტრო. დიახ.

ოქტავი. ეს ყველაფერი ბიძაჩემისაგან შეიტყუე?

სილიბისტრო. დიახ, მისგან!

ოქტავი. რომელსაც მამაჩემმა ყველაფერი წერილით აცნობა?

სილიბისტრო. დიახ, წერილით.

ოქტავი. შენ იმასაც ამბობ, რომ ბიძიამ ჩვენი ამბები სუყველაფერი იცისო?

სილიბისტრო. დიახ.

ოქტავი. ოჰ... ამოიღე ხმა ღეთის გულისათვის! სულ დიახ და დიახ... გაზით უნდა ამოგაცალოს კაცმა პირიდან ყველაფერი?

სილიბისტრო. რა უნდა მოგახსენოდ. თქვენ კარგათ იცით დაწერილებით და ძალიან დაბეჯითებითაც ბრძანებთ,—მე რაღა საჭირო ვარ?

ოქტავი. მაშ მირჩიე მაინც რა უნდა ვქნა ამ გაკვირვების დროს?

სილიბისტრო. არ ვიცი, ღმერთმანი! თქვენი არ იყოს, მეც ძალიან თავბრუ მესხმის. რჩევა მეც მესაპიროება.

ოქტავი. მაგ დაწყველილმა ამბავმა ასე მოულოდნელად მისმა დაბრუნებამ, წელი არ მომწყვიტა?

ხილიბისტრო. უნდა მოგახსენოთ, რომ მეც სწორედ მუხლები მომკვება!

ოქტავი. ახლავე ვხედავ,—აქედანვე ვგრძნობ, რომ შეიტყობს თუ არა მამაჩემი, უმისოდ თუ რა ამბები მოხდა აქ, სულ მტვერს აადენს აქაურობას, თავს თბლეს გადამადენს... სულ ტიკქორასავით გამბერავს ლანძღვით.

ხილიბისტრო. ეგ კიდევ არაფერია! ლანძღვავენებამ თქვენი კი-რი წაიღოს!—მე რო მაგას დამაჯერებდეს, ვინ ოხერი ჩივა, მაგრამ ვიცი, რომ სულ სხვა იქნება ჩემი საქმე: ერთს კარგად შემზურგავს, თქვენ მოწონებულად შემახურებს და მერე წადი და უყარე ღომის-კაკალი!

ოქტავი. აჰა, ღმერთო! აჰა, ღმერთო! როგორ უნდა უშველოთ თავს? რა ნაირად უნდა გადურჩეთ ამ ხათაბალას?...

ხილიბისტრო. შე დალოცვილო, ეგ ადრე უნდა გეფიქრათ!...

ოქტავი. კარგი, ერთი შენ მაინც ნულარ მიხეთქავ გულს დაგვიანებული დარიგებით: მე ჩემიც მეყოფა!..

ხილიბისტრო. შე დალოცვილო, თქვენ უარესად არ მისივებთ ნალველს მაგვარის გაშმაგებით?!

ოქტავი. ღმერთო ჩემო! რა უნდა ვქნათ? ვის მივმართო! ვინ გამომიხსნის ამ ცეცხლიდან?

სურათი მეორე

ოქტავი, სკაპენი, ხილიბისტრო

სკაპენი. რა დაგმართნიათ, ბატონო ოქტავო? რა მოხდა? ნეტარას აუშფოთებინათ მასე?

ოქტავი. ოხ, ჩემო სკაპენ, რომ იცოდე რა დამემართა!..სასოწარკვეთილებაში ვარ! დავიღუპე: ერთი სიტყვით, ჩემისთანა უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ იპოვება.

სკაპენი. როგორ! რაო?

ოქტავი. როგორ თუ რაო? შენ განა არაფერი შეგიტყვია ჯერ? **სკაპენი.** სრულიადაც არაფერი!

ოქტავი. აბა იცოდე რომ მამაჩემი და ჟერონტი დაბრუნებულან და ცოლის შერთვას მიპირობენ.

სკაპენი. ისეც კარგი დაგემართოსთ, მერე რა არის მანდ სამწუხარო?

ოქტავი. საქმე სულ სხვაგვარად არის, და შენ კი არ იცი ჩემი ცეცხლი.

სკაპენი. სწორედ არ ვიცი, მაგრამ თქმის მეტი არ დაგვირდებათ? ბრძანეთ და მეცოდინება. მე ძალიან ადვილად გადასაყოლო კაცი ვარ და მიყვარს კიდევაც ყმაწვილ კაცების საქმეში გარევა.

ოქტავი. ეეხ, სკაპენო! რომ შეგეძლოს მოხერხება, და გამოიშინება ამ განსაცდელისაგან, სწორედ საუკუნოდ დამავალეზი.

სკაპენი. მე, ჩემო ბატონო, სწორედ უნდა გამოგიტყდეთ, რომ იმისთანა საქმე ცოტა მეგულება, რომელშიდაც, თუ კი გავერიგე, ჯარასავით არ დავეტრიალდე და არ გამოვაჯანჯარო. ყოვლის შემძლებელმა ღმერთმა მომანიჭა მეტად გამპრიახი კეჟა იმ ცულღუტობისა და მელაკუდაობის, რომელსაც დღეს უზრდელეზი და გაუგებრები გაიძვერაობას უწოდებენ. დაჩემებით არ მოვახსენებთ და მგონია, სხვას ვერავის შეხვდეთ, რომ ჩემსავით გამძვრალ-გამომძვრალიყოს დახლართულ საქმეებში, და ან ჩემოდენი სახელი ენახოს ამ მეტად კეთილშობილ და დიახ, საქებ ხელობაში, მაგრამ ესეც კი უნდა ესთქვა, რომ ჩვენ დროში ეს ხელობა აღარ ფასდება და მეც გული ამიცრუვდა მას შემდეგ რაკი ერთი ორჯერ ამ ხელობამ, რომ უნდოდა ისე ველარ მასიამოვნა.

ოქტავი. როგორ თუ ვერ გასიამოვნა?

სკაპენი. დიახ, ცოტა კიდევ მაწყინა, როდესაც ჩემდა უკითხავად სამართლის კარებამღი მიიყვანა და ძალაუნებურად ზედ წამახახუნა!

ოქტავი. რაო? სამართლის კარებამღი მიგაჩანჩალა!

სკაპენი. დიახ. და მაშინ ის იყო, რომ კიდევაც შულლი მოგვივიდა ერთმანეთთან მე და იმ დალოცვილ—მართლ-მსაჯულებას.

ოქტავი. შენ და მართლ-მსაჯულებას?

სკაპენი. სწორედ... და ესეც უნდა მოვახსენოთ, რომ მართლ-მსაჯულება, რომ უნდოდა ისე ვერ მომეკვა და მეც, ცოტა არ იყოს გული დამწყდა და აღთქმა დავეფი გულმოსულმა, აღარაფერში აღარ გავერევი... კმარა!... მაგრამ ეს ერთი კიდევ თქვენი ხათრი და პატივის-ცემა იყოს, თქვენთვის მოვიბრუნებ გულსა. რა გაეწყობა! აბა მიბრძანეთ, რა არის თქვენი გაქირვება!

ოქტავი. ეს ხომ იცი, სკაპენ, რომ მამა-ჩემი და ჟერონტი ამ ორი თვის წინად, რამოდენიმე ხნით რალაც სავაქროთ გაემგზავრენ.

სკაპენი. როგორ არა ვიცი, ვიცი!

ოქტავი. მე და ლეანდრი კი აქ დაგვტოვეს ჩვენმა მამებმა! ჩემი თავი სილიბისტროს ჩააბარეს, ლეანდრი—შენ.

სკაპენი. მართალი ბრძანებაა, მაგრამ ეს კი უნდა მოვახსენოთ,— მე ის ტვირთი ვერაფრად მექაშნიკა.

ოქტავი. დიდხანს არ გაუვლია, რომ ლეანდრი შეეყარა ერთ ახალგაზრდა ეგვიპტელ ქალს და კიდევაც შეუყვარდა.

სკაპენი. ეგეც ვიცი.

ოქტავი. და რადგანაც მე და ის დიდი მეგობრები ვართ, მაშინვე გამომიტყდა, გამანდო თავის გულის პასუხი და კიდევ მიჩვენა ის ქალი; უნდა გითხრა, რომ ურიგოდ არ მიჩვენებია, მაგრამ, არც ისე მომწონებია, როგორც ლეანდრი ფიქრობდა: იმან, ერთი სიტყვით, წამდაუწუმ იმ ქალის ქებით ყურები გამიბეჭა. ხან მის სილამაზეს ამიწერდა ხოლმე, ხან ტანადობას, ხან რას!—ერთი სიტყვით. გამაყრუა მისი ქებით, გამაყრუა, და როდესაც მე არ ვყურობდი ხოლმე, გულგრილობას მწამებდა და საყვედურით მხეთქავდა.

სკაპენი მერე? სხვა კიდევ?

ოქტავი. ერთხელ, როდესაც ლეანდრს ვაცილებდი მისი მიჯნურის კარებამდე, მიყრუებულ ქუჩაში ერთი ქოხიდან რალაც მოთქმა და ოხერა შემოგვესმა!.. ჩვენ მივუბრუნდით იქ მყოფთ დედაბერს და ვკითხეთ: „რა ამბავიათქო!“ „როგორ თუ რა ამბავი?“ — გვიპასუხა, — მობრძანდით და შეიტყობთო: იქ ვილაც უცხოელები დგანან და, რომ მობრძანდეთ იმათთან, ძალიან რამე საცოდაობას ნახავთ“.

სკაპენი. ეეჰ, შე დალოცვილო, თქვენ საქმე მიბრძანეთ. ეგ წილა-დობილა რად მინდა, რომ მომიყვებით?

ოქტავი. გულმა აღარ მოგვითმინა მე და ლეანდრს, შევედით და და ერთი მომაკვდავი დედაბერი დაგვიხვდა, რომელსაც უვლიდა მტირალი გოგო და იქვე თავით უდგა თვალცრემლიანი ერთი ახალგაზრდა ქალი, მაგრამ რა ქალი, რომ იცოდე? ჩემ სიცოცხლეში ჯერ ჩემ თვალის კაკლებს მისი მსგავსი არა უნახავთ რა!

სკაპენი. ჰერი ჰაა!... გიშველა ღმერთმა!

ოქტავი. სხვა რომ ვინმე ყოფილიყო იმისთანა მდგომარეობაში, როგორც ის ქალი იყო, საზოგადოებრივად მოეჩვენებოდა კაცს: მის ტანისამოსს მხოლოდ ერთი ძველი კაბა, დაფხრეწილი, კაბისზედა ტანი შეადგენდა სხვა არაფერი! და თმაზედაც ყვითელი ლენტო ჰქონდა შემოკრული. აი სულ ეს იყო მისი მორთულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოცნება იყო!

სკაპენი. ჰო! ჰო! ჰო! ახლა კი მივხვდი! ვხედავ, რაც ამბავია!

ოქტავი. არა სკაპენო, შენც რომ გენახა, მაშინ იტყოდი, რომ მშვენიერებააო!

სკაპენი. იმე, რა ბრძანებაა, უეჭველია! ჯერ რომ ვერა ვხედავ და ისიც მწვენიერებად მიმაჩნია, რალა თქმა უნდა, რომ..

ოქტავი. არც მისი ცრემლები ჰგვანდენ იმ ცრემლებს, სახეს რომ მანკვენ. აბა ასე გასინჯე, რომ მოთქმაც უფრო უმშვენიებდა პირი-სახეს! ეშხს მატებდა!

სკაპენი. ვხედავ! ვხედავ!

ოქტავი. ვინც უნდა ყოფილიყო, გინდა ქვის გულიც კი ქონოდა, ტირილს ვერ შეიკავებდა, რომ ენახა, თუ რა რიგად ეხუტებოდა, ეკვროდა გულში მომაკვდავს რომელსაც დედას ეძახოდა. არა, სწორედ გასაკვირველი იყო იმისთანა მხურვალე ნათესაური გრძნობა!

სკაპენი. რა თქმა უნდა, რომ გასაკვირველი ყოფილა, მერე, იმ ნათესაურმა მხურვალე გრძნობამ თქვენც ისე გაგახურად, რომ შეგაცოდევით ის საბრალო ქალი და შეგატოპეინათ სიყვარულის მორევში, განა?

ოქტავი. ეებს, სკაპენო! ბარბაროსი რომ ყოფილიყო ჩემს ადგილზედ, იმასაც კი შეუყვარდებოდა.

სკაპენი. რასაკვირველია, რაღა თქმა უნდა! რა ბრძანებაა, მაგის ექვი ვის ექნება!

ოქტავი. რამოდენიმე სიტყვის შემდეგ, რომლითაც ის საბრალო ვანუგეშეთ, ჩვენ გამოვედით და მაშინ ვკითხეთ ლეანდრს: „ის ქალი როგორ მოგწონს თქო?“ „რა უპირსო, ჰო, რა უშავსო!“ ეს მიპასუხა და მეტი არაფერი. სწორედ ძალიან გამიკვირდა მისი გულგრილობა და აღარც მე გამოვუტყედი ჩემი გულის პასუხს.

სილიბისტრო (ოქტავს) თუ ეგ თქვენი მოთხრობა არ შეამოკლეთ და მაგრე გააქიანურეთ, ვერც ხვალამდე მიაწევთ. იქამდე, რისიც თქმა გინდათ. დამაცადეთ, ისევე მე ვიტყვი, სულ ორი სიტყვით გავათავებ... (სკაპენს) ეს დალოცვილი იმ წამსვე გააბრუა სიყვარულმა და წამდაუწუმ დაცუნცულებდა ხოლმე თავის სასურველ მგლოვიარე ქირისუფალთან, ნუგეშის საცემლად, მაგრამ მოახლემ, რომელმაც დედის სიკვდილის შემდეგ, ობოლს დაუწყა ყურისგდება, ბოლო მოულო ამ ხშირ სტუმრობას. ეს საბრალო ავარდა, დავარდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრი ხვეწნა ვედრებაც შემოეხარჯა, მაგრამ მაინც ვეღარას გახდა რა! ასე მოახსენეს, რომ ის ქალი ღარიბ-ღატაკი და უპატრონოაო, მაგრამ გამოჩენილი გვარისა კი არის და, მაშასადამე, თქვენი ხშირი სტუმრობა სახელს გაუტეხსო. ამ ხელის შესწამ სულ ცეცხლი მოუკიდა ამ ჩემ ბატონისშვილსა და ბევრი ფიქრისა და თავისტეხის შემდეგ მოინდომა მისი ცოლად შერთვა. აი, ამგვარად დღეს ეს სამი დღეა, რაც ოქტავი იმ მზეთუნახავის ქმარი ბრძანდება!

სკაპენი. განა საქმე მაგრეა? ჰმ... გვესმის... შემიტყვიან!..

სილიბისტრო. ახლა კიდევ ამებებს ყველა შენ დაამატე იმ მოულოდნელი დაბრუნება მაშისა, რომელიც ჩვენი ანგარიშით კიდევ არ უნდა მომხდარიყო ორ თვეზე აღრე. ამას გარდა ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ბიძა ამისმა ეს ცოლის შერთვაც იცის და ისიც, რომ უნდა ჟერონტის ქალიშვილი შერთონ, ის ქალი, რომელიც მეორე ცოლის ხელშიდა ყავს! ესეც ხომ იცი, როგორც ამბობენ, რომ ჟერონტის მეორე ცოლი ყავდა შერთული ტარენტოში?

ოქტავი. ამებთან ყველასთან ისიც იქონიე სახეში, ჩემო სკაპენო, რომ ჩემი საყვარელი მეუღლე ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და მე არა მაქვს საშუალება რომ ხელი როგორმე გაუმართო.

სკაპენი. ეგ, ეგ არი! სხვა არაფერი! — მერე, მაგისთანა უბრალო საქმემ ჩამოგაყრევინათ ორიკეს ყურები? როგორ არა გცხვენიათ? ხომ არ შეიშალებთ? თავრეტი დაგესხათ, გაცოფდით! აჰა! შე ახმახო, შენა, დედაშენსა და მამაშენს ორივე ერთმანეთზედაც რომ გადააკრა, მანც კიდევ სამი ადლი გადაჭარბე აყლაყულობითა და მაგ გახრეკილ გოგრაში, მაგ ოხერ საბუღარში მაგ ცარიელ ბოყვეში კი ვერაფერი საშუალება მოგინახავს, რომ მაგისთანა რამ უბრალო საქმე როგორმე გაგემართლებია?.. ფუი, შეგარცხვინოს ღმერთმა? შე გლახაკო, შე უხვირო შენა! აი შენ გაყვლეფილო მუნიანო გოქო, შენა, აჰ!.. სიბრძნის კოლოფი არც მე გახლავარ, მაგრამ ოდესმე მაგისთანა საქმე რომ შემთხვევოდა, ბუზადაც არ ჩავაგდებდი თქვენს ბერიკაცებს. აი, თქვე ბაიყუშებო, თქვენა!..

სილიბისტრო. რა გქნა, უნდა გამოგიტყდე. რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის შენისთანა ნიჭი. მე თუ ერთხელ საქმეში გავებლართე, იქიდან თავის გაძვრენა ილარ შემიძლია!

ოქტავი. აი ჩემი მშვენიერი და ძვირფასი გიაცინტიც!

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ოქტავი, სკაპენი, სილიბისტრო, გიაცინტი.

გიაცინტი. ახ, ოქტავო, განა სილიბისტრომ მართალი უთხრა ჩემს ნერინას, რომ მამაშენი ბრუნდება და ცოლას შერთვას გიპირებს?

ოქტავი მართალია ჩემო საყვარელო გიაცინტ, და კიდევაც წელი მომწყვიტა მაგ ამბავმა, მაგრამ შენ რას ტირი, რა გემართება? ორგულობას ხომ არ მეწამები? ყური დამიგდე, გიაცინტ: ნუ თუ ჩემს სიყვარულზე კიდევ არა ხარ დარწმუნებული?

გიაცინტი. არა, ოქტავო! სწორედ ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, კვლავაც გეყვარები თუ არა?

ოქტავო. გიაცინტა, განა შეიძლება, რომ შენ კაცმა შეგიყვაროს და სამუდამოდ კი არა?

გიაცინტი. მე ასე გამიგონია, რომ მამაკაცებს ჩვენსავეთ ხანგრძლივი სიყვარული არ შეუძლიათო! როგორც მალე აენტება მათ გულში სიყვარული, ისე მალეც ჩაქრებაო.

ოქტავო. ძვირფასო გიაცინტ! თუ ეგ მართალია, მე მხოლოდ ეს შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემი გული სხვების გულს არა ჰგვანებია! მე ვგარძნობ და კიდევაც მწამს, რომ შენი სიყვარული საფლავშიდაც კი ჩამყვება!

გიაცინტი. ძალიან მსურს, რომ ეგ სიტყვები დავიჯერო, ექვი არა მაქვს, რომ რასაც ამბობ, სულ გულწრფელია, მაგრამ შეშინიან კი, ვაი თუ მამიშენის უფლებამ ამოგიფხროს გულიდან ეს სიყვარული! შენ თუ სხვა ცოლი შეირთე, იცოდე, რომ გულზე გავსკდები! ველარ გაუძლებ ჯავრსა და თანაც ვადაუყვები!

ოქტავო. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო გიაცინტ! მე ქვეყანაზედაც არ მეგულება იმისთანა მამა, რომ შენი თავი დამავიწყოს. აბა, მე უფრო ადრე დავაგდებ ჩემს სამშობლოს, ჩემს სიცოცხლეს გავეყრები და შენ კი ვერ მოგშორდები! ვერ შეგელევი! გეფიცები, რომ ჯერ არ მინახავს ის, ვილაც ჩემი საცოლოა, და ახლავე აქედანვე მუზიზღება. შენ კარვად იცი — მე ავ-გული არ ვარ, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, რომ ის ჩემი საცოლო ნეაპოლში მისვლამდე სადმე ზღვაში ჩაიღრჩობოდეს, საწყენად არ დამირჩება. ნუ!.. ნუ!.. ნუ ტირი ჩემო გიაცინტ! ეგ ცრემლები მე გულს მითუთქვენ!..

გიაცინტი. მაშ კარგი, აღარ ვიტყვებ, რა ვაეწყობა! რაც ზეცას ჩემთვის დაუნისნავს, მოთმინებით მივიღებ და გულგრილად მივეგებები.

ოქტავო. არა გვიშავს რა, ღმერთი მოწყალეა!

გიაცინტი. რასაკვირველია, თუ კი შენ არ მილაღატებ.

ოქტავო. არაოდეს! არაოდეს!

გიაცინტი. მაშინ მე სრული ბედნიერი ვიქნები.

სკაპენი. (თავისთვის) არ ყოფილა ეს ქალი უქკუო, სახითაც არა უშავს...

ოქტავო. (უჩვენებს გიაცინტს სკაპენზე) აი ამ კაცს შეუძლია შემწეობა მოგვეცეს, რომ მოინდომებდეს.

სკაპენი. მე, ღიდი ხანია, აღთქმა მაქვს მიცემული, რომ მაგვარ საქმეებში აღარ გავერიო, მაგრამ თუ ორივე ძალიან გულით შემეხვეწებით, მაშინ კი... ვნახოთ.

ოქტავი. თუ კი თხოვნა საჭიროა, სწორედ რომ გულ-მოდგინეთ გვედრები...

სკაპენი. (გიაცინტს) თქვენ რაღას განუმებულხართ? რატომ არას მეტყვი?

გიაცინტი. მეც გებეწვები და გაფიცებ რაც კი გეფიცება, რომ ჩვენს მდგომარეობაში მონაწილეობა მიიღო.

სკაპენი. ეჰ, რა გაეწუბა! მეცოდებით! — კარგი, კარგი, მოგებ-მარებით.

ოქტავი. დარწმუნდი, რომ...

სკაპენი. სსუ! კმარა... (გიაცინტს) გასწით აქედან, გული დაიმშვიდეთ და სხვა ჩემს კისერზე იყოს.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ოდესაჲ, სკაპენი და სილიმისცრთ.

სკაპენი. (ოქტავს) აბა მოემზადეთ, რომ გულ-მაგრად შეხვდეთ მამა თქვენს!

ოქტავი. ეგ შეხვედრა როგორღაც სულს მიფრთხობს. დაბადებიდგანვე დამკრთალი ხასიათისა ვარ, გულს ვერ შევიმაგრებ ხოლმე.

სკაპენი. კი მაგრამ, თუ ჩახმახად არ დაუხვდი პირველ შეყრის დროს და სიმბთალე შეგნიშნა, ისე მოგექცევათ, როგორც პატარა ბავშვს. გაბედვით, შეუპოვრად უპასუხე ყოველს სიტყვებზე.

ოქტავი. თუ კი შევიძელი და მოვახერხე, თავს აღარ დაგზოგავ.

სკაპენი. მაშ, გამოვცადოთ; ახლა ცოტა უნდა გაგწვრთნათ და ენახოთ, როგორ აასრულებთ ჩემს დარიგებას. აბა, გამოქაჩეთ თვალები. ფეხმძიმედ, ლომივით გაიარ-გამოიარეთ! თავი მალლა აიწიეთ! მაგრე! უფრო შეუპოვრად შემომხედეთ!

ოქტავი. ასე?

სკაპენი. კიდევ უფრო იერიანად!..

ოქტავი. ასე? ახლა ხომ კარგია?

სკაპენი. ძალიან კარგია! ახლა წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ მამა თქვენი, და ისე თამამად მიპასუხეთ, როგორც იმას უნდა უპასუხოთ, გამიგონე, შე საძაგელო, ავაზაკო, შემცოდე შვილო, შენ მამის შეუფერო, შენა! როგორ გაბედე და როგორ ეჩვენე ამ ჩემი თვალის კაკლებს, იმ საკიცხი და უშეენის საქმეების შემდეგ, რომელიც შენ ჩემს სხვაგან ყოფნაში ჩაგიდენია!.. შეჩვენებულა! განა ეგ არის შენზე ჩემი ზრუნვის ნაყოფი? მაგ მადლობას მემართლებოდრე? აი შე ასპიტო! შე ხაშმიანო გველო!

როგორ გაბედვ ბარბაროსო, მამი-შენის ნება დაურთველად ცოლის შერთვა? აბა მიპასუხე ჩქარა, შე საძაგელო შენა. ვნახოთ როგორ გაიმართლებ თავს. ხმა გამოილე! პასუხს ველი!.. (თავის ხმით) ენა ჩავვარდა? მიპასუხე, რას იფულები ძერასავით?..

ოქტავი. სწორედ ისე მიჯავრდები, როგორც მამაჩემი და მოდი და ნუ შეგეშინდება შენი!..

სკაპენი. მერე, მიტომ უნდა ბაბოსავით გამოშტერდე? გუგულივით გამოშტერებულხარ და არ იცი, რა უნდა ქნა.

ოქტავი. დამაცადე, აბა ახლა, როგორც რიგია, ისე გიპასუხებ.

სკაპენი. ჰოო და, რასაკვირველია, მაგრე უნდა ინებო!..

ოქტავი. აბა ახლა მიყურე!

სილიბისტრა. (ოქტავს) აი მამა თქვენცი.

ოქტავი. ახა, ღმერთო ჩემო!.. დავილუპე!..

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

სკაპენი და სილიბისტრა

სკაპენი. ჰეი! ოქტავო! სად გარბიხარ? აქ მოიცადე? ოქტავო? არ კი გაპქუსლა! რა უხეიროა, დედავ, დედავ, რა მხდალია! — (სილიბისტრას) წავიდეთ ბერიკაცთან.

სილიბისტრა. მერე რა უნდა ვუთხრა, რომ მივიდე?

სკაპენი. ეგ შენი საქმე არ არის. მე დამაცალე; მე ველაპარაკები, შენ მხოლოდ ტყუილა მომყევი.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ჰ მ ს ე

არგანტი, სკაპენი და სილიბისტრა (ცოტა მოშორებით)

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ნეტავ თუ სხვასაც გაუგონია ვისმეს ამისთანა თავხედობა!..

სკაპენი. (სილიბისტრას) ჰე ჰერიჰა... ამას კიდევაც ყოლიფერი შეუტყუია... მაგრამ ამ საქმეს ისე კი გაუბრუნებია, რომ თავის თავს ხმა მალლა ესაუბრება!

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ეს თავხედობა მისატყევებელი, შესანდობელი არ არის!

სკაპენი. (სილიბისტრას) აბა, შევიტყოთ, რაიო?

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ნეტავი ვიცოდე, რას მეტყვიან ამ თავხედურ ცოლის შერთვაზე!..

სკაპენი. (თავისთვის). ეგ ჩვენ ვიცით, რასაც მოგახსენებთ.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ვინ იცის. ეგება უარზედაც დაადგენ და გადათქვან.

სკაპენი. (თავისთვის) უკაცრავად. ეგ ტყუილი ანგარიშებია.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ან და ეგება თავიცი იმართლონ.

სკაპენი. ეგ კი სულ სხვა ანგარიშია! რატო არაო! დიხაბაც.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) დამიწყებენ ერთს აქია-ბაქიას.

სკაპენი. (თავისთვის) ეგ დიხაბ, ადვილი შესაძლებელია.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) არა, მაგრამ მათი მკვერ-მეტყველება უქმად ჩაივლის.

სკაპენი. (თავისთვის) მაგასაც ვნახავთ, თუ მაგრე იქნება.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ვერ გამაცურებენ.

სკაპენი. (თავისთვის) ტყვილი იმედებია.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) ჩემს სათოკე შვილს მე ვიცი, როგორ საიმედო ადგილს მიეუჩენ.

სკაპენი. (თავისთვის) ამაზე ჩვენც ვეცდებით.

არგანტი. (მარტოა ჰგონია) იმ თავსხლათ-დასხმულ სილიბისტროს სულ კისერს მოვატეხინებ.

სილიბისტრო. (სკაპენს) ჰე, ახლა მეც მომწვდა, ასე მეგონა, თუ დავაიწყდი, აქამდი რომ არ მახსენა, და ძალიანაც მიკვირდა.

არგანტი. (დაიანახავს სილიბისტროს) აა! — აქ მობძანდით, ბატონის შვილო, ერთი დამენახვეთ, წინ წამოდექით, ჩემო ერთგულო შინა ყმაე!

სკაპენი. ბატონს გაუმარჯოს! — დიდათ მოხარული ვარ თქვენის ხილვისა, ჩემო ბატონო.

არგანტი. აა! სკაპენს გაუმარჯოს! რასა იქ? (სილიბისტროს) მაშ საქებურად აგისრულებია ჩემი ბრძანება: მეტი აღარ შეიძლება, ისე გიგდია ყური ჩემი შვილისათვის.

სკაპენი. ხომ მშვიდობითა ბრძანდებით ჩემო ხეწიფე-ბატონო.

არგანტი. ერთ რივად, ასე, გვარიანადა ვარ. (სილიბისტროს) რატომ არაფერს მიპასუხებ, შე საძაგელი?

სკაპენი. ხომ მშვიდობითა და კარვად იმგზავრეთ, ჩემო ბატონო!..

არგანტი. ახა, ღმერთო! დიხა, მშვიდობითა და კარვად. თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე ერთი. რას ჩამციებინხარ! დამაცადე, კარვად გაელანძლო ეს საძაგელი.

სკაპენი. თქვენ გნებავთ, ბატონო, გალანძლოთ?

არგანტი. ჰო!...

სკაპენი. ვინა, ბატონო?..

არგანტი. ვინა და ეს ბილწი, ეს საძაგელი!

სკაპენი. რადა ბატონო!

არგასტი. როგორ თუ რადა! განა არ შეგიტყვია, თუ რა მოხდა აქ, ჩემს სხეავან ყოფნაში?

სკაპენი. დიახ, როგორც მოგვარი ყური აქა-იქა, რალაც სისულელეზედ, უბრალო რამეზედა ქორავდენ.

არგანტი. როგორ თუ უბრალოზედ? მამის მაგგვარად წინააღმდეგობა, უბრალო რამეა?

სკაპენი. დიახ, თითქმის მართალი ბრძანდებით!

არგანტი. დიდი თავხედობაა!

სკაპენი. რასაკვირველია!..

არგანტი. შვილი, რომელიც მამის უნებურად ცოლს შეირთავს...

სკაპენი. დიახ, რასაკვირველია, მაგაზედ კი ღირს ხმის ამოღება, მაგრამ ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ საქმეზედ ხმასაც ნუ ამოიღებთ.

არგანტი. არა, მე მაგის თანახმა არა ვარ! მაგ საქმეს მე მთელ ქალაქს შევატყობინებ, სულ ვიყვირებ! რაო? შენ ეგება გეგონოს, რომ მე გაჯავრების უფლებაც აღარა მქონდეს?!

სკაპენი. ეგ სწორედ მაგრეა. სახუმაროდ აღარც მე გაეწიწმარიტებულვარ, ეგ ამბავი რომ პირველად გავიგონე, თქვენ ეგება არც მე დამიჯეროთ, ბატონო, რომ მე თქვენი შვილი ძალიან კარგა ლაზათიანად შემომეღიანძლა. აბა, კითხეთ ერთი იმას, თუ რა დარიგება მივეცი და რა საყველურებით გავბერე, მისთვის, რომ ის ვერ მოიქცა კეთილ-შობილად, იმისთანა მამასთან, რომელსაც ყოველ დღე სიმდაბლით ხელებს უნდა უკოცნიდეს და მის ფეხთა მტვერს ემთხვეოდეს. ღმერთსა ვფიცავ, მგონი, თქვენც ვერ დაარიგებდით და ვერ ჩაადებდით სინიღისში ჩემზედ უკეთ. მერე დავფიქრდი და მივხდი, რომ საქმე გროზადაც არ ღირდა. ის ისე დანაშაულიც არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ!

არგანტი. ნეტავ რას მელაპარაკები. როგორ თუ დანაშაული არ არის, როდესაც იმან ჩემდა უნებურად, ეშმაკმა იცის, ვინ შეერთო! ვილაც მაწანწალა!..

სკაპენი. რა გაეწყობა, ბატონო, ეტყობა მისი ბედისა ყოფილა!

არგანტი. აი კარგი საშუალება ყოველ-გვარი დანაშაულობის გამართლებისა! თუ მაგრეა, ავაზაკი, კაცის მკვლელი, ყველა მართალია შენის შეხედვით!

სკაპენი. ახა ღმერთო! თქვენ, ბატონო, როგორღაც ფილოსოფიურად გეყურებდა ჩემი მოხსენება, მე მოგახსენებთ, რომ ის ყმაწ-

ვილი იძულებული იყო, რომ სრულიად მოულოდნელად შეერთო ის ქალი!

არგანტი. როგორ?

სკაპენი. აი როგორ: თქვენ გნებავსთ, რომ ისიც თქვენსავით წინ-დახედული იყოს! ყმაწვილ-კაცები ყოველთვის ყმაწვილები არიან. იმათ არ შეუძლიათ ყოველს საქმეში რომ კეთილ-გონიერად გაისარჯონ. მაგალითად, ავიღოთ, თუ გნებავს, ჩვენი ლეანდრი. ჩემს ზრუნვასა და დარიგებას ყურცი არ უგდო და აგერ განზედ იმისთანა საქმეები ჩაიდინა, რომ იმასთან შედარებით თქვენის შვილის მოქმედება ჩალათაც არ ჩავარდება, თქვენი შვილი იმასთან შედარებით თოვლივით სპეტაკად დარჩება. და ესეც რომ არ იყოს, ყმაწვილობის დროს განა თქვენ თვითონ კი არ ეშმაკობდით? მე როგორც გამიგონია, ჩემო ხელმწიფე-ბატონო, თქვენც თურმე ძალიან ტრიალობდით, სულ ბზიალ-ბზიალი გაგქონდათ ხოლმე ქალების საზოგადოებაში. გამოჩენილი და პირველი, მზეთ-უნახავები ბედნიერებათ ითვლიდენ ერთს თქვენს ყურადღების მიქცევას და თქვენის სურვილის ასრულებასაც ვერაფერი ეწინააღმდეგებოდა. ხოლმეო. არა, მართალია თუ არა?

არგანტი. ჰო, ეგ კი მართალია, რომ ქალების საზოგადოება მიყვარდა. მაგას ვერ დავიფიქავ, სწორეთ გეთანხმები, მაგრამ იმას კი ნუ დაივიწყებ, რომ ყოველს შემთხვევაში ზომა ვიცოდი და მაგ გვარი უგუნურება ჩემს დღეშიდაც არ ჩამიდენია!..

სკაპენი. მერე რა გნებავსთ, რომ ქნას იმ საბრალო თქვენმა შვილმა, მიბრძანეთ ერთი! შეხვდა ლამაზ ქალს, რომელსაც ძალიან მოეწონა და შეუყვარდა თქვენი შვილი. ნუ დაივიწყებთ, რომ იმას, მემკვიდრეობით, თქვენგან გამოჰყვა ბედი ქალების სიყვარულში: თქვენი არ იყოს, ყოველ ქალს მოსწონს — თქვენ შვილსაც მოეწონა ის ქალი, დაიწყო მასთან ხშირი სტუმრობა, ალერსი, ოხვრა, თვალის ქნევა, ერთი, მეორე — აქეთ, იქით და ბოლოს დაიპირეს ნათესავეებმა და ძალაუნებურად გადასწერეს ჯვარი.

სილიბისტრა. (თავისთვის) გამართლებაც ამისთანა უნდა, ჰაი გიდი სკაპენო!

სკაპენი. აბა კარგად დაფიქრდი, ჩემო ხელმწიფე: ნუ თუ ის უფრო სასიამოვნო იქნება თქვენთვის, რომ მოეკლათ თქვენი შვილი და თქვენც გასისხლიანებული, ყელ-გამოპირილი გენახათ?...

არგანტი. ჩემთვის არავის უთქვამს, საქმე თუ მაგრე იყო და...

სკაპენი. (უჩვენებს სილიბისტრაზე) აბა ჰკითხე ამას, თუ ამანაც ისე არ მოგახსენოს...

არგანტი. (სილიბისტროს) მართლა ძალათი შერთეს?

სილიბისტრო. დიახ, შენი ქირიმე.

სკაპენი. განა მე კი ტყუილს გაგიბედავთ?

არგანტი. თუ მაგრე იყო, რატომ მაშინ არ წავიდა და არ გამოუცხადა ნოტარიუსს?

სკაპენი. კიდეც ეგ არის, რომ ავ ერ მოინდომა!

არგანტი. ჰო და! მაშინ მეც გამიადვილდებოდა მაგ ქორწინების გაუქმება.

სკაპენი. ქორწინების გაუქმება?

არგანტი. ჰო!...

სკაპენი. ვერ გააუქმებთ! მაგას ვერ მოახერხებთ!

არგანტი. ვერ შევიძლებ?

სკაპენი. ვერა!

არგანტი. განა მშობლის უფლება და ის ძალ-დატანება, რომელიც ჩემის შვილისათვის მიუყენებიათ, საკმაო მიზეზებად არ მიიღებიან?!...

სკაპენი. კი მაგრამ თქვენი შვილი არ იქნება თანახმა.

არგანტი. არ დამეთანხმება?

სკაპენი. არა!

არგანტი. ჩემი შვილი?

სკაპენი. დიახ, თქვენი შვილი. ნუ თუ ფიქრობთ, ის გამოტყდეს საქვეყნოდ, რომ მართალია, შეაშინეს და ძალათი გადაწერეს ჯვარი? კარგი ერთი, რას ბრძანებთ!... თავის დღეშიაც მაგის თანახმა არ გახდება. ეგ ის იქნება, რომ იმან იმისთანა მამის, როგორიც თქვენ ბრძანდებით, უღირს შვილად ჩაიგდოს თავი.

არგანტი. ეგეები ყველა ფეაებზედ მკიდიან.

სკაპენი. რასა ბრძანებთ. მე მგონია, როგორც მისი, ისე თქვენი პატივისათვისაც საჭირო იქნება, იმანა სთქვას, რომ ჩემი სურვილით შევირთე ცოლიო!...

არგანტი. და მე მსურს, რომ ჩემი და მისი პატივისათვისაც სულ წინააღმდეგი აღიაროს.

სკაპენი. არა; მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგას არ იზამს.

არგანტი. ვაქნევიანებ! ძალას დავატან...

სკაპენი. მე მოგახსენებთ, რომ თანახმა არ გაგიხდებათ.

არგანტი. მაშინ მემკვიდრეობას ჩამოვართმევ.

სკაპენი. მემკვიდრეობას წაართმევთ?

არგანტი. ჰო!

სკაპენი. ნუ ხუმრობთ!

არგანტი. როგორ თუ ვხუმრობ?

სკაპენი. ეჰ, ვერ ჩამოართმევთ!

არგანტი. მე ვერ ჩამოვართმევ?

სკაპენი. გეუბნებით, რომ ვერ ჩამოართმევთ თქო.

არგანტი. ვერა!

სკაპენი. ვერა!

არგანტი. ეგ ძალიან მომწონს — მე ვერ წავართმევ მემკვიდრეობას ჩემს საკუთარ შვილს? არა ვინ გამიწევს წინააღმდეგობას?

სკაპენი. ვინა და ისევ თქვენი თავი.

არგანტი. ისევ მე?

სკაპენი. გული არ გიზამთ...

არგანტი. მიზამს!..

სკაპენი. კარგია, ღმერთი გადღეგრძელებსთ! ნუ ხუმრობთ!

არგანტი. სულაც არ ვხუმრობ!

სკაპენი. მამობრივი სიყვარული თავისას გაიტანს.

არგანტი. ვერაფერს ვერ გაიტანს

სკაპენი. მე მოგახსენებ, რომ კი გაიტანს.

არგანტი. ღმერთს გეფიცები, რომ ვერა.

სკაპენი. ეგ სულ ტყუილია.

არგანტი. რა არი ტყუილი?

სკაპენი. ღმერთო ჩემო! ნეტავი ვის ატყუებთ! რათ გინდათ, რომ გულშეაფთ გამოიჩინოთ თავი? ყველამ იცის, რომ თქვენ პატიოსანი კეთილშობილი კაცი ბრძანდებით...

არგანტი. კი, მაგრამ მასთანაც, როცა მინდა ავიც კი ვარ. — ეჰ, დავანებოთ თავი მაგ ობროდობას, მაღედან არ გამოდის რა (სილიბისტროს) — შენ იმ ჩემ შერცხვენილს და თავს-ლაფ-დასხმულთან წაბრძანდი, ის მონახე და მე კი ეერონტისთან წავალ, — იმას უნდა შევჩივლო ჩემი ნაღველი!

სკაპენი. თუ კი რამე შემეძლება, მე ყოველთვის გამოვადგებით.

არგანტი. გმადლობთ! (თავისთვის) ოჰ, ღმერთო! ღმერთო! რად დამიტოვე მარტო ეს ერთი ვაჟი. ოჰ, რომ შემეძლოს და ვიპოვიდე იმ ჩემ დაკარგულ ქალს, მაშინ მთელ ჩემ მემკვიდრეობას სულ მარტო იმას გადავსცემდი!

სილიბისტრო. არა, ძმაო, შენ მაგვარ საქმეებში ძალიან ოსტატი ყოფილხარ. იცი კიდევ, რა უნდა გითხრა — ჩვენ ფულები ალარა გვაქვს და გვეკირვება კი ძალიან. შეჩვენებული მოვალეები ილაჯს გვიწყვეტენ. ჯაკვით დაბმული ძაღლებივით გვიღრუნენ.

სკაპენი. ჩემად იყავი, მაგასაც მოვახერხებთ. მე აქ ყოლიფერი მზად მაქვს! (თავზედახვეწებს) ახლა მე ერთს სანდო კაცებს ვეძებ, რომ მოახერხოს და... მოიცა... მოიცა... აჰა ერთი სწორა გაჩერდი! — ქული ჩამოიჩაჩე თავზე, ისე, როგორც მასხარა ბიჭები ჩამოიჩაჩენ ხოლმე!... მარჯვედ გადაადგი ბიჯი!... დონჯები შემოიდგი!... თვალეები გადმოაბრიალე!... ისე იარე, როგორც თეატრში სცენაზე მეფეები დადიან ხოლმე!... ჰო ძალიან კარგი! ბარაქალა! სწორედ აგრე. მაშ მომყევი! ახლა კიდევ ხმისა და სახის გამოცვლას დაგასწავლი!

სილიბისტრო ღვთის გულისათვის მაგ საქმეში მე ნუ გამრევ!

სკაპენი. არა უშავს-რა, წავიდეთ! მე და შენ ძმურად უნდა გავყოთ მარცხი!... სამი წელი საპატიმროში ტყვეობამ ვერ უნდა შეაშინოს კაცის პატიოსანი და კეთილშობილი გული.

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ქრისტე და აზგანცი

ქრონტი. სწორედ, სწორედ, სჩანს, რომ არსად შეაჩერებენ, ეს ეს არის ტარენტიდან ახლად მოსულმა მატროსმა დამარწმუნა, რომ თქვენები კვალში მოგყვებიანო. დღეს მე ჩემ ქალიშვილს მოველი, მაგრამ თქვენი შვილის საქმემ კი ძალიან გამაკვირვა და კიდევაც აურდაურია, სულ დაშალა, ჩუენი ნარჩევი საქმე.

არგანტი გეთაყვა, შენი პირიმი, მაგას ნუ ინაღვლებ! დამერწმუნეთ, რომ მაგ საქმეს ახლავე შევუდგები და, როგორც იქნება, გამოვაქაბრაკებ.

ქრონტი. ბატონო, არგანტო, თუ თქვენი ნებაც იქნება, უნდა მოგახსენოთ, რომ შვილების გამოზრდაში დიდი სიფრთხილე მართებს კაცს, სახუმრო საქმე როდი გახლავთ.

არგანტი. რასაკვირველია, მაგრამ მერე რაო?

ქრონტი. რაო და ისა, რომ ცუდსა ზნესა და გაფუჭებულს ხასიათებს შვილები მხოლოდ მაშინ გამოიჩენენ ხოლმე, როდესაც მშობლები კარგად ვერ ზრდიან და, რომ უნდა, ისე ვერ ექცევიან.

არგანტი. დიახ! სწორედ! ეგ მართალი ბრძანებაა! მაგრამ ეგ რაზე ჩამოვიარაკეთ?

ქრონტი. რაზე ჩამოვიარაკე?

არგანტი. ჰო!

ქრონტი. იმაზე, თქვენ რომ იმისთანა სასტიკი ყურადღება გქონდათ მიქცეული თქვენ შვილზე, როგორც შეჭურის ყოველ რიგიანსა და კეთილ მამას, მაშინ თქვენი შვილი მაგისთანა უგვანი საქმის ჩაღენას ველარ გაბედავდა.

არგანტი. ისემც კარგი დაგემართოს! თქვენც ყური გეგდოსთ თქვენი შვილისათვის, მაშინ ველარც ის...

ქრონტი. ეჰ, რა ბრძანებაა! ჩემი საქმე სულ სხვა. გახლავს! მაგვარ რამეს ჩემი შვილი დიახაც ვერ გამოიბედავს.

არგანტი. კი, მაგრამ მაგ შვილს, რომელზეც მაგრე სასტიკად გქერია თვალ-ყური, რომ ჩემს შვილზედაც უარესი ჩაედინოს, მაშინ რალას ბრძანებთ?

ჟერონტი. როგორ თუ...

არგანტი. როგორ!

ჟერონტი. გამოარკეიეთ! მაგით რა გინდათ, რომ ბრძანოთ?

არგანტი. აი რა მინდა მოგახსენო, ჩემო ჟერონტი: თავის დღეში არ უნდა მივარდე კაცს აჩქარებით გასაკიცხალ: სანამ სხვას დარიგებას მისცემდე, უმჯობესია ჯერ შენ თავზე დაიხედო და შეიტყო, ეგებ შენ უფრო მეტი გასაკიცხავიც რამ გქონდეს და კი ვერ ატყობდე თავს.

ჟერონტი: მე ეგ თქვენი სიტყვები როგორღაც არ მესმის.

არგანტი. ცოტა კიდევ მოითმინეთ და შეიტყობთ.

ჟერონტი. ეგებ ჩემ შეილზე გაიგონეთ რამე?

არგანტი. დიახ, არც უიმისობა გახლავსთ.

ჟერონტი. ნეტავი რა უნდა იყოს!

არგანტი. რა მოგახსენოთ. მე ისე გაკვირით მითხრა თქვენმა სკაპენმა და, თუ გნებავთ, თქვენ უფრო დაწვრილებით მოგიყვებათ, თორემა და სხვას ვისმე ჰკითხეთ, სხვებსაც ეცოდინებათ, და მე კი ჩემს საქმეზე რჩევის საკითხავად აღვოკატთან გავსწევ. მშვილობით ბძანდებოდეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა მ

ჟერონტი. (მარტო) ნეტავი ეს რა უნდა იყოს? ჩემს შეილს უარესი საქმე ჩაუდენია! ჩემი აზრით, მე თუ მკითხავს, იმის შეილმა რომ საქმე გაბედა, იმაზე უარესი აღარ მოხერხდება რა. მამის უნებურად ცოლის შერთვა ისეთი დანაშაულობაა, რომ უარესის მოფიქრებაც აღარ შეიძლება.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ქვრთნცი და ლანდრა

ჟერონტი. აა, აქა ბრძანდები!...

ლენდრი. (მივარდება და მოხვევას უპირებს) ახ, მამა ბატონო, რა რიგად მამა თქვენი დანახვა.

ჟერონტი. (არ მიიკარებს) მშვიდად, საქმეზე ვილაპარაკოთ.

ლენდრი. ჯერ ნება მიბოძეთ, მოგეხვიოთ და მერე — (მიწევს)

ჟერონტი. გაჩერდი თქო, გეუბნები. (კვლავ არ იკარებს)

ლენდრი. როგორ! მამავ! ნებას არ მაძლევთ, რომ ალერსით მოგეხვიოთ?

ჟერონტი. დიახ, ნებას არ გაძლევთ, ჯერ უნდა მოვილაპარაკოთ-
ლევანდრი. რაზე, ბატონო?

ჟერონტი. გამოიკიმიე ჩემ წინ, რომ თვალეში ჩაგხედო.

ლევანდრი. როგორ?

ჟერონტი. შემომაჩერდი თვალეში!

ლევანდრი. ჰა! მერე?

ჟერონტი. უჩემოდ აქ რა მომხდარა?

ლევანდრი. რა უნდა მომხდარიყოს?

ჟერონტი. განა არ იცი! შენ უჩემოდ აქ რა ამბები ჩაგიდენია?

ლევანდრი. რა გნებაუდათ, ბატონო, რომ ჩამედინა?

ჟერონტი. მე კი არ მნებავდა, შენა გკითხავ, რას აკეთებდი აქ უჩემოდ?

ლევანდრი. მე? სრულიადაც არაფერს თქვენს საწყენს.

ჟერონტი. არაფერი დაგიშავებია?

ლევანდრი. დიახაც არაფერი.

ჟერონტი. შენ ძალიან თამამად ადგები უარს.

ლევანდრი. რატომ არა, როდესაც ვიცი, რომ არა დამიშავებ-
ბია-რა.

ჟერონტი. კი, მაგრამ სკაპენმა შენზე ცოტა რაღაც-რაღაცეები
მიაშბო!

ლევანდრი. სკაპენმა?

ჟერონტი. დიახ, სკაპენმა. რად გაწითლდი მაგრე უცბად, ა?

ლევანდრი. იმან ჩემზე რამე გაამბოთ?

ჟერონტი. აქ აღგილი არ არის, რომ რამე გითხრა. გასწი სახლ-
ში, მეც ახლავე მოვალ. შე საძაგელო, შენ! თუ სირცხვილის ქმევა-
გინდა ჩემი, იცოდე, რომ ხელს ავიღებ შენს მამობაზე, შეგაჩვენებ-
და აღარც მინდა, რომ სადმე დამენახვო! დაიკარგე, აღარ მომელან-
დო, შე ავაზაკო, შენა.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ლევანდრი (მარტო)

ლევანდრი. გაგონილა ამისთანა ლალატი! ის გაიძვერა ისა, რო-
მელსაც ათასი მიზეზი ჰქონდა, რომ ჩემი საიდუმლო შეენახა, წასუ-
ლა და პირდაპირ მამაჩემისათვის მიუხარებია. ოჰ, თუ კაცი ვყო-
ფილვარ მე იმას ამ ლალატს არ შევარჩენ!...

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ოდჯავი, ლუანდრი და სკაპენი.

ოქტავი. ჩემო კარგო და კეთილო სკაპენო, რომ იცოდე რა მადლიერი ვარ შენი. არა, სწორედ საკვირველი კაცი ყოფილხარ მადლობა ჩემს გამჩენს, რომ შენი თავი გამიჩინა ამ გაჭირვების დროს.

ლუანდრი. (მივარდება სკაპენს) ა, როგორც იქნა, მივაგენ, შე საძაგელო...

სკაპენი. გახლავართ თქვენი მონა-მოსამსახურე. მე მაგის ღირსი არ გახლავარ, თქვენ ერთობ მეტ პატივს მაძლევთ!

ლუანდრი. მოიცადე და შენ გაუყურებიებ შენ სეირს! (ხმალს იღებუ) კქუას გასწავლი.

სკაპენი. ბატონო!... შენი ჭირიმე!... (მუხლებზე დაეცემა)

ოქტავი. (ხელს უჭერს ლუანდრს) ლუანდრი!...

ლუანდრი. დამაცა. ხელს ნუ მიშლი, მე შენა ვთხოვი!...

სკაპენი. (ლუანდრს) ვაიმე... ჩემო ბატონო!...

ოქტავი. ლუანდრი! ღვთის გულისათვის!...

ლუანდრი. (სცდილობს, რომ შემოჰკრას სკაპენს) ხელს ნუ მიშლი-თქო, გეუბნები.

ოქტავი. (აჩერებს) თუ ჩემი მეგობრობა გწამს, თავი დაანებე მაგას.

სკაპენი. ბატონო, რა დანაშაული მაქვს?

ლუანდრი. (სცდილობს დაჰკრას) რა გიქნია ჩემთვის, შე გაუტანელო, შენ!...

ოქტავი. (ხელს უჭერს) კარგია, კმარა! ერთი, თავი დაანებე!

ლუანდრი. არა, არ შეიძლება, ოქტავო! მე მინდა, რომ თვითონვე გამომიტყდეს იმ ლალატში, რომელიც მე მომინდომა. რას ვამბობ, მომინდომა კი არა, კიდევაც მილალატა და გაათავა... დიახ, შე საძაგელო, ყველაფერი მიაშბეს, შევიტყვე, რა საქმეც გიქნია ჩემთვის. მაგრამ ჯერ მინდა თვითონ შენ შენი პირით გათქმევინო და მე კი შუა გაგხვრეტ ამ ხმლით...

სკაპენი. ვაი... ბატონო! მაგას რას ბრძანებთ? ეგება მართლა მკლავდეთ, აღარც კი ხუმრობდეთ!...

ლუანდრი. სთქვი!

სკაპენი. რა დამიშავებია თქვენთვის, რომ აღარ მზოგავთ?

ლევანდრი. მოპყევი, შე, ღეთის პირისაგან შეჩვენებულა. შენ უკეთ გეცოდინება ჩემზე.

ხკაპენი. დამიჯერეთ, რომ არაფერი არ ვიცი!

ლევანდრი. არ იცი? (მოუნდომებს შემოკვრას)

ოქტავი. (აკაუებს) ლევანდრი!...

ხკაპენი. რადგანაც აღარ მეშვებით, უნდა გამოგიტყდეთ, მეტი გზა აღარ არის: ამ დღეებში რომ ერთი ბოჩკა ესპანური ღვინო მოგართევს ძღვნად, ის ღვინო მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვცალეთ. შერე მე ბოჩკა გავხვრიტე, განგებ, და ირგვლივ წყალი დავაქციე, რომ მომეტყუებიეთ და ღვინო გგონებოდათ დაქვეული.

ლევანდრი. მაშ შენ დაგიღვევია ჩემი ღვინო და მე კი მოახლე ტყვილა-შებრალოდ შემომელანძლა!... საწყალს ყურის უგდებლობა დავწამე...

ხკაპენი. დიახ, მე გახლდით, შენი ქირიმე და კიდევაც გივედრებით მაპატიოთ!

ლევანდრი. კარგი, რომ შევიტყვე, მაგრამ საქმე ეგ არ არის. სთქვი კიდე!

ხკაპენი. აბა ეს არ იყო?

ლევანდრი. დიახაც არა. შენ მე კიდევე უარესი საქმე მიყავი. სთქვი!

ხკაპენი. მაშ მე მეტი აღარა მახსოვს რა, შენი ქირიმე!

ლევანდრი. (სცილილობს ხლმის შემოკვრას) არ გინდა გამომიტყდე?

ხკაპენი. ვაიმე! ვაიმე!

ოქტავი. (ხელს უჭერს) კარგია ერთი, კმარა!...

ხკაპენი. მახსოვს! მახსოვს! ახლა გამახსენდა. ამ სამი კვირის წინედ თქვენ გამგზავნეთ თქვენ საყვარელ ახალგაზრდა ეგვიპტელ-ქალთან და საჩუქრად ოქროს საათი გამატანეთ, მაგრამ მე ტალახში ამოთხვრილი, ცხვირპირ დასისხლიანებული დავბრუნდი და მოგახსენეთ, რომ ავაზაკები დამიხვდნენ გზაში, ბევრი მირტყეს და საათიც წამართვეს-თქო. ის, ბატონო, თვითონ მე გახლდი, მევე მოვიპარე საათი, თქვენ-კი მოგატყუეთ!

ლევანდრი. მაშ ის საათიც შენ მოიპარე?!

ხკაპენი. დიახ, ჩემო ხელმწიფევე, რომ შემეტყუო, თუ რომელიმე საათია-თქო!

ლევანდრი. ბარაქალა! ძალიან აგისრულებია ჩემი მონდობილობა!... მაგრამ ეგ ის კიდევე არ არის, რასაც მე გკითხავ!

ხკაპენი. არც ეს არი?

ლენდრი. არა, შეე ცულულტო; მე მსურს, რომ სხვაში გამო-
მიტყდე.

სკაპენი. (თავისთვის) დალახვროს ღმერთმა!

ლენდრი. სთქვი მალე!

სკაპენი. მაშ მე თქვენთვის მეტი არა დამიშავებია რა!

ლენდრი. (უპირებს დაკვრას) მეტი არაფერი!

ოქტავი. (ხელს უჭერს) გაიგონე...

სკაპენი. ვიცი ვიცი, შენი ქირიმე, ამ ექვსი თვის წინედ, კარგად
თქვენ გზაზე შეგახურეს, კარგა-ლაზათიანად გაგჯობნეს და თქვენც
გაქცეული სარდაფში ჩავარდით და იქაც კინალამ კისერი მოიტეხეთ.

ლენდრი. მერე!

სკაპენი. ის მე გახლდით, შენი-ქირიმე, მე გაგზურგეთ!

ლენდრი. ის შენ იყავი?

სკაპენი. დიახ, მინდოდა შემეშინებია და მომეშლევინებია თქვენ-
თვის გვიან დამლამობით ჩვენი აქეთ-იქით გაგზავნა.

ლენდრი. ჰმ! მაგაზე ლაპარაკს კიდეც მოვესწრებით, ჯერ ეს
მითხარი, მამა ჩემს შენ რა ენა მიუტანე?

სკაპენი. მამა-თქვენს?!

ლენდრი. ჰო, შე საძაგელო, მამაჩემს!!

სკაპენი. ჯერ არც კი მინახავს. თქვენი რისხვა არა მქონდეს!

ლენდრი. არ გინახავს?

სკაპენი შენი ხატის მადლი არ გამიწყრეს. თორემ თუ გნებავთ,
თვითონ ბატონი მამა-თქვენიც გეტყვით მაგას.

ლენდრი. რას ამბობ, რომ თვითონ მისგან გავიგონე?

სკაპენი. მაშ, თუ არ გამიწყრებით, ძალიან მიუჭარავს იმ და-
ლოცვილს.

ს უ რ ა თ ი მ ე მ ა მ ს ზ

ლენდრი, თქვადი, ვარლი, სკაპენი

კარლი. (ლენდრს) ძალიან უსიამოვნო ამბავი მოგიტანეთ, ჩემო
ბატონო.

ლენდრი. რაო? რა ამბავია?

კარლი. თქვენი ეგვიპტელები ემგზავრებიან და ზერბინეტაც თან
მიჰყავთ. საბრალომ ტირილით შემევედრა თქვენთან მოსვლა და
შეტყობინება, რომ თუ ორ საათში არ უშოვეთ ის ფულიც, რომ-
მელსაც თქვენ დაჰპირებხართ, საქმე დაილუბება. — საუკუნოდ დაგე-
ქარგებაო.

ლენდრი. ორი საათი?

კარლი. დიახ, ორი საათი, მეტი არა!

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი ლ ე

ლუანდრი, თქვა და სკაპენი

ლუანდრი. ახ, ჩემო კარგო სკაპენო. გევედრები, თუ გიყვარდე, მიშველე რამე!

სკაპენი. (წამოადგება და ძალიან გულდიდად გაივლ-გამოივლის ლუანდრის წინ) დიახ, „კარგო სკაპენო.“ „თუ გიყვარდე“!... ჰმ, დიახ, მე ყოველთვის კარგი ვარ და კეთილი, როცა კი საჭირო ვარ ხოლმე!

ლუანდრი. რაშიდაც კი გამომიტყუდი, სულ ყველაფერი მიპატივებია. ასე გასინჯე, რომ თუ კი რამ მართლა გითქომს მამიჩემისათვის, ისიც შემიწვდია.

სკაპენი. არა, რა პირობაში? ჩემთვის საჭირო არ ვახლავთ პატივი და შენდობა. გამთავრეთ მაგ თქვენი ხმლით. თუ მომკლავთ, მე კიდევ მიაგება.

ლუანდრი. რის გულისათვის უნდა მოგკლა? მოგკლავ კი არა, მე პირიქით გეხევენი, რომ მომეხმარო როგორმე და შენი სამსახურით სიცოცხლე დამიბრუნო.

სკაპენი. არა, არა, მომკალით! — ის უკეთესი იქნება.

ლუანდრი. შენ ჩემთვის ძვირფასი ხარ და დაუფასებელი, გევედრები, თუ ღმერთი გწამს, მომეხმარე როგორმე შენი უცნაური ხერხიანობით.

სკაპენი. არა, არა, მომკალით! აი ჩემი გულ-მკერდი!...

ლუანდრი. კარგია, ახლა ღვთის გულისათვის დაივიწყე, შენ მხოლოდ იმაზე იფიქრე, რასაც მე გთხოვ.

ოქტავი. სკაპენო! უნდა როგორმე უშველო. უმისობა არ იქნება.

სკაპენი. დიახ! სწორედ! ამისთანა შეურაცხოვის შემდეგ?

ლუანდრი. გაფიცებ, ნულა იგონებ იმ ჩემ გულმოსულობას. შენ ისა ჰქენი, რასაც ეხლა გთხოვ.

ოქტავი. მეც იმასა გთხოვ, ჩემო სკაპენ!

სკაპენი. წელანდელი გაუპატიურება ლოდივით მაწევს გულზე!

ლუანდრი. ჩემო სკაპენო! ნუთუ ახლა გინდა უკუმელო, ამგვარ გაკირვების დროს ხელი ამალო, როცა ჩემი სიყვარული საფრთხეშია!

სკაპენი. ძნელი გასაბედი იყო იმგვარად ჩემი სირცხვილის კმევა.

ლუანდრი. დამნაშავე ვარ, ველარ დავიფიცავ!

სკაპენი. არა, ჩემი გალანძღვა, ჩემი ბიაბროთ ვახდა ადვილი იყო!

ლუანდრი. სკაპენო! წმინდა გულით ვითხოვ მოტყუებას..

სკაპენი. ... ჰმ, ჩემი განგმირვა ხმლით!

ლენდრი. მაგაზედაც ბოლიშს ვიხდი, მომიტევე, სკაპენო! სკაპენო! აჰა, ხედავ მუხლებს გიყრი და ისე გაფიცებ ღმერთს, ამ გაქირვება-ში ნუ მიმატოვებ, მომეხმარე...

ოქტავი. სკაპენო! უნდა როგორმე მოეხმარო, მეტი გზა არ არის.

სკაპენი. ზეზე აღექი, მაგრამ კვლავ კი ფრთხილად იყავი. მოთმინება იქონიე!

ლენდრი. მაშ დამეთანხმები?

სკაპენი. შეიძლება, ვიფიქრებ!

ლენდრი. კი, მაგრამ ხომ იცი, რომ დრო ძვირად მილირს?

სკაპენი. ეჰ, კარგია ერთი. თავს ნუ იწუხებ შენ გაზრდას, რამდენი გეპირვება?

ლენდრი. ხუთასი ოქრო!

სკაპენი. თქვენ?

ოქტავი. მეც ორასი ოქრო!

სკაპენი. მაგ ფულებს, მე მამათქვენებსვე გამოვტყუებ. (ოქტავს) თქვენ შესახებ ყველაფერი მოფიქრებული მაქვს და ვიცი როგორ უნდა გავისარჯო. (ლენდრს) თქვენი მამა კი ცოტა ტუნწი ბრძანდება, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რადგანაც აქ (მუხლზე მიიღებს ხელს) ცოტა ვერ უჭყაფა და რაც უნდა უთხრა, მაშინვე დამიჯერებს... იმედი მაქვს, ეს ჩემი გახსენება საწყენად არ დაგრჩებათ, რადგან, როგორც ამბობენ, თქვენსა და მამათქვენს შუა, საზოგადოდ, ბევრი მსგავსება არ არის რა. ყველას ასე ჰგონია, თუ ის მხოლოდ სხვის შესახებდად არის თქვენი მამა, თორემ ისე კი...

ლენდრი. კარგი, კარგი! გაათავე, კმარა!...

სკაპენი. რა კმარა! კმარა, მარა კი არ კმარა!... თქვენ მგონია ისევე ხუმრობას აპირებთ (შენიშნავს არგანტს) სსსუ! აი აგერ ოქტავის მამა მობრძანდება. ჯერ იმისგან დავიწყებ, რადგან პირველად იგი შემეფეთა წინ (ოქტავს) წადით და სილიბისტროს შეატყობინეთ, რომ მალე მოვიდეს ჩემი დარიგების ასასრულებლად.

სკაპენი

სკაპენი და ანგანცი

სკაპენი. (თავისთვის) მიეცა ფიქრებს! . . .

არგანტი. (ჰგონია მარტო) არა, ასე საძაგელი და უგუნური როგორ უნდა იყოს კაცი, რომ ამისთანა საქმე გაბედოს. ოჰ, ოჰ, სიკვამლე, სიკვამლე, შენ წინ დაუხედავო, შენა!

სკაპენი. ბატონო! თქვენი მონამორჩილი!

არგანტი. გაგიმარჯოს, ჩემო სკაპენო!

სკაპენი. თქვენ ისევ თქვენს ვაჟზე ლა ჰფიქრობთ, შენი ქირიმე!

არგანტი. სწორედ უნდა გამოვტყდე, რომ ამ საძაგელმა ბევრო უსიამოვნება მომაყენა.

სკაპენი. ეგრეა, ბატონო! ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება სულ ცალიერი სხვა და სხვა შემთხვევებია. კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს. მზად უნდა იყოს. მე ყოველთვის ერთი ძველი ბრძენის ნათქვამით ვხელმძღვანელობ ხოლმე.

არგანტი. აბა რა არი?

სკაპენი. ცოლ-შვილის პატრონი კაცი რომ საითმე გაემგზავრება, დაბრუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ ოჯახი არეულ-დარეული დაუხვდება: ქონება სულ დამწვარი, ფულები მოპარული; ცოლი მკვდარი, ვაჟიშვილი ყელ-გამოჭრილი და ქალიშვილი გაუპატიურებული, და თუ ესენი ყველა ერთად არ აუსრულდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და თავი ბედნიერად ჩაითვალოს. ჩემთვის მაინც ესენი ყველა ცხოვრების კანონია: როდესაც შინ ვბრუნდები, ყოველთვის ერთად მოველი ხოლმე ბატონების რისხვას, ლანძღვას, გინებას, გათრევას, გაუპატიურებას და სხვა... და თუ ყველა ესენი ერთად არ გადაიხდა, მადლობელი ვარ ხოლმე ჩემი ბედის და ღმერთს მადლობას ვწირავ, ჩემო ბატონო.

არგანტი. ეგ ყველა მაგრეა, მაგრამ, ჩემო სკაპენო, იცოდე, რომ მაგ უკანონო ქორწილმა ჩემი აზრები სულ აურ-დაურია: იცოდე, რომ მე ამას ვერ მოვითმენ და კიდევაც გავსწეე ახლა ადვოკატთან, რჩევის საკითხად... ეგებ როგორმე მოეშალო ეს საქმე.

სკაპენი. აჰ, მაგას კი ნუ მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებს!... ეგ რა ბძანებაა! უკეთესი არ იქნება, რომ სხვაგვარად შევუდგეთ როგორმე საქმეს, თორემ ხომ იცით საჩივარს რა წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა... ადვოკატები პირაქეთვე ასე დაგხლართვენ, თუ ჩაგიგდეს ხელში, რომ თქვენზე უცოდვესი ქვაც აღარ იქნეს.

არგანტი. მართლა... შავას მეც ვფიქრობ, მაგრამ აბა რა ვქნა, რომ მეტი ღონე აღარა მრჩება რა?!

სკაპენი. იცით, რას მოგახსენებთ, შევიტყვე თუ არა ეგ თქვენი უსიამოვნება, ცეცხლი მომეკიდა, დავიწყე ერთი ფიქრი და თავის ტება, ეგება ვუშველო რამე-თქო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ აგრე უპატიოსნოთ ქცევა შვილის მამასთან, ვისიც უნდა იყოს, ძალიან მაღელვებს და, რასაკვირველია, რომ თქვენ უფრო შეგაწუხებდა, თორემ თქვენც კარგად მოგეხსენებათ ჩემი ერთგულება...
 და

არგანტი. ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!...

სკაპენი. რაღა ბევრი გაწუხოთ ბევრი ლაყბობით... მე მაშინათვე გაესწიე იმ ქალის ძმასთან, რომელიც თქვენმა შეიღმა შეირთო და ვნახე... იმე, ვნახე, მარა რა ვნახე! — რა ყოფილა ღმერთო! ერთი ვილაც ხეპრე კაცი, მის თავში ხმლის მეტი არა ტრიალებს რა... სულ ღუფლებზე ლაპარაკობს და კაცის კვლახე. ასე არაფრად მიაჩნია ადამიანის სისხლის დაქცევა, როგორც ერთი ყანწი ღვინის. აბა არა გეტყინოს რა, კაცის მოკვლისათვის ის სინდისმა არ შეაწუხოხოს... მე ჩამოუარაკე ქორწინებაზე და ისიც ვუთხარი გადაკვრით, თუ თქვენ ვინა ხართ და რა დამოკიდებულება გაქვთ, ან რა შეძლების კაცი ბძანდებით; ამასაც მშობლის უფლება დავამატე და აუფხსენი, რომ კარგი იქნებოდა ფულზე მორიგებით საქმის გათავება-თქო.

არგანტი. მერე?

სკაპენი. ჯერ მისთანა სასყიდელი ითხოვა, რომ კაცის ყურს არ გაეგონებოდა.

არგანტი. მაინც?

სკაპენი. არც კი ღირს, რომ მოგახსენოთ.

არგანტი. არა, მაინც ვიცოდეთ, რა გენაღვლებათ?

სკაპენი. ჯერ, ბატონო, ხუთასს, ან ექვსასს ოქროს ფეხიც არ მოუცვალა.

არგანტი. ხუთას ოქროს? ხომ არ გადარეულა? ხუთასი ლახვარი იმას გვერდებში.

სკაპენი. მეც მაგრე ვუთხარი! რას ამბობ, სულელი კი ნუ გგონია ის კაცი, რომ ხუთას-ექვსასი ოქრო ასე ალაღად მოგიტყალოს-თქო. ბევრი ვეჩიჩინე და ბოლოს, როგორც იქნა, დაფითანხმე. რაღაცა ბედად სამსახურში წასვლა ეჩქარება, ფულები კი შემოკლებია და მაშ რაღა გზა აქვს, არ დამეთანხმოს. ცხენის ყიდვა უნდა და მისთვის. სამოცი ოქრო ეჭირვება.

არგანტი. სამოცი ოქრო? რა გაეწყობა! ჯანი გავარდეს, მივცემ.

სკაპენი. მაგას გარდა, ჩემო ბატონო, დამბაჩებიც არ ჰქონია და ოცი ოქროც მის საყიდლად უნდა.

არგანტი. სამოცი და ოცი; ეს შეადგენს ოთხმოცს.

სკაპენი. სწორედ!

არგანტი. ბევრი კია, მაგრამ რაღა გაეწყობა. მივცემ, როგორც იქნება.

სკაპენი. ამას გარდა კიდევ ერთი ცხენი ბიჭისთვის; ისიც ეღირება ერთი ოცდაათი ოქრო.

არგანტი. მეტის-მეტი მოუნდომებია. სულ ვერაფერსაც ვერ მიიღებს, თუ მაგრეა.

სკაპენი. ბატონო!..

არგანტი. თავხედი ყოფილა ვილაც...

სკაპენი. შე დალოცვილო, ქვეითად ხომ ვერ გაპყვება მისი მოსამსახურე?

არგანტი. როგორც უნდათ, ისე წაეთრენ. ორივეს ჯანი გავარდეთ, მე რას დავეძებ!

სკაპენი. ევეშ, დალოცვილო, ცოტა რამეზე დაიხიეთ თქვენცა, ქეშმარიტად, სულ რომ მისცეთ ესა სჯობს ადვოკატებთან საქმის დაქერას.

არგანტი. ეშ, ჯანი გავარდეს; მომიცია ოცდაათი ოქროც, ოხრად მოახმაროს ჩემმა გამჩენმა!

სკაპენი. რასაკვირველია, მაგრე სჯობია. ერთი კიდევ ახლა გამახსენდა, ის ასე მოგახსენებს, რომ ერთი საბრალო ჯორიც მეჭირვებო.

არგანტი. კიდევო? კისერიც მოუტეხიათ იმასაცა და იმის ჯორსაც... ახლავე მივალ, ისევე საჩივარს დავიწყებ.

სკაპენი. კარგია ღვთის გულისთვის.

არგანტი. ჩუმად იყავი, ტყუილად ნულა მირჩევ!

სკაპენი. რა უნდა იყოს ერთი გლახა, უხეირო, მუნიანი ჯორი!

არგანტი. ერთ ვირსაც არ მივცემ!

სკაპენი. არა, თვითონვე გასინჯეთ და...

არგანტი. არა, უნდა ვიჩივლო! უნდა! გესმის?

სკაპენი. ნეტავი ერთი რას აპირობთ. რომ იცოდეთ, თქვე დალოცვილო? განა არ იცი, რამდენი ქაბრაკები და ხერხებია ჩვენს სასამართლოებში? თითოეული იქ მოსამსახურე იმას ეცდება, რომ აგაფუტქენას რამე. თქვენ უნდა დაიპიროთ საქმე ბოქაულებთან, შსაჯულთან, მდივანთან, პროკურორთან, ადვოკატებთან და მწერლებთან, ერთი სიტყვით, ვინც კი იქ მსახურებს — ყველასთან. და ხომ იცით, რა შვილებიც არიან? ვინც გინდათ მათგანი თითოეული ერთის გროშის გულისთვის მართლ-შსაჯულებს კისერს მოატეხინებს, სულ ცხვირ-პირს ჩაალეწს. ბოქაული ყალბ უწყებას მისცემს და თქვენ გაგბევენ საქმეში. პროკურორი ორი აბაზისათვის თქვენვე გაგყიდისთ კარგა ლამაზად. თქვენი ადვოკატი, მოპასუხისაგან მოყიდული, თქვენვე ყინულზე გაგაცურებსთ და დამნაშავედ თქვენვე გამოგყვანსთ; მდივანი რამეს გიხიბანებსთ... მოწმეები გიმტყუნებენ და იტყვიან, ჩვენ არაფერი არ გვინახავსო და სხვა... ერთი სიტყვით, რომ კიდევ გადაურჩეთ ამებს ყველას, სასწაულით, მაინც არც მაშინ დარჩებით მოგებას: აგიტყდებათ მთელი საზოგადოება, ჰაი ასე,

ჰაი ისეო, და დაგიწყებენ სიცილს, არა, ბატონო! თავს უშველეთ როგორმე, მოშორდით სასამართლოებს! სიახლოვესაც ნუ გაივლით! სასამართლოში საქმის დაწყებას, თავის სიცოცხლეში რომ გაკვირვებული იაროს კაცმა, ჩემის აზრით, ისა სჯობს. მე რომ ესეები მომავონდება ხოლმე, მინდა რომ ცხრა მთას იქით გადავიკარგო, ან ინდოეთში სადმე ამოვეყო თავი.

არგანტი. რამდენს თხოულობს, მაინც, ჯორის ფასად?

სკაპენი. ჯორისა, მოსამსახურის ცხენისა, უნაგირისა, დამბაჩებისა და ცოტაოდენი კიდევ ვალებისათვის, რომელიც მის მასპინძელს უნდა გადაუხადოს, ერთის სიტყვით, სულ ყოველისფრისთვის ორას ოქროს თხოულობს, არც მეტსა და არც ნაკლებს...

არგანტი. ორას ოქროს?

სკაპენი. დიახ, მეტს არა!..

არგანტი. (დადის, ბრაზობს) არა, არაფრის გულასთვის არ მივცემ. ისევე ვიჩივლებ!

სკაპენი. კარგად იფიქრეთ!

არგანტი. სწორედ ვიჩივლებ!

სკაპენი. შე დალოცვილო, გინდათ, ერთი ვაი-ვაგლახი აიტეხოთ!..

არგანტი. უნდა ვიჩივლო!

სკაპენი. კი. მაგრამ საჩივრისათვის ფული დაგკირდებათ; უწყებისათვის ფულიც უნდა გადაიხადოთ, ვეჭილობისათვის — ფული, გადასაწერი — ფული, საქმის დასაჩქარებლად — ფული, ლერბის ქაღალდში — ფული და ყოლიფერში ფული, ერთის სიტყვით, სულ ფული და ფული! ახლა რასაც ადვოკატი წაგაგლეჯს, იმას აღარ ანგარიშობთ? თქვენ, როგორც გნებავდეთ, ბატონო, მაგრამ ჩემი აზრით კი სჯობია, რომ იმ შეჩვენებულს მისცეთ, რასაც თხოულობს და გაათავოთ.

არგანტი. როგორ? ორასი ოქრო? არასოდეს!

სკაპენი. რასა ბრძანებთ, უფრო მოგებას არ იქნებით? მე ეგეები სულ ნაანგარიშები მაქვს: ღმერთს გეფიცებით, ორასი ოქრო რომ გადაიხადოთ, ორასს კიდევ მოგებას დარჩებით, თორემ თუ სასამართლოს წესით დაიწყეთ საქმე, ერთი ორად უარესი საქმე დაგემართებათ. სხვა უსიამოვნებას გარდა ფულად ორი იმდენი ხარჯი მოგივათ. დამერწმუნეთ, რომ მორიგება აჯობებს. სამასი ოქროს გადახდა სჯობია იმ ადვოკატებთან, საქმის დაქერას.

არგანტი. ფეხებზე მკიდია სულ ყოლიფერი. ახლავ ადვოკატს მოვძებნი და ჯინზე სირცხვილს კი არა ვკამ...

სკაპენი. თქვენი ნება გახლავსთ. მე თქვენს ადგილზე სხევბრ გავათავებდი მაგ საქმეს...

არგანტი. და მე კი არასოდეს არ მიეცემ ორას ოქროს...

სკაპენი. აი, ის ავაზაკი, ის გიჟი, რომელზედაც წელან მოგახსენებდი!

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

აზგანცა, სკაპენი, სილიბისტრო (სხვანაირად მორთული).

სილიბისტრო. სკაპენო! შენს გაზრდას, ერთი მიჩვენე სადმე არგანტი, ოქტავის მამა!

სკაპენი. რად გნებავთ, შენი ჰირიმე?

სილიბისტრო. მე მითხრეს; ჩივილს აპირებდსო, რომ მით, ეგება, ჩემი დის ჯვარდაწერილობა მოშალოს, გააუქმოსო!

სკაპენი. მაგისი რა მოგახსენოთ, შენი ჰირიმე, აპირობს მოშლას თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ორასი ოქროს მოცემას არ გიპირობს. ამბობს, რომ ბევრიაო.

სილიბისტრო. ვაი დედა-მისს! ცოცხალს არ გადავარჩენ! სულ ლუკმა-ლუკმა ავაუწავ, გულს ჯაერს ამოვიყრი და მერე გინდა ასო-ასო დამხერხონ, არ მენაღვლება. (არგანტი ცახცახით, რომ არ შენიშნონ, სკაპენს ეფარება).

სკაპენი. შე დალოცვილო, განა მართალი კი ნუ გგონიათ: ოქტავის მამა მაგრე ძალიანაც არ შეგიშინდებათ.

სილიბისტრო. სსსუ! ხმა ჩაიწყვიტე! მოვკლავ! სულს ამოვახდენ! გოქივით გამოვჭრი ყელს! ნეტავი ახლა ის აქ იყოს, მალე მტერი მოგიკიდეს, მალე მე იმას ამ ხმლის წვერზე ავაგებდი!.. (დაინახავს არგანტს) ეს ვინ იხრუკება აგერ?

სკაპენი. ეგ ის არ გახლავსთ, შენი ჰირიმე! ის არ არის!

სილიბისტრო. ეგები მისი მეგობართაგანი იყოს?!

სკაპენი. რა ბრძანებაა, მეგობარი კი არა და მისი დაუძინებელი მტერია!

სილიბისტრო. მტერი?

სკაპენი. დიახ.

სილიბისტრო. ეგ სასიხარულოა ჩემთვის. (არგანტს) მაშ თქვენ მტერი ბრძანდებით იმ ძაღლის, იმ არგანტის განა?

სკაპენი. სწორედ, სწორედ! არ კი მოგახსენებთ.

სილიბისტრო. (ხელს გაუწვდის) ხელი მიბოძეთ! პატროსან სიტყვას ვაძლევთ და გეფიცებით იმ ხმალზე, რომელიც მუდამ ზედ მკილია,

რომ მე თქვენ დღესვე გადაგარჩინოთ იმ თქვენ მტრის ფიქრი ნულა გქენებათ.

სკაპენი. კი ბატონო, მაგრამ ჩვენში კანონი ნებას არ მოგცემს მაგვეარი მოქმედებისას.

სილიბისტრო. მე მაგას არ დავსდევ, არაფრის არ მეშინიან!

სკაპენი. კი მაგრამ, ობოლი ხომ არ არის! იმასაც ჰყავს ნათესავები, მეგობრები და ერთგული მოსამსახურეები!.. ვინ მიგიშვებს იქამდის!..

სილიბისტრო. რაო? აქ მომგვარეთ ყველა! მობრძანდნენ (ამოიღებს ხმაღს) დაჰკა! სადა ხართ, თქვე თავს ლაფ-დასხმულებო? მობრძანდით ჯარად, ერთად სულ ყველა! ავაზაკებო, თქვენა! ნახეთ თქვენ თვალის სეირს! როგორ ბედავთ ჩემ შებმას. მაშ დაჰკა, ნუ ზოგავ. (ხან მარჯვნივ აქნევს ხმაღსა და ხან მარცხნივ) გაჩერდით! სთხლიშე მაგრა— კიდევე, კიდევე! მაგრე! ჩეხე სულ ლუკმა-ლუკმა. შებრალების დრო აღარ არის! უკირე, მარჯვნივ! მარცხნივ! მე თქვენ გასწავლით ომს, როგორც უნდა. მარჯვეთ, ბიჭებო! აბა! ჰო, შეშინდით, წადით, თქვე მხლდებო, თქვენა? აგრე დაგემართებოდით, აგრე გიზამდით, არ იცოდით? მაშ რაჟა გეგონათ? ვინ გეგონეთ მე? დაჰკა კიდევე! სთხლიშე, ნუ ზოგავ! აქ! იქით! ბარაქალა! გამაგრდი! — ასე ეიცო მე! მე გახლავარ ეს!.. გიფრინეთ წინ თუ არა! ჰა!

სკაპენი. რას ჩადიხართ, თქვე დალოცვილო, ვერა ჰხედავთ, რომ აქ ჩვენ მტერი არა ვართ?!

სილიბისტრო. მეხუმრებით! მე თქვენ გასწავლით ჰკუას.

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე .

სკაპენი და აზგანტი.

სკაპენი. ახლა? ვერ ნახეთ ორასი ოქროს გულისათვის რამდენი კაცი დაჩეხა? რაც გენებოსთ ის ქენით!.. ღმერთმა ქნას, რომ მაგ ორას ოქროს გაემდიდრებოთ..

აზგანტი. (თრთის) სკაპენო!

სკაპენი. რა გნებაესთ?

აზგანტი. თანახმა ვარ, რომ მივეცე ორასი ოქრო.

სკაპენი. ან ამდენ ხანს რას უყურებდით!

აზგანტი. წადი მონახე ის შეჩვენებული, ახლავე მივეცემ იმ ფულებს, კარგი, რომ ფულებიც თანა მაქვს.

სკაპენი. მაშ, მე მგონია, უკეთესი იქნება, რომ ფულებიც მე გამატანოთ, თორემ თქვენ რომ თითონ ნახოთ, არ ივარგებს. ერთი რომ წელან გადაუფიცეთ თქვენი ვინაობადა მეორეც ისა, რომ,

თქვენ თუ დაგინახათ, შესაძლებელია, აღარ დაგჯერდესთ ორას ოქროს და მეტი მოინდომოს!

არგანტი. ეგ კი მართალია, მაგრამ ჩემის ხელით რომ მიმეცა, უფრო მიაძებოდა!

სკაპენი. როგორ, მე არ მენდობით თუ?

არგანტი. ნდობით კი გენდობი, მაგრამ...

სკაპენი. მაგრამ რაო! ამ ორში ერთი უნდა იყოს, ან პატიოსანი და სანდო კაცი ვარ და ან არა! ეგება ის გეგონოსთ, რომ მე თქვენი მოტყუება მინდოდეს? ეგება ჰფიქრობდეთ, რომ თქვენც და ჟერონტის დამოყვრების წინააღმდეგი ვიყო როგორმე? თქვენც ეპვი აიღეთ ჩემზე? ამას კი არ მოველოდი! ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, რაც გენებოსთ, ისა ქენით, მე აღარ გავერევი!

არგანტი. აჰა ფულები! წაიღე!

სკაპენი. რადა ბატონო? რა ჩემი საქმეა? არ გირჩევთ, რომ მენდოთ, სხვა ვინმე მონახეთ!

არგანტი. კარგია ერთი, წაიღე და!

სკაპენი. არა, არ წავიღებ, თქვენ არ უნდა მენდოთ! ვინ იცის, ეგება მე თქვენი მოტყუება მინდა, რომ ფული ჩემთვის წავიღო.

არგანტი. წაიღე თუ ღმერთი გწამს, ოლონდ ის დავიადარაბა კაცი მომაშორე თავიდან.

სკაპენი. ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერს გავაკეთებ, სულელი არც მე გახლავარ!

არგანტი. მე კი ჩემს გზას დავადგები, შინ წავალ ჩემთვის.

სკაპენი. მეც ახლავე იქ გაიხლებით (მარტო) ერთი კი გავძმარე, ახლა მეორეს უნდა მიეყო ხელი. აი ისიც აგერ მოდის, რალაც ეშმაკად ერთი მეორეზე თვითონვე პირაქეთ ჩემთან მოდიან.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

სკაპენი და ჟერონტი,

სკაპენი. (თითქო ვერ ჰხვდავს ჟერონტს, გარბის და გამორბის გამწარებული) ღმერთო! საბრალო ჟერონტი! რა უნდა ჰქნას კაცმა?

ჟერონტი. (თავისთვის) მგონი ჩემს სახელს ახსენებს! ნეტავი რას აუშფოთებია ასე?

სკაპენი. არავინ არის ქრისტიანი, რომ მასწავლოს სად არის ჟერონტი?

ჟერონტი. რა ამბავია, სკაპენ, რა დავმართნია?

სკაპენი. (ვითომ ვერ ხედავს და არც ესმის, გარბის და გამორბის) სად უნდა ვნახო, რომ ეს მოულოდნელი უბედური შემთხვევა ვაცნობო: ჟერონტი. (დასდევს სკაპენს) რა ამბავია! არ იტყვი?

სკაპენი. (დარბის) ტყუილა ვეძებ აქეთ იქით, არსად არა სჩანა.

ჟერონტი. კაცო, ვერა მხედავ, აგერ არა ვარ!

სკაპენი. სად დაკარგულა, ლმერთო ჩემო, რა ქნას კაცმა?

ჟერონტი. (აჩერებს) შე თვალ-დამდგარო, ვერა მხედავ, თუ რაგვია შენი საქმე!

სკაპენი. ახ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო! რამდენი ხანია გამწარებული დაგეძებთ.

ჟერონტი. ერთი საათია, რაც დაგდევ და არა მეშველა რა! რა მოხდა?

სკაპენი. რა, ჩემო ბატონო, და...

ჟერონტი. რა?

სკაპენი. თქვენი ვაჟი...

ჟერონტი. რა დავმართა?

სკაპენი. საშინელს ცუდსა და მოულოდნელ მდგომარეობაში ჩავარდა!

ჟერონტი. როგორ?

სკაპენი. დიდი ხანი არ არის, რაც თქვენს ვაჟს შეეხვედი, რომელიც რალაც თავის გუნებაზე ვერ იყო, რადგანაც თქვენ მიგიყენებიათ რალაც უსიამოვნება და რომ სევდა გულს გადაჰყროდა, ნავთსაყუდლისკენ გავისეირნეთ. იქ ერთი ლამაზი და საუცხოო გემი შევნიშნეთ. იმ გემის პატრონი ერთი ვიღაც ახალგაზრდა და დარბაისლურ შეხედულობის თურქი იყო: მიგვიწვია გემზე და ათასის ალერსისა და ზრდილობიანი მოქცევის შემდეგ გაგვიმასპინძლდა სხვა და სხვა საიასალო ხილებითა და ღვინოებით.

ჟერონტი. მერე რა ვუყოთ. მაქ უსიამო არა არის რა!

სკაპენი. მოითმინეთ, ბატონო!.. ვაიგონეთ, მერე რა მოხდა! ჩვენ გახურებულ ღვინოსა და შექცევაში ვერ შევნიშნეთ, რომ გემი მოხსნეს და შიგ შეგვაცურეს შუაგულ ზღვაში. მაშინ კი მე ნავზე გადმომსვა იმ შეჩვენებულმა თურქმა და ასე დამაბარა თქვენთან, თუ ახლად ახლავე ხუთასი ოქრო არ გამოგიგზავნიათ ჩემთვის, ამ თქვენს შვილს ალყირაში ამოვაყოფიებ თავსო.

ჟერონტი. რაო? დალახვროს ლმერთმა! ხუთასი ოქროო?

სკაპენი. დიახ, შენი ჭირიმე! და ორი საათის მეტი ბორჯათაც არ მომცა.

ჟერონტი. დაუკლავარ! დაუკლავარ იმ შეჩვენებულ თურქს!

სკაპენი. ახლა, შენი ჭირიმე, თქვენ იცით როგორ მალე უშველით და გამოიხსნით იმ თქვენს სათაყვანებელ შვილს.

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიზობდა გემზედ, რა უნდოდა?

სკაპენი. ჩვენ რა მოგვაფიქრებიათ, რომ იმასთან ხათაბალას გადავეკიდებოდით?

ჟერონტი. გასწი, სკაპენო, მიდი და უთხარი იმ თურქს, რომ ახლად-ახლავე გირივლებთქო.

სკაპენი. რასა ბრძანებთ, ზღვაში საჩივარი ვის გაუგონია? აბა იფიქრეთ, რასა ბრძანებთ მაგას!

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

სკაპენი. ეტყობა, რომ იმ ბედისა ყოფილა!

ჟერონტი. გესმის, სკაპენო, ერთი საქმე უნდა მიყო და დამავალო!

სკაპენი. რა, შენი ჭირიმე?

ჟერონტი. მიდი იმ თურქთან, უთხარი, რომ ჩემი შვილი გამოუშვას და შენი კი იქ დარჩი, სანამ მე ფულებს მოვაგროვებდე.

სკაპენი. ეჰ, შე დალოცვილო! ნეტავი მაგას რასა ბრძანებთ! განა ისე სულელი გგონიათ თურქი ჩემისთანა უბრალო კაცში გასცვლის თქვენს შვილსა?

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

სკაპენი. რა იცოდა, ბატონო, თუ ეს საქმე მოვიდოდა! კარგია, დაუჩქარეთ, ბატონო, თორემ იმ თურქმა მხოლოდ ორი საათი მოგვცა ბოროლად.

ჟერონტი. როგორ ამბობ, რამდენს ითხოვს?

სკაპენი. ხუთასს ოქროს.

ჟერონტი. ხუთასს ოქროს! სინდისი აღარ შერჩენია?

სკაპენი. თქვენ გინდათ, რომ თურქს სინდისი ჰქონდეს?

ჟერონტი. არა, ერთი მითხარით, ისიც, კი, ხუთასი ოქრო რას შეადგენს?

სკაპენი. კი ბატონო, ას ორმოცდა ათი თუმანი, ასე მოგახსენებთ. შენი ჭირიმე!

ჟერონტი. მერე, ალა-ალათ საშოვნი ჰგონია ამ ყურუმსალს ეგ ფულები, კერაში ხომ არ ითხრება?

სკაპენი. განა არ მოგეხსენებათ, ისინი იმისთანა კაცები არიან, რომ შებრალება არ იციან ადამიანის!

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიდიოდა იმ გემზე, რა უნდოდა?

სკაპენი. კარგი კარგი! ნუ დაივიწყებთ, რომ მხოლოდ ორი საათი გვაქვს ბოროლი, დაეჩქარეთ.

ჟერონტი. დაიჭი, ჰა ჩემი ყუთის გასაღები.

სკაპენი. მერე, შენი კირიმე!

ჟერონტი. როცა იმას გააღებ...

სკაპენი. კარგი.

ჟერონტი. მარცხნივ ნახავ დიდ კლიტეს, ჩემი დიდი ზანდუკის გასაღებს და ის ამოიღე.

სკაპენი. მერე?

ჟერონტი. რაც იქ ჩემი ძველი ტანისამოსი იყოს, გაყიდე და მით გამოიყიდე ჩემი შვილი.

სკაპენი. (გასაღებს უბრუნებს) ხომ არ ჰბოდავთ, ბატონო! იმ ტანისამოსში ოც მანეთსაც არაფერ მოგცემს და მასთანაც რაღას მოესწრობა, რომ კიდევ ღირდეს! განა აღარ გახსოვს, რომ დრო ცოტა-ლა გვრჩება?

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიდიოდა [იმ გემზე, რა უნდოდა?

სკაპენი. ნეტავი ტყვილა უბრალოდ დროს არ ჰკარგავდეთ! დაანებეთ თავი იმ შეჩვენებულ გემს და იმას ეცადეთ, რომ დრო არ დაჰკარგოთ და საუკუნოდ არ გამოეთხოვოთ თქვენ სასურველ შვილს. ახ, ჩემო საბრალო ბატონის შვილო. ვაი თუ ეს არის ამ წამში ალყისაკენ გაკვრევიეს თავი, ზღვაში მიგაცურებენ და მე კი აღარაოდეს აღარ მელირსება თქვენი ნახვა? ღმერთთა გულთა მხილავი, რომ ჩემ მხრით არაფერი ღონე დამიკლია და, თუ ვერ გამოვიხსენით, ეს მამიშენის ბრალია, რომელსაც სულ არა ჰყვარებიხარ, თორემ ჩემი არა!

ჟერონტი. მოიცადე, სკაპენო! მე წავალ და ეიშოვი სადმე იმ ფულებს.

სკაპენი. აბა, დაეჩქარეთ, ბატონო, თორემ ვაი თუ დაგვიგვიანდეს!

ჟერონტი. რამდენს ამბობ შენ, ოთხას ოქროს?

სკაპენი. არა, ხუთასს მოგახსენებთ.

ჟერონტი. ხუთასს!

სკაპენი. დიახ!

ჟერონტი. არა, რა ეშმაკი მიარბენიებდა იმ გემზე, რა უნდოდა.

სკაპენი. მართალი ბრძანებაა, მართალი, მაგრამ დროს რაღად კარგავთ?

ჟერონტი. არა, რა ეშმაკად მიდიოდა იმ გემზე, სხვა აღგილი ველარსად ამოიღრჩია სასეირნოთ?

სკაპენი. მართალს ბრძანებთ მაგას, აბა მალე, რაღას უცდით?

ჟერონტი. ახ, ის შეჩვენებული გემი!

სკაპენი. (თავისთვის) არააააააააააა ამ გემს!

ჟერონტი. ყური მიგდე, სკაპენო, ახლა გამახსენდა. ეს-ესარი ახლა მივიღე სწორედ მაგდენი ოქრო, მაგრამ იმას კი არ მოველოდი, თუ ასე მალე გამიქრებოდნენ ხელიდან (აზიოდებს ქისას და გაუშვებს სკაპენს) ჰაა, წაიღე და გამოიყიდე ჩემი შვილი.

სკაპენი. (უნდა ჩამოართვას) ბატონი ბრძანდებით!

ჟერონტი. (კიდევ აძლევს ქისას, არც აძლევს) უთხარი იმ თურქს, რომ ის ღეთის რისხვა რამ ყოფილა.

სკაპენი. (ხელს უწვდის) ბატონი ბრძანდებით!

ჟერონტი. (აძლევს ქისას) ავაზაკი რამ ყოფილა!

სკაპენი. (ხელს უწვდის) დიახ!

ჟერონტი. (ვითომც უნდა მისცეს) უსინდისო, მძარცველი!

სკაპენი. მაგრე ვეტყვი! აღარაფერს იღარ დაგუფარავ!

ჟერონტი. (ვითომ აძლევს ყოვლის უსაფუძვლოდ მართმევს ამ ხუთას ოქროს!

სკაპენი. ცხადია, ცხადი!

ჟერონტი. ასეთიც დამართოდეს, რომ გულზე დადგომოდეს ეს ფულები! შიგ ყელში გახივებოდეს!

სკაპენი. ძალიან კარგი იქნება.

ჟერონტი. (ვითომ აძლევს) და თუ ღმერთი შემეწია და ჩავიგდე როდისმე ხელში, ვაყურებივებ მის სერს.

სკაპენი. რასაკვირველია!

ჟერონტი. (ქისას ჯიბეში იღებს) გასწი! გასწი და მალე გამოიყიდე ჩემი შვილი!

სკაპენი. (მისდევს ჟერონტს) ჰერიჰა, ბატონო!

ჟერონტი. რალა გინდა კიდევ?

სკაპენი. ფულები რა უყავით?

ჟერონტი. განა არ მომიცია?

სკაპენი. არც კი გიფიქრიათ, ისევ ჯიბეში ჩაიდევით.

ჟერონტი. გულის ყური დამეკარგა...

სკაპენი. ასე ჰგავს.

ჟერონტი. არა რა ეშმაკი უნდოდა იმ გემზე, რა მიარბენიებდა? ის დასაწვავი და დასალუპავი გემი! ის შეჩვენებული თურქი!.. ჯანაბას მისი თავი და ტანი!..

სკაპენი. (მარტო) ძალიან არ გაამწარა, შეაფუცხუნა ამ ხუთასმა ოქრომ?! ძლივს არ გამოვტყუე? ასე მოგიხდება, შე, ბერო კაცო, შენა, ეს რა არის! კიდევ უარესს გიზამ:—დამასმინე შენ შვილს, მაგრამ, თუ კაცი ვყოფილვარ, გადაგიხდი.

ს უ რ ა თ ი მ ა თ ო რ მ ა ტ ა

ოქტაგია, ლუანდრი, სკაპენა

ოქტაგია. რა ქენი, სკაპენო? გაარიგე რამე?

ლუანდრი. მეც ხომ გამირიგე საქმე?

სკაპენი. (ოქტავს) აი ორასი ოქრო, მამა თქვენს დავსტყუე.

ოქტაგია. ოხ, ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!

სკაპენი. (ლუანდრს) თქვენთვის კი ვერ გავარიგე-რა!

ლუანდრი. (აპირებს წასვლას) მაშ მომკვლადრვარ და ის ყოფილა. მე ზერბინეტის ჯაგრს ველარ გადავურჩები.

სკაპენი. სად მიდიხარ, სად? მოითმინეთ! დახეთ, რა გულ-ცმუტია!

ლუანდრი. რალა გინდა?

სკაპენი. თქვენი საქმეც გავაჩირალდნე.

ლუანდრი. ახ, გამაცოცხლე, ჩემო კარგო სკაპენო!

სკაპენი. მხოლოდ იმ პირობით გიკეთებთ ამ საქმეს, რომ ცულ-ტათი მამი-თქვენის ჯაგრი ამომაყრეფინოთ ცილის მოგონებისათვის.

ლუანდრი. რაც გინდა ჰქენი, თანახმა ვარ!

სკაპენი. მოწმეების თანდასწრებით მაძლევთ ნებას!

ლუანდრი. დიახ!

სკაპენი. მაშ კარგი, მიირთვი ეს თქვენი ხუთასი ოქრო.

ლუანდრი. მე მივაშურებ და ახლავე გამოვიხსნი იმ ჩემს ძვირფას ტყვეს.

მოქმედება მისამ

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზერბინეცი, გაიენცი, სკაპენი, სილიზისცრთ

სილიზისცრთ. თქვენს შეყვარებულს სურთ, რომ თქვენ ერთად დაუხვდეთ და მე მისთვის გიახელით, რომ შეგატყობინოთ...

გიაციენტი. (ზერბინეტი) იმედი მაქვს, რომ ორივე სიამოვნებით ავასრულებთ მაგ სურვილს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამისთანა მეგობარი შევიძინე და იმედი, რომ ჩვენი შეყვარებულების ერთმანეთთან მეგობრობა, ჩვენ ერთმანეთთან მეგობრულად დაგვაკავშირებს

ზერბინეტი. ჩემის მხრით მე ყოველთვის მზადა ვარ ვიკისრო მეგობრობა, თუ კი პირაქეთაც მთხოვენ.

სკაპენი. სიყვარულს?

ზერბინეტი. მაგისი კი რა მოგახსენო! მაგაში კი ცოტა ვერ გახლავარ გამბედავი.

სკაპენი. მე მგონია, რომ ჩემი ბატონიშვილის შესახებ კი სხვა ანგარიში უნდა იყოს. რაც იმან თქვენთვის საქმეები ჩაიღინა, მე მგონია, საკმაო არის, რომ თავი შეგაყვაროსთ.

ზერბინეტი. რა მოგახსენო! მაგაში კიდევ ვერა ვხედავ სიყვარულს და მსახურების სურვილს. მე ისეთი ხალისიანი ხასიათისა ვარ, რომ ხანდახან დაცილება მიყვარს ზოგიერთს რამეებზე, და შენი ბატონი შემცდარია, თუ იმას ფიქრობს, რომ ერთი მხოლოდ ჩემი გამოყიდვა საკმაო იყოს მის შესაყვარებლად. არა, სანამ არ შემირთავს, იცოდეს ვერ დამისაკუთრებს, რომ უნდა ისე.

სკაპენი. მაგას რაღა თქმა უნდა... განა მაგაში ექვი გაქვთ? რა ბრძანებაა! თქვენს ბედნიერებასა და პატივზე თქვენზე უფრო ის ფიქრობს.—დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მაგ საქმეებში მეც არ გავერეგოდო, თუ ჩემს ბატონისშვილს სულ სხვა ანგარიშები არა ჰქონოდა.

ზერბინეტი. მჯერა თქვენი სიტყვა, მაგრამ, მეშინია, ვაი თუ მამ შეგვიშალოს ხელი.

სკაპენი ფიქრი ნუ გაქვთ ისე მოვახერხებთ, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდეს.

გიაცინტი (ზურბინეტს) ჩვენის ბედის ერთნაირობამ კიდევ უფრო უნდა გაამტკიცოს ჩვენის მეგობრული კავშირი: ჩვენ ორივეს ერთი და იმავე საქმის გვეშინიან.

ზურბინეტი თქვენი საქმე სულ სხვა არის: თქვენ ის უპირატესობა გაქვსთ ჩემზედა, რომ იცით თქვენი გვარიშვილობა, შეგიძლიანთ მშობლები მონახოთ, და რაღაც ისინიც ხელს შეგიწყობენ, ადვილად თავი გაიმართლოთ და საქმე გაიროგოთ. მე კი შემწევობას არსაიდან ველი. დარწმუნდით, რომ იმ კაცის სურვილი, რომელიც მიწოდებულა ფულებში ჰხედავს კეთილ-დღეობას, საუკუნოდ ბოლოს მოუღებს ჩემს ბედის-წერას.

გიაცინტი მაგიერად თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ თქვენის საყვარლის თანაგრძნობაზე, და მე იმედი არა მაქვს ჩემი ოქტავის: არა მგონია, რომ მისმა სიყვარულმა დიდი ხანი გასტანოს.

ზურბინეტი მისგან გულის აცრუების ნუ გეშინია, თქვენ შეგიძლიათ, რომ თავი შეაყვაროთ და საუკუნოდაც დაჯაკვოთ, ამ შემთხვევაში ყველაზე უარესი ის არის, რომ მშობლები ხელს უშლიან.

გიაცინტი ოხ, რატომ ყოველთვის გამარჯვებული არ არის ტრფიალი გული! სასიამოვნო მაშინ არის სიყვარული, თუ ხელს არავინ გიშლის.

ზურბინეტი შემცდარი ბრძანდებით მაგაში. უშფოთველი სიყვარული არც კი ვარგა, გაუსხლეტელი ბედნიერება კაცს თავს აბეზრებს. ორივე უნდა გამოსცადოს კაცმა — ტკბილიცა და მწარეც. ცოტაოდენი ნაღველი გულს ხანდახან არა სწყენს, რომ ბოლოს უფრო იაზოს სიტკბო.

გიაცინტი აბა, ჩემო სკაპენო, ერთი მომიყევი, როგორ გამოალაღე ფულები იმ შენ ძუნწ ბებრუხანას? მაგითი ძალიან მასიამოვნებ!

სკაპენი მაგას, შენი ჭირიმე, სილიბისტრო მოგახსენებესთ, მე კი არა მცალიან! ცოტა ჯინი უნდა ამოვიყარო ერთი ვისმესი, ჩემდა სასიამოვნოდ გული ვიჯერო.

სილიბისტრო ეჰ, თავი დაანებე. მაგაზე ნულარას ფიქრობ. არა, თვითონ შენ იფიქრე, რა საჭიროა?

სკაპენი ისე ტყვილა. მე ძალიან მიყვარს მაგნაირი გაბედული ონები.

სილიბისტრო დამიჯერე, თავი დაანებე!

სკაპენი გეუბნები, არ დავანებებ თქო.

სილიბისტრო აბა იფიქრე, რა ეშმაკი უნდა...

სკაპენი თვითონ შენ რა ეშმაკად ჩამცივებინხარ? რა შენი საქმეა, რომ ერევი?

ხილიბისტრო იცოდე მოგხედება.

სკაპენი ჩემმა ზურგმა ინალვლოს, შენ რა გენალვლება.

ხილიბისტრო კისერი მოგიტეხია... რა მენალვლება! რაც ვინდა, ისა ჰქენი!

სკაპენი მაგისტანა ცოტა რამე ვერ შემაჩერებს. მე ძალიან მეჯავრებიან ის ლობიო კაცები, შიშით რომ ვერაფერ საქმეში ვერ ერევიან ხოლმე.

შერბინეთი მაშ ჩვენ თქვენი შემწეობის იმედი გვექნება.

სკაპენი მიბრძანდით! მეც ახლავ გიახლებით. ფრთხილად კი იყავით! არავისთან რამე წამოგცდესთ! თორემ, თუ შემიტყვეს ჩემი ბრიკებზე, სასიამოვნოთ ველარ დამირჩება საქმე.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა ი

ჟერონტი და სკაპენი

ჟერონტი აბა, სკაპენო, როგორ არის ჩემი შვილის საქმე?

სკაპენი თქვენმა შვილმა თავს უშველა, მაგრამ თქვენი საქმე კი ცუდად არის. ასეთი საქმე დაგემართებათ, რომ მეტი აღარ შეიძლება. უნდა გამოგიტყდეთ, ახლა რომ შინ ბრძანდებოდეთ, ათასჯერ უფრო დამშვიდებული მექნებოდა გული.

ჟერონტი რა მემართება?

სკაპენი ახლა, სწორედ ამ წამში, აჰ, გამწარებული გეძებენ აქეთ-იქით მოსაკლავად...

ჟერონტი მე?

სკაპენი დიახ.

ჟერონტი ვინ დამეძებს?

სკაპენი. ოქტავმა რომ შეირთო, იმ ქალის ძმა. მისი დის კორწინების მოშლის მიზეზი იმას ის ჰგონია, რომ თქვენ გინდათ მის შვილს თქვენი ქალი შერთოთ და გამწარებულს უნდა რომ თავის გულის ჯავრი თქვენზე ამოიყაროს! „ამ ჩემს გაუპატიურებას არ შევარჩენ მაინცა და მაინც უნდა „მოვჰკლაო“, იძახის თქვენზე... მეგობრებიც მასსავით რეტიანი ჰყოლია; მისი არ იყოს, ისინიც აქეთ იქით დაგეძებენ; მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე ჯარისკაცები, გამვლელ გამოძლელებს თქვენზედა ჰკითხავდნენ და ახლა ირგვლივ შემოერტყენ თქვენ სახლს, ასე რომ საძრავი ღონე აღარა გაქვსთ. ტყვილა ნუ გაქანდებით, თორემ გიგდებენ ხელში.

ჟერონტი. რა უნდა ვქნა, ჩემო საბრალო სკაპენო? რაღა მეჭეველებია?

სკაპენი. მეც ვერა მომიფიქრებია რა, ბატონო! ეს მართალი საქმეა, რომ მეც თავიდან ფეხებამდე ვიწვი შიშით, სულ მაკანკალებს მოითმინეთ... (გაპყურებს და ვითომ ვიღაც კიდეც დაინახა შორს).

ჟერონტი ვაი!

სკაპენი არა, არა! არავინ არის, ნუ გეშინიან!

ჟერონტი. ვერაფერს მოიგონებ, რომ მიშველო?

სკაპენი. შეიძლება, რომ მოახერხო კაცმა, მაგრამ ვაი თუ მისი გულისათვის გამგულდონ!

ჟერონტი ახ, ჩემო სკაპენო! დამიმტკიცე ერთგულობა, ღეთის გულისათვის ნუ მიმატოვებ.

სკაპენი ნეტავი, რას მიბრძანებთ, ისე მებრალეებით, რომ აღარ შემიძლია, თქვენს მტერს ხელგულ-დაკრეფილი შევჩერებოდე.

ჟერონტი. აბა, თუ ღმერთი გწამს, და მერე მე ვიცი შენი პატიისცემა: ცოტა როგორც კი დაძველდება, ამ ტანისამოსს მაშინვე შენ გაჩუქებ.

სკაპენი. მოითმინეთ. ერთი რამ მოვიგონე... ამ ტომარაში უნდა ჩაძვრეთ.

ჟერონტი. ვაიმე (ვიღაცას შენიშნავს).

სკაპენი. არაფერია, ნუ გეშინიანთ! მე მოგახსენებთ, რომ ამ ტომარაში ჩაწეკით და გაუნძრევლად განახეთ სული; მე ზურგზე მოგიკიდებთ, ვითამ ტვირთი ხარ რამე და ისე მიგიყვანთ სახლში, რომ შიგ შუა გულ მტრებში გავივლი. მერე იქიდან თვითონ ჩვენვე გამოუსიოთ იმათ დაიარაღებული კაცები! ხომ მიხვდით?!

ჟერონტი. რა გგონია? ეგ ძალიან კარგი იქნება?

სკაპენი. უკეთესი აღარ შეიძლება; თვითონ ნახავთ! (თავისთვის) დამაცადე, შე დაწყევლილო ბებერო, და შენ გაყურებიებ შენ სეირს!

ჟერონტი. რას ამბობ?

სკაპენი. მე მოგახსენებთ, რომ სულ ერთიანად ხელში ვიგდებთ იმ ჩვენ მტრებსათჳ. აბა ჩაძვრით და იცოდეთ კი, რომ იქიდან თავი არ ამოყოთ, არც გაინძრეთ, რაც უნდა დაგემართოსთ, თორემ...

ჟერონტი. ფიქრი ნუ გაქვს. ჩემს კისერზე იყოს.

სკაპენი. დაიმაღლეთ კარგად. აი, აგერ მოდის ერთი ავაზაკი (ზმას იცვლის). ეს რასა ჰგავს! ნუთუ ვერ მოგვკლა ჟერონტი? ვინ გაბედავს, რომ დამიმალოს და არ მიჩვენოს მისი თავი? მიწა რომ გა-

ხვრიტოს და ქვესკნელში ჩაძვრეს, იქიდანაც კი ამოვიყვან ყურის „წიაქწიაქით“. (ფრონტს თავის ხმით). თავი არ ამოყოთ! (ხმას იცვლის) „ეს ვინა სდვას იქ ტომარა მოკიდებულნი?“ რა გნებავსთ — ჩემო ბატონო?“ ერთ ოქროს გაჩუქებ, თუ მასწავლი, სად შემოდლიან, რომ ფრონტი ვნახო? „თქვენ ფრონტს ეძებთ? დიახ იმ ღვთის რისხვას!“ მერე რა გნებავთ? „რალა მნებავს“ დიახ, ნება მიბოძეთ გკითხოთ? „მინდა რომ ამ ჯოხით დავებგვო“. თუ უკაცრავად არ ექნებები, მოგახსენებ, რომ ფრონტი მაგრე ალა-ალა გასალახავი კაცი არ გახლავსთ. „ვინა? ის საძაგელი? ის პირუტყვი ფრონტი?“ დიახ, უ. ფრონტი არც პირუტყვი გახლავსთ და არც საძაგელი და გირჩევთ, რომ ცოტა ზდილობით ილაპარაკოთ იმაზე! „როგორ ბედავ მის გამოსარჩლებას, შე საძაგელო, შენა!“ მე ვესარჩლები, როგორც კეთილსა და პატიოსანს კაცს. „მაშ შენ, გეტყობა, მისი მეგობართაგანი ხარ?“ დიახ, მეგობართაგანი გახლავარ. „ქარგი დაგემართოს! სწორედ მისი მეგობარი ხარ!“ გეუბნებით, რომ ვარ-თქო! „მაშ თუ მაგრეა, მომიცადე, შენს სეირს გიჩვენებ, ეს შენ, შე ძალლო შენ! ესეც კიდევ შენ! (ურტყამს ქერის ტომარას) (ისე ყვირის, თითქმის ურტყამენ) ვაი! ვაი! ბატონო, შენი ჭირიმი! მაპატივეთ! ვაიმე! ვაიმე მოვკვდი, ჩემო ხელმწიფეე!... ვაი, მოვკვდი, დედა ჩემი! ჰოიმი! (სხვისი ხმით) „ახლა ქარგი, ეს ასე გადაეცი ჩემ მაგიერ შენს ფრონტს. მშვიდობით“ (თავს უკრავს) ჰოი! ჰოი! მომკლა იმ ღვთის პირისაგან წყუულმა!

ფრონტი (ამოყოფს თავს ტომრიდან) ოხ, სკაპენო, მეტი აღარ შემოდლიან.

სკაპენი. ოჰ, ბატონო, დამამახინჯეს! რა საშინლად მეწვის ზურგის კანი, რონ იცოდეთ! გვერდები დამალეწეს... ოოჰ...

ფრონტი როგორ! სულ მე არ მირტყამდა?

სკაპენი. არა, შენი ჭირიმი. მხოლოდ ჩემს ზურგზე ტაფა—რიკაობდა.

ფრონტი. რას ამბობ, კაცო! განა ვერ ვგრძნობდი? ახლაც მთლად ერთად გვერდები მიხურს.

სკაპენი. არა მეთქი, მოგახსენებ!... შეიძლება ჯოხის წვერი მოგხვდათ სადმე, თორემ თვითონ ჯოხს კი ჩემს ზურგზე გაჰქონდა ბრაგა-ბრუგი.

ფრონტი. მაშ ისე უნდა გამდგარიყავი განზე, რომ ჩემამდი არ მოეწია ჯოხს.

სკაპენი. (ისევ ჩასვამს ფრონტს ტომარაში) ფრთხილად იყავი. აი კიდევ ვილაც საეკვეო კაცი მოდის აგერ. (გამოიცივლის ხმას) „დალახვროს

ლმერთმა! მთელი დღეა დავდივარ გაბრაზებულივით და ვერსად ვერ შევხვდი იმ ეშმაკის გავარდნილ ჟერონტს!“ (თავის ხმით ჟერონტს) დაიმაღლეთ, კარგი (სხვისი ხმით) „ეი! შენ ძმობილო! ერთი მითხარი, ჟერონტი ხომ არსად გინახავს?“ არა, შენი ჰირიმე, არ მინახავს!... „მართალი მითხარი, საჭიროა ჩემთვის! მინდა, რომ ერთი კარგა ლამაზად შევახურო ამ ჯოხითა და საიმედო ეს ხმალიც უშოშვლო გვერდებში“. თქვენი რისხვა არა მქონდეს, არ ვიცოდე სად იყოს. „მაგ შენ ტომარაში რა ინძრევა ეგა?“ არაფერი შენი ჰირიმე! რა უნდა ინძრეოდეს?... „ვიღაცა გყავს დამალული!“ სრულიადაც არა! „მე მინდა რომ ხმალი შემოგკრა ტომარას!“ (თავის ხმით) რას ხეანხვალობ, რომ ხეანხვალობ, შე დალოცვილო!... (სხვისი ხმით) „მაჩვენე რა არის მანდი!“ ვერ გიჩვენებთ! „რაო ვერ მაჩვენებ?“ იქ თქვენი სანახავი არ არის რა... „მე მსურს!“ მე მაინც ვერ გიჩვენებთ. „ვის უბედავ მაგას, შე წუწკის შვილო?... „აქ, შენი ჰირიმე, ჩემი საცაღია, სხვა რა უნდა გახლდესთ! „მიჩვენე მეთქი!“ არ გიჩვენებთ, რას ჩამცივებინხართ! „მე შენ ერთს კარგად შეგზელ და...“ მე მაგისთანა ფახიფუხების არ მეშინია. „თუ არ მაჩვენებ და ესეც შენ“. (ურტყამს ტომარას) მოვკვდი, მოვკვდი ვაიმე! ვაიმე, ვაი დედაჩემო! ბატონო, შენი ჰირიმე, მაპატივეთ! ვაი! ოიპ! „ჰე, აცა, აცა, გიამა? მაგრე გინდოდა შენ, აწ მშვიდობით, მეორედ ქეჟა ისწავლე...“

ჟერონტი (თავს ამოჟღეს) ოიპ! ოიპ!... დაღეწილი ვარ.

სკაპენი. ოიპ! მე კიდევაც გავთავდი და...

ჟერონტი. დალახვროს ლმერთმა, მაინც რომ არ ასცილდა ამ ჩემ ზურგს!

სკაპენი. (მალავს ტომარაში) ფრთხილად იყავით! აგერ მოდის ჯარისკაცების გუნდი (სხვადასხვა ხმებით) „ჰეი ჩქარა ჟერონტი მონახეთ, დაძებნეთ ყველგან, არაფერი დაგრჩესთ დაუჩხრეკელი, იქით, აქეთ მიიხედ-მოიხედეთ. ახლა სად წავიდეთ, მარჯვნივ? არა, მარცხნივ წავიდეთ, ის აჯობებს. ჰეი! აქეთ-აქეთ! არა, ისევ იქით“!... (თავისი ხმით) კარგად დაიმაღლეთ! „კაცო, აქ მოდით, აი აგერ არის მისი მოსაპსახურე. ეი, შენ, ავაზაკო, სად არის შენი. ბატონი? აბა გვითხარი მალე!“ ახ, თუ ლმერთი გწამს, თავი დამანებეთ! რა გინდათ ჩემგან! „გვითხარ, სად არის შენი ბატონი! მალე!“ ეჰ. თავი დამანებეთქო გეუბნებით... (ჟერონტს ამოუყვია თავი და გაშტურებით მიჩურებია სკაპენს) „თუ ახლავე არ გვიჩვენე, ახლავე სიკვდილზე მიგაყენებთ!“ რაც გინდათ ის მიყავით!... სიკვდილს ვირჩევ და ჩემს ბატონს არ ვულალატებ... მაშ კარგი და ესეც შენ (მოუქნევს ჯოხს ტომარას და რომ შეხვდავს ჟერონტს, გაიქცევა) ვაიმე.

ჟერონტი. შე შეჩვენებულო, შე ავაზაკო, შე ცუდლუტო, შე კაცის მკვლელო, ეს რა მიყავ?

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ზ ვ რ ა ნ ე ჯ ი დ ა ჟ რ ა ნ ე ჯ ი

ჟერბინეტი. (ჟერონტს ვერ ხედავს და იცინის) ხა! ხა! ხა! ხა! სერი თუ გინდა, სწორედ ეს არის.

ჟერონტი. (ვერ ხედავს ჟერბინეტს და სკაპენს მიხვევრის) მოიცადე, მოგაგონებ, თავს ვფიცავ, განანებ.

ჟერბინეტი. (ვერ ხედავს ჟერონტს) ხა! ხა! ხა! ხა! სწორედ სასაცილო ამბავია. ხა! ხა! რა სულელი ყოფილა ის ბერიკაცი. ღმერთო ჩემო! ხა! ხა! ხა! ხა!

ჟერონტი. მე მგონია, რომ აქ სასაცილო არა იყო რა!

ჟერბინეტი. რასა ბრძანებთ?

ჟერონტი. მე მგონია. რიგი არ იყოს, რომ დამცინით!

ჟერბინეტი. თქვენ დაგცინით?

ჟერონტი. დიახ, მე...

ჟერბინეტი. რა ბრძანებაა? გულშიდაც არ გამივლებია! თქვენ ვინ გეცინისთ?

ჟერონტი. პირველი თქვენ, შიგ ცხვირ-პირში მაყრით სიცილს!

ჟერბინეტი. თქვენზე მე სრულიადაც არ ვიციანი. ეს-ეს არის ერთი სასაცილო ამბავი მითხრეს და ის მაცილებს, ის ამბავი მეც მებება ცოტა, მაგრამ მაინც იმაზე უფრო სასაცილო საქმე ძნელად მოხერხდება, რომელიც ახლა ერთმა ყმაწვილმა კაცმა მამა მისს უყო ფული რომ დაეტყუებია! ძნელად მოხერხდება!

ჟერონტი. ფული რომ დაეტყუებია მამისათვის?

ჟერბინეტი. თუ გნებავსთ, მოგიყვებით. მე რასაც კი გავიგონებ, ძალიან მიყვარს, რომ სხვებთანაც ვიტყვინო ხოლმე!

ჟერონტი. ჰმ! ჰმ! აბა ერთი გვიბრძანეთ რა არის?

ჟერბინეტი. მე მგონია არავის სავენებელი იქნეს, რომ მოგიყვებთ აი რაში არის საქმე! ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ეგვიპტელები რომ არიან, ბოშა დედაკაცები, ათასის ლეტა-ცვეთით რომ ირჩენენ თავს და აქა იქ დაწანწალებენ, რალაც უცნაურად ბედმა ჩემი თავი იმათ ჩაუგდო ხელში. აქ, ქალაქში რომ მოვედით, ერთმა ყმაწვილმა კაცმა მომკრა თვალი და მოვეწონე!... დამიწყო არშიყობა. რალაც იმედი ჰქონდა, მაგრამ არა გამოუვიდა რა!... წაუხდა ხრიკები... საქმე კიდევ იმან უფრო გაუძნელა, რომ მე თვითონ სხვის ხელ-

ში ვიყავი. ჩემდათვად ნება არაფრისა მქონდა.. ბოლოს ეგვიპტელებმა რომ შეატყვეს, იხრუკებაო, სასყიდელი სთხოვეს ჩემში და ფასიც გადაუქრეს. ჩვენდა საუბედუროთ იმას ფული არ ჰქონდა, და მამა კი ძალიან ტუნწი ჰყავდა. დალახეროს ღმერთმა, არ იქნა ვერ მოვიგონე მისი სახელი... მოიცადეთ,—თქვენ ვერ დაასახელებთ იმ კაცს, რომელიც აქ სუყველას საშინელ საარაკო ძუნწად მიაჩნიათ?

ჟერონტი. ვერა!

ზერზინეტი. მისი სახელი... რონტი...ო... ორონტი... არა! ერონტი! დიახ სწორედ ასეა, ერონტი ჰქვიან. ის საძაგელი! რას მოგახსენებდით? ჰო, დღეს ეგვიპტელები სხვაგან მიემგზავრებოდნენ, და, რომ მე საუკუნოდ არ დავჰკარგოდი ჩემ საყვარელს, თავისი მსახური დაიხმარა! დაუფასებელი კაცი რამეა! სკაპენი ჰქვიან! ყოველი ქების ღირსია!

ჟერონტი. (თავისთვის) ჰაი, შე საძაგელო შენა!...

ზერზინეტი. ახლა წარმოიდგინეთ, იმ მსახურმა რანაირად გააცურა ყინვაზე ის სულელი ბერიკაცი. ხა! ხა! ხა! ხა! როცა გამახსენდება ხოლმე, არ შემძლიან, რომ სიცილი მოვიკავო. იმან მონახა ის კრიტანგი ბებერი ძალღი და უთხრა, რომ მე და შენი შვილი ნავთ-საყუდელში ვსეთირნობდით, ერთმა დარბაისელმა თურქმა თავის გემზე მიგვიპატიეთა, გავვიმასპინძლდა და ამასობაში შიგ შუაგულ ზღვაში მიგვატეშია თავიო, ბოლოს მე გამომსვდა ნაუზე, უკანვე გამომისტუმრა და ისე დამაბარა ჩემ ბატონთანო, რომ თუ ხუთასი ოქრო ახლად-ახლად არ გამოგიგზავნია ჩემთვის შენი შვილის დასახსნელად, გამოეთხოვე,—ალეირში ამოვაცოფინებ თავსო. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა მოუვიდა იმ ბერიკაცს: ერთის მხრით შვილის სიყვარული ჰკლავდა და მეორეთი სიძუნწე, იმ ხუთასი ოქროს გადახდას ხუთასჯერ რომ ეკრათ გვერდებში ხანჯალის წვერი, ის ერთია. არ იცოდა, რა უნდა ექნა; ისე იტანჯებოდი, რომ ათას რამეებს იგონებდა შვილის გამოსახსნელად; ფულის მიცემას ვერ ბედავდა, ვერ ელეოდა. ხა! ხა! ხა! ხა!... ხან ვითომც საჩივარს უპირობდა ზღვაში მცურავ გემს! ხა! ხა! ხა! ხა!... სულ მოსამსახურეს ეხვეწებოდა, სანამ ფულებს მოვავროვებდეთ, ჩემის შვილის მაგიერ შენ დარჩი გემზე ამანათადო: ვითომ ატყუებდა რაღა. ხა! ხა! ხა! ხა! ხან ეხვეწებოდა, რომ ხუთას ოქროდ ჩემი ძონძები გაჰყიდეთ! ხა! ხა! ხა! ხა! თვითონ ბიჭიც ძლივს იქერდა სიცილს ლაპარაკის დროს.— საბრალო ტუნწი თურმე წამდა-უწუმ იძახოდა ცრემლის ღვრიით: „არა, რა ეშმაკი უნდოდა იმ გემზე! რა მთარბენინებდა! აჰ ის შეჩვენებული თურქი და სხვ.“ ბოლოს, ბევრი ცრემლებისა და ვაი ვაგლანის შემ-

დღე... მაგრამ რა გემართებათ? თქვენ, მგონია, ეს ამბავი არაფრად გეპრიანებათ: განა სასაცილო არ არის თქვენთვის ეს ამბავი?

ჟერონტი. მე მგონია, რომ ის ყმაწვილი კაცი ხასიათით გაფუჭებული და საძაგელია, და მამა-მისიც, რომ ეკადრება ისე დასჯის იმ შეჩვენებულ ეგვიპტელ ქალს, აყურებიებს, როგორ უნდა ოჯახის შვილებს... ვარყვნა! და შენ ველარ დამიძვრები ხელიდან, შე ღვთის რისხვავ სკაპენო! ღღესვე თხასავით ჩამოგკიდებ, ავაზაკო.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ზ ო რ ბ ი ნ ე წ ი დ ა ს ი ლ ი მ ი ს ც რ თ

ხილიბისტრო. სად დაიკარგეთ? იცით, რომ ახლა ეს-ეს იყო თქვენის შეყვარებულის მამას ემუსაიფებოდით?

ჟერონტი. რა ვიცოდო, და შე, კი სულ თითო კაკლად მოგყვივი, რაც კი სკაპენმა უყო!

ხილიბისტრო. ახ! ეგ რა გიქნიათ?

ჟერონტი. რა გაეწყობა. ვერ ვითმენდი არ მეამბნა ვინმესთვის სჩანს აგრე უნდა მომხდარიყო! მან ინალელოს, თორემ მე რა?

ხილიბისტრო. არა, მაინც რა გეხალისებათ, ვისაც კი შეეყრებით ყველასთან ტიქტიკი? განა არ შეიძლებაოდა, ენისათვის კბილები დაგეჭირებიათ?...

ჟერონტი. რაა! სხვისაგან ხომ მაინც შეიტყობდა?

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ა რ გ ა ნ წ ი, ზ ო რ ბ ი ნ ე წ ი, ს ი ლ ი მ ი ს ც რ თ

არგანტი (სცენის იქით) ეი, სილიბსტრო!...

ხილიბისტრო (ზურბიფტს) სახლში წაბრძანდით ახლავე. არ გესმისთ, რომ ჩემი ბატონი მეძახის.

ს უ რ ა თ ი მ ე ე მ ვ ს ე

ა რ გ ა ნ წ ი დ ა ს ი ლ ი მ ი ს ც რ თ

არგანტი. თორემ მაგისთანა პირობა გქონდათ შეკრული ავაზაკებს! შენ სკაპენო და შენ, ჩემო საჭებო ვაჟო, შეთქმული იყავით ჩემს გაძარცვაზე? გინდოდათ, რომ გავეგიებულიყავ? ა? ისა გგონიათ, რომ შეგარჩენთ ამ ამბავს?

სილიბისტრო. მე, ბატონო, მაგ საქმეში ხელი დამიბანია, და კიდევ ფიცით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ფრჩხილის ოდენა ბრალიც არა მაქვს. მაგ საქმეში არც კი გავრეულვარ!

არგანტი. არაფერია, მოიცადე და მე გავარჩევ მაგ საქმეს, გამოვიკვლევე. ის ნუ გგონიათ, რომ თვალეში ამიხვიოთ!...

ს უ რ ა თ ი მ ა შ ვ ი ლ ე

ჟერონტი, არგანტი, სილიბისტრო

ჟერონტი. ახ, ბატონო არგანტო! ვერა ვხედავთ, რა საძაგელ მდგომარეობაში ვარ?

არგანტი. არც მე გახლავარ უკეთესში, ჩემო ბატონო!...

ჟერონტი. იმ შეჩვენებულმა სკაპენმა აკი ხუთასი ოქრო გამოშტუა თავისი ოინებით!

არგანტი. მაგ ავაზაკმა სკაპენმა მეც ორასი ოქრო დამტყუა.

ჟერონტი. ეგ კიდევ არაფერი, რომ მართო ეგ გემარებია, მაგრამ მისთანა საქმე მიყო, გამოთქმისა მრცხვენია, მაგრამ არ შევარჩენ კი...

არგანტი. მეც პასუხს მოვთხოვ!

ჟერონტი. ოო! საარაკოდ გადაეუხდი, სამაგალითოდ!...

სილიბისტრო. (თავისთვის) თავს უნდა ვუშველო, თორემ ცულდადა ჩემი საქმე. თუ ღმერთმა, შემეწია მოვახერხე როგორმე და ერთი ვქუსლე აქედან.

ჟერონტი. ეს ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, ბატონო არგანტო. მაგრამ ჭირი ყოველთვის ჭირს ეკიდება. იმედი მქონდა, დღეს ჩემ ქალს შევხვდებოდი, მაგრამ ეს-ეს არის ახლა გავიგე, რომ ის დიდხანია კიდევაც გამოსულა ტარენტიდან და ვაი თუ ზღვაშიაც დამელუბა...

არგანტი. ახ! ნეტავ რად დასტოვეთ ტარენტიში? განა არ შეგეძლო, რომ თანა გყოლოდა?

ჟერონტი. მაგისი ცოტა მიზეზი მქონდა, რომ დამეფარა ჩემი მეორე ცოლის შერთვა. მაგრამ ამას რას ვხედავ, შენა ხარ ძიძავ?

ს უ რ ა თ ი მ ე რ მ ე

არგანტი, ჟერონტი, ნაზინი, სილიბისტრო

ნერინი (მუხლებზე ვხვევა ჟერონტის) ახ, ბატონო პონდოლფო, როგო...
ჟერონტი. პონდოლფს ნულა მეძახი! ჟერონტს დამიძახე... აწ მი-

ზეზი აღარ მაქვს, რომ ჩემი ნამდვილი სახელი კიდევ დავფარო!

ნერიანი. ღმერთო, შენს მადლს! თქვენ ვერ წარმოიდგენთ ბატონო, თუ რა გვიყო მაგ სახელების არეუ-დარევაში! სულ გზა და კვალ-ლი აგვირია და ხელი შეგვიშალა თქვენს ძებნაში.

ფერონტი. ჩემი ცოლ-შვილი სად არის?

ნერიანი. თქვენი ქალიშვილი აქედან შორს არ გახლავთ, მაგრამ ჯერ შეგვედროთ, რომ ჩემი დანაშაულობა მაპატიოთ: იმედი რომ დაგვეკარგა თქვენის პოვნის, თქვენი ქალი ავიყვანე და გავათხოვე!

ფერონტი. ჩემი ქალი გაათხოვე?

ნერიანი. დიახ, ჩემო ბატონო!

ფერონტი. ვის მიეცი?

ნერიანი. ერთის გამოჩენილი კაცის ვაჟს! ოქტავს... არგანტის შვილს...

ფერონტი. ღმერთო დაილოცა შენი სახელი!

არგანტი. აბა, მოულოდნელი საქმე ეს არის!

ფერონტი. წაგვიყვანე, მიგვიყვანე იმასთან ახლავე!...

ნერიანი. აბა, ბატონო, ამ სახლში შებრძანდით და იქ იქნება!

ფერონტი. მაშ წაგვიძეხი! აბა, მოწყევით, ბატონო არგანტო, მომ-კვით.

სილიბისტრო. აბა, საქმეც ამისთანა უნდა ჰა...

ს უ რ ა თ ი მ ე ტ ხ რ ა

სკაპენი და სილიბისტრო

სკაპენი. ახალ ამბავს რას იტყვი სილიბისტრო?

სილიბისტრო. ახალ ამბავს ბარე ორს გეტყვი: პირველი, რომ ოქტავის საქმე კარგად გაკეთდა: გიაცინტი ფერონტს ქალი გამოლდა და ამგვარად ორი მამების სურვილი ასრულდა. და მეორეც, ისა, რომ ორივე ბერიკაცი გაბრაზებული არის შენზე, განსაკუთრებით ფერონტი.

სკაპენი. ეგ არაფერია! დარწმუნდი, რომ იმის რისხვას ადვილად ავიცილებ.

სილიბისტრო. აბა, ძმაო, სიფრთხილე გიჯობს, შვილები შეურიგ-დებიან თავიანთ მამებს და შენ რიყეზედ მიგაგდებენ.

სკაპენი. შენ ნუ ნალვლობი მე იმათ მალე გავაყუჩებ...

სილიბისტრო. თავს უშველე, სანამ სული კიდევ გიდვას! ვერა ხედავ აგერ მოდიან!

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე .

აქრინცი, არგანცი, გიაცინცა, ზუბინეცი, ნურანა, სილიბისცხო

ფერონტი. მოდი, ჩემო შვილო, მომეხვიე: ჩემი სიხარული მაშინ უფრო სრული იქნება, რომ შემეძლოს შენთან ერთად დედაშენის ნახვაც.

არგანტი. აი, ოქტავიცი კარგ დროს მოვიდა.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ი რ თ მ ე თ ე .

აზგანცი, აქრინცი, ლფლაჯი, გიაცინცი, ზუბინეცი, ნურინი, სილიბისცხო

არგანტი. ჩქარა, აქ მოდი, შვილო. შენი ქორწინების ბედნიერებით გაგვახარე. ზეცამ...

ოქტავი. აბა, მამა ჩემო! აქ ხეწნა არ გაგვავთ. დრო აღარ არის, რომ დაგიფაროთ... მეც თქვენთან მოვსულვარ და ეს არის...

არგანტი. გამიგონე, ჯერ ხომ არაფერა არ იცი?...

ოქტავი. რაც საჭიროა ჩემთვის, კიდევ ვიცი!

არგანტი. მე გეუბნები, რომ ფერონტის ქალი...

ოქტავი. არ მინდა და არ შევირთავ...

ფერონტი. ეს ის ქალია...

არგანტი. როგორ არა, რომ...

ოქტავი (ფერონტს) ტყვილად სიტყვებს ნუ ხარჯავთ, მე ვაღაფ-სწყვიტე და...

სილიბისტრო (ოქტავს) გაიგონეთ!

ოქტავი. ხმა ჩაიწყვიტე! არაფერს გავიგონებ.

არგანტი (ოქტავს) შენი ცოლ...

ოქტავი. არა, მამაჩემო! თავს მოვიკლავ და ამ ჩემს გიაცინტს კი არ ვუღალატებ. (მიდის მასთან) რაც უნდა მიყოთ, მაინც ეს მეყვარება სიკვდილამდე და სხვა ცოლს კი არ შევირთავ?

არგანტი. კარგი! სწორედ იმ ქალს მოგათხოვებენ. რამ შეგშალა, ერთსა და იმავეს გაიძახი!

გიაცინტი. დიახ, ოქტავო! აი მამაჩემი, მე რომ დავეძებდი. ახლა ხელის შემშლელი აღარაფერს გვეყოლება.

ფერონტი. წავიდეთ შინ, შვილებო, იქ უფრო თავისუფლად ვიმხიარულებთ თქვენს ბედნიერებას.

გიაცინტი. (ხელს აშვერს ზურბინეტახე) ნება მიბოძეთ, მამაჩემო, რომ ამ ჩემ მეგობარს არ გავეყარო. ამას იმდენი საქებური თვისებები აქვს, რომ თქვენც თავს შეგაყვარებსთ, როცა კარგად გაიცნობთ.

ვერონიკი. რაო! შენ გინდა, რომ ის გომბიო, რომელსაც შენი ძმა ეარშიყებოდა რომელმაც ცხვირპირში სიცილი მომაყარა და ათასი საწყენი რამეები მითხრა, ჩემ სახლში შემოღებულა კიდევ?

ჯერბინეტი. ბოდიშს ვიხდი: ჩემ დღეშიდაც ვერ გავბედავდი მაგ ამბავს, რომ მცოდნოდა, თუ ის თქვენ იყავით. მე მხოლოდ სხვისი აზრები ვიცოდი თქვენზე და სხვისი ნათქვამით გსჯიდით.

ვერონიკი. როგორ თუ სხვისი აზრებით?

გიაცინტი. მამაჩემო, იმ დამოკიდებულებაში, რომელიც ჩემს ძმასა აქვს ამასთან, ცუდი დასაზრახი არა არის რა. ამის თავმდეები შევიქნები!

ვერონიკი. კარგი დაგემაართოსთ! მეტი აღარ უნდა! ეგება ისიც გინდოდეს, რომ ეგ ვილაც მაწანწალა, უგვარტომოს შვილი შენს ძმას ცოლად შეერთო!

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ა

აქრთნცი, ლუანდრი, არგანჯი, გიაცინცი, ზერბინეცი, ნერინი, სილიმინცტო

ლუანდრი. მამაჩემო! ნუ გამიწყურებით იმისთვის, რომ მე ვილაც უთვისტომო და ღარიბი ქალი მიყვარს. ვისგანც ეს გამოვიყიდე, იმათ მითხრეს, რომ ეს ქალი აქაური არისო და დიდი გვარის შვილს ეკუთვნისო! ოთხის წლის ყოფილა, რომ მოუპარავსთ. აი სამაჯე, რომელიც დაგიმტკიცებსთ ჩემს სიმართლეს და ეგება თავის დროზე ამის ნათესაებრივ მიგვაგნებოს.

არგანჯი. ძლიერო ღმერთო! ეს სამაჯე ჩემი ქალიშვილის არის, რომელიც სწორედ ოთხი წლის დაგვარგე!

ვერონიკი. თქვენი ქალის?

არგანჯი. დიხ, ყველა ნიშნებით ეს არის ჩემი ქალი, ვიცანი!

გიაცინტი. ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, გასაკვირალი ამბავი.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ა მ ე ტ ა.

არგანჯი, აქრთნცი, ლუანდრი, დეცაჯი, გიაცინცი, ზერბინეცი, ნერინი, კარლი, სილიმინცტო

კარლი. ბატონებო, საარაკო შემთხვევაა! საარაკო!

ვერონიკი. რა ამბავია, რა მოხდა?

კარლი. საბრალო სკაპენი!

ჟერონტი. მე ის ავაზაკი უნდა ჩამოვალრჩო, თოკზე ჩამო-
ვჭკიდო.

კარლი. ველარ, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ. თქვენგან ჩამო-
ხრჩობა იმ უბედურის დღის შვილს აღარ ეკირვება; ერთის სახლის
გვერდით, რომელსაც აშენებდნენ, გაიარა ამ ცოდვის შვილმა. უც-
რად გადმოვარდა ურო, დაეცა, თავის ქალა გაუხეთქა, ითხოვს ნე-
ბართვას აქ მოიყვანონ, რომ სიკვდილის წინ ცოტა რამ მოგახსენოს...

არგანტი. სად არის?

კარლი. აი, ბატონო, აგერ მოაქვს!

ს უ რ ა თ ი მ ი თ ო თ ხ მ ი ტ ა .

სკაპენი შემოაქვთ ზეჟანტოვსა.

სკაპენი. (თავშებვეული) ვაი ვაი! ბატონო, მხედავთ! აჰ! აჰ! რა
უბედურ მდგომარეობაში ვარ! რა ყოფაში ჩავარდი? ვაი ვაი!
არ მინდოდა მოემკვდარიყავი ისე, რომ შენდობა არ მომეთხოვა
თქვენთვის. თუ რამე გაწყენინეთ ნებით ან უნებურად როდისმე...
ვაი! ვაი! ბატონებო, ამ სიკვდილის წინ მაპატივეთ ღვთის გულ-
სათვის, შემინდევით. საფლავში ნუ ჩამატანთ. ვაი! ვაი! განსაკუთ-
რებით თქვენ გვევდრებით, ბატონო არგანტო და ბატონო ჟერონ-
ტი. ვაიმე, ვაი ღედავ, ვაი!...

არგანტი. ღმერთმა შეგინდოს, მშვილობითა და განსვენებით გა-
ნუტევე სული!

სკაპენი. ბატონო, მე მგონია თქვენ ყველაზე უფრო მეტი შეგ-
ცოდეთ ჯოხით!

ჟერონტი. კარგია! ნულა იგონებ, მეც შემინდვია.

სკაპენი. არა, ოხ, რა თავხედობა იყო თქვენი ჯოხით გალახვა.

ჟერონტი. კარგი! კარგი! კარგი!...

სკაპენი. სინიღისი არ მაძლევს ნებას, რომ განსვენებით დავლიო
სული. სულ ის ჯოხები მეჩვენებიან.

ჟერონტი. თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი!

სკაპენი. ოხ, ის შეჩვენებული ჯოხები, რომლითაც მე თქვენ...

ჟერონტი. კარგი! მიპატივებია და არ გესმის!

სკაპენი. ოხ, რა გულ-კეთილი და ღვთისნიერი ბრძანდებით. ჩე-
მო ბატონო! სხვა რომ ყოფილიყო, თავის ღღეშიაც არ მაპატივებ-
და იმ ჯოხებს.

ჟერონტი. კარგი! კარგი, მიპატივებია და რალა გინდა მეტი? ვა-
თავდეს საქმე.

სკაპენი. ოხ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო! ღმერთმა გიდაგიხადოსთ. დიდ მადლს შერებით მაგით; მე ვგრძნობ, რომ ვრჩები. მგონია აღარ მოვკვდე.

ჟერონტი. არა, შენ ავაზაკო, მხოლოდ იმ პირობით მიპატიებია, რომ ჩაძალდე.

სკაპენი. როგორი ბატონო?

ჟერონტი. არ გეპატიება, თუ გადარჩი.

სკაპენი. ოხ, ღმერთო ჩემო! ოხ... ვაი! ვაი! ისევე ვკვდები, მიშველეთ, თავო, თავო!

არჯანტი. ჩვენი სიხარულის გულისათვის, ბარემც სულ აპატივე, ჟერონტი, და ის იქნება.

ჟერონტი. კარგი, აგრე იყოს!

არჯანტი. ჩვენ ერთად წავიდეთ, ყველანი მხიარულად დავსხდეთ ვახშმად და ლხინი გავწიოთ!

სკაპენი. (მეკურტნებს) თქვენ რაღას გაჩერებულხართ? წამიღეთ, მეც უნდა სუფრაზე მოვკვდე!

ექვით ავარგყოფი

LE MALADE IMAGINAIRE

სამ-მოქმედებიანი კომედია—ბალეტი

თარგმანი

ივანე შაჩაბლისა

მომგველნი პირნი:

არგანი, ეკვით ავადმყოფი.

ბელინი, არგანის მეორე ცოლი.

ანჯელიკა, არგანის ქალი და კლევანტის საყვარელი.

ლუიზინი, არგანის უმცროსი ქალი და ანჯელიკის და.

ბერალდი, არგანის ძმა.

კლევანტი, ანჯელიკის საყვარელი.

დიაფუარიუსი, ექიმი.

თამა დიაფუარიუსი, იმის შვილი და ანჯელიკის საქმრო-

პიურგონი, არგანის ექიმი.

ფლერანი, აფთიაქარი.

დებონფუა, ნოტარიუსი.

ტუანეტი, გოგო.

მოქმედება ხდება პარიზში.

მოქმედება პირველი

ს შ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

არგანი. (ზის მაგიდასთან და თავის აფთიაქარის ანგარიშსა წინაშე) სამი და ორი, ხუთი; ხუთიც ათი; ათიც ოცი; სამი და ორი, ხუთი. „კიდევ ოც-და-ოთხს ამ თვეს პატარა ოყნა ნელა გასაკეთებელი, მომამზადებელი და გამარბილებელი, რათა გაარბილოს, დაასველოს და გააგრილოს გულ-გვამი ბატონის არგანისა.“ ეს მომწონს ამ ჩემის აფთიაქარისა, რომ იმის ანგარიში ყოველთვის ზრდილობიანად არის დაწერილი. „გულ-გვამი ბატონის არგანისა—მანათ ნახევარი“. ახლა, ბატონო ფლერან, მარტო ზრდილობა არა კმარა, უნდა წესიერად მოიქცე და ავთამყოფებს ტყავი არ გააძრო. ერთი ოყნა—მანეთ ნახევარი! ბატონს ჩემს გაუმარჯოს! სხვაგან ყოველთვის მანეთად მიანგარიშებდი და მანეთი აფთიაქარის ენით ათი შაური. აი შენი ათი შაური. „კიდევ, იმავე დღესვე, ერთი კარგი გამწმენდი ოყნა, შედგენილი ყოვლად ძლიერი სამკურნალოსა, რევანდისა, უცეცხლო თაფლისა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბრძანებია, რათა გაჰგავოს, განბანოს და გასწმინდოს უკან ტანი ბატონის არგანისა—მანეთ ნახევარი.“ თუ თქვენი საწყენი არ იქნება, ათი შაური ჩავაგდოთ. „კიდევ, იმავე დღესვე, სალამოზე, ლეიძლის გასაგრილებელი სასმელი, მომასვენებელი და დამაძინებელი, რათა მოასვენოს და დააძინოს ბატონი არგანი—მანეთი და თხუთმეტი შაური.“ აი, ამ წამლისა მადლიერი ვარ, ძალიან კარგად დამაძინა. ესეც ნახევრად ვიანგარიშოთ—ჩვიდმეტე შაურ ნახევარი. „კიდევ, ოც-და-ოთხს ამ თვეს, ერთი კარგი მუცელში გამხსნელი სასაქმებელი, შედგენილი კასიისა, ხიარშამბარისა და სხვათაგან, როგორც ბატონა პიურგონისაგან არის ნაბრძანები, რათა გარედ გაიყვანოს ბატონი არგანი და მოაშოროს უვარგისი ნივთიულებანი გვამსა მისსა—ოთხი მანეთი.“ ხუმრობ, ბატონო ფლერან, თუ რა არის? როდი უნდა შემოიმწყურალო ავთამყოფები. პიურგონმა როდი გითხრა, ოთხი მანეთი ჩასწერო. დასწერე სამი მანეთი და ჩვენ მანეთ ნახევარს ჩავაგდებთ. „კიდევ იმავე დღესვე, წკლარტის გემოს სასმელი, ტკივილების დამაყუჩებელი, რათა მოასვენოს ბატონი არგანი—მანეთ ნახევარი.“ თხუთმეტი შაური,

„კიდევ, ოცდა ექვსს, ერთი შემავიწროებელი ოცნა, რათა განაგდოს ქარები ბატონის არგანის უკან ტანიდან—მანეთ ნახევარი.“ ათი შაური, ბატონო ფლერან, ათი შაური! „კიდევ ზემოხსენებული ოცნა, განმეორებული საღამოს ეამს—მანეთ ნახევარი“. ესეც ათი შაური. „კიდევ ოც-და-შვიდს, ერთი კარგი წამალი, რათა ხშირად გაიყვანოს გარეთ ბატონი არგანი საჭიროებისათვის—სამი მანეთი“. ესეც მანეთ ნახევარი. მადლობა ღმერთს, ძლივს პატარა ადამიანურად ანგარიშობს. „კიდევ, ოც-და-რეას, ერთი სტაქანი გაწმენდილი და დაშაქრული რძე, რათა დაატკბილოს, გაანოყიეროს, დაამშვიდოს და გააბრძლოს სისხლი ბატონის არგანისა—ერთი მანეთი.“ ესეც ათი შაური. „კიდევ, ერთი მინა სასმელი სისალისა და ჯანმრთელობის მიმცემი, შედგენილი თორმეტის გრანის ფაზარისა, ლიმონისა და ბროწეულის წვენიანა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბრძანებია—ხუთი მანეთი.“ ახლა, ბატონო, ფლერან, პატარა სინილისიცი იქონიე. ასე რომ იანგარიშო, ვინ იქნება გიჟი, ავად გახდეს. ოთხი მანეთი დასწერე და ორი ვიანგარიშოთ. სამი და ორი ხუთი; ხუთიც ათი; ათიც ოცი. ექვსი თუმანი, სამი მანეთი, ერთი აბაზი და ნახევარი შაური. ამ თვეში მე დამიღვევია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი და რვა მინა წამალი; მე გამიკეთებია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი და თორმეტი ოცნა. იმ თვეში იყო თორმეტი მინა წამალი და ოცი ოცნა. რა გასაკვირველია, რომ ამ თვეში უფრო ავად ვარ, ვიდრე იმ თვეში. მე ვეტყვი პიურგონს, რომ ამაში წესიერება დაადგინოს. შემომაცალეთ ეს რალაებიც მახვევია გარსა. (რომ ვერაეის დაინახავს, დაიყვირებს) რამდენიც უნდა ვიყვირო, არაეინ არ მომხედავს; სულ მარტო ვგდივარ: აქ რომ ვერავინ დაეაყენე! (დაუწყებს რეკას პატარა ხარს) დაყრუვდნენ, თუ ჩემი ხარი კარგად ვერ რეკავს! (რეკავს) არაეინა სჩანს. (რეკავს) სწორეთ დაყრუებულან, ტუანეტა! (რეკავს) გინდა დამირეკნია, გინდა ნუ, ტუანეტა, შე საძაგელო, შე უნამუსო! (რეკავს კიდევ) სწორედ გამაცოლიანებენ! (რეკავს თავს დაანებება და ყვირილს დაიწყებს) ძინ, ძინ, ძინ! შე ნამუსზე ხელ აღებულო! გაგონილა, ავადმყოფის ესე მარტო დაგდებია ძინ, ძინ, ძინ! ასეთი თავს გასვლა იქნება! ძინ, ძინ, ძინ! ღმერთო შემიწყალე! აქ მე მარტოს სული ამომივია! ძინ, ძინ, ძინ!

ტუანეთი. (შემოდის) მოედევარ.

არგანი. აი შე ლორო, შე უნამუსო!

ტუანეთი. (თავზე ხელს იდებს, თითქო კედელზე მიერთვას) ლმერთმა დასწყევლოს თქვენი ხასიათი. ისე აჩქარებთ აღამიანს, რომ კინალამ კარებს ტვინი ზედ შევასხი.

არგანი. (გაჯავრებული) შე მუხანათო...

ტუანეთი. ვაიმე!

არგანი. მთელი ერთი...

ტუანეთი. ვაიმე!

არგანი. საათია.

ტუანეთი. ვაიმე!

არგანი. რაც მარტოკა ვგდივარ.

ტუანეთი. ვაიმე!

არგანი. ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხვო, თორემ არ ვიცი. რას გიზამ!

ტუანეთი. მერე, ამ ამბის შემდეგ, მე კი ვალში დაგრჩებით?

არგანი. ყვირილით ხმა წამივიდა.

ტუანეთი. მე რომ კინალამ თავი გავიტეხე, ეგ არაფერი? მოდით, თუ გინდათ ქვითნი ვიყოთ. მგონი ხმის წასვლა სჯობდეს თავის გატეხას.

არგანი. რაო, რას მიედ-მოედები?

ტუანეთი. თუ გამაჯავრებთ, ვიტირებ აი.

არგანი. შე ორგულო, მარტო გამიშვი... დამტოვე...

ტუანეთი. (შეაწყვეტინებს) ვაიმე!

არგანი. შე ძაღლო შენა, შენ გინდა...

ტუანეთი. ვაიმე!

არგანი. განა, შე უნამუსო, გაჯავრებასაც არ დამაცლი?

ტუანეთი. იჯავრეთ, რამდენიც გინდათ, მე რას გიშლით.

არგანი. შენ იმას მიშლი, რომ ყოველს სიტყვაზე მაჩერებ.

ტუანეთი. თუ თქვენ გინდათ იჯავროთ, მე მინდა ვიტურო. ყველა თავის ქეიფზე მოიქცეს. ვაიმე ღედავ!

არგანი. (წამოადება) ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ჰქენი! გამაცალე ეს რალაც არი. ჩემმა ოყნამ ღლეს გასკრა?

ტუანეთი. თქვენმა ოყნამ?

არგანი. ჰო, კარში კარვალ გავედი?

ტუანეტი. ეგ რა ჩემი საქმეა; თქვენს აფთიაქარს უნდა ჰკითხოთ; ის გეტყვით პასუხს. ფულს ის იღებს და სულიც იმან უნდა აიღოს. არგანი. ჩქარა წყალი გამოთბე; საცაა მეორე ოყნა უნდა გავიკეთო.

ტუანეტი. ძალიან კარგი საწველი თხა ჩაიგდეს ხელში თქვენმა აფთიაქარმა ფლერანმა და თქვენმა ექიმმა პიურგონმა; უხაროდეთ; ნეტავი ერთი მითხრან, რა გკირთ, რომ მაგდენი წამლებით დაგალპეს.

არგანი. გაჩუმდი, უმეცარო; შენც უნდა ექიმების ბრძანება სასაცილოდ აიგდო! წადი ჩემს ქალს ანჯელიკას დამიძახე, მინდა ვუთხრა რამე.

ტუანეტი. აგერ თითონვე მოდის! ალბათ თქვენს აზრს მიხვედრილა.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ი

არგანი, ტუანეტი, ანჯელიკა

არგანი. აქ მოდი, ანჯელიკა; კაი დროს გაჩნდი, შე შენთან სალაპარაკო მაქვს.

ანჯელიკა. მიბძანეთ, ბატონო.

არგანი. პატარა მომიცადე. (ტუანეტს). ერთი ჯოხი მომეცი, ახლავ დაებრუნდები.

ტუანეტი. მიბრძანდით, ბატონო მიბრძანდით. კაი საქმე კი გავვიჩინა, პატონმა ფლერანმა.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ი

ანჯელიკა და ტუანეტი

ანჯელიკა. ტუანეტა!

ტუანეტი. რაო?

ანჯელიკა. აბა შემომხედე.

ტუანეტი. მერე რაო, რომ შემოგხედო.

ანჯელიკა. ტუანეტა.

ტუანეტი. ტუანეტა და ტუანეტა; სთქვი, რისაც თქმა გინდა.

ანჯელიკა. ვერ მიხვდი, რის თქმაც მინდა?

ტუანეტი. უეკველია, შენ ახალგაზრდა საყვარელზე გინდა ილაპარაკო; მთელი ექვსი დღეა, რაც ის შენ ენაზე გადგას და გული ვერ მოგიტმენს, რომ ყოველს წუთს არ ახსენო.

ანჯელიკო. თუ ეგვეც იცი, რატომ შენვე პირველი არ ჩამომიგდებ ლაპარაკსა? რათა მტანჯავ? რათ ელი, რომ მე პირველი გამოგლაპარაკო იმაზე.

ტუანეტი. მაცლი მერე! შენ თითონ პირველი კისრულობ იმაზე სიტყვის ჩამოგდებას; დასწრობა ძნელია,

ანჯელიკო. უნდა გაგიტყდე, იმაზე ლაპარაკით არ დავიღალე და როცა კი დროს ვპოულობ, მე მეჭირვება ჩემი გრძნობა გაგიწილო, მაგრამ, ერთი მითხარ, ტუანეტა, განა გამკიცხავ ამ სიყვარულისთვის?

ტუანეტი. სრულებითაც არა.

ანჯელიკო. განა დამნაშავე ვარ, რომ ამ ტრფობის ტკბილს ძალას ვემორჩილები?

ტუანეტი. ვინ გეუბნება?

ანჯელიკო. დაიჯერო, გულ-გაქვავებული უნდა დავუხვდე იმის ნაზს ხეწნას, იმის მხურვალე სიყვარულს.

ტუანეტი. ღმერთმა ნუ ჰქნას.

ანჯელიკო. ერთი ეს მითხარ, ნუთუ შენც განგებისაგან მოვლენილი არა გგონია ის შემთხვევა, რომელმაც ჩვენ ერთმანეთთან შეგვყარა?

ტუანეტი. უეკველია.

ანჯელიკო. ახლა ისა სთქვი, როგორ პატიოსნურად მოიქცა, ჯერ არ მიცნობდა და ჩემთვის ასეთნაირად თავი გამოიღო.

ტუანეტი. ოღონდაც.

ანჯელიკო. სხვა ვინ იზამდა ამას?

ტუანეტი. მართალს ამბობ.

ანჯელიკო. წარბი არც კი შეუქმუხვნა, საქმეს ისე გულიანად მოეკიდა.

ტუანეტი. ნამდვილია.

ანჯელიკო. მშვენიერი თვალ-ტანადია არა, ტუანეტა?

ტუანეტი. მშვენიერია.

ანჯელიკო. სახეზე წუნი არა აქვს.

ტუანეტი. არასფერი.

ანჯელიკო. საქმეშიაც, სიტყვაშიაც დიდ-კაცობა ეტყობა.

ტუანეტი. სწორედ.

ანჯელიკი. გაგიგონია სადმე ისეთი მხურვალე სიტყვები, რომელსაც ის მეუბნება.

ტუანეტი. არ გამიგონია.

ანჯელიკი. ამაზედ მეტი უბედურება იქნება, რომ დაკეტილში ვზივართ და ღონისძიებას არ გვაძლევენ, მე და იმან გულის გრძნობა ერთმანეთს გავუზიაროთ.

ტუანეტი. სწორედ ბრძანებთ.

ანჯელიკი. ახლა, ტუანეტა, როგორა გგონია, გულშიაც ის უღევს, რასაც სიტყვით მეუბნება.

ტუანეტი. მაგისი კი რა მოგახსენო. ეგეთი საქმე ხშირად საეჭვოა. ცრუ სიყვარული ნამდვილს სიყვარულს ძალიან ჩამოჰგავს და მე დიდი თვალთმაქცები მინახავს, მაგ საქმეში.

ანჯელიკი. რას ამბობ, ტუანეტა? განა ის პირიდან სიცრუეს ამოუშვებს, რაში ეტყობა, ერთი მითხარი.

ტუანეტი. მაგას მალე გაიგებ. გუშინ ხომ მოგწერა, შენს თავს ცოლადა ვთხოვო: ვნახოთ. შეასრულებს თუ არა; ეს იქნება კარგი საბუთი.

ანჯელიკი. ოჰ, ტუანეტა, თუ მე მაგან მომამატყუვა, აღარავის არას დავეუჯერებ.

ტუანეტი. აგერ მამა-თქვენი მოდის.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

აზგანი, ანჯელიკი, ცუანეტი.

არგანი. იმას ვამბობდი; მე მინდა, შეილო, შენ ერთი ამბავი შეგატყობინო, რომელიც შენთვის მოულოდნელია. მე შენს თავსა მთხოვენ. რა მოგდის, რას იცინი? გიამა განა გათხოვება? ყმაწვილი ქალებისთვის სწორედ უკვდავების წყაროა ეს კითხვა. ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი. როგორც ვატყობ, ქალ-ბატონო, იმის კითხვა საჭირო აღარ არის. ინებებთ გათხოვებას თუ არა?

ანჯელიკი. რასაც მიბძანებთ, ბატონო, მე ის უნდა შევეასრულო.

არგანი. მე მსიამოვნებს, რომ ეგეთი მორჩილი ქალი მყავხარ. მაშ საქმე გათავებულა. საქმრო მე კიდევ აჩენილი მყავს.

ანჯელიკი. მე ბრმათ უნდა მივდიო ყოველს თქვენს ბრძანებას.

არგანი. ჩემი ცოლი, შენი დედინაცვალი მოითხოვს, მოლოზნად მივცეთო და შენი პატარა და ლუიზონაც ამას იძახდა.

ტუანეტი. არ ეწყინებოდა, ეგრე რომ მომხდარიყო.

არგანი. იმას არ უნდოდა დათანხმებულყო ამ ქორწინებაზე,

მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი და სიტყვაც მივეცი ერთს კაცს.

ანჯელიკი. ოპ. მამა თქვენის გულ-კეთილობით, როგორი დავა-
ლებული ვარ.

ტუანეტო. მეც მაღლიერი ვარ თქვენი მაგ საქმისათვის; მაგისთანა
ნა ქკვიანური თქვენს დღეში არა ჩაგიდენიათ რა.

არგანი. თითონ საქმრო მე ჯერ არ მინახავს, მაგრამ შეუბნებთან
კარგი რამ არისო; მამასაცა და შეილსაც მოგეწონებათო.

ანჯელიკი. უეჭველად მოგეწონებათ, მამა.

არგანი. შენ გინახაჲს მერე?

ანჯელიკი. რადგან თქვენც თანახმა ხართ, მე ვალდებული ვარ
ჩემი საიდუმლო შეგატყობინოთ. მე გაგიტყდებით და გეტყვით, რომ
ჩვენ იმ დღეს შემთხვევით ერთმანეთს შევხვდით და ერთმანეთი შე-
გვიყვარდა. ამის გამო იმას გაუბედნია ჩემი ცოლად თხოვნა.

არგანი. იმათ მაგაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ; მაგრამ ეგ უკე-
თესი; საქმე საქმეზე მოდის. როგორც იმათ მითხრეს, ზორბა ყმა-
წვილი-კაცი უნდა იყოს.

ანჯელიკი. დიახ, ბატონო.

არგანი. ლაზათიანის ტანისა.

ანჯელიკი. სწორედ

არგანი. სასიამოვნო სანახავი.

ანჯელიკი. ძალიან სასიამოვნო.

არგანი. კაი თვალ-ტანადი.

ანჯელიკი. მშენიერი.

არგანი. ქკვიანი და კარგის გვარისა.

ანჯელიკი. ნამდვილია.

არგანი. ძალიან პატიოსანი.

ანჯელიკი. ვილა იქნება იმაზე პატიოსანი.

არგანი. ლათინურსა და ბერძნულს თურმე კარგად ლაპარაკობს.

ანჯელიკი. მაგისი კი რა მოგახსენოთ!

არგანი. ამ სამს დღეში ექიმობას მისცემენ.

ანჯელიკი. იმას მისცემენ ექიმობასა?

არგანი. ჰო, იმას განა მაგაზე კი არა ვითხრა რა?

ანჯელიკი. არა უთქვამს რა; თქვენ ვილამ მოგახსენათ?

არგანი. პიურგონმა.

ანჯელიკი. განა პიურგონი იმას იცნობს?

არგანი. მაშ ვილას უნდა იცნობდეს, თუ თავის დისწულსაც არ
იცნობს.

ანჯელიკი. როგორ თუ დისწულს? განა კლენტი პიურგონის დისწულია?

არგანი. რომელ კლენტზე ლაპარაკობ? მე იმაზედ გელაპარაკებ-ბი, რომელმაც შენი თავი მთხოვა.

ანჯელიკი. მეც იმაზე არ გელაპარაკებით.

არგანი. ჰო და ის არის პიურგონის დისწული; იმის სიძის, ექი-მის დიაფუარიუსის შვილი; იმას ჰქვიან სახელად თომა დიაფუარიუსი და არა კლენტი. დღეს დილით მე, პიურგონმა და ფლერანმა გა-დავწყვიტეთ ეგ საქმე. ხვალ ჩემს სასიძოს თავის მამა აქ მოიყვანს. რა ამბავია, რამ გაგაოცა?

ანჯელიკი. მე ასე მეგონა, მამა, თქვენ სხვაზე ლაპარაკობდით. ტუანეტი. როგორ არა გრცხვენნიანთ, ბატონო? თქვენის შეძლე-ბის პატრონი ქალს ექიმს უნდა აძლევდეს!

არგანი. შენ ვინა გკითხავს ბალი ათი შაურათ არისო, შე ურცხვო, მე უნამუსო?

ტუანეტი. რას იგინებთ? გაუცხარებლად საქმეზე ლაპარაკი არ იქნება განა! დავწყნარდეთ და ისე გავშინჯოთ საქმე.. ახლა რატომ გინდათ თქვენი ქალი ექიმს მიათხოვოთ?

არგანი. იმათა რომ მე ავადმყოფი და უძლური კაცი ვარ და მინდა ექიმებს დავემოყვრო. მე მინდა, იმათ შემწეობა გამიწიონ და ჩემს სახლშივე იყოს იმისთანა კაცი, რომელსაც ჩემი მორჩენა შეეძ-ლოს; მე მინდა, რომ ექიმების რჩევა და რეცეპტები არ მაკლდეს.

ტუანეტი. აი ეგ კაი საბუთია. სასიამოვნოა ეგრე მშვიდობიანი ბაასი ერთმანეთთან, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, მართლა, ხუმრობა გაშვებით, თქვენი თავი ავადმყოფი გგონიათ?

არგანი. როგორ თუ ავადმყოფი არა მგონია, შე არაწმიდავ, შე უნამუსო!

ტუანეტი. კარგი, ბატონო, კარგი, ნუ ჯავრობთ. ავადმყოფი ხართ, ავადმყოფი, მაგაზე რა გვაჩხუბებს. დიახ, ძლიერ, ავადა ხართ; ბატონი ბრძანდებით, უკანასკნელ დღეში ხართ; მაგრამ თქვე-ნმა ქალმა თავისთვის უნდა შეირთოს ქმარი, თუ თქვენთვის? ის რომ ავად არ არის, რაში ეკირვება ექიმი!

არგანი. იმას რომ არ ეკირვება, მე მეკირვება, და მორჩილმა შეილ-მა ის უნდა შეირთოს, ვინც იმის მამის ჯან-მრთელობისათვის სა-ქიროა.

ტუანეტი. შეიძლება, ბატონო, ერთი რჩევა გავიბედლოთ?

არგანი. რა რჩევა?

ტუანეტი. ეგ გათხოვება გულიდამ ამოირეცხეთ.

არგანი. მითომ რათაო?

ტუანეტი. მათაო, რომ თქვენი ქალი არ დათანხმდება.

არგანი. ჩემი ქალი არ დათანხმდება?!

ტუანეტი. არა.

არგანი. ჩემი ქალი?

ტუანეტი. ჰო, თქვენი ქალი. იმას არაფრად ეპრიანება არც ის თქვენი ექიმი დიაფუარიუსი, არც იმისი შვილი თომა დიაფუარიუსი, არც სხვა დიაფუარიუსები.

არგანი. მე მეპრიანება, თუ მაგას არ ეპრიანება. საქმროც დასაწყუნი არ არის, ექიმს დიაფუარიუსს მაგის მეტი შვილი არა ჰყავს; პიურგონსაც არც ცოლი ჰყავს, არც შვილი და მთელს თავის ქონებას ამ ქორწილის შემდეგ იმას დაუმტკიცებს. ეს ხუმრობა ნუ გგონიათ: მარტო პიურგონს სამასი თუმანი აქვს წელიწადში შემოსავალი.

ტუანეტი. მაშ ეტყობა ბევრი ხალხი დაუხოცავს, რომ ეგრე გამდიდრებულა.

არგანი. სამასი თუმანი შემოსავალი წელიწადში, მამის ქონების გარდა, ხუმრობა არ არის.

ტუანეტი. ეგ ყველა კარგი, მაგრამ მე მაინც ჩემად გირჩევთ, რომ სხვა ქმარი ამოურჩიოთ; მაგას არ შეეფერება დიაფუარიუსი.

არგანი. მე ჩემს იტყუებს არ გადავალ.

ტუანეტი. მაგას ნუ იტყვით, ბატონო.

არგანი. როგორ თუ ნუ ვიტყვი!

ტუანეტი. ისე ნუ იტყვით.

არგანი. ვითომ რა დამიშლის?

ტუანეტი. ასე იფიქრებენ, რას ამბობს და რას არა, არ ესმისო.

არგანი. ვის რაც უნდა, ისა სთქვას. მე კი ეს მინდა, რომ მაგან ჩემგან მიცემული სიტყვა შეასრულოს.

ტუანეტი. არ შეასრულებს.

არგანი. ძალათი შევასრულებინებ.

ტუანეტი. გუბნებით ვერ შეასრულებინებთ.

არგანი. აბა ნუ შეასრულებს და მაშინვე მონასტერში ვუქრავ თავსა.

ტუანეტი. თქვენა?

არგანი. სწორედ მე.

ტუანეტი. ვნახოთ.

არგანი. რა ნახოთ?

ტუანეტი. თქვენ მაგას მონასტერში თავს ვერ უქრავთ.

არგანი. მე ვერ ვუქრავ თავს მონასტერში!

ტუანეტი. ვერა.

არგანი. ვერა?

ტუანეტი. ვერა.

არგანი. ბატონს ჩემს გაუმარჯოს! მე ვერ მივცემ ჩემ ქალს მონასტერში, თუ მინდა!

ტუანეტი. ვერა მეთქი, გეუბნებით!

არგანი. მერე ვინ დამიწლის?

ტუანეტი. თქვენ თითონ.

არგანი. მე?

ტუანეტი. დიახ, თქვენ. თქვენი გული მაგას ვერ იზამს.

არგანი. ვიზამ მეთქი მაგას.

ტუანეტი. ხუმრობთ.

არგანი. მე სულაც არ მეხუმრება.

ტუანეტი. მამობრივი სიყვარული დაგძლევთ.

არგანი. მე ვერაფერი ვერ დამძლევს.

ტუანეტი. კმარა, ორი ცრემლი ჩამოვარდეს, ხელები კისერზე მოგხვიოთ, თავისებურად ნაზად, ჩემო მამილო, გითხრათ და მაშინვე გული მოგირბილდებათ..

არგანი. ტყუილი იმედებია.

ტუანეტი. ძრიელ მართალია.

არგანი. მე შენ გეუბნები, ჩემს სიტყვას არ გადავალ მეთქი.

ტუანეტი. ეგ სულ მასხარაობაა.

არგანი. რას მიეღ-მოეღები, რაა მასხარაობა!

ტუანეტი. ბატონო, მე თქვენ გიცნობთ, მე ვიცი თქვენნი კეთილი გული.

არგანი. მე კეთილი კი არა ვარ, ავი ვარ, თუ მოვინდომებ.

ტუანეტი. ახლა ნუ ცხარობთ, ნუ გავიწყლებათ, რომ ავადა ხართ.

არგანი. მე მაგას ეუბძანებ, რომ ჩემგან ამორჩეულზედ ჯვარის დასაწერად მოემზადოს.

ტუანეტი. მე მაგას ეუბრძანებ, რომ ეგ ფიქრადაც არ გაიტაროს.

არგანი. ხედავთ ამ თავხედობას! ვის გაუგონია, რომ ვილაც გომბიო თავის ბატონს ასე უკადნიერდებოდეს!

ტუანეტი. როცა ბატონი ლობე-ყორეს ეღებ, ერთგულმა მოახლემ უნდა კარგს გზას დააყენოს.

არგანი. (წაზოხტება და ტუანეტას გამოუდგება) გამიშვით, მოვკლა, სული ამოვართვა.

ტუანეტი. (გაიქცევა და სკამს დასდგამს თავისსა და არგანს შუა) ჩემი ვალია, დაგიშალოთ იმისთანა საქმე, რომელიც თქვენ არ შეგეფერებათ.

არგანი. (გლობით დასაღვეს ტუანეტს. ორივენი ამ ლაპარაკის დროს უკან გარწმუნო უქლოან) აქ მოდი, აქ მოდი, რომ ლაპარაკი გასწავლო.

ტუანეტი. მე თქვენ სულელური საქმე არ უნდა ჩავადენინოთ.

არგანი. აი, შე ძაღლო.

ტუანეტი. მე ნაჭ ქორწინებაზე თავის დღემი ვერ დამათანებდა.

არგანი. შე ჩამოსახარობო!

ტუანეტი. ნე აო მინდა, რომ თქვენმა ქალმა თქვენი თომა დღ-ფუარიღსი შეირთოს.

არგანი. ურცხვო, უნაბუსო!

ტუანეტი. ის ჩენს სიტყვას უფრო დაიჯერებს, ვიდრე თქვენსას.

არგანი. (გაჩვირდება) ანჯგელიკ, რატომ არ მიშველი და არ დამაპკერინებ ამ არაწმინდას.

ანჯგელაიკი. მამაჩემო, გულს ნუ იშფოთებთ, თორემ უფრო ავად ვახდებით.

არგანი. (ანჯგელიკს) თუ არ დამიპერ, დაგწყველი, შეგაჩენებ.

ტუანეტი. (გაიპყვება) მე კი, თუ ეგ თქვენს სიტყვას გაიგონებს, მემკვიდრეობას წავართმევ.

არგანი. (თავის სკამზე დაეყვება) ამასედ მეტი აღარ შემიძლიან: ლამის სული ამომივიდეს.

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ ვ ს ე

ატვანა და პულანა

არგანი. ჰო, ჩემო საყვარელო, აქ მოდი ერთი.

ბელინი. ბომ არა გტკივა რა, ჩემო სიცოცხლე?

არგანი. მოდი, მომხედე.

ბელინი. რა გტკივა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი?

არგანი. ოჰ, ჩემო ერთგულო.

ბელინი. რა იყო, ჩემო სიცოცხლე?

არგანი. გამაჯავრეს, გული მომაყვანინეს.

ბელინი. როგორ, რაზედა, ჩემო სულისდგამე?

არგანი. იმ ურცხვმა ტუანეტამ ნაწუსზედ სულ ხელი აიღო.

ბელინი. ნუ ჯავრობ, გეთაყვა, დამშვიდდი.

არგანი. ყელში სისხლი მომგვარა.

ბელინი. ნუ იბრუნებ გულსა, ჩემო პატარავ.

არგანი. მთელი ერთი საათი რასაც ვამზობდი, - ყველაფერი უარს მეუბნებოდა.

ბელინი. დაწყნარდი. შენი კირიმი, დაწყნარდი.

არგანი. ენა ისე დაიგრძელა, რომ მიბედავს და მეუბნება, ავად არა ხარო.

ბელინი. სიბრიყვე მოსვლია.

არგანი. შენც ხომ იცნობ, რაც არის, ჩემი სულის კოლოფო.

ბელინი. ვიცი, შენს თავს შემოგვევლე, ვიცი, რომ დამნაშავეა.

არგანი. მე ეგ სულს ამომართმევს.

ბელინი. სუ, გეთაყვა, სუ.

არგანი იმის ბრალთა, რომ მუცელში ასე ავადა ვარ, სულ ნალველაზე გავდივარ.

ბელინი. გული დაიმშვიდე, ჩემო სიცოცხლე.

არგანი. რა ხანია, გეუბნები, დაითხოვე მეთქი.

ბელინი. ახლანდელს დროში ვის იპოვნე, გენაცვალე, იმისთანა მოსამსახურეს, რომ წუნი არ ედვას. ზოგერთი ცუდი ხასიათი უნდა იმათს კარგს ხასიათს მოუტევეო. მეტი გზა არ არის. ტუანეტი მარდია, გულის შემატკივარი, გამრჯე და ერთგული. ხომ იცი, ახლა დიდი სიფრთხილე გვმართებს მოსამსახურის დაქერაში. ტუანეტი!

ს უ რ ა თ ი მ ე შ მ ი დ ე

არგანი, ბელინი, ტუანეტი

ტუანეტი. რას მიბრძანებთ, ქალბატონო?

ბელინი. რად გააჯაერე შენი ბატონი?

ტუანეტი. (თავს მოაკატუნებს) მე, ქალბატონო? მაგას რას მიბძანებთ? მე სულ იმასა ვფიქრობ, ჩემი ბატონი რითიმე ვასიამოვნო.

არგანი. შეხედეთ ამ ურცხესა!

ტუანეტი. მაგანა ბრძანა, ჩემი ქალი დიაფუარიუსს უნდა მივათხოვოო. მე მოვახსენე, რომ თუმცა საქმრო კარგი ამოგირჩევიათ, მაგრამ ისა სჯობს, თქვენი ქალი მონასტერში მისცეთ მეთქი.

ბელინი. ურიგოდ არ ამბობს.

არგანი. ოჰ, განა მაგას სიტყვას უჯერებ? მაგ ავმა სულმა რაები არ მაკადრა.

ბელინი. მჯერა, მჯერა, ჩემო სიხარულო, ოღონდ დამშვიდდი. ტუანეტი, ყური მომიგდე: თუ კიდევ შენი ბატონი გაგიშფოთებია, სახლში აღიარ დაგაყენებ. მოიტა, მომეც ამისი ტყავი და ბალიშები, რომ სკამზე კარგად დავსვა. ასე ჯდომა იქნება? ქული ყურებამდის ჩამოიცი; ხომ იცი კაცი ყურებიდან უფრო გაცივდება.

არგანი. ოჰ, ჩემო ერთგულო, როგორ გადაგიხადო, რა შეწუხებასაც მე შენ გაყენებ.

ბელინი. (გარეშემო ბალიშებს შემოუწყობს) პატარა ზეზე წამოიწიე, რომ ეს ქვეშ ამოვიდო; ამაზე დაეყუდები; ეს მეორე გვერდზე დავლოთ; ეს ზურგს უკან ჩადლოთ; ესეც თავ-ქვე დასადებლად იყოს.

ტუანეტი. (ერთს ბალიშს თავზედ ჩამოაფარებს) ესეც იმისთვის, რომ შალლიდან ნამმა არ დაგკრას.

არგანი. (წამოხტება და ტუანეტს ბალიშების სროლას დაუწყებს. ტუანეტი გაიქცევა) გინდა, დამახრჩო, შე უნამუსო!

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ი

არგანი და ბელინი

ბელინი. ეს რა არის, რა ამბავია?

არგანი. (თავის სკამზე დაეცემა) ოჰ, ოჰ, -ოჰ! მეტი აღარ შემძლიან.

ბელინი. რა არის ეგეთი გაცეცხლება. განგებ ხომ არ უქნია.

არგანი. შენ ჯერ მაგას არ იცნობ, რა ეშმაკობა გამოუვა ხელიდან. სული ამომართვა, რვა მინა წამალი და თორმეტი ოყნა მინცდამქირდება, რომ პატარა სული მოვიბრუნო.

ბელინი. დამშვიდდი, ჩემო გერიტო, ნულარა ჯაერობ:

არგანი. შენა ხარ ჩემი ნუგეში, ჩემო მტრედო.

ბელინი. უი შენი გულისა!

არგანი. ჩემო სულიკო, მე მინდა შენის სიყვარულის მაგიერი გარდაგიხადო და ანდერძი დაგიმტკიცო.

ბელინი. ეგ პირიდან როგორ ამოუშვი, შენ გენაცვალოს ჩემო თავი, როგორ გააგონე ეგ ჩემს ყურებს? მარტო ანდერძის ხსენებაშ შიშით კანკალი ამიტება.

არგანი. შენს ნოტარიუსს მაგაზე მოელაპარაკე?

ბელინი. მოველაპარაკე და თანაც მოვიყვანე.

არგანი. მაშ შემოაყვანინე.

ბელინი. ოჰ, ჩემო სიცოცხლე, ვისაც კი ქმარი უყვარს, მაგაებზე როდელია ფიქრობს.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ს რ ა

გუზონაჟა, ბელინი, აზვანი

არგანი. აქეთ მობძანდით, ბატონო დებონფუა; სკამი მოიდგით. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ ძალიან პატიოსანი კაცი ბრძანდებით და ჩემი ცოლის კაი მეგობარიც. მე ამას დავაბარე რომ თქვენთან ანდერძზე მოელაპარაკა.

ბელინი. ოჰ, მე მაგაზე ლაპარაკის ღონე არა მაქვს.

დებონფუა. თქვენმა მეუღლემ მიაშობო თქვენი განზრახვა და სურვილი; მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ანდერძით თქვენს მეუღლეს ვერას გადასცემთ.

არგანი. რატომ ვითომ?

დებონფუა. ეგ ჩვეულების წინააღმდეგია. ამ ქვეყანაში წერილი კანონები რომ იყოს, მაშინ სხვაა, მაგრამ პარიზში და ზოგს იმისთანა ქვეყნებშიაც, სადაც ჩვეულებაა კანონის მაგიერი, ეგ არ შეიძლება და ანდერძი უქმი იქნება. მეუღლეთ თუ ერთმანეთის სიკეთე უნდათ, სიცოცხლითვე უნდა გადასცენ ერთმანეთს ქონება და ესეც მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, თუ ორივენი უშვილონი არიან.

არგანი. შეარცხვინა ღმერთმა მაგისთანა ჩვეულება, რომელიც ქმარს უშლის თავისი ქონება თავის საყვარელს და მოამაგე ცოლს გადასცეს, მე ჩემს ვეჟილს დავეკითხები, როგორ უნდა მოვიქცე მაგ შემთხვევაში.

დებონფუა. ეგ ვეჟილების საქმე არ არის. ისინი ძალიან მკაცრად იქცევიან და ასე ჰგონიათ დიდი ბოროტ-მოქმედებაა კანონის გატურებაო. იმათ ყველაფერი უძნელდებათ და თავიანთ სინდისს ბრმად მისდევენ. თქვენ სხვა პირთ უნდა დაეკითხოთ; იმათ, რომელთანაც საქმის დაქერა უფრო ადვილია, რომელთაც მრავალ-გვარი საშუალება აქვსთ კანონის გადასვლისა და აკრძალულის გამართლებისა; იმათ, რომელთაც შეუძლიანთ სიძნელის დამარცხება და ჩვეულების გადამიჯება. ჟიმათოთ ვინ იცის, რა დაგვემართებოდეს! უნდა კაცმა ყოველისფერი გაადვილოს. თუ არა და ჩვენი ხელობა რა ხელობაა.

არგანი. ჩემმა ცოლმა მართალი მითხრა თქვენზე, მოხერხებულნი და პატიოსანი კაციაო. ახლა, არ შეიძლება, მიბრძანოთ, როგორ მოვახერხო. რომ ჩემი ქონება მაგას გადავცე და ჩემი შვილები ცარიელზე დაეტოვო.

დებონფუა. როგორ მოახერხოთ? თქვენ უნდა ამოირჩიოთ თქვენი ცოლის ერთი კარგი მეგობარი, რომელსაც წესიერად დაუმტკიცებთ ანდერძით, რისაც მიცემა გინდათ; ის მეგობარი მასუქან ყო-

ველისფერს დაუბრუნებს თქვენს ცოლს. შეგიძლიანთ კიდევ თქვენი უფული გაასესხოთ და თამასუქები თქვენს ცოლს მისცეთ. შეგიძლიანთ აგრეთვე, სიცოცხლითვე ჩააბაროთ ნაღდი ფული.

ბელინი. რაზე იწუხებ თავსა, ჩემო სიცოცხლე, თუ ღმერთი გამიწყობდა და შენ აღარ მეყოლები; რილასთვის ვიცოცხლო ქვეყანაზე!

არგანი. ჩემო სიცოცხლე!

ბელინი. შენი დამკარგავი.....

არგანი. ჩემო გვრიტო!

ბელინი. რაღად გამოვიყენებ ამ ფუჰ სიცოცხლეს.

არგანი. ჩემო მტრედო!

ბელინი. მე საფლავნი თან ჩამოგყვები: მე უშენოდ როგორღა გაგძლებ!

არგანი. გულს ნუ მიხეთქავ, შენ გეთაყვანე.

ღებონფუა. ტუთილად იწუხებთ თავს ტირილით; ჯერ სატირალი არა გაქვს რა.

ბელინი. ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით, რა არის საყვარელი ქმარი ქალისთვის.

არგანი. თუ მოგვკვდები, დარდად მხოლოდ ეს ჩამყვება, რომ შენგან შეილი არა მყავს! მაგრამ პიურგონმა კი მითხრა, რომ ერთს მაინც უეჭველად გაყოლებთო.

ღებონფუა. ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა.

არგანი. მაშ, ჩემო გვრიტო, როგორც ეს ბატონი ბრძანებს ისე შევადგინოთ ანდერძი. ახლავე ხელში შევიდასი თუმნის ოქროს მოცუნე. ჩემს მუთაქაში მაქვს ჩადებული და ორს თამასუქს, ერთს დამონაზე და მეორეს ჯერანტზე.

ბელინი. არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მე არაფერი არ მინდა რა... რამდენი ოქროა შენს მუთაქაში?

არგანი. შევიდასის თუმნისა, ჩემო გვრიტო.

ბელინი. რა დროს ფულზე ლაპარაკია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... რამდენისაა ის ორი თამასუქი.

არგანი. ერთი ორასის თუმნისა და მეორე ას-ოც-და-ათისა.

ბელინი. რა არის ჩემთვის მთელი ქვეყნის ქონება, თუ შენ არ მეყოლები.

ღებონფუა. გნებავთ, ანდერძი შევადგინოთ.

არგანი. დიახ; ბატონო; მაგრამ ისა სჯობს ჩემს პატარა ოოახში შევიდეთ; ხელი მომეცი:

ბელინი. წავიდეთ, ჩემო პაწია!

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

ანჯელიკი და ფრანუცი

ტუანეტი. ნოტარიუსიც მოუყვანიათ და ანდერძზე ლაპარაკსაც უფრი მოგვარ. შენს დედინაცვალს ჰკუას ვერაფერინ ასწავლის. რალაც შეთქმულება გაუმართავს შენს წინააღმდეგ და მამაშენიც ჩაუთრევია.

ანჯელიკი. ქონებას რაც უნდა უყონ, ოლონდ ჩემს გულს დაეხსნან. ხომ ხედავ, ტუანეტ, ჩემს სურვილს როგორ ძალას ატანენ. ნუ დამანებებ თავს ამ უკიდურესს მდგომარეობაში.

ტუანეტი. მე შენ უნდა თავი დაგანებო! უი, უწინაც დღე დამელიოს. შენი დედინაცვალი კი ცდილობს თავისკენ მიმიმხროს, მაგრამ მე იმისკენ გული ვერ მიმივა და ვერც შენ გილალატებ. მე მომანდე ევ საქმე; მე ვიცი რა სამსახურსაც გაგიწევ. მაგრამ, თუ გვინდა, რომ საქმე კარგად მოგვიხდეს, უნდა სხვაფრივ მოვიქცე; ჩემგან შენი სიყვარული დაეფარო და ისე ვაჩვენო თავი, ვითომც შენი მამის, დედინაცვლის მხარე მეჭიროს.

ანჯელიკი. ეცადე გეთაყვა, რომ კლეანტს ამ საქმის ამორჩევის ამბავი შეატყობინო.

ტუანეტი. არ ვიცი, ვინ გავგზავნო, ისევ ჩემს ბებრუტანა საყვარელს მეგავსზე პოლიშინელს თუ გავგზავნი. ამისათვის ორიოდე ტუბილი სიტყვა დამჭირდება. ამას თქვენთვის არ დავიშურებ. ამაღამ გვიან იქნება; ხვალ კი სისხამ დილაზე...

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ანჯელიკი, ფრანუცი, ბუღინი, (სცენის უკან)

ბელინი. ტუანეტ!

ტუანეტი. აგერ ის მიძახის. ღამე მშვიდობისა. შენ ფიქრი ნუ გაქვს.

მ ო ჭ მ ე ლ ე ბ ა მ ე ო რ ა ყ

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

კ ლ ე ა ნ ტ ა დ ა ჭ რ ა ნ ე ჯ ი

ტ უ ა ნ ე ტ ი. რ ა გ ნ ე ბ ა ე თ, ყ მ ა წ ვ ი ლ ო ?

კ ლ ე ა ნ ტ ი. რ ა მ ნ ე ბ ა ე ს ?!

ტ უ ა ნ ე ტ ი. ო ჰ, თ ქ ე ე ნ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ხ ა რ თ; ა ქ რ ა მ მ ო გ ი ყ ე ა ნ ა თ ?

კ ლ ე ა ნ ტ ი. მე ი მ ა ნ მ ო მ ი ყ ე ა ნ ა, რ ო მ მ ი ნ დ ა ჩ ე მ ი ბ ე დ ი შ ე ვ ი ტ ყ ო, ჩ ე მ ს ს ა ყ ე ა რ ე ლ ს ა ნ ჯ ე ლ ი კ ს ვ ე ლ ა პ ა რ ა კ ო, დ ა ვ ე კ ი თ ხ ო ი მ ი ს გ უ ლ ს დ ა ვ ა თ ქ მ ე ე ი რ ო, რ ა ს ფ ი ქ რ ო ბ ს ა მ გ ა თ ხ ო ვ ე ბ ა ზ ე. ე ს ა რ ი ს ა ხ ლ ა შ ე ვ ი ტ ყ ე ე მე ე გ ს ა შ ი რ ი ლ ი ა მ ბ ა ე ი.

ტ უ ა ნ ე ტ ი. დ ი ა ხ, კ ა რ გ ი, მ ა გ რ ა მ ა ნ ჯ ე ლ ი კ თ ა ნ. ლ ა პ ა რ ა კ ი ა გ რ ე ა დ ე ი ლ ი ა რ გ ა ხ ლ ა ე თ; უ ნ დ ა ს ხ ე ა გ ზ ა მ ო ნ ა ხ ო ს კ ა ც მ ა; ხ ო მ ი ც ი თ, მ წ ა რ ე დ გ ა მ ო მ წ ყ ვ დ ე უ ლ ი ჰ ყ ა ე თ; ა რ ც კ ა რ შ ი უ შ ე ე ბ ე ნ დ ა ა რ ც ა რ ა ვ ი ს თ ა ნ ა ლ ა პ ა რ ა ყ ე ბ ე ნ. ე რ თ ს ა მ ი ს ბ ე ბ ე რ ს მ ა მ ი დ ა ს რ ო მ ა რ მ ო ე ნ დ ო მ ა თ ე ა ტ რ შ ი წ ა ს ვ ლ ა დ ა ა ნ ჯ ე ლ ი კ ი ს თ ა ნ წ ა ყ ე ა ნ ა, თ ქ ე ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს ვ ე რ შ ე ხ ე ჯ დ ე ბ ო დ ი თ დ ა ა რ ც ე გ ც ე ც ხ ლ ი გ ა გ ი ჩ ნ დ ე ბ ო დ ა თ გ უ ლ შ ი. რ ა - ლ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, რ ო მ ი მ ა მ ბ ა ე ზ ე კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა გ ვ ი ძ რ ა ე ს.

კ ლ ე ა ნ ტ ი. მე ხ ო მ რ ო გ ო რ ც კ ლ ე ა ნ ტ ი ა რ მ ო ვ დ ი ვ ა რ, რ ო მ ს ი ყ - ვ ა რ უ ლ ი გ ა მ ო ვ უ ტ ხ ა დ ო. მე ა ნ ჯ ე ლ ი კ ი ს მ უ ს ი კ ი ს მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ლ ი ს მ ე გ ო ბ ა - რ ი ვ ა რ დ ა ი მ ა ნ ნ ე ბ ა დ ა მ რ თ ო, მ ი ს მ ა გ ი ვ რ ა დ მ ო ვ ს უ ლ ი ყ ა ე.

ტ უ ა ნ ე ტ ი. ა გ ე რ ი მ ი ს ი. მ ა მ ა; პ ა ტ ა რ ა უ კ ა ნ დ ა დ ე კ ი თ; მე ვ ე ტ ყ ვ ი მ უ ს ი კ ი ს ო ს ტ ა ტ ი ა მ ე თ ქ ი.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა მ

ა რ გ ა ნ ი დ ა ჭ რ ა ნ ე ჯ ა

ა რ გ ა ნ ი. (თ ა ვ ი ს - თ ა ვ ი მ ა რ ტ ო ჰ გ ო ნ ი ა) პ ი უ რ გ ო ნ მ ა დ ა მ ა რ ი გ ა ყ ო ვ ე ლ დ ი - ლ ი თ შ ე ნ ს ო თ ა ხ შ ი ი ს ე ი რ ი ნ ე ო; თ ო რ მ ე ტ რ ე რ გ ა ი ა რ ე დ ა თ ო რ მ ე ტ რ ე რ გ ა მ ო ა რ ე ო; მ ა გ რ ა მ ი ს რ ო მ ვ ე რ ა ვ კ ი თ ხ ე, ს ი გ ძ ე ზ ე უ ნ დ ა გ ა ე ი ა რ ო, თ უ ს ი გ ა ნ ე ზ ე.

ტ უ ა ნ ე ტ ი. ბ ა ტ ლ ნ ო, ა გ ე რ ე რ თ ი.....

ა რ გ ა ნ ი, ხ მ ა - დ ა ბ ლ ა ი ლ ა პ ა რ ა კ ე, შე ბ რ ი ყ ვ ო! ლ ა მ ი ს თ ა ვ ი გ ა მ ო მ ი -

ლაყო. ეგ როგორ არ იცი, რომ ავადმყოფს აგრე არ უნდა დაუღრიოლო!

ტუანეტი. მე უნდა მომეხსენებინა, ბატონო, რომ...

არგანი. ხმა-დაბლა მეთქი, მე შენ გეუბნები.

ტუანეტი. ბატონო (ვითომ ყურში უჭურჩულებს).

არგანი. როგორა?

ტუანეტი. მე მოგახსენებთ, რომ (კიდევ ყურთან ტუჩებს მიიტანს და აღმაყენებს).

არგანი. რაო, რას ამბობ?

ტუანეტი. (მაღლა) მე ვამბობ, რომ ერთს კაცს თქვენთან ლაპარაკი უნდა.

არგანი. მოვიდეს (ტუანეტს კლევანტს შემოსვლას ანიშნებს).

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

კლევანტი: ჭეჭანაძე, აბჯანა

კლევანტი. ბატონო.....

ტუანეტი. ეგრე მალლა ნუ ლაპარაკობთ,—ბატონს თავს ნუ გაიფლავებთ.

კლევანტი. მადლობა ღმერთს, ბატონო, რომ ზუსტდა გხედავთ და ეგრე კარგადა ბძანდებით.

ტუანეტი. (ვითომ ჯერობს) როგორ თუ კარგადა ბძანდება! სრულებითაც არა ბძანდება კარგად, სულ ავადმყოფობს.

კლევანტი. მე კი გავიგონე, რომ ძალიან კარგადა ბძანდებაო; ღერიც ძალიან კარგი აქვს.

ტუანეტი. ვან გითხრათ კარგი ფერი აქვსო? ძალიან ცუდი ფერს აქვს: ეგ ვილაცა მეტიჩარეებს მიუჭარავთ და უთქვამს, კარგად არისო: ეს თავის დღეში ესე ავად არა ყოფილა.

არგანი. მართალს ამბობს.

ტუანეტი. მართალია. სხვასავით დადის, სძინავს, სქანს და სვამს, მაგრამ მაინც ძალიან ავად არის.

არგანი. სწორედ მართალია.

კლევანტი. ძალიანა ვწუხებარ მაგისთვის, ბატონო, მე თქვენი ქალის სიმღერის მასწავლებელმა გამომგზავნა; თითონ იმას რამდენიმე დღით სოფელში წასვლა მოუხდა და, რადგან იმისი გულითადი მეგობარი ვარ, თავის მაგიერად დამნიშნა, რომ სწავლება არ შეჩერდესო და რაც იცის თქვენმა ქალმა, არ დაივიწყოსო.

არგანი. ძალიან კარგი. (ტუანეტს) ანჯელიკს დაუძახე.

ტუანეტი. მე მგონია, ის ეჯობინება. ეს ბატონი იმის ოთახში წავიყვანო.

არგანი. არა, აქ მოიყვანე.

ტუანეტი. თუ ცალკე არ იქნებიან, კარგად ვერ ასწავლის.

არგანი. ვითომ რატომაო?

ტუანეტი. თქვენ სიმღერა ტყვილად თავს გაგიბრუებთ: თქვენს მდგომარეობაში მყოფს კაცს სიფრთხილე მართებს, არამ ააღლელოს, ტვინი არამ შეურყიოს.

არგანი. მაგის ფიქრი ნუ გაქვს. მე მუსიკა მიყვარს და უფრო მესიამოვნება..... აგერ თითონვე მოდის. (ტუანეტს) წადი, ნახე, ჩემი ცოლი ჩაცმულია, თუ არა.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ე მ

ატგანა, ანჯაღაჲა და აღჲანჯა

არგანი. აქ მოდი, შვილო; შენი მესიკის ოსტატი სოფელში წა-სულა და ეს ყმაწვილი გამოუგზავნია თავის მაგიერად.

ანჯელიკი. (კლენატს იცნობს) ღმერთო!

არგანი. რა იყო, რამ გაგაკვირვა?

ანჯელიკი. მე.....

არგანი. რა მოგივიდა, რომ ეგრე აღელდი.

ანჯელიკი. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ამაღლევა.

არგანი. როგორაო?

ანჯელიკი. მე წუსელის სიზმარში ვნახე. რომ საპინელს გაკირ-ვებულს მდგომარეობაში ვიყავ; ერთი ყმაწვილი კაცი მოვიდა, რო-ნელიც სრულებით ამათა ჰგავდა. მე ვახოვე იმას შეწევნა და იმან დამიხსნა იმ მწუხარებიდან. აქ რომ შემოველ, მე გამაკვირვა იმისმა მოულოდნელმა დანახვამ, რომელიც მთელი ღამე თვალ-წინ მიდგა.

კლენატი. დიდი ბედნიერებაა კაცისათვის, რომ თქვენ იმაზე ფიქრობდეთ, თუნდა ძილში, თუნდა ცხადად და ჩემს ბედს ქვეყანას შეევანატრულებდი, რომ რომელსამე მწუხარებაში გნახოთ და თქვენს დახსნის ნება მომეცეს; არათერს არას დაეზოგავდი თქვენს...

ს უ რ ა თ ი მ ე ა ს უ თ ე მ

ატგანა, ანჯაღაჲა, აღჲანჯი, ცუჲანჯა

ტუანეტი. ახლა, ბატონო, მეც თქვენი მხარე მიჰქირავს; რაც გუ-შინ გითხარით ყველაფერი გადამითქვამს. თქვენს სანახავათ მობრძან-

დნენ ბატონი დიაფუარიუსი—მამა და მეორე ბატონი დიაფუარიუსი-
შვილი. ოჰ, რა სიძე გეყოლებათ! თქვენ ნახავთ უმშვენიერესს და
უგონიერესს ყმაწვილ-კაცს; მართალია, ორის სიტყვის მეტი კი არ
უთქვამს, მაგრამ მიანიც ალტაცებაში მომიყვანა; თქვენს ქალსაც და-
ლიან მოეწონება.

არგანი. (კლევანტს, რომელიც წასვლას დააპირებს) აქ დარჩით, ყმაწვილო.
მე ჩემს ქალს ვათხოვებ და ახლა მაგის საქმრო მოუყვანიათ, რომელიც
მაგას ჯერ არ უნახავს.

კლევანტი. დიდათ მვალებთ, ბატონო, რომ ნებას მაძლევთ, და-
ვესწრო ასეთ სასიამოვნო შეხვედრას.

არგანი. ის არის შვილი ერთი სანაქებო ექიმისა; ქორწილიც ან
ოთხს დღეზე მოხდება.

კლევანტი. ძალიან კარგი.

არგანი. მაგის მუსიკის მასწავლებელსაც შეატყობინეთ ეს ამბავი,
რომ ქორწილს დაესწროს.

კლევანტი. ბატონი ბრძანდებით.

არგანი. აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, მობრძანდეთ.

კლევანტი. ღირსი არ გახლავართ მაგ პატივისცემისა.

ტუანეტი. ჩამოდექით, მობრძანდებიან.

ს უ რ ა თ ი ნ ე ე ქ ვ ს ე

დიაფუარიუსი, თომა დიაფუარიუსი, არგანი, ანჯლოვი,

კლევანტი, ტუანეტი და ერთი მთსამსახურე .

არგანი. (ქუდზე ხელს დაიდებს, მაგრამ კი არ მოიხდის.) პიურგონმა ამიკ-
რძალა ქუდის მოხდა და თქვენც მოგეხსენებათ, როგორც ექიმს,
რა შედეგი მოსდევს თავის გაშიშვლებას. |

დიაფუარიუსი. ჩვენ იმიტომ დავდივართ, ავადმყოფებს შევე-
წიოთ და არა იმიტომ, რომ უსიამოვნობა მივაყენოთ.

(არგანი და დიაფუარიუსი, ორივენი ერთსა და იმავე დროს ლაპარაკობენ).

არგანი. მე, ბატონო, დიდად,

დიაფუარიუსი. ჩვენ მოვედით აქ, ბატონო,

არგანი. მოხარული ვარ.

დიაფუარიუსი. მე და ჩემი შვილი თომა,

არგანი. თქვენის ნახვისა;

დიაფუარიუსი. რათა აღვიაროთ:

არგანი. და უფრო მოხარული ვიქნებოდი,

დიაფუარისი. ჩვენი უზომო სიხარული.

არგანი. შემძლებოდა თქვენთან ხლება,

დიაფუარისი. იმ წყალობისთვის,

არგანი. რომ გადამეხადა თქვენი პატივისცემა;

დიაფუარისი. რომელიც თქვენ ჩვენ მოგვანიჭეთ

არგანი. მაგრამ თქვენ თითონ იცით, ბატონო.

დიაფუარისი. და ინებეთ

არგანი. რა არის უძლური ადამიანი,

დიაფუარისი. ჩვენთან კავშირი,

არგანი. რომელსაც იმის მეტი არა შეუძლიან რა,

დიაფუარისი. და რათა გაცნობოთ,

არგანი. რომ სიტყვით მოგახსენოთ,

დიაფუარისი. რომ რაც ჩვენს ხელობას შეეფერება

არგანი. როგორ ეცდება ყოველს შემთხვევაში,

დიაფუარისი. და აგრეთვე სხვა ყოველს საქმეს

არგანი. გაცნობოთ

დიაფუარისი. ჩვენ მზად ვიქნებით

არგანი. მისი თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა.

დიაფუარისი. თქვენის სამსახურისა. (თავის შვილს) აბა, თომა, რა-
ლას უყურებ, სალამი მიართვი.

თომა. (თავის მამას). ჯერ მამას ვუთხრა?

დიაფუარისი. დიას.

თომა. (არგანს) მე მოველი, რათა გიწამოთ, ალგიაოთ, შეგიყვაროთ და თაყვანი გცეთ, ვითარცა მეორესა მამასა ჩემსა, მეორესა მამასა, რომლისადმი მაწევს მე ვალი მომეტებული, ვიდრე პირვლისად მე, რადგან პირველმა მე ჩამსახა და თქვენ ამომირჩიეთ. ნაწ მე მიმიღო შეილაღ ძალითა საჭიროებისათა და თქვენ მიმიღეთ ძალითა წყალობისა თქვენისათა: რაიცა მომანიჭა მე პირველმან, მომანიჭა, ვითარცა ნაყოფსა სხეულისა მისისასა; რაიცა მომანიჭეთ მე თქვენ, მომანიჭეთ, ვითარცა ნაყოფსა ნებისა თქვენისასა და ვითარცა ნიჭიერებანი სულიერნი აღემატებიან ნიჭიერებათა ხორციელთა, ეგრეცა ვარ მე ვალდებულ თქვენდა და ვრაცხ უძვირფასესად მონავალსა კავშირსა ჩვენსა, რომლისათვისაცა მოველ წინაშე თქვენსა, რათა განვიტხადოთ მადლობა უმდამბლესი და პატივისცემა უაღრესი.

ტუანეტი. გაუმარჯოს იმ სკოლას, საიდანაც ამისთანა სწავლულები გამოდიან.

თომა. (თავის მამას) კარგადა ვსთქვი, მამა?

დიაფუარისი. ძალიან კარგად.

არგანი. (ანჯელიკს) მიდი მიესალმე.

თომა. (თავის მამას) მამილო, ვაკოცო?

ღიაფუარიუსი. დიახ. დიახ.

თომა. (ანჯელიკს) სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი კარგი დედისა, რადგან...

არგანი. (თომას) ეგ ჩემი ცოლი არ გახლავთ, ჩემი ქალია.

თომა. ის სადღაა?

არგანი. ახლავე მოვა.

თომა. მოვეუცადო, მამილო?

ღიაფუარიუსი. ჯერ მაგ ქალს მიესალმე.

თომა. ვითარცა ძეგლი მემონისა გამოსცემდა ხმათა, სმენათა დანატკობელთა, ოდეს სხივნი მზისანი განანათლებდნენ მას, ეგრეცა აღვტყინდი მე აღტაცებითა ტკბილითა, რა ვიხილე მზე მშვენიერებათა თქვენთა და ვითართა მეცნიერნი ბუნებისანი ამტკიცებენ, რომ ყუვილა. სახელწოდებული მზეუტკერიტად, მიქცეულ არს დღისა მნაოთაისადმე. ეგრეცა გული ჩემი აწინდელის ჟამით მიქცეულ იქმნეს ბრწყინვალე მნათობთადმი თვალთა თქვენთა განსაცვიფრალთა, ვითარცა მიზიდულნი ძალითა ანდამატისათა. მომეცით დართვა ნებისა, რათა შემოგწიროთ მსხვერპლად საკუროთხვევლსა. ზედა თქვენის მშვენიერებასა გული ესე. რომელ არა სუნთქავს და არ ეძიებს. არა რაინე ვიდრე მასა სხვასა, თვინიერ მისა, რათა იყოს დღემდე სიკვდილისა თქვენნი უმორჩილესი, უმდაბლესი და უერთგულესი მონა, ნოსამსახურე და ქმარი თომა.

აუანეტი. აი სწავლა ამან დაიკვებოს: აი დალოცვილი სიტყვები!

არგანი. (კლანტს) რას იტყვით ამაზე?

კლანტი. საოცრად ლაპარაკობს და თუ ეგ ყმაწვილი ისეთივე კარგი ექიმია, როგორც ორატორი, ნეტავი მაგის ავადმყოფებს.

აუანეტი. თუ ისე კარგად არჩენს, როგორც ლაპარაკობს, გასაკვირველი რამ უნდა იყოს.

არგანი. მომეცით ჩემი სკამი და სხვებსაც სკამი მოართვით. (მოსამსახურეები სკამებს მოიტანენ. ანჯელიკს) მანდ დაჯექ, შვილო. (ღიაფუარიუსს) ხედავთ, ბატონო, როგორ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოქცავს თქვენს შვილს; ბედნიერი ხართ, რომ ეგეთი შვილი გყავთ.

ღიაფუარიუსი. მე მამობით კი არ ვიტყვი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ მაგისი. ვინცა ნახავს, ყველა ამბობს, ავი არ უნდა იყოსო. მართალია, ცოცხალი გონება არა აქვს, მაგრამ ეგ უფრო ამტკიცებს, რომ გამჭირაბობა არ აკლია, რომელიც ჩვენის ხელობისათვის საჭიროა. პატარაობისას ეგ ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი არ იყო;

იყო თავისთვის ჩუმად და შვეიდობიანად, ხნას არ იღებდა და არც ბავშვების თამაშობაში ერეოდა; კითხვა ძლიერ ასწავლეს: ცხოველურად წლისას ძლიერ შეეძლო ასოების ცნობა. მე ვფიქრობდი, ეს ურჩიო არ არის; ნაგვიანევი ზე ნაყოფს უფრო ბევრს მოიტანს მეთქი; ნაშრომაროზე უფრო ძნელია ამოქრა, ვიდრე ქვიშაზე დაწერა, მაგრამ დაწერი იქ უფრო დიდხანს დარჩება მეთქი; შიშიე ხასიათი და გონების სისუსტე იმის ნიშანია, რომ შევძლები სჯას კარვად შეიძლება. სკოლაში რომ მივეც, ჯერ გაუძნელდა სწავლა, მაგრამ სიძნელეს წებობოლა და ზედამხედველები ყოველთვის მიქებდნენ მაგის გულს ყურს და შრომის მოყვარეობას. ბოლოს ბევრი ტანჯვითა და წვალებით კურსის გათავების მოწმობა მიიღო და უკვებრათ მოგასწავლეს, რაც ეს ორი წელიწადი ექიმობასა სწავლობს, მაგას ლაპარაკში გარაინ აჯობებს. მეცნიერებაზე ბაასის დროს ჩვენს სკოლაში ყველას მაგისი ეშინიათ და ისეთი ბაასი არ გაიმართება, რომ ეგ ძალდატლწონალმდევს არ ამტკიცებდეს. ეგ მტკიცება სჯაში; რასაც ჩააცივდება, აღარ მოეშეება და ყოველს სჯას ლოლიკის უკანასკნელს კეთაენდე მიიყვანს. მაგრამ მე ეს მომწონს მაგაში და იმითი მაგას მე, რომ ყოველისფერში ბრმად მისდევს ჩვენთა წინაპართ სწავლას; ყურში არ შეუშვებს ხოლმე სიტყვას, როდესაც ჩვენის დროის რალაც ახალს აღმოჩენებაზე ლაპარაკობენ, მაგალითად, სისხლის ბრუნვაზე და სხვა ოცობოლო ამბებზე.

თომა. ამოიღებს ერთს დიდს სიგელივით გრძელს ქალაღს და ანუღლეს აძლევს) მე შევებრძოლე სისხლის ბრუნვის მომბრეთ ამ ქალაღის ძალით და, თუ სურვილი გექნებათ, (არგანს თავს დაუკრავს) მე წარვუდგენ ამას თქვენს ასულს, როგორც ჩემის გონების პირველს ნაყოფს ნიშნად ღრმა პატივისცემისა.

ანჯელიკი. ბატონო, ეგ რად გამოვიყენო, რა საჭიროა ჩნდების.

ტუანეტი. (ქალაღს გამოართმევს) მომეცით, მომეცით, მე მაგას გაზოვიყენებ, როგორც სურათს, ოთახის მოსართავად.

თომა. (არგანს თავს დაუკრავს და ბერე ანჯელიკს ეუბნება) თუ დავკოთავთ ნებას მამათქვენი, გთხოვთ, მობრძანდეთ ამ დღეებში დროს გასატარებლად, როდესაც გავქრი გვამსა ერთის ქალისასა და ეიწყებ სჯასა მანე.

ტუანეტი. კაი შესატყვევს ალაგს გაბრიჯობს; ზოგს თავის საუვარელი თეატრში მიჰყავს, მაგრამ ეგ უფრო დიდკატურიია, მუღაღარის აღამიანის გაქრაზე წაიყვანოს.

ღიაჟუარიუსი. რაც შეეხება ცოლქმრობისათვის და გვარის გასამრავლებლად საჭირო ივისებას, მე გარწმუნებთ, რომ უკეთესი

არ უნდა, ჩვენი მეცნიერების ნიშნების მიხედვით, იგი ისეთია, როგორსაც კაცი მოისურვებდა. მაგას აქვს საკმაო ძალა შვილთა გაჩენისა და ისეთი ხასიათისაა, რომ სწორედ კარგად შეიძლებს საღისეობის გამრავლებას.

არგანი. თქვენ ფიქრობთ, მგონი, თქვენს შვილს სასახლის ექიმის ალაგი უშოვნოთ.

ღიაფუარიუხი. უნდა გაგიტყდეთ მე, არ მომწონს დიდებული ხალხის ექიმობა; მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ ისევ დაბალს ხალხში დარჩენა სჯობს. დაბალი ხალხი ჩუმი; თქვენს მოქმედებას ვერაიან ვაპკიცხავს; ოღონდ მეცნიერების წესს მისდიოს კაცმა და რაც უნდა მოხდეს, ის არ არის პასუხისმგები. დიდებულებთან კი ეს არის ძნელი, რომ როცა ავად გახდებიან, გინდა თუ არა, უნდა მოარჩინო.

ტუანეტი. კაი ბატონები ბრძანებულან; დიდი თავხედობაა, გინდა თუ არა, მომარჩინეო; განა მაგისტრისა ხართ დანიშნული. თქვენი საქმე ჯამაგირის აღება და რეცეპტების წერაა; მასუკან თუ უნდათ, მოარჩინე.

ღიაფუარიუხი. სწორედ ამბობს. ჩვენი მოვალეობა ავადმყოფის მოვლაში ის არის, რომ წესი და რიგი არ დაეარღვიოთ.

არგანი. (კლვანტი) ახლა ჩემს ქალს სტუმრების წინ არ ამღერებ?

კლვანტი. მე თქვენს ბრძანებას ველოდი. მე აზრად მომივიდა, რომ თქვენს შესაქცევად ერთი ახლახან დაწერილ პატარა ოპერიდან ვიმღერო მე და თქვენმა ქალმა. (ანჯელიკს ქალაღდს მისცემს) აი თქვენი სათქმელი.

ანჯელიკი. ჩემი?

კლვანტი. (დაბლა ხმით ანჯელიკს) უარს ნუ იტყვი, .თუ ღმერთი გწამს; ახლავე გეტყვი, რაც უნდა იმღერო. (ხმა მალა) მე სიმღერისთვის თუმცა ხმა არა მაქვს, მაგრამ კმარა სიტყვები წარმოვსთქვა და ქალი ისე მიპასუხებს.

არგანი. ლექსი კარგია?

კლვანტი. ეს გახლავთ პატარა, საჩქაროთ შედგენილი ოპერა; ლექსები ლექსებს არა ჰგვანან, რადგანაც ისინი არიან უცბად სიყვარულისაგან ჩაგონებულნი.

არგანი. ძალიან კარგი; აბა ვნახოთ.

კლვანტი. აი ოპერის შინაარსი: ერთი ღრმად ჩაფიქრებული მწყემსი უცქერის ერთს წარმოდგენას; უცებ რაღაც ხმაურობა აფიხიზლებს; ის მიიხედავს, დაინახავს ერთს ბრიყვს კაცს, რომელიც ერთს მწყემსს ქალს უკადრისი სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებს. ის მიე-

შველება ქალსა, რადგან ყველანი ვალდებულნი ვართ ქალს პატივი ვცეთ; ჯეროვანად საჯავს იმ ბრიყვის უგვანობას და შემდეგ მიუახლოვდება ქალსა; ხედავს ერთ ახალგაზრდა ქმნილებას, რომელიც მშვენიერის თვალებით აფრქვევს მარგალიტის მსგავსს ცრემლებს: განა ამისთანა მშვენიერების შეურაცხება იქნებაო: ვინ იქნება ისეთი ბარბაროსი, რომ ამისმა ცრემლმა გული არ აღუძრასო, ფიქრობს ისა; ცდილობს შეუშროს ეს ცრემლები. მშვენიერი ქალი უმადლის იმ გარჯისთვის ისე ნაზად, ისეთის აღელვებით და ისეთის გულკეთილობით. რომ მწყემსს გულში იმისი სიყვარული ეგზნება; ქალის ყოველი სიტყვა, ყოველი შეხედვა არის. სიყვარულის აღის მომდების ისარი, მწყემსის გულის გამგმირი. რა შეედრებაო ქალის მადლობის სიტყვებს; რას არ მოითმენს კაცი, რა შიშა და სასაჯელს არ აიტანს სიხარულით, თუ ერთ წუთსაც არის, ამ მშვენიერის ქალისაგან მადლობის სიტყვებს გაიგონებსო? წარმოდგენა თავდება, მაგრამ მწყემსი იმას უფრს აღარ უგდება; ის ნანობს მხოლოდ, რომ ასე მალე გათავდა და უნდა გაშორდეს იმ საგანგებო ქალს. ამ პირველმა ნახვამ ისეთი ცეცხლი აუთოო გულში, რომ რამდენიმე წელიწადის ცხარე სიყვარული ვერ აღუნთებდა. აგერ იგრძნო მწყემსმა განშორების მწუხარება; იტანჯება, რომ ვეღარა ნახავს იმას, რომლის ნახვაც ისე ცოტას ხნით ეღირსა. ცდილობს, რითაც შეუძლიან, მეორედ ნახვის ღონე მოიპოვოს; დღე და ღამე იმისი სახე თვალწინ უდგას. მაგრამ იმ ქალზე ისე უჭირავთ თვალყური, რომ ნახვა შეუძლებელია. სიყვარულის ძლიერება აბედვინებს იმის ცოლად თხოვნას, რადგან უიმისოდ სიცოცხლე აღარ შეუძლიან; ქალი ბარათით ატყობინებს, რომ ის თანახმაა, მაგრამ იმავე დროს სხვა მხრით ეუბნებიან, რომ იმ მშვენიერების მამას გადაწყვეტილი აქვს თავისი ქალი სხვას მიათხოვოს და ყოველისფერი მზად არის საქორწილოდ. რა საზარელი ხვედრი ელის მწყემსსა?! სევდა და მწუხარება მიწასთან ასწორებს; იმას ვერ წარმოუდგენია საშინელი აზრი, რომ იმისი ქვეყნიური საუნჯე სხვის ხელში უნდა ჩავარდეს. განწირულებით შეპყრობილი ის პოულობს ღონეს თავის საყვარლის სახლში შესვლისას, რომ შეიტყოს იმისი გრძნობა და თავისი ბედი; ის ხედავს, რომ ყოველისფერი მზად არის იმ საშინელი ქორწინებისათვის; ის ხედავს იქ იმ უღირსს მოციილეს, რომელსაც ქალის კირვეული მამა მწყემსის სიყვარულს წინ უყენებს; ის ხედავს თავის სასაცილო მოციილეს ძლევა მოსილს თავის საყვარლის გვერდით, ხედავს, რომ გამარჯვება იმისია და ეს ისე აბრაზებს, რომ თავი ძლივსდა შეუმაგრებია, ის მწუხარებით შესცქერის თავის საყვარელს; იმისი პატივისცემა და იმის მამის რიდი

უშლის სიტყვით გამოთქმას, მხოლოდ თვალებით ლაპარაკობს. ბოლოს თავის შემაგრებას თავს ანებებს და სიყვარულით აღტაცებული ამას ამბობს.

(მღერის)

ნულარ მტანჯავ, მწვენიერო ყილისა,
გადმიშალე შენი ტკბილი გულითქმა,
მითხარ რამე ჩემის ბედის-წერისა,
რა მომელის, სიცოცხლე, თუ სიკვდილი?

ანჯელიკი. (მღერის) შენ მე მხედავ, ტირისს, მოცულს სევდითა,
ამ ბედ-კრულის ქორწინების მაცქერალს;
ცას შევყურებ ცრემლიანის თვალითა;
შენ არა გრძნობ ჩემი მწველი ცეცხლის აღა?

არგანი. ოჰო, არ შეგონა, ჩემი ქალი ესეთი მარჯვე იყო; საუა არ გადუშლი, მღერის.

კლევანტი. ოჰ, ვინ მისცემს ნაგ ბედს მიჯნურს ტირისისა,
რომ შენს გულში ჰქონდეს მცირე ადგილი!

ანჯელიკი. არ ვუმაღავ ამას აღარავისა;
შენ მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი წადილი.

კლევანტი. ეს რა სიტყვა გავიგონე მე დღესა?
ჩემს ყურებსა ნუ თუ დაეჯერება!
ერთხელ კიდევ გამაგონე, ყილისა,
ამაცილე მწუხარება ეჭვისა.

ანჯელიკი. დიახ, ტირისს. დიახ მე შენ მიყვარხარ!

კლევანტი. ერთხელ კიდევ, თუ ღმერთი გწამს! კიდევ სთქვი..

ანჯელიკი. მე—შენ მიყვარხარ.

კლევანტი. ასჯერ გაიმეორე.

ანჯელიკი. დიახ, ტირისს, დიახ, მე შენ მიყვარხარ.

კლევანტი. ჩემს ბედს ახლა არარა შეედრება;
ქვეყნის მეფე და ღმერთი რას მიქვია!
შაგრამ ესე აღტაცება მიქრება,
რადგან გვერდზე მოცილე მომდგომია.

ანჯელიკი. ეგ მოცილე ჟამსავით მეჯაერება;
მაგის ცქერა ჩემთვის დიდი ჭირია..

კლევანტი. მამა-შენს სურს მაგაზე მითხოვება.
ანჯელიკი. მაგის ქმრობას სიკვდილი მირჩევნია,
 მაგის ქმრობას სიკვდილი. მირჩევნია.

არგანი. მერმე მამა მაგაზე რალას ამბობს?

კლევანტი. არაფერს.

არგანი. ჭკვიანი მამა კი ყოფილა, თუ მაგ სულელური ლაპარაკის
 ნებას აძლევს.

კლევანტი აჰა, ჩემო საყვარელო..... (უნდა განაგრძოს სიმღერა).

არგანი. კმარა, კმარა! ეგ ამბავი დიდი სიმხეცე და სისულელეა,
 მწყემსი ტირისისი დიდი ბრიყვი ყოფილა და ფილისა ურცხვი და უნა-
 მუსო, რომ თავის მამის წინ მაგაებს ბედავს. (ანჯელიკს) მაჩვენე ეგ
 ქალაღი. სად არის ეგ სიტყვები დაწერილი, ახლა რომ ამბობდი;
 აქ ნოტების მეტი არა არის რა.

კლევანტი. ეგ არ იცოდით, ბატონო, რომ ამ უკანასკნელ დროს
 ნოტებით სიტყვების დაწერას ახერხებენ.

არგანი. კარგი, კარგი, ბატონო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ნახ-
 ვამდის. ჩვენ ისეც არა გვიკირდა რა, თქვენი ახირებული ოპერა
 რომ არ გაგვეგონა.

კლევანტი. მე თქვენს შესაქცევად მოგახსენეთ.

არგანი. სისულელე არაფერი შექცევაა. აგერ ჩემი ცოლიც.

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი ლ ე

მელინი, არგანი, ანჯელიკი, დიაფუარიაუსი, თამა დიაფუარიაუსი. ჭუანუჯი

არგანი. აი, ჩემო საყვარელო, ბატონი დიაფუარიაუსის შვილი.

თამა. სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახე-
 ლი კარგი დედისა, რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა...

ბელინი. მე დიდად მოხარული ვარ, ბატონო, რომ თქვენი გატ-
 ნობა მეღირსა.

თამა. რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... რადგან და-
 ხატულ არს სახესა ზედა თქვენსა... სიტყვა შუაზე გამაწყვეტინეთ
 და დამავიწყეთ, რისაც თქმა მინდოდა.

დიაფუარიაუსი. თამა, ეგ სხვა დროსთვის დარჩეს.

არგანი, ნეტავი, ჩემო სიცოცხლე, პატარა ადრე მოსულიყავი

ბუანეტი. დიდად დააშავეთ, ქალბატონო, რომ აქ არ იყავით
 და არ გაიგონეთ ლაპარაკი მეორე მამაზე, მემონის ძეგლზე და
 წოდებულს მზეუქვრიტად ყვავილზე.

არგანი. აბა, შეილო, მიეცი ხელი ამ ყმაწვილს, როგორც შენს ქმარს და შეპფიცე ერთგულობა.

ანჯელიკი. მამა-ჩემო. ...-

არგანი. რა მამა-ჩემო, რა გინდა სთქვა?

ანჯელიკი. გთხოვთ, ეგრე ნუ ჩქარობთ; მოგვეცით დრო ერთ-მანეთის გაცნობისა, რომ ჩვენს გულში დანერგდეს ის სიყვარული, რომელიც საჭირო არის თანხმობის დასამყარებლად.

თომა. ჩემს გულში ეგ სიყვარული უკვე დანერგილარს და მოც-და საჭირო აღარ არის.

ანჯელიკი. თუ თქვენ გეჩქარებათ, მე სრულებით არ შეჩქარება და უნდა გაგიტყდეთ, თქვენს ღირსებას ჯერ ეგრეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე.

არგანი. ეგ ჯერ საჭირო არ არის; როცა ჯვარს დაიწერთ, მაშინ მორიდდებით ერთმანეთში.

ანჯელიკი. მამაჩემო, ამასა გთხოვთ, პატარა ვადა მომეცით. ქორწინება ისეთი ჯაქვია, რომ ამ ჯაქვით ძალად შეეკრა არ ვარვადა, თუ ეს ყმაწვილი პატროსანი არ ბრძანდება, არ მოინდომებს ძალად ვისმეს შერთვას.

თომა. ეგ ლოლიკის წინააღმდეგია. შეიძლება, პატროსანი ვიყო და მაინც კიდევ თქვენ შეგირთოთ მამი-თქვენი ნებადართვით.

ანჯელიკი. ძალად თავის შეყვარება კარგი საშუალება არ არის.

თომა. ძველნი მწერალნი მოგვითხრობენ, რომ ძველად ჩვეულვად ჰქონიათ საცოლოს ძალით წაყვანა მშობელთ სახლიდამ. ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ არავის ჰგონებოდა; ვითომ ის ქალნი ნებით მისდევდნენ საქმროს.

ანჯელიკი. ძველნი თავისთვის იყვნენ; ჩვენ ახლანდელი ხალხი ვართ; ჩვენს დროში თვალთმაქცობა საჭირო არ არის და როცა მოგვწონს ვინმე, ძალით წავგრა არ გვექირვება. მოითმინეთ, თუ თქვენ მართლა გიყვარვართ, თქვენც ის უნდა გინდოდეთ, რაც მე მინდა.

თომა. დიახ, მაგრამ სიყვარული ჩემი ხელუხლებელ უნდა დარჩეს.

ანჯელიკი. მაკაზე შეატყობენ სიყვარულს, თუ კაცი სატრფოს ნებას ემორჩილება. ეს იქნება სიყვარულის ნამდვილი გამოხატულება.

თომა. რაც შეეხება სატრფოს მფლობელობას თანახმა ვარ, რაცა შეეხება ქალს, უარ მიყვია.

ტუანეტი. (ანჯელიკს) ტყუილი ლაპარაკით, თავს რად იტყენ? ეგ ყმაწვილი ტიტინს დაუჩვევიათ და ლაპარაკში არ ჩამოგივარდებათ. რას ეწინააღმდეგებით და რად არა გსურთ ეგ დიდება, რომ თქვენც სწავლულებში გაეროთ.

ბელინი. იქნება მაგას უყვარს ვინმე.

ანჯელიკი. თუ მე შეყვარება ვინმე, ეს სიყვარული ტკუისა და პატროსნების წინააღმდეგი არ იქნება.

არგანი. მაშ აქ მე რის მაჩანჩალა ვყოფილვარ!

ბელინი. მე რომ შენი ვიყო, ჩემო სიცოცხლე, მაგას ძალით ქმარს არ შევრთავდი. მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი.

ანჯელიკი. მე ვიცი, რის თქმაც გინდათ და თქვენს კეთილს გულსაც ვიცნობ, მაგრამ იქნება თქვენი რჩევის ასრულება საკვირო. არ იყოს.

ბელინი. დიახ, თქვენისთანა ბრძენი და პატროსანი ქალი თავის მშობლებს რაღად დაემორჩილება. (ამოიხვრით) ოჰ, უწინ სხვა იყო!

ანჯელიკი. ქალის მოვალეობასაც თავის საზღვარი უძევს; გონებასა და კანონს განა ყველაფერი მორჩილებაზე დაუფუძნებია.

ბელინი. როგორც ვატყობ, თქვენ გათხოვება გნებავთ, მაგრამ ამორჩევა კი თქვენი შეხედულებით გინდათ.

ანჯელიკი. თუ მამა-ჩემი იმას არ შემრთავს, ვინც შე მინდა, ამა-სა ვთხოვ მხოლოდ, რომ იმას მიინც ნუ შემრთავს, რომელსაც მე ვერ შევიყვარებ.

არგანი. მე ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ბატონებო.

ანჯელიკი. ქმრის შერთვის დროს ყველას თავისი სურვილი აქვს. მე ამ საქმეში სიფრთხილე მმართვებს, რადგან გაგიტყდებით, თუ მე ქმარს შევირთავ მხოლოდ იმისთანას, რომ სულითა და გულით შევიყვარო და ჩემი სიცოცხლე იმას შევსწირო. ზოგიერთი ქმარს იმიტომ ირთავს, რომ თავის მშობლებისაგან თვალ-ყურის დაქერას მოშორდეს და მასუკან, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. არიან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ფულისთვის ირთავენ ქმრებსა, მხოლოდ საქვრივოს ეძებენ: ერთი ქმარი მოუკვდებათ, მეორეს ირთვენ, მეორე მოუკვდებათ, მესამეს და ცდილობენ ყველას სარჩოს დაეპატრონონ. ამისთანა ქალები, უნდა გაგიტყდეთ არჩევით არავის არჩევენ და, ვინც უნდა იყოს, სულ ერთია, ოღონდ ფული კი ჰქონდეს.

ბელინი. დღეს თქვენ ენას ძალას ატანთ და კარგი იქნებოდა, რომ თქვენი აზრი ბარემ უკლებლად წარმოგეთქვათ.

ანჯელიკი. მე მარტო იმისი თქმა მინდოდა, რაცა ვთქვი.

ბელინი. შენ, ქალ-ბატონო, ისე თავს გახვედი, რომ შენი გაძლება აღარავის შეუძლიან.

ანჯელიკი. გინდათ, მგონი, უკადროსი რამ გაკადროთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ეგ ცდა ტყუილად ჩავივლით.

ბელინი. შენმა ურცხვობამ ზომას გადააცილა.

ანჯელიკი. ტყვილა სცდილობთ.

ბელინი. შენს სულელურს ამპარტავნებას, შენს გოროზობას, შენს აშრობას ველარავეინ ველარ მოითმენს.

ანჯელიკი. რაც უნდა სთქვათ, მაინც თქვენს ჯიბრზე არას გაკადრებთ და თქვენის იმედის გასაცრუებლად ახლავ თვალიდან მოგშორდებით.

ს უ რ ა თ ი მ ე რ მ ე

აზგანი, შელინი, დააფუარითესი, თომა დააფუარითესი, ცუანცო

არგანი. (ანჯელიკს მიჰყვირებს) გამიგონე, მეტი აღარ შემიძლიან: ან ეს უმაწვილი უნდა შეირთო ამ ოთხს დღეში, ან მონასტერში გიკრაე თავსა. (ბელინა). შენ ნუ იშფოთებ გულსა, ჩემო სულის ღვმავ, მე ვიცი და მაგან.

ბელინი. მე დიდათა ვწუხებარ, რომ შენ თავი უნდა დაგანებო, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ ქალაქში ერთი ძალიან საკირო საქმე მაქვს: მალე დაებრუნდები.

არგანი. წადი, გეთაყვა და ნოტარიუსთანაც შეიარე, უთხარი ის საქმე დააშუროს.

ბელინი. მშვიდობითა, ჩემო კარგო.

არგანი. მშვიდობით, ჩემო სიცოცხლე.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

აზგანი, დააფუარითესი, თომა დააფუარითესი, ცუანცო

არგანი. აი ცოლისაგან სიყვარული ასეთი უნდა! ძნელი წარმოსადგენია, როგორ ვუყვარვარ.

დიაფუარიუსი. ახლა კი, ბატონო, ჩვენ შენ უნდა გიახლოთ.

არგანი. ჯერ ერთი მნახეთ, როგორა ვარ.

დიაფუარიუსი (მაჯას უსინჯავს) აბა, თომა, მეორე ხელი შენ გემოართვი და ვნახოთ, რას გვეტყვი ამ მაჯაზე.

თომა. მე მოგახსენებთ, რომ მაჯა ესე არ არის მაჯა კარგამყოფისა.

დიაფუარიუსი. კარგი.

თომა. რომ ეს არი, უმკაცრესი, რათა არა ვთქვათ მკაცრი.

დიაფუარიუსი. ძალიან კარგი.

თომა. მბტომი.

დიაფუარიუსი. კარგი.

თომა. და ცოტა მოანჩხლო.

ღიაფუარიუსი. ძალიან კარგი.

თომა. ესე არს ნიშანი ავამყოფობისა პარენქიმასა შინა სპლენი-
ქურსა, ანუ ელენთასა შინა.

ღიაფუარიუსი. ძალიან კარგი.

არგანი. პიურგონმა კი მითხრა ღვიძლი გტკივაო.

ღიაფუარიუსი. დიახ, ვინც ამბობს პარენქიმა, ასახელებს ღვიძლ-
საცა და ელენთასაც. რადგან იმათა აქეთ ერთმანეთთან ჯავშირი მოკ-
ლე ლუღითა, პილორითა და ლუღითა ნაღველისათა. ალბად ის
გირჩევთ შემწვარი მიართვათ.

არგანი. არა, წვნიანის მეტს არას მაქმევს.

ღიაფუარიუსი. შემწვარი, წვნიანი, ეგ სულ ერთია. ძალიან კარ-
გად ურჩევია, უკეთესს ხელში ვერ ჩავარდებოდით.

არგანი. ბატონო, რამდენი მარილი უნდა ვუყო ერთს კვერცხსა?

ღიაფუარიუსი. ექვსი კიპეკი, რვა, ათი, წყვილ-წყვილი რიცხვი,
როგორც წამლების მიღება კენტის რიცხვით უნდა.

არგანი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო.

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ი

არგანი და მკლანი

ბელინი. მე მინდა, ჩემო სიხარულო, ვიდრე სხვაგან წავიდოდე,
ერთი ამბავი შეგატყობინო, რომელზედაც თვალყური უნდა გექიროს.
ანჯელიკის ოთახის წინ რომ გავიარე, ერთი ყმაწვილი კაცი ვნახე
იმასთან; დამინახა თუ არა, მაშინვე მოჰკურცხლა.

არგანი. ჩემს ქალთან ყმაწვილი კაცი!

ბელინი. დიახ, შენი პაწია ლუიზონაც იმათთან იყო; ის გიამბობს
ყველაფერს.

არგანი. ახლავ აქ გამოგზავნე, ემწუთში: აი ის ურცხვი! (მაატო)
ახლა კარგად მესმის, უარს რისთვისაც მეუბნებოდა.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ი რ თ მ ე ტ ი

არგანი და ლუიზონი

ლუიზონი. რა გინდა, მამილო? დედამ მითხრა, მამა გიბრძანებსო.

არგანი. აქ მო; წინ წამოდექი; ასე მობრუნდი: აბა შემომხედე.
ეგრე თვალში მიყურე. აბა?

ლუიზონი. რაი, მამა?

არგანი. აბა?

ლუიზონი. რაი?

არგანი. შენ მე რალაც უნდა მითხრა.

ლუიზონი. თუ გინდა მამილო, მე ვირის ტყავის ზღაპარს გეტყვი, ან არა და ყვავისა და მელიის არაკს, გუშინ რომ მასწავლეს.

არგანი. მე მაგას არა გკითხავ.

ლუიზონი. მა რასა, მამა?

არგანი. აი შე, ეშმაკის ბარტყო, ვითომ არ იცი რასაცა გკითხავ.

ლუიზონი. მაპატიე, მამილო.

არგანი. განა ეგრე უნდა შემორჩილებოდე?

ლუიზონი. რაი, მამა?

არგანი. მე შენ არ გითხარი, რაცა ნახო, ყველაფერი შემატყობინე მეტქი.

ლუიზონი. ჰო, მამა.

არგანი. მერე შეასრულე ჩემი ბრძანება?

ლუიზონი. აკი ყველას გეუბნები.

არგანი. დღეს რალა ნახე?

ლუიზონი. არაფერი.

არგანი. არაფერი?

ლუიზონი. არაფერი.

არგანი. მართლა არაფერი?

ლუიზონი. ნამდვილად არაფერი.

არგანი. მაშ მე გაჩვენებ შენს სეირს.

ლუიზონი. (დინახავს, რომ არგანი წკეპლის კონას აიღებს) აჰ, მამილო!

არგანი. აჰ, შე, პატარა_თვალთმაქციო, მაშ არ მეტყვი, ვინ იყო შენი დის ოთახში?

ლუიზონი. (ტორილით) მამილო.

არგანი. (ლუიზონს ხელსწავლებს) სიცრუემ ეგ იცის.

ლუიზონი. (დაიჩქეებს) მაპატიე, მამილო; მე ანჯელიკმა მითხრა ნურას ეტყვიო, მაგრამ მე შენ ყველას გეტყვი.

არგანი. ჯერ უნდა გაგწკიპო და მასუკან მიამბე.

ლუიზონი. მაპატიე, მამა.

არგანი. არა, არ იქნება.

ლუიზონი. ნუ მცემ, მამილო.

არგანი. უნდა გცემო.

ლუიზონი. თუ გიყვარდეს, მამა, ნუ მცემ.

არგანი. (წკეპლების დარტყმას დააპირებს) აჰ მო, აჰ მო.

ლუიზონი. ვაიმე! სისხლი! მოგკვდი! (ვითომ კვდება)

არგანი. ვაიმე! ლუიზონ, შეილო! ლმერთო! ეს რა მომივიდა! ვაიმე უბედურს! ჩემი პაწია გოგო მომიყვდა. ეს რა ვქენი, ვაიმე, ლმერთმა დასწყევლოს ეს წყებლები! კირმა კი წაილოს! ჩემი გოგუნა, ჩემი პაწია ლუიზონი!

ლუიზონი. ნუ ტირი, მამილო, მე ჯერ მთლად არ მომკვდარვარ.

არგანი. ხედავ ამ თვალთმაქცსა! კარგი, ახლა მიპატივებია, მაგრამ ყველაფერი კი უნდა მითხრა.

ლუიზონი. ყველაფერს გეტყვი.

არგანი. გამიფრთხილდი; თუ გიცრუენია, ჩემი ნეკი ყველაფერს მეტყვის.

ლუიზონი. ანჯელიკს კი ნუ ეტყვი, მამა, რომ მე გითხარი.

არგანი. არ ვეტყვი, ნუ გეშინიან.

ლუიზონი. (მიიხედ-მოიხედავს, ყურს ხომ არაინ შიგდებსო) ერთი ვიცა მოვიდა ანჯელიკის ოთახში, მე რომ იქ ვიყავი.

არგანი. მერე?

ლუიზონი. მე ვკითხე ვინა ხარ მეთქი და მითხრა მუსიკის ოსტატი ხარო.

არგანი. (იქით) ჰმ, ჰმ, ახლა კი მივხვდი! (ლუიზონს) მერე, მერე?

ლუიზონი. მერე ანჯელიკიც მოვიდა.

არგანი. მერე?

ლუიზონი. იმან უთხრა, წადი, წადიო; სირცხვილიაო!

არგანი. მერე?

ლუიზონი. მერე ის არ წავიდა.

არგანი. მაშ რას ამბობდა?

ლუიზონი. რა ვიცო, რაღაეხსაც ამბობდა.

არგანი. მაინც?

ლუიზონი. ის ამბობდა, ასეო, ისეო, მიყვარხარო, ძრვილ ლამაზი ხარო.

არგანი. მერე?

ლუიზონი. მერე დაუჩოქა.

არგანი. მერე?

ლუიზონი. მერე ხელეებზე აკოცა.

არგანი. მერე?

ლუიზონი. მერე დედა მოვიდა კარებთან და ის გაიქცა.

არგანი. სხვა ხომ არა მომხდარა რა?

ლუიზონი. არა, მამა.

არგანი. ეს ნეკი რომ რალაცას მეჩურჩულება. (ნეკს ყურზე მიიდებს) მოიცა, ჰო, ჰო, ხედავ, ეს მეუბნება, რომ, შენ რალაცა გინახავს და კი არ მეუბნები.

ლუიზონი. მამილო, შენი ნეკი ცრუპენტელაა.

90-

არგანი. გამიფრთხილდი.

ლუიზონი. მამა, ნუ დაუჯერებ ნეკსა; გეფიცები, ტყუის.

არგანი. კარგი, კარგი, ამასაც ვნახავთ. წადი და ყველაფერს ყურადღებით უგდე. გასწი. (მარტო) ბავშვებიც რომ ბავშვებს აღარა ჰგვანან; გაგონილა ამისთანა ამბავი! დროც არა მაქვს, რომ ჩემს თავს მოვუყარო. ამის მეტი აღარ შემძლიან (სკამზე დაჯდება).

ს უ რ ა თ ი მ მ თ ო რ მ მ ტ ბ

აზგანი და შარალდი

ბერალდი. რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ძმაო?

აზგანი. შენი მტერი იყოს, ძმაო, რომ მე ვარ საშინლაძე უქეიფოდ შეეიქენ.

ბერალდი. როგორ თუ უქეიფოდ?

აზგანი. ისე სუსტადა ვარ, რომ ვერ წარმოიდგენ.

ბერალდი. ეგ ვერაფერი ამბავია.

აზგანი. ლაპარაკის ღონეც კი არა მაქვს.

ბერალდი. მე მოვედი ანჯელიკზე მოსალაპარაკებლად: ერითი კაი საქმრო მყავს.

აზგანი. (გაცხარებული წამოდგება სკამიდან) იმაზე ნულარაფერს მეტყვი: ის ურცხვი, ის აშარი, ის ოჯახის შემარცხენელი! მე იმას ხვალეე მონასტერში შევამწყვდევე.

ბერალდი. მაღლობა ღმერთს, რომ ეგრე უცებ კარგად შექენი და ჩემმა მოსვლამ გარგო. საქმეზე მასუკან ვილაპარაკოთ. ახლ კი ერთი ხროვა მოვიყვანე თანა შენს შესაქცევად, მასუკან უფრო კამეზიდებით მოვილაპარაკებთ ჩვენს საქმეზე. ისინი არიან ბოქები მაფრების ტანისამოსში, თამაშობენ მღეროიან და, მგონია, კაჭად შეგაქცევენ. პიურგონის რეცეპტს ეგ ემჯობინება.

მ ო შ მ ე ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ს უ რ ა თ ი ა ი რ ვ ე ლ ი

შერალდი, არგანი, დუანდო

ბერალდი. აბა, ძმაო, ეგ შექცევა არა სჯობდა წამლებით კუქის წახდენას.

ტუანეტი. კაი წამლები კარგია.

ბერალდი. ახლა მე მინდა ორიოდ სიტყვა გითხრა.

არგანი. პატარა მომიცადე, ახლავ დავბრუნდები.

ტუანეტი. დაიქით ეს ჯობი; ეგ როგორ არ იცით, რომ უჯობად გაელა არ შეგიძლიანთ.

არგანი. მართალს ამბობს.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა მ

შერალდი და დუანდო

ტუანეტი. თუ ღმერთი გწამთ, ბატონო, თქვენის ძმისწულის საქმეს თავს ნუ დაანებებთ.

ბერალდი. ვეცდები, რითაც კი შემიძლიან, იმისი სურვილი ავასრულო.

ტუანეტი. ეს გათხოვება რომ დაუყენია ბატონს, უეჭველად უნდა დაეაშლევინოთ. მე ფიქრად მომივიდა, რომ კარგი იქნება ერთი ექიმი ვიპოვნოთ ვინმე, გაეაცნოთ ბატონს და ისე მოვახერხოთ, რომ იმან ახლანდელი წამლობა დაუწონოს და პიურგონი უძაგოს. რადგან არაეინა გვყავს, მივე ვიკისრებ ექიმობას.

ბერალდი. როგორ თუ ექიმობას?

ტუანეტი. ეს სასაცილო ამბავი იქნება. კეჟა კი არა სჭირია ამ საქმეს, მაგრამ იქნება კი ჩვენ ჩვენსას მივხედეთ. საქმე მე დამანებეთ და თქვენ თქვენი იცოდეთ. აგერა ბატონიც მორბძანდება.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

არგანი და შერალდი

ბერალდი. ძმაო, ერთი რამ უნდა გთხოვო. მე შენთან სალაპარაკო მაჭვს და თავიდანვე ამას გეხვეწები, ლაპარაკის დროს ნუ გაცხარდები. არგანი ეგ აღვილი შესასრულებელია.

ბერალდი. რაც გითხრა, ყველაფერზე წყნარი პასუხი მომეც.
არგანი. ბატონი ხარ.

ბერალდი. ჩენი ბაასის დროს აღელვებასა და გულის მოსვლას თავი დაანებე; საქმე დაწყნარებით გასინჯე.

არგანი. ახა. ღმერთო ჩემო. ვერ გაათავე ეგ წინასიტყვაობა.

ბერალდი. ერთი ეს გამაგებინე, რამ გაფიქრებინა შენისთანა მდოქარს კაცს და მხოლოდ ერთის ქალის პატრონს, — პატარა ლუწკონი ჯერ ანგარიშში ჩასაგდება არ არის, — რამ გაფიქრებინა იმ ერთად ერთი ქალის მონასტერში მიცემა.

არგანი. იმან გაფიქრებინა, რომ ჩემს ოჯახში ბატონი მე ვარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ.

ბერალდი. შენს ცოლს, მგონი, ისიც არ ეწყინება, შენი ორივე ქალი თავიდან მოიშოროს. ის ისეთი ღვთის მოყვარეა, მოლოზნებათაც რომ ნახოს ისინი, არ ეწყინება.

არგანი. ვაი ჩემი ცოლის ბრალიც თქვენს ხელში; ყოველთვის იმას მივარდებიან; მთელი ქვეყანა იმას გადაჰკიდებია.

ბერალდი. იმას, ძმაო, თავი დაეანებოთ. ის იმისთანა ქალია, რომ შენის ოჯახისთვის ცუდს არ მოინდომებს; ფულის მონა არ არის და შენც გასაოცრად უყვარხარ; შენი შვილებიც თავის ღვიძლს შვილებად მიაჩნია; ეგ სულ მართალია; მაგაზე ლაპარაკს ნულარ გვაუბამთ, შენს ქალზე ვილაპარაკოთ: რას დაგიყინებია, გინდა თუ არა ექიმს უნდა მივათხოვო.

არგანი. იმისთვის დამიყინებია, რომ ჩემთვის გამოსადეგი კაცი მინდა სიძედ მოვიკიდო.

ბერალდი. ეგ, ჩემო ძმაო, შენს ქალს უნდა მიაჩნებო. მე ერთი ყმაწვილი-კაცი ვიცი, რომელიც უფრო შეპტერის შენს ქალს.

არგანი. მე კი ის უფრო შემფერის.

ბერალდი. ახირებულია შენმა მზემი შენი ქალი თავისთვის ირთავს ქმარსა, თუ შენთვის?

არგანი. თავისთვისაც ირთავს და ჩემთვისაც. მე ჩემს ოჯახში ჩემთვის სასარგებლო კაცი მინდა მყავდეს.

ბერალდი. მაშ შენი სიტყვით, როცა შენი პაწია ქალი გაიზრდება აუთიქარს შერთავ.

არგანი. რა დამიშლის!

ბერალდი. ახლა, ხუმრობა გაშვებით, როდემდის უნდა იყო ექიმებსა და აფთიაქებს გადაკიდებული, რად გინდა ავად იყო როდესაც კაციცა და ბუნებაც გეუბნება, კარგადა ხარო.

არგანი. როგორაო, რას ამბობ?

ბერალდი. იმას ვამბობ, რომ, თუ შენც ავად ხარ, ყველანი ავად ყუფილვართ; ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი ავადმყოფობისთანა ავადმყოფობა. აი თუ გინდა დაგიმტკიცებ, რომ შენ ძალიან კარგათა ხარ. შენ იმდენსა ზრუნავ შენს თავზე და მაინც ავადმყოფობა არ გეკარება და სხვას უშენოს შენოდენა წამლები რომ დაელია, აქამდისინ ათჯერ დაადგებოდა საიქიოს გზას.

არგანი. კიდევ ეგ მაძლებინებს. პაურგონი მეუბნება, სამი დღე რომ მე შენ ყური არ გივლო, ცოცხალი არ დარჩებიო.

ბერალდი. თუ არ გაუფრთხილდი, ის იმდენს გივლებს ყურსა, რომ მალე საფლავში ჩავდებს.

არგანი. შენ როგორცა ვხედავ, ექიმობა არაფრად მიგაჩნია.

ბერალდი. უნდა სწორე გითხრა, მე ესე მგონია, თუ კაცს სიძრულე უნდა, ექიმებს თავი უნდა დაანებოს.

არგანი. რაებს ამბობ? როგორ არა გჯერა და არა გწამს, რაც ყველასაგან მიღებულია და ყოველთვის მიღებული ყოფილა.

ბერალდი. მწამს კი არა, მე ესე მგონია, რომ ექიმობისთანა სულელობა კაცს არა მოუგონია რა. მე მაგ საქმეს ფილოსოფოსსავეთ ვუსტკერი და ყოველთვის მასხარაობად მიმაჩნია, როდესაც ვხედავ, რომ ერთი ადამიანი მეორეს მორჩენას აპირებს.

არგანი. მერე რადა გგონია, რომ ერთი ადამიანი მეორეს ვერ მოარჩენს?

ბერალდი. იმათა, რომ ჩვენი აგებულება დღემდის საიღუმლოებაა და კაცს იმისი არაფერი გაეგება რა. ბუნებამ თვალბზე ისეთი სქელი საბურველი ჩამოგვაფარა, რომ მაგ საქმეში ბნელაში დავფათურებთ.

არგანი. მაშ შენის სიტყვით ექიმებმა არა იციან რა?

ბერალდი. რატომ, იციან. ლაპარაკში ბევრს მეცნიერების სიტყვას ჩაურთვენ, ლათინურს კარგათ გელაპარაკებთან, ყოველს ავადმყოფობას ბერძნულს სახელს უპოვნიან, ასწერენ და თავის ადგილს დაუნიშნავენ, მაგრამ მორჩენისას კი ნურასა ჰკითხავ.

არგანი. მაინც მაგ საქმეში ექიმებმა მეტი იციან.

ბერალდი. მე შენ გეუბნები, იმათ ის იციან, რაც ავადმყოფს არ გამოადგება და მათი ხელოვნების სიკეთე ის არის, რომ ღრმა ოცობოცო ლაპარაკს მოგიყვება, მიზნის თქმის მაგივრად ყურებს სიტყვებით გამოგიტენს და, თუ არ მოგარჩენს, დაპირებას ხომ არ დაიშურებს.

არგანი. ახლა, ჩემო ძამია, შენისთანა ჰკვიანი და გონიერიც ბევრი მინახავს, რომ ავადმყოფობის ღროს ექიმებს ეკითხებოდეს.

ბერალდი. ეგ კაცის სისუსტის ნიშანია და არა ექიმების უებარი —შეკურნალობის ნიშანი.

არგანი. ალბად ექიმებს სჯერათ, რომ მათი ხელოვნება ნამდვილია, თუ თავისთავსაც იმ ხელოვნებით ირჩენენ.

ბერალდი. ზოგნი მათგანი ხალხსავეით შემცდარი არიან და სარგებლობასაც ხედვენ; ზოგნი კი, თუმცა შემცდარნი არ არიან, მაგრამ მაინც სარგებლობის თავის დანებება არ უნდათ. აი თუნდა პიურონი ავილოთ; ეგ კაცი თვალთმაქცი არ არის; ეგ თავით ფეხამდე ექიმი. იმასა სჯერა, რომ წამლობის წესები მათემათიკურს კანონებზე მტკიცენი არიანო და მათი უარყოფა ცოდვა ჰგონია. იმაჲ ექიმობაში არაფერი არა მიაჩნია რა ბნელად, საეჭუოდ, საძნელოდ. ის მტკიცედ გულდაჯერებული, გულდანდობილი, უთავბოლოდ, დაუიღებლად სისხლსაც გამოგიშვებს, სასაქმებელსაც შოგცემს, ფიქრი არაფრისა აქვს. რაც უნდა აგიტეხოს, მაინც არ უნდა გეწყინოს იპისაგან. თუნდა მოგკლას კიდევ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ განგებ არ ჩადის; რაც შენ დაგმართა, იმასვე თავის ცოლსაც, თავის ძვილებსაც დამართებს და, თუ გაუჭირდა, თავის-თავსაც.

არგანი. შენ იმის სიძულვილი დედის რძესთანვე შეგიწოვია. მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ. რა უნდა ჰქნას კაცმა, როცა აყად გახდება?

ბერალდი. აოაფერი.

არგანი. არაფერი?

ბერალდი. სრულებით არაფერი. მხოლოდ მოსვენებული უნდა იყო. თუ შენს აგებულებას არ უშლი, თითონვე გამოგიყვანს იმ უწყესო მკვდომარეობიდან, რომელშიაც ჩვენა ვცვივდებით. ჩვენი მოუთმენლობა, ჩვენი მოუსვენარობა, გაცხარება ახდენს საქმეს და, მგონია. ვისც კი კვდება, წამლებითა კვდება და არა აყადმყოფობით.

არგანი. ამაზედაც ხომ არ ახირდები, რომ ჩვენ შეგვიძლიან სხვა და სხვა გზით შემწეობა გავუწიოთ ჩვენს აგებულებას.

ბერალდი. ეგ აზრები იმიტომა გვაქვს თავში ჩანერგილი, რომ ჩვენთვის სასიამოვნონი არიან. ადამიანის ტვინს ბევრი იმისთანა ოცობოლო აზრები შეუთვისებია, რომელნიც იმიტომ მოგვწონს, რომ იმედის მომცემნი არიან და კარგი იქნებოდა, მართალნი ყოფილიყვნენ, როდესაც ექიმი გეუბნება, მე შევეწევი, ვუშველი შენს აგებულებას, შოვაშორობ, რაც აწყენს და მივცემ, რაც აკლია, გავამთელებ და მოქმედებას გავუადგილებო; როდესაც ის გეუბნება, სისხლს თავის შეღვანილებას მივცემ, გულგვამსა და ტვინს გაგიგრილებ, ელენთას დაგიცბრობ, მკერდს გაგიძლიკრებ, ღვიძლს მოგიჩრჩენ, გულს გა-

ვიმარგებ, ბუნებით სითბოს მოგიმატებ და შეგინახავ და სიცოცხლეს მრავალის წლით გაგიგრძელებო, მაშინ ის შენ სწორედ ჩემების ზღაპარს გაიმბობს. ცხოვრებაში კი ამას ვერაფერს ხედავ და ეს ზღაპარი სწორედ იმ მშვენიერს სიზმრებს ემსგავსება, რომელთაც გამოღვიძების შემდეგ მხოლოდ სინანულში შეეყვარათ, სიზმარს რად ვუჯერებდიო.

არგანი. მაშ მთელი ქვეყნის მიეცინიერება შენს თავში ყოფილა! შენ რომ გკითხოს კაცმა, ყველა ჩვენს გამოჩენილს ექიმებზე მეტი იქი.

ბერალდი. თქვენი გამოჩენილი ექიმები სიტყვასა და საქმეში ერთი არა რიან. იმათ ლაპარაკს რომ ყური დაუგდო, იმათთანა გონიერი არაეინ არის და საქმეზე რომ მივარდება, მაშინ ეტყობათ სრული უმეცრება.

არგანი. კაცმა რომ ყური დაგიგდოს, შენა ყოფილხარ დიდი მიეცინიერი. ნეტავი არ მინდა რა ერთ ერთი ექიმი იყოს აქა, რომ შენი სჯა და სიტყვა პირშივე გაგიქარწყლოს!

ბერალდი. ექიმებთან ბრძოლა რა ჩემი საქმეა. ყველამ თავისი იცის და რაც მოუვა, თავისივე ბრალი იქნება. მე ამას შენის სიყვითის გულისათვის გეუბნები. მე ის მინდოდა, ცოტა მაგ შეცდომილებიდან გამომეყვანე და წამეყვანე მოლიერის ერთ-ერთის კომედიის საყურებლად ამ სავანზე.

არგანი. დიდი უზრდელობა მოსდის, ის ვილაც მოლიერია. რომ იმისთანა კომედიებსა ბლაჯნის. გაგონილა ექიმებისთანა პატიოსანი ხალხის მასხარად აგდება!

ბერალდი. ის ხომ ექიმებს არ იგდებს მასხარად; ის დასჯინის მხოლოდ იმას, რაც ექიმობაში სასაცვილოა.

არგანი. რა იმისი საქმეა ექიმებში გარევა! ის უგუნური, ის წინ დაუხედავი! დასჯინის ექიმების რჩევას და იმათ რეცეპტებს, ებრძვის იმათ წოდებას და იმათთანა დარბაისელ პირთ სათეატროდ ხდის.

ბერალდი. თუ სხვადასხვა წოდების ხალხი არ წარმოადგენინა, მაშ ვილა წარმოადგენინოს: თეატრში ყოველ დღე თავადებსა და მეფეებს არდგენენ და ექიმებს არ ეკადრებათ; მგონი იმათზე უფეთესის ჩამომავლობისა არ არიან.

არგანი. მე რომ ექიმი ვყოფილიყავი, გადავუხდიდი იმის ურცხვობას. ავად რომ გახდებოდა, არაფერს შეეწევოდი; დეი მომკვდარიყო, რაც უნდა ექნა, ერთი ბეწვის ოღენასაც კი არ გამოღმებდი სისხლსა, ერთ პატარა ოყნასაც კი არ გავუკვებდი; ვეჭოლავი, ჩაკედი, ჯანი გაგვარდეს. ეგ ვასწავლის ჰკუას, როგორ უნდა დასჯინო ექიმების წოდებასა მეთქი.

ბერალდი. შენ იმას ძალიან გაუჯავრებიხარ.

არგანი. ის ბრიყვი ისა! ექიმებს რომ. კკუა ჰქონდეთ, როგორც ვამბობ, ისე მოიქცეოდნენ.

ბერალდი. იმას უფრო მეტი კკუა აქვს, ვიდრე შენს ექიმებს; ის ინათ როდი ეტყვის, მიშველეთო.

არგანი. სული ამოუვა, თუ არ იწამლა.

ბერალდი. ის თავისებურად სჯის, ის ამბობს, რომ წამლების დალევა მხოლოდ ღონიერსა და ზორბა ადამიანებს შეუძლიანთო; იმათ იმდენი ძალა აქვთ, რომ თავიანთი ავადმყოფობაც აიტანონ და წამლების სმაცაო. მე კი ჩემის ავადმყოფობის მეტს ვერას ავიტანო.

არგანი. სისულელე შენ სჯა გგონია! კაია, იმაზე ნულარ ვილაპარაკებთ, თორემ ნალველა გამიცხელებდა და უარესად შევიქნებო.

ბერალდი. როგორც გინდა. ახლა სხვაზე ვილაპარაკოთ. იმას ვამბობდი, მე შენ ამასა გთხოვ, რომ შენს ქალს ნუ აძალებ მონასტერში შესვლას იმ მცირე ზიზღისათვის, რომელიც იმან შენგან არჩეულს საქმროს გამოუჩინა. საქმროს ამორჩევაში შენს ცხარე გულს ბრმად არ უნდა მისდიო; შენს ქალსაც უნდა დაეკითხო. ნუ დაივიწყებ, რომ ეგ კავშირი სიკვდილამდე გასწევს და კაცის ბედნიერება ბედნიერს ქორწინებასთან არის დამოკიდებული.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ატჯანა, მჭალებ, ფლტანა (ხელში ოყნა უჭირავს)

არგანი. შენთან უკაცრავად კი ვიქნები, ძმაო.....

ბერალდი. რას აპირებ?

არგანი. ერთი პატარა ოყნა უნდა გავიკეთო; ახლავ გათავდება.

ბერალდი. რაებს ჩადიხარ? ერთს წუთს ვერ გაგიძლია, ან წამალი არ დალიო, ან ოყნა არ გაიკეთო. ეგ, საკვლავოდ დარჩეს, პატარა ხანს მოსვენებით იყავი.

არგანი. ბატონო ფლერან, ეგ ამაღამ იყოს, ან ხვალ დილით.

ფლერანი. რა თქვენი საქმეა, რომ მკურნალთ ბრძანებას ეწინააღმდეგებით და უშლით, რომ ეს ოყნა გაიკეთოს! ძალიან თავს გავსვლაა ეგეთი კადნიერობა.

ბერალდი. წადით, ბატონო, მოგვეზორდით; თქვენის ხელობის კაცი ადამიანის სახესთან ლაპარაკს დაჩვეული არ არის.

ფლერანი. აგრე წამლებთან ხუმრობა ვის გაუგონია? მეც ღროს ტყუილად მაკარგვინებთ. მე ექიმის ბძანებით მოვედი აქა; ახლავ წა-

ვალ და პიურგონს მოვანსენებ, რომ მე დამიშალეს იმის ბრძანების და ჩემის ვალის ასრულება. ნახათ, ნახათ, რაც მოგივით.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ი

აზგანი და შერალდი

აზგანი. შენ უეჭველად ხიფათს შემამთხვევ რასმე.

ბერალდი დიდი ხიფათია, თუ პიურგონის ოყნა არ გაიკეთე! კიდევ გეტყვი და გაწყენინებ: მაშ ხსნა აღარ არის მაგ წამლების ახირებისაგან? გინდა მთელი შენი სიცოცხლე წამლებში გაატარო.

აზგანი. დმერთო, დამიფარე! შენ ეგრე იმითმ ლაპარაკობ, რომ კარგადა ხარ; აბა ჩემს ადგილას იყო, მალე სხვა ბანს შესძახებდი. როცა კაცს არა სტკივა რა, ადვილია ექიმების წინააღმდეგ ლაპარაკი.

ბერალდი. მერე შენ რაღა გტკივა?

აზგანი. ნალეულა გამისკდა ამდენი ყბედობით! ნეტავი, რაც მე მტკივა, შენცა გტკივოდეს; ენახავდი, ეგრე ილაპარაკებდი მაშინაც თუ არა. აგერ პიურგონიც მობრძანდება.

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ ვ ს ე

პიურგონი, ჭოანჯი, აზგანი, შერალდი

პიურგონი. კაი ამბები დამახვედრეს შენს კარებთან! ჩემს ბრძანებას აღარ ასრულებენ, სასაცილოდ იგდებენ!

აზგანი. ბატონო, ეს მე....

პიურგონი. გაგონილა ასეთი თავხედობა; ავადმყოფისაგან ექიმის წინააღმდეგობა!

ტუანეტი. საშინელი ამბავია!

პიურგონი. ჩემი ხელით შედგენილი ოყნა უნდა დაეწუნათ!

აზგანი. ეგ მე არ....

პიურგონი. აღმოჩენილი და შედგენილი ხელოვნების კანონები!

ტუანეტი. დამნაშავეა.

პიურგონი. რომელსაც უნდას აკვირვლად ემოქმედნა გულგვამზე!

აზგანი. ჩემი ძმა.

პიურგონი. ზიზლით უკანეე დააბრუნეს!

აზგანი. (ბერალდზე უჩვენებს). ეს არის.....

პიურგონი. ეგ მეტის-მეტი კადნიერობაა!

ტუანეტი. მართალსა ბრძანებთ.

პიურგონი ეგ არის მკურნალთ წინააღმდეგი შეთქმულება!

არგანი. (ბერალდზე უჩვენებს). ეს არის მიზეზი...

პიურგონი. წოდების შეურაცხყოფელი ცოდო, რომლისთვის ღირსი სასჯელიც კი ძნელად მოსაპოვებელია!

ტუანეტი. ქეშმარიტია.

პიურგონი. ამას იქით მე შენთან საქმეს აღარ დავიჭერ!

არგანი. ჩემი ძმის....

პიურგონი. მე აღარ მინდა შენთან კავშირი!

ტუანეტი. ახია მაგაზე.

პიურგონი. იმის დასამტკიცებლად, რომ მე შენთან ვწყვეტ ყოველს დამოკიდებულებას აი ის ჩუქების ქალალდი, რომელიც საქორწილოთ მე უნდა ჩემის ძმისწულისთვის მიმეცა! (ხვეს ქალალდს და ნაკუწებს მიაბნ-მოაბნევს).

არგანი. ეს უბედურება სულ ჩემი ძმის ბრალია.

პიურგონი. ჩემი ოყნა უარჰყო!

არგანი. მოატანიეთ, გავიკეთებ.

პიურგონი. ამ ცოტას ხანში მორჩენას გიპირებდი.

ტუანეტი. ახლა ღირსი აღარ არის.

პიურგონი. მე მინდოდა გამეწმინდა შენი გვამი და გამეგლო უვარგისნი ნივთიულებანი.

არგანი. ოჰ, ჩემო ძმაო!

პიურგონი. ერთი ღუეინი მინა წამალი კიდევ რომ დაგელია, სულ გაგწმენდი.

ტუანეტი. არ არის ღირსი თქვენი ზრუნვისა, არა.

პიურგონი. რადგან არ მოინდომე ჩემის ხელით მორჩენა;

არგანი. ეგ ჩემი ბრალი არ არის.

პიურგონი. რადგან შენ უარჰყავ მორჩილება, რომელიც ექიმს კუთვნის;

ტუანეტი. სწორედ უნდა გადაუხადოთ.

პიურგონი. რადგან შენ ჩემგან დანიშნული წამლები შეურაცხყავ;

არგანი. ფიქრადაც არ მომსვლია.

პიურგონი. მე შენ მიმინებებიხარ შენს ცუდს აგებულებას, შენის გულ-გვამის არეულობას, შენის სისხლის წახდენას, შენის ნაღველის სიმწარეს, შენის განაწლის სიხმელეს!

ტუანეტი. ეგრე ურჩევნიან.

არგანი. ღმერთო ჩემო!

ტუანეტი. მე მსურს, რომ ამ ოთხს დღეზე მოურჩენელი გახდე;

არგანი. შემებრალებო.
 პიურგონი. რომ შენ შეგეყაროს ბრადიპეპსია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი ბრადიპეპსიის შემდეგ დისპეპსია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი. დისპეპსიის შემდეგ აპეპსია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი. აპეპსიის შემდეგ ლიენთერია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი. ლიენთერიის შემდეგ დიზენტერია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი. დიზენტერიის შემდეგ ჰიდროფიზია!
 არგანი. ბატონო პიურგონ!
 პიურგონი. ჰიდროფიზიის შემდეგ განშორება სიცოცხლისა, რაი-
 ცა იქნება შედეგი შენის უქყობისა!

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

არგანი და ბერალდი

არგანი. მოკვდი, ეს არის, სული ამომივიდა. შენ დამლუპე, და-
 მანელე. ლმერთო!

ბერალდი. რა არის, რა ამბავია?

არგანი. შეუძლოდ გაუხდი; მე ვგრძნობ კიდევ, რომ ჩემზე ჯავ-
 რსა ყრილობს.

ბერალდი. სწორედ გაგიყებულხარ. მადლობა ლმერთს კიდევ,
 არავინა გხედავს. პატარა გული მოიბრუნე, შენს თავს დაუფიქრდი,
 შიშს ნუ ეძლევი.

არგანი. ვერა ნახე, რა ავადმყოფობას მიქადიდა!

ბერალდი. ვერე გამოყეყეებაც არ ვარგა.

არგანი. არ გესმოდა, ოთხ დღეზე მოუარჩენელს ავადმყოფად
 გაგხდიო.

ბერალდი. რაო, მერე რომ მესმოდა? წინასწარმეტყველი ხომ არ
 არის! შენ რომ კაცმა ყური დაგიგდოს, ასე ეგონება, შენი სიცოც-
 ხლის ძაფი პიურგონს უჭირავს და თავისი უმალღესი ნებით, თუნდა
 გააგრძელებს, თუნდა შეამწყლებს. შენი სიცოცხლენ შენს ხელშია:
 პიურგონის წყრომა შენ ისე ვერ მოგკლავს, როგორც იმისი წამლე-
 ბი ვერ გაგამრთლებენ. ეს კარგი მიზეზი იქნება, რომ ექიმებს დაეხ-

სნა; თუ მაინცა და მაინც არ დაიშლი, უნდა სხვა იმისთანა ექიმი იპოვნო, რომელიც მაგასავით ცხარე არ იყოს.

არგანი. მაგან იცის ჩემი აგებულება; იცის რა მარგებს და რა მაწყენს.

ბერალდი. უნდა გითხრა, საშინელი ქირვეული კაცი ხარ! შენ საგნებს უცნაურად ხედავ.

ს უ რ ა თ ი მ ე რ მ ე

არგანი, შურალდი, ფოანჯი

ტუანეტი. ბატონო, ერთი ექიმი გეახლათ თქვენს სანახავად.

არგანი. ვინ ექიმი?

ტუანეტი. ავადმყოფების ექიმი.

არგანი. მე მაგას როდი გკითხავ; სახელი მითხარი მეთქი.

ტუანეტი. მე იმას არ ვიცნობ, მაგრამ მე ისე მგავს, როგორც შუაზე გაპობილი ვაშლი. მე რომ დედი ჩემის ჰატიოსნებაზე დარწმუნებული არ ვიყო, ვიფიქრებდი, ალბად იმას მამა-ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემთვის ერთი პაწია ძმა გაუჩენია მეთქი.

არგანი. შემოიყვანე.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე

არგანი და შურალდი

ბერალდი. აჰა, ესეც შენი სურვილი. ერთი ექიმი წაგივიდა, მეორე მოღის.

არგანი. მე მეშინიან, რომ შენმა ქცევამ უბედურება არ დამმართოს რა.

ბერალდი. კიდევ რა დაგემართა, ველარ გაათავე!

არგანი. აი რალაც უცნაური ავადმყოფობა მიქადა, სულ გულზე მაწევს, ესენი.....

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

არგანი, შურალდი, ფოანჯი (ექიმის ტანისამოსში)

ტუანეტი. ბოდის ვიხდი, ბატონო, რომ თქვენს სანახავად გახელით, რათა გაგიწიოთ სამსახური, რაიცა შეეხება თქვენთვის საჭირო სისხლის გამომწვებასა და ოყნასა.

არგანი. დიდათა გმადლობთ, ბატონო. (ბერალდს) ეს თითონ ტუანეტი არ არის?

ტუანეტი. თუ უკაცრავად არ გახლდებით, მე ერთი ბრძანება უნდა მივცე ჩემს მსახურს. ახლავე გაიხლებით.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

არგანი, შერალდი

არგანი. სწორედ პირ-წავარდნილი ტუანეტია.

ბერალდი. მართლა რომ ძალიანა ჰგავს, მაგრამ ეს ხომ პირველი მაგალითი არ არის. ისტორია სულ ამ ბუნების საკვირველებით არის სავსე.

არგანი. მე კი გაოცებული ვარ და!

ს უ რ ა თ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

არგანი, შერალდი, ცუანეტი

ტუანეტი. რას მიბრძანებდით, ბატონო?

არგანი. როგორა?

ტუანეტი. თქვენ არ დამიძახეთ?

არგანი. მე? არა.

ტუანეტი. მაშ ყურებმა თუ მიწვილეს.

არგანი. პატარა ხანს აქ დარჩი; ვნახოთ ის ექიმი როგორ გგავს.

ტუანეტი. იჰ, თვალიც დაუდგება! მე ძირს საქმე მაქვს.

ს უ რ ა თ ი მ ე ტ ა მ ე ტ ე

არგანი და შერალდი

არგანი. ორივეს რომ არა ვხედავდე, ასე შეგონებოდა ერთი და იგივე არიან მეთქი.

ბერალდი. მე ამ გვარს მზგავსებაზე ბევრი მიკითხავს. ჩვენს დროშიაც ბევრი იმისთანა შემთხვევა ხდება, რომ ორს პირს ვერა-ვინ ვერ არჩევს ერთმანეთისაგან.

არგანი. მე ამგვარს შემთხვევაში მოვტყუებდებოდი და სწორედ დაეიფიცავდი, რომ ეს ექიმი ტუანეტია.

არგანი, ნურალდი, ფუანდვი (ექიმის ტანისამოსში)

ტუანეტი. უკაცრავად გახლავართ თქვენთან, ბატონო.

არგანი. (ხმა-დაბლა ბერალდს) საკვირველება!

ტუანეტი. იმედი მაქვს არ გაწყრებით, რომ თქვენისთანა გამოჩენილის ავადმყოფის ნახვა მოვიხდომე. თქვენი სახელი ისეა ქვეყანაზე გავარდნილი, რომ მომტივებთ ამ კადნიერებას.

არგანი. მზა გახლავართ თქვენის სამსახურისა.

ტუანეტი. თქვენ მე, ბატონო, გაშტერებული მიცქერით, ხომ არა გსურთ, გამოიცნოთ, რაუდენის წლისა ვარ.

არგანი. ბევრისა იყოთ, ოც-და-ექვსისა, ოცდა-შვიდისა, მეტისა არ იქნებით.

ტუანეტი. ჰა, ჰა, ჰა! მე გახლავართ ოთხმოც-და-ათი წლისა.

არგანი. ოთხმოც-და-ათისა!

ტუანეტი. დიახ. მე ჩემის ხელოვნების წყალობითა მაქვს ასეთი სალი და ყმაწვილური სახე.

არგანი. ოთხმოც-და-ათის წლის ბერიკაცი და ასეთი ლამაზი ყმაწვილი-კაცი! რომ არ გაგონილა!

ტუანეტი. მე მოგზაური ექიმი გახლავართ; დავდივარ სოფლით სოფლად, სხვა-და-სხვა თემებში, სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. მე ვეძებ ჩემის ნიჭიერების შესაფერს საქმეს; მე ვეძებ იმისთანა ავადმყოფებს, რომელნიც ჩემის შრომის ღირსნი არიან, რომელთაც გამოადგებათ დიადნი და მშვენიერნი საიდუმლოებანი, აღმოჩენილი ჩემგან ექიმთა ხელოვნებაში. მე ვხადი ჩემთვის უღირსად, დავკარგო დრო რალაც უბრალო ავადმყოფების მოსარჩენად; მე როგორ შევიწუხებ თავს რალაც ქარებისა, ანთებისა, ციებისა, თავის ტკივილისა, ჰიპოქონდრიისათვის! მე მეჭირვება ძნელი ავადმყოფობა: კარგი გამოუჩენელი ციებ-ცხელება, ტვინის ანთება, დამპალი ციება, კარგი წყალმაკი, მაგარი პლევრიტი ფილტვების ანთებით. აი ჩემი საქმე რა არის; აქ შემიძლიან მე გავიმარჯვო. მე მსურს ბატონო, რომ რაც ავადმყოფობა დაგისახელეთ, სულ თქვენა გპირდეთ; რომ თქვენ იყოთ ყველა ექიმებისაგან ხელ-აღებულის, უკანასკნელს დღეში, და მაშინ გიჩვენებთ ჩემის წამლების ძალას და ჩემს სურვილს თქვენის სამსახურისა.

არგანი. მაღლობელი გახლავართ, ბატონო, მაგ უბოძო გულკეთილობისათვის.

ტუანეტი. აბა, მაჯა მაჩვენეთ! იმუშავე, როგორც წესია! მე გასწორებ შენ! ოჰო, ეს მაჯა ძალიან ურჩობს; როგორც ვატყობ, ჯერ მე არ მიცნობს. ვინა გწამლობთ?

არგანი. ექიმი პიურგონი.

ტუანეტი. ეგ ჩემს წიგნში არ არის ჩაწერილი გამოჩენილთ ექიმთა შორის. რას გეუბნებათ, რითი ხართ ავადაო?

არგანი. ის ამბობს, ღვიძლი გტკივაო და სხვები მეუბნებიან ელენტაო.

ტუანეტი. ყველანი უმეცარნი ყოფილან. თქვენ ფილტვები გტკივთ და იმითი ხართ ავადა.

არგანი. ფილტვები?

ტუანეტი. დიახ. რითი გრძნობთ თქვენს ავადმყოფობას?

არგანი. ხანდისხან თავი მტკივა.

ტუანეტი. სწორედ ფილტვების მიზეზია.

არგანი. ხანდისხან თვალეებზე თითქო ბინდი მეკვრის.

ტუანეტი. ფილტვებია.

არგანი. ხანდისხან გულიცა მტკივა.

ტუანეტი. ფილტვებია.

არგანი. ხანდისხან მთელი ტანი დამტკრეულისავეითა მაქვს.

ტუანეტი. ფილტვებია.

არგანი ხანდისხან გულგვამიცა მტკივა, მუცელსა მგვრემს ხოლმე.

ტუანეტი. ფილტვებია. მადა კარგი გაქვთ?

არგანი. დიახ, ბატონო.

ტუანეტი. ფილტვებია. ღვინოსაც ხომ მიირთმევთ ცოტას?

არგანი. ვიახლებით.

ტუანეტი. ფილტვებია. საკმლის მიღების შემდეგ ხომ ძილი მოგდით, ხომ თვალეები გეხუჭებათ?

არგანი. სწორედ.

ტუანეტი. ფილტვებია, ფილტვები მეთქი; სულ ფილტვების მიზეზია. რას გაქმევთ თქვენი ექიმი?

არგანი. წვნიანს,

ტუანეტი. უმეცარი!

არგანი. ქათამს,

ტუანეტი. უმეცარი!

არგანი. ხბოს ხორცს,

ტუანეტი. უმეცარი!

არგანი. ბულონს.

ტუანეტი. უმეცარი!

არგანი. ახალ კვერცხებს,

ტუანეტი. უმეცარი!

არგანი. ღამ-ღამე ქანკურს მაქმევს მუტელში გასაყვანად.

ტუანეტი. უმეცარი.

არგანი. ღვინოში ბევრს წყალს მირევს.

ტუანეტი. უმეცარი, უცოდინარი, უსწავლელი! ღვინო უწყლო უნდა დალიოთ და თქვენის თხელის სისხლის გასასქელებლად უნდა სკამოთ კარგი კამბეჩის ხორცი, კარგი ღორის ხორცი, კარგი ჰოლანდიის ყველი, ფაფა, ფლავი, წაბლი, შაქრის პური, და მახოხი, რათა შეწებდეს და მოსქელდეს სისხლი თქვენი. თქვენი ექიმი მხეცო ყოფილა, მე სხვას გამოგიგზავნით და მეც, როცა ამ ქალაქში ვიქნები, უნახავს არ გაგიშვებთ.

არგანი. დიდად მავალებთ.

ტუანეტი. ეს მკლავი რად გინდათ?

არგანი. რას მიბრძანებთ?

ტუანეტი. მე რომ თქვენი ვიყო, მაგას ახლავ მოვაპრევივინებდი!

არგანი. როგორ თუ მოვაპრევივინებდი!

ტუანეტი. ვერა ხედავთ, მაგას მთელი საზრდო თავისკენ მიაქვს და მეორე მხარეს საზრდოობას უშლის!

არგანი. ეგ მართალია, მაგრამ მკლავიც ჩემთვის? საჭიროა.

ტუანეტი. მე რომ თქვენი ვიყო, მაგ მარჯვენა თვალსაც ამოვი-
თხრიდი.

არგანი. თვალის ამოთხრა რაღაა?

ტუანეტი. ვერა ხედავთ, რომ მეორეს საზრდოსა სტაცებს და სჩაგრავს. დამიჯერეთ, ჩქარა ამოათხრევივინეთ; მასუკან მარცხენა თვალით უფრო კარგა დაინახავთ.

არგანი. მაგაზე მასუკან ვილაპარაკოთ.

ტუანეტი. მშვიდობით. ვწუხვარ, რომ ასე მალე თავს განებებთ, მაგრამ ერთს ექიმების თათბირს უნდა დავესწრო, სადაც ბაასი იქნება გამართული ერთს კაცზე, რომელიც გუშინ გარდაიცვალა.

არგანი. გუშინ გარდაიცვალაო?!

ტუანეტი. დიახ, ჩვენ გვსურს შევიტყოთ, რითი შეიძლებაოდა იმის მორჩენა. ნახვამდის.

არგანი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ხომ მოგეხსენებათ, ავადმყოფები არ აცილებენ.

ს უ რ ა თ ი მ ე თ უ თ ხ მ ე ტ ა

არგანი და ზჭაღდი

ბერალდი. აი ეგ უნდა იყოს კაი ექიმი.

არგანი. იქნება, მაგრამ ძალიან კი ჩქარობს.

ბერალდი. ყოველი გამოჩენილი ექიმი ეგეთია.

არგანი. მკლავი მოიქერ, თვალი ამოითხარეო, რომ მეორე მკლავი და თვალი კარგათ იყვენო. თუ აგრეა, მე ის მირჩევენიან, რომ კარგად არ იყვენ. კაი წამალია, მომარჩინოს, მაგრამ ცალ-ხელა და ცალ-თვალა გამზადოს!

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე ჭ მ ს მ ე ტ ა

არგანი, ზჭაღდი, ტუანცი

ტუანცი. (ვითომ კარში ვილაცას ელაპარაკება) თავი დამანებეთ; მე ხუმრობა არ მიყვარს.

არგანი. ვის ელაპარაკები?

ტუანცი. თქვენს ექიმს უნდოდა ჩემთვის მაჯა გაესინჯა.

არგანი. კარგი ოთხმოც-და-ათის წლის ბებერი ყოფილა.

ბერალდი. ახლა, ხომ პიურკონსაც წაეჩხუბე; არ შეიძლება ჩემის ძმისწულის საქმეზე მოგელაპარაკო?

არგანი. არა, უეჭველად უნდა მონასტერში მიეცე, რადგან ჩემს სურვილს წინააღუდგა. მე მენმის, რომ მანდ რაღაც არშიყობის ამბავია; მე შეეიტყვე, რომ ჩემი ქალი სხვებს ჩუმიდ ნახულობს, სხვამ კი ჯერ არავინ იცის, რომ მე ეს შეტყობილი მაქვს.

ბერალდი. მერე; სწორედ რომ გული მისდიოდეს ვიზედმე, მომაკვდინებელი ცოდვია? შენ არა შეგარცხვენს რა, თუ სტრვილი წმინდაა და ჯვარისწერა განუზრახავთ.

არგანი. რაც გინდა ილაპარაკე, მაინც მოლოზნად უნდა შევიდეს, ეგ გადაწყვეტილია.

ბერალდი. შენ სხვის ჩაგონებით ჩადიხარ მაგას.

არგანი. ვიცი, ვისაც გადაჰკარი! ასა, ღმერთო ჩემო! ჩემი ცოლი, რა ყელზე ფხათ დაგდგომია.

ბერალდი. რახან გინდა, გულ-მართლად ვილაპარაკო, სწორეს გეტყვი; სწორედ შენს ცოლზე მინდოდა ლაპარაკი. მე არც შენი

წამლების დაჟინება მომწონს, არც ისა, რომ შენს ცოლს ფეხ-ქვეშ გეგები და უოველს იმისაგან დაგებულს მახეში ფენსა ჰყოფ.

ტუანეტი. ნუ, ბატონო, ქალბატონზე ცუდს ნურას იტყვი; სწორედ ანგელოზია; ეშმაკობა იმას არა აქვს რა და ისე უყვარს ჩემი ბატონი, ისე უყვარს, რომ... თქმაც კი მიჰირს.

არგანი. (ბერალდს) ერთი ამას ჰკითხე, როგორ მებალერსება ხოლმე.

ტუანეტი. მართალსა ბრძანებს.

არგანი. როგორა სწუხს ჩემის ავადმყოფობისთვის;

ტუანეტი. გულს ეყრება.

არგანი. როგორ მივლის და თავს დამტრიალებს.

ტუანეტი. ნამდვილსა ბრძანებს. (ბერალდს) გნებაეთ, დავარწმუნოთ და ახლავ გაჩვენოთ, როგორ უყვარს იმას ჩემი ბატონი? (არგანს) გნებაეთ, ამათ თვალები აფუხილო და შეცდომილებას ავაცილო.

არგანი. როგორ მერე?

ტუანეტი. ქალბატონი საცაა მობრძანდება; თქვენ ამ სკამზე გაწეკით და თავი მოიმკვდარუნეთ. ერთი ნახეთ როგორ თავს მოიკლავს, ამ ამბავს რომ გაიგონებს.

არგანი. ძალიან კარგი.

ტუანეტი. დიდხანს კი ნუ აწვალებთ, თორემ მწუხარება თან გადაიტანს.

არგანი. ეგ მე ვიცი.

ტუანეტი. (ბერალდს) თქვენ იმ კუთხეში დაიმაღეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე

არგანი და ტუანეტი

არგანი. საშიში ხომ არ არის თავის მომკვდარუნება?

ტუანეტი. რა საშიში უნდა იყოს! გაწეკით, ნულარ უყურებთ (ხმა დაბლა) რა კარგი იქნება, თქვენს ძმას რომ შევარცხვენთ. აგერა ქალბატონი; ფრთხილად იყავით.

ს უ რ ა თ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

არგანი, სჯამბე გაწოლილი, ტუანეტი და ბელინი

ტუანეტი (ვითომ ბელინს ვერა ხედავს) ვაიმე ბატონო, ვაიმე ამ დღის მომსწრეს!

ბელინი. რა ამბავია, ტუანეტი?

ტუანეტი. ვაიმე, ქალბატონო, შენი ჰირიმე!

ბელინი. რა არის, რა ამბავია?

ტუანეტი. ბატონი გარდაიცვალა.

ბელინი. გარდაიცვალა?

ტუანეტი. დიახ, ქალბატონო, თქვენი ქირი წაიღო.

ბელინი. მართლა?

ტუანეტი. მართალს მოგახსენებთ—ჯერ ეს ამბავი არავის შეუტყვია. მე აქ მართო გახლდით; ეს არის ახლა ჩემს ხელში დალია სული, ხედავთ ამ სკამზე როგორ გაშოტილა.

ბელინი. მადლობა ღმერთს; ძლივს ეგ ქირი თავიდან არ მოვიცილე. რამ გაგაგიჟა, ტუანეტ, რასა სტირი?

ტუანეტი. მე მეგონა, უნდა მეტირნა.

ბელინი. საქმე გამოგლეცია! ერთი მითხარ, რა დაგვაკლდა მაგის სიკვდილით? რას მიკეთებდა? ყველას შემაწუხარი, უსუფთავო, პილწი, მურტალი, მყრალი! მუდამ წამალი, მუდამ ოყნა, მუდამ ცხვირის ხოცვა, ხველევა, ფურთხება! უქკუო, სულელი, ანჩლი, ყველას ილაჯის წამრთმევი, დღე და ღამე ბიჭებისა და გოგოების დამტუქსი!

ტუანეტი. კაი შესანდობელია!

ბელინი. ტუანეტ, შენ მე უნდა ჩემის აზრის შესრულებაში ხელი მომიმართო; შენს ერთგულებას უთუოდ გადაგიხდი. ჯერ ვიდრე ეს არავინ იცის, მიშველე, ეს თავის ლოგინზე გადავიტანოთ და ნურაჯის რას ვეტყვი, ვიდრე ჩემს საქმეებს მოვაგვარებდე. ქალაღებია, ფულია; მე მინდა ზოგიერთი რამ ხელში მოვიგდო. მაშ რისთვის შევალე მამას ჩემი ახალგაზრდობა! აქ მო, ტუანეტ, ეს გასაღებები შემოვხსნათ.

არგანი. (წამოხტება) მოიცა, მოიცა, ნუ ჩქარობ.

ბელინი. ვაი!

არგანი. მაშ ეგრე გიყვარვარ?

ტუანეტი. ჯერ სულ მკვდარი არა ყოფილა.

არგანი. (ბელენს, რომელიც გარბის) კარგია, შენი გულის ტკივილი შევიტყვე, გავიგე შენგან ჩემი ქება. ეს მე ჰკუას მასწავლის; ბევრს საფრთხეს ამაცილებს.

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ი

აბგანა, ცუანეტი და ბრალდი, (რომელიც კუთხიდან გამოვა, საცა დამალული იყო)

ბერალდი. ახლა რალას იტყვი?

ტუანეტი. ამას თავის დღეში როგორ დავიჯერებდი! მოიცადეთ, აბგერ თქვენი ქალიც მოდის. აბა ისევ ისე გაწეკით, როგორც იყავით;

ენახოთ, ის რაღას იტყვის თქვენს სიკვდილზე. ურიგო არ არის, კაცმა ეს შეიტყოს. თქვენ ხომ არა დაგიშავდებათ რა და ყველაფერს კი გაიგებთ, რა თვალითაც თქვენი ცოლშვილი გიყურებთ (ბერალდი დაიმალება).

ს უ რ ა თ ი მ ე ო ც ე

აბგანი, ანჯელიკი, ჭუანდი

ტუანტი. (ვითომ ანჯელიკს ვერ ხედავს) ეს რა საშინელებაა! ეს რა დღე გაგვიტენდა!

ანჯელიკი. რასა სტირი, ტუანტი; რა ამბავია?

ტუანტი. ვაიმე, ბატონის ქალო, რა ცუდი ამბავი უნდა გაგიმქლავნო.

ანჯელიკი. რა ამბავია?

ტუანტი. მამა თქვენი გარდაიცვალა.

ანჯელიკი. მამა ჩემი გარდაიცვალა?

ტუანტი. ეს არის ახლა სული ამოუვიდა, სისუსტემ თან გაღაიტანა.

ანჯელიკა. ამას რას მოვესწარ! ეს რა საზარელი ამბავი გავიგონე. მაგის მეტი ვილა მყავდა ქვეყანაზე, რომ ეგეც არ დამეკარგა, ვაი ჩემს თავს, რომ უკანასკნელი წუთი მე იმას გავუმწარე! რაღა ვარ ამ ქვეყანაზედა! რითლა ვინუგეშო, მაგისთანა მამის დამეკარგავმა!

ს უ რ ა თ ი მ ე ო ც ე ა მ რ თ ი

აბგანი, ანჯელიკი, ჭუანდი, კლანტი

კლანტი. რა მოგივიდა, მშვენიერო ანჯელიკ, რას დასტირი?

ანჯელიკი. ვაიმე უბედურსა! მე დავსტირი ჩემს ძვირფასს, ჩემს საყვარელს, ჩემს მოამბაგე მამას.

კლანტი. ეს რა მესმის? რა მოულოდნელი უბედურება გწვევიათ. ეს იყო მე ბიძა შენი მოვიმხრე და ვთხოვე ჩემთვის ეშუამდგომლა; მასუკან ვაპირებდი მოსვლასა; ხევწითა და მუდარით ვლამობდი იმის გულის მოლბობას, რომ თქვენი თავი ჩემთვის მოეცა და აი რა სანახავსა ვხედავ.

ანჯელიკი. ოჰ, კლანტი, რა დროს ეგ არის! რა დროს გათხო-

ვებაზე ლაპარაკია. მამიჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველისფერი უარ-
მიყვია. ჩემო ძვირფასო მამავ, თუ მე შენ ურჩობა გაგიწიე, ერთს
შენს სურვილს მაინც შევასრულებ და მოვინანებ იმ მწუხარებას, რო-
მელიც მე შენ მოგაყენე. (დაიჩოქებს) გპირდები ამას, მამაჩემო, და
გთხოვთ ჩემი შეცოდების მოტევენას; ნება მომეცი, რომ უკანა-
სკენლად გამოგესალმო.

არგანი. (შემოეხვევა ანჯელიკს) შეილო!

ანჯელიკო. ვაიმე!

არგანი. აქ მო; ნუ შეგეშინდება; მე ჯერ არ მომკვდარე. აქ
მოდი. შენა ხარ ჩემი ხორცი, ჩემი სისხლი. ახლა გიცან, რაცა ხარ,
ჩემო ძვირფასო შეილო!

ს უ რ ა თ ი მ ე ო ც დ ა ო რ ი

არგანი, ანჯელიკი, კლუანტი, ტუანტი, ბერალდი

ანჯელიკო. მამაჩემო, რადგან, ჩემდა საბედნიეროთ, ზეცამ თქვე-
ნი თავი დამიბრუნა, ნება მიბოძეთ მუხლმოდრეკით ერთი თხოვნა
გაგიბედოთ. თუ ვინც მიყვარს, იმას არ მიმათხოვებთ, თუ კლუანტს
არ შემრთავთ, სხვის შერთვას მაინც ნუ დამიძალებთ. მოიღეთ ჩემზე
მხოლოდ ეს მოწყალეობა.

კლუანტი. (არგანს დაუჩოქებს) გზა მიეცი თქვენს გულში ჩვენს ვედ-
რებას; ნუ დაგვიშლით ჩვენი სიყვარულის დაგვირგვინებას.

ბერალდი. განა უარის თქმას კიდევ მოახერხებ?

ტუანტი. ამისთანა სიყვარული თქვენ არას გაგრძნობინებს?

არგანი. თუ ექიმი გახდება, ყაბულსა ვარ, (კლუანტს) ჰო, გახდი
ექიმი და ქალს მაშინ მოგცემ.

კლუანტი. დიდის სიამოვნებით. თუ ამაზე არის საქმე მომდგა-
რი, ექიმი კი არა, თუ გნებავთ აფთიაქარი გავხდები. ეგ რა დიდი
ამბავია. ჩემი კარგი ანჯელიკის გულისთვის რა გამიქირდება.

ბერალდი. თუ აგრეა, ჩემო ძმაო, მოდი შენ თითონ გახდი
ექიმად: ის უფრო კარგი არ იქნება, რომ შენვე იყო ექიმი.

ტუანტი. აი კაი სიტყვა; აი ეგ მოგარჩენთ მალე. რა ავადმო-
ფობა იქნება იმისთანა, რომ ექიმიც არ დაინდოს.

არგანი. რას მემასხარავებით, რალა დროს ჩემი სწავლაა!

ბერალდი. რის სწავლა! შენ საკმაოდ სწავლული ხარ და ბევრი
ექიმი ვიცი, რომ შენოდენაც არ იცის.

არგანი. ექიმი ხომ ლათინურს უნდა ლაპარაკობდეს, ავადმყოფის
გარჩევა უნდა იცოდეს; იცოდეს, რა წამალი მოუხდება.

ბერალდი. თუ ექიმების ტანისამოსი ჩაიცვი და იმათებური ქუდი დაიხურე, ყველაფერი გეცოდინება და ისეთი სწავლული გახდები, რომ შენი მოწონებული.

არგანი. ექიმების ტანისამოსი რომ ჩავიცვა, ავადმყოფობის შეტყობა შემეძლება?

ბერალდი. რასაკვირველია. ოღონდ ის ტანისამოსი გეცვას და ის ქუდი გეხუროს და, რაც უნდა იუბედო, ყოველი სისულელე სიბრძნე ეგონებათ.

ტუანეტი. თქვენს წვერზე რაღასა ბრძანებთ; წვერი თითქმის ნახევარი ექიმია.

კლევანტი. მე ყოველისფერზე მზად გახლავართ.

ბერალდი. (არგანს) გინდა, ეგ ყველაფერი ახლავ მოხერხდეს?

არგანი. ახლავ?

ბერალდი. ახლავ, აქვე, შენს სახლში.

არგანი. ჩემს სახლში.

ბერალდი. მე იმისთინა მეგობრები მყვანან მაგ წოდებაში, რომ ახლავ აქ მოვიყვან და ექიმად მიგაღებინებ. არაფერი არა დაგიჯდება რა.

არგანი. მერე მე რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო?

ბერალდი. ყველაფერს თითონ გასწავლიან, დაგიწერენ, რაც უნდა სთქვა. წადი, რიგიანად ჩაიცვი, ახლავ მოვაძებნინებ.

არგანი. ბატონი ხარ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო ც დ ა ს ა მ მ

ბერალდი, ანჯელიკი, ტუანეტი; კლევანტი

კლევანტი. რომელს მეგობრებზე ელაპარაკებოდით?

ტუანეტი. რა გნებაეთ, მოახდინოთ?

ბერალდი. პატარა დროს გავატარებთ, შევექცევით და ჩემს ძმასაც ავიყოლიებთ.

ანჯელიკი. ბიძაჩემო, მამიჩემის ეგრე მასხარად აგდება რას ეგვანება.

ბერალდი. მასხარად აგდება რად იქნება, თუ რაც უნდა იმას ვუსრულებთ. ჩვენ ხომ შიგ გავერევიით და ყველას თავთავისი როლი გვექნება; ყველანი ერთმანეთს შევაქცევთ. წავიდეთ, ყოველისფერი მოვამზადოთ.

კლევანტი. (ანჯელიკს) ყაბულსა ხართ?

ანჯელიკი. რახან ბიძა ჩემს ნებავს, რალა მეთქმის.

ქალერ ექიმი

Le m^odecin malgr^e lui

სამზღებრეუბიანი უბნუღია

თარგმანი

ფატი ზოქიელინა

მომქმედნი პირნი:

1. ჟერონტი, ლუცინდას მამა
2. ლუცინდა, ჟერონტის ქალი.
3. ლეანდრი, ლუცინდას მიჯნური.
4. სგანარელი, მარტინას ქმარი.
5. მარტინა, სგანარელის ცოლი
6. რობერტი, სგანარელის მეზობელი.
7. ვალერი, ჟერონტის მსახური
8. ლუკა, ჟაკლინას ქმარი.
9. ჟაკლინა, ძიძა ჟერონტის ოჯახში და ლუკას ცოლი
10. ტიზო, პერრენის მამა
11. პერრენი, } გლეხები.

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

სტენა წარმოდგენს ტყვს

ს ლ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სგანარელი, მარტინა

სგანარელი. მე შენ გვეუბნები, არ მსურს მუშაობა. აქ მე ვარ ბატონი თუ არა?

მარტინა. მე კი გვეუბნები,—უნდა იცხოვრო ისე, როგორც მე მინდა. იმიტომ კი არ წამოგყევი ცოლად, რომ მასხარად ამიგდო.

სგანარელი. ოხ! რა ტანჯვაა ცოლის ყოლა. მართალი იყო არისტოტელე, რომ ამბობდა, ცოლი ეშმაკზე უარესიაო.

მარტინა. ერთი უყურეთ ამ ქკუის კოლოფს. იმ სულელ არისტოტელესაც რომ იმოწმებს!

სგანარელი. დიხაც, ქკუის კოლოფი ვარი აბა წადი და მოსძებნე სხვა ხის მჭრელი, რომელსაც ჩემსავით შეუძლია იმსჯელოს ყველა საგანზე, ექვსი წელიწადი უმსახურნია ცნობილ ექიმთან და ცოტაოდენი ლათინურიც კი იცის.

მარტინა. ჭირსაც წაუღიხარ!

სგანარელი. ეშმაკსაც წაუღიხარ!

მარტინა. წყეულიმც იყოს ის დღე და საათი, როდესაც მე შენ ცოლად გამოგყევი.

სგანარელი. წყეულიმც იყოს ნოტარიუსის კალამი, რომლითაც ჩემს დასაქცევ საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელი მოვაწერე.

მარტინა. შენ კიდევ ბედავ და ბედს უჩივი? ყოველ წუთას ღმერთს უნდა მადლობას სწირავდე, რომ შენი ცოლი ვარ. განა შენ ჩემისთანა ცოლის ღირსი ხარ?

სგანარელი. მართლაც, დიდი პატივი დამდე! სატრაბახებელიც ბევრი არ მქონდა პირველ ღამეს? ეხ? ჯანდაბას! ნუ ვილაპარაკებთ ამის შესახებ, თორემ მე ისეთ რამეებს ვიტყვი....

მარტინა. რა!? რას იტყვი?

სგანარელი. კმარა! დაეანებოთ თავი მაგ ამბავს! საქმარისია, რომ ჩვენ ვიცით ის, რაც ვიცით... შენ თავს ბედნიერად უნდა სთვლიდე, რომ მე შეგხვდი.

მარტინა. მე თავს ბედნიერად უნდა ვთვლიდე, რომ შენ შემხველი? აღამიანი, რომელმაც დამასწავლა. გარყვნილი, გათახსირებული. შენ არ შესუამე ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა!

სგანარელი. სტყუი! ზოგი რამ შეესცი!

მარტინა. შენ არ გაყიდე ყველაფერი?

სგანარელი. ეგრე მოვიქეცი უფრო სადა ცხოვრებისათვის.

მარტინა. ქვეშაგებიც კი გამომაცალე და გაყიდე!....

სგანარელი. ჰო და, დილაობით უფრო ადრე ადგები.

მარტინა. სახლში ერთი ნივთიც კი აღარ დაგიტოვებია!

სგანარელი. იმისთვის, რომ უფრო ადვილი იყოს ახალ ბინაზე გადასვლა.

მარტინა. დილიდან სალამომდე ქეიფობ და ლოთობ!

სგანარელი. ამას ჩავდივარ, რომ არ მომწყინდეს!

მარტინა. როგორ გინდა, რომ მე ოჯახს გაეუძღვე?

სგანარელი. როგორც გენებოს.

მარტინა. ოთხი პატარა ბავშვი მაზის კისერზე.

სგანარელი. ძირს დასვი.

მარტინა. ყოველ საათში პურის ქაშა უნდათ.

სგანარელი. შენც აიღე და გაწკებლე! როდესაც მე კარგად ნაკამ-ნასვამი ვარ,—მაშინ მინდა, რომ ჩემს სახლში ყველა მძალარი იყოს.

მარტინა. რას ფიქრობ, შე ლოთო, დიდხანს უნდა გააგრძელო ასეთი ცხოვრება?

სგანარელი. ჩემო მეუღლევ! გთხოვთ, წყნარად ილაპარაკეთ!

მარტინა. როდემდე უნდა ავიტანო კიდევ შენი გარყვნილება და უღიერობა.

სგანარელი. ნუ ავლელდებით, ჩემო მეუღლევ!

მარტინა. მე მოვნახავ საშუალებას, რომ ჭკუაზე მოგიყვანო და შეგასრულებინო შენი მოვალეობა!

სგანარელი. ჩემო მეუღლევ! მე მუდამ მოთმენა არ შემიძლია და მკლავებშიდაც ძალა მერჩის.

მარტინა. ფეხებზე მკიდია შენი მუქარა!

სგანარელი. ჩემო ტკბილო მეუღლევ! ჩემო ცუგრუმელავ! თქვენ, ჩვეულებისამებრ, კანი აგექავათ!

მარტინა. მე შენ გიჩვენებ, რომ შენი სრულებითაც არ მეშინიანს.

სგანარელი. ჩემო ძვირფასო ნახევარო! როგორც ვხედავ, ჩემი მუშტები მოგენატრა.

მარტინა. შენა გგონია, რომ შემეშინდა შენი სიტყვების?

სგანარელი. ჩემო ტბილო ოცნებავე მე შენ ყურებს აგიწვევ!
 მარტინა. შე ლოთო, შენა!
 სგანარელი. მე შენ გცემ!
 მარტინა. ღვინის რუმბო!
 სგანარელი. გაგლახავ!
 მარტინა. საზიზღარო!
 სგანარელი. ტყავს ვაგადრობ!
 მარტინა. მოლაღატვე! უდიერო! მაცყუარავ! მშიშარავ! უსაქმუ-
 რო! მთხოვარო! ჯიბგირო! ავაზაკო მაწანწალავ! ქურდო!
 სგანარელი. აი ეს გინდოდა და მიირთვი! (სგანარელი აიღებს ჯიბს
 და სცემს)
 მარტინა. (ყვირის) ვაი! ვაი! ვაი! ვაი!
 სგანარელი. აი, ნაწდვილი საშუალება შენს დასაწყენარებლად!

ს უ რ ა ტ ი მ ე ო რ ა

ბოზინა, სგანარელი, მარტინა

ბოზინა. ეი! ეი! რა ამბავია აქ? შე ოხერო! როგორ ბედავ?
 როგორ შეიძლება ცოლის ასე გალახვა?
 მარტინა. მე მინდა, რომ გამლახოს!
 ბოზინა. ხო! მაშინ გულით და სულით თანახმა ვარ!
 მარტინა. თქვენ რად ერევით სხვის საქმეში?
 ბოზინა. დამნაშავე ვარ.
 მარტინა. რა თქვენი საქმეა?
 ბოზინა. მართალსა ბრძანებთ.
 მარტინა. ერთი უყურეთ ამ თავსედს! მას უნდა, რომ ქმრებს
 ცოლების ცემა დაუშალოს!
 ბოზინა. მე ბოდიშს ვიხდი.
 მარტინა. რა გინდა?
 ბოზინა. არაფერი.
 მარტინა. რას ჰყოფთ ცხვირს სხვის საქმეში?
 ბოზინა. მე კონტსაც აღარ დავძრავ!
 მარტინა. თქვენს საქმეს ეწიეთ!
 ბოზინა. ენას არ დავძრავ.
 მარტინა. მე მიყვარს, როდესაც მცემენ!
 ბოზინა. თანახმა ვარ.
 მარტინა. განა თქვენ ამით რამეს ზარალობთ?

რობერტი. სრულებით არაფერს.

მარტინა. სულელი ყოფილხართ, როდესაც სხვის საქმეში ერევით (სილას გააწინს)

რობერტი. (სგანარელს) ნათლიმამ! სულით და გულით ბოდიშს ვიხდი. ეგრე მოიქცით, სცემეთ, გაწყებლეთ თქვენი ცოლი. თუ გინდათ, მოგეხმარებით კიდევ!

სგანარელი. ეგ მე არ მომწონს!

რობერტი. ა, მაშინ სხვა საქმეა!

სგანარელი. მე ჩემ ცოლს ვცემ, როდესაც მომინდება, და არ ვცემ, თუ არა მწადიან.

რობერტი. ძალიან კარგი.

სგანარელი. ეს ჩემი ცოლია, და არა თქვენი.

- რობერტი. რასაკვირველია!

სგანარელი. თქვენ მე ვერაფერს ვერ მიბრძანებთ!

რობერტი. თანახმა ვარ.

სგანარელი. თქვენი დახმარება მე არ მჭირდება.

რობერტი. კეთილი და პატიოსანი.

სგანარელი. და თქვენ თავხედი ყოფილხართ, როდესაც სხვის საქმეებში ერევით. იცოდეთ! ჯერ კიდევ ციცერონმა სთქვა: არა მკითხე მოამბეო, მიტყუებ და მიაგდეო (სცემს და გააგდებს რობერტს).

ს უ რ ა თ ი მ მ ს ა მ ი

სგანარელი, მარტინა

სგანარელი. ეგრე! ახლა შეერიგდეთ. მოიტა ხელი!

მარტინა. ჰო, იმის შემდეგ, რაც ეგრე მცემე!

სგანარელი. არა უშავს რა. მოიტა ხელი.

მარტინა. მე არ მინდა.

სგანარელი. ჰო!

მარტინა. არა.

სგანარელი. ჩემო პატარა ცოლიკო!

მარტინა. არა და არა!

სგანარელი. გეყოფა, გემუდარები!

მარტინა. არა მსურს.

სგანარელი. მოდი, მოდი, მოდი!

მარტინა. არა! მე მინდა გაბუტული ვიყო!

სგანარელი. ფუ! სისულელეა! მოდი, გეყოფა!

მარტინა. დამანებე თავი.

სგანარელი. გევეზნები, მოიტა ხელი.

მარტინა. შენ ძალიან ცუდად მომეპყარი.

სგანარელი. ჰო! კარგი! მე შენ გთხოვ, მაპატიო, გამომიწოდე ხელი.

მარტინა. მიპატივებია (თავისთვის) სამაგიეროს გადავიხდი.

სგანარელი. სულელი იქნება, თუ ყოველივე ამას ყურადღებას მიაქცევ: ასეთი პატარა ამბები დროგამოშვებით აუცილებელია შეგობრებს შორის; ხუთი-ექვსი ჯოხის მოქნევა, მოსიყვარულე ადამიანებს შორის, კიდევ უფრო გააცხოველებს სიყვარულს. აბა, მე ტყეში წავალ და სიტყვას გაძლევ, რომ დღეს ას გულდურაზე მეტ შემას შევკრავ.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

მ ა რ ტ ი ნ ა

მარტინა. მე შენ ამას მაინც არ დაგივიწყებ. მოვნახავ რაიმე საშუალებას, რომ სამაგიერო გადავიხადო. მე ვიცი, რომ ცოლს ყოველთვის შეუძლია შური იძიოს ქმარზე, მაგრამ ეს მეტად ფაქიზი სასჯელი იქნება ჩემი არამზადა ქმარისთვის: მე ისეთი სასჯელი მიზნადა, რომელსაც იგი უფრო მწვეავედ იგრძნობს. ესეც კი არ იქნება საკმარისი ჩემი შეურაცხყოფისათვის.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ვ ა ლ ე რ ი, ლ უ ჯ ა, მ ა რ ტ ი ნ ა

ლუჯა. (ვალურს, მარტინას ვერ ხედავს) ეშმაქსაც წაულია! ეს რა დავალება დაგვაქისრეს!—არც კი ვიცი, რის გაკეთებას მოვახერხებთ. ვადერი. (ლუჯას, მარტინას ვერ ხედავს) რა გინდა, შე საბრალო ძიძის ქმარო? ჯერ ერთი, ბატონის მორჩილები უნდა ვიყოთ. მეორეც ისაა, რომ ჩვენ ორთავენი დაინტერესებული ვართ, ჩვენი ბატონის ქალი გამოჯანმრთელდეს. ალბათ მისი ქორწინება, გადაღებული ავადმყოფობის გამო, ჩვენც მოგვცემს რაიმე გამორჩენას: პორაცი გულუხვი ადამიანია; აშკარაა მას განზრახული აქვს ჩვენი ბატონის ქალის შერთვა. თუმცა ჩვენი ქალბატონი დაუახლოვდა ვილაც ლეანდრს. შენ კარგად იცი, რომ მამა მისი არას დროს არ მოიხურავებს, რომ ლეანდრი სიძედ იყოლიოს.

მარტინა. (ფიქრობს, რომ მარტოა) ნუთუ ვერაფერს ვერ გამოვიგონებ შურის საძიებლად?

ლუკა. (ვაღერს) რომ არ ვიცი, რა უნდა ამ ჩვენს ბატონს? ექიმებმა, ხომ მთელი თავისი ლათინური დახარჯეს, და ქალბატონს მაინც ვერაფერი მოუხერხეს.

ვალერი. (ლუკას) ხშირად, როდესაც კარგად მოსძებნი, მიაკვლევი იმას, რასაც უწინ ვერ პოულობდი. მოსდება ხოლმე, რომ სრულებით მოულოდნელად...

მარტინა. (ისევ ფიქრობს მარტო) ო, აუცილებლად უნდა შური ვიძიო, რადაც არ უნდა დამიჯდეს. ამდენი ცემა-ტყემა აუტანელია, ვერ მომიწლებია... (ყოფილივე ამას ჩაფიქრებული ლაპარაკობს ისე, რომ არ აქცევს ყურადღებას ორ კაცს, შემოტრიალდება, დაეტაკება და მათ ვტყვის) ა, ბატონებო, ბოდიშს ვიხდი: მე არ შემომჩნევიხართ, რადგან იმაზე ვფიქრობდი, რაც მაწუხებს.

ვალერი. ყველას თავისი საზრუნავი აქვს ამ ქვეყნად. ჩვენც ვეძებთ სულით და გულით, გვსურს ვიპოვოთ რაღაც.

მარტინა. ეგებ ისეთი რამ არის, რომ შემიძლია დაგეხმაროთ?

ვალერი. შესაძლოა. ჩვენ ვეძებთ ისეთ გამოცდილ ადამიანს, ისეთ დახელოვნებულ ექიმს, რომელსაც შეუძლია უშველოს ერთ ავადმყოფ ქალს. ამ ქალს ერთბაშად წაერთვა ლაპარაკის უნარი. ბევრმა ექიმმა არ დაიშურა თავისი ცოდნა, მაგრამ ამაოდ. არიან ხანდისხან ისეთი ადამიანები, რომლებიც, უებარი, მხოლოდ მათთვის ცნობილი წამლებით და საშუალებით აღწევენ იმას, რაც სხვებმა ვერ მოახერხეს: აი, სწორედ ასეთ ადამიანს დავეძებთ.

მარტინა. (თავისთვის) ახი ზეცამ შთამაგონა საუცხოვო აზრი. შეძლევს საშუალება ჩემს ქმარზე შური ვიძიო! (ხმა მალდა) სწორედ იმას შიკვებით, რასაც ეძებდით. ჩვენ აქა გვყავს ერთი საოცარა ადამიანი, სწორედ უებარი ექიმი ასეთი უიმედო ავადმყოფებისათვის.

ვალერი. ღვთის გულისათვის! სად შეიძლება მისი ნახვა?

მარტინა. თქვენ მას ახლა აი იქ ნახავთ, იგი შეშის ქრით თავს იტყევეს.

ლუკა. ექიმი, რომელიც შეშას სჭირს?

ვალერი. ეგებ თქვენ გინდათ ბრძანოთ, რომ იგი სამკურნალო ბალახების კრეფით არის გართული?

მარტინა. არა, იგი ისეთი არაჩვეულებრივი კაცია, უცნაური, თავისებური, ქირვეული: არც კი გეგონებათ, რომ სწორედ ის არის ასეთი დახელოვნებული ადამიანი. იგი უცნაურად იცემა, თავს ისე

იქერს, თითქოს უფიცია და თავის ცოდნას არავის უმხილს. მთელ დღეებს ცით ბოძებულ საოცარ ნიჭის სრულყოფას ანდომებს.

ვალერი. განსაცვიფრებელია, რომ ყველა დიდ ადამიანებს აქვთ რალაც უცნაური თვისებები, ერთგვარი სიგიჟის მარცვალა მათ სწავლულობაში.

მარტინა. ამის უცნაურობა ისეთია, რომ არც კი დაიჯერებთ. ხანდისხან მას უნდა სცემონ,—თორემ არ აღიარებს თავის ნიჭს. მე თქვენ გაფრთხილებთ: ვერაფერს გახდებით, ვერ ათქმევინებთ, რომ იგი ექიმი, თუ თავისებურად მოუარა,—ჯოხს უნდა მოკიდოთ ხელი, სცემოთ, და მათინ გამოტყუდება იმაში, რასაც თავიდან ფარავდა. ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით, როდესაც ექიმი გვკვირდება.

ვალერი. აი, უცნაური სიგიჟე!

მარტინა. მართალია, მაგრამ, ამის შემდეგ თქვენ დაინახავთ, რომა იგი სასწაულებს ახდენს.

ვალერი. რა ქვია სახელად?

მარტინა. სვანარელს ეძახიან. მისი გამოცნობა ადვილია: ფართე, შავი წვერი აქვს, აცვია ყვითელი და მწვანე ტანსაცმელი, ნაოჭმოსხმული საყელოთი.

ლუკა. ყვითელი და მწვანე ტანსაცმელი? მაშ ის თუთიყუშების ექიმი ყოფილა.

ვალერი. ნუთუ ისეთი სწავლულია, როგორც თქვენ ბრძანებთ?

მარტინა. როგორ არა! იგი სასწაულებს სჩადის! ექვსი თვეა, ერთ ქალზე ყველა ექიმმა ხელი აიღო. ექვსი საათი სთვლიდენ, რომ მკვდარია, მოამზადეს ყველაფერი მის დასამარხად, როდესაც ძალით მოიყვანეს ის კაცი, რომელზედაც ვიამბობთ. როგორც კი დაინახა, პირში ჩააწვეთა რალაც წამალი. ქალი წამოდგა ლოგინიდან და დაიწყო სერირობა ოთახში, თითქოს არაფერი არ მომხდარიყო.

ლუკა. ვახ!

ვალერი. ალბათ ეს სასმელი ოქროს წვეთები იყო!

მარტინა. შესაძლოა. აი კიდევ ამ სამი კვირის წინად ერთი თორმეტი წლის ბავშვი ჩამოვარდა სამრეკლოდან და ქვაფენილზე დაეცა, მოიტეხა ხელი, ფეხი და თავიც გაუსკდა. მოიყვანეს ეს კაცი, მან მაშინვე წაუსვა ბავშვს მთელ ტანზე თავისი ხელით გაკეთებული მალამო. ყმაწვილი უმალვე წამოხტა და ასკინკილას თამაში დაიწყო.

ლუკა. ვახ.

ვალერი. ალბად ამ კაცს უკვდავების წამალი აქვს.

მარტინა. უეჭველად!

ლუკა. აი, სწორედ ის ადამიანი, რომელსაც ჩვენ დავეძებთ.

ვალერი. დიდ შაღლობას ვიძღვნი, რომ ასეთ სასიამოვნო ამბის მახარობელი ბრძანდებით.

მარტინა. მაგრამ არ დაივიწყოთ, რის შესახებაც გავაფრთხილეთ.

ლუკა. მაგისი ჯერი ნუ გეჭნებათ: თუ საქმე ექნება, ისე დაეხელთ, რომ ბატკანივით შორილი გახდება.

ვალერი. (ლუკას) რა ბედნიერება იყო ჩვენთვის ამ ქალის შეხვედრა! მე წინდაწინვე ვგრძნობ, რომ საუცხოვო საქმეს გავაკეთებთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ე მ მ ს ე

- ჰვანათლი, ვალერი, ლუკა

სგანარელი. (მღერის სკენის უკან) ლა-ლა-ლა!

ვალერი. მესმის, ვილაც მღერის,

სგანარელი (გამოღის სკენაზე ბოთლით ხელში, ვერ ამჩნევს ვალერს და ლუკას)
ლა-ლა-ლა! ჩემს თავს ვფიცავ, საქმარისად ვიმუშავე! დროა დავლიო კადეც. ცოტა სული მოვითქვით (სვანს) აი, წყეული შეშა, როგორ მომეწყურა! (მღერის)

რა ტკბილია,

ლაშაზო ბოთლო,

რა ტკბილია,

შენი ღვინო,

ბედნიერი ვიქნებოდი

სულ რომ სავსე იყო.

იხ, ბოთლო, ჩემო მეგობარო

რად გაიცლები ხოლმე?

ჯანდაბას, სევდას ნუ გავიკარებთ.

ვალერი. (ჩუხაღ ლუკას) ეს ის უნდა იყოს.

ლუკა. (ჩუხაღ ვალერს) მართალს ამბობ, სწორედ მას წაეაწყდით.

ვალერი. მივიღეთ ახლოს.

სგანარელი. (კოვანის ბოთლს) ა, შე პატარა ცუგრუმელა! როგორ მიყვარხარ, შე, კულრაპა, შენა! (მღერის, ამჩნევს ვალერს და ლუკას, რომლებიც უთვალთვალდებენ და ხმას დაუწყებს)... მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი... რომ... (ამჩნევს რომ უფრო ახლოდან ათვალდებოდა) რას მიქარავენ? რა უნდაო?

ვალერი. (ლუკას) აშკარაა, ეს სწორედ ის კაცია.

ლუკა. (ვალერს) სწორედ ისეა გამოწყობილი როგორც გვიამბებს.

სგანარელი. (ბოთლს მიწახე დადებს. ვალერი დაიხრება სალამის მოსაცე-

მად. სგანარელს გონია, რომ ბოთლი უნდა წაართვას და ბოთლს შერეე მხარეზე გადადგამს. ლუკაც ასევე მოიქცევა, მაშინ სგანარელი აიღებს და, თეატრალური შესტით გულში ჩაიხუტებს. თავისთვის) მე მითვალთვალე ბენ და თანაც რალაცაზე თათბირობენ. ნეტა რა განზრახვა აქვთ?

ვალერი. უკაცრავად, თქვენ გეძახიან სგანარელს?

სგანარელი, ა? რა სთქვით?

ვალერი. მე თქვენ გეკითხებით, ხომ თქვენ გეძახიან სგანარელს?

სგანარელი. (მიუბრუნდება ჯერ ვალერს. შემდეგ ლუკას) ჰო და არა, — იმის მიხედვით, თუ რა გინდათ სგანარელისაგან?

ვალერი. ჩვენ გესურს მხოლოდ სალამი ვუძღვნათ მას.

სგანარელი. მაგ შემთხვევაში მე ვარ სგანარელი.

ვალერი. ბატონო, ჩვენ აღტაცებული ვართ თქვენის ხილვით. ჩვენ თქვენთან გამოგვგზავნეს ერთი საქმის შესახებ და გვედრებით დაგვეხმაროთ გაკვირებაში.

სგანარელი. თუ ეს ისეთი რამ არის, ბატონებო, რაც ჩემს პატარა ხელობას შეეხება, — მე მზადა ვარ გემსახუროთ.

ვალერი. პატივცემულო ბატონო, თქვენ დიდ პატივსა გვდებთ! მაგრამ გთხოვთ, ქული დაიხუროთ, მზემ არ შეგაწუხოთ.

ლუკა. ბატონო, — ჩამოიფხატეთ ქული.

სგანარელი. (თავისთვის) ეს რა ცერემონიის ხალხია (იზურავს ქუდს)

ვალერი. არ გაგიკვირდეთ, ბატონო, რომ თქვენთან გეახელით! სწავლული ხალხი ყოველთვის სანთლით საძებარია, ჩვენ კი ბევრი რამ გაგიგონია თქვენი ნიჭის შესახებ.

სგანარელი. მართალია, ბატონებო, მე საუქეთესო შეშის გუდურების შემკვრელი ვარ დედამიწის ზურგზე.

ვალერი. ო! ბატონო ჩემო!

სგანარელი. მე თავს არ ვიზოგავ და ამ ჩემს ხელობაში უნაკლო ვარ.

ვალერი. ბატონო ჩემო! მაგაში არ არის საქმე.

სგანარელი. მაგრამ ას გუდურას ასათ სუთ ვყიდი.

ვალერი. გთხოვთ, ნუ ვილაპარაკებთ მაგ საგანზე.

სგანარელი. გარწმუნებთ, რომ ნაკლებად ვერ დავითმობთ.

ვალერი. ბატონო ჩემო, ჩვენ ყველაფერი ვიცით.

სგანარელი. თუ თქვენ ყველაფერი იცით, — ისიც გეცოდინებათ, რომ მე სწორედ ამ ფასად ვყიდი.

ვალერი. ნუ კი დაგვეცინით, ბატონო....

სგანარელი. მე სრულებითაც არ დაგცინით, მე დაკლება არ შემიძლია.

ვალერი. გენედარებით, სხვანაირად ვილაპარაკოთ.

სგანარელი. თქვენ შეგიძლიათ, რასაკვირველია, სხვაგან უფრო იაფადაც იშოვოთ, მაგრამ გუდურაც არის და გუდურაც! ჩემი შეკრული გუდურები კი...

ვალერი. დავანებოთ თავი, ბატონო, ამ ლაპარაკს.

სგანარელი. გეფიცებით, სხვა ადგილას ასეთ გუდურებში ორჯერ მეტს გამოგართმევენ.

ვალერი. ოხ! ფუი! ბატონო ჩემო!

სგანარელი. არა, სინდისს ვფიცავარ, — სწორედ ამ ფასს გადინდით. მე გულწრფელად გელაპარაკებით და ძვირად დაფასება არ მიყვარს.

ვალერი. რა საჭიროა, ბატონო, რომ თქვენისთანა ადამიანმა თავი შეიქციოს ასეთი თვალთმაქცობით, თავი დაიმციროს ასეთი ლაპარაკით! ნუთუ ასეთ სწავლულ ადამიანს, ასეთ სახელგანთქმულ ექიმს, როგორიც თქვენ ბრძანდებით უნდა სურდეს ქვეყნისათვის თვალების ახვევა და თავის შესანიშნავ ნიჭის დამარხვა?

სგანარელი. (თავისთვის) ეს კაცი გიყია.

ვალერი. გევედრებით, ბატონო, ნუღარ თვალთმაქცობთ ჩვენს წინაშე.

სგანარელი. რა სთქვით?

ვალერი. სულ ერთია, ეს ზამზულობა არ გაგივათ! ჩვენ ვიცით ის, რაც ვიცით.

სგანარელი. როგორ? რა გინდათ ჩემგან? ვინა გგონივართ?

ვალერი. ის, ვინცა ბრძანდებით: ცნობილი ექიმი.

სგანარელი. თქვენ თითონ იყავით ექიმი. მე ექიმი არა ვარ და არც როდისმე ვყოფილვარ.

ვალერი. (ჩუმად) აი, სწორედ ამაზეა გაგიყებულის (ხმა მალდა) ბატონო ჩემო, ნუ ისურვებთ კვლავ ამ ამბის უარყოფას; ნუ მიგვიყვანთ საეალალო უკიდურესობამდე.

სგანარელი. რა უკიდურესობამდე?

ვალერი. ისეთ რასმემდე, რაც ჩვენთვისაც არა სასიამოვნოა.

სგანარელი. ეშმაკსაც წაუღიხაროთ! — რაც გინდათ, ის ქენით მე არა ვარ ექიმი და არც მესმის, რა გინდათ ჩემგან.

ვალერი. (ჩუმად) სხვა გზა არ არის, უნდა მივმართოთ იმ საშუალებას. (ამამალა) ჩემო ბატონო,—კადევ ერთი სიტყვა: გთხოვთ, აღიარეთ ვინცა ხართ!

ლუკა. ეი, შე უკუღმურთო! გეყოფა ყბელობა! გამოტყედი. რომ ექიმი ხარ.

სგანარელი. (თავისთვის) მოთმინებიდან გამოვდივარ.

ვალერი. რა საჭიროა იმის უარყოფა, რაც ყველამ იცის.

ლუკა. რად გინდა ეს ტაკი-მასხრობა? რაში გესაჭიროება?

სგანარელი. ბატონო, ერთხელ და სამუდამოდ გეუბნებით, მე სრულებითაც არა ვარ ექიმი.

ვალერი. მაშ არა ხართ ექიმი?

სგანარელი. არა.

ლუკა. ექიმი არა ხარ?

სგანარელი. არა მეთქი, გეუბნები!

ვალერი. რადგან ეგრე გსურთ,—უნდა გავბედოთ (აიღებენ ჯობებს და სცემენ).

სგანარელი. ვაი! ვაი! პატივცემულნო! ყველაფერი ვარ, რაც კი გსურთ.

ვალერი. რად გვაიძულეთ, ბატონო, რომ ძალადობისთვის მიგვემართნა?

ლუკა. რად შეგვაწუხებ და თავი გვაცემინებ?

ვალერი. გარწმუნებთ! მზადა ვარ ათასჯერ ბოდისში მოვიხადო.

ლუკა. იცნ რა? არც მე მსიამოვნებდა შენი ცემა, თავი ნუ მომიკვდება.

სგანარელი. ეს რა ეშმაკობაა, პატივცემულნო; ღვთის გულისათვის, ხუმრობთ თუ ორთავე შეიშალეთ? რად გინდათ, რომ მე ექიმში ვიყო?

ვალერი. როგორ? თქვენ კიდევ უარზედა ხართ? კიდევ უარყოფთ თქვენს ექიმობას?

სგანარელი. ეშმაკმაც წამიღოს, თუ ექიმი ვიყო.

ლუკა. აბა ტყუილი ყოფილა? მაშ არა ხარ ექიმი?

სგანარელი. არა, შენი ჰირი შემეყაროს! (ისინი კვლავ სცემენ სგანარელს) ვაი! ვაი! კარგი! პატივცემულნო, კარგი! რადგან თქვენ ასე გსურთ, მე ექიმი ვარ, მე ვარ ექიმი! მეაფთოიქვეც ვარ, თუ ეგრე გინდათ! ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ კი ნუ მომკლავთ.

ვალერი. აი, საუცხოოვა, ჩემო ბატონო! აღტაცებული ვარ, რომ კვლავ გონიერული მსჯელობა დაიწყეთ.

ლუკა. მართლაც მახარებ, როდესაც ეგრე ჰქვიანურად ლაპა-
რაკობ.

ვალერი. სულით და გულით ბოდვის ვიხდი.

ლუკა. მეც ბოდვიში მომიხდია, რომ ეგრე თავისუფლად მექირა
თავი.

სგანარელი. (თავისთვის) რა ამბავია? ეგებ მე ვცდები, ეგებ მარ-
თლაც ექიმაღ გადავიქეცი, ჩემდა შეუშინეველად?

ვალერი. ბატონო ჩემო, თქვენ არ ინანებთ, რომ აღიაროთ, ვინ-
ცა ხართ, ნახათ, რომ კმაყოფილი დარჩებით.

სგანარელი. ოღონდ პატივცემულნო, მითხარით, ეგებ თქვენ თვი-
თონ სცდებით? ნამდვილად დამტკიცებულა, რომ მე ექიმი ვარ?

ლუკა. ჰო, ჩემმა მზემ.

სგანარელი. ღრმად დარწმუნებული?

ვალერი. რასაკვირველია.

სგანარელი. ეშმაკმა წამიღოს, თუ მე ეს მცოდნოდეს.

ვალერი. როგორ არა! თქვენ მთელს ქვეყნიერებაში განთქმული
ექიმი ბრძანდებით.

სგანარელი. ოხო!

ლუკა. ექიმი, რომელმაც, აღარც კი მახსოვს, რამდენი ავადმყო-
ფი მოარჩინა.

სგანარელი. დახე, დახე!

ვალერი. ერთი ქალი უკვე ექვსი საათი მკვდრად მიაჩნდათ. უკვე
დასამარხად მოამზადეს, როდესაც რაღაც წვეთებით, თქვენ ის გა-
მოაბრუნეთ და ოთახში სიარულიც კი დააწყებინეთ.

სგანარელი. ყოჩაღ!

ლუკა. ერთმა პატარა, თორმეტი წლის ბავშვმა, სამრეკლოდან
მიწაზე ტყაპანი გაადინა,—სულ მთლად დაიმტერა ის უბედური.
თქვენ კი, რაღაც მალამოთი ფეხზე წამოაყენეთ და ისე გახადეთ,
რომ ასკინკილას თამაში დაიწყო.

სგანარელი. თუ ღმერთი გწამს!?

ვალერი. მერწმუნეთ, ბატონო, თქვენ კმაყოფილი დარჩებით და
ყველაფერს მიიღებთ, რაც კი მოგესურვებათ, თუ ნებას დაგვრთავთ
მიგაცილოთ იქ, სადაც თქვენი წაყვანა გვინდა.

სგანარელი. მე მივიღებ ყველაფერს, რაც კი მომესურვება?!

ვალერი. დიას.

სგანარელი. აბა, მე ექიმი ვარ, ყოველი ექვის გარეშე. მაშინ და-
მავიწყდა, ახლა კი გავიხსენე, რაშია საქმე? სად უნდა წავიდეთ?

ვალერი. ჩვენ მიგაცილებთ. საქმე იმაშია, რომ უნდა უეჭვიმოდ ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ლაპარაკის უნარი დაკარგა.

სგანარელი. ჩემმა მზემ, მე კი არ მიპოვნია და!

ვალერი. (ჩუმად ლუკას) — ხუმრობა ყვარებია (სგანარელს) წაეიდეთ, ბატონო!

სგანარელი. ეჭიმის ტანისამოსი რომ არ მაცვია?

ვალერი. ჩვენ გიშოვით.

სგანარელი. (მიაწოდებს თავის ბოთლს ვალერს) დაიჭით, აქ ვინახავ ხოლმე საგრილებელ სასმელს (შემდეგ მიუბრუნდება ლუკას და მიაფურთხებს) თქვენ ამას უნდა გადააბიჯოთ: ასე ბრძანებს მედიცინა.

ლუკა. თუ ღმერთი გწამს! ასეთი ეჭიმი მომწონს. ისეთი მასხარაა, რომ აშკარად საქმეს გააკეთებს.

მ ე ო რ ე მ ო ჭ მ ე ღ ე ბ ა

სცენა წარმოადგენს ოთახს ჟერონტოს სახლში

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

აქრთნცი, ჯალჯი, ლუჯა აქლინა

ვალერი. დიახ, ბატონო მე მჯერა, რომ თქვენ კმაყოფილი იქნებით. ჩვენ მოგიყვანეთ საქვეყნოდ ცნობილი ექიმი.

ლუჯა. ჩემმა შვიმ, ეს ისეთი ვინმეა, რომ ყველას გააცურებს. სხვა ექიმები იმისი ღირსიც კი არ არიან, რომ ფეხსაცმელები გახადონ.

ვალერი. მკურნალობით სასწაულს ახდენს.

ლუჯა. მან მკვდრებიც კი გააცოცხლა.

ვალერი. როგორც მოგახსენებთ, ცოტათი ახირებული კაცია. ხანდისხან გონება არ ემორჩილება და მაშინ თავის-თავი ვერ უტყვია.

ლუჯა. მართალაა, მასბრობა უყვარს და, თქვენი რისხვა არ შემეყაროს, მაშინ ჭკუაზე გადამცდარსაც კი გავს.

ვალერი. მაგრამ ნამდვილად ეს ადამიანი თვით მეცნიერების განსახიერებაა და ხშირად უღრმეს აზრებს წარმოსთქვამს.

ლუჯა. აბა, როცა ხალისი მოუფა,— ისე ლაპარაკობს, თითქოს წიგნში კითხულობსო.

ვალერი. მან დიდი სახელი გაითქვამ და დიდ ძალი ხალხიც მიიზიდა.

ჟერონტი. მე დიდად მსურს მისი ნახვა; შემომიყვანეთ მალე.

ვალერი. ახლავე.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე ბ ა

აქრთნცი, აქლინა, ლუჯა

ვაკლინა. ჩემის აზრით, ბატონო, ესეც იმას გააკეთებს, რასაც სხვა ექიმები აკეთებდნენ. ეს ხომ ისევე წყლის ნაყვა იქნება. მე რომ მკითხვით, საუკეთესო წამალი თქვენი ქალისთვის ახალგაზრდა და ლამაზი ქმარია.

ჟერონტი. ოხ! ძიძავ! ჩემო ძვირფასო! ნუ ერევით ჩემს საქმეებში.

ლუკა. გაჩუმდი, ჩემო მეუღლე ჟაკლინა! ნუ ყოფ ცხვირს იქ, სადაც საჭირო არ არის.

ჟაკლინა. მე ათასჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ამ ექიმებიდან ხეირი არ გამოვა. თქვენს ქალს, ბარამბოსა და ჯულაბის მაგიერ, სულ სხვა რამ ესაჭიროება, ქმარი ის უებარი მალამოა, რომელიც ქალების ყველა სნეულებას განკურნავს.

ჟერონტი. ახლა ჩემს ქალს ისეთი სენი აქვს, რომ არაფერი არ მონიღომებს მის ცოლად წაყვანას. როდესაც მე მისი გათხოვება გადავწყვიტე,—განა თვითონ არ ურჩობდა?

ჟაკლინა. რასაკვირველია იურჩებდა! თქვენ ისეთ კაცს აძლევდით, რომელიც სრულებით არ უყვარს. რად არ დასთანხმდით წაყოლოდა ლეანდრს, რომელმაც მისი გული მოინადირა. მაშინ თქვენი ქალი თქვენი მორჩილი იქნებოდა. მე ნიძლანგს დავდებ, რომ ლეანდრი ახლაც წაიყვანს თქვენს ქალს, როგორც ავადმყოფიც არ იყოს, თუ თქვენი თანხმობა იქნება.

ჟერონტი. ეს ლეანდრი მისი საფერი არ არის. იმას იმდენი ქონება არა აქვს, როგორც მეორეს.

ჟაკლინა. სამაგიეროდ მღაჯარი ბიძა ყავს და მისი მემკვიდრეა.

ჟერონტი. ო, ეს მოსალოდნელი სიმდიდრე ზღაპარია და სხვა არაფერი. ნაღდი ის არის, რაც ხელში გიჭირავს. მეტად სახიფათოა დაენდო სიმდიდრეს, რომელიც სხვის ხელშია. სიკვდილი ყოველთვის არ შეისმენს მემკვიდრეების ხვეწნა-ვედრებას, და კარგა ხანს მოუნდება კბილების კრაქუნნი იმას, ვინც სხვის სიკვდილს მოელის...

ჟაკლინა. მე კი ყოველთვის გამიგონია, რომ ცოლქმრობაში ბედნიერი ცხოვრება სიმდიდრეს სჯობია. მამებს და დედებს მუდამ ეს წყეული ჩვეულება აქვთ. დაიწყებენ კითხვას: რის პატრონია ვაჟი, რის პატრონია ქალი. ჩემმა ნათლია პეტრემ თავისი ქალი სიმონეტა მსუქან ტომასს მიათხოვა იმიტომ, რომ მას უფრო დიდი ვენახი ჰქონდა, ვიდრე ახალგაზრდა რობენს. საცოდავი გოგო ისე გაყვითლდა, როგორც კომში და შემდეგ ვერაფერმა ვერ უშველა. ეს საუცხოო მაგალითია თქვენთვის, ბატონო, ცხოვრებაში ჭკველა თავის სიამოვნებას დაეძებს. მე კი ჩემი ქალისთვის ვისურვებდი კარგ მისთვის სასიამოვნო ქმარს და არა ამ ქვეყნის სიმდიდრეს.

ჟერონტი. კმარა! ქალბატონო ძიძავ, თქვენ ბევრი იყბედეთ! გათხოვთ გაჩუმდეთ; ძალიან ღელავთ, ძუძუ არ გაიშროთ.

ლუკა. (ყოველ ფრაზის წარმოთქმაზე ფერონტს მხარზე ხელს დაკრავს) გაჩუმდი, შე უდიერო, შენა! ბატონს მეტი საქმე არა აქვს, რომ შენი ყბედობა მოისმინოს? მან უკეთ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. მიდი, აწოვე ძუძუ შენს ბავშვს და თავი დაანებე მსჯელობას. ბატონია თავისი ქალის მამა, კვიციანიც არის, კეთილიც და იცის, როგორ გააბედნიეროს თავისი ქალიშვილი.

ფერონტი. ნელა! ნელა!

ლუკა. (კიდევ უჩუქანს მხარზე ფერონტს) ბატონო, მე მინდა ჩემს ცოლს კვუა ვასწავლო და აქვენი პატივისცემა შევაგნებინო.

ფერონტი. კი, მაგრამ ეგ მოძრაობა სრულებით ზედმეტია.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ვალერი, სგანარელი, ჟურნალი, ლუკა, აქელინა

ვალერი მოემზადეთ, ბატონო! აი, ჩვენი ექიმიც მოდის.

ფერონტი. (სგანარელს) მე აღტაცებული ვარ, ბატონო ექიმო, რომ ჩემს სახლში გხედავთ. თქვენ ჩვენითვის დიდად საჭირო ბრძანდებით.

სგანარელი. (ექიმის ტანაცმელში, მაღალი წვეტიანი ქუდით) ჰიპოკრატემ სთქვა... რომ ჩვენ ორთავეს ქუდი თავზე უნდა გვეხუროს.

ფერონტი. ჰიპოკრატემ სთქვა ეგა?

სგანარელი. დიას.

ფერონტი. გთხოვთ მიბრძანოთ, თავისი წიგნის რომელ ნაწილში სთქვა ეგა?

სგანარელი. ქუდების... ნაწილში.

ფერონტი. თუ ეს ჰიპოკრატემ სთქვა,—ეგრე უნდა მოვიქცეთ.

სგანარელი. ბატონო ექიმო, მე გავიგე საოცარი ამბები...

ფერონტი. ღვთის გულისათვის, ვის ელაპარაკებით?

სგანარელი. თქვენ!

ფერონტი. მე არა ვარ ექიმი.

სგანარელი. თქვენ ექიმი არა ხართ?

ფერონტი. გარწმუნებთ, რომ არა.

სგანარელი. ნამდვილად?

ფერონტი. ნამდვილად (სგანარელი აიღებს ჯოხს და სცემს ფერონტს) ვაი! ვაი! ვაი!

სგანარელო. ახლა თქვენ ექიმი ხართ. მეც, ამის გარდა, სხვა დიპლომი არასდროს არ მქონია.

ფერონტი. (ვალერს) ეს ვინ ეშმაკი მომიყვანეთ?

ვალერი. ხომ მოგასსენებთ, რომ ეს უცნაური ექიმიცაა მეექვსე.

ფერონტი. კი, მაგრამ მე პანლურის კვრიც გავაგდებ ამ უცნაურობისათვის.

ლუკა. ნუ აქცევთ ყურადღებას, ბატონო, ამ უბრალო ხუმრობას.

ფერონტი. მე ასეთი ხუმრობა არ მომწონს.

სგანარელო. უკაცრავად, ბატონო, ბოდის ვიხდი ასეთ თავისუფალ ქვეყნისათვის.

ფერონტი. ბატონო, გთხოვთ მიმსახუროთ.

სგანარელო. მე ძლიერ მწყინს...

ფერონტი. არა უშავს....

სგანარელო. ჯობით რომ...

ფერონტი. არ მტყენია.

სგანარელო. მქონდა პატივი თქვენ გამელახებთ...

ფერონტი. ნუ ვილაპარაკებთ მაგაზე. მე, ბატონო, ქალიშვილი მყავს, რომელსაც უცნაური სენი შეეყარა.

სგანარელო. მე დიდად მიხარია, ბატონო, რომ თქვენ ქალს ჩემი სამსახური სჭირია, და გულით მწადიან, რომ თქვენც და მთელს თქვენს ოჯახს დასჭირდეს ჩემი სამსახური, რომ დავიმტკიცოთ ჩემი თქვენდამი ერთგულება.

ფერონტი. მე დიდად დავალებული ვარ თქვენგან ასეთი გულშემატკივრობისათვის.

სგანარელო. გარწმუნებთ, რომ სულით და გულით თქვენი ვარ.

ფერონტი. დიდ პატივსა მღებთ.

სგანარელო. რა ქვია თქვენს ქალს?

ფერონტი. ლუცინდა

სგანარელო. ლუცინდა! ახ! რა კარგი სახელია მკურნალობისათვის! ლუცინდა!

ფერონტი. წავალ და ვნახავ, რას აკეთებს.

სგანარელო. ვინ არის ეს მოწიფული ქალი?

ფერონტი. ეს ჩემი პატარა ვაჟიშვილის ძიძაა.

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

სგანარელო, აქაღინა, ლუკა

სგანარელო. (თავისთვის) ე მამაძალი! რა ლამაზია! (ხმა-მალდა) ოხ, ძიძავ! მშვენიერო ძიძავ! ჩემი მეცნიერება მონა-მორჩილია თქვენი საძიძო კვების წესებისა, ნეტა მე ვიყო .ის პატარა ბედნიერი,

ცუგრუმელა, რომელიც სწოვს ამ საუტხოო წყაროდან (დაადგებს ხელს, მერღვზე) ყველა ჩემი წამლები, მთელი სენი სწავლულობა და ნიჭი მზადაა თქვენს სამსახურად; და....

ლუკა. თქვენის ნებართვით, ბატონო ექიმო, გთხოვთ, დაანებოთ ჩემს ცოლს თავი.

სგანარელი. როგორ? იგი თქვენი ცოლია?

ლუკა. დიახ.

სგანარელი. მართლა? მე ეს არ ვიცი და ახლა მიხარია, რომ შემიძლია ორივეს დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული. (ვითომ კონის ლუკას, ნამდვილად კონის ძიძას).

ლუკა. (სგანარელს განზე გასწევს და ჩადგება სგანარელსა და ცოლს შორის) წუნარად! წუნარად იყავით!

სგანარელი. გარწმუნებთ, აღტაცებული ვარ თქვენი ცოლქმრობით. უნდა მომელოცა, რომ თქვენისთანა ქმარი ყავს; და თქვენც უნდა მოგილოცოთ, რომ შეგიერთავთ ასეთი ლამაზი, კვიანი და ახოვანი ქალი (ისევ თვალთმაქცობს, თითქოს აკოცებს ლუკას, რომელსაც უნდა რომ გადაეხვიოს, გაუსრიოდგება მკლავებში და ისევ ძიძას კონის).

ლუკა. (ისევ განზე გასწევს) ე, შე გაიძვერა! გეუბნები, გეყოფა მეთქი ქათინაურები!

სგანარელი. რად არ გინდათ, რომ თქვენთან ერთად დავტკბე ასეთი მშვენიერი საზოგადოებით?

ლუკა. ჩემთან, — რამდენიც გინდოდეს. ჩემს ცოლთან კი, — ნურას უქაცრავად!

სგანარელი. მე ერთნაირად მიხარია ორივეს ბედნიერება. და თუ თქვენ გკოცნით ჩემი სიხარულის დასამტკიცებლად, იმასაც ვკოცნი, ნაშნად ჩემი სიხარულისა (განაგრძობს იმავე თამაშს)

ლუკა. (მესამედ გასწევს განზე) ეი, ექიმო, შე აბეზარო! დაანებე თავი ამ ყბედობას!

ს უ რ ა თ ი მ ე ს უ თ ე

აქრთნცი, სგანარელი, ლუკა, აქალანა

ჟერონტი. პატივცემულო ექიმო, ახლავე ჩემ ქალს აქ მოიყვანებენ.

სგანარელი. მე მას მოველი, ბატონო, შეიარაღებული მთელი ჩემი სწავლულობით.

ჟერონტი. სად არის იგი?

სგანარელი. (შუბლზე ხელს მიიღებს) აი, აქ!

ფერონტი. ძალიან კარგი.

სგანარელი. (უნდა, რომ შეეხოს ძიძის მკერდს) რადგან მე მთელი ოჯახობა მაინტერესებს, ამიტომ მე უნდა გავსინჯო თქვენი ძიძის რძე და დავათვალიერო მისი მკერდი. (უახლოვდება ფაკლინას).

ლუკა. (ექაჩება, სგანარელი ყირამალა გადადის) აპა-პა! ჩვენ ეს სრულებითაც არ გვესაჭიროება.

სგანარელი. ექიმი მოვალეა გაუსინჯოს ძიძის ძუძუს თავები.

ლუკა. ასეთი მოვალეობა, ჩემო ბატონო, არ არსებობს.

სგანარელი. შენ ბელავ და მედიცინას წინააღმდეგობას უწევ? გაეთრიე აქედან!

ლუკა. ფეხებზე მკივია შენი მედიცინა.

სგანარელი. (თვალეხს მიაშტერებს) მე შენზე ციებ-ციხლეებას მოვავლინებ.

ფაკლინი. (წააფლებს ხელს ლუკას და ყირამალა გადაატრიალებს) წადი, გამეცალე! პატარა ხომ არა ვარ, რომ ჩემს თავს ყური ვერ უბღლო, თუ ისეთი რამ გააკეთა, რაც წესი არ არის?

ლუკა. მე არ მინდა, რომ ხელი გითათუროს.

სგანარელი. ერთი ამას უყურეთ, რომ ექვიანობს კიდევ!

ფერონტი. აი, ჩემი ქალი.

ს შ რ ა თ ი მ ე მ მ ს ე მ

ლუკინდა, აქატონცი, სგანარელი, ვალუატი, ლუკა, აკვლინა

სგანარელი. ეს არის ავადმყოფი?

ფერონტი. დიას! მე ქალიშვილი ერთი მყავს. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ექნება, თუ ევ მომიკვდა.

სგანარელი. თავს მოუაროს! როგორ შეიძლება რომ მოკვდეს, თუ ექიმის ნებართვა არ იქნება.

ფერონტი. დაბრძანდით.

სგანარელი. (ზის ლუკინდას და ფერონტის შუა) იფ, რა მადის მომგვრელი ავადმყოფია! ჩემმა მზემ, ვერავინ ვერ დაიწუნებს.

ფერონტი. თქვენმა სიტყვებმა ჩემი ქალი გააციინეს, ექიმო!

სგანარელი. მით უკეთესი. როდესაც ექიმი ავადმყოფს გააციინებს, — ეს საუკეთესო ნიშანია. (ლუკინდას) აბა, რაშია საქმე? რა მოგივიდათ? სადა გრძნობთ ტკივილს?

ლუკინდა. (უპასუხებს ნიშნებით, მიიტანს ხელეხს ტუჩებთან, თავთან და ნიკატან) ჰან, ჰი, ჰონ, ჰან.

სგანარელი. როგორ? რა ბრძანეთ?

ლუცინდა. (განიმეორებს იმავე შესტებს) ჰან, ჰი, ჰონ, ჰან, ჰან, ჰი, ჰონ, არაფერი მესმის! ეს რა ეშმაკური, ჩიქორთული ენაა.

სგანარელი. რაო?

ლუცინდა. ჰან, ჰი, ჰონ.

სგანარელი. ჰან, ჰი, ჰონ, ჰან, ჰა.

ჟერონტი. სწორედ ეგ არის, ექიმო, მისი ავადმყოფობა. ჩემი ქალი დამუწჯდა და აქამდე ვერ გავიგეთ მისი დამუწჯების მიზეზი. სწორედ ამ გარემოებამ გადამადებინა მისი ქორწინება.

სგანარელი. რადა?

ჟერონტი. ის კაცი, ვინც ირთავს, მოელის მის გამოჯანსაღებას, რომ შემდეგ დაქორწინდეს.

სგანარელი. ვინ არის ეგ სულელი, რომელსაც არ უნდა, რომ მისი ცოლი მუნჯი იყოს? ნეტა, ღმერთმა ჩემი ცოლი დაამუნჯოს! არას დროს არ მოვარჩენდი!

ჟერონტი. ჩვენ კი, ექიმო, გთხოვთ იხმაროთ ყოველი საშუალება და შეამსუბუქოთ მისი ავადმყოფობა

სგანარელი. ფიქრი ნუ გაქვთ! ეს მითხარით! განა ეგ ავადმყოფობა მას აწუხებს?

ჟერონტი. დიახ, ბატონო!

სგანარელი. მით უკეთესი. ძლიერ ტკივილებს გრძნობს?

ჟერონტი. დიახ!

სგანარელი. ძალიან კარგი. თქვენ რომ იცით,—იქ, ხომ დადის?

ჟერონტი. დიახ.

სგანარელი. უხვად?

ჟერონტი. მაგის შესახებ არაფერი არ ვიცი.

სგანარელი. ის.... ნაწარმოები.... კარგი შესახედავია?

ჟერონტი. ვერ გეტყვი სწორედ?

სგანარელი. (მიუბრუნდება ავადმყოფს) მომეცით ფქვენი ხელი (ჟერონტს) აი, მაჯისცემაც მოწმობს, რომ თქვენი ქალი მუნჯია.

ჟერონტი. დიახ, ექიმო! სწორედ ეგ არის მაგის სატიკივარი. თქვენ უცებ მიუხვდით.

სგანარელი. მაშ! მაშ!

ჟაკლინა. ნახეთ, რა უცებ მიაგნო ავადმყოფობას!

სგანარელი. ჩვენ, დიდი ექიმები, უცებ მივხვდებით, რაშია საქმე. ვინმე უვიცი დაიბნეოდა და გეტყოდათ: „ეს ასეა, ეს ისეო!“ ნე კი ერთი შეხედვით გამოვიცან და გაცნობებთ: თქვენი ქალი მუნჯია.

ჟერონტი. კი, მაგრამ მე მინდა, რომ გამაგებინოთ, საიდან მოუ-
ვიდა ეს სიმუნჯე?

სგანარელი. მაგაზე ადვილი არაფერია; ეს იქიდან მოუვიდა, რომ
ლაპარაკის უნარი დაკარგა.

ჟერონტი. ძალიან კარგი. მაგრამ, მიბრძანეთ, რა მიზეზით და-
კარგა ლაპარაკის უნარი?

სგანარელი. ყველა ჩვენი დიდი მწერლები თქვენ გეტყვიან, რომ
ეგ ენის მოძრაობის გაძნელებაა.

ჟერონტი. ჰო და... რა აზრისა ხართ თქვენ მაგ ენის მოძრაო-
ბის გაძნელების შესახებ?

სგანარელი. არისტოტელემ მაგის შესახებ.... დიდი საგულისხმო
რამეები სთქვა.

ჟერონტი. ალბათ, ალბათ!

სგანარელი. ო, იგი დიდი ადამიანი იყო!

ჟერონტი. ცხადია.

სგანარელი. დიდი ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით
(ხელგებ მალა ასწავს) ეგ ადამიანი ჩემზე აი, ამდენად მალალი იყო.
მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს დასკვნას. მე ვფიქრობ, რომ ენის
მოძრაობის გაძნელების მიზეზი არის გარკვეული სითხე, რომელსაც
ჩვენ, მეცნიერები, მავნე სითხეს ვუწოდებთ; მავნე... ესე იგი... მავნე
სითხე: რადგან გაზები, შექმნილი იმ ანაორთქლის ზეგავლენით, რო-
მელიც ვითარდება დასწრელებულ ადგილში მოდის.... ასე ვთქვათ... ა?
თქვენ იცით ლათინური?

ჟერონტი. არც ერთი სიტყვა.

სგანარელი. (უცებ წამოხტება) თქვენ არ იცით ლათინური?

ჟერონტი. არა.

სგანარელი. (აღფრთოვანებით აკეთებს სხვადასხვა სახუმარო პოზებს)

Cabricias, arci thuram, catalamus, singulariter, nominativo,
hoc musa, la muse, bonus, bona, bonum, Deus sanctus, est-ne
oratio latinas? Etiam, დიახ. Quare? რატომ? Quia substantivo, et
adjectivum, concordat in generi, numerum, et casus.

ჟერონტი. ახ! რად არ ვისწავლე?

ჟაკლინა. რა ნასწავლი კაცია!

ლუკა. მართლაც! ისე მშვენიერია, რომ მე ვერაფერი გავიგე.

სგანარელი. მაშასადამე, ის ანაორთქლი, რომელზედაც მოგახსენ-
ნეთ, გადადის მარცხენა მხარიდან, სადაც ღვიძლია, მარჯვენა მხარი-
საკენ. იქითკენ, სადაც გული მდებარეობს. ხდება ისე, რომ ფილტვ-
ში, რომელსაც ლათინურად უწოდებთ „არმიან“ აქვს კავშირი ტვინ-

თან, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „ნაზმუს“, ჩაზნექილი ძარღვის საშუალებით, რომელსაც ებრაულად „კუბილე“ ეწოდება, აი იგი ფილტვი ხედება თავის გზაზე ზემოდ ნახსენებ ანაორთქლს, რომელიც აავსებს მუცლის და ბეჭის ღრუს... და რადგან ეს ანაორთქლი... გთხოვთ, გულდასმით მოისმინოთ ჩემი მსჯელობა! რადგან ამ ანაორთქლს მანვე თვისებები აქვს! გაფიცებთ ყველაფერს,—კარგად დამიგდეთ ყური.

ჟერონტი. დიახ.

ხგანარელი. მანვე თვისებები აქვს, გამოწვეული,—გთხოვთ, ყურადღება მომაპყარით.

ჟერონტი. მე ყურადღებით გისმენთ.

ხგანარელი. გაშოწვეული იმ სითხის მანვე თვისებებით, რომლებიც ღიაფრაგმის არეში წარმოიშევა,—ხდება ისე, რომ ეს ანაორთქლი... *Ossabaubus, nequeis, nequer, potarinum, quipsa milus.* აი სწორედ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ თქვენი ქალი დამენჯდა.

ჟაკლინა. ოხ, რა კარგად გვიამბო ყველაფერი, ჩემო კაცო!

ლუკა. რატომ მეც არა მაქვს ეგრე მოქნილი ენა?

ჟერონტი. მართლაც, თქვენ მშვენიერად ახსენით ყოველივე. მაგრამ ერთი რამ გამიკვირდა: გულის და ღვიძლის მდებარეობა, მე მგონია, რომ თქვენ მათ ადგილი შეუცვალეთ, რადგან გული ხომ მარცხენა მხრით მდებარეობს, ღვიძლი კი მარჯვენით!

ხგანარელი. ჰო! უწინ ეგრე იყო! მაგრამ ახლა ჩვენ ყველაფერი შევცვალეთ და ახლა მედიცინაში სრულიად ახალი მეთოდით ვხელმძღვანელობთ.

ჟერონტი. ეგ მე არ ვიცოდინ! გთხოვთ მაპატიოთ ჩემი უვიცობა.

ხგანარელი. არა უშავს, თქვენ სრულებითაც არ ხართ ვალდებულნი ჩვენსავეთ სწავლული იყოთ.

ჟერონტი. რასაკვირველია. მაგრამ როგორ ფიქრობთ, ექიმო, რა ზომა უნდა მიიღოთ ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ?

ხგანარელი. რა ზომა უნდა მივიღო?

ჟერონტი. დიახ.

ხგანარელი. ჩემის აზრით, ლოგინში უნდა ჩააწვინოთ და, წამლის მაგიერ, უნდა მისცეთ რაც შეიძლება მეტი ღვინოში დამბალი პური.

ჟერონტი. ეს რაღა საჭიროა, ექიმო?

სგანარელი. რადგან ღვინოში დამბალ პურს აქვს ერთგვარი სიმ-
პატიკური ძალა,—აღლაპარაკოს ადამიანი. განა თქვენ არ იცით, რომ
თუთიყუშებს მარტო მაგ საქმელს აძლევენ, და სწორეთ, როგორც
კი შექამენ, მაშინვე ლაპარაკს იწყებენ?

ჟერონტი. სრული სიმართლეა! ახ! დიდო ადამიანო! მალე მო-
ტანეთ, რაც შეიძლება მეტი ღვინოში დამბალი პური.

სგანარელი. საღამოთი მოვალ და ენახავ, რა მდგომარეობაში
იქნება ავადმყოფი.

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ჟერონტი, სგანარელი, აქლინა

სგანარელი. (აქლინას) დაიცადეთ (ჟერონტს) ბატონო ჩემო, თქვენს
ძიძას მე წამალი უნდა გამოუწერო.

აქლინა. ვის? მე? ჩემსავით ჯანმრთელი ამ ქვეყანაზე არავინ
არის.

სგანარელი. მით უარესი, ძიძავ! მით უარესი. ასეთი გადაჭარბე-
ბული ჯანმრთელობა საშიშია და ზედმეტი არ იქნება, წონასწორო-
ბისათვის, ცოტათი სისხლი გამოგიშვათ და შემარბილებელი ოყნა
გაგიკეთოთ.

ჟერონტი. ამ მკურნალობის კი ვერაფერი ვამიგია, ბატონო ექი-
მო, რად უნდა გამოუღოთ სისხლი, თუ ქალი ავად არ არის.

სგანარელი. სწორედ ეს ზომაა დიდად სასარგებლო. ხომ სვამენ
მოწყურებამდე? სისხლიც ავად გახდენამდე უნდა გამოუღოთ.

აქლინა. (მოდის) ვერ მოგართვეს! სრულეებითაც არ მინდა, რომ
ჩემი სხეული აფთიაკის საწყობად გავხადო.

სგანარელი. თქვენ წამლებს გაურბით, მაგრამ მე კეკუაზე მოგი-
ყვანთ.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

ჟერონტი, სგანარელი

სგანარელი. ნება მომეცით გამოგეთხოვოთ.

ჟერონტი. გთხოვთ, ერთი წუთით დამიცადოთ.

სგანარელი. რა გნებაეთ?

ჟერონტი. ფული უნდა მოგართვათ, ექიმო.

სგანარელი. (ფერონტი ჰისას გახსნის, სგანარელი ხელს უკან წაიღებს მე არ ავიღებ, ბატონო.
 ფერონტი. ბატონო ექიმო...
 სგანარელი. ტყუილად ნუ სწუხდებით.
 ფერონტი. ერთი წუთით.
 სგანარელი. არას გზით.
 ფერონტი. გემუდარებით!
 სგანარელი. ხომ არ მეხუმრებით?
 ფერონტი. აი, საქმეც გაკეთებულია!...
 სგანარელი. მე ამის წინააღმდეგი ვარ.
 ფერონტი. მართლა?
 სგანარელი. მე ფულისთვის არ ვაქიმობ.
 ფერონტი, მჯერა, მჯერა!
 სგანარელი. (იმის შემდეგ, რაც ფული აიღო) ოჰო, კარგა მძიმეა!
 ფერონტი. დიახ, ექიმო!
 სგანარელი. მე ანგარებიანი ექიმი არა ვარ.
 ფერონტი. ეგ მე კარგად ვიცრ.
 სგანარელი. ფულის ინტერესი არასდროს არა მაქვს.
 ფერონტი. ეგ მე სრულებითაც არ მიტოქრია.
 სგანარელი. (მართლ, უცქერის მიღებულ ფულს) ჩემმა მხემ, ეს ური-
 გო არ არის... ოღონდ კი...

ს უ რ ა თ ი მ ე ც ხ რ ე .

ლენდრი, სგანარელი.

ლენდრი. დიდი ხანია რაც მე გელით, ბატონო ექიმო! გვედ-
 რებით, დამეხმარეთ!
 სგანარელი. (მაჯას უსინჯავს) საძაგელი მაჯის (ვემა გაქვთ.
 ლენდრი. მე არა ვარ ავად, ექიმო! თქვენთან სულ სხვა რამი-
 სთვის მოვედი.
 სგანარელი. თქვე დალოცვილო, რატომ თავიდანვე არ მეტყვით,
 რომ ავად არა ხართ?
 ლენდრი. არა... ორი სიტყვით ყველაფერს გიამბობთ: მე მქვიან
 ლენდრი, მიყვარს ლუკინდა, რომელიც ეს-ესაა გასინჯეთ, მამა-მი-
 სი ცუდათაა განწყობილი ჩემდამი, ამიტომ მე აკრძალული მაქვს მი-
 სი ნახვა. გთხოვთ, გაუწიეთ თანაგრძობა ჩემს სიყვარულს და შე-
 მიწყეთ ხელი, რომ მოვახერხო ჩემი განზრახვის შესრულება, უთ-

ხრა ჩემ სატრფოს ორი სიტყვა, რისგანაც საესებით დამოკიდებულ-
ლია ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება.

სგანარელი. ეინა გგონივართ? როგორ? თქვენ ბედავთ და მომ-
მართავთ, რომ სატრფიალო საქმეებში დაგეხმაროთ? ექიმის მალალი
ღირსება დავამცირო მაგგვარი დავალებებით?

ლენდრი. გთხოვთ ნუ ხმაურობთ!

სგანარელი. (მისკენ მიიწევს) მსურს და დავიყვირობ! თქვენ თავხე-
დი ყოფილხართ!

ლენდრი. ჩუმაღ, ლეთის გულისათვის.

სგანარელი. კადნიერი!

ლენდრი. გეზუდარებით!

სგანარელი. მე თქვენ გიჩვენებთ, რომ მე ეგეთი კაცი არა ვარ
და ეს დიდი ურცხვი საქციელია თქვენის მხრით...

ლენდრი. (ამოიღებს ქისას) ბატონო...

სგანარელი. როდესაც თქვენ მე მომმართავთ... (აიღებს ქისას) მე
თქვენს შესახებ არ ვოაპარაკობ, რადგან თქვენ პატიოსანი კაცი
ბრძანდებით. მე აღტაცებული ვიქნები, თუ სამსახური გაგიწიეთ:
მაგრამ ქვეყანაზე არიან თავხედები, რომელთაც ზოგი ადამიანი სულ
სხვა ვინმე გონიათ. ვიდრე ის სინამდვილეში არის და სწორედ ეგ
არის, რომ ასე მალეღვებს!...

ლენდრი. მე ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ჩემი სითამამისათვის...

სგანარელი. თქვენ მეხუმრებით. მითხარით რაშია საქმე?

ლენდრი. უნდა იცოდეთ, ბატონო ექიმო, რომ ის ავადმყოფო-
ბა, რომელსაც თქვენ მკურნალობთ, გამოგონილი ავადმყოფობაა.
ექიმებმა ყოველნაირად გასინჯეს ლუცინდა. ზოგმა მისი ავადმყოფო-
ბა ტვინის მიაწერა, ზოგმა შიგნეულობას, ზოგმა ტყლიბს და ლვიძლს.
მაგრამ ის კი ვერ გაიგეს, რომ ამ ავადმყოფობას კემშარიტი მიზე-
ზი მხოლოდ სიყვარულია. ლუცინდამ გამოიგონა ეს ავადმყოფობა,
რომ როგორმე თავი დააღწიოს მისთვის. აუტ ნელ ქორწინებას. მაგ-
რამ მე ვშიშობ, რომ ჩვენ აქ ერთად დავგინახავენ. წავიდეთ აქედან
და გზაზე გიამბობთ, თუ რა მინდა თქვენგან.

სგანარელი. წავიდეთ, ბატონო, ამ თქვენი სიყვარულის ამბავმა
გამოიწვია ჩემში რაღაც იღუმალი, ნაზი თანაგრძნობა. მე არ დავი-
შურებ მთელ ჩემს მედიცინას და ავადმყოფი ან მოკვდება და, ან
თქვენი იქნება.

მისამე მოქმედება

სცენა წარმოადგენს მიდამოს ევრონტის სახლის მახლობლად

სურათი პირველი

ლუანდრი, სვანაჩული

ლუანდრი. მე მგონია, რომ შეაფთიაქე ვეგონები. მამა მის არას დროს არ უნახავარ. ტანსაცმლის და პარიკის ეს (ველილება საკმარისი უნდა იყოს, რომ მას უცნობი ვინმე ვეგონო.

სვანარელი. რასაკვირველია.

ლუანდრი. ახლა მე უნდა ვისწავლო ხუთი ექვსი პრტყელ-პრტყელი ლათინური სიტყვა, რომ შევამყო ჩემი სიტყვა-პასუხი და სწავლული კაცის იერი მივიღო.

სვანარელი. დაანებეთ თავი. ეს სრულებითაც არ არის სავალდებულო; ტანსაცმელიც საკმარისია. მეც ხომ მაგ საგანში თქვენზე მეტა არ ვიცი.

ლუანდრა. როგორ?

სვანარელი. ეშმაკმა წამიღოს, თუ მე მედიცინის რაიმე მესმოდეს! თქვენ პატიოსანი კაცი ხართ და მე მინდა გამოგიტყდეთ ისე, როგორც თქვენ მე გამომიტყდით.

ლუანდრი. რას ნიშნავს ეს? თქვენ ნამდვილად არა ხართ...

სვანარელი. არა მეტქი, გეუბნებით; მათ ძალად გამხადეს ექიმიად, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა. მე არას დროს არ ვყოფილვარ სწავლით გატაცებული და მთელი ჩემი სწავლა მეექვსე კლასს არ გასცილებია. მე არც კი ვიცი, საიდან მოუვიდათ თავში ეს აზრა. მაგრამ დავინახე, რომ მთელი თავისი ძალღონით უნდათ, რომ ექიმად გამხადონ, მეც გადავწყვიტე გავხდე ექიმი, მათი პასუხისმგებლობით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავრცელდა ეს ცრუ აზრი და როგორ სჯერა ყველას, რომ მე სწავლული ექიმი ვარ. ყოველი მსრიდან მოდიან ჩემ სანახავად; და თუ მომავალშიც საქმე ასე კარგად წავიდა, მე გადავწყვიტე მაგრად ჩავკიდო ხელი ამ მედიცინას. ჩემის აზრით, ეს საუკეთესო ხელობაა. სულ ერთია, ცუდად მუშაობ, თუ კარვად, მაინც ერთნაირად ხარ დაჯილდოებული. ცუდი ნაშენი-

ვარისთვის პასუხს არავენ გვაგებინებს. ისე ვჭრით და ისე ვკერავთ, როგორც მოგვესურება. როდესაც ხარაზი ფეხსაცმელების კერვის დროს, ტყავს გააფუჭებს, მან სამაგიერო უნდა გადაიხადოს. აქ კი აღამიანს გააფუჭებ ისე, რომ არათერს არ გადინდი. შეცდომები ჩვენთვის არ არსებობს და დამნაშავე ყოველთვის ის არის, ვინც კვდება. ამ პროტესტის ღირსება იმაშია, რომ გარდაცვლილებს ახასიათებს იშვიათი თავშეკაფება და ზრდილობა: არას დროს არ მომხდარა, რომ მკვლარმა უჩივლოს ექიმს, რომელმაც იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

ლენდრი. მართალია, ამ საგანში, გარდაცვლილები დიდად პატიოსანი ხალხია.

სგანარელი. (ხედავს, რომ ვილაყები მოდიან მისკენ) ალბათ ისინი ჩემთან მოდიან რჩევა-დარიგების მისაღებად. (ლენდრს) დაბრძანდით და დამიცადეთ თქვენი სატრფოს სახლის მახლობლად.

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ა მ

ცოხლ, პატრინი, სგანარელი

ტიბო: ბატონო ექიმო, ჩვენ თქვენთან მოვედით, ჩემი შვილი და მე.

სგანარელი. რაშია საქმე?

ტიბო. უკვე ექვსი თვეა, რაც მისი საცოდავი დედა, სახელად პარეტა, ლოგინად ჩავარდა, ავადმყოფობს...

სგანარელი. (გაუწოდებს ხელს, ვითომ ფულის მისაღებათ) მეტე რა გინდათ ჩემგან?

ტიბო. ჩვენ გვინდა ბატონო, რომ რაიმე შესამსუბუქებელი წამალი მისცეთ.

სგანარელი. ჯერ უნდა გავიგო რითაა ავად?

ტიბო. ბატონო, აი, რალაც წყალდიდობა აქვს.

სგანარელი. წყალდიდობა?

ტიბო. დიახ, მთლად გაბერილია. ამბობენ, რომაო მთელს ტანში სინესტე გაუჩნდაო, ასე რომ მისი ღვიძლი, მუცელი, ან ვთქვათ, ტყირპი, სისხლის მაგიერ, სულ ერთთავად წყალს უშვებს. დღე გამომშვებით აციებს, სისუსტე და ფეხების ტკავილი აქვს, როგორც მშობიარობის დროს. ყელში ისე ახრიალებს, თითქოს უნდა დაიხრჩოსო. ხანდისხან ისე მიიბნიდება და დაიკრუნჩხება, თითქოს აგერაგერ გათავდებოა. სოფელში, ბოღიში სიტყვისათვის, მეაფთიაქე

გვეყავს, რომელმაც რა ვიცი, რა არ მისცა: უკვე თორმეტი კარგი ეკიუ მივახარჯე, თქვენი რისხვა ნუ შემეყრება, მარტო ოყნებზე, მა-
ლაშობებზე, გადამდებ გამონახარშზე და სხვა სამაგრებელზე. მაგრამ
როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი წყლის ნაყვა გამოდგა. მერე შენი
კირიმი, იმ ექიმს უნდოდა მიეცა ჩემი დედაკაცისთვის ერთნაირი სას-
მელი, ამეტილის ღვინოს რომ ეძახიან; მაგრამ სწორი მოგახსენოთ,—
შემეშინდა, ვაი თუ საიქიოს გაგზავნოს მეთქი ამ წამალმა. ამბობენ,
რომ ცნობილი ექიმები აუარება ხალხს ხოცავენო ამ წამლითა...

სჯანარელი. (ხელი გაწოდებული აქვს და უჩვენებს, რომ ფული მისცენ).
საქმეზე გადავიდეთ, მეგობარო, საქმეზე.

ტიზო. საქმე კი იმაშია ბატონო, რომ აი მოვედით საკითხავათ,
რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

სჯანარელი ვერაფერი გამიგია.

პერარენი. ბატონო ექიმო, დედა ჩემი ავად არის. აი, ორი ეკიუ
მოგიტანეთ იმისთვის, რომ რაიმე წამალი მოგვეცეთ.

სჯანარელი. აი, თქვენი კი გავიგე. აი, ეს ბიჭი გარკვეულად ლა-
პარაკობს და ყველაფერს ისე ამბობს, როგორც საუბრობს. თქვენ ამ-
ბობთ, რომ დედა თქვენი წყალმანკითაა ავად, მთლად გაბერილია,
აწუხებს სიცხე, ფეხების ტკივილი, ხანდისხან სისუსტე და კრუნჩხვა
აიტანს, ესე იგი, გული მისდის, არა?

პერარენი. დიახ, ბატონო სწორედ ეგრეა.

სჯანარელი. პირველი სიტყვიდანვე თქვენი ყველაფერი გავიგე.
მამა თქვენმა კი თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს! ახლა წა-
მალს მთხოვთ?

პერარენი. დიახ, ბატონო ექიმო!

სჯანარელი. ისეთ წამალს, რომ ავადმყოფი მოარჩინოს, არა?

პერარენი. აი, სწორედ ეგრეა, ბატონო.

სჯანარელი. დაიკით, აი ერთი ნაჭერი ყველი, ეს შესჯამოს.

პერარენი. ყველი ბატონო?

სჯანარელი. დიახ, ეს ხელოვნურად მომზადებული ყველია: მას-
ში შედის ოქრო, მარჯანი, მარგალიტები და კიდევ მრავალი სხვა
ძვირფასი ნივთიერება.

პერარენი. დიდი მადლობა, ბატონო ექიმო ახლავე წაველთ და
ვაკმევთ.

სჯანარელი. წადით. თუ მოკვდეს, რაც შეიძლება კარგად და-
მარხეთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

(სცენა იცვლება და წარმოადგენს ოთახს ჟურნალის სახლში, ისევ, როგორც მე-2 აქტში.)

ქაკლინა, სგანაჩილა, ლუკა (სცენის სიღრმეში)

სგანარელი. აი, მშვენიერი ძიძაც! ახ! ჩემო გულის მასაზრდოვე-ბელო, მე ალტაცებული ვარ ამ შეხვედრით; თქვენი შეხვედრა ჩემთვის იგივე ბარამბოა, იაროსი ან ინგლისური მარლი, რომელიც განსწმენდს ჩემი სულის მელანქოლიას.

ქაკლინა. ჩემმა მზემ, ბატონო, მე ღირსი არა ვარ ასეთი მშვენიერი სიტყვებისა და არც კი მესმის ვარგად თქვენი ლათინური.

სგანარელი. ო, ძიძავ, გთხოვთ, გახდეთ ავად. გახდით ავად თუ გიყვარდეთ. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება თქვენი მოვლა და მკურნალობა.

ქაკლინა. ნურას უკაცრავად; ჩემთვის უმჯობესია, რომ არავინ არ მმკურნალობდეს.

სგანარელი. როგორ მებრალებით, მშვენიერო, რომ ასეთი ეპეიანი და ბუზლუნა ქმარი გყავთ.

ქაკლინა. რას იზამ ბატონო! ალბათ, ჩემი ბედიც ეგ ყოფილა; სადაც თხას დააბამენ,—ბალახიც იქვე უნდა სძოვოს.

სგანარელი. როგორ! ასეთი ხეპრე! ყოველთვის თვალყურს გადადევნებთ და არ უნდა, რომ ვისმეს დაელაპარაკოთ!

ქაკლინა. ეხ! თქვენ კიდევ არაფერი გინახავთ... ეს ხომ სულ პატარა ნიმუში იყო მისი საძაგელი ხასიათისა!

სგანარელი. ნუ თუ მართლა? რა მდამალი სული უნდა ქონდეს ადამიანს, რომელიც ცუდად მოეპყრობა თქვენისთანა მშვენიერ არსებას!? ახ, მშვენიერო, არის ისეთი ადამიანი, და არც ისე შორს აქედან, რომელიც ბედნიერებად ჩასთვლიდა თქვენი პატარა ფეხების თითების კოცნას. რად უნდა ჩავარდნილიყო ასე მშვენიერად ჩამოქნილი ქალი ეგეთ უღირს ხელებში. ნუ თუ ამ უხეშმა ცხოველმა, ბრიყვმა, სულელმა... მაპატიეთ მშვენიერო, რომ ასე ვლაპარაკობ თქვენი ქმრის შესახებ...

ქაკლინა. ეხ, ბატონო! მე ვიცი, რომ იგი ყველა ამ სახელების ღირსია.

სგანარელი. უსათუოდ, ღირსია, ჩემო ლამაზო! ის იმის ღირსიც არის, რომ, ეპეიანობის დასასჯელად შუბლი რქებით შეუშკოთ.

ქაკლინა. მართლაც, მაინც რომ არ მებრალებოდეს, მე ვიცოდი რასაც უზაღლი.

სგანარელი. ჩემმა ძეგმ, თქვენ არ შეცდებით, თუ ვისმეღ თან შურს იძიებთ. გიმეორებთ, ეგ ადამიანი ამის ღირსია; და რომ თქვენი არ-ჩევანი, მშვენიერო ჩემზე შეჩერდებოდეს, - მე ხომ მაშინ უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი... (როდესაც სგანარელს სურს აკოტოს ჟაკლინას ლუკა გამოყოფს თავს მათ შორის, სგანარელი და ჟაკლინა შეხედავენ ლუკას და სხვადასხვა მხრისაკენ მიდიან, სგანარელი ამას ძლიერ კომიკურად გაათამაშებს).

სურათი მეოთხე

ჟერმანი, ლუკა

ჟერმანი. ეი, ლუკა! აქ ექიმი ხომ არ გინახავს?

ლუკა. ეშმაკმა წაიღოს! ექიმიც ვნახე და ჩემი ცოლიც.

ჟერმანი. ახლა სად იქნება?

ლუკა. არ ვიცი! მე კი მინდა, რომ ქვესკნელში ჩავარდეს.

ჟერმანი. გადი ნახე, როგორ არის ჩემი ქალიშვილი.

სურათი მესამე

სგანარელი, ლეანდრი, ჟერმანი

ჟერმანი. ა, ბატონო ექიმი, მე ეს ესაა გკითხულობდით. სად ბრძანდებოდით?

სგანარელი. მე თქვენს ეზოში ზედმეტ ნასვამისგან ვთავისუფლდებოდი, როგორ არის ავადმყოფი?

ჟერმანი. თქვენი წამლის შემდეგ უარესად გახდა.

სგანარელი. მით უკეთესი: ეს იმას ნიშნავს, რომ წამალმა გასჭრა.

ჟერმანი. კი, მაგრამ, თუ ისევე გავაგრძელებ, მეშინია, სული არ შეეხუთოს.

სგანარელი. მაგის შიში ნუ გექნებათ: მე ისეთი წამალი ვიცი, რომ ყველაფერს განკურნავს, დაეუცადოთ აგონიას და მაშინ ნახავთ.

ჟერმანი. (მიუთითებს ლეანდრზე ვინ არის ეს კაცი? რად მოიყვანეთ?

სგანარელი. (ზეღებით ანიშნებს, რომ მეთითაქვს) ეს არის...

ჟერმანი. ვინ არის?

სგანარელი. აი, ვისაც...

ჟერმანი. როგორ?

სგანარელი. აი, ის, ჟინც...

ჟერმანი. ვინ?

სგანარელი. ვინც ესაქიროება თქვენს ქალიშვილს.

ლუცინდა, ჟერონტი, ლიანდა, ჟაკლინა, სგანარელი

ჟაკლინა. ბატონო, აი, თქვენს ქალიშვილს სურს ცოტა გაიარ-გამოიაროს.

სგანარელი. ეს მისთვის სასარგებლოა. მიბრძანდით, ბატონო მეაფთიაქე, გაუსინჯეთ მაჯა, შემდეგ კი ვიმსჯელოთ მისი ავადმყოფობის შესახებ, (ამ დროს ის წაიყვანს ჟერონტს სცენის მეორე კუთხეში, დაადებს ერთ ხელს მხარზე, მეორეს, ნიკაპზე და მოაბრუნებს თავისკენ როდესაც ჟერონტს სურს შეხედოს, რას აკეთებენ მისი ქალიშვილი და მეაფთიაქე. თან ესაუბრება, რომ გაართოს). ბატონო ჩემო, ექიმებს შორის აღიძრა მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი: ქალების განკურნება უფრო ადვილია თუ კაცების? მე თქვენ გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ: ზოგი ამბობს „არა“, ზოგი კი ამბობს „კი“. მე კი ვიტყვი: კი და არა. თუ ვიქონიებთ მსედველობაში მაგნე სითხეთა მოძრაობას, რასაც ჭალის ბუნებრივ აგებულებაში ადგილი აქვს, მაშინ ნათელი ხდება, თუ რად სჭარბობს ქალში ცხოველური მხარე მგრძობელობაზე. მათ შეხედულებათა ცვალებადობა დამოკიდებულია მთვარის წრის ირიბ მოძრაობისაგან. და როგორც მზე, რომელიც აფრქვევს თავის სხივებს დედამიწის ზურგის ამოზნექილ მხარეზე, პოებს...

ლუცინდა. (ლიანდრს) არა! მე არასდროს არ შემიძლია ვუღალატო ჩემს გრძობებს.

ჟერონტი. გაიგონეთ? ჩემმა ქალიშვილმა დაილაპარაკა! ო, წამლის სასწაულებრივო ძალავ! ო, დიდებულო ექიმო! რა დავალებული ვარ თქვენგან, ბატონო ექიმო, ამ განსაცვიფრებელი განკურნებისათვის. არ ვიცი, რითი უნდა გცეთ პატივი.

სგანარელი. (დასვირნობს სცენაზე და სახეზე ქუდს იჭრიალებს) მართლაც, ამ ავადმყოფობამ ბევრი შრომა დამახარჯვინა!

ლუცინდა. დიახ, მამა ჩემო! მე კვლავ დამიბრუნდა ლაპარაკის უნარი. ისევ ავმეტყველდი იმისთვის, რომ გითხრათ: არას დროს არ გავყვები სხვას, გარდა ლიანდრისა და უნაყოფოდ დარჩება თქვენი სურვილი ჰორასს მიმათხოვოთ.

ჟერონტი. მაგრამ...

ლუცინდა. არაფერს არ ძალუძს შესცვალოს ჩემი გადაწყვეტილება.

ჟერონტი. როგორ!
 ლუციანდა. ტყეილა უბრალოდ ნუ წამომიყენებთ ღრმა მოსა-
 ზრებებს.

ჟერონტი. თუ რომ...

ლუციანდა. თქვენი მსჯელობა ამოდ ჩაიელის.

ჟერონტი. მე...

ლუციანდა. ჩემთვის ეს გადაწყვეტილი საქმეა.

ჟერონტი. მაგრამ...

ლუციანდა. ნამობრივ უფლებას არ ძალუძს ჩემი ნების წინააღმდეგ
 გაშათბოვოს.

ჟერონტი. მაგრამ მე უკვე...

ლუციანდა. თქვენ შეგიძლიათ არ დაიშუროთ თქვენი ძალ-ღონე.

ჟერონტი. იგი...

ლუციანდა. ჩემი გული ვერ დაემორჩილება ასეთ ტირანისა.

ჟერონტი. ეს ხომ...

ლუციანდა. მე უფრო მონასტერში დავიმარხავ თავს და არ გაე-
 ყვები ცოლად კაცს, რომელიც არ მიყვარს.

ჟერონტი. მაგრამ...

ლუციანდა. (ლაპარაკობს ისე, რომ ჟერონტის ხმას დაჭარავს) არა.
 არაფრის გზით. არასოდეს. თქვენ დროს კარგავთ. მე ამას არ ვი-
 ზამ. ეს გადაწყვეტილია.

ჟერონტი. ოხ, როგორი სისწრაფეა სიტყვებისა! შეუძლებელია
 მისი შეჩერება. (სგანარეულს) ექიმო, გთხოვთ, ისევ მუნჯად გახადოთ.

სგანარეული. ეს უკვე შეუძლებელია. მე მხოლოდ ერთი რამ შემი-
 ძლია, — თუ გინდათ, თქვენ დაგაყრუებთ.

ჟერონტი. მადლობას გიძლენით. (ლუციანდას) რატომ არ ფიქრობ...

ლუციანდა. არა, თქვენი დარიგება სრულებით არ იმოქმედებს
 ჩემს გულზე.

ჟერონტი. შენ დღეს საღამოსვე გაყვები ცოლად ჰორასს.

ლუციანდა. მე უფრო ადრე სიკვდილს გავყვები ცოლად.

სგანარეული. (ჟერონტს) ღმერთო ჩემო! შეჩერდით, მომეცით საშუა-
 ლება ვუქეიმო ამ შემთხვევასაც. თქვენი ქალიშვილი ავადმყოფობით
 არის ისევ შეპყრობილი და მე ვიცი, რა წამალიც უშველის.

ჟერონტი. ნუ თუ შესაძლოა, ბატონო ექიმო, რომ თქვენ აჭ-
 რეთვე მოარჩინოთ ეს გონების ავადმყოფობაც?

სგანარეული. დიახ, ნება მომეცით საქმეს შევეუდგე, მე ყველაფ-
 რის წამალი მაქვს; და ჩვენი მეთითაქე დიდად დაზნებარება ამ
 მკურნალობაში. (ღვანდრს) ერთი სიტყვა: თქვენ ხედავთ, რომ ტრფია-

ლებს, რომელიც მას ლეანდრისადმი აქვს, სავსებით ეწინააღმდეგება მისი მამის ნება-სურვილს: ამიტომ არ შეიძლება დროის დაკარგვა; მისი სულიერი განწყობილება სულ უფრო მწვევდება, — და აუცილებელია, რაც შეიძლება საჩქაროდ, გამოვძებნოთ ამ სატკივარის წამალი, თორემ დაგვიანება საქმეს გააფუჭებს. მე აქ მხოლოდ ერთ საშუალებას ვხედავ: ეს არის ერთი წილი სასაქმებელი გაქცივისა, რომელშიდაც თქვენ გაურევთ ორ დრახმა საქორწინო აბებს. შეიძლება ავადმყოფი გაჯიუტდეს და წინააღმდეგობა გაგიწიოთ ამ წამლების მიღებაზე; მაგრამ, რადგან თქვენ გაოსტატებული კაცი ხართ თქვენს ხელობაში, უნდა გააბედინოთ, და, რა საშუალებებითაც არ იყოს, უნდა მოახერხებინოთ ეს საგანი. ახლა კი გაისეირნეთ მასთან ერთად ბაღში, რომ მოამზადოთ მისი ორგანიზმი, მე კი აქ გავართობ მამამისს. მაგრამ, რაც მთავარია, დროს ნუ დაკარგავთ: აბა, საჩქაროდ წამალი, უებარი წამალი!

ს უ რ ა თ ი მ ე მ ვ ი დ ე

აქრთნდა, სგანარელი

ჟერონტი. რა წამლებს ასახელებდით, ბატონო ექიმო? აქამდე წამლის ასეთი სახელები არას დროს არ გამიგია?

სგანარელი. ამ წამალს გადაუდებელ დაზმარების აღმოჩენის დროს ხმარობენ.

ჟერონტი. გინახავთ თქვენ სადმე ამგვარი კადნიერება?

სგანარელი. ახალგაზრდა ქალები ხანდისხან ცოტათი ჯიუტები არიან.

ჟერონტი. ვერ წარმოიდგენთ როგორი გადარეულია ამ ლანდრისათვის.

სგანარელი. სისხლის მხურვალეობა მოქმედებს ახალგაზრდის გონებაზე.

ჟერონტი. როგორც კი გავიგე ამ სიყვარულის სიშმაგე, — იმ დღიდანვე ჩემი ქალიშვილი დაკეტულში მოვათავსე.

სგანარელი. კეკვიანურად მოქცეულხართ.

ჟერონტი. და ხელი შეუშალე ყოველ ურთიერთობას მათ შორის.

სგანარელი. ძალიან კარგი.

ჟერონტი. მე რომ ნება მიმეცა ერთმანეთი ენახათ, — უსათუოდ რაიმე გიჟურ საქციელს ჩაიდენდნენ.

სგანარელი. უეჭველია.

ჟერონტი. მე მგონია, რომ ჩემი ქალიშვილი გაიქცეოდა მასთან ერთად.

სგანარელი. მართლაც გონივრული აზრია.

ვერონტი. მე გამაფრთხილეს, რომ იგი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ ნახოს და დაეღაპარაკოს ჩემს ქალს.

სგანარელი. რა ახირებული კაცია!

ვერონტი. მაგრამ იგი ტყუილად კარგავს დროს.

სგანარელი. მაშ! მაშ!

ვერონტი. მე ხელს შევეშული მათ შეხვედრას.

სგანარელი. აბა რეგვენთან კი არ აქვს საქმე. თქვენ ბევრი ისეთი ხერხი იცით, რომელიც მას აზრადაც არ მოუვა. ეშმაკობაში ბადალი არა გყავთ.

ს უ რ ა თ ი მ ი რ ვ ი

ლუკა, აქრთნცი, სგანარელი

ლუკა. ეს რა ჯანდაბაა ბატონო, ეს რა დავიდარაბაა; თქვენი ქალიშვილი გაიქცა ლეანდრთან ერთად; თურმე ის იყო მეაფთიაქედ გადაცმული; აი, ბატონი ექიმიც, რომელმაც გააკეთა მთელი ეს ოპერაცია.

ვერონტი. როგორ? შენ დამლუპე, დამაქციე? მალე დაუძახეთ პოლიციას და აქედან არ გაუშვათ. შე მოლაღატე, სასამართლოს წინაშე გაგებინებ პასუხს.

ლუკა. აი, ნახავთ, ბატონო ექიმო, რომ ჩამოგახრჩობენ; ადგილიდან არ გაინძრე.

ს უ რ ა თ ი მ ი ც ხ რ ე

მარტინა, სგანარელი, ლუკა

მარტინა. (ლუკას) ახ! ღმერთო ჩემო! ძლივს არ მოვნახე ეს სახელი! აბა, მითხარით იმ ექიმის ამბავი, მე რომ მიგითითეთ.

ლუკა. აი, აგერ არის: უნდა ჩამოახრჩონ.

მარტინა. როგორ! ჩემი ქმარი უნდა ჩამოახრჩონ! ვაიმე, რა ჩაიდინა ასეთი?

ლუკა. ჩვენი ბატონის ქალიშვილის უმორატოება მოაწყო.

მარტინა. ვაიმე! ჩემო ძვირფასო ქმარო, ნუ თუ მართლა უნდა ჩამოგახრჩონ?

სგანარელი. ხომ ხედავ. ახ!

მარტინა. ა, როგორ? შენ მისცემ შენს თავს ნებას, რომ მოკვდე როდესაც ამდენი სული გყავს სარჩენი?

სგანარელი. აბა, რა უნდა ვქნა?

მარტინა. ყველა ჩვენი შეშა რომ დაგეპო ამით ცოტათი მაინც ვინუგეშებდი თავს.

სგანარელი. წადი აქედან! გულს ნუ მიხეთქავ.

მარტინა. არა, მე აქ უნდა დავრჩე, რომ სიკვდილის წინ გაგამხნეო. ჩამოხრჩობამდე არ მიგატოვებ.

სგანარელი. ოჰ!

ს უ რ ა თ ი მ ე ა თ ე

აქათნცი, სვანარელი, მარტინა

ფერონტი. (სვანარელს) პოლიციელი მალე მოვა და იქ ჩავსვამენ, სადაც თქვენზე პასუხს სხვები აგებენ...

სვანარელი. (დარბილი, კუდით ხელში) ვაიჰე! არ შეიძლება, რომ ყოველივე ეს ჯოხის რამოდენიმე დარტყმით შესცვალოთ?

ფერონტი. არა, არა; მართლმსაჯულება დაგსჯის, როგორც საჭირო იქნება. მაგრამ რას ვხედავ?

ს უ რ ა თ ი მ ე თ ე რ თ მ ე ბ ა

აქათნცი, ლეანდრი, ლეონდა, სვანარელი, ლუკა, მარტინა

ლეანდრი. ბატონო ჩემო, მე მოვედი, რომ გამოგეცხადოთ, როგორც ლეანდრი და დაგიბრუნოთ ლუცინდა. ჩვენ განზრახვა გექონდა გავქცულიყავით და ჩემად ჯვარი დაგვეწერა; მაგრამ ამ მოსაზრებამ დაუთმო ადგილი უფრო კეთილშობილ საქციელს. მე არ მსურს მოგტაცოთ ქალიშვილი და მინდა მივიღო იგი თქვენი ხელიდან. უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ეს ესაა მე მივიღე წერილი, სადაც მატყობინებენ, რომ ჩემი ბიძა გარდაიცვალა და მე ვარ მთელი მისი ქონების მემკვიდრე.

ფერონტი. თქვენი კეთილშობილება, ბატონო, პატივისცემის ღირსია და მე უდიდესი სიხარულით გაძლევთ ცოლად ჩემს ქალიშვილს.

სვანარელი. (თავისთვის) მედიცინა მოხერხებულად გამოძერა ამ საქმიდან.

მარტინა. რადგან შენ არ ჩამოგახრჩობენ, გადამიხადე მადლობა

ექიმის წოდებისთვის, რადგან ჩემი წყალობით შიილე შენ ეს საპა-
ტიო სახელი.

სგანარელი. დიახ! შენი წყალობით მივიღე ამდენი ცემა-ტყევა.

ლენდრი. (სგანარელს) მაგრამ ბოლო ისე მშვენიერია, რომ არ
ღირს გახსენება.

სგანარელი. ეგრე იყოს!.. (მარტინას) მე შენთვის მიპატიებია ეს ცე-
მა-ტყევა, იმიტომ, რომ შენ ექიმის ღირსება მიბოძე. ამიერიდან
უდიდესი პატივისცემით უნდა მოეპყრა ჩემისთანა დიდ ადამიანს და
იცოდე, რომ ექიმის რისხვა ყველაფერზე უფრო საშინელია.

2060236080

1. პიერ კორნელი (1606-1684), ფრანგული კლასიკური ტრაგედიის შემქმნელი. ხელს უწყობდა აბსოლუტიზმის გამტკიცებას. მოლიერის თანამედროვე. ტრაგედია „სიდის“ და სხვ. ავტორი.

2. ჟან რასინი (1639-1699), ცნობილი ფრანგი დრამატურგი. 1665 წლამდე მოლიერის მეგობარი, ამ წელს მოლიერის თეატრში დიდი წარმატებით იღვებოდა რასინის პიესა „ალექსანდრე დიდი“. რასინმა იგივე პიესა გადასცა ბურგონის ოტელს. ამას რასინმა დაუმატა მეორე უტაქტობა: გადაიყვანა მოლიერის თეატრიდან ბურგონის ოტელში ცნობილი მსახიობი ქალი დიუპარკი. ამ ნიადაგზე მოლიერი და რასინი სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

3. შექსპირი (1564—1616), ინგლისური თეატრის და დრამატურგიის გენიალური წარმომადგენელი. საკაცობრიო მწაშენლობის ტრაგედიების და კომედიების ავტორი. მოლიერთან ერთად შექსპირმა ქართული თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა.

შექსპირის ტრაგედიები „ამლეტო“, „ოტელო“, „მეფე ლირი“ და სხვ. კონგენიალურად სთარგნა ქართულად ივანე ნაჩაბელმა.

4. ლოპე დე ვეგა (1562—1635), ესპანეთის გენიოსი დრამატურგი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპის დრამატურგიის განვითარებაზე. გადმოცემით ლოპე-დე-ვეგა იყო 2,200 პიესის ავტორი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 500 პიესამ. საქართველოში ცნობილია „ცხვრის წყაროთი“, რომელიც 1922 წელს დადგა კორე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში. ამ პიესის დადგმით იწყება ქართული საბჭოთა თეატრის აღორძინება.

5. დეკარტი. 1641 წელს ლუი მეცამეტემ გამოისცა საეკიალური დეკრეტი, რომლითაც იურიდიულად აქტიორები გაუთანასწორა კულტურის სხვა მუშაკებს. ეს დეკრეტი უკრძალავდა აქტიორებს უწმაწური და ორაზროვანი სიტყვების ხმარებას.

6. ბურგონის ოტელი, პარიზის მთავარი დრამატიული თეატრი—მეფის თეატრად წოდებული. ეს თეატრი 1599 წლამდე „წმინდა ძმათა“ უფლებაში იყო. შემდეგ კი გადაეცა პროფესიონალურ აქტიორების დასს. ამ თეატრში უმთავრესად იღვებოდა კლასიკური ტრაგედიები. მოლიერის მოწინააღმდეგე თეატრი იყო.

7. მოლიერი—ქტიორი. მოლიერი თავის 31 კომედიებში თამაშობდა 35-მდე როლს. როგორც გროტესკული ხასიათის აქტიორი იგი შესაძრწნავი იყო. მას უზღებოდა თამაშის დროს ცეკვაც და სიმღერაც. ასრულებდა თავის კომედიების მთავარი გმირების როლებს: მასკაროილს, სკაპენს, ორგონს, არგანს ბარპაგეოს და სხვა.

8. მოლიერი—რეჟისორი. თავის თეატრში მოლიერი რეჟისორის მოვალეობასაც ასრულებდა. იგი რომ გენიალური რეჟისორი იყო, ამას მოწმობს მისი შესანიშნავი კომედია „ვერსალის ექსპრომტი“. მთელი კომედია წარმოდგენს მოლიერის რეჟისორული ნიჭის ბრწყინვალე დემონსტრაციას. ეს

უდიდესი სატირაა ცრუ კლასიკურ დეკლამაციისა, ბურგონის ოტელის თეატრის არტისტების არაბუნებრივ თამაშის წინააღმდეგ და სხვ.

9. ლუი მეთოთხმეტე (1643—1715), ფრანგული აბსოლუტიზმის გამამტკიცებელი. ერთხელ კარის ბალეტში მხის ტანსაცმელში ითამაშა; უწოდეს „მეფე-მზე“. მოაწონდა მოლიერის თეატრი და დიდ მფარველობას უწევდა გენიალურ კომედიოგრაფს. როცა მოლიერმა არმანდა ბეჟარი ცოლად შეირთო, მას მტრებმა ცილი დაწამეს, თავისი შვილი შეირთო ცოლად. მეფესთან დაასმინეს, მაგრამ ლუი მეთოთხმეტემ ყურადღება არ მიაქცია და დემონსტრაციულად შვილი მოუწათლა მოლიერს.

10. გოეთე (1749—1832), იხ. საუბარი ეკერმანთან. (მოსკოვი. გამოცემა „აკადემია“ს 1936 წ. გვ. 297—298.

11. ბომარშე (1732—1799), ცნობილი ფრანგი კომედიოგრაფი. სატირიკული კომედიების ავტორი: „სევილიელი დალაქი“ და „ფიგაროს ქორწინება“. ორივე კომედიის გმირი—ფიგარო, მოლიერის სკაპენის გავლენით შექმნილი, ამ ტიპის უმაღლეს განვითარებას წარმოადგენს და რევოლუციურ იერს ატარებს. „ფიგაროს ქორწინების“ პირველი თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს.

12. გოლდონი (1707—1793), კომედიოგრაფი, იტალიური თეატრის რეფორმატორი. 155 კომედიის, 18 ტრაგიკომედიის და 94 საოპერო ლიბრეტოს ავტორი. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (ი. გრიშაშვილის თარგმანი) უკანასკნელ ორ სეხონში დაგმობდა რუსთაველის თეატრში ამავე თეატრთან არსებულ აკადემიის სტუდიის ძალგბით.

13. ა) გრიბოედოვი (1795—1829), ცნობილი რუსი კომედიოგრაფი. მისი შესანიშნავი კომედია „ვია ბეჟისაგან“ დაწერილია მოლიერის „მიხანტროპი“ს გავლენით. პოეტ ალ. კავკავაძის სიძე. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა პანთეონში, თბილისში. ბ) გოგოლი. (1809—1852) ცნობილი რუსი მწერალი; სხვათა შორის დასწერა შესანიშნავი კომედია „რევიზორი“. სთარგმნა ფრანგულიდან მოლიერის „ეპვით რქოსანი“. რევიზორის პართული თარგმანი ეკუთვნის ვალერიან გუნიას. გ) ოსტროვსკი. (1823—1886) ცნობილი რუსი კომედიოგრაფი. „გროზას“, „შემოსავლიანი ადგილი“-ს და სხვა შრავალ კომედიების ავტორი. სწერდა მოლიერის გავლენით. 1883 წელს იყო საქართველოში. ვასო აბაშიძემ სიტყვით მიმართა. ეს სიტყვა დაცულია.

14. სირანო დე-ბერჟერაკი. მოლიერის უფროსი თანამედროვეი პოეტი და დრამატურგი. მატერიალისტ გასენდის მოწაფე.

15. მადლენა ბეჟარი (1618—1672), მოლიერის უახლოესი მეგობარი მთელი მოღვაწეობის მანძილზე. საუკეთესო მსახიობი ქალი მოლიერის თეატრში. გარდაიცვალა ერთი წლით ადრე მოლიერზე, 17 თებერვალს.

16. ეენევიევა ბეჟარი, მოლიერის თეატრის მეორე ხარისხიანი მსახიობი ქალი, ფსევდონიმით—ერვე. გარდაიცვალა მოლიერის შემდეგ, 1675 წელს.

17. არმანდა ბეჟარი, მოლიერის ცოლი. მსახიობი. პირველად გამოვიდა სცენაზე კომედიაში „ქირიკია ქალთა სკოლაზე“, 1663 წელს. მისი როლები მოლიერის კომედიებში: ფუსილი „გაახანაურებულ მდაბიოში“, ანჟელიკი „ეპვით ავადმყოფში“, სელიმენი „მიხანტროპში“.

18. მოლიერის გარეგნობის აღწერისათვის ვისარგებლეთ ახალი გამოკვლევით: „Очерки по истории Европейского театра вв. „академиа“, 1923 г.

19. პტი-ბუზოლი, მეფის კარის თეატრი, რომელიც მეფემ გადასცა მოლიერს პროვინციიდან დაბრუნების შემდეგ. ამ თეატრში დაიდგა პირველად „პრანკია ქალები“ 1660 წელს. მოლიერის მტრებმა, რათა მოლიერისათვის ხელი შეეშალათ, ვითომდა ღურის სასახლის გადაკეთების აუცილებელ საჭიროებისათვის, დაანგრიეს. ლუი მეოთხემეტემ მაშინვე მისცა მოლიერის თეატრს ახალი ბინა—პალე-როიალი.

20. ვოლტერი (1694—1778), ცნობილი ფრანგი მწერალი. „ჰენრიადას“ ავტორი. დასწერა ორმოცამდე პიესა. მასვე ეკუთვნის „ლუი XIV ის და ლუი XV-ის ისტორია“, რომელიც უფრო საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაა.

21. ლაფონტენი (1621—1695), ცნობილი ფრანგი პოეტი—არაკების ავტორი. მოლიერის ახლო მეგობარი და თანამგრძობი.

22. ვერსალი—მეფის სასახლე ქალაქ გარეთ, სადაც მოლიერს უხდებოდა წარმოდგენების გამართვა. აქ დაიდგა პირველად „ტარტიუფის“ პირველი ვარიანტი.

23. პალე-როიალი, სპეციალური სათეატრო შენობა პარიზში—მეფის სასახლედ წოდებული. იგი თავისთვის ააშენა კარდინალმა რიშელიემ, 1641 წელს. ეწოდებოდა პალე-კარდინალი. რიშელიეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის თანახმად, მიიღო სახელწოდება პალე-როიალი. პტი-ბუზონის დანგრევის შემდეგ 1660 წელს გადაეცა მოლიერის თეატრს.

24. იბ. კარლ მარქსის კაპიტალი, ტომი პირველი. თავი მეოცდარე. ხედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად. გვ. 538.

25. იბ. კარლ მარქსის, კაპიტალი, გვ. 538.

26. პიერ მინიარი (1610—1695), კლასიკური სტილის ცნობილი მხატვარი. სახელი გაითქვა ლუი მეოთხემეტის პორტრეტის შესრულებით. სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი იყო. მოლიერის ახლო მეგობრად დარჩა ბოლომდე.

27. შაპლენი, ჟან (1595—1674), პოეტი და კრიტიკოსი. კლასიციზმის პირველ თეორეტიკოსთაგანი. აკადემიის წევრი. აკადემიური გრამატიკის და ლექსიკონის გეგმის შემდგენი. მას ეკუთვნის ეპოპეა „ქალწული“, რომელზედაც ვოლტერმა დასწერა ცნობილი პაროდია „ორღეანელი ქალწული“.

28. გიორგი ერისთავი (1811—1890), პოეტი და დრამატურგი; ქართული თეატრის (1850 წ.) და პირველი ქართული ჟურნალის „ციცქრის“ დამაარსებელი. მოლიერის კომედიის „ძალად ექიმის“ გადმოამკეთებელი. ი. გრიშაშვილის ცნობით ეს კომედია გადმოკეთებულია გ. ერისთავის ძმის ივანე (ოკრო) ერისთავის მიერ (იხ. აქვს. ცაგარლის კომედიები, გამოც. 1936 წ.).

29. ვასო აბაშიძე (1855—1926), ქართული თეატრის უდიდესი არტისტი, მოლიერის კომედიების იშვიათი შემსრულებელი და მცოდნე. მისთვის პატარა და დიდი როლი არ არსებობდა; ყოველთვის მომზიბლავი იყო. პირველი ქართული თეატრალური ჟურნალი—„თეატრი“ მისი რედაქციით გამოდიოდა. რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება საქართველოში პირველად ვასო აბაშიძემ მიიღო.

30. დიმიტრი ყიფიანი (1814—1887), ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი. სთარგმნა მოლიერის ოთხი კომედია: „სიყვარული მჭურნალობს“, „სიყვარული მხატვრობს“; „ჩინებული სასიძონი“, „ეკეთ ავადმყოფი“ სათაურით „დაუქინია ავად ვარო“ და „ძალად ცოლის შერთვევინება“. პირველად სთარგმნა ქართულად შექსირი—„რომეო და ჯულიეტა“.

31. კოტე ყიფიანი (1849—1921), ცნობილი არტისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ფრანგული ენის შესანიშნავი მცოდნე. სთარგმნა ბალზაკის კომედია „მერკადე“. აქვს საკუთარი, თრგინალური პიესებიც. „მეფე ლირის“ საუკეთესო შემსრულებელი ქართულ სცენაზე. რუსულ წარმოდგენებშიც გამოდიოდა.

32. ელენე ლორთქიფანიძე, დიმიტრი ყიფიანის შვილი. მსახიობი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. ფრანგულიდან სთარგმნა მოლიერის კომედია „პრანკია ქალები“ 1883 წელს. ამავე წელს დაიბეჭდა „ქართული ბიბლიოთეკაში“. ქუთაისი. მარტი. უფრო ადრე სთარგმნა მოლიერის „სგანარელი, ანუ ქმარი, რომელსაც ჰგონია ცოლი მალატობსა“. ეს კომედია დაბეჭდილია ეურ. „მნათობის“ 1871 წ. მაისის ნომერში.

33. აკაკი წერეთელი (1840—1915), უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის აღორძინების საქმეში, „თამარ ციხერის“, „კინტოს“, „პატარა კახის“ ავტორის, აკაკი წერეთლის წერილები თეატრზე გაბნეულია პერიოდულ გამოცემებში. სთარგმნა მოლიერის „სკაპენის ცულულტობა“, 1873 წელს.

34. ეფროსინე კლდიაშვილი, პირველი ქართველი მსახიობი ქალი. იხ. აკაკი წერეთლის წერილი ეფროსინე კლდიაშვილისადმი, გაზ. „დროება“ 1875 წ. № 56.

35. გ. აბაშიძე (1866—1903), პოეტი, სცენაზე გამოდიოდა როგორც მოყვარული. ერთხელ ვასო აბაშიძე მიწვეული იყო ქუთაისში „ტარტიუფის“ როლის შესასრულებლად. ვასო აბაშიძე ვერ ჩავიდა. „ტარტიუფის“ როლში გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე, ასე სახელდახელოდ გამოსულმა პოეტმა როლის ზუსტი ცოდნით განცვიფრებამო მოიყვანა მაყურებლები. დაკრძალულია ლენინგრადში.

36. მარიამ საფაროვ-აბაშიძე (1860), საქ. ს. ს. რესპუბლიკის საბალზო არტისტი 1925 წლიდან. უნიკიერესი მსახიობი ქალი, ასრულებდა, როგორც ტრაგიკულ ისე კომიკურ როლებს. დიდი თანაგრძობით შეხვდა ქართული თეატრის განახლებას, როცა „მზის დაბნელება“ დაიდგა, გახარებულმა უთხრა კოტე მარჯანიშვილს: „ეს, ჩემო კოტე, მზის დაბნელება კი არა, ხელოვნების მზის ამოსვლა არისო“. მ. საფაროვ-აბაშიძეზე აღუარებელი ლექსები და ექსპრომტებია გაბნეული ქართულ პერიოდულ გამოცემებში. აი ნიმუში:

სცენისთვის თავდადებული აგეთი არვინ გვყოლია,
აწმყო დროს კარგი მხატვარი, მომავლის წინამძღოლია,
რალა თქმა უნდა, უხდება მას ოფელიას როლია.
ისე ანათებს სცენაზე, როგორც ნამდვილი ბროლია.
რამდენი ხანიც გამოდის თანდათან უკეთესია,
საკეთე ჩვენი სცენისთვის მრავალი დაუთესია,
ვოდვილებში ცქრიალა, ცუგრუმელა და მკვესია,
დრამებში სერიოზული, როგორც რიგი და წესია.
ეურნ. „თეატრი“ 1886 წ. № 3.

37. კოტე მესხი (1839—1914), ცნობილი მსახიობი. განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. ითვლებოდა ფრანგული თეატრალურ სკოლის წარმომადგენლად. სთარგმნა მოლიერის კომედია „ეროჟ-დანდენი“. ამ კომედიის პირველი თარგმანი ეკუთვნის გიორგი თუმანიშვილს.

პრაცეზიკა ქალები

(Les précieuses ridicules)

2—24 გვ.

პირველად ეს ერთმოქმედებიანი კომედია-ფარსი დაიდგა პტი-ბურბონის თეატრში, პარიზში, ცნობილ პიერ კორნელის ტრაგედია „ცინნასთან“ ერთად, 1659 წელს, 18 ნოემბერს.

„პრაცეზიკა ქალები“-ს დადგმა უდიდეს მოვლენად გადაიქცა თეატრალურ პარიზისათვის. პიესას წილად ხედა დიდი მხატვრული წარმატება. მოლიერის დასწრე წარჩინებულთა ოჯახებში იწვევდნენ „პრაცეზიკა ქალების“ წარმოსადგენად. ავადმყოფ კარდინალ მახარინის სასახლეშიც წარმოადგინეს, რათა მომკვდავ მახარინის ენახა ეს კომედია. ამ წარმოდგენას დაესწრა ინკოგნიტო მეფე ლუი XIV-ეს კომედია მეფემ პირველად აქ ნახა, ძალიან პოეზონა და გასცა განკარგულება მოლიერის დასის ფულით დაჯილდოებისათვის.

2. გვ. მ. ო. მ. ქ. მ. ე. დ. ნ. ი. პ. ი. რ. ი.: მომქმედ პირთა სახელებად ავტორმა გამოიყენა თავისი თეატრის დასის იმ მსახიობთა სახელები, რომლებიც თამაშობდნენ, ეოდლე, — მოლიერის დასის მსახიობის სახელია, ასევე მადლონ, კატო, მაროტი, ლაგრანჟი და დიუკრუანი. არსებობს გადმოცემა, რომ უკანასკნელმა ორმა მსახიობმა ამ როლების თამაშის შემდეგ დაირქვეს ეს სახელები. ალმანხორ — არაბული სახელია, მსახურების სახელად ის იმ ხანებში არ იყო გავრცელებული. მოლიერმა იგი გამოსძებნა მადლონის და კატოს პრაცეზიკაობის გამოსახატავად.

მასკარისის როლს „პრაცეზიკა ქალებში“ თვითონ მოლიერი თამაშობდა. ამან მისცა საბაზი მოლიერის მტრებს — გაპრაცეზული სტილის დამცველებს, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს მოლიერს — ეწოდებოდათ ავტორისათვის „მასკარილი“.

5. გვ. ს. ც. 5. მ. ა. დ. ლ. ნ. ი. „ოჰ, დიდი რამ კარგი საქმე არ იქნებოდა, სირიუსის მანდანი შეერთო და არონისს კი კლელაია“. — სირიუსი და მანდანი, არონისი და კლელაია ფრანკ მწერალ ქალის დე-სკიუდერის რომანების გმირებია. ეს რომანები: „დიდი კიროსი“ და „კლელაია“ გაპრაცეზული სტილის ნაწერის საუკეთესო ნიმუშებია, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ არა მარტა საფრანგეთში; „დიდი კიროსი“ ითარგმნა გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და არაბულ ენებზე. დე-სკიუდერის რომანები უზომოდ გაკვირვებული, სენტისენტრალური და დაუსრულებელი გრძელი ამბების კრებულს წარმოადგენს. მაგალითად, სანამ მანდანი გახდებოდა კიროსის მეუღლე, იგი ოთხმოცჯერ მოიტაცეს.

მადლონის პრაცეზიკაობაში დე-სკიუდერის რომანების უშუალო გავლენის თვალსაჩინო ნიშნებია.

7. გვ. ს. ც. 5. კ. ა. ტ. ო. „აი, ჩემმა ბიძაშვილმა ამოირჩია თავისთვის სახელად პოლ დესკიენი, მეც-ამენტი და თქვენც უნდა დაგვთანხმდეთ ამაზე...“
იმ დროს პარიზში დიდ მოდაში იყო სახელების გამოცემა. ირქმევდნენ ან ბერძნულ, ან ცნობილი რომანების გმირების, ან კიდევ გამოგონილ სახელებს. ამენტი გვხვდება ლაფონტენის „ასიხვაში“ და კორნელის დეკსებში.

8. გვ. სტ. 6. მადლონი—მე მრცხვენია იძის მაგიერ. მადლონი პირველი ტიპია მოლიერის კომედიებში, რომლითაც იწყება გაახნაურების სურვილით დაავადებულ ტიპების გამოყვანა. „ფიქრად მომდის,—ამბობს მადლონი, თავის მამაზე,—რომ იმისი შვილი არ უნდა ვიყვე და, გული მეუბნება, რომ ერთხელაც იქნება შევიტყობ, რომ მე ბრწყინვალე წოდების კაცის შვილი ვარ.“

აქ ჩასახული გაახნაურებული მდაბიოს ტიპი სრულყოფილად არის წარმოდგენილი ეურდენის სახით კომედია „გაახნაურებულ მდაბიოში“.

გვ. 9. სტ. 7. მადლონი—არა რა ჩქარა, მოგვაწოდეთ სილამაზის მაჩვენებელი“. იგულისხმება სარკე. პრანკია ქალები ცდილობენ საგნებზე უცნაური მითითებით მოითხოვონ.

10. გვ. სტ. 10. მადლონი—საჩქაროდ სკამები მოგვართვით, სასიამოვნოდ საუბარს უნდა შევუდგეთ“. ორიგინალში მეტი გაპრანკულობით არის ნათქვამი; („ახლავე შემოიტანეთ საუბარი-სათვის საქირო კეთილმოწყობა.“) საერთოდ ასეთი თქმები ამ კომედიაში დიდ როლს თამაშობენ. ქართულ თარგმანში იშვიათად შეხვედებით ადგილობრივ გამოთქმებს.

13. გვ. სტ. 10. მასკარილი—ეს ჩემი ხელობა გახლავთ“, მე ვწერ ახლა მადრიგალებით რომის მთელ ისტორიას. მადრიგალი პატარა ლექსია, უმეტეს შემთხვევაში სიყვარულის თემაზე დაწერილი. განირჩევა გონებასახილობით და აზრის მოკლე მოკვეთით. მადრიგალი ისტორიის დასაწერად სრულიად გამოუსადეგარია. აქ მოლიერი დასციენის იმ მწერლებს, რომლებიც გატაცებული იყვნენ ისტორიული ამბების გალექსით.

13. გვ. სტ. 10. მასკარილი—მე კინკსავით მეხერხება კაფიების თქმა“. კაფია ექსპრომტს ნიშნავს. მთარგმნელი ექსპრომტს ხმა რომს—კაფიად ჩვენ შევცვალეთ. ამ კომედიაში გმირები პოეტიკის ბევრ თერმინს ხმარობენ უადგილოდ, ამიტომ დიდი კომიკური ეფექტია მიღწეული. მით უმეტეს, როდესაც მასკარილი პოეტობას ჩემობს.

14. გვ. სტ. 10. მასკარილი—(კაფია), „ოჰ, ოჰ, მე მაშინ ფრთხილად ვერ ვიყავ; უფიქრელად რომ თქვენ შემოგყურებთ. „ვიყავ“ და „შემოგყურებთ“—აქ დრო არუნდა აეტორის მიერ შეგნებით. საერთოდ ეს კაფია დაწერილი დამახასიათებელ გამოთქმებით: „თვალები მეპარებიან“—გული მტაცებენ“—მთელ რიგ ნაწარმოებთა ადგილებზე მივგითითებენ, ამიტომ ამ კომედიის ტიპების მსჯელობა პოეზიაზე და ხელოვნებაზე განხილვადობულ ხასიათს იღებს. მოხერხებულად ხედება ნიშანში.

16. გვ. სტ. 10. მადლონი—„მშვენე რებაა, ნამდვილი პედარი იყონია“. პედარი იყონია მოდების ცნობილი მალაზიის მეპატრონის გვარი იყო.

„პრანკია ქალები“ იმ დროს ითარგმნა, როცა ჩვენშიაც გავრცელებული იყო პრანკიობა: აი, რას ვკითხულობთ 1862 წლის ივნისის „უცსკარში“: „ერთი საზოგადო შენიშვნა უნდა მივცეთ განათლებულ ქალებს: თქვენ რომ ქართულად ელაპარაკებოდეთ, ის პასუხს გოგებს ხოველთვის რუსულად (დიახ, დიდი მოსაწონია, ვაიმე)“. მაგრამ ხანდისხან სიჩქარის გამო ურევს ქართულს, აი ამრიგად: „ი-ბოლუკი მართალია, პაეალუსტა წადი, ია ნენაიეჟუ შენ, ეტო რას ნიშნავს, მნე ნენრა-გიტისა ძალიან, ზაიმ გაბუტული ტი დღეს და სხვანი მრავალნი“.

აქვე (გვერდი 76) „იმერლის ღარიბის კაცის ქალმა სული მოიდგა და მერმედ დაიწყო: ნეტავი ვიციოდე ის რა ბალაქია, რომელიც ქორცსა და ქელს ცვამს“. მაშინ მეორე იმერელმა მიუგო: „ეგ ის ბალახია, რომელსაც ყმაწვილობაზე თქვენც ჰკრეფდით და რჩებოდით, მაგ ბალახს ჰქვიან კინჰარი: არც ერთხელ დაუშუშხავს თქვენთვის ხელები და ძალიან კეთილის გულის ყოფილხარო, რომ ავის დაფიწყება გცოდნიათო“.

აღბათ ამ გაპრანჭულობის გამო დაინახა საჭიროდ კულტურულმა ქალმა ელენე ლორთქიფანიძემ, მოლიერის „პრანჭია ქალების“ დარგმანა.

მ ა რ ტ ი უ ფ ი

(Le Tartuffe, ou l'imposteur)

25—82 გვ.

პირველად „ტარტიუფი“ დაიდგა 1664 წელს, 12 მაისს, ვერსალში, იქ გამართული „ჯადოსნურ კუნძულის“ სახელწოდებით ცნობილი ზემის მეექვსე დღეს. ამ პირველ ვარიანტში „ტარტიუფი“ სამმოქმედოებიანი იყო, მომქმედი პირი ტარტიუფი კი სასულიერო პირი. ამ კომედიის დაწერით მოლიერმა პასუხი გასცა იმ სარწმუნოებრივ თვალთმაქცობას, რომელიც ლუი მეცამეტის და ანა ავსტრიელის დროიდან პარიზში განუკურნებელ სენად გადაიქცა. ლუი მეთოთხმეტე წინასწარ გაეცნო მოლიერის კომედიას და მიიწონა.

„ტარტიუფის“ წარმოდგენამ მთელი პარიზი აახმაურა. მოლიერს მაშინვე თავს დაესხა სამღვდლოება და თვალთმაქც მორწმუნეთა მთავარი შეფი ანა ავსტრიელი. მოითხოვეს „ტარტიუფის“ საჯაროდ წარმოდგენის აკრძალვა. მეფე იძულებული გახდა აეკრძალა.

„ტარტიუფის“ აკრძალვით მოლიერის თეატრი დიდ მატერიალურ კრიზისში ჩავარდა. მოლიერს უყვარდა თავისი კომედია „ტარტიუფი“ განსაკუთრებული სიყვარულით. ამ კომედიის დადგმით მოელოდა თეატრის მატერიალური ბახის შექმნას. „ტარტიუფის“ აკრძალვა მეხვიით დაეცა თეატრს და კომედიის ავტორს. მოლიერმა მაინც არ გაუშვა ხელი კომედიას: გააღრმავა და განაუთარა იგი თანდათან დაეინებული მუშაობით, და შეჰქმნა ისეთი შედეგები, რომელიც უსათუოდ მწვერვალია მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც თვალთმაქცი ტიპის გამოშხატველი.

გარდა სინამდვილისა, რომელმაც ჩააგონა მოლიერს ამ მეხვილი კომედიის დაწერა, მან შესიწავლა თავისი თანამედროვე მწერლობა და კლასიკური ნიმუშები, ფარისევლობის და თვალთმაქცობის თემაზე დაწერილი. ამ მხრივ „ტარტიუფის“ ძალიან შორს და ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ტარტიუფის წინამორბედები უნდა ვეძებთ რომელ ლიტერატურასა და იტალიურ კომედია დელ-არტესა, ბოკაჩოს „დეკამერონსა“, რაბლეს ტიპებსა, ესპანელ ტირსო დე-მოლინის „მორწმუნე მართასა“, ფრანგ მწერლის სკარონის ავანტურისტ ტიპებში, რომლებიც მშვიდობიანი ცხოვრების მოსაპოვებლად ბოლოს თვალთმაქც წმინდანების პოხებში წამოიჭიმებიან.

ამ ლიტერატურის ცოდნისაგან გამაზვიებელი თვალთ არის ავტორის მიერ დანახული მისი თანამედროვე თვალთმაქცობა: ამიტომ ტარტიუფის სახე, დღესაც ასე დამაჯერებლად გამოიყურება.

„ტარტიუფის“ აკრძალვის შემდეგ მოლიერმა რამდენჯერმე მიმართა მეფის თხოვნით. ამ თხოვნიდან სამი დაცულია და იშვიათ დოკუმენტს წარმოადგენს მოლიერის ხასიათის და სოფლმხედველობის ნათელსაყოფად.

მოლიერმა მოახსენა მეფეს პირველ თხოვნაში; „ვინაიდან კომედიის მოვალეობაა ადამიანთა გართობის საშუალებით გამოსწორება, მე ვიფიქრე, რომ ჩემ საჭმინაობაში ყველაფერზე უკეთესი, რაც მე შემეძლო გამეკეთებია—ჩემი საუკუნის ნაკლთა სასაცილოდ გამოხატვა იქნებოდა და, ვინაიდან თვალთმაქცობა უმკველად ყველაზე გაგვრცელებული, ყველაზე აუტანელი და საშიში სენია, თქვენო უდიდებულესობავ, მეკონა, რომ არა მცირე დახსარებას გაუწევდით თქვენს სამეფოში ყველა პატრიოსან ადამიანს, თუ დავწერი კომედიას, რომელიც დასცინებდა თვალთმაქცებს და, როგორც საჭიროა, გამოამხეურებდა ამ მეტად კეთილშობილედ ხალხის ხრიკებს, ამ ყალბისმქნელ მორწმუნეთა ყოველგვარ ოინებს... ტარტიუფებმა მიიქციეს თქვენი დიდებულების ყურადღება და ორგინალებმა შესძლეს ასლის აკრძალვა“.

ასეთი გაბედული, დასაბუთებული და მახვილი იყო მოლიერის მეორე თხოვნაც;

„მე არ ვეპეობ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ხალხი, რომელიც მე გამოვხატე ჩემს კომედიაში, აამუშავენს თქვენს გარშემო ყველა ფარულ ძალებს და გადააბირებს; როგორც ეს უკვე მოხდა, ნამდვილ პატრიოსან ხალხს“.

1667 წელს, 5 აგვისტოს, მეორედ წარმოადგინეს „ტარტიუფი“. მაგრამ 11 აგვისტოს ავტორმა ისევ მიიღო აკრძალვის განკარგულება. ამრიგად „ტარტიუფი“ იწერებოდა და იკვლევდა გზას 1661 წლიდან 1669 წლის 6 თებერვლამდე, სანამ მოლიერა მიიღებდა ნებართვას ამ კომედიის დადგმის შესახებ. ამავ დღეს მოლიერმა მიუყენა მესამე თხოვნით მიმართა და გამოაცხადა „ტარტიუფის“ დადგმის დღე იმ უკანასკნელი რედაქციით, რომლითაც ჩვენ მას დღემდე ვიცნობთ.

როგორც ცნობილია, „ტარტიუფის“ უკანასკნელი ვარიანტი თავდება ტარტიუფის თვალთმაქცობის გამომეღვანებით. აქ ლუი მეთოთხმეტე აღიარებულა კეთილ და გულთმამხილავ მეფედ: „დიდათ სამართლიანი ბრძანდება ჩვენი კეთილი მეფე, გულთმამხილავი და ამისთანა მუხმუხელებისაგან არ მოტყუვდება,—ამბობს პოლიციელი,—გულდამშვიდებული სჯის დიდს და პატარას, ღირსეულად აჯილდოებს ქოველს კეთილს და პატრიოსანს და ღირსეულადვე მსაჯავს ავსა და ბიწიერს“. (იხ. გვ. 81.) პირველ ვარიანტში კომედია მეფის ასეთი შექებით არ სრულდებოდა.

„კომედიის აკრძალვის შემდეგ გავიდა ერთი კვირა,—ამბობს მოლიერი ტარტიუფის წინასიტყვაობის ბოლოში,—მეფის კარის თეატრში ითამაშეს პიესა „სკარამუშ-განდვილი“. მეფემ, თეატრიდან გაოსვლის დროს, უთხრა ერთს დიდ თავადს: „მინდა გავიგო, ის ხალხი, რომელიც ასე ააღელვა მოლიერის კომედიაში, რატომ არც ერთ სიტყვას არ ამბობს „სკარამუშზე“, თავადმა უპასუხა: ეს იმიტომ, რომ კომედია „სკარამუში“ ხეცას და რეალიზაციას დასცინის, ეს ამ ვაჟბატონებს არ აწუხებს; მოლიერის კომედია კი თვითონ მათ დასცინის: ამას ისინი ვერ ითმენენ“.

„ტარტიუფი“ დაიდგა პალე-როიალში ნებართვის მიღების შესამე დღეს, 9 თებერვალს. მოლიერი თამაშობდა ორგონს. არმანდა ბეჟარი—ელმირს, მადლენა ბეჟარი—დორინს, აეტორს მეტისმეტად უყვარდა ეს კომედია და ის ყველა კომედიანზე ხშირად იდგმებოდა მოლიერის თეატრში.

საინტერესოა, რომ „ტარტიუფი“ 1669 წელს ორჯერ გამოვიდა სამი თვის განმავლობაში. მოლიერის ვრცელ წინასიტყვაობაში მოცემულია კომედიის დაწერის ისტორია და მოწინააღმდეგეთა პოზიციების მკაცრი კრიტიკა.

მოლიერის მიერ „ტარტიუფი“ დაწერილია ლეკსად. ივანე მაჭავარიანის ქართული თარგმანი შესრულებულია პროზით, მაგრამ შინაარსი დეტალებშიც ზუსტად არის გადმოცემული.

„ტარტიუფის“ ქართული თარგმანი დაიბეჭდა 1901 წელს, ჟურნალ მთაბის პირველ და მეორე ნომერში.

„ტარტიუფის“ პირველად დადგმის შესახებ ქართულ სცენაზე რეცენზია დაბეჭდილია გახეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 1683, 1901 წ.) დაიდგა იგი ამ წლის 27 დეკემბერს არტისტ გედევანოვის საბენეფისოდ. გედევანოვი თამაშობდა ტარტიუფის როლს, ვასო აბაშიძე—ორგონს, ტასო აბაშიძე—დორინს. ამის შემდეგ ის ხშირად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე.

1902 წლის 2 ოქტომბერს „ტარტიუფი“ წარმოადგინეს ქუთაისში. ტარტიუფს თამაშობდა ლადო მესხიშვილი. დორინი იყო ტასო აბაშიძე, ორგონი—ალ. იმედაშვილი.

სიყვარული მედიკოსი

(L'amour medecin)

83—106 გვ.

პირველად ეს სამოქმედოანი კომედია—ბალეტი დაიდგა ვერსალში, 1665 წლის, 13 და 14 სექტემბერს. ამ კომედიის დაწერა და დადგმა მოლიერს მოუხდა მეტად მოკლე დროში. აღებულია ტრადიციული მოძველებული სუჟეტი, მაგრამ მოლიერისებურმა კვიციხლმა და მახვილმა დიალოგმა, აქტიორების დამაჯერებელმა ამოქმედებამ, ლიულის ოსტატობით დაწერილმა მუსიკამ, ბრწყინვალე მხატვრობმა გაფორმებამ, მოულოდნელი გამარჯვება მოუპოვეს ამ კომედიას ვერსალში.

არა ნაკლები წარმატებით იდგმებოდა იგი პარიზში, სადაც იმავე წელს 22 სექტემბრიდან 29 ნოემბრამდე 27-ჯერ დაიდგა. 1666 წელსაც დაიდგა 16-ჯერ. მოლიერის შემოქმედებაში ეს კომედია ახალი თემის შემომტანია. ამ კომედიიდან დაიწყო მოლიერმა ის დიდი შეტევა ექიმების უვიცობაზე, რომელმაც კომედიოგრაფს უამრავი მტრები გაუჩინა.

ცნობილია, რომ მოლიერი აქ გამოყვანილ ექიმების დახასიათებით მეფის კარის ექიმების უვიცობაზე მიუთითებდა. ეს არ შეიძლებოდა არ ვერძლო მაშინდელ მაცურებელს და ეს კომედია ამით კიდევ უფრო საინტერესო არ გამხდარიყო. ექიმების სახელები ამ კომედიაში სათანადო შინაარსს ატარებენ: დეფონანდრე—ადამიანთა მმუსრავი, ბაისი—მეფეარე, მაკროტონი—გრაძელი ბეგრა—მძიმე მოლა.

პარაკე, სწორად ამ შინაარსის სახელებით მიუთითებდა ავტორი მეფის კარის ექიმებზე.

ექიმების უფიცობაზე მოლიერი შემდეგაც სწერდა: „ძალად ექიმი“ და „პევიო ავადმყოფი“ კიდევ მეტი გამძაფრებული სატირით გვიხატავს ექიმების უფიცობას და ამით გამოწვეულ ბოროტებას.

ექიმების სატირული დაცინვის თემა ძველი საბერძნეთის ლიტერატურიდან მოდის, ანალი ევროპის მწერლობაშიაც ბევრი წინამორბედი ჰყავს მოლიერს, მაგალითად, ესპანელი ცნობილი დრამატურგი ტრისო დე-მოლინი. მაგრამ ლირსკუთხედი კონკრეტული სახეების მოცემით და გამძაფრებული სატირით ჯერ ექიმები ისე არავის გაუმართანებია, როგორც მოლიერმა გაამართანა.

96 გ. გ. ს უ რ. 5 (ბანის) Experimentum periculosum საშიში ექსპერიმენტი.

96 გ. გ. ს უ რ. 5 (მაკრატონი) აღმოსი

97 გ. გ. ს უ რ. 5. ანოდინ. ბერძნული სიტყვა. ტკივილების დამაწყენარებელი წამალი.

97 გ. გ. ს უ რ. 6 (სგანარელი) ორვიეტანი. ორვიეტოვლი შარლატანი ექიმის ჯერონიმო ფერანტის გამოგონილი წამალი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. ეს წამალი თითქო ყველაფერს ჰკურნავდა. მოლიერის დროს პარიზში მეტად განთქმული იყო. ბევრი ექიმი უწყობდა ხელს ფერანტის ამ წამლის გავრცელებას, მხოლოდ მატერიალური ინტერესის გამო.

უთუოდ კარგად შესრულებულ ქართულ თარგმანში გამოტოვებულია: ბალეტის პირველი გამოსვლა, სადაც სგანარელის მსახური შამპანი ცეკვავს, ცეკვავს აგრეთვე ორი ექიმი; —ბალეტის მეორე გამოსვლა: შარლატანი მღერის, ტრიველინები და სკარამუშები ცეკვავენ; —ბალეტის მესამე გამოსვლა: კომედია, მუსიკა, ბალეტი, თამაშობა, სიცილი, სიამოვნება ცეკვავენ.

გამოტოვებულია აგრეთვე პროლოგი, რომელიც თოთხმეტ სტრიქონიანი ლექსიდან შესდგება და სრულდება კომედიის, მუსიკის და ბალეტის მიერ. ტექსტი მიძღვნილია მეფისადმი. ფრაზა: „გავართთ ჩვენ მეფე, უდიდებულესი მოფლს ქვეყანაზე“ სამჯერ მეორდება. ალბათ, ამიტომ არ დაინახა საკიროდ დ. ყიფიანმა პროლოგის თარგმან.

გამოტოვებულია მეორე მოქმედების მეშვიდე სურათი და შარლატანის სიმღერა, სადაც ავადმყოფობათა და წამალთა ჩამოთვლაა მოცემული. არც მეორე ინტერმედია-ტრიველინების და სკარამუშების ცეკვა თარგმნილი.

სისილიელი, ანუ სიყვარული მხატვრობა

(Le sicilien ou l' amour-peintre)

107—129 გვ.

ერთმოქმედებიანი კომედია-ბალეტი, დაწერილი 1666 წელს. ამ კომედიამ გამოქვეყნებისთანავე აახაურა მთელი მაშინდელი ფრანგული კრიტიკა. გადპკარბებული შექება, რომელიც წილად ხვდა ამ პატარა კომედიას, მან ვერ გაამართლა პალე-როიალში დადგმის დროს. მიუხედავად ამისა მასზე შემდეგაც ბევრი დაიწერა. 1870 წელს, ცოტა გადაკეთების შემდეგ, კომიკურ ოპერად დაიდგა.

ლე-ბრეტონი სწორდა: „სიცილიელი“ უსათუოდ ყველაზე ლამაზი კომიკური ოპერაა, რომელიც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, ამ პიესას შეიძლება შევედაროს მხოლოდ „სვევილიელი დალაქი“, არა ბომარშეს კომედია, არამედ როსინის ოპერა“.

გვ. 109. ს უ რ. 2. ა ლ ი. „ცას ნაბადი წამოუსხამსო, იტყვის კაცი“. დედანში არის: ცა ისე შავია, როგორც სკარამუში. სკარამუშები შავ კოსტუმს ატარებდნენ.

გვ. 110 ს უ რ. 4. ა ლ ი. „ოჰ, ბატონო, მშვენიერი ბეკარია.“ ბეკარსა და ბემოლს, მუსიკალურ ტერმინებს, ალი არა სწორი მნიშვნელობით ხმარობს. ალის უნდა სთქვას, მაჟორული და მინორული ტონის სიმღერები მოისმინეთო.

გვ. 118 ს უ რ. 9 „შირიბირიდა უშალლა“. სიტყვებს არაეუთარი მნიშვნელობა არა აქვთ. მოხერხებულად არის მიმსგავსებული თურქულ გამოთქმებს. ეს ხერხი ბრწყინვალედ არის გამოყენებული „გაანაწურებულ მდაბიოს“ თურქულ ცერემონიაში. მონის სასიმღერო კუპლეები (გვ. 118 და 119) თარგმნილია ი რ ო დ ი ო ნ ქ ა ე უ ა რ ა ძ ი ს მ ი ე რ.

გვ. 123. ს უ რ. 11. ა დ რ ა ს ტ ი. „აქელღეს უზატავს ალექსანდრე მაკედონელის სატარფო ქალი.“ აქელღეს ძველი საბერძნეთის (ქ. წ. ხანის მე 4 საუკუნის) ცნობილი მხატვარია. ცხოვრობდა ალექსანდრე მაკედონელის კარზე. აქელღესის ცნობილი სურათია: აფროდიტა ზღვიდან ამოსვლის დროს.

გვ. 128. ს უ რ. 21. ს ე ნ ა ტ ო რ ი. „საუცხოო ტანსაცმელიდან“ ბოლომდე გვ. 129, თარგმნილია ი რ ო დ ი ო ნ ქ ა ე უ ა რ ა ძ ი ს მ ი ე რ.

ძ უ ნ ი

(L' Avare)

131—192 გვ.

1668 წელს, 9 სექტემბერს, მოლიერმა თავის თეატრში პირველად დადგა ახალი ხუმორქმედებიანი კომედია „ქუნწი“, რომელიც მაყურებელმა არ მოიწონა და ავტორმა მეცხრე წარმოდგენისწუემდეგ მონხნა.

ჰარპაგონის როლს წარმოდგენაზე თამაშობდა მოლიერი, ელიზას—არმანდა ბეუარი, მარიანას—დებრი, ფროსინას—მადლენა ბეუარი. მთელი დასი დიდი მონდომებით თამაშობდა, „დადგმულიც შესანიშნავად იყო, მაგრამ მაყურებელი ვერ მიიზიდა. ბევრმა „ქუნწის“ დამარცხების მიზეზად წამოაყენა კომედიის პროზის ენით დაწერა, მართალია, მოლიერის დროს მაყურებელი შეჩვეული იყო ლექსად დაწერილ კომედიაზე, მაგრამ ეს არ შეიძლება ყოფილიყო მთავარი მიზეზი მაყურებლის მიერ „ქუნწის“ არ მიღებისა. აქ უსათუოდ ითამაშა როლი მოლიერის წინა ხანში დაწერილი კომედიების უბრკვევილა გარეგნულმა სახემ. ასეთ გარეგან ბრწყინვალეობას „ქუნწი“ მოკლებულია: არც მუსიკა, არც საბალეტო ნომრები მას არ ახლავს; კომედიის ახალი ჟანრია მოცემული.—„მოლიერის ქუნწი—ქუნწია და სხვა არაფერიო“, სთქვა პუშკინმა. ამიტომ ძნელი ასათვისებელი გახდა მაყურებლისათვის, რომელიც მიჩვეული იყო ფარსების ეჭერას.

შემდეგი თაობა კი დიდად აფასებს მოლიერის ამ კომედიას. მისი ლიტერატურული ღირსება ხომ იმთავითვე ერთხმად იყო აღიარებული.

მოლიერის თანამედროვემ — რობინემ სთქვა, რომ „ძუნწი“ თავიდან ბოლომდე დიდ სიცილს იწვევს. მოლიერის ზეგობარი ბუალო შესანიშნავ კომედიად სთვლიდა „ძუნწს“.

ერთხელ რასინმა უთხრა ბუალოს: „მე თქვენ დაგინახეთ მოლიერის პიესის წარმოდგენაზე: მთელ თეატრში მართო თქვენ იცინოდით“. „მე თქვენ იმდენად გცემთ პატივს,—უთხრა ბუალომ,—არ ვფიქრობ, რომ თქვენ არ გაგცინებოდეთ თავისთვის მიანტ.“ შემდეგ ამ კომედიამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ფრანგულ თეატრში.

„ძუნწი“ მოლიერს გამოყენებული აქვს უამრავი კლასიკური ნიშნები განსაკუთრებით დიდი ჩველენა იქონია ამ კომედიანზე პლაეტის ცნობილმა კომედიამ „განძი“. აქედან ბევრი სცენა აქვს მოლიერს გადმოსული: ლაფლეშის გაჩხრეკა, როცა ჰარპაგონი ითხოვს „სხვა ხელების ჩვენებას“, გვაგონებს პლაეტის კომედიის გმირის მოთხოვნას, როცა იგი მონას ჩხრეკს: „მაჩვენე მესამე“ (იგულისხმება—ხელი).

ან ჰარპაგონის და ვალერის დიალოგი, როცა ვალერი ჰარპაგონს ქალიშვილის ხელს სთხოვს, ჰარპაგონს კი ჰგონია, რომ ლაპარაკი მის ყუთს შეეხება. ასეთ-სავე გაუგებრობაზე აშენებული სცენა აქვს პლაეტს დასახელებულ კომედიასში: აქაც ევკლიონს ქალიშვილს სთხოვენ, მას კი ჰგონია, რომ განძხვა ლაპარაკი.

მოლიერის „ძუნწი“ მეოთხე მოქმედების ბოლო, ჰარპაგონის მონაოლოგის საერთო ხასიათი, უსათუოდ პლაეტის მონაოლოგის გავლენით არის შექმნილი.

ბუარობერის (1592—1662) მიიწვებული კომედიის გავლენის ნიშნებიც ახლავს მოლიერის ამ კომედიას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „ძუნწი“ ამით არ ჰპარჯავს უფლებას ორიგინალურ ნაწარმოებად იქნას ცნობილი ლიტერატურისა და თეატრში.

მოლიერის „ძუნწი“ დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო მწერლობაზე: ბალზაკსა, გოგოლსა („მკვდარი სულები“) და ჩვენს პირველ დრამატურგ გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე (კომედია „ძუნწი“). ქართულად „ძუნწი“ ითარგმნა 1879 წელს პეტერბურგის სტუდენტთა ჯგუფის მიერ, ივანე მაჩაბლის რედაქციით. თარგმანი ვერ არის დამაკმაყოფილებლად შესრულებული. ბევრი ადგილია გამოტოვებული, ენაც ჭრელია და მშრალია.

ქართულ სცენაზე არც ისე ხშირად იდგმებოდა, ჰარპაგონის როლს შესანიშნავად თამაშობდა ვასო აბაშიძე.

1897 წელს, 18 დეკემბერს; „ძუნწი“ დაიდგა თბილისში არტისტ გედევანოვის საბენეფისოდ (იხ. „ივერია“ 227—264 ნომრები).

ქართულად იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა. მოლიერის კომედიების პირველ კრებულში (გამოცემა „სორაპანი“) „კრივანგის“ სათაურით იყო დაბეჭდილი ამავე სათაურით არის იგი აღნიშნული ნებადართულ პიესების ნუსხაში. 1928 წელს იგი დაიბეჭდა სასკოლო სერიაში (სახელგამის გამოცემა).

ფრანგულ დედანთან შედარების დროს აღმოჩნდა, რომ საჭირო და მნიშვნელოვანი ადგილებია გამოტოვებული, მაგრამ კომედიის ყველა ადგილის შევსება შეუძლებელი იყო.

გვ. 150. მ. ო. ქ. 2 ს. უ. რ. 1. ლაფლეშის. „არ გეწყინოს ბატონო“-დან სურათის ბოლომდე (171 გვ. ს. უ. რ. 14.) მთლიანად თარგმნილია ი რო დ ი ო ნ ქ ა ვ ქ ა რ ა ძ ი ს მიერ.

გაბუნაურები მღაბორი

(Le Bourgeois gentilhomme)

193—271 გვ.

კომედია-ბალეტი. პირველად დიდგა შამბორში (მეფის სასახლე ქალაქ გარეთ) 1670 წლის 14, 16, 20, 21 ოქტომბერს. ნოემბერში „გაბუნაურებული მღაბორი“ წარმოადგინეს სენ-ჟერმენში. ამ დროს მეფის კარის მთელი ამაღაც იქ იყო. პარიზში პალე-როიალში იდგმებოდა 23 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე განუწყვეტლივ. ამ ბრწყინვალე კომედიას ყველგან უდიდესი მხატრული წარმატება ხვდა წილად.

„გაბუნაურებულ მღაბორს“ დაწერის დროს (1669—1670 წლები) უდიდესი ზემოები იმართებოდა ლუი მეოთხემეტის კარზე. მოლიერი და კომპოზიტორი ლიული დიდ მონაწილეობას იღებდნენ ამ სახეიმო დღესასწაულების გამართვაში. ამ ხანებში დაიწერა მუსიკითა და სიმღერებით სავეს კომედია მოლიერისა „ბატონი დე-პურსონიაკი“. 1670 წლის თებერვალში შამბორის სასახლეში დაიდგა მოლიერის ახალი კომედია „ბრწყინვალე სასიძონი“, ლიულის მუსიკით და საბალეტო ნომრებით (სამეფო დივერტისპენტად წოდებულით), რომელშიაც თვითონ ლუი მეოთხემეტე ნეპტუნისა და აპოლონის ტანსაცმელში ცეკვავდა.

მოლიერმა სთქვა: „მეფეს უნდა, რომ ყველა მისი წამოწყება არაჩვეულებრივი იყოს, ამიტომ მოწადინებულია იგი მიაწოლოს თავის კარს ისეთი გასართობი, რომელშიაც უნდა შედიოდეს ყველაფერი, რაც კი შეიძლება თეატრმა დაიტოს“. მოლიერმა სწორად აღწერა მეფის დამოკიდებულება თეატრისადმი. 1669 წელს პარიზს ეწვია თურქეთის წარმოადგენელი სულეიმან-ალა, ლუი მეოთხემეტემ ბრწყინვალე ცერემონიებით მიიღო იგი, მაგრამ შენიშნა, რომ სტუმარი ვერ გააკვირა მისი შეხვედრის ცერემონიების საგანგებო ბრწყინვალეობამ და სთხოვა მოლიერს მორიგ კომედიაში უსათუოდ ბუფონურად თურქები ყოფილიყო გამოხატული მოლიერმა მართლაც შესძლო „გაბუნაურებულ მღაბორში“ ამ დაკვეთის შესრულება.

იმ დროს პარიზში თურქები დიდ მოღვაწე იყვნენ. მათზე ბევრი იწერებოდა კომპოზიტორმა ლიულიმ მეფისათვის თურქული ბალეტი დასწერა. აღმოსავლეთში დიდხანს ნამყოფი ლორან-დავიო ბევრ საოცარ ამბებს უამბობდა მეფეს თურქეთის შესახებ. იგი მიამაგრეს მოლიერს და თურქული ტანსაცმელების შეკერვას მეთვალყურეობდა.

„გაბუნაურებულ მღაბორში“ მოლიერმა შესძლო მის მიერ შემოღებული ენრი—კომედია-ბალეტი უაღრესად განეფითარებია. ამ კომედიაში მახვილი სოციალური სატირა მოცემულია მეტად ბრკვევილა ფერების ფონზე. გაბუნაურების სურველით დაავადებულ ბურჟუას ტაბის კლასიკური სახე გამოკვეთილი გურდენის სახით, და ეს გაკეთებულია ისეთი დამაჯერებელი დეტალებით, რომ იგი დაუფიქვარია. მართა ის მომენტი რად ღირს, როცა ეურდენს, თანახმად დასწავლილი წესებისა უნდა მიესალმოს სტუმრებს, დორანტს და დორიმენს. ეუბნება მათ: „ცოტა უკან დაიხიეთ, როგორც წესია საღამო ისე მოგვით“.

ამ კომედიაშივეა გადმოცემული ბურჟუაზიის სიძულვილი ფეოდალურ არისტოკრატისადმი: ქ. ეურდენი, პრაქტიკული გონების პატრონი, ვერ ითმენს დორანტს და დორიმენს, როგორც მუქთა-მკამელა ტიპებს.

დიდი მონღოლებით დაწერილი კომედია „გაახანაურებული მდაბიო“ არა ნაკლები მონღოლებით გააფორმა მოლიერმა, როგორც რეჟისორმა. ლიულის წესანიშნავი მუსიკა, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა ჩვენს თეატრშიც მოგვასმენინა, მოლიერის ჩაცმებითაა დაწერილი. უდიდესი ხელგაშლილობით ხარჯავდა მოლიერი თანხებს წარმოდგენის ყველა საჭიროებისათვის. პირველ დადგმაზე დახარჯა 49. 404 ლიერი და 18 სუ. ამ კომედიაზე მეტი ბრწყინვალეობით თვით ლუი მეთოთხნეტის დროსაც აღარ დადგმულა სხვა წარმოდგენა.

დადგმის დროს „გაახანაურებული მდაბიო“ არ იყო დაყოფილი გარკვეულ ცალკე მოქმედებებად. იგი მოქმედებებად დაიყო მხოლოდ დაბეჭდვის დროს. ქართული თარგმანი სრულია. რაც კ. ანდრონიკაშვილს არ ჰქონდა გადმოთარგმნილი, ის იროდიონ ქავჭარაძემ გადმოთარგმნა.

გვ. 189. მთკ. 1. სურ. 2. მოძღვრალი ქალის კუბლეტი თარგმნილია იროდიონ ქავჭარაძის მიერ.

გვ. 200. სურათი 2. მოძღვრალი ქალის სასიმღერო კუბლეტი გვ. 201 მალიანად და გვ. 202, კუბლეტი, რომელსაც სამივე ერთად მღერის, თარგმნილია მის მიერვე.

მთკ. 4. სურ. 5—6, კოვიელის სიტყვები თურქულ ბგერებზე აგებული უშინაარსოა.

მთკ. 4. სურ. 10—11. მუფტი. თურქული კილოსმაგვარი დიალექტია, რომელიც ხმელთაშუაზღვის ნაპირებზეა არაბთა შორის გავრცელებული. აქ შედის თურქული, იტალიური, არაბული, ფრანგული და სხვა სიტყვები.

მთკ. 4. სურ. 1, სასიმღერო ლექსები (იხ. გვ. 243—244) თარგმნილია ირ. ქავჭარაძის მიერ.

მთკ. 5. კომედიის ბოლო — ხალხთა დიალოგი (გვ. 252—271) თარგმნილია მის მიერვე.

სკაპენის ცულუტობა

(Les Fourberies de Scapin)

273—324 გვ.

პირველად დაიდგა პალე-როიალში, 1661 წლის 24 მაისს. „ტარტიფთან“, „ძუნწთან“ და „გაახანაურებულ მდაბიოსთან“ შედარებით „სკაპენის ცულუტობას“ დაწერა მოლიერისათვის უკან დახევას ნიშნავდა. ამ კომედიაში სიტუაციისა და კომიკური დეტალების მხრივ ბევრია მოლიერის შემოქმედების პირველი პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები. ზოგი ამტკიცებდა კიდევ, რომ სკაპენის ცულუტობა ადრე დაწერილი კომედია არის. სკაპენის მიერ ეფრონტის ტომარში ჩასმა და საზოგადოდ მთელი ეს სურათი ამ კომედიას აკავშირებს პროვინციაში ყოფნის დროს დაწერილ კომედიასთან „გორჯიბიუსი ტომარში“, რომლისაგან მხოლოდ სათაური-ლა დარჩა.

მოქმედება ხდება ნეაპოლში, იტალიაში, ამას გარდა სკაპენი იტალიური სახელია, და კომედიის ზოგი ეპიზოდი მჭიდროდ უკავშირდება იტალიურ დელარტეს კომედიას.

„სკაპენი“ წააგავს აგრეთვე ტერენციის ლათინურ კომედიას „ფორმიონს“, რომელთანაც ზოგ სუჟეტურ ხაზს გარდა კონკრეტული სურათებიც აკავშირებს ამ

კომედიას. მაგალითად, როცა სკაპენი აზინებს ერონტის შვილს, რომ მამა სამაგალითოდ დასჯის მას.

„სკაპენის ცულლუტობის“ მეორე და მესამე მოქმედება დაწერილია სირანო დე ბერეერაკის პიესის „პედანტის“ გავლენით. მოლიერმა ამ გავლენის აღმნიშვნელებს უპასუხა, რომ ყველასაგან ავიღებ მოტივს თუ უფრო კარგად დავა მუშავებ მასო; მით უმეტეს, იმათგან, ვინც თვითონ სარგებლობს ჩემი ნიმუშებით. სირანო დე ბერეერაკის პიესიდან „სკაპენის ცულლუტობაში“ გადმოტანილია ის სურათი, სადაც სკაპენი ატყუებს მამას, ლეანდრის თურქების მიერ გატაცების ეპიზოდის გამოგონებით. მაგრამ ორივე პიესის შედარებამ დაგვარწმუნა, რომ მოლიერს უსათუოდ მეტი დამაჯერებლობით და ოსტატობით აქვს სცენა დამუშავებული.

შესანიშნავად აქვს ეს მომენტი გამოყენებული როსტანის თავის ცნობილ პიესაში — „სირანო დე-ბერეერაკი“, პიესაში სირანოს ეუბნებიან, რომ მოლიერმა ისარგებლა იმის პიესის ეპიზოდებით. სირანო აღელვებული კითხულობს: „მოეწონა ხალხს თუ არა მოლიერის კომედია.“ როცა გაიგებს, რომ ხალხს მოეწონა, სირანო დამშვიდდება, თვითკმაყოფილების გრძნობა გაუელვებს.

„სკაპენის ცულლუტობა“ ითარგმნა მოლიერის კომედიებით გატაცების პირველ პერიოდში. ჯერ კიდევ 1873 წელს გაზეთი „დროება“ მკითხველებს აუწყებდა: „ამ მარხვაში ქართული სცენის მოყვარულნი მოლიერის კომედიის „სკაპენის“ წარმოდგენას აპირებენ და ორი როლის წარმომდგენს იმერეთიდან იჭევენი“. აშკარაა განზრახული ყოფილა „სკაპენის ცულლუტობის“ დადგმა თბილისში, 1874 წელს. იმერეთიდან მოსაწვევ მსახიობებში უსათუოდ ეფროსინე კლდიაშვილიც იქნებოდა, რომელსაც აკაკიმ „სკაპენის“ დადგმის შემდეგ, 1875 წელს, შესჩილა, რომ თბილისში ქალების როლის ქართული შემსრულებლები ვერ ვიშოვნე და სხვებმა ითამაშესო.

ჩვენს სცენაზე სკაპენის როლს ისეთი შემსრულებელი აღმოუჩნდა, როგორც იყო ვასო აბაშიძე „სკაპენის ცულლუტობა“ ერთ იმ კომედიათაგანია, რომელმაც ამ პერიოდში მოლიერი ქართველ მაყურებელს შეაყვარა. ამავე ხანებში ხშირად იდგმებოდა გადმოკეთებული კომედია „ძალად ექიმი“ (იხ. შენიშვნა დიმიტრი ყიფიანის თარგმან „ძალად ცოლის შერთვევინებაზე“).

ამ ეპოქად კომედია იდგმება მუსიკალური კომედიის თეატრში ახლად გადმოთარგმნილი „სკაპენის ოცნების“ სათაურით. თარგმანი შესრულებულია ფრონის-პირელის მიერ. ჩვენ აკაკის თარგმანს დაეუტოვეთ სათაურად „სკაპენის ცულლუტობა“, რადგან ამ სათაურით იდგმებოდა ის ქართულ თეატრში 50 წლის განმავლობაში.

აჭვიტი ავადმყოფი

(Le Malade imaginaire)

325—380 გვ.

ესაა მოლიერის უკანასკნელი კომედია, რომელიც პირველად დაიდგა 1673 წელს, 10 თებერვალს, პალე-როიალში. „ექვით ავადმყოფი“—მოლიერის ყველა კომედიაზე გრანდიოზული და მზიარული, ქართულ თეატრში, მიუხედავად მთარგმნელ ივანე მაჩაბლის დიდი ოსტატობისა ვერ არის წარმოადგენილი სრული სახით. არ არის მთარგმნილი ამ კომედიის ორგანული ნაწილები—ორი პროლოგი.

პირველი პროლოგი. შოკლე შესავალი სიტყვა, რომელშიაც შექმნილია ლუი მე-14-ტე, თავდება შემდეგი სიტყვებით: „ექვით ავადმყოფი“ შექმნილია იმისთვის, რომ მეფე მის მიერ გადატანილ შრომების შემდეგ დაასვენოს. შემდეგ მიდის საბალეტო და სასიმღერო ნომრები.

მეორე პროლოგი: მღერის მწყემსი ქალი. ეს პროლოგი ექიმების წინააღმდეგ მიმართულ კულტებისაგან შესდგება.

არაა მთარგმნილი არც პირველი ინტერმედია, რომელიც პირველ მოქმედებას მოსდევს, იგი შესდგება სცენებისა და სამი საბალეტო ჯგუფისაგან. მეორე ინტერმედია უფრო მოკლეა. იგი მავრულად ჩაცმულ ბოშების მიერ სრულდება. ისინი მოჰყავს ექვით ავადმყოფ არგანის ძმას ავადმყოფის გასართობად.

მესამე ინტერმედია. ახალგაზრდა ექიმის მიღების ლექსად დაწერილ ცერემონიას წარმოადგენს, რომელიც ცეკვით და სიმღერით სრულდება, მონაწილეობს გუნდი, ბალეტი და ექიმები. ის წარმოადგენს კომედიის შინაარსის ფინალს. ივანე მაჩაბელმა ეს ინტერმედიები არ მთარგმნა, როგორც ჩვენს წინასიტყვაობაში არის დასაბუთებული, იმიტომ რომ იმ პერიოდის ქართული თეატრი ვერ შესძლებდა მათ გაფორმებას.

კომედიის ძირითადი ნაწილი მთლიანად არის გადმოთარგმნილი.

აი რას სწერდა ეურნალი „ივერია“ 1879 წელს, მეორე ნომერში (იხ. გვ. 161). „წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ექვით ავადმყოფი,“ მთარგმნილი ივ. მაჩაბლისაგან. მთარგმანი არ არის ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა. ამისთანა სიტყვებს უნდა ერიდონ სცენაზედ. თუმცა ჩვენ ქართველებმა ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდარაოთ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე, უმართებლო სიტყვის ხმარება. ეს პატრისადები ჩვეულებაა და არ შეიძლება ამას ყური არ ვათხოვოთ“. აქ ლაპარაკია ოყნაზე, რომელიც ასე ხშირად და მართებულად იხმარება მოლიერის მიერ თავის კომედიაში.

ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო შეაქვს „ექვით ავადმყოფის“ მთარგმნელი: „მთარგმნელებში პირველი ადგილი უჭირავს ივანე მაჩაბელს, რომელმაც იცის უცხო ენები: ფრანგული, გერმანული და ინგლისური, ამას გარდა მაჩაბლის ღირსება ის არის, რომ იგი სწორედ დედანთან თანახმად მთარგმნის ესაგებებს და ცხოველის ენით, პროზით და ლექსად.“ (იხ. „ქართული თეატრი“ ვ. გუნიასი, გვ. 29, გამოცემა 1889 წ.).

ძალად ექიმი

(Le Médecin malgré lui)

381—419

„ძალად ექიმი“ პირველად დაიდგა 1666 წელს, 6 აგვისტოს, ბიზეს: „დღედა კოკოტკასთან“ ერთად. წერის მანერის მხრივ და სუვეტურად ეს კომედია უკავ- შირდება მოლიერის შემოქმედების პირველ ხანას.

„ძალად ექიმი“ უსათუოდ ახალგაზრდობაში დაწერილ რომელიმე სცენარის გადაშუშავების ნაყოფია. თვითონ სათაურები—„ხისმკრელი“, „ძალად გაექიმებუ- ლი“ და „მფრინავი ექიმი“, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, გვიჩვენებენ, რომ „ძალად ექიმის“ ავტორი ახალგაზრდობაში კარგად იცნობდა ამ თემას და იგი უფონური პიესის შედგერის სახით წარმოადგინა. კრიტიკის მიერ „ძალად ექიმი“ იმთავითვე ერთხმად იყო აღიარებული, როგორც მოლიერის კომიკური ნიჭის ბრწყინვალე გამოვლინების ნიმუში.

აქ, რა თქმა უნდა, ავტორი მკიდროდ უკავშირდება ხალხურ შემოქმედება- საც: იყენებს მეთორმეტე საუკუნის ფრანგული ხალხური შემოქმედების ნიმუშს „გლებ—ექიმს“. ამ ნიმუშში უკვე მოცემულია „ძალად ექიმის“ მთავარი კვანძი. ცოლის მიერ კმრის დასასჯელად მოგონება, რომ კმარი შესანიშნავი ექიმა და ექიმობს მხოლოდ მაშინ, როცა ამას ცემით აიძულებენ.

ამ სუვეტს იყენებდნენ იტალიელი და ესპანელი დრამატურგები. საიდანაცარ უნდა ქონდეს აღებული მოლიერის ამ კომედიის დაწერის ახრი, სულერთია, მას თავისებური ოპტატობით აქვს გაშლილი იგი. მოლიერმა „ძალად ექიმით“ გაამ- დიდრა არა მარტო თავის თეატრის რეპერტუარი, არამედ ყველა ქვეყნის თეატრს მისცა აუფონური პიესის საუკეთესო ნიმუში.

„ძალად ექიმი“ ხშირად იდგმებოდა. ლუი მე-14-ს დროს 340-ჯერ დაიდ; ა იქიდან დაწყებული ეს კომედია დღემდე შერჩა სცენას.

„ძალად ექიმის“ სუვეტზე კომპოზიტორმა გუნომ დასწერა კდმიკური ოპერა, რომელიც დაიდგა პარიზში გასული საუკუნის 50-იან წლებში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სამოქალკო ომის დროს „ძალად ექიმი“ წითლარმიელების საყვარელ პიესად გადაიქცა. 1917 წლის ოქტომბერში ის კომედია თეატროგრადში კოტე მარჯანი შეიღმდა დადგა. აი რას სწერდ- ნენ ამ დადგმის შესახებ: „სპექტაკლი რეჟისორის ხელოვნების განსაცვიფრებელ მაგალითს წარმოადგენს: მცირე საშუალებით უდიდესი ეფექტი არის მიღებული. მარჯანოვი ქეშმარიტად მისანი და ჯადოქარია. სპექტაკლის ღირსება რეჟისორს უნდა მიეწეროს“ (პეტროგრადსკი ლისტოკი, 1917 წ. № 236 გვ. 4).

ქართულად გადმოკეთებული ორ-მოქმედებიანი პიესის სახით „ძალად ექიმი“ დიდი ხანია დამკვიდრდა ქართულ სცენახე; იგი სახალხო კომედიად გადაიქცა. 1866 წელს, აპრილში, გაზეთ „დროება“ს მე-9 ნომერში ვკითხულობთ: „ამ დღეებში ტფილისის თეატრში მოხდება სამი წარმოადგენა ქართულს ენახედ ქველმოქმედების მიხნით“.

1. 29 აპრილს წარმოადგენენ ორ კომედიას: „ძალად ცოლის შერთვევინებას“ და „ძალად ექიმს“.

2. 3 მაისს წარმოადგენენ ორ კომედიას: „მინდა კნენა გაესდგ“ და „ძალად ექიმი“. ანტრაქტებში იტალიური სიმღერები იქნება.

3. 8 მაისს: ორი მოქმედება კომედიიდან „მზის დაბნელება“ და „ძალად ექიმი“. გარდა ამისა იტალიური სიმღერა და ბალეტის ტანცაობა იქნება*.

ეს სამი წარმოდგენა დიდი მოვლენა იყო მაშინდელ თბილისისათვის, სადაც მუდმივი ქართული სცენა აღარ არსებობდა.

აი რას გვითხულობთ, 1866 წლის. გაზეთ „დროების“, მაისის 16, ნომერში: „წლევეანდელ წელს ქართული სცენა ტფილისში უწინდელზედ უფრო გამზიარულეობული იყო და ამის მიზეზი შეიქნა ორი ფრანკულულიადამ გადმოლტებული კომედია „ცოლის შერთვევინება“ უ. დიმიტრი ყიფიანისაგანაა ნათარგმნი. უნდა ვთქვა, რომ დიმიტრა ყიფიანი ქართულის სიტყვის ცოდნაში განთქმულია და იმის კალმიდან გამოსული ნათარგმნი ძალდაუტანებლად ბუნებრივი სინამდვილით ბრწყინავს. „ძალად ექიმი“ წლევეანდელის მეტად არ გვინახავს სცენაზედ (ეს ცნობა არაა მართალი ძალად ექიმი იდგებოდა ქართულ სცენაზე გიორგი ერისთავის დროსაც პ. კ.) ეს კომედია ჯერ დაბეჭდილიც არ არის (ძალად ექიმი დაბეჭდილია გ. ერისთავის პიესების კრებულში 1867 წელს, უფრო ადრე კი იგი დაბეჭდილი იყო ურ. „ცისკრის“ 1866 წლის ივლისის ნომერში. გადმოაკეთებელის გვარი არ უწყრია. პ. კ.). „მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს მაინც გვეღირსა სცენაზე იმისთანა სურათის ნახვა, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს ცხადათ წარმოადგენს. ამ კომედიების წარმოდგენის დროს გულითადი სიცილი განუწყვეტილად გრიალებდა პარტერში და ეს საყოველთაო სიცილი გვიმტკიცებდა ნათლად, რომ ყველა ჩვენთაგანს ბევრჯერ უნახავს ჩვენს ცხოვრებაში ხშირად ამისთანა სურათი“.

„ძალად ექიმის“ ქართულად გადმოკეთების საკითხი სადაოდ გადიქცა 1875 წლიდან. გაზეთ „დროებაში“ პატარა ხელმოუწერელი შენიშვნა იყო დაბეჭდილი, რომელიც „ძალად ექიმის“ გადმოკეთებლად ივანე ერისთავს—გიორგი ერისთავის ძმას ასახელებდა. მაგრამ იმისათვის, რომ ამ კომედიის გადმოკეთება გიორგი ერისთავს არ მივაკუთვნოთ, ეს ცნობა არაა საკმაო.

„ძალად ექიმი“ დაბეჭდილია გიორგი ერისთავის პიესების კრებულში, რომელიც გამოკვეთულია 1867 წელს (იხ. გვ. 183—236.), არ არის აღნიშნული გამოცემაში, რომ კომედიის გადმოკეთებულია მოლიერის სამმკმედებიან კომედიიდან.

„ძალად ექიმი“ თერთმეტი მომქმედი პირია. ქართულად გადმოკეთებულში კი მომქმედ პირთა რიცხვი დაყვანილია ცხრაზედ. გამოტოვებულია გლეხები—ტიბო და იმისა შეილი პერანგი.

გიორგი ერისთავის „ძალად ექიმის“ ორივე მოქმედება წარმოადგენს მოლიერის კომედიის თავისუფალ თარგმანს. გამოტოვებულია შუა სცენები. დასაწყისი, ბოლო, კომედიის ძირითადი აზრი და მომქმედ პირთა ურთიერთობა უცვლელად არის გადმოლტებული მოლიერის კომედიიდან. მომქმედ პირთა სახელები შეცვლილია. სუანარელის სასიმღერო კუბლეთი ქართულად ასეა მოცემული:

რა კარგი ხარ, ჩემო დოქო!
ტკბილია შენით ღვინით სმა,
კულას ჰსჯობიან შენი ხმა.

ახ, დოქო შენ გენაცვალე,
რატომ მალე დაიცალე? გვ. 198

გადმოკეთებას იწუნებდნენ. ზოგი მოითხოვდა სათაური ყოფილიყო არა „ძალად ექიმი“, არამედ „ძალად გაექიმებული“. განსაკუთრებით არ მოსწონდათ, რომ შეშის მკრედი ქართულ ვარიანტში მევაქსედ არის გამოყვანილი.

მიუხედავად იმისა „ძალად ექიმი“ ხშირად და ყველგან იდგმებოდა საქართველოში. 1868 წელს „ძალად ექიმი“ ზუგდიდშიაც კი წარმოადგინეს.

1875 წელს აგვისტოში ეს კომედია ელენე ყიფიანის თაოსნობით (ელენე ყიფიანი—იგივე „პრანჭია ქალების“ მთარგმნელი ელენე ლორთქიფანიძეა), წარმოადგინეს სოფელ ქვიშხეთში ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ, ვასილ სუმბათაშვილის სახლში, სადაც ახლა მოთავსებულია თეატრი და სოფლის საბჭო. ელენე ლორთქიფანიძე „ძალად ექიმში“ ექიმას ცოლს თამაშობდა. სხვა ქალების როლებიც ყიფიანის ქალებმა შეასრულეს: რეცენხენტი სწერს: „ყიფიანის ქალებს ძალიან სათეატრო ნიჭი ჰქონიათ“.

ამ უამად „ძალად ექიმი“ დიდი წარმატებით იდგმება მარჯანაშვილის სახელობის თეატრში, თარგმანი ფ ა ტ ი გ ო კ ი ე ლ ი ს ა, ამავე თეატრის სტუდიის პირველ საცდელ წარმოდგენად დადგმული. დაწერიდან 276 წლის შემდეგ იგი ახალი კადრების აღსაზრდელ შესაფერ მასალად გვევლინება ქართულ სცენაზე. დადგმის შესახებ იხ. 1937 წ. იანვრის 18-ის „ახალგაზრდა კომუნისტი“, „კომუნისტი“ და 1936 წლის „საბჭოთა ხელოვნება“ № 12).

პლ. კეხელაძე

ს ა რ ი ვ ი

წინასიტყვაობა	83- VII
მოლიერის ცხოვრება და შემოქმედება	IX
პრანკია ქალები	1
ტარტიუფი ანუ მუზმუხელა	25
სიყვარული მკურნალობს	83
სიყვარული მხატვრობს	106
ძუნწი	131
გააზნაურებული მდაბიო	193
სკაპენის ცუდლუტობა	173
ეკვით ავადმყოფი	325
ძალად ეკიმი	381
შენიშვნები	421

რედაქტორი — რ. გვიტაძე.
ტექრედაქ. — მ. ჯაფარიძე;
კორექტ. { კ. ეარდოსანიძე,
 ს. ოყრეშიძე.

* *

გად. წარმ. 9/IV 1936 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭ.
15/IV — 1937 წ. ტირაჟი
4000; წიგნ. ზომა 6 X 10
ქალაქის ზომა 99 X 94
ფორმ. რაოდ. 30; შეკვეთის
№ 594; მთავლიტის რწმ.
№ 13652.

* *

გამომცემ. „ფედერაცია“-ს
სტამბა. ტფილისი, პლეხანო-
ვის პარკი. № 181.

* *

მოლიერის სწრათი მხატ.
შ. ბერიტაშვილის.